პოეტები საქართველოსი

ტომი IV

თბილისი
2023

კრებულის მთავარი რედაქტორი და შემდგენელი:
მანანა სამყურაშვილი

კავშირის„,პოეტები საქართველოსი" - დამფუძვნებელი და ხელმძღვანელი.
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი.
ტაო- კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი და აკადემიკოსი, მარიკა ბარათაშვილის პრემიის მფლობელი,
ასევე მიღებული აქვს სამშობლოს ერთგულებისთვის და პატრიოტული ლექსებისთვის პირველი ხარისხის ოქროს მედალი, სამეცნიერო საქმიანობისთვის - დავით აღმაშენებლის ოქროს მედალი, შ პ ს„ სალიტოს" (სალომე ტოგონიძე)
დირექტორი, შპს„გომავანის" პარტნიორი, ოთხი საკუთარი და ოცდათვრამეტი კრებულის თანარედაქტორი, სამართალმცოდნე, პედაგოგი.
დაიბადა ყვარელში - საბუეში.

თანარედაქტორი
თენგიზ ფანცულაია

სამართლის მაგისტრი-პოლიციის პოლკოვნიკი, შს ორგანოების დამსახურებული მუშაკი, შ.რუსთაველის სახელობის პოეტთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა კავშირის „პოეტები საქართველოსი“ თანადამფუძნებელი და სწავლული მდივანი. ჯ.ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის აკადემიკოსი.

© ავტორთა ჯგუფი, 2023

გამომცემლობა **„პოლიგრაფლუქსი“, 2023 წ.**

ISBN 978-9941-33-344-6 (ყველა ტომისათვის)
ISBN 978-9941-8-5233-6 (IV ტომისათვის)

დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია
და სინსლიანი დგას ანგელოზი.
ახალ ერიგალებს ვწერავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!..

ეალაყციონი

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

-- მადლობა ცოტაა, განგებისთვის რამე თუ გავხდით ღირსნი გვეწინამძღოლა ამ დიდებული კრებულისთის.

-- თუ არა უფლი და მისი ნება, ასე ხანმოკლე მანძილზე არა და ვერ გახდებოდა კრებული წარმატებული და აღიარებული... დღეს მრავალი თანაავტორი იწონებს თავს და სიამაყით ამბობენ... მე, „პოეტები საქართველოსი"- ს

თანაავტორი ვარ და კრებული გულშიჩახუტებული მიაქვს სხვადასხვა ღონისძიებაზე, საქართველოში და საზღვრებს გარეთ.

-- მრავალთა მსჯელობის საგანი გახდა: „კრებულში ყველა პოეტის ნაწარმოებს არა ბეჭდიან... უმკაცრესად ირჩევა ლექსები, მხოლოდ აზრითა და რითმით გამორჩეულეთა ხვედრია, კრებულში მოხვდე."

-- ასევე უმრავი პოეტის ნატვრაა: „ნეტავ, როდის მოვხვდები ან დიდებული კრებულის თანაავტორად"...

-- არც ისე დიდი დროა გასული, მხოლოდ, ერთი წელია რაც დავაარსეთ ორგანიზაცია „პოეტები საქართველოსი" და მუშაობა დავიწყეთ, ორგანიზაციის სახელის მქონე „პოეტები საქართველოსი -ს კრებულზე.

-- დიდ ქარცეცხლში მოგვიწია გავლა ორგანიზაციის და კრებულის მესვეურებს...

-- პირველი კრებული იღბლიანი გამოდგა, თავისი ვიზუალური ფორმით და შინაარსობლივი ძლიერებით, იმ გაგებით რომ მნახველები და ავტორები, გულში იხუტებდნენ და გაკვირვებულნი, პირზე ღიმილმომდგარნი, სიხარულის ცრემლებს აშლიდნენ და მარგალიტების წვიმა ეფრქვეოდა კრებულს.

-- დღეს ჩვენი კრებული - „პოეტები საქართველოსი"

ერთ ერთი ლიდერია რამდენიმე საგანძურ კრებულებს შორის. სიამაყეს არა, დიდ გაკვირვებას გგვრის ეს. რამე თუ აღსრულდა უფლის ნება და ღირსად ჩაგვთვალა გამორჩეული კრებულისთვის გვეხემძღვანელა.

-- კრებულში არიან პოეტები, რომელთა სული სიყვარულით სავსეა მოძმესადმი -- ყოველთვისა ცდილობენ რით გაახარონ ერთმანეთი, რით უთანაგრძნონ, თანაბრად იზიარებენ ერთმანეთის ლხინსა და გასაჭირს. ამიტომ არის რომ, ნათლად გამოიკვეთა პოეზიის არწივები, ამაგდარი პოეტები, ოქროს კალმოსნები, მთის პოეტები, დედაენის ქურუმები, საუკეთესო დეკლამატორები და ვინ იცის კიდევ რამდენი პოეტის, სიხარულის წყარო გახდება ჩვენი ღვთით კურთხეული ორგანიზაცია „პოეტები საქართველოსი.

-- ორგანიზაცია „პოეტები საქართველოსი" სისტემატიურ ძიებაშია... გვინდა რაც შეიძლება მეტი, ძლიერი ავტორი ვიპოვოთ და წარმოვაჩინოთ. გვინდა წარმოვაჩინოთ ახალგაზრდა პოეტები, რომელზეც დაყრდნობილია ჩვენი ერისა და ქვეყნის მონავალი. გვინდა წარმოვაჩინოთ, კულისებს მიღმა მყოფი პოეტები, რომელთაც განძად ააქვთ მიმალული თავიაანთი პოეზია.

-- თამამად შემიძლია ვთქვა რომ ჩვენი კრებული, „პოეტები საქართველოსი, არის „ოქროს საწმისი", -- რომლის 4 ტომში, უამრავი სიბრძნეა დაგროვილი. ეს კრებული, მომავალი თაობისთვის გონთა საკვებია.

-- კრებული, „პოეტები საქართველოსი" პოეზიის უშრეტი წყაროა, საიდანაც ულევ ნაკადად მოჩუხჩუხებს სიბრძნე.

იგემეთ, ეს არის უკვდავების წყარო!... წყარო, რომელიც ღვთითკურთხეულია და არასოდეს არ დაშრება კაცობრიობის არსებობამდე.

-- ასევე თამამად შემიძლია ვთქვა რომ ორგანიზაცია „პოეტები საქართველოსი" არის ხვთის შვილთა კავშირი.

ამ ორგანიზაციის მესვეურები ცდილობენ, სამართლიანად მოიძიონ ყველა წევრი, რომლებიც იკვებებიან უფლის ათი მცნებით და ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი რომ სიტყვითაც არა კაცკლა, სიტყვითაც არ იმრუშო და გიყვარდეს მოყვასი შენი, შეიყვარე და პატივი ეცი, დააპურე გლახაკი და მათხოვარი მიიღე, ისე ვით უფლის გამოცხადება.

-- ეს არის ორგანიზაცია „პოეტები საქართველოსი"- ს დევიზი, შევკრიბოთ ღვთის შვილები და აქ, ამ ოჯახში, გვაძლიერებდეს და ზეგვმფარველობდეს უფალი, რამეთუ წარმოჩინდეს ღვთის შვილებთა ძლიერება.

-- გიხაროდენ, რამეთუ დღეს აღსრულდა ღვთის ნება.

მთავარი რედაქტორისგან

მანანა სამტურაშვილი

მივყვეთ,
სახელოვან წინაპრთა
წმინდა ნაკვალევს!

ჩვენ წინაპრთა
ლოცვით ქმნილა და დღეგრძე
მოსულა ეს, დალოცვილი
დედა საქართველო!

ფილიპე - X ს.

ქებაჲ ბეთლემისაჲ, ქალწულისაჲ და ძისაჲ

ფესვთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო;
იაგუნდი, ძოწეული სამოსლად გაქვს, ღმრთისმშობელო;
ლამპრითა მით ბრწყინვალითა მიგეგებვით, დედოფალო,
ითხოვე შენ მოტევებაჲ ბრალთა ჩვენთაჲ, დიდებულო.
პატიოსან და წმიდა არს სახლი, შენი, სანატრელო;
ეკლესიაჲ ბეთლემისაჲ ცათა მსგავს არს, უბიწოო;
ბუნებათა შემოქმედი გიცანთ შენგან, ოჲ ბეთლემო;
ლოცვა, ჩვენი, შეიწირე, ბაგასა მას მწოლარეო.
ეც მოსავთა შენთა პოვნაჲ წყალობისაჲ, სახიერო,
მადლი, შენი, მფარველ მეყავნ მე, უღირსსა, მოწყალეო,
ისმინე დღეს თხოვაჲ, ჩემი, ცოდვილისაჲ, მწყალობელო.

გიორგი ათონელი
(მთაწმინდელი) – 1009-1065

ქებით დიდებაჲ

ქებით დიდებაჲ შენი თანა გვაც,
რომელი მხსნელმან ქრისტემან ჩინებულ გყო,
ისრად ელვისად, ენად ცეცხლისად,
სამებისა დიდებაჲ ღმრთისმეტყველ ჰყავ;
ტომთა და ნათესავთა შთააცვ ნათელი;
ეკლესიაჲ ჰყავი შენ, ამაღლებულ;
შაბათნი დაჰხსენ, დააცხრვე შჯული,
ერთ-არსებისა ბრწყინვალე ქადაგ!
იოტე ბნელი, მტერი დასთრგუნე,
წესთა ზესკნელთა წარხედ წმიდაო!
ყოველთა ღმრთისა პირისპირ მდგომ ხარ,
აღქმული იგი გვირგვინი დაგვადგ.
ლმობიერ ყვენ გულნი, ჩვენნი, ფიცხელნი,
ერთბაშად მკვიდრ მყვენ სასუფეველსა.

შოთა რუსთაველი - XII - XIII ს.

ვეფხისტყაოსანი

დასაწყისი
(ნაწყვეტი)

ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო, გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;
ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედან ფრფენითა.

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გაჰრევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!

ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში;
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს, ხვალე - სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს ვაჟთა, ყმაწვილობასა.
კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.

არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა ჭირთა, მალვა,
თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,
დათმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.

ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად "ჰა ჰაჲ" ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.

ვახტანგ VI – 1675-1737

შეგონება

კაცმან უნდა თავის საქმე, ყველა, ღვთითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე, საჩრდილობლად, წყლისა პირსა სამე დარგოს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი - 1817-1845

ჩემი ლოცვა

ღმერთო, მამაო, მომიხილე ძე - შეცდომილი,
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ღელვილი!
ნუთუ მამასა არღა ჰქონდეს გულისტკივილი,
ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?

ჰოი, სახიერო, ნუ წარვიკვეთ მე სასოებას;
პირველ უმანკომ თვით ადამმაც სცოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება,
გარნა იხილა სასუფევლის მან ნეტარება.

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმინდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა;
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

გულთამხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე,
და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთთ შენდა სათქმელად?
მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!

ნიკო ლომოური - 1852-1915

ყინვა და პატარა მოწაფე

თოვლით დაფენილს ტრიალს მინდორსა
თითქო ღრმა ძილით ჩასძინებოდა
და ხშირსა ტყესა, ჩადრწამოსხმულსა,
სახე სრულიად გაშეშებოდა.

არსაიდამ არ მოისმოდა
არც ნადირთა ხმა, არც კაცთ ძახილი,
ირგვლივ, ცის კიდითკიდემდისინა,
იდგა სიჩუმე, ვით მკვდართა ძილი.

და ამ სიჩუმით მოცულს მინდორში
ყინვა თანდათან ძლიერდებოდა;
ხან აღმა მთებზე და ხან ჩამოღმა
იგი მეფურად დაბრძანდებოდა.

დაბრძანდებოდა და თანაც თვალსა
არ აშრებდა გატკეპნილ გზასა,
უნდოდა ძალა გამოეჩინა.
წინ დაჰხვედროდა მომავალს მგზავრსა.

აგერა კიდეც გზაზედ გამოჩნდა
ბავშვი, წიგნებით იღლიაშია!
ჩქარი ნაბიჯით, ცოცხალი სახით
მიცუნცულებდა ის სკოლაშია.

ყინვამ მაშინვე მისკენ მიჰმართა
და მრისხანებით გადუდგა წინა:
„ბავშვო, სულელო, - მსწრაფლ მიაძახა,
გირჩევ, ეხლავე დაბრუნდე შინა.

ჩემთან კერპობა შენ ვერ გაგივა,
მალე გეცვლება წითელი ფერი,
იცოდე, შენზე დიდებისათვის
მომიგრეხია მწარედ კისერი“.

ესმის ყველა ეს პატარა ბავშვსა,
სცივა და მთელი ტანით ძაგძაგებს,
მაინც არ სდგება, ხელების ფშვნეტით
მიხტის და ფეხებს მიაბაკუნებს...

ყინვა ბრაზდება და გული მოსდის
პატარა ბავშვის მხნეობაზედა,
უმატებს სუსხსა და ცეცხლსა ანთებს
იმის ლოყებსა და ყურებზედა.

შესწუხდა ძლიერ ჩვენი პატარა,
მთლად დაეყინა ხელი, ფეხები„
„ვაიმე დედავ!“ - უცებ გაისმა
და გადმოსცვივდა საწყალს ცრემლები.

მაგრამ მაინც კი სულ არ შეშინდა,
ფეხიც არ შესდგა, არ შეისვენა!
უცებ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა
მარდად მოჰკურცხლა მან სკოლისკენა.

მირბის პატარა, მირბის და... აგერ,
სკოლის ფანჯარა, ცეცხლის შუქიცა!
სულ დაავიწყდა მაშინვე იმას
ყინვაც და მისი ბაქიბუქიცა.

იოსებ გრიშაშვილი - 1889-1965

ჩემი აღმართი

ეხლა შენ ჩემთან აღარ დადიხარ!
ამბობ: „შორს ცხოვრობ, აღმართი მღალავს!"
შენ რიოში ხარ, როგორც სადიხა,
და ჩვენს სიყვარულს არ უხდი ღალას!

როცა გიყვარდი, ვგავდი ია-ვარდს,
მე არ ვიცოდი, რა იყო დარდი!
ლექსად ვფანტავდი ფერთა ნიაღვარს,
როცა გიყვარდი... როცა გიყვარდი...

როცა გიყვარდი, ჩემი ხარფუხი
შენს შესახვედრად ფეხზე დგებოდა
და სუბსარქისის მკაცრი ქარბუქი
უნაზეს სიოდ გეჩვენებოდა.

როცა გიყვარდი, ბევრჯერ შევაქეთ
ჩვენი ტუჩების შირაზის ვარდი;
ჩემი აღმართი მიგაჩნდა ვაკედ,
როცა გიყვარდი... როცა გიყვარდი...

გიორგი ლეონიძე - 1898-1966

მყვირალობა

ჩამაჭრდა კახეთს ჰაერი,
ტყეები გადიყირმიზა,
ენკენისთვეში მთებიდან
ისმის ყვირილი ირმისა.

რასა ჰყვირიან ირმები
ყორან-მთას, ყარაიასა?
სახუნდარიდან მარეკი
გულში გაარტყავს ტყვიასა...

ხარი ირემი ფურს ეძებს,
მთაში ნასუქი, ღიჭითა;
ქაფსა ჰყრის გადაკაწრული
ეკლებითა და ხიჭვითა.

თავი ანება ცალისთვის
იალაღების მწვანესა,
მოამტვრევს რქების ლაწანით
ჩალას, ტყეს, ლერწმოვანებსა.

დაშტერებული ჯოგები
მორბიან თავდაყირანი...
ხარი ფურს ეძებს ღრიალით,
მე - სიყვარულსა მყვირალი!

გახელებული ხარი ვარ,
გეშს ვიღებ ნიავქარზედა,
მაჩვენეთ ჩემი ოცნება,
რქა ზედ მივაფშვნა რქაზედა!

სულ მივამტვრიო, მივლეწო,
გულში რაც გადაირაზა,
შევყვირებ, როგორც ირმები
ჰყვირიან ყარაიასა!

ჩვენი ფოთის ეთნოლური პოეზია

არქიმანდრიტი სერაფიმე, გოგი ფილია

ცოდვილ სოფელში სულის სიტურფე

შემოვაცალე გონებას მტვერი,
და სინამდვილის ვიგრძენ სიურჩე,
ვიპოვე ჯვარზე გაკრული მხსნელის,
ცოდვილ სოფელში სულის სიტურფე.

თითქოს სიწმინდეს შევახე ხელი,
და დავაძინე წამით სიმუხთლე,
კალამით ხელში ფურცელზე მღერის,
არყოფნით, ყოფნის კვლავ სიჯიუტე.

ამოუცნობი სამყარო ვრცელი,
და უმართავი ვნებათ სიუხვე,
გაუმაძღარი სიყალბით მელის,
კრონოსი (დრო)მამის მკვლელი სისუსტე.

კარს მომდგომია ურიცხვი მტერი,
მე კი რატომღაც მაინც ვიხუმრე,
სათქმელი დამრჩა ალბათ კვლავ ბევრი,
მაგრამ მე ლექსის წერა ვისურვე.

შემოვაცალე გონებას მტვერი,
და სინამდვილის ვიგრძენ სიურჩე,
ვიპოვე ჯვარზე გაკრული მხსნელის,
ცოდვილ სოფელში სულის სიტურფე.

ეს უძღები არისტოკრატი

ნეტავ როდემდე გაგრძელდება,
ეს ხანძარი ჩაუქრობადი,
ყოფნა, არყოფნას რომ ვერ წვდება,
მაგრამ გინდა იყოს წვდომადი.

ზღვარი როდესაც იკარგება,
და სამყარო ხდება ხმობადი,
გონება ისევ მონა ხდება
მყოფადის და არა მყოფადის,

ხან კი ადუნებს ყურადღებას,
ცნობიერზე არა ცნობადი,
და კვლავ ზეიმობს გამარჯვებას,
ამ სოფელში ყოფნა ჭკნობადი.

სრულყოფილების ხატოვანი,
და მსგავსება მიუწვდომადი,
რჩება კვლავ ისევ არჩევანი,
ეს უძღები არისტოკრატი.

ალბათ მუდმივად გაგრძელდება,
ლტოლვა მისკენ დაუცხრობადი,
უკვდავებაში აღზევება,
განწირული სული კვდომადის.

გალახული მთვარე

ღამე იყო და ზაფხული,
ისვენებდა გათანგული,
ვწერ ფიქრებში გაბლანდული,
დაღლილი და დაქამცული.

ფირი გულში გამეპარა,
რითმა-ლექსად ლაღად თქმული,
წუთი სოფელს გაეცალა,
ვერცხლის ხურდად გაფლანგული.

მომეჩვენა რომ მეძახდა,
ვიღაც ადრე არ ნახული,
მთვარის შუქზე შემეჯახა,
დრო სივრცეში გახლართული.

სულის ფსკერში ჩამალული,
სინამდვილე დაფარული,
მთვარე ვნახე გალახული,
და ღამისგან დაჩაგრული.

ვნახე მთვარე და წარსული,
ჩემი მაგრამ ზრდადასრული,
მიღიმოდა არასრული,
ივნისის თვის დასარული.

ღამე იყო და ფარული,
ვიგრძენ სადღაც დამალული,
სადღაც შორს გადაკარგული,
სინანული დაძაბული.

თითქოს ყოფა გახდა რთული,
თუმც მიცემდა მაინც გული,
თვალწინ მედგა გამართული,
სიყვარული ჯვარზე ცმული.

თავისუფლებით განწირულები

უძირო სულში მომავლის გზაზე,
მილასლასებდნენ როგორც ურმები,
ფიქრები მუდმივ კამათის ხარჯზე,
ჭეშმარიტების მებადურები.

მილასლასებდნენ და დილის საარზე,
სამყარო, სევდის ცხელი ღუმელი,
ფიქრებს მითბობდა და დაბალ ხმაზე,
კვლავ ალერს მთხოვდა ნაბახუსები.

განთიადს ცრემლი სდიოდა თვალზე,
და გაიყინენ თითქოს წუთები,
მოგზაურობას ღრუბლიან ცაზე,
მთხოვდნენ ფიქრები ზრდადასრულები.

მეკი რატომღაც ვიდექი უარზე,
თუმცაღა ვძრწოდი მაინც ცდუნებით,
თავისუფლება ღრუბლების თავზე,
სასიამუვნო ჩანდა ბუნებით.

წუთისოფელის ბინდისფერ ცაზე,
სული ვერ ძღება მათი ყურებით,
თუ როგორ დგანან სხვებისგან განზე,
კვლავ არჩევანში განწირულები.

ყოფნა-არყოფნის წაუშლელ ზღვარზე,
ისევ დავრჩები შვილი უძღები,
ჯვაზე გაკრულის ნაწამებ კვალზე,
ლექსს გადავარტყი რკინის ხუნდები.

უძირო სულის მომავლის გზაზე,
მილასლასებდნენ როგორც ურმები,
ფიქრები მუდმივ კამათის ხარჯზე,
ჭეშმარიტების მებადურები.

და გადასცილდა ათასხუთას წელს

თბილისის სისხამ დილის ალავერდს,
გამოვექეცი და ეშხით მთვრალი,
გამოვექეცი ამ სილამაზეს,
უკან ფიქრების მომსდევდა ჯარი.

გავესაუბრე წელთა გადამწერს,
წარსულმა სულის გამიღო კარი,
გავეთამაშე ცაში ალალ-ბედს,
და გავაჩერე წუთი და წამი.

როცა სიკვდილი გულსაც არ გატკენს,
მაგრამ სიცოცხლის სულ გრჩება ვალი,
ამ ისტორიის შავ-თეთრ ანარეკლს,
შევყურებ ფიქრით დაღლილი მგზავრი.

დროს მის სივრჩეში როგორც განაჩენს,
კვლავ სიამაყის დაეტყო კვალი,
და გადასცილდა ათასხუთას წელს,
დაუჟანგავი გორგასლის ხმალი.

დიღმის ხევიდან ამ სილამაზეს,
ისევ შუაზე ყოფს მდუმარე მტკვარი,
როგორ გიხდება ტახტზე მჯდომარეს,
დედაქალაქის გვირგვინის შარმი.

სიტყვა ყოველთვის სათქმელს ვერ აღწერს,
თუ გინდ ლექსმაც რომ აუბავს მხარი,
და ვერ მიწვდება იმ დიდ სიმაღლეს,
სამების ტაძარს რომ ადგას ჯვარი.

თბილისის სისხამ დილის ალავერდს,
გამოვექეცი და ეშხით მთვრალი,
გამოვექეცი ამ სილამაზეს,
უკან ფიქრების მომსდევდა ჯარი.

გახადეთ მთვარეს ღამის სამოსი

გახადეთ მთვარეს ღამის სამოსი,
და შიშველ გულზე შემომახვიეთ,
წარსულს გააძვრეთ გლოვის პათოსი,
მომავალს სევდა შემოახიეთ.

გახადეთ მთვარეს ღამის სამოსი,
და საიდუმლოს უმალ გაგიმხელთ,
გაითავისეთ ყოფა აწმყოსი,
და სიყვარულის მსხვერპლსაც გაიღებთ.

გახადეთ მთვარეს ღამის პერანგი,
და სინამდვილე თვალებს აგიხელთ,
მაშინ დაცხრება სული ვერაგი,
და დაინახავს ნამდვილ სამიზნეს.

ჯვარზე გაკრული სრულყოფილება,
მარადისობას როცა გაუწყებს,
აღარ გჭირდება იმის მტკიცება,
აუხსნელს ახსნას რომ ვერ დაუწყებ.

აღარ მჭირდება მტკიცება მასზე,
თუკი იმედი გულს გადამივსებს,
რაა? სიკვდილი მომდგარი კარზე,
ყოფნით არყოფნას როცა დაიტევ.

შევეჯიბრები კვლავ სიყვარულში,
დაუმარცხებლად მოკლულ აქილევს,
და წუთის სოფლის უხეშ ხმაურში,
ლექსებს მივუძღვნი ცნობილ პრანჭიებს.

გახადეთ მთვარეს ღამის პერანგი
და სინამდვილე თვალებს აგიხელთ,
მაშინ დაცხრება სული ვერაგი
და დაინახავს ნამდვილ სამიზნეს.

„შეგცოდე როგორც კაცმა უფალო“

ამ წუთისოფლის მწირი მდგმური ვარ,
გონი სული და გული უმანკო,
(დრო კი სივრცეში მყოფობს უვადო)
მიუწვდომელი წვდომად მინდიხარ,
ყოფნა-არყოფნით რომ არ ვიტანჯო.

წუთისოფელის ტყვე ვარ უდაოდ,
ამ ხვედრს ვერაფრით ვერ გავერიდე,
„შეგცოდე როგორც კაცმა უფალო,
და შენ კი როგორც ღმერთმა შემინდე“.

როცა გონება საწყისებს ეძებს,
ბანალური და თან სამწუხარო,
ხდება როდესაც შეამჩნევ ერთ დღეს,
რო იკარგები მასში უკვალოდ.

ამ წუთისოფლის მწირი მდგმური ვარ,
გონი სული და გული უმანკო,
მიუწვდომელი წვდომად მინდიხარ,
ყოფნა-არყოფნით რომ არ ვიტანჯო.

დედას

ივნისის მზესაც თითქოს და დარდი,
ჭაღარა სევდად შეყრია თმაში,
მარადიული და მუდამ მზარდი,
გულს მონატრება დარჩება ვალში.

სევდით დამჭკნარი საფლავის ქვასთან,
შემომატირებს წითელი ვარდი,
ფიქრით საუბარს ავყევი მასთან,
მივხვდი ფიქრებშიც თუ როგორ გგავდი.

გონება ისევ ფიქრებთან ბჭობდა,
სულში კი ცხადი სიზმარი მყავდი,
ნუთუ ამ ყოფას ის ყოფა სჯობდა,
ობლის გვიან რომ გამოცხვა მჭადი.

წუთისოფელი ცხოვრებას მთხოვდა,
მე კი სიცოცხლედ მხოლოდ შენ მწადდი,
ივნისის თვეში ტკივილი თოვდა,
და ამ ტკივილში მხოლოდ შენ ჩანდი.

მყოფობის მიღმა მყოფობის ქვრეტა

თავზე დამყურებს სამყაროს მცველი,
ურიცხვ ვარსკვლავთა ლურჯი არმია,
კოსმოსი, ზეცა უძირო ვრცელი,
ამოუცნობი სულის გრაცია.

ფიქრი გამირბის მგონი ვგიჟდები,
მარადისობის ვგრძნობ ვიბრაციას,
როგორ აღვწერო ლექსში სიტყვებით,
სულის სხეულში დეპორტაცია.

წინ რომ მიუძღვის შლეგ ჯიხვთა კოჰორტს,
რქამოტეხილი მაგრამ ვაცია,
წუთისოფელის ანთებულ კოცონს,
ჭრელი და მოკლე კაბა აცვია.

ოდესღაც ალბათ ჩავწვდებით მის არსს
მოხდება დიდი კვლავ მიგრაცია,
მყოფობის მიღმა მყოფობა მხიბლავს,
და მერე მასში სუბლიმაცია.

ობლის გულისთქმა
(დედას)

როცა ცხოვრების გზა ზრდასრულია,
დროს სივრცეში კი შენი არ ესმის,
ო! რომ იცოდე როგორ მწყურია,
ყოფნა-არყოფნის არსის გაგების.

ო! რომ იცოდე როგორ მწყურია,
მოსიყვარულე შენი თვალები,
ობლად დავდივარ ასე გულღია,
გადაჭედილი მასზე ნალებით.

მოგონებებში ვლღვები სრულიად,
თითქოს მითბება გული ალერსით,
ობოლად ცხოვრება ო! რა რთულია,
გადავიღალე ტანჯვა-წამებით.

სხვების გულებში რომ ზაფხულია,
ჩემს გულში გლოვის რეკენ ზარები,
რა დამავიწყებს იმ დღეს შურიანს,
რომ გამიჩინა გულში ბზარები.

ვერ დაივიჯერე რომ წარსულია,
ეს განსაცდელი ღვთიურ განგების,
ვისაც ობლების სევდით უვლია,
ვიცი გაიგებს ცრემლით დაწერილს.

თუმცა ეს ლექსი არა სრულია,
მონახევრეა მაინც ცდა-ბედის,
მწამს სადაც მუდამ გაზაფხულია,
აღარ ვიდგები ობლის თვალ-ცრემლით.

როცა ცხოვრების გზა ზრდასრულია,
დროს სივრცეში კი შენი არ ესმის,
ო!რომ იცოდე როგორ მწყურია,
ყოფნა-არყოფნის არსის გაგების.

თვით უკვდავების აბრაკადაბრა

ლურჯ ცაზე სხივმა მტრედივით ფრთხილმა,
გაინავარდა შეკრა კამარა,
ნაბახუსევმა წუხელის ფიქრმა,
კვლავ ამიტეხა დავიდარაბა.

უმწიკლო ყვრიმალს შემოვკარ მუშტი,
ცოტაც და ალბათ ჯვარზე გავაკრავ
სიყვარულისთვის სულ მუდამ ვწუხდი,
მაგრამ რატომღაც გავხდი ბარაბა.

ვყვირივარ ღმერთო! მომეცი შველა,
„რომ აღარ დავრჩე ფიქრის ამარა"
სულის ფსკერიდან ძნელია მზერა,
და მერე ფიქრი თანაც ხმამაღლა.

ძნელია ფიქრის ლექსებად მღერა,
დახეტიალიბ როცა კარდაკარ,
როდესაც გწამს და როდესაც გჯერა,
თვით უკვდავების აბრაკადაბრა.

ბორკილებიან ხელებით წერა,
ლექსად ვეცადე ისევ ამაღამ,
თავისუფლების აკვანის რწევა,
როდესაც ვსტუმრობ მასთან ხანდახან.

როდესაც სადღაც პოეტი კვდება,
ფიქრი რითმებში დედისამარა,
მარტო დარჩება და მერე ქრება
სევდა შიშველი მთვარის კვალდაკვალ.

ლურჯ ცაზე სხივმა მტრედივით ფრთხილმა,
გაინავარდა შეკრა კამარა,
ნაბახუსევმა წუხელის ფიქრმა,
კვლავ ამიტეხა დავიდარაბა.

ხვალ ალბათ ისევ

ხვალ ალბათ ისევ ამაყი მთვარე,
ღამეს ცრემლებად გაეფინება,
ყოველი დღე და ყოველი ღამე,
ხვალ სამუდამოდ გამერიდება.

ხვალ ალბათ ისევ მთვარიან ღამით,
გამოანათებს სულში მხილება,
სხვისი ცხოვრებით ნაცხოვრებს წამით,
ალბათ თვალები ამეხილება.

გულის ტკივილით ნაიარევი,
თვალცრემლიანი წუხდა ღირსება,
დღეს სინამდვილეს ნაზიარები,
ხვალ დავიწყებას შეერკინება.

ხვალ ალბათ ისევ თვით არემარე,
პატიებას მთხოვს და შეიცვლება,
წუთისოფელი თითქოს და მწარე,
კვლავ სანატრელად მოგვევლინება.

ხვალ ალბათ ისევ ამაყი მთვარე,
ღამეს ცრემლებად გაეფინება,
ყოველი დღე და ყოველი ღამე,
ხვალ სამწუხაროდ გარდაიცვლება.

მამას

წერილს გიწერ საყვარელო ჩემო (მამა)
მინდა რითმა გამოვაწყო მძივით,
მე ხომ ისევ იმ ოცნებით ვცხოვრობ,
მე და შემ რომ ვოცნებობდით დილით.

მამა... ჩემო ეტალონო გმირის,
როგორ მახსოვს ის საღამო მწირი,
როცა ერთად ვთამაშობდით ფეხბურთს,
წავიქეცი და ვიტკინე ცხვირი.

როგორ მშვიდად მაწყნარებდი დამფრთხალს,
რიდს და იმედს მისახავდი გულში,
როგორ მზრდიდი და სიყვარულს ფარად
მიჭედავდი ატირებულ სულში.

მე ხომ ისევ იმ ზღაპარში ვცხოვრობ,
შენი სიტყვა ჩამყოლია ძილში,
ამ სიყვარულს განუზომელს ქვეყნად,
შენგან ვიღებ და ისევ შენ გიძღვნი.

წერილს გიწერ საყვარელო ჩემო,
რომ მიიღებ ეს ნამდვილად ვიცი,
მე ხომ ისევ იმ ოცნებით ვცხოვრობ,
არ მჭირდება ცრემლები და ფიცი.

ივნისის ღამე იწვოდა ცხელი

ივნისის ღამე იწვოდა ცხელი,
როცა სიბნელეს შევახე ხელი,
და გამახსენა ცოდვები ძველი,
თვალზე შემშრალი, ღალატის ცრემლი.

ფიქრი გონების მუდმივი მცველი,
გაჭირვებაში ყოველთვის მხსნელი,
რატომღაც თითქოს გამხდარა მკვლელი,
ფიქრი შუაღამის, ჩემი და შენი.

არ მთავრდებოდა ეს ღამე გრძელი,
სასთუმალი კი ფიქრებით სველი,
ისევ რჩებოდა ვით ბრძოლის ველი,
ივნისის ღამე კვლავ სულის მწველი.

ამოუცნობი არაფრის მთქმელი,
შემომყურებდა სამყარო ვრცელი,
წუთი სოფელში მოკლე და ჭრელი,
ივნისის ღამე იწვოდა ცხელი.

დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი

ნარიყალაზე მდებარე წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი და საპატრიარქოს მსჯავრდებულებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

მაინც ეცადე...

ტრაბახობ, ყველა მისმენსო, შენ კი არ გესმის უფლისა,
ვეღარ ისწავლე გარჩევა კარგი კაცის და ცუდისა,
რატომ ჩაახშე სინდისი, ხმა გონიერი გულისა,
მარხვა და ლოცვა არ გინდა, ისევ მონა ხარ კუჭისა.

სუფრაზე გიყვარს შექება, ხდები ამაყი სულისა,
პირჯვრის წერაც კი არ იცი, არც კანონები რჯულისა,
„მამაო ჩვენოს" ვერ ამბობ, მოგწონს ცხოვრება ურჩისა,
ქალაქელობას იბრალებ, გრცხვენია მშობელ კუთხისა.

ოჯახშიც ბევრი გეშლება, ტვირთი გემძიმა უღლისა,
არც არაფერი არ იცი, არც სწავლისა და ქუჩისა,
შრომას და ცოდნას გაურბი, სახელი შეგრჩა ძუნწისა,
სულ დახმარებას მოითხოვ, მხარჯველი სხვისი ფულისა.

რომ წაიკითხავ, გამლანძღავ, იგრძენი დაწვა ზურგისა,
არ მინდა ასე რომ დარჩე, წყარო გახდები შურისა,
გამოსწორება ძნელია ლოთის, მრუშის და ქურდისა,
მაინც ეცადე დაიწყო დაწერა ახალ ფურცლისა.

იმათი და ამათი

ორშაბათი რომ დადგება, კუდში მოსდევს შაბათი,
აღარავინ განვიკითხოთ, იმათი და ამათი,
ჩვენ ჩვენი გვაქვს საფიქრალი, მათ იდარდონ მაგათი,
შევრიგდეთ და შევიყვაროთ, დავასრულოთ კამათი.

თვალში თვალითა

ადამიანში ადამიანს ვეძებ სანთლითა,
სულის დანახვა შეიძლება თვალში თვალითა,
ავი და კარგი განირჩევა რწმენის საქმითა,
ცხონება ხდება სინერგიით, ღვთისგან მადლითა.

არ მოიხიბლო გარეგნობით, ნიღბის სახითა,
არც ეროვნება შეაფასოთ მუქი კანითა,
იესო გვიცნობს ქრისტიანებს გულზე ჯვარითა,
სასუფეველში ვერვინ შევა ოქრო-განძითა.

მაცდური ცდილობს შემოპარვას ფიქრში აზრითა,
ჩაძინებულებს აღვიძებენ ტაძრის ზარითა,
ვნება, შხამია შენიღბული, ყალბი თაფლითა,
კმარა ტრაბახი, კეკლუცობა კუთხე გვარითა.

ყველაზე მეტი ვიზარალეთ ჩვენი თავითა,
ზღვაც შეიძლება დაილიოს ერთი სათლითა,
"სუფთამ" ბინძური დაიწუნა ოფლის ლაქითა,
ეკლესიიდან გამოაგდეს გოგო შარვლითა.

ფარისევლები გამოვრეკოთ გვიჯობს სახრითა,
წირვაზე არვინ დავაყენოთ შიშის ძალითა,
ეშმაკი უნდა განიდევნოს ლოცვა-მარხვითა,
შეწყდეს წუხილი წარსულით და ხვალის დარდითა.

მინახავს კაცი სევდიანი სხვისი ჯავრითა,
არ დაიწუნოთ საჩუქარი მცირე ფასითა,
ვითომ სიმდაბლე სიამაყეს სჯობნის ზაკვითა,
ღმერთმა გვაკურთხა, მოვიპოვოთ ლუკმა ჯაფითა.

რა გვეშველება?!

ერსაც და ბერსაც გამალებით გვითხრიან ფესვებს,
უწესოები გვასწავლიან ახლებურ წესებს,
ცხადში თუ მალვით, დემონები გვებრძვიან მწყემსებს,
არ ვბოროტდებით, სიყვარულით აღვაპყრობთ ხელებს.

მგლური კანონი თავად ღუპავთ ოთხფეხა მხეცებს,
ყვავის ყრანტალი რას დააკლებს ჭიკჭიკა მერცხლებს,
ცრუ მედიები ფსევდო ამბებს აწვდიან ყბედებს,
ვიდგეთ "მტკიცედ და შეურყევლად", ვუმზიროთ ფრესკებს.

ღმერთია ქრისტე მაცხოვარი, ნუ ვუკმევთ კერპებს,
დიდი ზარალი შეუძლიათ ნამცეცა მწერებს,
-ილია ვარო, შეახსენა მართალმა მკვლელებს,
რა შეუძლიათ კბენის მეტი შხამიან გველებს.

რომც გაგიჭირდეთ, არა სთხოვოთ ბარაქის ძეგლებს,
ნუ მიატოვებთ წინაპრების ნაშენებ კედლებს,
ანტიქრისტე ჰყავთ პატრიარქი მარგინალ სექტებს,
არ აგრძნობინოთ, თუ მოგბეზრდათ ბავშვივით ბებრებს.

ახალიც მალე მოგვწყინდება, ნუ მივყრით ძველებს,
ხანდახან მაინც გადავხედოთ კლასიკის მწერლებს,
რა გვეშველება დღე და ღამე სოცქსელის მძევლებს,
თქვენი არ ვიცი, მე კი ლოცვით შევიშრობ ცრემლებს.

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ ა

როცა გკითხავენ: როგორ ხარ? მიუგე სიყვარულითა,
თუ მოკეთეა ის შენი, მიიღებს სიხარულითა,
ვაი თუ ბოღმამ დაჯაბნა, აღივსე სიბრალულითა,
ამიტომ, არვინ განსაჯოთ, იცხოვრეთ სინანულითა.

არ გამიბრაზდეთ

თავად ცუდები, სხვის სიცუდეს მარტივად ვამჩნევთ,
თუ განვიკითხავთ, ამით უფლის კურთხევას ვარღვევთ,
ვინ დაგვადგინა მოსამართლედ, საქმეს რომ ვარჩევთ,
ამით სატანას სულთა ფლობის უფლებას ვაძლევთ.

ვისაც ვაგზავნით ჯოჯოხეთში, სამოთხეს ვართმევთ,
როცა წარვდგებით სამსჯავროზე თავს ვეღარ ავწევთ,
ასე შუღლით და ბოროტებით ჭაპანს ვერ გავწევთ,
არ გამიბრაზდეთ, სიყვარულით შენიშვნას გაძლევთ.

ქრისტეს რწმენით და თანადგომით პრობლემას დავძლევთ,
თუ ერთმანეთი გვეყვარება ერთ სასმისს დავლევთ,
მოყვასზე ზრუნვით, ეგოიზმის დონესაც დავწევთ,
ვეცდები არვის გაწყენინოთ, პირობას გაძლევთ.

ხანდახან

ასეც ხდება, რომ ხანდახან არაფერი გახარებს,
კარგად ხვდები, უძლური ხარ და ნაღველი გამარცხებს,
არც არავის ესმის შენი, მარტოობა გამწარებს,
ეგოიზმმაც მიგატოვა, არავინ არ გამართლებს.

ამ დროს უნდა დაიდუმო, განსაცდელი გამდაბლებს,
სასოება მოთმინებით, სულიერად გამაღლებს,
ცრუ განგაში უკუაგდე, სიამაყე გამარცხებს,
აშკარაა, ღვთის განგება წყალობისთვის გამზადებს.

დაუკვირდი და მიხვდები, ხალხის აზრი გადარდებს,
რას იტყვიან ცოდვილები, ეს შენ რაში განაღვლებს,
მოუსმინე მხოლოდ იმათ, ვინც ნამდვილად გაფასებს,
კარგია, რომ არ მოსწონხარ ორსახოვან მასხარებს.

სულ არ დაშორდეთ

კეთილს ემსგავსეთ, ბოროტი კი უმალ “ასქროლეთ”,
ვისაც უყვარხართ უანგაროდ, გულში დატოვეთ,
რისხვაში რისხვით შემოსული აზრი აზომეთ,
თუ რამე კარგი გაიგონეთ, სხვებსაც აცნობეთ.

ვინმე რომ რამეს ვერა ხვდება, ცოტა ადროვეთ,
სახლიდან ისე არ გახვიდეთ, ოჯახს აკოცეთ,
გონება კითხვით ამუშავეთ წიგნი აძოვეთ,
სტუმარს თუ წასვლა აღარ უნდა, რამით აშრომეთ.

ბედნიერების ფოტოები ცოტა გამოდეთ,
ყველას ნუ უმხელთ თქვენ სიხარულს, ბოღმა დაზოგეთ,
საკუთარ ეგოს აღუდექით, ვნება გაროზგეთ,
მეგობარს როდის, რა სჭირდება, აღარ გამოგრჩეთ.

ვინ რითი, როგორ დაგეხმარათ, მუდამ გახსოვდეთ,
ჭამა-სმა ცოტა შეამცირეთ, რომ არ გალოთდეთ,
შურის ნიშნები თვალებშია, მზერით აჯობეთ,
საქართველოს და ეკლესიას სულ არ დაშორდეთ.

მოთმინებით გადარჩებით

ამ სოფელმა საბოლოოდ გაახარა ვინმე განა?!
ვინც კი თავი კარგად იგრძნო, გამოუსვა ყელში დანა,
ეს ცხოვრება გოლგოთაა, ოფლისა და შრომის ყანა,
ზოგი ისე აღესრულა, ვერ გაიგო ანა-ბანა.

ხან ლხინია, ხანაც ჭირი, ხან გოლგოთა, ხან კი კანა,
ხარბმა ვერცხლი მოიხვეჭა, ვერ წაიღო რამე თანა,
ვნების ტრფობით აღგზნებულმა ბოლოს მწარე ცრემლი ღვარნა,
-მოთმინებით გადარჩებით, მაცხოვარმა ასე ბრძანა.

მაღლა, მაღლა, ფრენითა

ჩვენთანაც მოვა სიკვდილი თავისი ბასრი ცელითა,
ხოდა, მანამდე მოვასწროთ ცხოვრება ათი მცნებითა,
არ ვაწყენინოთ არავის შურით და მწარე ენითა,
ადამიანი ცხონდება მადლით და უფლის ნებითა.

წყალობა გავცეთ ფარულად, ფართოდ გაშლილი ხელითა,
გვიყვარდეს მტერი-მოყვარე ქრისტიანული წესითა,
ავდგეთ და დავწვეთ ლოცვებით, გული ობდება წყენითა,
ღმერთი ვადიდოთ ყოველთვის, მადლიერების ქებითა.

მეორედ მოსვლა ახლოა, მოგვეკითხება რწმენითა,
სხეულში ვნება მოვთოკოთ, სულმა ისუნთქოს შვებითა,
სამშობლო ავაღორძინოთ, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მერე კი მშვიდად წავიდეთ, სულ მაღლა-მაღლა ფრენითა.

„ქ ი ნ ა ქ ი ნ ა ს ა ვ ი თ"

„ქინაქინასავით" მწარე სიტყვა მომდის,
ახლა არ დამიწყოთ, აბა, მამი, როდის?!
პირში მხილებაა ზრუნვა მართლა ძმობის,
ღმერთო, განგვიახლე გული სუფთა გრძნობის.

უკვე დრო წავიდა ცრუთა ფსევდო ბოდვის,
ზოგი უმადური მონა გახდა ბოღმის,
სენი უხილავი გვტანჯავს ბევრი ცოდვის,
აგერ, ანტიქრისტე, "გეი" ნიღბით მოდის.

მჯერა პატრიარქის, მისი წმინდა ლოცვის,
ჟამი მოგვეახლა სულთა ვნების გლოვის,
დიდი დეფიციტი რჩება საღი ცოდნის,
უნდა შევაჩეროთ მოდა უფლის გმობის.



მამა ამირან ამირანაშვილი

პაატა სააკაძეს

ანგელოზთა შორის გხედავ,
გაბრწყინებულ სხივთა მდენი,
მინდა ერმა აღიაროს
წმინდანობა, შვილო, შენი.

შენ სამშობლოს დღესაც იცავ,
ალესილი მამის ხმალით,
გიორგი და რუსუდანი
გააოცე შენი ძალით.

სააკაძე ცოტა დარჩა,
მიწიერთა მონაგარში,
გვარის გვირგვინად იქეცი
ამ დიდებულ ქვეყანაში.

დღისით მზე ხარ მოჩახჩახე,
ღამით - მთვარე, მოტრფიალე,
დღე და ღამე მამულს იცავ,
საქართველოს დასტრიალებ.

მებრალება, ვინც ვერ გხედავს,
დახშული აქვს სულის თვალი,
საქართველო ემზადება -
გადიხადოს შენი ვალი!

ვნახო თავისუფალი

საქართველოს მთა-ბარი
სისხლში განბანილია,
გაგვიზრდია თამარი,
შოთა, ვაჟა, ილია...

მყინვარიდან შავ ზღვამდე
მხარგაშლილო სოფელო,
მკერდზე ჯვარი ატარე,
წმინდანების მშობელო.

ჯვარის მადლი გვიხსნიდა,
ცით გვაკურთხებს უფალი,
მსურს, ილიას ქვეყანა
ვნახო თავისუფალი.

ახლა გვინდა ილიას
სიბრძნე, გონიერება,
უფალმა თუ ინება,
ვერავინ მოგვერევა.

ჩემო ტკბილო სამშობლოვ,
არ გაგწირავს უფალი...
როგორ მინდა გიხილო
ერო, თავისუფალი!

ერთობა უფლის ხვედრია

„ქართველნო, ერთად ღვთისაკენ“ –
მოგვიხმობს კათალიკოსი...
ვისაც ყური გაქვთ, ისმინეთ
კურთხევა საქართველოსი.

ერთობა სოფლის ხვედრია,
ნგრევა კი - ბოროტ ძალების,
ღმერთი სამოთხეს გვიმზადებს,
სატანა გვებრძვის ალებით.

მტერი, თუ მართლა მტერია,
ვებრძვით ჯვრითა და მახვილით.
მისი შეცნობა ძნელია,
თუკი არა გაქვს სამხილი.

მოყვრად მოსული ცდუნება
ყიდის და ანგრევს ქვეყანას...
ამდენი მგლები ცხვრის ტყავში,
რა ეშმაკებმა შეჰყარა?!

ზოგი საბადოს გვიყიდის,
ზოგი წყალსა და ღვინოსა,
ასეთი პატრონის ხელში
ყმამ როგორ დაიძინოსა?!

ნუ გძინავთ ძმებო, იღვიძეთ,
ნუ მისცემიხართ სატანას...
ერო, შებრუნდი ღვთისაკენ,
ვერ შეძლებ ტანჯვის ატანას.

ქართველნო, ერთად ღვთისაკენ,
მაღლა აღმართეთ მახვილი,
გაერთიანდით უფალში, -
ესაა სიბრძნე ნამდვილი.

ღმერთო, დალოცე ქართველნი,
შეგვინდე ცოდვა ყოველი...
გადააშენე, აღგავე,
მაცდური, დამამხობელი!

ამირანი

კავკასიონის ციცაბო კლდეებს
შემორჩა მძიმე ჯაჭვების კვალი,
როცა ეხები ამ ჯაჭვის ნაგლეჯს,
გაგახსენდება მამულის ვალი.

მაშინ ვრწმუნდები, ქართველმა ხალხმა
მხსნელად გიწამა კლდეს მიჯაჭვული,
ღმერთის ნაშობი, უკვდავი გმირი,
დაუძლეველი, გოლიათური.

ერი მოგენდო მებრძოლ ამირანს,
ბოროტს და ავსულს რომ ამარცხებდი,
სადილად ბუღა კამეჩს შეჭამდი,
ერთ-ორ ქვევრ ღვინოს დააყოლებდი.

კავკასიონზე ვერვინ შემოდგა,
ყველა მომხვდური იქცა მიწადა,
ბადრი, უსუპი, თვით ამირანი,
ყველამ იცოდა, ამ მთებს იცავდა!

შენი სახელი დღესაც მამხნევებს,
შენგან ვისწავლე ძმობა კაცური,
როდესაც მიჭირს მუდამ მამხნევებ,
შენი ძალით ვარ მუდამ დაცული.

მკერდით დაიცავ მშობლიურ მიწას,
როცა უმიზნო ტყვიას ახლიან...
შენი ნათლია საქართველოა,
კავკასიონი შენი სახლია.

ვილოცებ, ვიდრე ავმაღლდები

არ ვიცი, ვინ როგორ მიყურებს,
არ ვიცი, ვის როგორ ვუყვარდი,
არ ვიცი, ვინ იყო მართალი,
არ ვიცი, ვინ იყო მტყუანი.
ვიცი, რომ უფალმა დამლოცა,
ვიცი, რომ ღვთისაგან მოვედი,
ვიცი, რომ თუ რამ გამაჩნია,
ყველაფერს ღვთის ხელი აჩნია.
ვუყვარდი მშობლებს და ჩემს და-ძმებს,
ვუყვარდი მეზობლებს, კლასელებს,
ვუყვარდი საოცარ მეგობრებს,
ვუყვარდი უამრავ გოგონებს.
ვუყვარვარ საყვარელ ჩემს ოჯახს,
ვუყვარვარ ნათესავთ, მთელ სოფელს.
ვუყვარვარ კოლეგებს, სტუდენტებს,
ვუყვარვარ უსაზღვროდ ძვირფას მრევლს.
ვმღეროდი, მე მგონი აკვნიდან,
ვმღეროდი საყვარელ დედასთან,
ვმღეროდი, როდესაც ვცეკვავდი,
ვმღეროდი - პატარა ჩემ დასთან...
ვიმღერე ოპერის თეატრში,
ვიმღერე მუსკომედიაში,
ვიმღერე ტელევიზიაში,
ვიმღერე ჩემს ეკლესიაში.
ვლოცულობ იესო ქრისტეზე,
ვლოცულობ მშობლიურ მამულზე,
ვლოცულობ სამყაროს დახსნაზე,
ვლოცულობ ძვირფას პატრიარქზე.

ჩემო კარგო

ტაძრის ეზოში გაფურჩქნულო
მაისის ვარდო!
ჩემო ლამაზო,
შემახსენე, როგორ გიყვარდი!
ჭაბუკობისას მოწყვეტისას
მიჩხვლეტდი თითებს,
ახლა სიბერე მომილოცე,
მიყვები მითებს.
შენს სიწითლეში
ჩემი სისხლიც ხომ ურევია,
უსოყვარულოდ?
ეს ცხოვრება არაფერია!
ჩვენი სურნელით
ბევრისთვის თავბრუ დაგვიხვევია,
რანი ვიყავით?
მე მუსტანგი, შენ კი - ფერია.
ვარდო, დავჭკნებით,
გაფრინდება ჩვენი მაისი,
სიბერისაგან წაგვიხდება ანცებს ხალისი,
უფლის განგებით
დაგვიდგება მშვიდი დაისი.
მერე უჩვენოდ მობრძანდება
ბევრჯერ მაისი!

ღამე და ძილი

ფართო სარკმლიდან მთვარე მიცქერის,
ერთია მთვარე, მეც ხომ ვარ ერთი,
თვალში თვალს მიყრის და მეკითხება:
„არ დამიმალო, შენ თუ გყავს ღმერთი?“

ვინ მოიგონა ღამე და ძილი,
ან სიყვარული წმინდათა წმინდა.
დიახ, გამიჩნდა მე სალოცავი,
დღე და ღამ მასზე ვილოცო მინდა.

ალბათ შენცა ხარ შეყვარებული,
ბნელ ღამეებს რომ ათენებ თეთრად,
შენ უსასრულოდ ძალგიძს ლოდინი,
მე კი მითხარი, ვინა ვარ შეთან?

ყოველთვის ვჩქარობთ ადამის ძენი
და მცირე დროში მოვასწროთ გვინდა:
შობა, აღდგომა და გამრავლება,
თუ წმინდა ევაც გვერდით დაგვიდგა.

შენ მალე ნახავ, ჩემი ბუდიდან
შემოგესმება ჟღურტული ტკბილი,
მთვარევ, ერთსა გთხოვ, კაცობრიობას
რომ თავის დროზე გაუფრთხო ძილი.

დიდგორობა

დღეს ზეიმია ქართული სულის,
დიდგორზე დიდი გაჩარდა ბრძოლა,
ურდოთა ჯარის შავი ღრუბელი
მეხმა გააპო, თან გაიყოლა.

მუშტად შეიკრა ქართველთა ჯარი,
ელვისებურად გაჰკვეთა მტერი,
ყველას დავითის ხმა ჩაესმოდა,
ბრდღვინავდა ლომი, ვით მთელი ერი.

არც უფიქრიათ უკან მოხედვა,
ჩახერგილ იყო ყველა ხევები,
მტერი გარბოდა, იჩეხებოდა,
ცხენქვეშ გორავდა მათი თავები.

დავითი გრძნობდა უფლის თანხვედრას,
გვერდი იბრძოდა წმინდა გიორგი,
ურჯულოები ცურავდნენ სისხლში,
გვამებით მოსრეს წმინდა მთა-გორი.

დიდგორის წვერზე ამაღლდა მეფე
და გამარჯვება ჯარს მიულოცა.
დღესაც ვზეიმობთ ქართველი ერი,
აღმაშენებლის ჩაგვესმის ლოცვა...

მაყვალა გონაშვილი - პოეტი
მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ვალი

არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
საქართველოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი
გაჰყვე ეკლიან უცნობ ბილიკებს,
ვიღაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,
ვიღაც ქარივით გაგაქილიკებს,

ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე
მზის სხივით ქსოვდე ჩალისფერ დროშებს
და სიმართლისთვის ზღაპრის გმირივით
რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს,

ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით
აკვანს არწევდე, სად სხივი ჩადგა,
ხოლო მეორით კემსავდე ძველი
მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს.

* * *

ერთხელ მოვსურვაეთ ამ ქვეყნაზე,
ღმერთმა გვიბოძა გზა, ერთი ციდა,
წამი არ გვრჩება სიყვარულისთვის,
სიძულვილისთვის? რამდენიც გინდა.

იყო ერთგული დედა და ცოლი,
თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,
ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,
სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო.

და სხვა კეკლუცი ქალების დარად,
არ შეგისრულდეს ნატვრა არადეს,
არ იყოს ვინმე, სიმარტოვიდან
შენს დასახსნელად მოუხაროდეს,

ეს იმას ნიშნავს, არ განუგეშონ,
როცა სიცოცხლედ გიღირს ნუგეში,
ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი
კაცის და მიწის მძიმე უღელში.

არა მარტოდენ მამულის, ანდა,
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.

* * *

როცა დარეკავს ჟამი განკითხვის,
ცა სამაისო შვიდჯერ იელვებს,
რითი შევავსებთ, ვიცოდეთ, მაინც,
ამ გასაოცარ სიცარიელეს.

სამების კართან

ნ. ხერკელაძეს

უკვე მოვედით სამების კართან,
უკვე ავლიეთ მთები ალევის,
და უმიზეზოდ ვარ სევდიანი,
როგორც სიზმარში ნამტირალევი.
რას არ გაუძლო ტაძარმა დღემდე,
რა წვიმას, ელვას, ღმერთო, რა ქარებს.
ისე ლამაზი არის ყოველი,
რამის ელდისგან აქვე გავქვავდე.
შენ მეკითხები, რად ვარ მოწყენით,
აჰა, დღეობა, ცხენით ჯირითი,
მთები გვირილით მოგვირისტული
და საცალფეხო ცისკენ ბილიკი.
მაინც გულს დარდი რად მიღრღნის ასე,
რატომ არა ვარ დღეს ბედნიერი?
ტრადიციების ძველ ნასუფრალზე
რად ილხენს ჩემი დაღლილი ერი?
რას მეტგვი, ძმაო, რით მანუგეშებ?
რის მაქნისია სიტყვა ლიტონი,
ვერც აქ ვიპოვე, ამ სამოთხეში
ამ ჩემი სულის პარაკლიტონი.

დრო იყო ამ მთებს, ამ გზებს, ამ ტაძრებს
სულ სხვანაირი შუქი ებურა,
და ხევისბერიც, სოფლის ნამუსი,
შენს ფერ-ტილოზე გაქვავებულა.
სად არის ის გზა, ჩვენ რომ გავკვალავთ?
ფუჭ ფაცი-ფუცში გადის ცხოვრება.
რას ვეტყვით შვილებს ჩვენს გმირობაზე?
გვეყო წარსულით თავმოწონება.
ვინ უნდა გასცეს კითხვა პასუხი?
ერის ტკივილი ვინ დაიტიროს,
ჰო, დიდი საქმე, ხვალ მე ლექსს დავწერ,
შენ ფერადებით მოხატავ ტილოს.
და საკუთარი საქმით და ფიქრით,
ჩვენც დავყუჩდებით და დავმშვიდდებით.
და გაგვიტაცებს ქალაქი თავის
დღეობებით და პარაკლისებით...
დაგვავიწყდება, რომ უნდა ვიყოთ
ჩვენი თავის და ფიქრის უფალი,
ჩვენს მიტოვებულ სოფლებს დაივლის
ქარი - ერთგული ჭირისუფალი.

მოშაირე - ფინთი გოგია

სულ მოსაჩვენად ვმღეროდი,
ვითომ ვილხენდი, ვლაღობდი,
ცრუ წუთისოფლის თონეში
კუტი პურებით შავღონდი.

ჩვენი მთავრობის ცვლილება
ჰგავს კახურ შაირს თუ არა,
რამდენი ვირიც ვიყიდე
ყველა გამოდგა კუანა.

მღეროდა ფინთი გოგია,
ფანდურს ჟღრიალი გაჰქობდა,
ვინ რა ჩინ-მედალს აჰყრიდა,
ან დასაკარგი რა ჰქობდა?

ქიზიყში ობლად გაზრდილი,
იყი უტეხთა გორისა
და ცაზე, როგორც მტევანი,
მწიფდა მზე, შემოდგომისა.

დიდებას ეძებ

სიმშვიდის მკერდზე თავმიდებულს
ვინღა შემრისხავს?
ხალხის ყაყანმა გადაფარა,
ღმერთო, შენი ხმა.
დღეს არვინ ესვრის დაღლილ პოეტს
დაფნას ან ტყვიას,
ერის ღირსებას და სიწმინდეს
ღრმა ძილით სძინავს.
ერთ თეთრად ფასობს თავდადება,
რწმენა, მორალი
და მაღალ ტახტზე თავს იწონებს
მეფე - დოლარი.
იცვლება ჟამი,
არ იცვლება ქვეყნად არცა - რა,
დიდებას ეძებ?
უნდა იყო ცოტა ცანცარა.
არჩევნებიდან არჩევნების
ვცხოვრობთ ლოდინით,
სიტყვა სანამდის?
გულზე გვაწევს, მძიმე ლოდივით,
როს ერის მამა ლაზღანდარა
დააყრის სიცილს,
მე როგორ ვიყო შუაკაცი
ცისა და მიწის?
უდაბნოს შინა მღაღადებლად
დარჩა ჩემი ხმა.
ყრუ სამყაროში ვინ განმკიცხავს,
ვინღა შემრისხავს?!

ფერიცვალება

ეძებდნენ ერთ-ურთს, ვით გამართლება,
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.!

მე არც კი მახსოვს როგორ შემაჭრეს
ფრთები და ზეცის კარი დამიხშვეს,
ჯერ ამიხილეს თვალები, მერე
მზის ეკლიან მკერდზე გამიშვეს.

და მიწა, როგორც დაღლილი კაცი,
ჩემგან ითხოვდა შველას და ალერსს,
ხან მიწყრებოდა სულ უმიზეზოდ,
ხან მპირდებოდა ზურმუხტს და ლალებს.

ეჭვიანობდა უზომოდ ქარზე,
ხანაც მიგებდა ფეხთ იის ნოხებს,
მე ვიცი, თუ კი ერთხელ დავეცი
ანდა დავხარბდი, გულს მოიოხებს.

ზეცა ხარხარით და მუქ- ლურჯ თაღებს
შეზარავს ჩემი ქართან მსგავსება,
მუხლი სუსტი და თვალები ხარბი
და წამიერი ვნების ავსება.

ნუთუ არ იცის ცამ ყოვლისმცოდნემ
ფერიცვალება რისი ბრალია,
რომ ფრთებდაჭრილი და თვალხილული
თვით ანგელისიც სუსტი ქალია.

ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლება,
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი.
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.

სიყვარულის მასწავლებელი

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა,
ლოცვით და ცრემლით აგივსიათ სიბრძნის სალარო,
რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი ადგას ჩემს მამულს,
სამოციქულო ეკლესიის მამა მთავარო.
როდესაც ერი ირწეოდა ვითარც ლერწამი,
თქვენ გვაფრთხილებდით ნუ აჰყვებით შეშლილ ქარებსო,
ერის ტკივილის ბეჭედი ხარ, სიწმინდის მცველი,
ბრძენო კეთილო, უწმინდესო, უნეტარესო.
მეც ბევრჯერ მსაჯეს, თვალში ბეწვიც არ შემარჩინეს,
ბევრჯელ ეს გული, ნაწამები, სევდით ამევსო,
მადლობელი ვარ ნუგეშისთვის, მწყემსო კეთილო,
ღირსო მამაო, უწმინდესო, უნეტარესო,
ჟამს სიძულვილის თქვენ სიკეთის გვასწავლით ანბანს,
გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც მგლოვიარესო,
შენს გზას მივყვებით, სიყვარულის მასწავლებელო,
ერის მოძღვარო, უწმინდესო, უნეტარესო.

დედას

ჩვენ როცა ვდუმვართ,
ჩვენ როცა ვფიქრობთ,
ლაპარაკობენ ჩვენი სულები,
სიზიფეს ლოდიც მემსუბუქება,
რადგან ამ ქვეყნად შენ მეგულები.
თუმც შეავედრე ღმერთს ჩემი თავი,
ბედი-ავბედი მაინც თან მდევდა,
გთხოვ მაპატიო, გთხოვ მაპატიო,
რომ ბედნიერი არა ვარ დედა...
ვერ დამიფარა სენმა ლოცვებმა,
გადათიბულან შენი კორდები,
დარდობ და მაინც გეიმედება,
რომ ჩემში ისევ განმეორდები.

* * *

ჩვენო საგალობელო,
შენ ნათელო მზისა,
ნინოს თმით დახლართულო,
ხეო სიწმინდისა.
გაჩუქურთმეთ ტაძრებზე,
ვით ღვთისმშობლის ხატი,
გვინათებდა სტრიქონებს
შენი ათინათი.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალ„ათინათის” რედაქტორი.

ქართველი ქალი

საქართველოში გელოდებიან
მიწა საძვალე ქუჩა თბილისის,
მიდიან ისევ მეორდებიამ,
ქაფქაფებს გული ცხელი ივლისით.

შენ ემიგრანტო, ილოცე ხშირად,
ქართველ ქალს ჰქონდეს ყველგან ღირსება,
დრომ საქრთველო გამომოგვიხშირა,
რომ ქალაქები სხვისით ივსება.

ილოცე ისე, რომ მიაწვდინო,
უფალს წუხილი დაშლილი ფარის,
თვალიდან ცრემლმა აღარ იდინოს,
რომ სახლში იყოს ქართველი ქალი!

ამორძალი

(მარი ლომუაშვილს)

ქალის ღირსება სიბრძნის წყაროა,
დაეწაფე და გაუკვდავდები,
გონი ეს ისე მძიმე თაროა,
შეისწავლე და არ დამთავრდები.

ეს მზე ქალა კი საქმის გიდია,
მისი გონება ღრმაა ძალიან,
აყვავებულა როგორც შინდი და...
მარი ნამდვილი ამორძალია.

წლები კი ჩუმად ჩამიჩუმობენ,
მარი სიმშვიდის დარბაზიაო,
მზე და მთვარე კი ასე მსჯელობენ,
მგონი ეს ჩვენზე ლამაზიაო.

ცის ლაჟვარდში

ცის ლაჟვარდში მოფარფატე მტრედებს,
გარდაცლილთა სულთა მეპატრონეს,
ზოგში ვხედავ თვალცრემლიან დედებს,
ბედისწერით ნაგვემ - დანატორებს.

დამესიენ ღუღუნ-ღუღუნ გუნდათ,
ცის გზავნილთა სულთან ვიჟღურტულე...
მოფერება ჩემგან რომ მოუნდათ,
სიყვარულით მიტომ გავიტრუნე!

სულში შევფუთავ

ვარდის ფერს გავხდი ყოველი დღის გამოღვიძებას,
სულში შევფუთავ კვირტებმა რომ დაიყვავილოს,
გზას გავაგრძელებ ძველებურად რომ ჩემს ღირსებას,
აუგი მტერმა ვერ გაბედოს არ იბღავილოს.

სიკეთის გზაზე ბოროტებას, როგორ გაბედავს
კვირტში მოწყვიტოს ყვავილი და მიისააკუთროს,
გული კვლავ ბრძოლობს, გაუკვირდეს, რად არ დაბერდა,
უნდა დაგიცვა, მიწავ ჩემო, უფლით ნაკურთხო.

გავზრდი მომავალს, შევასწავლი ბრძოლის გაკვეთილს,
რაც მე მაწუხებს ნაიარევს შემიხორცებენ,
იმ ჩემს ჯეჯილსაც მოუვლიან უკვე დათესილს,
მეც ფეხზე ვდგავარ მერცხლებს როგორ დამიხოცავენ!

გამოიდარებს ისევე

და ისევ მჯერა, ღრუბლიანში გამოიდაროს,
ამიტომაა ჩემით ვხატავ მზისფერ სამყაროს,
ვცდილობ არ გავტყდე, დარდებითაც არ მოვიხარო,
ბედთან ჭიდილში ან ფარხმალი რატომ დავყარო.

ცხოვრება მუდამ ომია და გულის ხანჯვლაა,
ამ ჩემს ტკივილებს ემატება სხვისი ტკივილი,
ტირილი? არა ძვირფასებო დროის ხარჯვაა,
შეინარჩუნეთ ძველებურად სახის ღიმილი.

ბედის პირისპირ სულ მარტოდ ვარ ცხოვრების ომში,
მაინც იებს ვრგავ სამომავლოს ჭადარს და ფიჭვებს
ამოშენდება უკვდავების სიკეთის კოშკი,
გამოადგებათ, ჩემი ქვეყნის გოგოს და ბიჭებს!

ამპარტავანი არ მებრალება

არც მზის სხივი ვარ სულ რომ დაგათბო,
არც პატარა ხარ კვლავ რომ გიმღერო,
გულის ნადები თუ გსურს გამანდო,
ყელი გედივით არ მოიღერო.

თუმცა ცისკარათან როგორ მოწვდები,
თუ არ ატარებ ტკივილის ეჟვანს,
თუკი შემთხვევით ჩემთან მოხვდები,
ვითომდა ბედმა გცემა და გჟეჟა.

ზრდილობისათვის ერთხელ მოგისმენ,
დაგარიგებ და გზასაც გასწავლი,
ზოგჯერ ვარსკვლავთა გუნდსაც მოგისევ,
თუ შეიცოდე ბრმა და საწყალი.

თუ კაპრიზები გადაივიწყე,
გაითავისე სხვისი დარდები...
თუ გწყინს რწმენის ძაფს ნუ გაიწყვეტ,
თოვლის ფიფქივით ნუ იბარდნები.

სხვისი ტკივილის გახდი დაქალი,
პურიც დათესე გასამრავლებლად,
ფეხზეც ჩაიცვი ზოგჯერ ცალ-ცალი,
ამპარტავანი არ მებრალება.

ნაპოვარა

(ნატაშა გაბარაევა - ხარაიშვილს)

ნახევარი საუკუნე მიიწურა,
დაიწურა დარდით ნაგვემ- ნაცემი,
ფიქრის საბანს როცა მშვიდად წავიხურავ,
მოგონებას გავცრი წმინდა საცრით.

იყო წლები კვირტმოსხმული გაზაფხულის,
შემოდგომაც იყო ხვავის- ბარაქით,
ახლა ეს დრო სევდითაა გამოხრული,
წარსულის წლებს მოგონება დავარქვი.

იყო ძმობა, ხელგაშლილი მასპინძლობა,
ოსების და ქართველების ზეიმი,
ერთმანეთში გათხოვება კარგი რძლობა,
გთხოვ წარსულო ისევ ამოზეიმდი.

შვიდ მაისის ეკლესიის დიდ ეზოში,
იშლებოდა სალოცავში სუფრა,
შეგვიტყუეს სულ უაზროდ ძმათა ომში,
ან რა უთხრათ ცას რომ წავალთ უფალს.

დღეს ვიპოვნე ჩემი სისხლის მოზიარე,
ოს-ქართველა დედითა და მამით,
გმადლობთ ღმერთო,სიხარულს რომ მაზიარე,
დღეს წარსული მესიზმრება ღამით!

იტალიაში

იტალიაში მიმასპინძლა გენის ყივილმა,
ქართული სულით ქართველური ძველი ადათით,
სისხლში გამჯდარი საქართველოს სახის ღიმილით
მათ შესახვედრად სითამამით ფეხი გადავდგი.

წმინდა სამების ლოცვა მადლი ჩავიტანე და...
ჩემებს წმინდანის გაბრიელის მიწა ვაჩუქე,
მოსაფერებლად სიფაქიზით წავეტანე და...
თვალებიდანც სიხარულით გამოვაშქე!

ჩემი ესმის

უთქმელად რომ წაიკითხავ,
სიხარულს და ... თუნდაც სევდას,
არავის რომ განიკითხავ,
სათქმელს პირში რომ შებედავ.

ეყვარები ყველას ისე,
როგოც დედა სულიერი,
მათი დარდი გულს მისერს და...
ქონდეთ მრავალჟამიერი.

ყვავილებით აგერ ეთო,
შემეგება სულ ნარნარით,
გულში მინდა სანთლად მენთოს,
ეთო მზის სხივს მისადარი.

მოხდენილი და კოპწია,
რარიგ შვენის ღიმილები,
მზემ სხივები ჩამოწია,
დააფინა დილილმები.

გილოცავთ

ნინოობას მოგილოცათ სულის შვილებს,
შვილიშვილებს და ჩემს ვაჟკაც დათოს
მათ სიყვარულს ღმერთო, თუ არ დამაცილებ,
სხვა სიმდიდრეს არც არასდროს ვნატრობ.

ნინოობას მოგილოცავ საქართველოვ,
მოგილოცავთ ქრისტეს რჯულის ერო,
თქვენს ლოცვებში ბევრჯერ მინდა გავათენო,
იავნანაც მინდა წავიმღერო.

გულში სანთელს ავანთებ და შეგავადრებთ,
სასოების მესიჯს ვგზავნი ღმერთთან,
დაიფანტნენ ქართველები ეს მადარდებს,
დარდიანი გული ძლივსღა ფეთქავს.

ნინოს ჯვარო, დაიფარე ქართველები,
გევედრები ჩემი თბილი გულით,
ქართველს ვეძებ, მიწა არის ნართველები,
ქართულ ზეცას ქორი ნუღარ უვლის!

და მე ასე მჯერა

ვინც ხალხს იცავს უფალო, ძალა მიეც დიდი,
ზოგი ბარში სულთანიბს,ამაყი და ფლიდი .
პოლიციას ბედად კი, ხალხის დაცვა უნდა,
აგერ კივის დედა და ცრემლებს თვალში გუდავს.

პოლიცია ყვირიან, მიეშველე ბეჩავს,
ბრბო კი უნაპიროა,ყველაფერს რომ ბედავს.
სისხლიანი გარჩევა, სისასტიკის წესი,
პოლიცია გაჩნდება, გშველით ქვებს ნუ ესვრით.

ისიც თქვენი შვილია, მშველელი და მცველი,
ომში ბევრჯერ უვლია, ზოგჯერ მტერსაც შველის.

მიტომ მოვისხი

მადლის სამოსი მიტომ მოვისხი,
რომ გულის სითბო შემოგაფინოთ,
კი არ დავთვერი ღვინო დავისხი,
სულის ბადაგი მართლაც საფირმო.

ყველა დაგლოცეთ და ღმერთს
შევფიცე, რომ ვიყო მხოლოდ
მადლი მთესავი, მე მზის შვილი ვარ
მგონი მეშვიდე,
ვინ გეფერაბათ ნეტავ ჩემსავით.

სხვას რომ არ ააქვს ჩემში ის არის,
რწმენით ძარღვები დანაღმულია
თვალი იღვიძებს დილის ცისკარით,
ღალატი ფიქრშიც არ გამივლია.

ჰოდა მომენდეთ სანამ ფრთებს გავშლი,
წავალ იქ სადაც არ ბრუნდებიან,
ასეთი ვიყავ რომ მიმტრეთ მაშინ,
ის ტკივილები არ ხუნდებუან.

თუმცა დაგლოცეთ, გულით და მართლა,
ჩემი კრედოა სიკეთე ჩემი,
ახლაც სიკეთის სიტყვებით გნათლავთ,
უფლით მერგუნა ეს განაჩენი!

დამიჯერე

კორბოულის ფიქრის გორას მივწვდი,
გორაძირზე დავუყევი აღმართს,
სუნი მეცა ჩემი კუთხის მიწის,
გამახსენდა ხვანიც, ჯალაურთაც.

კორბოულში ნათესავი ჩემი,
ბევრიც მყავს და ბევრიც გარდიცვალა,
ან ვინ არის ბოლოს აქ დამრჩენი,
შენ გამოჩნდი ჩემთვის ცისფერთვალა.

დამიჯერე შენში ვხედავ იმათ,
ბიძაშვილებს, ჭრელა- ჭრულა კაბით,
მოგონებებს ჩემს ბალიშზე ძინავს,
კვლავ ერთად ვართ დღისითა და ღამით.

კენჭიც მიყვარს, იმერეთის დარე,
მიყვარს ბუხრის გამომცხვარი მჭადი,
იმერეთში სხვა ფერია მთვარე,
ძირულის პირს მოგონება დადის.

პოეტური ლექსები კი მთებში,
აუ, რამდენს გაურითმავთ ადრეც
სიყვარული დავინახე შენში,
ლექსებით კი ვერხვებს შეგადარე!

მოვისროლე კარში

ვგავარ ფიფქებს სიფრიფანა ფრთებით,
არ მცილდება სევდის სამოსელი,
ყინვის მთებში აბა რას გავთბები,
დარდითა და ცრემლითაა სველი.

მზის ბილიკებს ფეხაკრეფით მივსდევ,
სხივებს ძალით ჩავეცეკვე გზაში,
ტკივილები მხრებზე გადავიგდე,
და სულ მარტომ მოვისროლე კარში.!

ეზოს ანგელოზები

გაიხარეთ ნაჩვევევია,
ეზო ჭიკჭიკს გოგონებო,
ნახეთ კვალი ამჩნევია,
სიყვარული... სალაღობო.

ჩემს ეზოში ჟღურტულობდნენ,
გოგო-ბიჭი უბან-უბან,
ყველა ერთად გუგუნობდნენ,
ვერ ნახავდით ვინმეს უბარს.

ფიქრო სად არ ნაწილდები,
თუმცა ფიქრსაც სევდა ახლდა,
ცას გაფრინდა არწივები,
მწვანე ეზო მიტომ დაგხვდათ.

თანატოლები

შემთხვევით შეგხდი სამოთხის ბაღში,
ფიქრებისათვის დრო რომ დაგვეთმო,
ასაკით იყავ პატარა ბავშვი,
ერთი გზა გვქონდა სამისამართო.

პოეზიის კვალს თავთუხის ფერი,
როგორ შვენოდა მწვანე ხავერდი,
ჩემო დარეჯან, შენ ახლა მღერი
და მე კი შვილო, უკვე დავბერდი.

თოთო კვირტებში ლექსებს მარცვლიდი,
გამოგისხია საღი ტოტები,
შენ როცა შეგხვდი ვეღარ დაგცილდი,
პოეზიით ვართ თანატოლები!

სულში გადავსახლდი

სულის გაზაფხულში მიტომ გადავსახლდი,
ნაირფერებშია ქორფა ენძელები,
სადაც ფეხი დავდგი შვილო, სულ შენ მახლდი,
ჰოდა, მონატრებას აღარ ეძნელები.

აპრილ-მაისებმა ისე იზეიმეს,
არსად არ გამოჩნდა ნაზი ცისარტყელა,
ცა რომ ლამაზ ვარსკვლავს, ღამით გულს შეიბნევს,
მაშინ გამოჩნდება ვიცი ჩემი გელა.

და მე ცისკარელი ცისკარს გამოვაღებ,
ტკბილად გავუღიმებ ყველა ჩემიანებს,
დარდის ყინულები რწმენით გამოვალღვე,
ცაში წასასვლელად მიტომ ვიგვიანებ!

ბაღათერ არაბული პოეტი
მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე

ცოდვის მორევი

უცხო ბურუსით იბურება ირგვლივ
მთა-ველი
და გვითრევს ყველას დაუნდობლად
ცოდვის მორევი;
არის ღალატი, არის მტრობა გაუთავები,
სულწარწყმედილი გამყიდვლების,
მუცლის მონების...

ჩამომხობილა მთაწმინდაზე ცა მეწამული
და მზის სხივებში წინაპართა სისხლი
მოწვეთავს;
დღეს ვიღას ახსოვს დაგლეჯილი
დედულ-მამული,
ანდა წუხილი გაწამებულ თანამოძმეთა...

ვხედავ ოდითგან საამაყოს
ჩვენთვის, ესოდენ,
საზღვრებს მორღვეულს
და ზნეობის სამანებს მოშლილს,-
ახალ "გმირებად" გვაჩეჩებენ
ბესო-კესოებს
ამ უზნეოთა პოდიუმზე,-
ცოდვიან დროში...

ვხედავ ლიბერასტ მედროვეთა
დამცინავ ღიმილს,
ელგებეტელთა ერთმანეთთან
ვნებით ფერებას;
ყოველი მხრიდან თავს გესევა
ათასი მღილი,
ო, გაყიდულო საქართველოვ,
რა გეშველება?!.

უფლის ტაძარში ჩვენზე ლოცვით
სანთელი იწვის,
რომ აგვაშოროს გეენას და
მერმისს უარესს;
დღეს დარჩათერისათარეშოდ
დიაცებსსიძვის,
ამმოძალადეგეებსადა
ტრანსექსუალებს ...

კრწანისის თავზე ცა საავდროდ
კვლავ იქუფრება,
აქვთ ზარზეიმი სოდომური
თავს გასულ ხლისტებს;
მათ რომ შეეძლოთ, ანდა მივცეთ
ამის უფლება,
ჯვარზე მეორედ გაკრავდნენ
ნაწამებქრისტეს...

ზ ა ფ ხ უ ლ ი

(ეტიუდი)

მზე ისევ მოდგა თბილისის კართან,
მიჰყვება ცის თაღს და მაღლა იწევს
და შადრევანი, როგორც წყლის ფარდა,
თეთრად ჰკიდია დასიცხულ სივრცეს...

და გათანგული ზაფხულის ბუღით
მთელი ქალაქი დაეძებს გრილოს,
ჩრდილით დახუნძლულ სკვერებს და ბაღებს
რომ შეეფაროს, დილიდან ცდილობს...

ხოლო ბაღები, მკერდგაღეღილი
დგანან და ნიავს უშვერენ გულ- მკერდს
და საკუთარი გრილო თუ ჩრდილი
თვითონ მათ ხეებს არ ჰყოფნით უკვე...
.....
მზე ისევ მოდგა თბილისის კართან,
მიჰყვება ცის თაღს და მაღლა იწევს
და შადრევანი, როგორც წყლის ფარდა,
თეთრად ჰკიდია დასიცხულ სივრცეს...

ც ი რ კ ი ს ც ხ ე ნ ე ბ ი...

...გადაპენტილი სინათლის ჭირხლით,
როგორც მორევი, გელით არენა
და შეგპარვიათ უკვე ჭიხვინში
სასოწარკვეთა და მწუხარება...

შუქი კი... ცეკვავს, შუქი... ბიბინებს,
(აქ გ ა ს ა რ თ ო ბ ა დ ხალხს ჰყოფნის
ცოტაც!);
ს ხ ვ ე ბ ი ს ნ ე ბ ა ზ ე უნდა ირბინოთ,
რომ არ ა გ ი წ ვ ა თ სხეული შოლტმა...

ღამით კი... სიზმრად, ველურ რაშების
გადარეული მოგიხმობთ რემა
და ძილში უცხოდ შეგათამაშებთ
მათი ფლოქვების ჩქამი და ცემა...

გტანჯონ, გაწამონ, როგორც ენებოთ,
მაგრამ მაგ მ ზ ე რ ა ს,ასე სევდიანს,
ვერ ა მ ო ს დ ე ბ ე ნ ლაგამს, ცხენებო,
გაუხედნავ ს უ ლ ს ვერ გ ა ხ ე დ ნ ი ა ნ...

დარიალის ხეობაში

(ეტიუდი)

ქარს ნისლის მკრთალი სამოსი ეცვა,
(სციოდა ქარს და ჰქროდა წუხელის)
და მთვარის ნალით დაჭედილ ზეცას
ნამიან მთებზე ეწყო მუხლები...

ჩვენ კი ვიდექით სახლის ნიჟარით
ღამის უკუნში და სადღაც გარეთ,
თავის დარდების გამხელის ნიშნად,
ქარში ხეები გვხმობდნენ მწუხარედ...

და წაქცეული ხეობის ფსკერზე
ესვენა თერგის თეთრი ცხედარი, -
ოდესღაც მქროლი შორეულ გზებზე,
ოდესღაც კვიცი გაუხედნავი...

ქარს ნისლის მკრთალი სამოსი ეცვა,
(სციოდა ქარს და ჰქროდა წუხელის)
და მთვარის ნალით დაჭედილ ზეცას
ნამიან მთებზე ეწყო მუხლები...

ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები

მამ-პაპათ წეს-ადათის ერთგულად შემსრულებნი,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...
არაგველებივით რომ იყვნენ გულადები
და მამულს იცავდნენ კვლავაც გულანთებით...

ლესავდნენ ფრანგულებს და ფარებს ფერავდნენ,
სულით კი ატარებდნენ კვლავ ჯაჭვის პერანგებს...
რომ მათი საბრძოლო ხაფი და ყიჟინა
მტერსა და ორგულს კვლავ სცემდეს შიშის ზარს...

მთა-ბარს ავედრებდნენ სამყაროს გამჩენს
და ღმერთებს სწირავდნენ ჯიხვებს და არჩვებს...
ჯვარ-სალოცავების წეს-რიგის შემსრულებნი,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...

მაწმავლებ-დათვისლები, ბარისახოვლები1,
მთებივით ლაღები და მთებივით ახოვნები...
ჩირდილელ-ლიქოკელნი, გველეთელ-სახილელნი,
ერისთვის საგმირო ბრძოლებში სახილველნი...

ქმოსტელებ-ხადუვლები, გუდანელ-ხახმატელნი,
თვით უფლის ყმანი და ყმანი ჯვარ-ხატების...
გვარ-ტომად ფხოველნი და ძირად ქართველნი,
პირიქითელნი და პირაქათელნი...

არღუნის, ასაის, არაგვის პირელნი,
საბრძოლო ლაშქარში ყოველთვის პირველნი...
არდოტლებ-ანდაქლები, ატაბლებ-ჯუთელები,
რომლებიც სამშობლოს ღამეებს უთენებენ...

შთამომავლები გმირი წინაპრების,
მამულის გულისთვის სიკვდილთან წილნაყრები...
ბლოელებ–ბისოვლები, ღულელებ-ჭიელები,
მომხდურზე კვლავაც რისხვად რომ იელვებენ...

მუცოელ-შატილელნი, არხოტელ-როშკელნი, –
თოვლიან მწვერვალებით და ციხე-კოშკებით...
თავის მთასიქითით და თავის გორშეღმით,
ჯვარ-კვრივში შენახული საბრძოლო დროშებით...

მიუწვდომ მთა-გორებით, გაუვალ ტყე-ველით,
უტეხად რომ იდგნენ კვლავ მიღმაჭეველნი...
წინაპართ საფლავებით და შვილთა აკვნებით,
არც ვისზე მეტნი და არც ვისზე ნაკლებნი...
ახალგაზრდებით და ხანში შესულებით,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები ..

ი ა გ უ ა რ ი

... აქ დამწყვდეული ვინ მიგატოვა?
როს თავისუფლად უნდა ბრდღვინავდე
და კვლავ ზარავდეს შენი ნახტომი
განებივრებულ ტყეთა ბინადრებს...

უღრანებით და ეკალ-ქაცვებით
ამოვსებული გელის საუფლო,
აქ კი მომსვლელთა რამდენ დაცინვას
და რამდენ ქილიკს უნდა გაუძლო...

ზოგჯერ ველურად გითრთის სხეული
და გამწარებით კ ა წ რ ა ვ გისოსებს,
დაბეჩავებულს და მონად ქცეულს
იცი, არავინ არ შეგიცოდებს...

იცი, ამ ქვეყნად ვერ გადარჩები
თუკი გ ა ლ ი ა მ დაგიმორჩილა,
მაგრამ კვლავ მოაქვთ ხ ო რ ც ი ს ნაჭერი
და მომვლელის წინ დგები მორჩილად...

მთელი ცხოვრება, ბედს მინდობილმა,
მაგ კედლებს ირგვლივ უნდა უარო;
შენ, მარტოობის ჩუმო დობილო,
ბწკლებდაცვეთილო იაგუარო...

ირაკლი ნადარეიშვილი პოეზიის არწივი.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
ასოცირებული პროფესორი.
დაბადების ადგილი თბილისი

მე, პეპელა და ის ძველი ოდა...

ჯერ შემოდგომაც არ მიწურულა
და შენ კი უკვე გაზაფხულს ელი,
ისევ გაშინებს უმერცხლო ზეცა,
უფოთლო ტყე და ის ოდა, ძველი.

სადაც აივნის თაღის რიკული
ობობას ჰქონდა მორთული ქსელით,
სადაც პირველად შეეხე სიკვდილს
და მკვდარ პეპელას ათბობდი ხელით.

მახსოვს პატარა თითებით ვთხრიდით
ყვავილის ძირას სამარეს პეპლის,
მაშინ მითხარი, რომ სამყაროში
ჩემს გარდა შენი არავის ესმის...

მახსოვს, მითხარი არ გსურდა გაზრდა
და თუ ოდესმე გაიზრდებოდი,
მომეცა სიტყვა, დამედო ფიცი,
რომ მე არასდროს მოგიკვდებოდი.

ჰო, ისიც მახსოვს, იტკინე მუხლი
და სანამ შენმა მშობლებმა ნახეს,
სლუკუნით როგორ მოვარდი ჩემთან
და მეც გაფენდი ფოთლების სახვევს...

მას შემდეგ ბევრმა იდინა წყალმა,
თუმც დღემდე ებრძვი ბავშვობის შიშებს,
შენი ბავშვობის მაქციე მძევლად
და ეგ ბავშვობა აღარსად მიშვებს...

დღემდე ერთგულად ასრულებ სიტყვას,
მე კი მომიწევს გატეხვა ფიცის,
შენ ბავშვად დარჩი, მე ვით პეპელას
იმ ძველ ოდაში სიკვდილი მიცდის...

დაგვცინა ბედმა, გაიყო გზები
და დღეს შენ სულ სხვის სარეცელს ათბობ,
ვიცი, რომ მოხვალ, მომაყრი მიწას,
რადგან ბავშვობას ვერასდროს დათმობ.

კვლავ უმერცხლობის დაგზაფრავს შიში,
და გაიქცევი ბავშვივით, ჰოდა...
ჩვენ კი დავრჩებით უფოთლო ტყეში
მე, პეპელა და ის ძველი ოდა.

ხატის ყმა

ჰეი, შენ, შავჩოხიანო!
რად გაგიხვითქავს ქურანი?
საით გიჭირავს გზა-კვალი,
ან რად ხარ აგრე მდუმარი?!

ჩამოქვეითდი, აქ მოდექ,
წარბი გახსენი, მჭმუნვარი,
ლუკმა გატეხე მთის წესით,
იყავ მოხუცის სტუმარი.

ფხოვის ხატის ყმა გახლავარ
ჯვარს მივალ, ამაღლებასა,
უნდა შევსთხოვო, მომასწროს
ამ ქვეყნის გალაღებასა.

ძე მომცეს კოშკის დარაჯად
და მეციხოვნედ ხევისა,
ხატისშვილობის მადლის და
მცველად წინაპართ წესისა...

დაგლოცავთ, მერე ნუ მიწყენთ
ვშიშობ, არ დამიგვიანდეს,
დღეობას ვეღარ მივუსწრო,
თვალები ამიწყლიანდეს,

ხევისბერს ვეღარ შევკადრებ,
ხატ ჩემად დაბრძანებასა
ნაგვიანები ვერ მივალ,
ვერ გავუბედავ მთხვევასა...

მშვიდობით დარჩი, მოხუცო
გფარავდეს მადლი ჯვარისა
იმედად გაუჩენიხარ უფალს,
დამაშვრალ მგზავრისა...

სახელი მითხარ, უცნობო,
ხატს რომ ვახსენო ლოცვისას,
შენად დავანთო სანთელი
ზვარაკ-სამსხვერპლოს ხოცვისას.

სიკვდილი მქვია, ხატის ყმავ,
სახელი ყველა გლოვისა,
შენს წასაყვანად მოვსულვარ
იმედო ფშავ და ფხოვისა.

ძაძები უნდა მეხილა
შენი დედის და ცოლისა,
საფლავს რომ დარდით ჩამედე,
სასურველ ძის არ ყოლისა.

მაგრამ შემძარი, მომნუსხე...
ყმა გავხდი სიტყვის ძალისა,
ჯვრის ძალით რაკი დამლოცე,
შენც გდევდეს ძალა ჯვარისა,

მშვიდად გასწიე სალოცავს,
იყავ მოწილე ლხინისა,
ჯვართამაღლებას, ვინა სთქვა
სიკვდილი ხატის შვილისა?

ყველა წადილი აგიხდეს
გამრიგე ღმერთის ნებისა,
არ გადაშენდეს ამ ქვეყნად
ყმა შენი ჯიშ და გენისა...

ჰეი, შენ, შავჩოხიანო!
მადლმა ჯვარ-ხატის ყმობისა,
მოგასწროს ბერი ლუხუმის
შედგომას ლაშარ-გორისა...

ქელეხი

დღეს ქელეხია, მიაბარეს მიწას ცხედარი,
არ შეუწყვიტავს მხოლოდ ნაგაზს ყმუილით ყეფა,
ხელების ფშვნეტით და აქა-იქ დაცდენილ ოხვრით,
ხალხმა გაავსო უკანასკნელ ტრაპეზის სეფა.

გაპიმპილებულ ჭიქას წასწვდა სუფრის თავკაცი
და შიგ ჩამბალი პურის ყუით იხადა ვალი,
მჯიღი დაირტყა ფართო მკერდზე კბილთა ღრჭიალით
და ოხშივრიან ხაშლამისკენ გაექცა თვალი...

თხუთმეტი წუთი არ გასულა, სეფიდან ჩქამი
ისმოდა მხოლოდ დაუნდობელ ყბის ქნევის ზარი
და სამ ჭიქაში მოქელეხეთ„გულრწფელ სინანულს“
შემოეპარა შიგადაშიგ ღიმილის ბზარი.

კიდევ სამი და ყველა გახდა„თავის უფალი“,
ალავერდების დატრიალდა აზარფეშები,
სიცილ-ხორხოცმა ჩაანაცვლა თეფშებთან ბრძოლა
და მხოლოდ ცხედრის ქვრივი დარჩა განაშეშები...

წასულთა შემდეგ, როგორც წესი, დალოცეს ისიც,
ჭირთა დათმენა, გამძლეობა უსურვეს„რიდით“
და მერე ყველამ იმისა თქვა, რაც სურდათ თავად,
ჭიქა-ჭიქაზე გამოსცალეს ბოლომდე მიჯრით.

აქეთ ქალები იხსენებდნენ გარდასულ ამბავს,
იქით კაცემბა გაუხსენეს ცხედარს„გრეხები“...
კიდევ სამიც და აერიათ სიტყვა და აზრი,
ბარბაც-ბარბაცით აითრია ბევრმა ფეხები.

ვიღაც„მოზვერიც“ აუხირდა სუფრის თამადას,
ლაშმოქცეული, შიგ სახეში ნერწყვის შხეფს ტყორცნის,
აქეთ კი ვიღაც მონატრებულ„სისხლსა და ჯიგარს“
შილანაჭამი, გაქონილი ტუჩებით ჰკოცნის.

ვიღაც კითხულობს, როდის უწევს ორმოცი ცხედარს,
ვიღაც ჩუსტს იცვამს და ინახავს ჯერ„უხმარ ტუფლებს“,
ვიღაცას, თურმე, სუფრის დოსტის არ მოსწონს მზერა
და ჯიხვებივით აჭიდებენ გაოფლილ შუბლებს.

გასრულდა სუფრა, გააცილეს ყველა სტუმარი,
დარჩა შემუსრულ ბრძლის ველად ქცეული სეფა,
დღეს ქელეხია და მხოლოდ ქვრივს სცვივა კურცხალი,
თუმც არც იმ ნაგაზს შეუწყვიტავს ყმუილით ყეფა...

მოთვალთვალე

ქალბატონო, მომიტევეთ!
სხვაგვარად არ ჩამითვალოთ,
შეიძლება, რომ ამ ღამით
მთვარის ნაცვლად გითვალთვალოთ?

არა, არა, არ იფიქროთ,
თითქოს, თქვენი ვნება მწვავდეს,
მსურს, ვით ყმაწვილს, ამ ერთხელაც
შორით ტრფობის ძალის მწამდეს.

ქალბატონო, მომიტევეთ!
მხოლოდ ერთი მინდა გკითხოთ:
თქვენით დაჭრილ-დაკოდილთა
კვნესა, ნუთუ, ძილს არ გიფრთხობთ?

ნუთუ, ცალმხრივ სიყვარულის
კერპის ტვირთი უნდა ზიდოთ?!
არა, არა, ვერ გამიგეთ,
სულაც არ მსურს მოგიზიდოთ...

მე, უბრალოდ, აქ ვიდგები,
ერთი ხელის გაწვდენაზე,
გაგეცლებით პირველ სხივზე,
პირველ ჩიტის დასტვენაზე.

თავხედი ვარ?! რატომ მკადრებთ?
ნუთუ, იმით გაგაბრაზეთ,
სარეცელის გაყოფა რომ
სხვასავით არ შეგთავაზეთ?!

დაგიწუნეთ?! რასა ბრძანებთ!
სხვაგვარად არ ჩამითვალოთ,
მე, უბრალოდ, მსურს ამ ღამით
მთვარის ნაცვლად გითვალთვალოთ...

მთვარეს...

რამდენ ვერამოთქმულ გრძნობას აარქივებ,
რამდენ გატეხილი ღამის გახუნებას,
რამდენ ბედისწერის შეცვლას შესწრებიხარ,
რამდენ დიდებული წამის გაცუდებას...

რამდენ უამბორო გრძნობის სევდა გაწევს,
თვალთა მინავლება ნახე მოციალე,
რამდენ ვერგამხელილ ცეცხლის მინაცრების,
შენდა უნებურად, გახდი მოზიარე.

რამდენ მონატრების მალავ საიდუმლოს,
რამდენ სინანულს და ჩუმად მოტრფიალეს
და ვერ ამოთქმული, ჰო, ის ერთი სიტყვა,
რამდენ სიყვარულის გახდა მოტიალე..

ჰოდა, თუ კი მოგწონს, უნდა გაუმხილო
ჰოდა, თუკი გიყვარს, რაა დასამალი,
სანამ კიდევ შეგწევს ძალა აფეთქების,
სანამ ვნებასა აქვს კიდევ გასავალი.

სანამ სიყმაწვილის დაგდევს აჩრდილები,
სანამ ოცნებების გჯერა, ფრთამალების,
იქნებ, ახლა სჯობდეს ერთხელ დანანება,
ვიდრე მძევლად ყოფნა მუდმივ დანანების...

ვიღაც ეჭვით გკითხავს: როგორ იქნებოდა,
ნეტავ, სიყვარული წყვილთა ქარავნების?
მერე ბედისწერით რაღაც მოხდებოდა,
გარდა ვერ ნათქვამით მოთქმა-დანანების...

ალბათ, ზოგი მერე თავქვე წავიდოდა,
ზოგიც ფრთას გაშლიდა ნეტარ აღმაფრენით,
ვიღაც იხარებდა, ვიღაც ინანებდა,
ვიღაც დარჩებოდა, ალბათ, არაფერით.

მაგრამ, ვერ გამხელილ გრძნობის ცოდვად ზიდვას
უპასუხო კითხვებს მისი ბედისწერის,
არვინ დასვამდა და არვინ იტვირთავდა,
არვინ ისურვებდა იღბალს გადაწერილს.

მთვარევ სინანულის, მთვარევ ყოვლის შემსწრევ,
ზოგის დაღუპვის და ზოგის გადარჩენის,
მთვარევ! გაუმხელელ გრძნობის მესაფლავევ,
მთვარევ! წამსვლელის და მთვარევ აქ დამრჩენის

მთვარევ, ვერ ამოთქმულ გრძნობის მატიანევ,
უამბორო ღამის სევდით მოციალევ,
რამდენ დიდებული წამის გაცუდების...
შენდა უნებურად გახდი მოზიარე.

თქვენ პოეტი ხართ?

თქვენ პოეტი ხართ? - არა, რას ბრძანებთ...
აბა, მწერალი? არამგონია,
თუმცა, ვწერ მაშინ, როცა ჩამესმის
აზრთა ქაოსის კაკაფონია.

მაინც რაზე წერთ? მასზე, რაც მტკივა,
რაც მინახავს და გამიგონია,
მასზე, თუნდ წამით, რამაც მომნუსხა
გამიტაცა და ამიყოლია...

აბა, მაშ ვინ ხართ? იგავ-მელექსე?
მაგ ტიტულამდეც, ვგონებ, შორია,
მე უფრო, ალბათ, საკუთარ თავის
მელნით ნაჯღაბნი ალეგორია...

ჩემს სათქმელს სულ სხვას ვალაპარაკებ
ვინ იცის, იქნებ, არასწორია?!
დღეს მჭედელი ვარ, ხვალ მეწისქვილე,
ზეგ კი გრძნობების ანატორია...

წვიმა ვარ, მზე ვარ, გრიგალი, ზვავი,
ვერ შეცნობილი ანატომია,
ხან მონადირე და ხანაც მსხვერპლი,
ხან ანარქია, ხან ჰარმონია...

თქვენ პოეტი ხართ?! - არა, რას ბრძანებთ...
ეგ ამბიცია არც როს მქონია,
მაგ გვირგვინს მხოლოდ დრო ადგამს თავზე,
თვით უკვდავებას, ასე მგონია.

ნინო უძილაური მშენებელ-ინჟინერ-პედაგოგი:
პოეტი, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი:
დაბადების ადგილი ყვარელი

სიკეთე

მალულად დაჰყავდა ტაძარში წირვებზე,
სრულიად შეცვალა სიკეთემ ეშმაკი,
მიყვარხარ...აწერდა მკითხველთა წიგნებზე,
და გადმოდიოდა ზეციდან ნათელი.

განათდა სიბნელე და იდგა ნათელი,
მეფობდა მშვენება, ხარობდა მოკეთე,
ლოცვით და გალობით აენთო სანთელი,
უფალო შეუნდე, უფალო მოხედე.

დაე, დატოვონ ცოდვებმა სამყარო,
დაე განათდეს გზები და ხიდები,
უფალმა დაცემულ სულს ცოდვა გაჰყაროს,
და შემოაბიჯოს ზარით და დიდებით.

სიკეთემ სიყვარულს უფალი უწოდა,
დამარცხდა სატანა და იხსნა სხეული,
თავიდან ტერფამდე ის სული უძღოდა,
ღმერთმა რომ შთაბერა ადამისეული.

დაწვეს სიმართლე

ბრუნოსთან ერთად დაწვეს სიმართლე,
დედამიწაო, ამბობდა, ბრუნავს,
მას შემდეგ ყველა თავებს ვიმართლებთ
და ვმალავთ ღმერთით ნაბოძებ უნარს.

რაც გულში დევს და სულში ტრიალებს,
თამამად თუკი გამოთქვი აზრი,
ამპარტავნება დაგიღრიალებს
და სიტყვებს გესვრის იაფი ბაზრის.

ავსებულია სათლი მოთმენის,
სამყარო ფატრავს დოგმა იარებს,
სიცოცხლეს დროში გაქრობა ელის,
თუკი უფალი დაიგვიანებს.

სიზმართ თამაში

აფეთქდა მუზა, ახადა ფარდა,
ფიქრთა ჭიდილს და სურვილთა ნუსხას,
აიჭრა ზეცად მზაკვარი განცდა,
ადამიანი მზეს წყალს რომ უსხამს.

დანებდა მთვარე უსახურ ზღაპარს,
შემოაღამდათ მზის სხივებს გზაში,
გაიჭრა ღამის მირაჟი ზღვასთან,
მოგონებად რომ სტუმრობდა მთაში.

დააცხრო დილის სინათლის ფერმა,
ადუღებული ფიქრთა განგაში,
დავარცხნა მუზა კალამმა ჩემმა,
რადგან დამთავრდა სიზმართ თამაში.

ახალგაზრდებს

მოდის თაობა გონიერი, თავისუფალი,
შეუპოვარი, მომავლისკენ სწორად მზირალი,
ხარისთვალება გოგო-ბიჭებს ლოცავს უფალი,
ხვალინდელი დღე გათენდება კვლავაც მზის დარი.

თქვენია ეს ცა, ეს მინდვრები, სამშობლო ჩვენი,
მომავლის რწმენა განამტკიცა გონმა ძლიერმა,
რაც ვერ შევძელით, მოგვიტევეთ, წაგვართვეს ძღვენი,
უსახელომ და უსახურმა სულით მშიერმა.

იმედი ხვალის ისევ თქვენი ხილვით ბრუნდება,
მჯერა გაიტანთ ლელოს ქვეყნის აღმაფრენისთვის,
თქვენი დრო მოდის, ეშმაკი დღეს თავად ცდუნდება,
და გათენდება ნათელი დღე სულის ფრენისთვის.

ასე ყოფილა ოდითგანვე, შვილი მამას ცვლის,
ჩვენი წარსულიც მომავლისთვის მაინც ხიდია,
აბა, თქვენ იცით, ხარისთვალება გოგო-ბიჭებო,
გასწით უღელი, ჯერი თქვენზეა, ნუ გეშინიათ!

წარსული სკივრიდან

წარსულ უსასრულო მოგონებებს,
დღემდე მოჰყოლია ობის სუნი,
ძველ სკივრს თავი მძიმედ დავახურე,
ისევ თან დამყვება ორი სული.

ერთი მიწას უხმობს ძველებურად,
ერთიც ზეცას უცქერს დარდიანი,
მაგრამ ჩემთან მაინც ისე სდუმან,
თითქოს დაუჭრიათ ღრმა იარით.

ვხატავ მომავლისთვის ვიწრო ბილიკს,
ფუნჯი, კალმისტარი წინ მიწყვია,
აქაც არჩევანით ვბედავ ქილიკს,
მერე ჩემი ხელით ვიხლი ტყვიას.

ისევ უსასრულო მოგონება,
წარსულს გამოვტაცე ძველი სკივრი,
ორი ლანდით აზრის მოწოდება,
ისე დამღლელია, ახლაც ვტირი.

რად ვერ გამოვგლიჯე დროს დრო დროში,
რად ვერ მივაღწიე დათქმულ ალაგს,
წარსულს გამოვართვი მცირე გროში,
მერე ღმერთთან დავთვლი წუთისოფლის ამაგს.

უშენოდ

გულში მჭირს შენი ტრფობა და
ფიქრი ეკლებმა დასერა,
ვერ მოვუძებნე სახელი,
გრძნობას, რომელიც თან მდევდა.

სამყაროს ფერი ვუცვალე,
იქნებ ეგ ფერი მავსებდა,
ყველა ბილიკი დავთვალე,
სადაც ეგ სახე დამდევდა.

გულში მჭირს ის სიყვარული,
რასაც ოცნება ავსებდა,
დავიარები უშენოდ,
ახლაც ფიქრებით გათენდა.

კეთილი ფიქრი

ვემსახურები სიკეთეს,
სიკეთე საქმეს მიკეთებს,
კეთილი ფიქრი სიტყვებს წერს,
სიტყვები მოძღვრავს თავად ერს,
ფიქრები ჩნდება წარსულზე,
ან დღევანდელ დღის ავ სულზე,
დარდობ და წამლობ სიკეთით,
შთამომავალს ზრდი იმ ფესვით,
რაც წინაპართა გულშია,
მართალი არა მრუშია,
იგემო ტკბილი ნაყოფი
და მომავალი აქ მყოფი.
მარადისობის კანონი,
უფალი ჩვენი პატრონი,
ვემსახურები სიკეთეს,
ღმერთს, სამშობლოს და მოკეთეს.

სასაცილოა

ზოგჯერ უკვდავნი ვერ უკვდავობენ,
ზოგჯერ მოკვდავთაც აქვთ უკვდავთ ხვედრი,
რას არ გვარგუნებს ბედი მუხთალი,
მე მაინც უფალს ლოცვებით ვვედრი.

ყველას გულისთქმა დიდ ეკრანს ფარავს,
სადაც უკვდავთ და მოკვდავთ განსჯიან,
წუთისოფელში ვინც რას დამალავს,
იმ დიდ სოფელში ყველას დასჯიან.

სასაცილოა დროებით როკვა,
თავაწეული ფუყე თავთავი,
უფალო, ყველას გზა გაუნათე,
რომ არ ახალონ მერე ქვას თავი.

დედა

დედის ალერსი, დედის სურნელი,
მზისდარი სითბო, ზღვისდარი ღელვა,
მარად და ყველგან დედას სულ ველი
და თვალებს სწყდება სიცოცხლის ელვა.

ბაგეთა ტკბილი ამბორი დედის,
ხმა სანუკვარი, სიმშვიდის ბგერა,
ვმადლობ ჩემ ღმერთს და ვიწამე ბედის
და იავნანას ტკბილი სიმღერა.

ადგილის დედავ, დედა ბუნებავ,
ღმერთო ძლიერო, დედაო ღვთისა,
გამიძლიერე დედასამშობლო,
დედა მიცოცხლე, სადარი მზისა.

დრო არ დაგვინდობს

ზოგისთვის სწრაფად გარბის დრო,
ზოგისთვის მიიზლაზნება,
ეს უცნაური სამყარო,
სიზმრის ავი-კარგი ზმანება,
საიდან მოდის, სად მიდის,
სად უცნაურად ზვავდება,
სიტყვა და ნაამაგარი,
ცოდვად და მადლად ზღვავდება,
ვერასდროს მივხვდი ამ ქვეყნად,
ვინ ვისთან რატომ ზავდება,
ერთს ვიტყვი... დრო არ დაგვინდბს,
სადაც სურს, იქ დამთავრდება.

სიზმართ თამაში

აფეთქდა მუზა, ახადა ფარდა,
ფიქრთა ჭიდილს და სურვილთა ნუსხას,
აიჭრა ზეცად მზაკვარი განცდა,
ადამიანი მზეს წყალს რომ უსხამს.

დანებდა მთვარე უსახურ ზღაპარს,
შემოაღამდათ მზის სხივებს გზაში,
გაიჭრა ღამის მირაჟი ზღვასთან,
მოგონებად რომ სტუმრობდა მთაში.

დააცხრო დილის სინათლის ფერმა,
ადუღებული ფიქრთა განგაში,
დავარცხნა მუზა კალამმა ჩემმა,
რადგან დამთავრდა სიზმართ თამაში.

დამაბედე

დამაბედე ანთებული ჩირაღდანი,
ძველებურად - მტკვარი, ტივი და არღანი,
ნათელი გზა, უღალატო სიყვარული,
თან მაჩუქე ტრფობით გული დადაგული.

დამაბედე ოცნებების ასრულება,
მზის ქალაქში სეირნობა სხივთა გემით,
რომ მოვქარგო სურვილები ათასფერი,
ახდენილი სიყვარულით დანაფერი.

დამაბედე ბედნიერი სახეები,
ელვისფერი ღიმილი და სასოება,
სიყვარული დამაბედე გულისფერი,
სინატიფე, სიმშვიდე და სათნოება.

ბათუმს

ბათუმს ჩამოველ ალერსად,
ზღვას რომ შევახო თითები,
მუზა მოვიხმო აქ ლექსად
და ვათამაშო რითმები.

ჩამოუკოცნო მზეს სხივი,
ნაპირს დავთვალო კენჭები,
ყელზე მოვირგო ეგ მძივი
და გადავნისლო ეჭვები.

ბათუმო მოგესალმები,
ბათუმო გულში ჩამიკარ,
გადმოაფინეთ ალმები,
სიცოცხლევ ისეც წამი ხარ.

მამა

როცა მყავდი, ვერც ვერავინ მაბრაზებდა,
მამა ჰყავსო... ჩურჩულებდნენ ჩუმად,
ძლიერი და გულმაგარი ფშაველია,
პირშიმთქმელი ვაჟკაციო, უთქვამთ.

როცა მყავდი, არაფერიც არ არ მტკიოდა,
ცას ვწვდებოდი, ვთამაშობდი მზესთან,
ვიყავ ლაღი, არ მციოდა, არ მშიოდა,
და არაფრის მეშინოდა შენთან.

როცა მთაში ლექსის კოცონს დაანთებდი
და ზღაპრებად იღვრებოდა ზეცა,
ჩემთვის ღამით უკუნსაც კი ანათებდი,
უდარდელი წლები სად გამექცა...

როცა მყავდი, მამის ძლიერ ხელებს ვგრძნობდი,
მამის სიბრძნეს, მამის გულის ხმობას,
ნეტავ მყავდე, არაფრისთვის არ დაგთმობდი,
არ დავთმობდი მამაშვილურ გრძნობას.

ჩემო ღაბუა

ჩემო ღაბუა ჩამომჯდარხარ სიცოცხლის ტოტზე,
გაინავარდე, გაზაფხული იმედად გელის,
აყვავდებიან ყვავილები შეფერილ მოლზე,
კვლავ იჭიკჭიკე, არემარე შენ ჰანგებს მღერის.

ნათელმა ფერმა გადაღება ძველი ტკივილი,
ეს გაზაფხული გაანათებს წარსულის ბინდებს,
ვერას დაგაკლებს უსახურთა დროში ჩივილი,
შეჰკარ კამარა, მზის სხივები კვლავ ძალას იკრებს.

ჩემო ღაბუა, ჩამომჯდარო სიცოცხლის ხეზე,
ნუ დაღონდები როცა ზამთარს ეწვევა სუსხი,
შენი ჭიკჭიკი სურს გაზაფხულს მზის სხივის ფერზე,
იებით ხელში ბიჭი გოგოს სიყვარულს უხსნის.

განა მერეც

განა მერეც დაგიკრეფავ
სიყვარულის მარცვლებს,
ჩამიხუტე ვიდრე მთვარე
თავის სხივებს მაცმევს,
ცად ვარსკვლავებს ვიდრე
სჯერათ სიყვარულის ცრემლის,
ჩამიხუტე თორემ
გასკდა ხეზე კვირტი ტყემლის.
მერე კაბად მომართმევენ
ატმის ფერად ყვავილს,
განა მერეც გეყოლები,
დრო მოჰყვება ბღავილს,
ჩამიხუტე ვიდრე აქ ვარ
ვიდრე ფეთქავს გული,
დრო დროს დროში
გამოგაცლის, ივლი დადაგული.

დრო არ დაგვინდობს

ზოგისთვის სწრაფად გარბის დრო,
ზოგისთვის მიიზლაზნება,
ეს უცნაური სამყარო,
სიზმრის ავ-კარგი ზმანება,
საიდან მოდის, სად მიდის,
სად უცნაურად ზვავდება,
სიტყვა და ნაამაგარი,
ცოდვად და მადლად ზღვავდება,
ვერასდროს მივხვდი ამ ქვეყნად,
ვინ ვისთან რატომ ზავდება,
ერთს ვიტყვი... დრო არ დაგვინდობს,
სადაც სურს, იქ დამთავრდება.

დედობის ზღუდე

გათენებულ დღეს ჰქვია სიცოცხლე,
ცხოვრება ღირდა სწორედ ამ დღისთვის,
ქვეყნად მე მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ,
მზეს ჩამოგიყვან შენი ბაღისთვის.

უსაზღვრო გრძნობამ უხილავ ფორმით,
ისევ ჩემს გულში აგიგო ბუდე,
მე ვლამაზდები შენს გვერდით დგომით
და მაძლიერებს დედობის ზღუდე.

გამიფერადე ეს სიყვარული,
ღიმილით ვითვლი წუთებს და წამებს,
როდესაც თვალებს დაფარავს რული,
ცრემლად შევრჩები მაგ შენ წამწამებს.

ვეძებ ფოტოებს

ვეძებ ფოტოებს,
სადაც ყვავილთ ფერი მატყვია,
სადაც თვალები მზის სხივებით იქნება სავსე,
რადგან სიბერეს ისე ვმალავ,
როგორც ნატყვიარს
და ფოტოები მოგონების სიამით მავსებს.

სადღაც გამქრალა,
სულში მჯდომი პატარა გოგო,
თვალები უკვე ძველი ეშხის ანარეკლია,
იქნებ მიპოვო...
მართლა მინდა მიპოვო ფოტო,
რომ ერთხელ კიდევ, შენი გული ამაკლებინა.

კახეთს

ნისლმა მოხატა კახეთი,
და ძველის-ძველი თელავი,
მისტიკას სხვაგან ასეთი,
ვერ შექმნის ალბათ ვერავინ.

სადაც ნისლები ცრემლებად,
მთებს ღვარად ჩამოდინდება,
ეს ვენახები, ეს ზვრები
დღეს მასპინძლობას მპირდება.

კახეთს მივყვები, გზას შარას,
გადმონისლული ფიქრებით,
მრავალჭირვარამნახულო,
შენი წაწალი ვიქნები.

წვიმის წვეთები

წვიმის წვეთები მიღვიძებს სევდას,
ცხოვრება დოგმა-ჩარჩოებს გასცდა,
მაწვიმს ფიქრები და ვაკვირდები,
მხიბლავს სიცოცხლის სიკეთით
განცდა.

წვიმა წვეთებით თუ ნამავს მიწას,
იგივე წვეთი აზვირთებს ზღვასაც,
ცხოვრება როცა არ კარგავს მიზანს,
ღმერთი გვიბოძებს სიცოცხლის
მადლსაც.

ეთერი ჭელიძე - ფინასტისტი ეკონომისტი
დაბადების ადგილი მესტია, უშგული

ღმერთო, იქნებ გვაკმარო!

დრო გაჩერდა, ნისლისფერი
შიში ადევს სამყაროს,
ღმერთო, იქნებ, იქნებ, იქნებ,
დროა, გლოვა გვაკმარო,
თორემ გაწყდა თმენის ჯაჭვი,
თითქოს ჯვარიც გამწყრალა,
დედა, დარდით მონაცელი
ფეხზე ვეღარ დამდგარა!
განმკითხავი მომრავლდა და
უფლის მცნებებს არღვევენ,
ტაძარს შენ რომ აგვიშენე
სიძულვილით ანგრევენ!
არ იციან ერთმანეთის
ცოდვა მადლის შენდობა,
სიკეთის და ბოროტების
ისევე ჭირს შეცნობა...
შემოგვძახე, შეგვახსენე
რომ ვართ შენივ შვილები,
შენს ტაძარში შეგვასახლე
ჯერ ,,ვერგარდაქმნილები“!
დრო გაჩერდა... ნისლისფერი
შიში ადევს სამყაროს...
ღმერთო, იქნებ, იქნებ, იქნებ,
დროა, გლოვა გვაკმარო?!...

ცოდვიდან ცოდვამდე დღე გეიმედება?..

ცრუ თავისმართლებით,
კვლავ ცოდვას ჩადიხარ.
სხეულზე გასკდება
ურწმუნოს აბჯარი.
ტაძრიდან ტაძრამდე
ვახშმად და სადილად,
სულს გიწვავს იქნება
ცოდვების ხანძარი?
ან იქნებ მითია,
ხელს გააქვს სიკეთე...
გულის ხმაც იგივეს
გასცემსო გგონია...
ცოდვები, ცოდვილში
ბუდეს რომ იკეთებს,
გზა სინანულამდე
ძალიან შორია...
მითია თითქოსდა უფალი
იწირავს
და მერე გეძლევა
რაც გინდა ყოველი...
საქმენი ,,კეთილი“,
ვერ გიხსნის...
მითია,
ცოდვების სკივრში ხარ
თუ გამოკეტილი...

ქალი ხარ და....

ქალი ხარ და ადვილია,
დაგწამებენ ცილს,
დაიბადე თუკი ქალად
ზოგჯერ ესეც სწყინთ?...

სიყვარულში გაგიმართლა?
მზეს უსწორებ თვალს,
თუ ძლიერი საყრდენი გყავს
სხვა რა უნდა ქალს...

დედობის მადლს ეზიარე?
ღვთით კურთხეულ ხარ,
ვარსკვლავები მოციალე
როცა გულში გყავს...

და თუ ბედის მონაპოვარს
ბედისწერა კლავს,
ემსგავსები გზაჯვარედინს...
გაურკვევალ მგზავრს!

ქალის ვალდებულებები?
დიდია და ზღვა,
მდედრია და ურყევია
ნისლებს ძნებად კრავს...

ქალს ნამუსი თავზე ხურავს,
დედის ლოცვას ჰგავს,
სალოცავად როგორც შვილი,
მუდამ გულში ჰყავს...

მაგრამ თუკი უნებლიეთ
აედევნა ჩრდილს,
ისე მწყრალად გათელავენ,
ვით ბუნკერის რწყილს.

განკითხვისთვის გამეტებულს
ცოდო-მადლი ნთქავს,
და მართალი თავს იმართლებ,
პასუხი სურს ხალხს!

ო, რა ყალბი ნუგეშია,
,,ნურაფერი გწყინს“,
ქალი ,,ცოდვის“ წუმპეშია
თუ მის გზაზე წვიმს...

ურმით დადის სამართალი,
ვეჭიდებით ხავსს,
ქალი კვირტი ნაქარალი
არავის არ ჰგავს....

ვედრება

ქრისტეს ნათელით იბრწყინე,
ვაზის ხელთქმნილი კანდელით.
საქრისტიანოს ულხინე
მოჰფინე ცხოვართ ნათელი!
აკვნის სიმრავლით მაოცე,
მლოცველ მქმენ ღამენათევი,

ნინოს წმინდა ჯვრით დალოცე
დედამიწაზე ქართველი.
ერთ-გულად შეჰკარ რჯულ-ფიცით
ყოველი გოჯი ნახმლევი,
წმინდა გიორგიმ ამრავლოს
მისი დიდების მნახველი!

დამღალა დარდის ხმაურმა

დამღალა დარდის ხმაურმა,
ჭიხვინით ჩავლილ დროებამ...
აჯაგრულ ტალღის ზვაურმა
გაცრეცილ ამაოებამ...

შუქჩამქრალ მასკარადებმა,
სიტყვის ,,უძვალო“ ,,მხნეობამ“,
ქარბუქში წვიმის ბარდებმა
ბაღნარში ეკლის ზეობამ...

დუმილის უსასოებამ.
სმენადაკარგულ ღრეობამ,
ნემსში გასაყრელ ძაფივით
გაწვრილებულმა მეობამ...

მსჯავრდადებულმა დედობამ,
მოულხინებელ ძეობამ,
მოყვასზე ძალმომრეობამ,
გადაგვარებულ ზნეობამ....

მუხლმოუყრელმა ლოცვებმა
ანაფორების რთველობამ
რიჟრაჟზე შემოთენებულ
უცხოთა შემოქროლებამ...

დამღალა დარდის ხმაურმა,
ჭიხვინით ჩავლილ დროებამ...
აულაგმავმა ტრაურმა
თაფლწასმულ ,,კეთილდღეობამ“...

სიყვარული თუ გეწვია...

სიყვარული შემოგიღებს,
შემოგიღებს კარებს,
მოვარდება ვით მეწყერი
დღეს თუ არა ხვალე.
დაელოდე, გეახლება,
მოგიკითხავს მალე,
რადგან იგი სულ გზაშია
წყაროს გზაგზა დალევს...
გაიღვიძებს ვისთვის გვიან,
ვისთვის კიდევ ადრე,
გადაგწმინდავს თავზე ღრუბელს,
ხანაც გაგიავდრებს...
ბედის ვარსკვლავს მოციმციმეს,
ისე შეგაყვარებს
რომ მადლობდე ნებას ღვთისას
მზის მონაფერ ქარებს...
შენც უმზერი ცის ლაჟვარდში
ვით სიცოცხლის მნათობს
და თუ ერთხელ შეგეყრება
ვერასოდეს დათმობ!!!

ვძალაობ

ვძალაობ, იქნება
დავაშრო ეს თალხი,
სიმორცხვე წვიმისა
იქნება დავძლიო.
გაჩუმდეს იქნება,
გაჩუმდეს ეს ხალხი
და ეს გალახული
სინდისი ავწიო...
ვძალაობ დაუთბე
უსაგნო ტკივილებს,
უცეცხლო სევდებში
მზის სხივი ვაპნიო,
მტერსა და მოყვარეს
მივმართო ვედრებით;
ნამუსის
ყანწიდან
ერთობის
ავწიოთ.

დრო ვერ გავიწყებს ისტორიას

სამყაროს აშლილ პულსს ყურს ვუგდებ, არ ვიცი,
ვდუმდე, თუ გნიასი მოგვიტანს ცხონებას,
ვიძახით ჯერ კიდევ, ჯერ კიდევ დავიცდი,
დრო ხსოვნის ყუთშია და აღარ ქროლდება...

ცოდვილობს ქართველად დარჩენის მერმისი,
მეობადაკარგულ ერს ვგავდეთ არ მინდა,
აღმართის მხრებიდან ლოდივით ვეშვებით
და უძვლო სხეულით სვლას ვიწყებთ თავიდან...

მარტი და აპრილი, მარტი და აპრილი
ხსოვნიდან არაფრით, არაფრით არ ქრება.
დაღლილი მამული, ღირსება აყრილი
ცბიერო ,,მოყვარეევ", არასდროს მექნება...

დაღლილი მამული, ვით სანთელმიმქრალი,
ეული მლოცველის სარწმუნო ტაძარი,
კვლავ უფლის ჯვართან დგას ჯავა და ცხინვალი,
აგვისტოს წვიმების მწვავს სისხლის ხანძარი...

ჭმუნვის და წუხილის დრო აღარ ბერდება,
ხელს ვუჭერ მიწის გულს და სისხლი მოწვეთავს ...
შვილმკვდარი დედების ცრემლი არ ნელდება
საძმოთა საფლავზე მდინარედ მოღელავს...

გაგრა და სოხუმი, გუმისმთა, ტამიში,
ღალატის მახვილი ქართულ მრწამსს მისერავს,
გმირების სისხლის წილ დროშები დახრილი,
ოთხარა, კამანი, ბზიფი და ეშერა...

ირწევა წამლეკავ დუმილში მამული,
თითქოსდა უიღბლო ყრმა, ბედით ობოლი...
კვლავ გულში გავლილი ხლართები მავთულის
და მხრებჩამოყრილი ეს წუთისოფელი!

სამყაროს აშლილ პულსს ყურს ვუგდებ და ვიცი,
დუმილი ვერასდროს მოგვიტანს ცხონებას,
როდემდე, როდემდე, როდემდე და, ვიცდით...
დრო ხსოვნის ყუთშია, არაფრით ქროლდება!...

მანანა სამყურაშვილი - სამართალმცოდნე
დაბადების ადგილი ყვარელი საბუე

ვარსკვლავები ჩამოკრიფა...

მე და მთვარემ წუხელის, რამდენი ვითამაშეთ,
გამიკვირდა, კარგადა ფლობს კუკუ - დამალობანას...
ოსტატურად გადაგორდა ღრუბელს ეფარებოდა,
მეგობრისთვის დროის ხარჯვა სულ არ ენანებოდა.

ღრუბელს, ჩემი ტრფობისთვის ცრემლებიც კი უღვრია,
მიღალატა, მთვარე ჩადრში გახვია, ხმა სულ არ გაუღია!
მიმალავდა, მიჩქმალავდა, მის გზას ვეღარ ვიგებდი,
მიწის გულზე, მწვანიან მოლს, ბრაზით ფეხქვეშ ვიფენდი!

მოვირბინე ტყე-ველი და გაწეწილი ბუჩქნარი,
მთვარეს ბევრი ვეძახე და გამობრძანდი! უთხარი.
შეხეთ, ციცინათელამ გზები გადამინათა,
აღმა დაღმა ფრენდა, ფრენდა, მინათა და მინათა!

დავიღალე, დავიქანცე, სირბილით და ძახილით,
გამო, მთვარევ, გაიმარჯვე! შენი ხერხი მახარებს!...
ღრუბლის ჩადრი გაირღვა და სავსე მთვარე მოგორავს,
გავიკანკე, მოვიბუზე, მთვარე? გულიანად ხარხარებს!

ქალავ, რატომ ვერ მიმიხვდი, ღრუბელს ვეფარებოდი,
ცალი თვალით გიყურებდი, როგორ მებრალებოდი...
ვარსკვლავები ჩამოკრიფა, ვარდებივით მაყარა --
ხის ატლასის მწვანე კაბის კალთას ვეფარებოდი,
მისი ხერხი მოვიხმარე: მთვარე, ღრუბლის ჩადრით,
მე კი, გოლიათი ხის კალთაში მთვარეს ვემალებოდი.

ჰა, უფალო, როგორც შენ გსურს...

ჯავახეთის მთათა ზეგან,
ქარი ნისლის ფარდას ხევდა!
მაშინ მცველად წმინდა ნინო,
ქრისტეს პერანგს იხვევდა!...
მოდიოდა, ვით ქალღმერთი,
ვაზის ჯვარი ხელთ მოჰქონდა!
საქართველოს გასანათლად
მირონი და ბზა მოჰქონთა!
ვაზის ჯვარი, თმით შეკრული,
გულზე სვეტად ეყუდა,
რა განგებამ დააჯერა, ქალი -
ჩვენს სახსნელად ილტვოდა,
კერპშეპყრობილ საქართველოს
ქრისტეს სიტყვას ეტყოდა!...
უფლის ხელით მოხატული,
ხატად იყო გზავნილი,
წმინდანების რჩევით, რწმენით,
ჩვენთვის გამოგზავნილი.
კერპნი, ბნელნი მოხოცა
და ქრისტეს გული ჩამიდგა!...
თვით ქალღმერთი, წმინდა ნინო,
ბოდბეს მცველად დამიდგა!...
მირონით და ვაზის ჯვარით,
სხვა თილისმა რად მინდა!
ქრისტეს რწმენით შეპყრობილი
ჯვარს გამაკრეს რამდენჯერ!
თან შორიდან მომძახიან,
ამ წამებას დავჯერდე!
ჰა, უფალო, როგორც შენ გსურს,
მეც ისე მსურს, დავბერდე!...
მოკრძალებულ თხოვნას ვბედავ:
ვარსკვლავივით გავბევრდე!...
ცის კიდიდან საქართველოს
ნათელ სხივებს ვაბნევდე!

მე ამ დალოცვილ მიწიდან, თიხისგან ვიშვი...

მე მარიამის დალოცვილი მიწიდან ვიშვი,
თვით უფლისგან მაქვს ამ მიწაზე სავალი საშვი.
სულს ვერ ჩააქრობთ, მე ღმერთებმა მარგუნეს ჯიში,
კურთხეულ მიწის შვილი ვარ და არა მაქვს შიში.

ხატად შექმნილი საქართველო დამილოცეს და
უფლის ხელთქმნილი სალოცავად დამიდგეს ნიში.
ვერ მოვდუნდები მე მარიამის გაზრდილი შვილი,
აყალო მიწის ქანდაკება ვარ, ღმერთსაა აქვს წვლილი.

ძარღვებში როცა აჩუხჩუხდა ქართველის სისხლი,
ამ მიწის გულზე მე გავიდგი ჯანსაღი ფესვი.
ბედისმწერელმა სამად სამი დამწერა სიტყვა
და სწორედ მაშინ უკვდავების სასმისი შევსვი.

ვერა სულდგმული ვერ ჩამიკლავს ამ ლამაზ რწმენას,
ღმერთის გულიდან მისი შვილი ქართველად ვიშვი,
მე ქართველი ვარ,ძარღვებში ჩქეფს ქართული სისხლი
და ამ ღვთითნაქარგ სამოთხეში მაქვს, ღმერთების ჯიში!

გულით მოტანილი ყვავილები...

ველურ ყვავილების კონა შევკარ,
ახლა მზის ამოსვლას ველოდები.
ვდგევარ ეული და მარტოსული,
შენთვის ყვავილებზე წამოსული.

სხივიც ვერ ვიხილე მთის წვერიდან
მის გოლიათ, გულ-მკერდზე ჩამოსული.
ღამის, შავ ზეწარზე მთვარე იწვა,
ჩემდა სათვალთვალოდ წამოსული...

სამყარო, აწრიალდა შეშლილივით,
შინდისფერ კარავში, დღე დაბადა!...
ღამე, დღესთან იდგა მონუსხული,
სუმთლად ჩამოჰხია მკერდს ლაბადა!...

სამყაროს, მკერდსა სწოვდა ჩვილი დღედა
ვუმზერდი, უსწრაფესად იზრდებოდა!...
მზე, ოქროს დალალებს ისწორებდა,
თვალთაგან სხივთა შლა უხდებოდა!...

გავკვირდი, ღამე ჩუმად გაიპარა,
დღე პირმშო,სამყაროს აკვნიდან ამოვიდა!...
მზემ ცაზე, ბროლის კოშკი გამოხსნა და
სხივთაშლით, ცის ოქროს ტახტზე გამოვიდა...

დალალი დღეს გულზე გადმოჰფინა!...
ეს კადრი გულს ისე მოეფონა,
მინდოდა, მის მსგავსად ყვავილები,
შენს გულზე სხივევად მომეფინა!...

გიშრის დალალები, მხარს ნაბნევი,
გულ-მკერდზე მზის სხივით დამეფინა!
გულით მოტანილი ყვავილები, ქალავ,
შენს ფეხთან, სიყვარულით გამეფინა!...

ჩენს გულის ცაზე

გულში შენახულ უცხო თემებზე,
ამოუხსნელი კოსვორდი დამრჩა...
კალამს წვერი კი არ მოუცვდება,
მაგრამ ვატყობ, რომ მელანი დაშრა.

არ ვიცი რატომ, სიცოცხლის განცდა,
შეშინებულს გამიორმაგდა...
სულო, გაუძელ, გაუძელ ტკივილს,
თუ გვერდში მყოფი გაგიორგულდა!..

ალბათ მოედო ბაქტერია და
ტვინმა გონება დაუავადა...
ისე მაღელვებს წარსული წლები,
ტკივილით, გულმა, თქმაც კი გაბედა.

სიკეთე თესე, ასე არა სჯობს?!
სანამ სიკვდილი გაგვატიალებს!..
და ეს საწუთრო აბობოქრებულ,
დედამიწას, უკუღმა დაატრისლებს!

მე მახსოვს შენთან, ის სკოლის მერხი,
დღის სიმფონია ერთად რომ ვწერეთ...
ბავშურ ნახატებს, ფლომასტერებით,
პატარა ხელით, ფერები-ვფერეთ...

ერთად ვმღეროდით საწყალ კურდღელზე,
ბავშობა გაქრა, და დროც გაყვითლდა.
ჭრელმა პეპელამ ფრთები გაშალა და,
დაჭრილ გულიდან შორს გადაფრინდა...

მე დღეს შენს ქცევას რომ გადავხედე,
ჟუჟუნა წვიმამ გული დანამა.
ჩემს გულის ცაზე, ამოუხსნელმა
შენმა ქცევამ, მოგონებები უკვე დაკალმა!..

თვით სიკვდილი ცელიანი...

ქალი ღმერთთან მივიდა და თვალი ჰქონდა ცვარიანი,
პირზე ღიმი დასცვენოდა ვით ატამი გვალვიანი.
ეტყობოდა ქალი იყო, ოდეს ნაზი, ხალიანი,
თვალ წამწამწამთა ჩეროს ესხა მარგალიტი, თვალიანი.

მიჩანჩალდა ქალი მუხლთან, ნაზი ტუჩით ეამბორა
და ცრემლები მტევნებივით ვით საწნახელს დააწურა.
მოიკრიბა ძალ - ღონე და ახსარება ჩააბარა...
და ვიზიტი მან უფალთან, წრფელი სიტყვით ამოწურა...

მასთან ახლოს მდგარ სიკვდილს, თვალი აუცრემლიანდა,
განზე გადგა, დაელოდა, მამა ღმერთი რას იტყოდა.
ასე წრფელი ნაბიჯებით გაგივლია შენ, საწუთრო,
დავიჯერო, შენი სული სიხარბისკენ არ ილტოდაა?!

ან ფული და ფუფუნება, უნდა მითხრა, არ გინდოდა?!
ქალმა ცრემლი მოიწმინდა, თვალიდან რაც ჩამოდინდა,
მამავ, ჩემო მარჩენალო, ამ სამყაროს გამგებელო,
რაც რომ ოდეს გულით გთხოვე, ყველა ნატვრა ამისრულდა..

უბეს ხელი მიატანა, ოქროს ჯაჭვი კი არა და
მკერდს ნაკიდი ტყავის ძაფით, უფლის ჯვარი ამოზიდა!..
ხელის გულზე დაიდო და გულმხურვალედ ეამბორა,
ეს იყო, რომ გვერდით მედგა და ცხოვრება არ მიმძიმდა.

დღე და ღამე ჩემთან არის, ჩემი გულის ხატებაა,
მიეფერა კიდევ ერთხელ და ქრისტეს ჯვარს ეამბორა!
თვით სიკვდილი განზე მდგარი, გულბოროტი, ცელიანი,
გაჰკვირდა და ფიქრნაღვენთი, გული ჰქონდა, ცრემლიანი...

* * *

გემოწმინდაა სიცოცხლე, მსუყეა როგორც ნაღები,
იყავ სიცოცხლის ერთგული, სწორადმზირალი თვალებით,
სახეს არასდროს მოარგო,ფლიდის, მლიქვნელის ნიღაბი,
სიცოცხლესაც აქვს იცოდე, სულის დამწველი ალები.

ძალას ვიკრებ

ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე ავიდგი ფეხი,
ხელჩაჭიდებული დედა მარიამ სიმღერით მდევდა;
გულს არ მქონოდა და არ მეგრძნო ფარული სევდა,
თავის მანდილში, შეციებულს, სათუთად მხვევდა!

ლერწმის აკვანი დაარწიეს, მიმღერეს ნანა,
თავით დამიდეს შენალოცი ნახშირი, დანა;
ია, ჟუჟუნა, ფეხთ მომედო, ვით ფიანდაზა,
ციდან ნაბნევმა, წვიმის წვთებმა, ხელ-პირი მბანა.

დედამ იხილა, წინაპართ კვალს ბავშვი ვეტრფოდი,
შორსმჭვრეტელი და ძლიერი განცდა მის თვალთა რევდა.
ეს ნაკვალევი, რაც მე განვვლე, მას თვალწინ ედგა,
არ უფიქრია, დამძალავდა დარდი და სევდა...

ბავშობაში, სიამაყით გამიშლია მთის კიდეზე ფრთები,
ხტუნვა-ხტუნვით გამივლია წინაპართა ნაკვალი გზები,
აღმართი უმალ ამივლია დამფრთხალ შველივით
და მწვერვალებისკენ, მწევარივით, ამიღია უშიშრად გეზი.

და ახლა, როცა შევერცხლილ თმაში სიცოცხლე დნება,
ბავშურობის ის სიდიადე, თანდათან ქრება,
და როს თვალებში დარდის კვალი ღარებად რჩება,
ვიცი და ვხედავ, გამზრდელ დედას, ეს ედარდება...

ძალას ვიკრებ, რომ ღვთისმშობელს ვუთხრა მადლობა,
მის წილხვედრ მხარეს რომ მეღირსა მთაში გალობა!..
ეს არის ჩემთვის ზე, უფლისგან მადლი, წყალობა!..
თავად უფალი ამ ხრიოკ მთებში, მეტად მწყალობდა!...

* * *

ვერც კი ამჩნევ სიბერეში, გული როგორ ნელდება,
დღე ღამდება უღიმღამოდ, ღამე გვიან თენდება!..
ვერ ივიწყებ გარდასულ წლებს, ნატვრა აღარ ახლდება!...
ფრთებშესხმული სიბერე კი მხრებზე შეთამაშდება!..

ვაგლახ, დროებავ!..

ლექსის ტაძარში, ფანტაზია დავსვი დედოფლად,
არ გაგიკვირდეთ, მე ახლა, მასზე ჯვარსაც დავიწერ!...
და რუდუნებით ყოველი რითმის ბრწკალს, მისივე
კალმით, მოურიდებლად და უშიშრად, სწორად აგიწერ!...

გვერდს ჩამომიჯდა, მუზა-მიჯნური, თავი დავხარე,
მას სატრფიალოდ, რძისფერი კაბა, ტანზე გავხადე...
მუზა რად მინდა უფანტაზიო, ან ეს კალამი,
ორივეს ტრფობით უფრო ძლიერი ფერი დავხატე!..

მას მერე ორის სასიძო ვარ, ორივეს ვეტრფი,
დრო გარდასულთან იფრიალებს სიტყვის ალამი!
ჯგუფი შევქმენი, თავსშევყარე აზრთა საკონად,
მე, ფანტაზია, ძლიერი მუზა და ოქროს კალამი!

შურით არეულ სახეებში რომ არ შევხედო,
თვალს ავაფარე გამჭვირვალე ღრუბლის სათვალე!..
ვერსად ვარსკვკავი ვერ ვიპოვე, ვაგლახ, დროებავ!
ბოროტის გული, ვთვალე, მაგრამ ვერ დავითვალე!..

აქ, უკვდავება ყველას ხვედრი როდი ყოფილა,
ამ მოჩვენებით თავს არასდროს არ მოვიტყუებ!..
მე იმას ვიღებ, ხელგაწვდილი უფალის მორჩილი,
რასაც მცირედს, თავისი ნებით გამოიმრტებს!..

და უკვდავებამ თუ ოდესმე დაფნის გვირგვინი გამოიმეტა,
სულმდაბალთ ბრბოში, გამოჩნდება ბევრი მოშურნე!..
აქ, მიწას ვარდი გადასთელეს, ფეხთქვეშ დაიგეს,
ყველამ გაიგოს, მათი კი არა, ღატაკთა ვარ ქომაგ, მეურვე!!!

ნელი საგინაძე - ფილოლოგი
დაბადების ადგილი თელავი

ქვებში ჩაკირული საიდუმლო

ქვებში ჩაკირული ყველა საიდუმლო
ფეხზე წამომდგარან ტაძრებად,
უფალს დაფარული ჩვენთვის გაუნდვია
მითად, ლეგენდებად,ამბებად!

ზღაპრად უფენია შვილთაშვილებისთვის
თურმე ძველისძველი სიმართლე,
არ დავიწებია თავის უბისშვილი
ქართველი-----ქრისტე ღმერთის სინათლე!

კავკასიონია ლოცვად მვედრებელი
ამ ხალხის, ამ ცისა და მიწისა,
და რა საიდუმლოდ გადაურჩენია
ეს მოდგმა, ღვთისმშობელის ჯიშისა!!!

მზეს გავუგზავნე წერილი

ყოველდღე ცას ვევედრები,
მზემან მოგვმადლოს სინათლე
და საქართველოს მიწაზე
სხივო ინათე, ინათე!

გულს მოგვარიდე ნაღველი,
ზეცამ დაგვლოცოს ნათელით,
ღმერთო პირჯვარი დაგვწერე,
მხოლოდ მაგ, შენი მარჯვენით!

გვეყო ამდენი ცრემლი და
ტკივილი გულდასერილი,
დილით უჩუმრად ამ ნატვრით
მზეს გავუგზავნე წერილი!!!

ყოჩივარდა

ჯერ ზამთარია და თოვლი კვლავ დედოფლობს
მინდორს მოხდენია მისი ბრწყინვალება
და ამ სითეთრის ქვეშ სული გაუნაბავს,
გარინდებულა და ჩუმად იმალება!

მზემაც, როგორც იქნა სხივი გააღვიძა,
სითბო პაწაწინა მინდვრად ჩამოვარდა,
თოვლზე იისფერმა ფერმა იფეთქა და
ცას შემოენათა ციდა ყოჩივარდა!!!

უთუოდ მოვა

მე შენგან წავალ ვით შემოდგომა
და სულში დარდად არ დაგიტოვებ,
აქ მოცახცახე ოქროს ფოთლებსაც
სულ თან წავიღებ, გზად დავითოვებ!

რა დამთხვევაა ო, ღმერთო ჩემო,
გარეთაც წვიმს და სულშიც აცივდა,
მოგონებები წარსულ დღეების
მივდიოდი და მხრებზე მაცრიდა!

ვერხვის, ნეკერჩხლის მუხის ფოთლები,
შრიალ-შრიალით მიმაცილებდნენ,
ხალიჩად ფეხქვეშ მეფინებოდნენ,
იმედის მზერას არ მაცილებდნენ!

იცრიცებოდა თითქმის სამყაროც,
ყვითელ ფოთლების მესმოდა თხოვა,
მარტო დარჩენის არ შეგეშინდეს,
შენთან ზაფხული უთუოდ მოვა!!!

გაზაფხული მოვაო

ნაბიჯ---ნაბიჯ ამედევნე
ზამთრის სუსხში უჩუმრად,
ჩემს ნაკვალევს მოჰყვებოდი
კვლავ ჩვეულად,კვლავ უბრად!

სიტყვის თქმაც ვერ შემიბედე
ერთი ბეწვის იოტაც
და ხვდებოდი შენს გარეშე
ჩემს სულს როგორ სციოდა!

როგორც იქნა დამეწიე
გამისწორდი მხარდამხარ,
წელს მომხვიე ხელები და
სთქვი უჩემოდ სადა ხარ!

ბოლოს ერთად ვთქვით სათქმელი
გადაიღებს თოვაო
და ჩვენს მხრებზე დაპენტილი
გაზაფხული მოვაო!!!

არასდროს სცადო...

არასდროს სცადო, სხვებზე მაღლა ასწიო თავი
და არ ისურვო ვარსკვლავებთან ხელის შეწვდომა,
დახარე თავი მორჩილებით შენს ცხოვრებასთან,
ბოლომდე სცადე შეასწორო, რაც გაქვს შეცდომა!

უხილავისგან თუკი იგრძნობ, და ამჩნევ დიდ მადლს,
ნუ აჩქარდები, საკითხავია ჯერ კიდევ ვინ--ვის?!,
კრძალვით, მორჩილად შენს სინდისთან თუ იდედოფლებ
თვითონ ცხოვრება შემოგადგამს თავზე დიდ გვირგვინს!!!

ბედნიერება

ბედნიერებავ, მოდი მესტუმრე
შენთვის კარები მუდამ ღია მაქვს,
და მოსაწვევი ბარათი შენი
ყოველ წამსა და წუთს სულ თან დამაქვს!

მაგრამ იმასაც შეგთხოვ თამამად
ყველას ესტუმრე, მხოლოდ მე არა,
რადგან ერთ კაცის ბედნიერებას
ბედნიერება არ ჰქვია, არა!

ჩამოიარე ყველას გულებში
ზოგან თვეები, ზოგან მთელი დღე,
გულის კუთხეში მიმქრალი შუქი
მიდი და ყველას გაუჩირაღდნე!

მე, შენზე ისე ძლიერ ვიზრუნებ,
რომ ამ ცხოვრებამ ხელი არ მიკრას
მიდი, მიმღერე ისე თამამად,
რომ სიძულვილმა ტაში დაგვიკრას!!!

საქართველო

გულღიღინა ყვავილებმა
ამიმღერეს მთა და მდელო,
გვირილების კონად შევკარ
ერთი მუჭა საქართველო!

მზის სხივებმა სითბო ღვარეს,
გადანამეს მთაც და ლელოც
და აპრილობს ამ სურნელში
ჩემი დედა საქართველო!

კავკასიის ბერო მთებო
უტყვად მდგარნო, მრავლისმთქმელნო,
გვირგვინად შემოდგომილხართ
ხატად ქცეულ საქართველოს!

დაე, აუგაზაფხულდეს
შენს მკერდს ია, ვარდი, ღელო,
უფლის ტაძრად ფრესკასავით
მიწერიხარ საქართველო!!!

მადლს ვზიდავ მხრებით

გინდა, არ გინდა მაცდურია წუთისოფელი,
ვერ შეძლებ მუდამ სულში კრეფდე სიკეთის იებს,
მე, ყვავილიან ბილიკებით ტაძრად წამოვალ
წმინდა ფრესკებთან, ამ ჩემს ცოდვებს მოვინანიებ!

სულ შეუმჩნევლედ შეიძლება ისე დაგროვდეს
და, ნელა-ნელა შეეპაროს სულს ცოდვის ტვირთვი
აცრემლებული გულს გავუხსნი დღეს მე ღვთისმშობელს,
რომ მომაშოროს მხრებს მომდგარი ცოდვების ზვირთი!

ტაძრიდან მშვიდად კვლავ ყვავილებს გამოუყვები,
მის ბილიკებზე შევამჩნიე მზეს უშუქია,
ვეცდები ცოდვა არ ვაგროვო„ტვირთად მძიმეა,
მადლს ვზიდავ მხრებით, ბუმბულივით ის მსუბუქია!!!

მე უნდა ვწერო

მე უნდა ვწერო და ეს მელანი
შემომელიოს ხელში არ მინდა,
მე უნდა შევქმნა, კალმით ავაგო
ლექსად იყალთო და ნიკორწმინდა!

მე უნდა ვწერო, ნება ასეა
სხვანაირად დღეს ვერ გავასრულებ,
ამდენ აზრთა და ფიქრთ კორიანტელს
იზიდავს სული ზეციდან ულევს!

მე უნდა ვწერო, აბა რაღა ვქნა
და არა მაშინ, მე მინდა როცა
მაშინ, როდესაც თვალი სულისა
თვითვე მკარნახობს და თვითვე მლოცავს!

მე უნდა მქონდეს ხელში კალამი
შემოვახატო ბგერა ამ ფურცლებს,
ხშირად საწერი მოდის იმდენი
დაღლილი მკლავი წერას ვერ უძლებს!

უნდა ვწერო, რომ აზრთა ფიქრებმა
შემომატაროს ზეცის ცხრა კარი,
ლამაზ-ლამაზი მოვკრიფო რითმა
ლექსისთვის მთლად, რომ არის ლამაზი!

მე უნდა ვწერო და ეს მელანი
შემომელიოს ხელში არ მინდა,
მე უნდა შევქმნა, კალმით ავაგო
ლექსად იყალთო და ნიკორწმინდა!!!

და წლები როცა...

და წლები, როცა თავის სიტყვას ბეჭედს დაასვავს,
აღარ ღირს მათთან შეკამათება,
მინდოდა რაღაც შემებედა, რაღაც მეთხოვა,
ხმა ვერ გავიღე, ეს რა ხდება?! - რა მემართება?!

ან კი რა უნდა გამებედა განვლილ დროისთვის,
ჩემს თვალწინ წიგნში,ოქროს წლები გადაიშალა,
მისგან ნაოჭს და თმის შევერცხლას რომ არ ველოდი,
დროის მეუფემ-წლებმა ჩემთვის არ დაიშალა!

ეს ნაოჭები ის უძილო ღამეებია
ხშირად სიმღერით, რომ ვათენებდი აკვანთან ერთად,
ეს ნაოჭები იმ ოჯახის და მეუღლის ერთგულებაა,
ეს ცხოვრება, რომ მხარში დგომით ვეზიდეთ ერთად!

ღირსებადაც ვთვლი,თუ შემოდგომა მხრებს შემომადგა,
აქ ჩემს ოქროს წლებს, კვლავ ავფურცლავ მშვიდად, ამაყად
და წლები, მართლა ასაკს,როცა ბეჭედს დაასვავს,
კვლავ შევეცდები ვიყურებოდე ქალად ლამაზად!

ქართველ ემიგრამნტებს

დავესესხები შოთას ცხრა სიტყვას კრძალვით და რიდით,
"ერო და ბერო, შიშიც მაქვს და თხოვნაც მაქვს დიდი,"
არ მიმიტოვოთ საქართველოს ეს მიწა წმინდა,
დასაბამიდან ქართველნი, რომ ვთვლიდით საფიცრად!

ვერსად შეხვდებით ამ ცისმაგვარ, ლილისფერ ლაჟვარდს,
გულს, რომ გივსებდეთ ვერსად ნახავთ თქვენ ისეთ სიოს,
არ მიმიტოვოთ საქართველო გთხოვთ, გევედრებით,
ამაყი გული არ ატკინოთ ჩემს კავკასიონს!

ამგვარ სიმღერას, ქართული სულის ვერსად მოისმენთ,
ჰანგები ბგერის ყურს, რომ უტკბობს იმერ-ამიერს,
დედამიწა რომ შემოიაროთ, ვერ გაიგონებთ,
ჩვენს "ჩაკრულოსა", "ზამთაროს"და " მრავალჟამიერს"!

თქვენი მშობლების სითბოს ვერვინ, ვერსად შეგიცვლით
და თქვენი წასვლით ოცნებები არ დამითოვოთ,
იცით რასა გთხოვთ?!-სიტყვას დედის შემოძახებულს
უცხო მხარეში უპატრონოდ, არ დამიტოვოთ!

არ დამანახოთ სახლის კარზე დიდი ურდული,
ჩამოშვებული ფარდები და სიმუქე ფანჯრის,
ქართველს არასდროს, არაფრისა შეშინებია,
ქართველი მუდამ ერთგული იყო ხმლისა და აბჯრის!

ვერ წაიკითხავთ ვერსად ისე ვაჟას, აკაკის,
ბარათაშვილის "სულო ობოლოს". "საყურეს", "მერანს",
ტიციანს, ლადოს, გალაქტიონს და დიდ დიდოსტატს
საგულეს გულს, რომ ვერ დაიტევ ზღვასავით მღელვარს!

სხვაგან სად ნახავთ ჯვარს, შუამთას, გელათს, უბისას
და ალავერდის ამონათბას დილის მზის შუქზე,
გრემს, ბეთანიას, მარტყოფს, ყინწვისს, ვარძიას, სიონს
და სვეტიცხოველს, ქრისტეს კვართი, რომ იქარგა გულზე!

ამ კავკასიის მთებს, ჭიუხვებს, როგორ მიტოვებთ,
თქვენი შობა ხომ ქრისტე ღმერთმა ამ ცას ინება,
არხოტს, ხევსურეთს, თუშეთს, ყაზბეგს ნუ მიმიტოვებთ
დარდისგან მყინვარს გული უფრო გაეყინება!

რა პასუხს აძლევთ თქვენს "აი იას", და "დედა ენას",
მშობლის ბაგიდან ნამღერ ნანას და აკვანს ქართულს„
აქ მამა-პაპის ვის უტოვებთ ცრემლებს ვაზისას
და მტევნებიდან გამონაჟურს საფერავს კახურს!

კარგად დაფიქრდით, სად მიტოვებთ კოლხეთს, იმერეთს,
ჭიუხვებს ჯიხვთა, ამაყად მდგარს თეთნულდის სვანეთს,
ქართლს, კახეთს,ჰერეთს, გურიას და აჭარის ზღვისპირს,
ჩვენს სავედრებელ სიყვარულით სავსე მზიანეთს!

უცხო მიწაზე, ნუ დაიწყებთ განძის ძიებას,
რაც აქვე გვაქვს და ვერ გვიცვნია, ვერ გაგვიგია,
მშობელი მიწის ყივილი და შვილის ალერსი,
უცხო მხარეში ძნელი არის, არ ადვილია!

გახსოვდეთ მუდამ, უცხო ქვეყნისთვის უცხო იქნებით
და უცხო ხშირად ცხვირწინ კარებს მოგიჯახუნებთ
და რა გგონიათ, იქ ისე იგრძნობთ იმ აფეთქებას?--
გაზაფხული, რომ კარზე კარებს მოგიკაკუნებთ!

არ დამიტოვოთ საქართველო დღეს ქართველებო,
ხომ ხვდებით ურჩად დაუწყიათ ჩუმად ძირის თხრა,
დედა ღვთისა, რომ მობრძანდება თვის სავანეში,
რა პასუხს გავცემ თქვენს მაგივრად, ნეტავ რა ვუთხრა?!

ამ მიწის შვილნი უდროჟამობამ მოგფანტათ ყველგან,
თქვენს სულის ყივილს ვიცი, ვერსად ვერვინ შესცვლიდა,
მოდით დიდი ხნის მონატრებულს მკერდს ჩაეხუტეთ,
თორემ უთქვენოდ საქართველოს ძლიერ შესცივდა!!!

თენგიზ ფანცულაია-ხერგილელი ოქროპირი

დაბადების ადგილი სამტრედია, დაბა კულაში,
სამართლის მაგისტრი-პოლიციის პოლკოვნიკი,
შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი

ცოდვილი ვარ?

ვიცი, ცოტა ცოდვილი ვარ,
მიყვარს კოხტა ქალები,
როგორ მინდა რომ შევუხსნა,
გულის ურჩი კარები.

შემხედავენ, მაგიჟებენ,
მაცდური აქვთ თვალები,
მაბნევს ვნებით დატენილი,
ტანი, მკერდის ღარები.

მომიმატეს გულთან ახლოს,
ტკივილი და ჭვალები,
ვაღიარებ, რა ვქნა, მიყვარს,
მაგათ ვენაცვალები.

რაც არ უნდა იჯიუტო,
აიფარო ფარები,
შენ ხომ იცი პირად გრძნობებს,
ვერსად დაემალები.

პ.ს:
სანამ მაცლის უფალი და
მეწერება ბწკარები,
მანამ უნდა მოგეფერო,
მოგიძებნო ხალები.

არ დახუჭო ბიჭო თვალი

გავიხედე, ქორწილია,
მოანათებს პატარძალი,
პირმცინარე, მზის სადარი,
მოხდენილი ტანკენარი.

--

ლამაზმანს თავს დატრიალებს,
სიძე ბიჭი გვერდში მდგარი,
ბედნიერი, კმაყოფილი,
სიყვარულის გრძნობით მთვრალი.

--

დავინახე, შევადარე,
გამომექცა ლექსის ბწკარი:
"ნამეტანი ლამაზია,
ეს „ოხერი“ პატარძალი.

--

სადმე მარტო არ გაუშვა,
მარცხი სულ „ელანძე“ არი,
მაგნაირის ცოლის გვერდში
არ დახუჭო ბიჭო თვალი"!

--

მოეფერე, დააფასე,
გაამრავლებინე გვარი,
მოდი მეფე იყავი და
ის გახადე დედოფალი.

--

ჯერ არ მივდივარ

--

ჯერ არ მივდივარ, ბრძოლას ვაგრძელებ,
თუმც ეს ცხოვრება, მეტად რთულია,
ზოგი წაქცევას, რომ ელოდება,
ჩირგვებში გვიზის გაყურსულია.

სიმართლისა და სამშობლოსათვის,
ომი და ბრძოლა თქვენთან მწყურია,
მარტყოფის ველზე რომ დაგიძახებთ,
ყველა ხომ მოხვალთ? დარაზმულია.

ერთად დავცხოთ და ბეჭებზე დავდოთ,
ვინც დასაქცევად შემოსულია,
სანამ დრო არის სოფელს მივხედოთ,
ისმოდეს ბავშვთა ჟრიამულია.

თვალს სიამოვნებს როცა სახლკარი,
ხვავით, მოსავლით გავსებულია,
ჭურის თავზე კი ლხინი გავმართოთ,
შევძახოთ ლაღი კრიმანჭულიაა

--

აი. მოვედი, სად არის წყარო

--

აი მოვედი, ხომ დამპატიჟე,
შენგან წვეული, აქ ვარ სტუმარი,
ერთი უბირი, ცოტა ცოდვილი,
გზით დამაშვრალი, მშიერ-მწყურვალი.

--

მიმოვიხედე მე გარშემო და
სად არის წყარო, სად არის წყალი.
თქვენგან ქებული, დიდო მგოსანო
გემრიელი და დაუვიწყარი.

--

ლექსად გახსენებ, გთხოვ მაპატიე,
დამშრალა წყარო, ვერ შევსვი წყალი,
მაგრამ იცოდე სულის საზრდოა,
თქვენი უკვდავი ლექსების ბწკარი.

--

პ.ს:
დღესაც გვჭირდება გულით მზრუნველი,
ხოშტარიასი და სხვათა დარი,
პოეტი-მწერალ, სტუმრებისათვის,
რომ აღადგინოს წყარო და წყალი.

აკროსტიხი-სამტრედო

ს ამეგრელოს ლამაზ მხარის მოსამანე არისო
ა დგილია იმერეთში ფლობით მიქელაძისო,
მ ტრედთა გოგმან-საკოხტაო სანავარდო არისო,
ტ ურფა ხალხით, პურმარილით,რომ ცნობილი არისო,
რ ომ იციან სტუმრის ყადრი, ეზოს მხმობი არისო,
ე რთგულები ვაჟკაცობის, იმერთ მხარე არისო,
დ აუზრდია ლამაზ ყმანი,ბათუს/ეროს დარისო,
ო დაბადე ზენაარო უნდა გამიხალისო.

გამოფხიზლდით, როცა ვყვირი

--
აირია მონასტერი,
დალაგების არ ჩანს პირი,
ამდენი ცუდის შემყურე,
ბევრმა ჩამოუშვა ცხვირი.
--
ყველა ითხოვს ამირჩიეთ,
შევიტანო ჩემი წვლილი,
ზემოთ ასული კი ცდილობს,
მოითხოვოს სადმე წილი.

ამ დროს გვერდზე ობოლია,
გაჭირვებულ--განაწირი,
ბევრისაგან მიგდებული,
ცრემლი სდის და მწარედ ტირის,
--
ყველამ ჩვენთვის მოიცალა,
გვიტევს ბნელი სენი, ჭირი,
ანტიდოტის შექმნის ნაცვლად,
აგვცრეს,თან აგვიკრეს პირი.
--
ქალები გვყავს საშოვარზე,
გაშვებული, გადაყრილი,
მათ გარეშე ოჯახებში,
აღიზრდება ერის შვილი?
--
თუ არ გინდათ მოიშალოს,
სოფლად კერა, ფუძე-ძირი,
იშრომეთ და არ დაისვათ,
თავზე უცხო ღორის ტილი.
--
მოდი ერის საქმისათვის,
ყველამ შევკრათ ერთი პირი,
მომხვდურსა და მოღალატეს,
დავუნაყოთ გრძელი ცხვირი.
--
ვიცი ბევრი დაგვიდგება,
გვერდში, ვითარცა ქვითკირი,
სამშობლო და რწმენისათვის,
თავის დამდები და გმირი.

პ.ს:
ყოველ დილით რომ გაფხიზლებთ,
ლექსად ან უბრალოდ ვყვირი,
რად არ გინდათ მიატოვოთ,
კოტრიალი, ტკბილი ძილი.

არ გეგონოთ ზეკაცი ვარ,
ან უსაქმო და მოცლილი,
დამიჯერეთ მეც ერთი ვარ,
თქვენთაგანი და ცოდვილი.

მე უბრალო კოლხი კაცი,
იმედით ვარ განწყობილი,
ქართველები მინდა ვნახო,
ლაღი, მხიარული, თბილი.
--
კიდევ ერთი ნაფიქრალი,
რეალობა და ნამდვილი,
და ვარჯიშის მოლოდინში,
ტელეფონზე აკრეფილი.
---

* * *

შიშველი მოხველ, შიშველი წახვალ,
აი ეს არის ცხოვრების წესი,
წასულს სახელი დაგრჩება მხოლოდ
და თუ მადლი გაქვს შენ დანათესი.
-
ვერას წაიღებ, არც გაგატანენ,
თურმე არ არის ეს მიღებული,
სანამ უფალი დროს გაძლევს, გაცლის,
სიკეთით იყავ დაკავებული.

შენთვის მზად ვარ შევებრძოლო ზებუნებრივ ძალებს

შენთვის მზად ვარ შევებრძოლო ზებუნებრივ ძალებს,
ცხრათავა დევს, რიგრიგობით, ზედ წავაჭრი თავებს,
არ გავხედავ, რომ შემხვდება ეშმაკ, მაცდურ ქალებს,
შენი მტერის წასაქცევად, არ დავზოგავ ძალებს.

შევებმები უცხო ქვეყნის, მე ოკუპანტ ჯარებს,
რომ დაბრუნდე, შენი სახლის, მოეფერო კარებს,
შენსკენ მომართულს წავაჭრი ეშვებსა და ბრჭყალებს,
ნაომარი შენთან მოვალ, დაგიკოცნი თვალებს.

დაღლილს მაინც ხომ დამინდობ, მომაწოდებ წყალს,
ცოტა სითბოს, გულს მანახებ, ომში დამაშვრალს,
ეს იცოდე, თავს შევწირავ ჩემთვის ძვირფას ქალს,
არასოდეს დავივიწყებ, შენი სახლის კვალს.

როდის ვიგრძნობ მკერდზე სუნთქვას, ნაზად დახრილ თავს,
მინდა უძიროს ვხედავდე, შენ თვალებში ცას.
ხომ გითხარი ველოდები მხოლოდ შენ ერთ თქმას,
ერთად როდის დავუაროთ, ზღვის პირსა და მთას.

ეს ქვეყანა ჩვენია, ჩვენი მოსავლელია

გთხოვთ დაიხსომეთ ახალგაზრდებო,
ლექსად ნაფიქრი ეს სათქმელია,
ქვეყნად ერთია ეს საქართველო,
და ისიც ჩვენი მოსავლელია.
--
აკვანი სიბრძნის, მეცნიერების,
ერი და ხალხი ძველისძველია,
არ დავივიწყოთ წინაპრის გზები,
არ გავაცინოთ ვინძლო მტერია.

ქვეყნად ერთია ეს საქართველო,
ჭირით და ლხინით მხოლოდ ჩვენია,
ძმურად მოსული გულით მივიღოთ,
შადიმანები გასადენია.
--
ჩვენია, ჩვენი ეს საქართველო,
საზღვრები დროზე აღსადგენია,
ფსოუს პირამდე გადაჭიმული,
ჩვენი სამშობლოს მთა და ველია.

გთხოვთ დაიხსომეთ ახალგაზრდებო,
ლექსად ნაფიქრი ეს სათქმელია,
ქვეყნად ერთია ეს საქართველო,
და ისიც ჩვენი მოსავლელია.
--
აკვანი სიბრძნის, მეცნიერების,
ერი და ხალხი ძველისძველია,
არ დავივიწყოთ წინაპრის გზები,
არ გავაცინოთ ვინძლო მტერია.

ქვეყნად ერთია ეს საქართველო,
ჭირით და ლხინით მხოლოდ ჩვენია,
ძმურად მოსული გულით მივიღოთ,
შადიმანები გასადენია.
--,
ჩვენია, ჩვენი ეს საქართველო,
საზღვრები დროზე აღსადგენია,
ფსოუს პირამდე გადაჭიმული,
ჩვენი სამშობლოს მთა და ველია.
--
სხვისი ყურება ჩვენ არას გვარგებს,
მინდვრები დროზე მოსახვნელია,
ამის და იმის იმედზე ყოფნით,
ხორბალი გვრჩება მოსამკელია,

ერთად ვიშრომოთ, ერთად ვიომოთ,
ქვეყანა ჩვენი დასაცველია,
სტუმარს პატივს ვცემთ, მაგრამ იცოდეთ,
ქართველები ვართ მასპინძელია.
--
დავიკაპიწოთ ყველამ ხელები
რომ ხვავიანი გვქონდეს რთველია,
ქორწილებისთვის ქვევრში ჩავწუროთ,
ჩინებული და რქაწითელია.

ქვეყნად ერთია ეს საქართველო,
უფალის ნებით მხოლოდ ჩვენია,
სხვებს არ ადარდებს მისი სვე-ბედი,
ის მხოლოდ ჩვენი მოსავლელია,

პ.ს.
სადაც კარგად გამოძღები,
იგრიალებ შენ ქართველო,
დაიხსომე ის ადგილი,
ვერ შეგიცვლის საქართველოს.

ვიცი ბოლოს მტრის ჩათვლაში,
დაიდება ქართველთ ლელო,
თქვენ არ გჯერათ?, მე მაცალეთ,
მომაფერეთ საქართველო.

გაიხსენეთ, გადახედეთ წმინდა ხეობას ქსნის

დღეს რომ ლომისას ხატთან ვიხილავთ,
ვაჟკაცი ხალხის რიგს,
ბევრი ლამაზად დაილოცება,
სიტყვებსაც იტყვის თბილს.

ვის არ შეხვდები ლომისობაზე,
მონატრებულს და ტკბილს,
ყველა სუფრაზე გეპატიჟება,
ღვინოს გაძალებს ცივს.

ეს შეხსენება გულთან მიიღეთ,
თუ გწამთ ხატის და ღვთის,
მარტო ერთ მხარეს ნუ იყურებით,
ნუღარ შეირცხვენთ პირს.

თხოვნა მექნება ჩემო კარგებო,
არაფერს მოგთხოვთ ძვირს,
ლომისას ტაძარს რომ ესტუმრებით,
გთხოვთ ჩაიხედეთ ძირს.

იქაც ლამაზი საქართველოა,
ოღონდ ხელშია, მტრის,
დარჩენილები, თქვენ რომ იცოდეთ,
მაინც ქართველებს ზრდის.

ახალგორია ჩემო კარგებო,
წმინდა ხეობა ქსნის,
ჩაკეტილები ელოდებიან,
ხეობის მხსნელს და გმირს.

იქაც მერხებთან, ოდნავ ჩაგრული,
ქართველი ბავშვი ზის,
და ჩვენი სისხლი, ბეჯითად სწავლობს,
ქართულ ანბანის ძირს.

ამიტომ ყველამ თითო ფიალა,
შესვით იქ მყოფი ძმის,
არ განაწყენდნენ ზოგიერთები,
ბევრზე მედგარი დის.

ვინც არ დაკარგა ქართული სული,
გარემოცვაში მტრის,
და თქვენ დალოცვას თენგო გაატანს,
სხივებს, ცხრათვალა მზის

თქვენი სახელით მოვეფერები,
პატარებსა თუ დიდს,
და კოლხი კაცი გადავუფრენდი
წმინდა ხეობას ქსნის.

მივულოცავდი ყველას დღეობას,
ლომისის, ლამაზ მთის,
თქვენი სახელით გავამხნევებდი,
შევუმსუბუქებ ტვირთს.

სამი წელია ჩაკეტილების,
სევდა ცრემლებსა მგვრის,
მტკივან გულიდან არ იშორებენ,
საქართველოზე ფიქრს.

შევახსენებდი, რომ არ მოდუნდნენ,
უნდა გაუძლონ ჭირს,
სულით ფერებას აღარ მოეშვან,
ლამაზ ქართული მხრის.

ავუკრძალავდი მე ხეობელებს,
ტირილს და ვაი-ვიშს,
და გამრავლებას ვუსურვებ მუდამ,
ძირძველ გვარებს და ჯიშს.

გაიხსენეთ და გთხოვთ მოეფერეთ,
წმინდა ხეობას ქსნის,
დღეს ამ ლამაზი ხეობის თავში,
ბოროტი დევი ზის.

ვატყობ რომ წელსაც ვერ ავცილდებით,
ამ აკრძალვებს და ჭირს,
ვერ მოხერხდება გულით ფერება,
სახლის, კარის და ძმის.

პ.ს:
მგონი იხსნება მალე სარკმელი,
მტრისგან დაკეტილ გზის,
ორივე მხრიდან შესვლა-გამოსვლას,
ხალხი ახერხებს ხლივს.

რატომღაც ცოტა იმედი შემრჩა,
მე ხვალინდელი დღის,
მაინც დაგვითმობს მტერი მგონია,
წმინდა ხეობას ქსნის.



თეიმურაზ კვარაცხელია - პოეტი

სამოქალაქო მოძრაობა ეროვნული ღირსების
დარბაზი უკეთესი საქართველოსათვის თავმჯდომარე -
კვარაცხელიების საგვარეულო კავშირის წინამძღოლი,

* * *

მოდით და მტკვარზე ტივი გავშალოთ, მტკვარი წვეთ-წვეთად დავაჭაშნიკოთ,
მოდით და მაშინ როცა ლექსებს ვთხზავთ, მთვარე მზის სხივთან დავაკავშიროთ...
მოდით ტიტები დავახარისხოთ, გადავუწითლოთ მინდორს ფერები,
ცხენებს ფაფარი გადავუვარცხნოთ, დრო გადავსეროთ ჭენებ-ჭენებით...
მოდით და ერთად დავით მეფისებრ, ობლებს და მშივრებს სული ვაჩუქოთ,
მუზა ვაცეკვოთ ნიკალას ფუნჯით, ამ სოფლის სული ერთად ვაკურთხოთ...
მოდით და სულზე რწმენა მოვირგოთ, თამარის რწმენით ავიდეთ ტახტზე,
ამ უსამართლო წუთისოფელში, იქნებ და მეფემ გვიშველოს რამე...
ურმის ჭრიალი სივრცეს მიაპობს, წუთისოფელი მისამღერს ამბობს,
ცისკრის ვარსკლავიც ვერ იკიაფებს, თუ არ გამოჩნდა მზის სხივთა საძმო...
როს მვედრებელთ ხმა ვერ წვდება გრძნობებს, ნუგეშისმცემი არა ჰყავს სოფელს,
ხომ არ ჯობია ღმერთს მივაკითხოთ, უკვდავების რომ წამალი მოგვცეს...
არწივთა მსგავსად შეჩვეულ ფრენით, დასაბამიდან ცის საზღვრებს ვიპყრობთ,
ამიტომ მიზეზს თუ მოგვცემს მიწა, სადაც ვცხონდებით, იქ მინდა ვიყოთ...
გადავეშვები უხილავ ფერში, ედემის ბაღით მოვიკლავ წყურვილს,
ცის კანონებით მორჩილ სიყვარულს, არ შევუჩერებ სიცოცხლის სურვილს...
და ამიტომაც დრო მიმაჩნია, დრო ხელისგულზე უნდა დავისვათ,
ათვლის წერტილად გაზაფხულის მზე, ვით მზე სიცოცხლის ისე აღვიქვათ...
ფერთა ქარავანს მუზა მიყვება, დაბრძანებულა მზის ეტლში რწმენა,
სანთლის ალს ვხედავ, ხელს მიქნევს თითქოს, დიდება უფალს რომ ჩემი სჯერა...
წარსულის ფურცლებს ხელი შევავლე, მაგნოლიების შრიალი მესმის,
იქნებ და რისი თქმა უნდათ ძველებს, როდესაც აწმყო იწვება ცეცხლში...
და მაინც მუზა, სამყაროს სუნთქვა, სიტყვა ნაქსოვი ხელოვნის ხელით,
შემოქმედებას ვერაფერს უზამ, თუ სანუგეშოდ ღმერთი გყავს გვერდით...
როცა ცის ნაყოფს გვიგზავნის ღმერთი, რაღაც სასწაულს არა, არ ვითხოვ,
მტკვრის სათავეში ტივი გავშალოთ, მტკვარი დუდუკით გავახალისოთ!..

* * *

სიყვარულია, აღმოაჩინო და გაიხადო სიწმინდედ შენად,
სიყვარულია, თუნდ გაელვებით სულით აღიქვა რომ მასში შენც ხარ,
მშვენიერების წალკოტში მოხვდე, თუთარჩელებით აივსო გული,
ცა ვარსკვლავებით რომ იჭედება, მათი ფიქრთა წვა წარმოთქვა ლექსად..
სიყვარულია აფრები ზღვაში, თეთრი და თეთრი, თეთრი ფერები,
არწივის ფრთებით შეგეძლოს ფრენა, შენად იგულო მინდორ-ველები,
სიყვარულია ვედრება ქალის, თუკი სურვილი გრძნობას თან ახლავს,
სიყვარულია როცა გწყურია, წყურვილს რომ იკლავ ქალის ცრემლებით...
ზეციურ ხიდებს თრთოლვით შევყურებ, იალაღებით გავცქერი წარსულს,
ქალი ზოგისთვის არის სიმდიდრე, ზოგისთვის კიდევ, რომ გითხრათ არ მსურს,
თუ გიყვარს, მჯერა უნდა შეგეძლოს, შიშველ ფიქრებსაც ჩააცვა კაბა,
ვნებებს იქამდე უნდა მისდიო, არ მოგცემს სანამ სინდისი დასტურს...
სიყვარულს მზის დრო უნდა მოარგო, როდესაც გრძნობ და როდესაც გიყვარს,
გრძნობის სცენაზე ზღაპრად ასული, ღელვით რომ თრდოდეს ძალიან დიდხანს,
ცის პოდიუმი მოუხდებოდა, ნათაფლ-ნაშაქრალ ღიმილის რხევებს,
სული კაცისა თუკი აღსდგება, ვით ქრისტე ღმერთი მოსული ფიქრად...
ლექსთა ალერსში მსურს იწრთობოდეს, ლტოლვის ქარცეცხლში ნაწრთობი გული,
განაჩენი თუ მოახერხებდა, მარტოდ ყოფნის რომ არ გახდეს მსხვერპლი,
იმედის გუმბათს ცა ერგებოდეს, გამოხატავდეს სიცოცხლის სურვილს,
აი ასეთი მსურს სიყვარული, სავსე გულით და სიმართლის მთქმელი...
პირამიდები, პირამიდები, ლექსით ვერ თქმული სიმაღლის განცდა,
ლტოლვა იმისკენ სიყვარულს რაც კი, სულის სანთლებად მუდამ თან ახლდა,
ცის სიმაღლიდან მსურს ვიგრძნო პულსი, ზღვის სიგანეზე რომ გავდო ხიდი,
აცრემლებული წუთისოფელი, მსურს შევაფარო ღვთისმშობლის კალთას...
ვჭავჭავაძეობ, ვგალაკტიონობ, ფიქრთა ვექტორში ვეძებ ბაირონს,
ნეტავ რამდენი ყანწი მჭირდება, სულის თხოვნით რომ ღვინო დავლიო,
ტერენტის მუზით ვეძებ სიყვარულს, ბარათაშვილის მამშვიდებს ლექსი,
წინანდლის ვარდის წრფელი გრნობები, დღესაც მთაწმინდას უნთებს ლამპიონს...
დაუზოგავად, დაუზოგავად, დაუზოგავად გაიღეთ თავი,
როცა სიყვარულს ჭირდება მსხვერპლი, სულმოკლეობას აპკურეთ წყალი,
უიმედობა, სასოწარკვეთა იქნებ როგორმე გადადოთ გვერდზე,
ემოციების ბარიკადებზე ქრისტეს მხედრობის იშიშვლეთ ხმალი...
სიყვარულია, გრძნობით დარგულ ხეს, სულის გასაღებს თუკი მოარგებ,
ნიავქარებით ატოტილ ვნებებს, ქარსაცავებში თუკი მოაქცევ,
ძარღვიან ღამეს ლექსს თუ შეუთხზავ, პოეზიის ხმას მიაწვდენ მთვარეს,
გრძნობის შრეებში გაჩენილ ნაპრალს, მისივე ცრემლით თუ ამოავსებ.

* * *

რატომ მიდიან ქართველები საქართველოდან,
რატომ არ შრება ბავშვის თვალებზე ობოლი ცრემლი?
რატომ ვერ ფასობს საქართველოში ქართლის დედობა,
ასე ბოროტი და სისხლისმსმელი ვინა გვყავს მტერი?...
რატომ ტირიან საქართველოში ცის პოეტები,
ლექსად გადმოღვრილ ზეციურ მუზას ვერ ხდიან წმინდად?
თუკი ხვრელიდან გველს ამოიყვანს დრო მოფერების,
მაშინ რა არის, როცა ვერ წვდება გონება მიზანს?..
რატომ ვერ ფრენენ კლდის არწივები ჩვეულ სილაღით,
ასე რად გლოვობს ციური მუზით შექმნილი ლექსი?.
თუ, საქართველო რა დღეშიც არის, მხოლოდ იმად ღირს,
თუ საქართველო სახელით არის მხოლოდ წილხვედრი?..
დრომ გამორიყა სულით ძლიერი ნაპირზე ცრემლით,
უიმედობით მთვარეც ვეღარ ჰფენს მის სხივებს გზაზე,
დასაბრუნებელ ბედნიერებას ვეღარ ცნობს ვერვინ,
დაბრუნებულს კი, ვით უძირო ჭურს მადლით ვერ ვავსებთ...
დამთამაშებენ სიცოცხლის სავსეს უცნობი ხმები,
ეჭვებს მოუცავს ოდეს ნაქები ქართული აზრი,
ამ სოფელს ჩემსას ვხედავ პატრონი არა ჰყავს მეტი,
ვიდრე უჭკუო, ამპარტავანი, მგმობელი ხატის..
რად დაივიწყე ადამიანო ქრისტეს მხედრობა?
რატომ არის რომ თაობა დროის მთავარს ვერ აგნებს,
ვაი, რომ ერმა გზა აირჩია, რაც არ შვენოდა,
გადაივიწყა, ვინ ვიყავით და რა გველის ასე...
გამოიღვიძე, ჯერ კიდევ საღო მამულო ჩემო,
ღირსებას საფრთხე რომ ემუქრება, ნუთუ ვერ ხედავ?
წყალს ნუ გაატან, რაც წინაპრისგან საჩუქრად გერგო,
თუ ერს ჭირდება, პირველი მსხვერპლი, დიახაც მე ვარ...
ეი შენ ციხევ, ოდეს დარაჯო იბერთა სისხლის,
კითხვა მაქვს შენთან, კითხვა რომლის თქმაც ძალიან მიჭირს:
თუ გაჭირვება ხორცის ტოლია, რას გვეტყვი ისეთს,
რას გვეტყვი ისეთს, რომლის პასუხიც იმედად გვიღირს?..



დედასამშობლოვ, შენ გმირთა კერპად გვჭირდები ყველას,
''აქსიოს" ვცრემლავ, როს ხელდასმისთვის ვამზადებთ ქართველს.
გრდემლთა ზმანების უკვდავების ხმა მოითხოვს შველას,
დასტურს იმისას, რომ სულთა ნაფიქრს გავუღებთ კარებს...
რატომ ტირიან ქართველები დღეს ასე მწარედ?
გამოკეტილა წინაპრის სახლი, ჩამქრალა კერა,
ხომ არ აღსრულდა წინათქმა უფლის, ნათქვამი ადრე -
პირნათელნი რომ ვერ წარვსდგებოდით ზეციურ კერპთან?
სასაფლაობებს გარს მოსდებია სარეველები,
წინაპრის სულით გაჯერებულ დრო ვეღარ გრძნობს კაცი,
კარს მომდგარ სტუმარს ჩვეულ ღიმილით ვერ ვეგებებით,
ნუთუ ყველასგან მიტოვებულნი, უღმერთოდ დავრჩით?..
ისევ მიდიან ქართველები საქართველოდან?
ვეღარ ასრულებს ქართული სული მაცხოვრის ნებას,
გაინტერესებთ, რად გადაწონა სიკეთე ცოდვამ?
ეჭვი არა მაქვს, პასუხის ალბათ შეგვრცხვება ყველას!.

* * *

წვიმის წვეთებს ვესაუბრე, ცრემლს აფრქვევდნენ მინდორ-ველებს,
მითხრეს: თუნდაც ერთი კოცნა, გაპოვნინებს, რასაც ეძებ,
ცას ავხედე, გადავწყვიტე, სიყვარული დავსვა ტახტზე,
ურომლისოდ ამ სოფელში გინდ ყმა იყავ, გინდა მეფე..

ხელისგული შევუშვირე, ცელქი სიო ნისლს აქრობდა,
გადაღლილი ნიავ-ქარი ლტოლვილ ტალღას დარაჯობდა,
ფურცლებს შლიდა სიყვარული, წვიმის მუზას აფრთხილებდა:
„თუკი მეფე ჯვარზე აცვეს, სიყვარულსაც არ აწყენდა!"..

ჭრილობები დავითვალე, ფიქრი ვანდე წარსულ დღეებს,
პაპაჩემი თოხს იქნევდა, დედაბერი შლიდა ხელებს,
წინაპარი გამახსენდა, ცას ავხედე, მათ ხმას ვენდე:
„აზრს ნურასდროს ნუ შეიცვლი, თუკი გიყვარს, შენ ხარ მეფე!"

* * *

ფერდობს წინაპრის სული ამშვენებს,
თამარის კალთით მივყვები ბილიკს,
ეს, იმ დროების ამბავს მახსენებს,
რით მომავალშიც ამაყად ვივლი...
„ვისი გორის ხართ?... იკითხა მეფემ,
ჩემი წინაპრის რომ მოკრა თვალებს,
ჩუმი ჩურჩული რომ გაიგონა,
მიხვდა, არ ცნობდა ხალხი მის გვარებს...
ერთმა ვაჟკაცმა, ოდიშის მკვიდრმა,
სახით კოლხმა და სიმაღლით დიდმა,
ტრადიციული კვარი მეგრული,
თასით მიართვა, ეხვეწა დიდხანს...
მეფემ მასპინძლის მოწოდებული,
არ იუარა, მხოლოდ ერთს მიწვდა,
„უჰ, რა ცხელია“ - უცებ გაწითლდა,
თუმცა, სიცხარე არ შეიმჩნია,
და მორთმეული ბიჭის გასინჯა...
მეფეს ღიმილი გადაეფარა,
ხალხს გადახედა და უთხრა სიტყვა:
„რა ჰქვია, კოლხო, რაც მომაწოდე,“
კოლხი დაიბნა, თუმც სათქმელს მიხვდა...
„კვარი მეფეო“ - შეცბა ჭაბუკი,
„მამა -პაპათა ლუკმაა იგი,
კიდევ მოგართმევთ, გულით და სულით,
ოღონდ ინებეთ პატივი მისი“...
მეფე ცოტა ხანს ჩაფიქრებულა,
გონით იფიქრა, ხალხს თვალით მიწვდა,
ხალხი კი სულ მთლად გაფითრებული,
მეფე იტყოდა რაღაცას - მიხვდა...
„ჰმ,“ - ჩაიცინა მეფემ თავისთვის,
მერე დახედა მორთმეულს, რიდით,
„კვარი კარგია, მაგრამ ცხელია,
გემრიელია, ვით ხალხი მისი“
„ამიერიდან აქ მცხოვრებ ხალხებს,
ჩვევებითა და სიმტკიცით ნაქებს,
მინდა რომ გვარი, გვარი ვუკურთხო,
ჟამი რომ მოვა, ცამდე რომ აწევს...
ვხედავ რომ, ისე, ვითარცა ძღვენი,
მასპინძლის გულით თქვენ რომ მომართვით,
აქ ხალხი ცხოვრობს ტკბილი და ცხელი,
აქ ხალხი ცხოვრობს საოცრად ბრძენი...
ამიტომ თქვენთვის მიბოძებია,
გვარი ნაკურთხი მეფისგან თქვენი,
„კვარი ცხელია?“... გაიმეორა,
და მერე ისევ იცვალა ფერი...
„კვარიცხელია, ამიერიდან,
ეს იყოს გვარი, აქ მცხოვრებ ხალხის,
მჯერა, რჩეული ყველა ერიდან,
თქვენც რომ იქნებით, დღეიდან, აწი...
დამილოცნიხართ, ღმერთის გფარავდეთ,
ღმერთის გფარავდეთ რწმენა და წესი,
ისევე, როგორც მამულს მანამდე,
აწიც, მინდა რომ ამრავლოთ ერი“.....
მეფემ გახედა თვალს მომდგარ ცრემლებს,
მეფემ გახედა კოლხეთის ველებს,
როცა ჭაბუკი მასთან მივიდა,
როცა ემთხვია მის გაწვდილ ხელებს...
„დიდება მეფეს,“- იხუვლა ხალხმა,
გვარის ნათლობას ცრემლებიც ახლდა,
ბედნიერების შუქ -ჩრდილი მეფეს,
სანამ იქ იყო, ბოლომდე დაჰყვა...
აი, ასეა ნაკურთხი ჩემი,
ჩემი წინაპრის ჩვევა და ცრემლი,
როს გვარს თამარის ხელი ატყვია,
მე მისი სულის ერთგული ვრჩები...
დღესაც არწევენ დედები აკვანს,
თამარის მადლი, მათ შვილებს ფარავს,
შვილებს, დიდმეფის ნაკურთხი გვარი,
ახლაც და მერც ექნებათ ფარად...
მე ეხლაც თვალწინ ჭაბუკი მიდგას,



გვარი უბოძა რომელსაც მეფემ,
„კვარიცხელია“ - პირველი გვარში,
ახლაც, მჯერა რომ ჩვენს სულებს ეძებს...
გამოუნათოს უნდა გონება,
მეფის სურვილს რომ დღესაც მოყვება,
მე კი იმ ძახილს დაველოდები,
როცა შეგვკრიბავს ყველას დროება...
ლეგენდა მუდამ ლეგენდად რჩება,
თუმც ლეგენდებშიც არის მართალი,
ბედნიერი ვარ, ჩემ გვარს რომ ერგო,
კურთხევა მეფის - მეფე თამარის.

* * *

საოცარი ღამე იყო გუშინ,
მთვარის შუქზე ნებივრობდა ნუში,
ქარის კვნესას აყოლილი ხმებით,
ჭიანური მიძვრებოდა სულში...
თენდებოდა მოფიქრალი დილა,
ცისკრის ვარსკვლავს აძინებდა ნანა,
მზე იმ ქუჩის მოსახვევში იდგა,
სადაც იებს გვირილები გვანან...
მინდვრის ცეკვას ასრულებდა ვარდი,
ლექსებს მუზა უკერავდა კაბას,
სიხარული დაფრინავდა ცაში,
ქალის მკერდი საოცრებას ჰგავდა...
ჩიტი ჩიტად ნატრულობდა ყოფნას,
ირმის ნუკრი სილამაზეს ქსოვდა,
სიყვარული სხივს აფრქვევდა ზღაპრად,
დედამიწა ქრისტეს მოსვლას გრძნობდა...
ცის დესპანად დავიქადნე მოსვლა,
ანგელოზებს შევუარე ცაში,
რა ჯობია კაცურ-კაცად ყოფნას,
ზეცის სულთქმას გულწრფელად თუ ახსნის...
საოცარი ღამე იყო გუშინ,
მთვარის შუქზე ქანაობდა ნუში,
ზაფხულს წვიმა უკითხავდა ლექსებს,
ჭიანური მიძვრებოდა სულში.

* * *

ნაპირებიდან გადმოსვლა მიყვარს,
ზღვად დაბადებულს, ეს მაძლევს სტიმულს,
ცით გაჟღენთილი მსურს შევხვდე ცისკარს,
გადავუშალო დრო იქნებ მზის გულს...
ნაპირებიდან გადმოსვლა მიყვარს,
არდაჩვეული უაზრო წუწუნს,
პასუხს ვუძებნი ახდენილ სიზმარს,
დაუსახლებელს რომ ვსტუმრობ კუნძულს...
წვიმის წვეთები, ქარაქაფები,
მზის ყელს რომ სტუმრობს უკვდავი ცაა,
მკრეფს ნამცეცებად თლილი თვალები,
ვერ გავრკვეულვარ, მე ვარ თუ სხვაა...
დროს ეხეთქება ნაფერმკრთალები,
ნაფენ ზეწრებზე ნისლის ფერს ტოვებს,
მე ველექსები დროს აალებით,
დუმილით აღქმულ ზეციურ ნოტებს...
მაგრამ ვაი, რომ ამ ციურ ნოტებს,
დროის სიმები ვერაფრით იღებს,
გამოსავალი ერთი აქვს სოფელს,
უნდა აიღოს, რაც უნდა ჭირდეს, -
თორემ დარჩება ეს დედამიწა,
ცამდე ასაღმართ სულის გარეშე,
და მსგავსი სული ვიღას ჭირდება,
თუ ვერ მოიმკი, რაც კი დათესე...
როცა კალაპოტს, ვიწროს და ფერმკრთალს,
სანატრელი დრო სულ სხვა გზით მიჰყავს,
მე ჩემი ლექსით, რომ შევწვდე მწვერვალს,
ნაპირებიდან გადმოსვლა მიყვარს.



ელგუჯა უძილაური პოეტი
დაბადების ადგილი ახმეტა

თოლია

ჩემო გიშრისთვალება,
ჩემო თეთრო თოლია,
ზღვათა უსასრულობამ
საით გაგიყოლია?

მოლოდინით გავყურებ
უსასრულო სიშორეს,
სევდა უშენობისა
ვერაფრით მოვიშორე.

ტალღებს მოჰყვნენ შორიდან
მაწანწალა ღრუბლები,
ხომ არ გინახიათო, -
შენზე ვესაუბრები.

„აღარ მოვა არასდროს“, -
ჩურჩულებენ მოწყენით, -
„ვეღარაფერს უშველი
ცრემლით, ზღვათა ოდენით“.

ასე დავრჩი, ეულად,
შენს ლოდინში, თოლია,
მთებზე უკვე მოთოვა,
თმაშიც თეთრი თოვლია.

არ დაიშალე, გამწირე

გეძახდი - დარჩი, ნუ წახვალ,
მთებს მისწვდა ჩემი ღაღადი
არ დაიშალე, გამწირე,
წახველ, არ მითხარ - ნახვამდის.

იქნება მოგესურვილოს
და კიდევ ერთხელ მნახავდი,
მაშ, მოდი, რად იგვიანებ,
სადა ხარ კარგო, აქამდის?

ცისკრის ხანს ზეცის კიდესთან
იალებს შენი აჩრდილი,
გულსა ჰკლავს წამწამთა ჯარი,
ქარაფთა ქიმზე დახრილი.

ანაზდად, ნისლი ტიალი,
ხეობებიდან აშლილი,
დაგეფინება, აღარ ჩანს
სახე - სამოთხის ყვავილი.

აღარც შენ, აღარც ლურჯი ცა,
აღარც ქარი ქრის მთებისა,
გაფანტოს ნისლი, გიხილო
მიზანი - უკვდავებისა.

ყოველ დღეს

ყოველ დღეს, როგორც მეკობრეს ზღვათა
მიაქვს რაღაცა დაუვიწყარი,
მზედ გაელვება მშვენიერ ქალთა,
ოდესღაც ზღაპრად გვიამბობს ქარი.

ყვავილთა სურნელს, ვით წვიმის ღვარი,
წალეკავს სუსხი, ზამთრისპირული,
შორს, შორეული ნათელით მთვარის,
აელვარდევა კოშკი ყინულის.

მე სევდა მომკლავს, უიღბლო დღეთა,
ცხოვრება წავა, გადამქუხარებს,
მზე იფერფლება დასალიერთან,
მალე უკუნი შემოხსნის კარებს.

ვეწვიოთ ზეცას

მზე გაბუტული ბავშვივით მიმზერს,
მალე სინათლის დახურავს კარავს,
ისევ მოისხავს ზეცა სევდისფერს,
შენი სიშორე ისევ შემზარავს.

წავიდეთ, კარგო, ვეწვიოთ ზეცას,
მაშ ამ მიწაზე რა დაგვრჩენია,
სადაც ასპიტი სიყვარულს გესლავს,
სად თვით სიცოცხლე მწუხრისფერია.

იქ, სადაც, ლაჟვარდს სილურჯე მოსავს,
სად ანგელოსთა ისმის გალობა,
ზეციურ ფერთა სინაზით მოგრთავს
წმინდანის ფრთებით ნიავ-ქრარობა.

გშვენის, ქარო, სიჯიუტე, გშვენის

გშვენის, ქარო, სიჯიუტე, გშვენის
აჩრდილები ხეთა, კლდეთა, მთათა,
გაცილებენ, როგორც მეაბჯრენი,
უსასრულოდ სდევ შორეულ გზათა.

გადაივლი მთა-გორებზე ფრენით,
კლდეზე ზვირთებს შეალეწავ ზღვათა,
ღამის ტრამალს ქარაშოტი შენი
სევდას მოჰგვრის, ვით გოდება ქალთა.

და როდესაც ჭირთა ვეღარ მთმენი
მივალ, ქარო, გაგიჟების ზღვართან,
გზა მასწავლე, ზეცას გასაფრენი,
ცოდვის სოფელს გამაშორე კაცთა.

* * *

გული დაიყო ლექსის ბრწკალებად
შენ კი სადა ხარ, ჩემო ნიბლიავ,
გადაკარგულო თვალთახედვიდან
უშენოდ ყოფნა არ შემიძლია.

ამ წუთისოფლის ავმა ქარებმა
ყრმობის დღეები მოითარეშეს,
ჩემი ოცნების ციხე კოშკები
დააქციეს და მოინარეკლეს.

დღეს ამ წარსულზე, ჩემო ნიბლია,
შენთვის სიმღერა მინდა დავწერო,
იმ წარსულივით ნაზი და წმინდა
გულში ჩაგიკრა და მოგეფერო.

ვერსად გპოვე

ქარაფ-ქარაფ ქართან ერთად,
უკვალავი გზებია,
ვჭაბუკობდი მი-მოვქროდი
ჩემუ ლურჯა ცხენითა.

დაგეძებდი, მოგიხმობდი,
ჩანჩქერებუს ქნარითა
შენი სახე ცის კიდესთან
ინთებოდა მთვარითა.

რად არ მოხველ, გაგითბობდი
მხრებს ლეკური ნაბდითა,
ღამის ლანდებს სიყვარულზე
ვამღერებდი ქარითა.

ვერსად ვპოვე, შენს ძებნაში
სიჭაბუკე წავიდა,
ხელმოცარულ მხედარს ვგავარ
ყრმობის დღეთა ზღაპტიდან.

* * *

კვლავ ვნახე შენი სოფელი,
მზემ ნისლის ფარდა ასწია.
ცელქმა ნიავმა წყაროსთან
ჩადუნა გადაარწია.

მაგ შენი სოფლის ბოლოზე,
ხარობს შალშავი პაწია,
მისმა სინაზე სიტურფემ
კაცი სურვილად მაქცია.

* * *

აშლილან სამგზავროდ ნისლები მგლისფერი,
წავიდნენ, მიდიან კვალდაკვალ ქარისა,
თოვლიან მყინვართა ცადაწვდილ ქონგურებს
უხდება ზარნიში ნოემბრის მთვარისა.

რამდენჯერ დავლახე მწვერვალთა კალთები,
ღამეებს ქარაფთა კიდეზე ვათევდი,
ჩანჩქერთა ხმაურში არაყით შემთვრალი,
შენზე ფიქრს ნიავის კალთაზე ვარწევდი.

მაგრამ, დღეს რაღა დროს წარსულზე ფიქრია,
ოცნების ფერია გაფრინდა სხვა მხარეს,
ამაყნი არიან ლამაზი ქალები,
ეკლიან ბილიკზე სხვაც ბევრი ატარეს.

აშლილან ნისლები და ახლა არ ვიცი,
კვლავ შენზე ოცნება დღეს რაში დამჭირდა,
ვძებნე და ვერ ვპოვე შენს გულში ადგილი
და ამდენ წამებად ცხოვრება არ ღირდა.

* * *

გუშინ მწუხრის ჟამს, ერთმა ასულმა,
ნუკრის თვალები შემომაფეთა,
მიდიოდა და ლერწამივით ტანს
მიმოარხევდა იქით - აქეთა.

რას მიშველს მისი შორიდან ცქერა,
ფუჭი ოცნებით ტეხვა ღამისა,
თუ არ ჩავხედე თვალებში ვნებით
და არ ვიგემე სიტკბო ბაგეთა.

ჩემი სამყარო

თმაში ისე ჩამოთოვა,
ეს დრო ისე წავიდა,
არ მქონია დღე ისეთი,
მეთქვა - ვპოვე რაც მინდა.
ვერ ვახარე სიკეთის ხე,
ვერ ვპოვე სამართალი,
მოძმის მკერდს ვერ ავარიდე
მოძმის ბასრი ხანჯალი.
ვძებნე, მაგრამ ვერსად ვპოვე,
ჩემი ნავსაყუდარი
და ჩემს იღბალს როგორც დუშმანს
გავეკიდე მუქარით.
სხვა სამყარო შევქმენი და
ავაშენე ტაძარი,
მის წიაღში დავივანე,
ვპოვე თავშესაფარი.
ამ სამყაროს ვერვინ ხედავს,
კაცთ სიბეცეს დავცინი,
თითქოს თავზე დამეხუროს
ქუდი უჩინმაჩინის.
ოდეს დამღლის ამ მიწაზე
რია-რია ქაჯური,
ჩემს სამყაროს მივაშურებ,
მისი ტაძრის მსახური.
მოვიხურავ მხრებზე ღამეს,
ვარსკვლავებით მოფენილს
სად არ წავალ, ვინღა არ ვარ,
ოცნებაში მყოფელი.
ხან მტერი ვარ და მსაჯული,
ცოდვიანთა ცოდვების,
ვმართავ ნადიმს ურწმუნოთა
გადაჯოჯოხეთების.
მინდა ჟამი დავასრულო,
ტანჯვისა და გოდების,
ხან ღმერთი ვარ და მიწაზე
სასწაულებს მოვახდენ,
სიკვდილს ვკლავ და უკვდავებას
მოკვდავთ სულებს მოვაფენ.

აჰა, სიმღერას გიტოვებ ქალო

გულს ქარიშხალი ვერ დაიმონებს,
თავად ქარიშხლობს დღით და ღამითა,
შენი სიცივე მყინვარს მაგონებს,
მიხვალ, მშვენება მიგაქვს ყვავილთა.
ნუ გამიქრები ქალავ უკვალოდ,
ფშავ-ხევსურეთის ხატებს გაფიცებ,
შევეწირები ამ მთებს უდაოდ,
ქარსა და ნისლში გზას ვერ გავიგნებ.
მაგ თვალთა ხიბლი, ვიცი, არ მწყალობს,
ციცაბოებზე მიმტრო ბილიკმა,
აჰა, სიმღერას გიტოვებ ქალო,
დაგეფინება გზებზე თილისმად.

არ დავლევ

არ მითხრა, დავლიოთ,
დღეს მაინც არ დავლევ,
მე ღვინით ვერ წავშლი
იმ დღეთა ნაკვალევს,
როდესაც ის ქალი
მე ღმერთად ვიწამე
და მთელი ცხოვრება
მის გამო ვეწამე.
არ დავლევ, თუ სუფრას
ქალი არ ამშვენებს,
ნაღვინარ თვალებით
გრძნობას რომ ახელებს.
ადგება, ირწევა,
ვით ქარში თოლია,
მე მაშინ ქალისთვის
ვგიჟდები, მგონია.

გოდება მგლისა

ეხ! ყრმობის დღეთა უდარდელობას
თან სდევდა ჩრდილიც სევდიან ფერთა,
ეხლა, ჭაღარა გულის შემყურეს,
მწადია ხილვა ბავშვობის დღეთა.

ჩემს ბავშვობაში სოფლის კაცებმა
მგლების ბუნაგი მოითარეშეს
და უსუსური ოთხი მგლის ლეკვი
დიდი ზეიმით სოფლად მორეკეს.

მგელი კი ამ დროს ნანადირევით,
ხრამებზე ფრენით მანძილს ჰკეცავდა,
ღვთით გაჩენილა კაციც და მგელიც
მათ შვილთა რჩენა მოსდგამთ წესადა.

თვალი მოავლო ცარიელ ბუნაგს,
მიწა გაბასრა ბასრი ბრჭყალებით
და უხილავ მტერს დაატყდა რისხვად,
მგლის თვალთა მგლური აელვარებით.

მგელი მგელია ბუნებით მგლურით
მაგრამ სინაზე მგელშიაც ბუდობს,
გულაღრენილი დაადგა მტრის კვალს,
საკუთარ შვილთა გამოხსნას ფიქრობს.

შემოღამებას შემოჰყვა სოფლად
მგელი, დაკარგულ შვილთ მაძებარი,
მისი ღავღუვი, გულის მზარავი,
მიაწყდა სერებს, ვით გლოვის ზარი.

ასე იგლოვა მან ხუთი ღამე,
შვილებს უხმობდა გულის შფოთებით,
ბზიანას გორზე გადმომდგარ მთვარეს
შესთხოვდა შველას ველურ გოდებით.

მთვარე კი სდუმდა, მუდამ მდუმარი,
მწვერვალთა ჩრდილებს ქარაფზე ჰფენდა,
მაღლით დასცქერდა მიწიერ ცოდვებს
და მათი ხილვა ფეხდაფეხ სდევდა.

მგელი მგელია ბუნებით მგლურით,
ადამის მოდგმის მტრად შეცნობილა,
მაგრამ სიავე კაცთაგან ქმნილი
ვერც ერთ სასწორზე ვერ აწონილა.

* * *

თუ მოხვალ გეტყვი, რომ ყრმობის დღიდან
ვიყავ მესაყდრე რწმენის ტაძართა,
გიამბობ როგორ მჯეროდა ერთ დროს
ბოლო კეთილი, ბავშურ ზღაპართა.

გეტყვი თუ როგორ ამაოდ ვენდე
საწუთროს დღეებს, ცოფიან აფთრებს,
თუ როგორ ფლეთდა სისხლიან ბრჭყალით
დემონთა ხროვა ოცნების აფთრებს.

და ახლა, როცა ზამთრის მიჯნასთან,
დამჭკნარა ჩემი ედელვაისი,
მინდა გიამბო სანამ ცის კიდეს
დაბინდავს ჩემი ბოლო დაისი.

სჯობია დავთმო საწუთრო, ფლიდი,
სიცოცხლე ჰგავდეს ღამის ზმანებად
თუ ჯვარზე გაკრულს, დემონთა მიერ,
მიშველის ჩემი გარდაცვალება.

ვაი შენ მონადირეო

ნისლში გახვეულ მწვერვალებს
გადასწვდა თვალთა ისარი,
იქა ბუდობენ არწივნი,
ჯიხვთა სამშობლოც იქ არის.

სალის კლდის თავზე გადმოდგა
ჯიხვი, ქარაფზე ნაწოლი,
ნამი უბრწყინავს რქებზედა
შურთხების სტვენას აყოლილს.

დალანდა მონადირემა,
შუბლზე დაადვა ნიშანი,
ესროლა, მაგრამ დაუცდა,
გუმან გაცუდდა ყმისანი.

მიზანს ვერ მისწვდა ნასროლი,
ნება არ იყო ღვთისანი.
ვაი, შენ, მონადირეო,
ვერ მაჰკალ ჯიხვი რქიანი.
ვერ აიხდინე წადილი,
ვერ შასწვი მწვადი ცვრიანი.

რა გინდა, კაცო, რას დასდევ,
სიკვდილ რად გინდა ჯიხვისა?
ღვთისგან შობილა ეგეცა,
მთელმა სამყარომ იცისა.

მაგათაც უყვართ სიცოცხლე,
ტრფობა მაგათაც იციან,
არ გინახავა კლდის თავსა
ხარ-ჯიხვნი როგორ იბრძვიან?

სატრფოს გულისთვის ომობენ,
ერთურთს რქით ეჯახებიან,
სანამ ერთ-ერთი არ გასტეხს,
იბრძვიან, არ დადგებიან,
მდედრი დარჩება მამაცსა
სუსტნი უკანა დგებიან.

არ გინდა, კაცო, არ მაჰკლა
ჯიხვი, მშვენება მთებისა,
გულსუწადინოდ სიკვდილი
დუშმანსაც მიერგებისა.

შეცურდა ნისლებში კალთები მწვვერვალთა...

შეცურდა ნისლებში კალთები მწვერვალთა,
გვიმრებმა ფოთლები მოწყენით დახარეს.
- იწვიმებს?
- ჰო, ალბათ, ცა ცრემლებს მოიდენს,
ამ დღეებს, ავდრიანს, უშენოდ რა გალევს?!
- იწვიმებს?
- მერე რა! თუ ზეცა ატირდა,
ეს გულიც მწუხარებს, რამდენი ხანია,
რაც მსურდა, ვინც მწადდა, გაქრა და წავიდა,
იმ დღეთა სიშორე ვერ ამიტანია.

ელდარ ჭიჭიაშვილი

ისტორიკოსი.მთარგმნელი.
ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის
ძეგლთა დაცვის მთავარი სპეციალისტი

ქებანი

(ძღვნად პეტრეს, ბატონ პეტრე ქოჩაკიძეს,
ქართული ენის დაუმცხრალ მეტრფეს)

ჩემი დიდპაპას საფლავით
მომესმა მიწის სუნთქვანი,
მისმა სურნელმა დამხანძრა,
მოვმართე სახნის-გუთანი,
პირჯვარი გადავისახე,
ვახსენე მამა-უფალი,
ხარი შევაბი ყევარი,
ნაპატივ და ნასუქალი,
რქებზე სანთლები ავუნთე,
და ოროველა ვუთხარი!
ძარღვებში სისხლი აბორგდა,
მთის ჩანჩქერივით მქუხარი!
ხნული გავავლე ლარივით,
ბელტი ბელტს მძივად ვუხანი.
ციხე-ტაძართა კედლები
გადმომდგარიყვნენ მზირადა,
არწივი მზესთან ასული
მზერით ყვავ-ყორნებს გმირავდა!
თავი ზღპარში მეგონა,
მიწა ცას მადლსა სწირავდა!
სული ზეობდა, არ ვიყავ
მტრისაგან დასაცინადა!
ბელტი გადმოსკდა, აღმოხდა
ლალ-საგანძურთა გზნებანი,
თვალ-მარგალიტთა მასურვეს
მეთქვა მათ ფერთა ქებანი:
ძოწთა მიხატეს თამარის
სამოსი ძოწეულისა,
სოსან ყელს კრთომა- ლიცლიცი
ჯვარ-საკიდ ოქროწნულისა,
თვალთა ნაშუქი მზემადლი
მალხინებელი სულისა,
შუქცისკრად აღყვავებული
ყვავილი ბროწეულისა.
ყურთან საყურე აყიყის,
მეტრფე ძოწის და ლალისა,
შუბლს ჯიღა ჯვარბორჯღლიანი
შუქი მზისა და მთვარისა!
გიშერმა გულში მაძგერა,
წამწამ-ისართა კონები,
გრძნობა რამ მასვა მიმღები,
გულთა უშქართა მმონები.
ზურმუხტმა ფშვენა ფოთოლთა
თრთოლვა ჩურჩულით მანამა,
ვაგლახ, მწვანობის კინთობით
მკერძა კირთება კვლა მანა,
არცა დამთმო და ქამანდი
გულსა ქადილად მალა მან,
ასრე მეპყრა და მიმონა,
უკრძალვად გამეთამამა.
ჰა, იაკინთი კიაფობს
იაგუნდობით თავმწონე,
ტრედისა კვერცხსა ჩამოჰგავს,
ობოლი, უპირსაწონე,



დამიდგრა ენა, ბაგენი,
ქება ვერარა ვაწონე,
ლახვარი სხივთა მარისხა
გულის ჩემისა გამწონე.
ლაჟვარდმა ცად ამამაღლა,
დასი მასია ღრუბელთა,
სიმშვიდით სული განმიბრძო,
მფლა ანგელოსთა უბეთა,
ედემს მასტუმრა, საჭვრეტად
სამოთხის ჩიტთა ბუდეთა,
მირონი მცხო და მაკურთხა,
გამყარა უძღებ-უდებთა.
ლალისა ბაგელალობამ
ღვინო მანდომა კახური,
ზვარ-ვაზთა ჯიქან-კოკები
თაფლ-ბადაგ - ფერდამკრახული,
მეხილა სვეტიცხოველი,
ზედ ვაზი გამოსახული,
გულში ტკივილად ამეწვა
ზარზმა, ოშკი და ხახული!
ფირუზმა ფერფირუზობით
სატრფოს თვალები მაწვია,
რა ვქნა, ეს გული ტიალი
ტრფობით უფრორე დამწვია,
ბევრჯერ გვირგვინად დამადგა,
რაც ეკალი და ქაცვია!
მაინც ის მიყვარს, ვინც მიყვარს,
აბჯრად იმედი მაცვია!
მარჯანმა წყობა-მიჯრობით,
ლაშქრობით გაუნაკმარი,
მახილებინა ქართველთა
თორაბჯროსანთა ლაშქარი,
ადგილის დედის ლოცვით და
ნაკურთხი მადლით ცხრაკარის,
წინ ედო დიდი ბრძოლა და
დიდი საუფლო სამკალი!
ალმასი სხივთ ათინათით
დილის ცვარ-ნამად კიაფობს,
ელავს და მზეებრ ნაკრთომით
ბნელს აბრმავებს და მიაპობს,
დაე, ნათელმა განგმიროს
მადლი ვინაც აიაფოს,
კეთილს თევზისა მუქაფად
თუ გველ-ბაყაყი მიაგოს.

ქარვა მთვარშუქობს, ფერთაფლობს,
ბაგეს მენუკვის ამბორად,
გრძნობა მეგულთქმა ბახუსის,
მათრო, დამბუბნა, დამტორა,
დიდპაპას გულზე მაბუქნა,
ჩემს ფერფლ- მიწაზე მაგორა,
მამული, ენა, უფალი
გულისხმად მყო და მაგონა.
რა ქება ვაგო მარგალიტს,
ნაცრემლს ობოლის თვალ-ჩინთა,
მიუსაფარის, ზვარაკის
დედინაცვალის ნაცილთა.
თავის ბედისა მოზარე,
ნამდუღრი თურთქელ ნაცრითა,
მთელ ღამეს ცივ ქარ-წვიმაში,
წყლისა მზიდავი საცრითა!
ბედმა მაინც არ გაწირა,
სხვათა უგვანთა მსახურად,
დედოფლის ჯიღა-გვირგვინი
ხელმწიფის ხელით დახურა.
სარდიონს გული ესარდვლის,
თან ხიბლავს დიონისობა,
მაგრამ მიჯნურად ხელდასხმულს
ხამს მეტრფე გულთა მისნობა,
გამზადებულა ამურის
გულთქმა-ვნებათა ისრობა,
ვისაც ეტყორცვნის, ფუჭია-
არ არგებს გულის მქისობა!
ოქრომ და ვერცხლმან ჭირშიგან
სული ნაწრთობი შთამბერეს,
ჟამთ უხრწნელობით მამთხვიეს
სიბრძნე-სიწმინდის სამზერებს,
სული ქართული ვიცანი,
დრო-ჟამი რომ ვერ აბერებს,
მიწიდან მესმის ყივილი
და ეს ყივილი მახელებს!
ავდექ და ლარ-საგანძური
მშობელ მიწაზე მოვფინე,
გულზე ვიხუტე ცალ-ცალკე,
ალერსით მოვეფოფინე:
ჩემო განძო და ქართულო,
ჩემო სულო და სალაროვ,
დაუშრეტ-დაულეველო,
უფალთან ზეაღმავალო!

სასძლო ხაზართა

ივრის ვიწროში ვერ გაეტია,
რისხვად შეტბორდა წარღვნა ხაზართა,
ცეცხლით და შანთით გადაიარეს,
ჯვარ-გუმბათები ლეწეს ტაძართა,
წინ ფიანდაზად ფინეს გვამები,
დუღდა საკირედ რკინა და რვალი,
მათ ხახა-მუცელს რაც გადაურჩა,
აღმა ადინეს ივრისა წყალი.
მოსრეს უჯარმა, დარბაზ-პალატნი,
ცეცხლით აღგავეს ეზო-შუკანი,
გველეშაპივით შემოგვანჩქრიეს
სუნთქვა სტომაქის ლეშ- სისხლუკმარი.
ვაზი მოთხარეს, ბაღი გადახნეს,
გადაატარეს ცეცხლის გუთანი,
ჩამოგვიშალეს ციხის ზღუდენი,
ლარით აივსეს ხურჯინ-გუდანი.
ჩამოგვიწყვიტეს ოქროს ბორჯღალი,
ჩამოგვილეწეს ცის ბროლ-შუშანი,
სხივ - ნამცვრევივით, ბოჭორმის ციხით,
გამოიყვანეს ქალ-მზე შუშანი.
გალაღებული, ნაალაფარი,
ხაზართ სარდალი მიჰქრის ბლუჩანი,
ძოწეულით და ფარჩა-ატლასით
მოსილი ეტლით მიჰყავთ შუშანი.
გადაიარეს კახეთი, ქართლი,
მტრის ნაოხარი და ნაფუშარი,
არ ჩანს მდევარი, სახეს იხოკავს,
წყლული წყლულს ერთვის მოუშუშავი.
ჰა, გადაიხსნა დარიალანი,
თერგი ბორგავს და რისხვით მძვინვარებს,
გამოეთხოვა ქალმზე შუშანი
სამშობლოს ცას და სპეტაკ მყინვარებს.
მტრის დედოფლობას მიჯობს სიკვდილი,
არა, ჩემს მიწას ვერ შეველევი,
ბოჭორმას შეწყდა სიცოცხლე ჩემი
ვეღარ მომწვდება მდევარ-მშველელი,
ბეჭედს ახადა თვალი ზურმუხტი,
გესლი ასპიტის შავ-მწვანედ ჩანდა,
ბაგე შეახო, შესვა სიკვდილი
და სიზმარეთში გაუჩინარდა

სახლი აგიგე, უფალო!..

სახლი აგიგე, უფალო,
ჩიტის გულივით პატარა,
პირჯვარი გადავიწერე,
ვძლიე ბნელი და სატანა!
მოგენდე, ნათლად ამენთე,
მექმენ იმედთა საფარად,
ჯვარი ვიტვირთე უღლად და
ტკივილი - გუთან-სათარად!
წმინდა სანთელი აგინთე
დედის ცრემლივით კამკამა,
შენკენ სავალი ვიუნჯე
ჭირნახულად და სამკალად!

ცხენხეთქვით მივდევ შატილხევს

ცხენხეთქვით მივდევ შატილხევს,
ხელში მადნება ავშარა,
სადა ხარ, პაპის ბილიკო,
რა ზვავ-მეწყერმა წაგშალა?
მალე ჩამოთოვს ჭიუხებს,
ერთს ელტვის ჩემი გონება:
ამ ჩემი გულის ძახილი
შენი სისხლის ხმას მოებას:
ვიხილო, სანამ თვალებში
მიყვავის უფლის ციაგი,
ხატის კარს აცეკვებული
ჩემი ჯიში და ჯილაგი!

ის აღმაფრენა

ის აღმაფრენა, ცად რომ ამტყორცნა
ზეციურ ზართა ჩამოსარეკად,
ნისლი ყოფილა, მოხეტიალე,
რომელიც ისევ ნისლმა წალეკა.
დაიმსხვრა ჩემი სისხლის ლუსკუმა,
გული, უსისხლოდ რაღად მარგია,
წყალმა წაიღო ყველა იმედი,
რაც მომკერძეს და რაც მაბადია!
მოძღვარი ჩემი, ღვთივწარგზავნილი,
რომელიც მხოლოდ ჩემთვის წირავდა,
ვის აღსარება მივანდე ცრემლით,
ზურგი მაქცია, გაუჩინარდა.
ისევ ისე წვიმს, გადაუღებლად,
ჯანღი ედება ისევ სველ ველებს,
გლოვის ჰანგების ისმის გოდება
და სადღაც ცხედარს მიასვენებენ.

ARAფერიც არ ვყოფილვარ...

არაფერიც არ ვყოფილვარ,
არავინაც არა ვარ!
მქრქალი ნისლი, ასხლეტილი
ჩავლილ ნისლთა ქარავანს!
მივუყვები მზედაწრეტილ,
სალ ჭიუხთა ბილიკებს,
მივცურავ და შენი სუნთქვის
ხსოვნა-სურნელს მივიკმევ.!
ფეხთით გიფენ გულის ფეთქვას,
სუნთქვას, უფლით ნაბოძებს,
ხმალი დამკარ, გინდა გული
ტყვიით გამინაძოძე,
თოფდაკრული, კიდევ ერთხელ,
კიდევ შევიფრთამალებ
და გავყვები ცოდო-მადლით
გულგასენილ ტრამალებს!

საღიღინო

ციხე, მზეციხე ქარქაშით
ხმლის ელვა-ამოძახება,
ღრუბლით იბურავს შუბლნათელს,
წარბშეკვრით მეჯავახება!
ჩავუყვე ღიღინ-ღიღინად
ხეობებს, პირმზითიანებს,
ვისაც გულსგარეთ გილხინვარ,
წადი, შენი გზით იარე!
ნისლებს ვუგერო ჯიქნები,
ნიადაგ სევდის ზიარებს,
განა სულ ნისლში ვიქნები!
ერთხელაც გავიმზიანებ,
მოგწყურდეს, მნახო, ეგება,
ღიაა ჩემი წალკოტი,
ხელგაშლით მოგეგებება
ეს გული შენგან ნაკოდი!

გავათრევ, კიდევ გავათრევ

გავათრევ, კიდევ გავათრევ,
კიდევ ბევრ ტკივილს გავიტან,
კუბოზე ბოლო ლურსმნამდე,
გულს ბევრჯერ დაკრულ დანიდან!
არც რა ყოფილა მანძილად
ჰოემდე თურმე ანიდან,
ერთი უღონო ტკრციალი
უკუნისამდე წამიდან,
ნისლი, გულს შემოლესილი,
ნისლს რომ გაჰყვა და წავიდა!
დიდპაპას სისხლის ზინათი,
ჩამობერტყილი ქავიდან!
მზერას მარიდებს მარჯვენა,
ხელი, კვლავ მოსაცარი და
მაჯაში ხმლით მოსაკვეთი,
ჯვარზე მილურსმულ მკლავიდან!

ბავშვობისდროინდელ ლამაზმანთა გახსენება

ვინ არ ეტრფოდა, ვის არ ხიბლავდა
ტურფა სირანა, მამის იმედა,
დამფრთხალ ქურციკისთვალებიანი,
თავისი ლანდიც რომ აშინებდა!
წითელფეხება ტრედს ჰგავდა ტანად,
სამოსი ფერად თალხი ინება,
სჩვეოდა ჩაგრულთ მიგურგურება,
უსათნოესი იყო ქმნილება.
თუმც გულისკარი არვის გაუღო,
სევდა მოივლო გარს არშიებად,
ჩამოიბერა ყმაწვილქალობა,
კარგუნახავი სიკვდილს მინებდა!
რას შემომსუის და მეთრიკება
აშიკთა დოსტი კოხტა კოსტანე,
სოფლის ბოზ-კუროთ მესაიდუმლე,
ბევრ საჩუმათო ამბის მოთავე,
ბაგებურბურა, მზერაშეშმიშა,
შროშნისყელა და მუდამ მშფოთვარე,
თორმეტი ქმარი გამოიცვალა,
მე და ზოიამ როგორც მოვთვალეთ.
ეს ვიღა მოდის? ღმერთო, მომკალი,
ძლივსღა ვიცანი კოჭლი ციალა,
გახარებულმა, სამჯერა გარშემო
ჩაკაბუქნათი შემომიარა,
განა მაშინაც ეგეთი იყო,
გოგოობაში, ოდნავ კელობდა,
და ყველივრობას მთელი სოფელი
მაგის ატეხილ ცეკვას ელოდა.
მახსოვს, დამკვრელებს ერთხელ ხელობა
ამოადინა ყელში ბალღამად,
სამი მატნელი, კვიცივით ბიჭი
და ორი ქისტი ცეკვით დაღალა!
ეჰ, რა დრო იყო, რა სიხარული,
მზეც სხვა შუქს გვფენდა მაშინ ზემოდან,
ბევრი სასიძო და საპატარძლო
იმ დღეობებში იჩხრიკებოდა
კვლაცა სახელთა კრიალოსანი
მწადს ჩამოვმარცვლო კრძალვა-რიდებით,
რაიც მოსავდა კეთილხმოვნებით
ასულთ, ისედაც მოსილთ დიდებით:
მახსოვს პელია, ჯიღაწარბება,
პელაგიად რომ უხმობდა მღვდელი,
წლამდე ქმარიც კი რომ არ იგლოვა,
სხვაზე გათხოვდა და გახსნა ჭერი!
აი, მიმიაც, მრავალგზის ქვრივი,
სულს რომ ერჩია წყევლა-გინება,
ღაწვებს მზის სხივებს რომ უმალავდა
და უბნის ბალღებს რომ გვაშინებდა!
კარჩაკეტილად ცხოვრობდა თითქოს,
სიტყვაძუნწი და საქმეულევი,
და მის კოპწია, მწვანე ეზოში
სულ რომ ყვაოდნენ ბროწეულები!
აბა, დუდუჭა რამ დამავიწყოს,
კარგი სახელი ერქვა საბედა,
მე ის მაკვირვებს იმსისქე ქალზე
ქმარმა ქორწილი როგორ გაბედა!
იმხელა იყო და გაბერილი,
ჰგავდა ხონთქართა ჭამა-სმის ვეზირს,
ის გვაოცებდა დიდს თუ პატარას,
სად შოულობდა ფოხანოს რეზინს!
კიდევ ვინ იყო? ტუჭინა თამრო,
დედის ურჩი და თანაც მცონარი,
პირის დაბანაც რომ ვერ ისწავლა
და დარჩა ასე გაუთხოვარი!
ვის მიეკედლნენ კეკე, ბოჭყოტა,
ტუპაია თუ ცელქი სონია,
რაც ეგ გათხოვდა, ჩაკვდა უბანში
დაკვრა-თამაში აღარ გვქონია!
ეჰ, დრომ წალეკა ტურფა თეთრუა,
თუ ტანკენარი ქალი დოსტალე!
შენდობას ვითხოვ თუ კიდევ ბევრი
დამავიწყდა და ვერ ჩამოვთვალე!

სანამ...

როგორც თერგის,
მტკვარ-რიონის,
ალაზნის და არაგვის
დაუდგრომელ მქუხარებას
მაცხოვარი არ აღგვის!...
სანამ ვეფხვისა და მოყმის
მხანძრავს სული ბალადის,
ჩემი სისხლის ღვთიურობა
იკაშკაშებს მარადის!
მერე რა, რომ წინ ჯერ კიდევ
გვემა და უფსკრულია,
თვით მაცხოვარს დიდებისკენ
მხოლოდ ჯვარცმით უვლია!
გოლგოთიდან მდინარ მზერას
დაუტბორავს სამყარო,
რომ დრო-ჟამით ნამრუდალი
ბნელს ნათელი გაჰყაროს!
არ დამცხრალა ჭრილობები,
ზედ რომ მფენდნენ ნარ-ეკალს,
რაც სისიხლ-ცრემლი მანთხევინეს,
დედამიწას წალეკავს!
გოლგოთიდან მონაბერო,
სურნელო საკმელისა,
ისალბუნე წყლულზე მადლი
ჩემი ვაზის ცრემლისა!

სანამ ძალუძს ქართველ დედას,
მკერდი ცეცხლით იშანთოს,
არ ჩაუქროს ბრწყინვალება
გელათსა და იყალთოს,
სანამ ხმალი, დაუმცხრალი
გმირ ხოგაის მინდისა,
ვერ ისვენებს, ბორგავს ღამით
კრთის სიხშირე ბინდისა,
სანამ მცხეთის ძელიცხოველს
მადლად მოსჩქეფს მირონი
უხმობს მაჯას ხმალი, გულს კი -
საქმენი საგმირონი,
მანამ სული, ჩემი სული,
არ იქცევა ღრუბელად,
იშლიგინებს ამ მიწაზე,
როგორც რაში უბელა!
და ვგრძნობ უფლის იორდანეს,
ემბაზი საფირონის,
ნიშანს აძლევს, ხაზართაგან
დარბეული იორი.
ოქროჭალებს მოსდებია
შემოდგომის ხანძარი,
იწვის, მაგრამ არ იწვება
ქართულ სულის ტაძარი!

ცრუთა ამბორით...

წაიბილწება ცრუთა ამბორით
სისხლით ნაწერი შუბლის ვარაყი,
მსუბუქი მიწაც კი დამძიმდება,
თუკი უგულოდ გულზე დამაყრი,
წითლად მიყვავის კეფა და შუბლი,
ეკლის გვირგვინად მექცა სახელი,
ვგონებ, მეშველა, მომიახლოვდა
ბნელით ნათელში გადასახვევი!

სინათლისაკენ მიმავალ გზაზე
ბევრჯერ მეცვალა გეზი და მხარი,
დუმილით შევკარ ჯვარი ტკივილთა
და სული ჩემი ზედ გავაკარი!
აჰა, აღმოხდა მზე სისხლისფერი,
ცისკრის ემბაზში ნათელი ბარტყობს,
რა უდაბური გახდა სოფელი,
თოვლის უდაბნოს მივყვები მარტო!

ნანა ქიბროწაშვილი მხატვარი
დაბადების ადგილი ახმეტა

ერის ტრაგედია

კაცთა მოდგმამ გააჩინა უმადური ერები
და სატანას სამეგობროდ გავუწოდეთ ხელები,
სინანულის გრძნობა არ გვაქვს,
მთავარია ფულები,
ჩვენი ნებით ჩავახუტეთ
ეშმაკს ჩვენი სულები.
დღეს მთავარი '' კაიფია''გაბუჟება გონების
კაცის კვლა და მიტაცება სხვისი ფულის, ქონების.
აქ არავის არ ანაღვლებს ერის დემოგრაფია
ცისარტყელის დროშით ცისფერს იცავს რაღაც ''მაფია''.
დღეს აქ ბავშვი როცა ქურდობს,
არავინ ჰყავს დამსჯელი,
ნეტავ კიდევ არ დამძიმდეს ჩვენთვის უფლის სასჯელი!
ტრაგედია არის ერის,
როცა შვილი ამდენს ბედავს,
თვითმკვლელობით სამუდამოდ ასამარებს თავის დედას.
დამიჯერეთ ამისთანა არაფერი გამიგია,
რომ მეგონა გავიმარჯვეთ, თურმე ომი წაგვიგია.

* * *

მე ბავშვობიდან მასწავლიდნენ ქვეყნის სიყვარულს,
თუმცა სასჯელი ჩემთვის ახლა იქნება მკაცრი,
რადგან იმ ქვეყნის სიყვარული არ შემიძლია,
სადაც ოჯახში ქალის ნაცვლად თხოვდება კაცი.

გმირებს

ჩვენს მიწა-წყალს, წინაპართა სისხლით მორწყულს,
თუ დასჭირდა მსხვერპლად გმირი დღევანდელი,
კახეთიდან, თუშეთიდან, აჭარიდან,
სვანეთიდან აფრინდება შევარდენი!
ურიცხვ ლაშქარს ამარცხებდნენ ლომგულები,
გმირთა მხრებით გავიტანეთ ჩვენი ლელო,
ბევრი სისხლი ვანაცვალეთ ამ მიწა-წყალს,
არასოდეს დაჩოქილა საქართველო!
სამშობლოსთვის თავგანწირვა ჯიშად მოგვდგავს,
მეომრები იზრდებიან მაღალ მთებში,
სამაჩაბლოს შევძრავთ მრავალჟამიერით,
განდაგანის ცეკვით შევალთ აფხაზეთში.
ბრძოლის ველზე ვიწრთობოდით ოდითგანვე,
ერთი მუჭა ერი, თითზე დასათვლელი
საქართველო არის მგლების ქვეყანა და
ბუდე არის არწივების ასაფრენი.

* * *

შემოიპარა დეკემბერი და ჭადრის ტოტებს,
შემოაყარა მოფარფატე თეთრი ფიფქები.
გადავუყარე ნამცეცები მობუზულ ჩიტებს,
ვერ მოვიშორე გაყინული ზამთრის ფიქრები.
მე უკვე არ ვარ იმ ასაკში, თოვლი რომ უყვართ,
თურმე სიბერე ასეთია, ზამთარს გაზიზღებს
თუმცა, უკვდავი მოგონება ჩასახლდა ჩემში
და დღესაც, თოვლის მოსალოცად დედა მაღვიძებს...
კვლავ სიგარეტის ერთი ღერი და ჭიქა ღვინო,
სხვა რაღა დამრჩა სანუგეშოდ, ცრემლი თვალებზე,
მომნატრებია თოვლიანი ჩემი ბავშვობა...
ვგრძნობ, დედის ლანდი მიკაკუნებს სახლის კარებზე.

* * *

გარეთ სიჩუმეა სამარისებული,
თითქოს ხმაურისთვის არავის სცალია.
შუბლზე თოფის ლულა მაქვს დამიზნებული
და თითის გამოკვრა სულ ერთი წამია.
როგორ მეშინია ახლა სიჩუმისა.
ვხედავ ძველებურად აღარ ვარ მამაცი
უკვე ვეღარ ვარჩევ კეთილს ბოროტისგან,
ვგრძნობ რომ დემონებთან ბრძოლაში დავმარცხდი.
ისევ ამერია თავში ყველაერი,
თითქოს ლუციფერი მიგდებს სასაცილოდ,
გარეთ ვემალები უხილავ სიკვდილს და
შიგნით სამალავში ვკვდები სამარცხვინოდ.

დედის დაკრძალვა

მე ვერასოდეს დავივიწყებ დეკემბრის დილას,
იქ დასასრული დაეწერა რაღაც უმთავრესს,
ჩუმად ვტიროდი უკანასკნელ გულშემატკივარს
და თითქოს შიშით მოველოდი უფრო უარესს.
მივაცილებდი პროცესიას დედის საფლავთან,
არ ვიცი უცებ რამ გამყინა? რად შევიცვალე?
დავემშვიდობე მიცვალებულ დედას და წარსულს
და თითქოს უცებ მათთან ერთად გარდავიცვალე.

* * *

პოეტი არასდროს ვყოფილვარ
და არც არასოდეს ვიქნები.
ლექსების დაწერა რომ მინდა
თავისით ლაგდება რითმები

ქარი

წუხელ რა ძლიერ დაჰქროდა ქარი,
ტოტებს ამტვრევდა ეზოში ატამს,
ვიყავი მშვიდი და ვგავდი იმ ქალს,
სევდიან წუთებს, ქარებს რომ ატანს.
როგორ მაოცებს ჩემი სიმშვიდე,
სხვა დროს გრიგალი მრევს და მაგიჟებს,
ამ ქარიშხალში არავინ მოსჩანს
და მაინც ვუცდი ნაცნობ ნაბიჯებს.
შორით ჩამესმის რაღაც ნოტები,
იქნებ მოცარტი? ან და შოპენი?
მუსიკის ფონზე ღრიალებს ქარი,
დაისაკუთრა წუთისოფელი.
ძირს წაქცეული ხეები დილით,
ფეხზე ადგომას ისევ იწყებენ
და იმ საშინელ ქარიან ღამეს
ალბათ ერთ წამში დაივიწყებენ.
არ ვიცი ახლა რა მოვუხერხო,
ეზოში ტოტებ დამტვრეულ ატამს,
ვკარგავ სიმშვიდეს არ მიყვარს ქარი,
ხე თავის ფერად ფოთლებს რომ ატანს.

ანასტასიას

ჩემო დიდო სიყვარულო,
ჩემო ანასტასია,
მზე გვირგვინად გადგა თავზე,
მთვარე კაბად გაცვია.

ვარსკვლავივით ვალები გაქვს,
კიდევ რას შეგადარო,
შენ ხარ ჩემი დედამიწა,
შენ ხარ ჩემი სამყარო.

ქეთი სვიმონიშვილი სამართალმცოდნე
დაბადების ადგილი ახმეტა მატანი

***

მე ფეხშიშველი დავდივარ ხშირად,
ვრცელია მდელო-დაუსაბამო,
იღვრება სხივი ცის პირიმზიდან,
და ღმერთით ავსებს სულის დარაბებს...
მე ფეხშიშველი დავდივარ ხშირად,
და ალაზანი გულზე გადამდის,
დამაქვს სამშობლო ჩაუმქრალ სხივად,
ჰო, - საქართველო, ულაპარაკოდ!
ან ვინღა მიცნობს, რამდენ ჩემფერას,
თუ ჩაუვლია სოფლის შარაზე,
იმაზე მეტად თუ მყვარებია,
ვაჟა უყვარდა ვიდრე ხვარამზეს,
სამშობლო ისე თუ განმიცდია,
შემკრან მიხასებრ -ერთი ხურჯინით,
დავიპარები ამ ჩემს მიწაზე,
სიტყვისუჩუმრად, თითქო-ქურდივით...
მაგრამ ეს გული, ჰო! გული, გული-
თუნდა, სამყაროს დარდის დამტევი,
სიყვარულისა მხოლოდ მორჩილი,
ლოდზე დამწვარი თაფლის სანთელი-
არავის უცხოს არა სთანიობს,
ძაღლივით ილოკს თავის იარებს,
ავმა აქამდე თუ ვერ წაიღო,
ეხლა რა ჭირი დააჩიავებს?!

***

უუნაგირო ცხენებივით გადაივლიან,
მონატრებულნი,
გონების მინდვრებს გათელავენ,
მძიმე ფლოქვებით,
სულის წყაროსთან შეისვენებენ,
გულს იჯერებენ,
და ერევიან მოუსავლეთ
მარადისობას...
ჩემი ბალღობის დღეებივით
მოუხელავნი,
თითქოს იყო და არა იყო,
რაც იყო გუშინ,
თითქოს იყო და არა იყო,
და აღარ მახსოვს,
ასეთი ლაღი,
სიცილი როდის შემეძლო უწინ.

***

ქირსლავს, არა სჩანს მთვარის ნამგალი
ვარდისფერგაკრულ ცას თოვლი ბურავს,
ვდგავარ, მაცვია დარდის აბჯარი,
თავზეც კვლავ ფიქრის ჩაჩქანი მხურავს

ის რაც მე მიყვარს, არც აქ არ არის,
არც ეს თოვაა ჩემი მკურნელი,
ვსახავ ამ ცაზეც, ჩემ სოფლის დევებს,
როგორ აუდით ნისლის სურნელი.

(არის ისეთიც, ვერვისთან ახსნი,
არის ოცნებაც -განუკურნელი...)

სადა ზის ნეტავ ის ჩემი მთვარე?!
რომლის ამოსვლას აქაც სულ ველი,
სად არის ჩემი ბავშვობის მხარე,
სპეტაკი-თეთრი თავსაბურველით,

იქ არის, იქა! საცა დავწირე,
უდგას ბურჯებად ციხე ბებერი,
კავკასიონი შემოამძივებს,
ტყეებს, ცხრაკარის თავზე შეფენილს,

არც აქა სძინავთ ლექსის არწივებს,
იმათი ფრთებით მაინც გეხები,
შენს გამო, მარტო უფალმა უწყის,
რაოდენი მაქვს შენახვეწები...

არც ეს თოვა არ მედება წამლად,
არც ამას უდის დედის სურნელი,
არის, რისი თქმაც არვისთვის არ მწადს,
არის ოცნებაც-განუკუკურნელი...

სააპრილო

უქმად გავლიე ზამთარი,
ყოფით,ჩვეულის ძილითა,
ეგეთა ყოფნა არც არის,
მარტოდენ ძვალით-რბილითა
სცოცხლობდე,თვალი გეხილოს,
სუნთქავდე შენის წილითა,
ცოცხალს, სიცოცხლე მოგწყურდეს,
ჩამქრალს, ანთება სხივისა,
(გტორავდნენ ზამთრის ქარები,
დაგთარეშობდენ ღიმითა...)
როსღა მოვალის გაზაფხულ,
შამიპყროს წერამ წერითა,
ჯვრად დამისახოს მირონი,
უფალმა თავის ხელითა,
მამწყურდეს ლექსად ჩამოსვლა,
ზვავად ჩამოღვრა ხევითა,
მატკბობდეს ყვავილთ ამოსვლა,
ნიავის ჩავლა რხევითა,
ცის სხვენზე მთვარის ავსება,
მთისწვერ დაჯდომა ღამითა,
სიცოცხლე-ცათა შარისხვა,
მეხის გავარდნა წამითა,
ცისკარზე დილა დაღვრილი,
კაბისებრ ლამაზ ქალისად,
გაღმით გაშლილი ხეობა
მტერთა ამშლელი ბრალისა,
დამეზიდოდეს საცქერლად
დამიმარტუოს თავისად,
განა ის ყოფნა ყოფნაა?!
ყოფნა ეგეთა მწადისა,
თორო ზამთარი გავლიე-
ჩრდილიც მაკრთობდა თავისა,
ცოცხალს რა აქცევს ცოცხლადა,
თავო! იმედი ხვალისა,
გულო, მაშ რაღა გატირებს,
თოვლის ქვეშ ია ჰყვავისა!

***

ვწერ და რასა ვწერ არ ვიცი,
ხელ-მკლავი თავად მიმდისა,
შემოდგომისამ ჩამოცრა,
ცხრაკარის ტყეში ბინდისას
ფიქრის ნაღვერდალს ვაღვივებ,
რაც გულის გულში მინთია,
„ შინ შმაგი მოველ"გაბრიელ!
როგორც ვაჟაის მინდია...
ჩემი სიცოცხლის დღეებიც,
რა უგერგილოდ მიდიან,
ითვლება წამის წამები,
როგორც წესი და რიგია,
განა სიკვდილი მაშინებს?!
ან ლაჩრის გული მიდია,
დროთ თუ უდროოთ წამიღებს,
საცა წამსვლელნი მიდიან.
ეხლა სხვა რაიმ მაღონებს,
ეხლა სხვა ჭირი მჭირია,
ვა! თუ ვერა ვთქვა სიტყვები,
უწერლად დანაწირია,
-ვერ გამოვადგე ქვეყანას
-ვერ შაუხვიო წყლულია
-ვერ გავუმთელო ბევრგანა,
ამოგლეჯილი გულია.
-ჯაფა ვერ ვწიო ჯალაბის,
-ვერ გავიტანო ხნულია,
-ვერ გავაშენო ვენახი,
-ვერ შავინახო რჯულია,
გავლიო თავის შამყურემ,
წუთისოფელი სრულია,
ვწერ და რასა ვწერ ღმერთმანი,
წერა-მწერალი სწერავსა,
ჯვარს დავისახახავ, ერთხანი
თვალები ცასა სწვერავსა,
ათას სიკვდლილი მაღონებს,
ათასი ჭირი მჭირია,
ლეგა ღრუბლები გადმოდგნენ,
ცხრაკარის თავზე მიდიან...
ლექსის ნაღვერდალს ვაღვივებ
რაც გულის გულში იბრძვისა,
„შინ შმაგი მოველ” გაბრიელ!
აქეთ ვაშინებ სიკვდილსა,
თუ მამსვლელია მოვიდეს!
რიდი არა მაქვს სიტყვისა,
წამიღებს თუ ვერ წამიღებს,
ჩემივ ლექსები იტყვისა!

***

მე დაღლილი ვარ ცისფერი სევდით,
გაცრეცილ დღეებს მივდევ ნაღვლიანს,
ცივია გაღმა ხეობის ხედი,
ვეღარ მკურნალობს შუბლზე ნატყვიარს,
მე დაღლილი ვარ ცისფერი სევდით,
სევდით, რომელიც უცხოა ვიცი,
როგორც მწევარი მომყვება ბედი,
იქამდე სადაც სიკვდილი იცდის.
აწევს ფანჯარას აპრილის ღამე,
ამღამ, ვარსკვლავნი მწყრალად არიან,
ვზივარ, მოველი უხილავს რამეს,
მარტო ვარ ვიცი, დედა მარიამ!
(შემინდე ცოდვილს)

***

აბა რა მახსოვს, ვინ ვიყავ უწინ,
მოჰგავდა სული ყაყაჩოს ველსა,
დაჰქროდა სიო გრილმორეული,
და ფოთლებს ჩემსას გარემოს ჰფენდა,

ათიათასი ჰყვაოდა ია,
არცარა მქონდა იმათი ფასი,
ვიდექ, გაკვირტულ ტყეთა მეჩხერი,
იხატებოდა ალაზნის წყალში,

აბა რა მახსოვს, რომელ გაზაფხულს,
დამცხრალი მთვარის ავსება ვნახე,
ან მარტის თქეშმა როდის წაშალა,
სულში ამდენი ნათელი სახე,

როდის გავშალე ქორებულ ფრთები,
მკერდი ვუმარჯვე ზათქსა და ქუხილს,
ხომ მისწვდა სული მეათე ცამდე,
და თავი როდის მივეცი წუხილს?!

აბა რა მახსოვს, ვიზვარ და ეხლა,
ოცდამეშვიდე გაზაფხულს ვხვდები,

***

ლექსებსა სწერსო, ჩემზე ამბობენ,
ავად თუ კარგად ისიც არ ვიცი,
მე -სოფლის თავზე მთები მიცდიან,
და მთების თავზე მიცდის დაისი,
და ფეხშიშველი მიწას ვეხები,
და სიოს რხევას შევიგრძნობ ტანში,
თითქო ესმითო ჩემი ლექსები,
მომაცილებენ მუხები ტაშით.

მოვგავარ სანთელს ლოდზე მინანთებს,
წვეთ-წვეთ ტირიან ჩემი ლექსები,

არც რა ვინ მაქებს, არც ვინა მკიცხავს,
ასე მიფიქრა ქვეყნის გამრიგემ,
დაბადებითვე მქრქალი ვარ ნისლი,
მთათა შუბლებზე წვიმა მამძივებს,

აღარც ის მახსოვს რომელ გაზაფხულს,
მოვგავდი სავსეს ყაყაჩოს ველსა,
როდის ვემსგავსე ეხლა -დაზაფრულს
იანვრის ბებერ, გაყინულ მზესა,

ეჰეჰეი, ღმერთო! შენ უწყი მხოლოდ
დარდიც, სიცოცხლეც, სიკვდილიც,შიშიც...
როდის შევხვდები მზიან გაზაფხულს,
ან მივიძინებ ტირიფის ჩრდილში.

...მაგრამ სანამდი სამშობლო გულში,
ჩამიხუტებდეს მიწიდან ცამდე,
იმგვარ გაზაფხულს კიდევ დამასწარ,
კვლავ ყაყაჩოთა ველს ჩამოვგავდე...

თამარ ფირცხელაური იურისტი
დაბადების ადგილი თელავი

* * *

წყლის ქაფიდან ჩემი ფიქრი იშვა,
დარდები კი, მიპოვნია გზაზე...
და ოცნებებს ნაკადულის ძაფით
ჩამოვკიდებ სიყმაწვილის ცაზე;
წყლისფერ სიზმრებს ქარი გამომტაცებს,
სინანული ჩამოწვება თვალში,
ღამე წამგვრის ლაჟვარდისფერ წამებს
და სიბერეც შემეყრება ხმაში;
ღრმა მორევში შეცურდება ფიქრი,
დარდებს უხმოდ დავარიგებ გზაზე,
ნაკადულში სიყმაწვილე დამრჩა,
ოცნება კი, შემეყინა ცაზე...
ამოვკემსავ მოგონების ფარჩას,
წყალს გავატან სიზმრებს ზამთრის დილის,
ბუხრის პირას ყურს დავუგდებ მშვიდად,
ცეცხლის ტკბილ და ბრაზმორეულ ტირილს...
ღრმა უფსკრულში შეცურდება ფიქრი,
დარდს დაღლილი დავარიგებ გზაზე,
ვერახდენილ ოცნებებს და ნატვრას,
ვარსკვლავებად ამოვჩითავ ცაზე.

* * *

ისე ფერმკრთალია სულის ზამბახები,
ისე უცნაური ფიქრით ვიმოსები,
რომ ჩუმად ტირიან ზამთრის სიმოწყენეს,
ჩემი ჭირვეული დარდის მიმოზები.
თრთოლვით ფურცლებსა ხრის მკრთალი ია-ია,
ბუჩქის შვილობილი, მიწის პატარძალი,
ცივმა ენძელებმა გრძნობა დამიმეწყრეს,
კარზე მომდგომია მკაცრი კვირაძალი;
კარზე მომდგომია დარდის უცხო მეკვლე,
ბრაზით შემსევია ლურჯი ნიავქარი,
ლაღად მორონინეს კრთომის სიფუსფუსით,
გზებზე დამმსხვრევია ფიქრის მინანქარი;
ქარს უთარეშია სიყვარულის ცაზე,
უღვთოდ ჩაუქრია ყველა ნაპერწკალი,
გულს ისევ ატყვია მძაფრი მონატრება,
ცისფერი ალერსის ლურჯი ნატერფალი.
და რა ფერმკრთალია სულის ზამბახები,
შორი მონატრების ნისლით ვიმოსები,
ხმამაღლა გოდებენ ზამთრის სიმოწყენეს,
ლოდინით დაღლილი დარდის მიმოზები.

* * *

ჭინჭრის ბუსუსსით დამისუსხა ეჭვებმა სული,
ამ ჭორიკანა ქარის სისინს რა ვუყო ნეტავ,
როგორ გავუძლო ჯოჯოხეთურ თავშეკავებას,
როგორ ვიარო უსასრულოდ, სულ მუდამ კენტად?!.
ცუდი ყოფილა წუთისოფლის გაუტანლობა...
რამ ააშფოთა, ანდა რა რჯით, ვიცოდე ქარებს?
ალბათ, შეშურდათ ჩემი ზღაპრის ცისფერი ცრემლი,
ღამეულად რომ მინამავს და მისველებს თვალებს...
მიყვარს... ან რაა სიყვარულში გასაოცარი?
მიყვარს სპეტაკად, წრფელი არის ჩემი ოცნება;
ეს ხომ არ არის ველურ ლტოლვის თავშესაფარი,
ეს ხომ არ არის სისხლის ურცხვად ახორხოცება?!.
არას მერჩოდნენ, თან რომ მახლდეს გონჯი სხეული,
მიმქრალი მზერა, უცეცხლობა და უალობა...
გასაკილია, ნუთუ მართლა ლამაზი ფიქრი,
დასაძრახია, პლატონური დონ-ჟუანობა?!.
თუ გულისტკენას არ დავიმჩნევ სხვათა საჩინოდ,
რა არის ეჭვი? შევებმები კვლავაც არწივებს,
ბეღურას ფრთებით დავიფარავ შენზე თქმულ ლექსებს,
დავაფრთიანებ და შვილებად გავინაწილებ.
...სულაც არ ვნაღვლობ წუთისოფლის ბინდისფერობას,
სიყვარულსა და სილამაზეს გავუყოფ ქარებს,
რომ არ შეშურდეთ ჩემი ზღაპრის ცისფერი ცრემლი,
ღამეულად რომ მაგიჟებს და მისველებს თვალებს!..

ჩამოიმეწყრა საწუთრო

ჩამოიმეწყრა საწუთრო,
მზე ღრუბლებს უნდა ჰფარავდეს,
მაცდური წუთისოფელის
არ მჯერა ჰარი ჰარალე;
ხნული გავავლე ყამირზე,
მიწა ვერ მოვრწყე მანამდე,
ვერც ნერგი ვერ დავარწყულე,
გონი არ მეყო მაქამდე;
ტყუილად ვთესე, ვერ მოვმკე,
სიკვეთე კარის-კარამდე,
გული გატყდა და აღარ სწამს,
ცხოვრების ჰარი-ჰარალე.
იმ ხნულზე, მე რომ გავავლე,
ცრემლი მდენია ღვარამდე...
ოფლი და სიქა ჩავმარხე
ჩავყევი კარის-კარამდე...
ამაოდ მქონდა იმედი,
ზეცა რომ დამიფარავდეს,
ბევრჯერ ნატკენი ჭრილობა,
არ შეხორცდება მანამდე,
სანამდე უფალს არ ნებავს,
ამ მთიდან აიმ ბარამდე...
იქნებ მეც შევძლო, დავკვლიო,
ცხოვრების ჰარი-ჰარალე!..

* * *

შიშმა და სიცივემ შეაკრთო ბეღურა,
ხეზე ჩამომჯდარი მიწას დაენარცხა,
არ იყო მშველელი, ან ვის მოუხმობდა,
სადღაც დაჰკარგვოდა გულისსწორიც,
სამი, მხოლოდ სამი, თუგინ, ერთი-ორი,
ყლუპი წვიმის წყალი მოენატრა,
არ იყო მშველელი, შორს იყო ნუგეში,
ვინ იცის, როგორ კი ეწადა...

ქარმა დაულეწა სუსტი ფრთები,
შიშით და სიკენტით მიწას დაანარცხა,
უღმერთოდ დაეშვა ფიქრის იალქნები,
ფიქრიც ხომ რარიგად ეწადა.
...არ იყო შენდობა, ობოლი ბეღურის
გულისთქმაც ვერავინ გაიგო...
სუნთქვით მოუხმობდა ნუგეშს და სიყვარულს,
ის სუნთქვაც ნიავმა წაიღო.

ნანა მეფარიშვილი ფილოლოგი
დაბადების ადგილი გურია

ზამთრის ცა

ზამთრის ცა, სახეს იღებდა მგოსნურს,
ქარში იციან ფიფქებმა როკვა,
იანვრის მწუხრზე თოვლივით მოსულს,
ეს გაზაფხული საიდან მოგყვა.

თითქოს სიზმრებმა უცხო გზნებიდან,
განცხადებული წილი დამითმო,
იმ შორეული ცივი გზებიდან,
ვით მოიყოლე ამდენი სითბო.

მინავლებული იყო წუხილი,
სულზე ბორგავდა ცოდვილი ლეში,
როგორ მოხვედი ასე ქუხილით,
ამ უჩვეულო სიმარტოვეში.

ფერით მიხდილი ვუმზერდი სხვა ცას,
ვიღაც ამბობდა - ვერაფერს შეცვლი,
დანახშირებულ გრძნობას და ნაცარს,
როგორ აუნთე ამხელა ცეცხლი.

რა ნისლიანი დღე იყო გუშინ,
ფიქრები ძველი, ნატვრები მდორე,
ვით შემიმსხვრიე კარები გულში
და რა მწველი მზე შემომიგორე.

ზამთარი გულზე ეკიდა მთვარეს,
ქარში იციან ფიფქებმა როკვა,
იმ ყინვით მორთულ იანვრის ღამეს,
ეს გაზაფხული საიდან მოგყვა.

* * *

საჩუქარი ხარ, თუ რამ სასჯელი,
აჩრდილი ხარ, თუ სულის ნათება,
ანგელოზი, თუ ჩემი მტანჯველი,
გამართლება, თუ არ გამართლება!

დასასრული ხარ, თუ ჟამი მოსვლის,
ნიავი ხარ, თუ გრძნობის ხელება,
ცოდვის მიზეზი, თუ ძალა ლოცვის,
გოდება ხარ, თუ ამომღერება.

დილა ხარ, ღამე, თუ რამ წყვდიადი,
სიმშვიდე ხარ, თუ ვნებათა ღელვა,
თუ სიყვარული, დიდზე დიადი,
ჩემი ბედი ხარ, თუ ჩემი წყევლა!

ნუთუ ცრემლი ხარ, ან წვიმის წვეთი,
ნამდვილი ხარ, თუ უცხო ზმანება,
ავი სული ხარ, თუ ჩემი ღმერთი,
სიცოცხლე ხარ, თუ გარდაცვალება.

ის ძალა თუ ხარ, კლდედ რომ დგას გვერდზე,
თუ დროებითი ვინმე სტუმარი,
უგულო ხარ, თუ გულიან მკერდზე,
გაქვს ჩემთვის ფიქრის თავ-სასთუმალი.

ზამთარი ხარ, თუ მოფრენა მერცხლის
ტკივილი ხარ, თუ გულის ხარება,
უკანასკნელი გრძნობების ცეცხლი,
თუ ჩემი ბოლო დასამარება!

გაბრიელ ბერის ნატერფალზე შემდგარა მცხეთა

სამთავროს ეზოს მოსდებია მირონის მადლი
და სისხლძარღვებად დაქსაქსული ადუღებს მიწას,
სადაც საძვალე წმინდაა და ისეთი ნაღდი,
რომ სინანული შეხორცებულ ჭრილობებს გიწვავს.

სამთავროს ეზოს ნატერფალი უფეთქავს ბერის,
შეხება მათი გამოუთქმელს განიჭებს სითბოს,
აქ ანგელოზი გამუდმებით ოსანას მღერის,
თავად უფალი დააბიჯებს და ლოცვას ითხოვს.

ამეტყველებულ ბერის საფლავს შეახეთ ხელი,
მოყვასო, უფლის მოწყალება ცოდვილთ გვარგუნე,
სამთავროს ეზოს მოსდებია სინათლე მწველი,
ალბათ აქა აქვს საქართველოს ცხელი საგულე.

წმიდა ალაგებს საფლავამდე მიჰყვება რიგი
და კვნესის ცოდვა თავდახრილი, ცრემლიან ქვაზე.
მოედინება უსასრულოდ აურა მშვიდი,
შეიგრძნობ თითქოს, თავად ბერმა გამთხვია ჯვარზე.

მოვდივათ შიშით, ავადმყოფი სხეული მოგვაქვს,
გოდებით შევთხოვთ განკურნებას სულის და ხორცის,
არავინ უწყის გარდასვლამდე რამდენი დრო გვაქვს,
წმიდა ბერისგან ველოდებით წყალობას ლოცვის.

შემინდე ცოდვილს, დამეცვარა კალამი ოფლით,
უმწეო რითმებს საკადრისი არა აქვს პეწი,
შემინდე მამა გაბრიელო ამაოდ ყოფნით,
რომ სიცოცხლეში ვერ დავდექი მუხლებზე შენს წინ.

ახლაც კი ღმერთო, არ ცივდება არც ერთი წამით,
წმიდა მეფეთა ნაფეხურზე მირონი წვეთავს,
ქერუბიმები დაჰგალობენ დღითა და ღამით,
წმინდანთა სულზე შემოხვეულ უძველეს მცხეთას.

გუგუნებს კვლავაც სამთავროში დედა ზარები,
სათნო დედები საგალობელს უფლისას მღერის,
გადაუხსნია ძირძველ ალაგს მძიმე კარები
და წმინდა ბერი აღსარების სათქმელად გველის.

ენავ ღვთისა

ოი, ენავ თავ-კვეთილო,
მტვერ-მიყრილო, ხავსიანო,
სიყვარულის გაკვეთილო,
მჭრელზე-მჭრელო, ბასრიანო.
საძირკველო, წმინდა თესლო,
არა-ერთგზის ნაპარავო,
უკეთესზე უკეთესო,
შეწირულო წმინდა კრავო.
ოი, ენავ დედამიწის
ღერძო, დიდი წმინდა რვალით
დასაბამით შენთვის იღწვის,
წმინდანების მთელი ჯარი.
ოი, ენავ, თავად ღმერთო,
ასო-ჩუქურ-თმებიანო,
ერთო არა, ერთად-ერთო,
საგალობელ-ხმებიანო.
ოი, დედის ნაცრემლარო,
შებნეულო აკვნებს ბაფთად,
სისხლის წყარო, სულის წყარო,
მადლს აბრუნებ ერთი-ათად!
ოი, მამის ნალოცავო,
ძის სხეულში განღმრთობილო,
ძველზე, ძველო სალოცავო,
ძირში მწარევ, მაღლა ტკბილო.
სასიმღეროვ, საქუხარო,
გინახავნენ დღემდე მითად,
დღეს ცრემლებით საწუხარო,
ხვალ სათქმელო ბრძანებითად!
ვინ წაშალოს სულის ენავ,
რაც ბრწყინავს და რაც მზეს მოჰგავს,
საიდუმლო, ჩემო ნენავ,
შენს დამარხულ გულში ბორგავს.
ოი, ენავ, მადლო, დარდო,
სალ-ქვაბულში შენახულო,
ღმერთმა გმალა არ გაანდო,
ყველას შენი საიდუმლო.
შუქ-ნიაშანო ყველა გზისა,
ენავ კაცის, ენავ ღვთისო,
დასასრულო სიკვდილისა
და სიცოცხლის დასაწყისო!

ქალის ასაკი

ცხოვრება მიდის წლები გამოხდა,
უწყვეტად ბორგავს ბედის ბორბალი,
დავბერდი ცოტა, მაგრამ რა მოხდა,
წლებს არ ვნებდები, გინდა მომკალი.

თავხედი სარკე მიმატებს ხაზებს,
ურცხვად მატყუებს, არც კი სცხვენია,
ნაოჭს მითვლის და ისე მაბრაზებს,
სურს დამაჯეროს თითქოს ჩემია.

ცოტა დავქალდი, თუმც წლების მერე,
მაინც ხომ მჯერა ზღაპარ–არაკის,
დავდივარ ისევ და ყელს ვიღერებ,
"ცოტათი" გავსცდი "ასაკს ბალზაკის".

ღამით თუ ოდნავ გამიკრთა ძილი,
რა მოხდა, ვის არ აწუხებს სევდა,
თუ მოსაცველელი არ შემრჩა კბილი
და უსათვალოდ გაძნელდა ხედვა.

ხანდახან ძაფზეც ამიცდა ნემსი,
განა დრო მუდამ გაგაღიმილებს,
გამოებერა საფეთქლებს მყესი,
ხელებშიც ვეღარ ვიჭერ გვირილებს.

სულ ტყუილია სახის იერი,
გრძნობების წყაროს წლები ვერ აშრობს,
გული არასდროს არის ხნიერი,
ბავშვად მოდის და ბოლომდე ბავშვობს.

ცხოვრება მიდის, წლებიც გამოხდა,
რად მითვლი ნაოჭს, ხომ არ გაგიჟდი,
ცოტა დავბერდი, მერე რა მოხდა,
არ იქნა მაინც ვეღარ დავდინჯდი.

დღეს მოკრძალებით მეძახი - "მადამ"
ჩემში ის გოგო არ გეგულება,
ქალის ასაკიც იცოდე ადამ,
მოგონილია როგორც ცდუნება.

ქრისტე ორთა სოფლის მეფევ

ქრისტე, ჩემო დილის მნათევ,
უჩვეულო მზის არილო,
ქართველების ძმავ და მამავ,
პურის მადლო და მარილო.

ქრისტე, ორთა სოფლის მეფევ,
სისხლით ქართველ დედის ძეო,
მევენახე მამის შვილო,
უძლეველთა მძლეთა-მძლეო.

ქრისტე, გზაო გადარჩენის,
ღრუბლიანი გულის დარო,
ვით შეგამკო სუსტი ლექსით,
რა სიწმინდეს შეგადარო.

მოვარდნილო სისხლის ჩქერო,
საფიცარო, ერთად-ერთო,
ბევრთა სულთა განმკურნელო,
ჩემო ხსნავ და ჩემო ღმერთო.

თვალებიდან საცნობელო,
ტან-წვრილო და ახოვანო,
ცოდვილ ხალხში მოარულო,
ერთო და ორ - სახოვანო.

ქრისტევ, დედის რძეზე ტკბილო,
ვაზის ცრემლზე მეტად წმინდავ,
არ მსურს სხვა რამ სიხარული,
მხოლოდ გულში მყავდე მინდა.

ქრისტე, ენავ ქართველების,
სიმართლისთვის ჯვარზე ცმულო,
განკითხულო, ვერ ახსნილო,
დაფარულო საიდუმლო.

გულის ცრემლით სალოცავო
სიტყვავ, დანის პირზე მჭრელო,
არა მარტო მოწყალებად,
ცეცხლ-მახვილით მოსასვლელო.

უჩვეულო სიყვარულო,
შეგადარო ქვეყნად ვერც ვის,
კაცის გულში თუ დამკვიდრდი,
ვერა ძალა ვეღარ შეგცვლის.

იავნანის ტკბილო ჰანგო,
ცოდვილ ხალხთა გამომხსნელო,
შენთა ფეხთა მტვერი მოველ,
გიმღერო და მოგეფერერო.

მსურდა რაღაც მეტი მეთქვა,
სტროფი სტროფზე ვაგვირისტე,
სიტყვა შენი საკადრისი,
სად ვიპოვე ტკბილო ქრისტევ.

გათენებავ ბნელი ღამის,
ნეტარებავ სულზე ტკბილო,
ქართველ დედა მარიამის,
თბილ კალთაში გამოზრდილო.

წმინდა მიწა

ვსუნთქავ თუ დავალ,
თუ ცრემლებით გავცქერი მანძილს,
ოკეანეზე წევს ტკივილი,
მე ვგავარ ობოლოს,
არ მივაკარებ გრძელ ღამეებს
არც დაღლას, არც ძილს,
გულში რომ ფხიზლად ვატარებდე
მე ჩემს სამშობლოს.

სხვა მიწის მადლი ვერ მომხიბლავს,
ვერც მთა, ვერც ყანა,
სიყვარულს ჩემსას
ვერვინ გახდის იაფფასიანს,
ქრისტეს ნალოცი ალაგეა ჩემი ქყვეყანა,
საქართველოა წმინდა მიწა -
დიახ ასეა!

ნატვრა შორეული

ახლა სადედოფლო კაბას ჩავიცმევდი
თეთრი არშიებით,
მერე მთის ქედებზე მინდორს მივაფენდი
ფატას მირონიანს,
გული ნაწყენია, არის სიყვარულით ნატრულ–ნამშიები,
ეს არც სიმთვრალეა და არც
უსურვილო ქალის ირონია.

მერე სვეტიცხოვლის წმიდა გუმბათის ქვეშ
ჯვარსაც დავიწერდი,
ნეფეს თეთრ ჩოხაზე ამბორს მივაბნებდი
ღიმილმორეული,
ზეცის ლურჯ თაღებზე ხელებს გავშლიდი და
მზისკენ გავიწევდი,
რომ არ დამრჩენოდა რამე მიუწვდომი,
რამე შორეული.

ნამდვილ სადედოფლო გვირგვინს დავიდგამდი,
გვირგვინს გვირილიანს,
აბა, ჯვარნაწერი სხვა რამ დიადემას
როგორ მოვიხდენდი,
ჩემი სიხარული გააღიმილებდა
ყველა ტკივილიანს,
გამვლელს სიყვარულად გადავედებოდი,
მთა–ბარს მოვირბენდი.

ხელში ამიყვანდა მეფე თეთრ კაბიან
ვითომ დედოფალას,
მორთულ ფაიტონზე ააჟღარუნებდნენ
ზარებს ბაფთიანებს,
მთებში წავიდოდით სად გზას საცალფეხოს
ნისლი მიმოფარავს,
სადაც თაფლობის თვე ყველა სურვილსა და
ნატვრას აფრთიანებს.

ახლა სადედოფლო კაბას ჩავიცმევდი
ჯვარსაც დავიწერდი,
ნეფეს თეთრ ჩოხაზე ამბორს მივაბნევდი
ღიმილმორეული,
ზეცას ავწვდებოდი ნატვრა ახდენილი
მზისკენ გავიწევდი,
რომ არ დამრჩენოდა რამე მიუწვდომი,
რამე შორეული.

სხვანაირად მიხდებოდა მამაჩემი

სხვანაირად მიხდებოდა მამაჩემი,
კაცი მაინც სხვანაირი არის ძალა,
მისი წასვლა იყო უფლის განაჩენი,
წავიდა და გულში რაღაც დაიცალა.

სხვანაირად ვეყრდნობოდი ბაბუს ტორებს,
და მის სიტყვას მთის კაცისას, ნამუსიანს,
ახლა კედელს აღარავინ დამატოლებს,
გავიზარდე, სევდას სული აუვსია.

სხვანაირი ძალა მქონდა, კაცის ძალა,
დიდ ხელებში ჩადებული ციცქნა თათი,
აწ გარდასულ წლებზე სევდა მომეძალა,
რასაც გაჰყვა ის მზერა და ათინათი.

სხვანაირად მიხდებოდა ძმის თვალები,
ის უმცროსი, მაგრამ მაინც ჩემზე დიდი,
თითქოს გზები გავიარე ნათვალევი,
ყველა სათქმელს ტკივილიან გულში ვცლიდი.

სახლს სხვაგვარად უხდებოდა კაცის სახე,
მამის მკერდზე პაწაწინა მუშტებს ვცემდი,
ალბათ უფალს თუ უნდოდა დავენახე,
მარტო მყოფი როგორ ვიდედა–კაცებდი.

წასლვა არის ამა სოფლის განაჩენი,
(წუთი ღმერთო, მართლა ძალზედ მცირედია...)
სხვანაირად მიხდებოდა მამაჩემი,
კაცი მაინც სხვანაირი იმედია.

დიდმუცლობისას

ჩემს სხეულს ორჯერ დაეფარა
პერანგი მადლის,
ორგზის ნერწყვივით მზე გადამცდა
და გავხდი სხვა მე,
ტაატით მავალს მეშინოდა
დაბლა დავარდნის,
რომ ანგელოზებს არ სტკენოდათ
სხეულში რამე.

და გავხდი სავსე,
მთვარესავით ვგორავდი ცა-ცა,
მიწაზე ტერფებს თუ ვახებდი
აღარც კი მახსოვს,
ხან, ასე ფრენით დადიოდი,
ხან აცა-ბაცა,
მუცელზე თავშალს ვიმშვენებდი
ბებიას ნაქსოვს.

ზოგჯერ ვქალობდი,
სასაცილოს ვიღებდი სახეს,
შესაფერებლად

მივეჩვიე თვალების ნაბვას,
ამ დროს კი ბაღში,
მამა ახლად ამყნიდა სხვა ხეს,
დედაჩემი კი, დიდ-მუცელას
მარგებდა კაბას.

მზარავდა სუნი ყველაფრისა,
ყვავილთა, ხეთა,
აპრილის ნაცვლად
ჩემში მხოლოდ ხმამ იბოგინა,
ვიდრე სხეულმა
ორი კვირტი ამომიხეთა
და ღრუბლის მაღლა,
მზის საწოლში მომალოგინა.

ეკატერინე ბულაძე ისტორიკოსი
დაბადების ადგილი ხარაგაული, ციცქიური

შვილებს

რა მინდა გითხრა იცი,
გადარებ მზეს და მთვარეს.
გულს სიყვარულს ვგრძნობ უხვად,
როს ვხედავ მე შენს თვალებს.

გიმზერ და შენი ცქერით,
მე იცი, როგორ ვტკბები.
შენ გაიზარდე დიდი,
მე მომემატა წლები.

მერე რა მოხდა თუკი,
თმაში ჭაღარას ვხედავ.
სულ ბედნიერი მყავდე,
მე ამ ოცნებას ვბედავ.

შენ ჩემო დიდო იმედო,
ჩემო ნაწილო სულის.
ულევი ბედნიერება,
მინდა გისურვო გულით.

მინდა ვარსკვლავებს მივწვდე,
შენთვის დავკრიფო ყველა.
გულში ჩაგიკრა შვილო,
შენ გენაცვალოსა დედა.

მამის ხსოვნას

იმიერში მოგილოცავ,
დაბადების დღეს.
ისევ ჩუმად შევიმშრალებ
ჩამოვარდნილ ცრემლს.

მეც მყოლოდა ჩემი მამა,
მოხუცი და მხნე.
რა ყოფილა ეს სიცოცხლე,
და სიკვდილის ზნე.

ძლიერ თბილი იყავ მამი,
არ იღებდი ხმას.
ვერ ვიხსენებ შენგან ნათქვამ,
სიტყვას ხმამაღალს.

ეხლა მამი იცი რას ვრძნობ?!
ვგევარ ობოლ ჩიტს.
ვისაც ბუდე დაუნგრიეს,
ბევრი დარდი სჭირს.

ყოველ ამ დღეს გაგიხსენებ,
ჩემო მამი, შენ.
ქვეყანაზე უტკბილესი
მამა მყავდა მე.

ხევსურეთი ანატორია

მინდა გიამბოთ გმირობა,
ანატორელი ხალხისა.
მათ შეჰფეროდათ შვილობა,
ამ მიწისა და ამ ცისა.

სოფელი, სადაც ამბობენ
მზე ორჯერ ამოდიოდა.
უყვარდებოდათ, ხარობდნენ,
მართლაც სიცოცხლე ღვიოდა.

საუბედუროდ ჩამოჰკრა,
უბედურების წამმაო.
არვის ზოგავდა სიკვდილი,
ეს იცის ჭირმა შავმაო.

და აკლდამაში თვის ნებით,
ელოდებოდნენ სიკვდილსა.
ყოველი დაავადებული.
აქ თავის ფეხით მიდისა.

ამბობენ თურმე აქ დედას,
აკვნით მიჰყავდა ჩვილიო.
იქ იავნანას უმღერდა,
არ ეკარვოდა ძილიო.

გასასვლელს კაცი დამდგარა,
ლულას დაედო ობიო.
სოფლიდან არვინ გასულა,
არ გავარდნილა თოფიო.

ჩაუკეტიათ სოფელი,
სხვას არ ხლებოდა ჭირიო.
მსურს ვაღიარო ეს ხალხი,
მართლაც ყოფილან გმირიო.

ვარძია

მესხეთს მივედი ვიხილე,
კლდეში ნაკვეთი ვარძია.
ასეთს სხვას ვერსად შეხვდებით,
მართლაც რომ დიდი განძია.

თამარმა კლდენი გაჰკვეთა,
კლდეში ააგო ქალაქი.
ალბათ და თქვენც კი გსმენიათ,
თამარზე ერთი არაკი.

თურმე აქ მთებში მოსილებს
ბიძას თან ახლდა თმარი.
გაუჩინარდა, ეძებდა
ბიძა თავისი ამალით.

და დაკარგულ ბავშვს ეძახდა,
თამარ! სად ხარ ძიაო?
ბავშვი კი შველას ითხოვდა,
აქა ვარ, აქ ვარ ძიაო.

და იგი როცა გამეფდა
ამ ადგილს დაბრუნებულა.
გახსენებია ბავშვობა,
და აზრიც დაბადებულა.

ამ კლდეში ქალაქს გაჰკვეთდა.
ციხე-დარბაზებს ტაძრიანს.
წარსულის გასახსენებლად,
მას დაარქმევდა ვარძიას.

მართლაც და ულმაზესი
გამოუკვეთავს ქალაქი.
და მე კი ლექსად მოგართვით,
ეს მოსმენილი არაკი.

ვარდები

შენგან ნაჩუქარნ ვარდებს ვინახავ,
ვარდები ისევ ცეცხლისფერია.
გამახსენებენ მე იმ სიყვარულს,
რომელიც კარგო მარტო ჩვენია.

მე ამ სიყვარულს გავუფრთხილდები,
და შევინახავ გულში ფაქიზად.
არა, არ მთხოვო, რომ დავივიწყო,
ყველაზე მეტად მე ეს არ მინდა.

კვლავ თმებზე აგდის ვარდის სურნელი,
შენ ჩემო სუნთქვავ და საცნაურო.
და სიყვარული ასე ძლიერი.
ისევ და ისევ გულში ხმაურობს.

და მანამ, სანამ იყვავილებენ,
აქ ცეცხლისფერი მწველი ვარდები.
გპირდები! ისევ ჩემი იქნები,
უფრო და უფრო შემიყვარდები.

***

შენ ხარ ჩემი მზე და მთვარე,
ბნელში მნათი ვარსკვლავი.
და შენს გარდა მარგალიტო,
მე არ მიყვარს არავინ.

გულში ცეცხლი გამიჩინე,
შენითა ვარ მთვრალია.
როს პირველად დაგინახე,
შემიყვარდი ძალიან.

იცოდე რომ შენზედ ვფიქრობ,
დღე არის თუ ღამეა.
არ მასვენებს შენზედ დარდი,
მე არცეთი წამია.

ასეთი რა დავაშავე,
ნეტავ მაინც ვიცოდე.
შეგიყვარე თავზე მეტად
და სიცოცხლე გიწოდე.

***

მინდა სადღაც მაღლა მთაში,
სულ პატარა ქოხი მქონდეს.
არაფერი გვადარდებდეს,
სადარდელი ქარს გაჰქონდეს.

სახლის წინ კი იყოს ველი,
ყვავილებით დაფარული.
და ამ უტყვი სილამაზით,
იხარებდეს ჩემი გული.

განთიადზე გვაღვიძებდეს,
მგალობელი ფრინველთ ხმები.
და ამ ჩვენი სიყვარულის,
მოწმე იყოს დიდი მთები.

იქვე ახლოს რაკრაკებდეს,
სულ კამკამა,წმინდა წყარო.
შენ კი ხშირად მიმეორო.
რომ ძალიან მიყვარხარო.

ვარსკვლავები დაგვნათოდეს,
გვდარაჯობდეს ბადრი მთვარე.
და ჩვენ წმინდა სიყვარულმა,
გააბრწყინოს ირგვლივ არე.

ღვთისგან ნაბოძები ლუკმა,
ჩვენ გავიყოთ თანაბრადა.
ცა ქუდად არ მიგვაჩნდეს და
დედამიწა ქალამნადა

სუმელა

ნეტავ რა ხელმა აგზიდა,
რა ხელმა აგაშენაო.
მე შენდა შესაქებარად,
არ დამეღლება ენაო.

კლდეზე ნაგებო ტაძარო!
ნაშენო ქვა დაკირითა.
ვაი რომ ჩაგძინებია
და გძინავს საღათ ძილითა.

უცხო მიწაზე მეგულვი,
სუმელა! ქრისტეს ტაძარო.
ის დრო ისევე მანახა.
აქ წირვა-ლოცვა ვატარო.

ზარები რეკდეს სამრეკლოს,
გალობა ქრისტიანული.
ვით მერცხლის ბუდე მოსჩანხარ,
და თავს მახსენებს წარსული.

საუკუნეებს გაუძელ,
კიდევ აითვლი ათეულს.
დრო მართლა ვერას დაგაკლებს,
მაგ სიმაღლეზე აწეულს.

ღმერთო! ყოველთვის მოსჩანდეს,
სარკმელში სანთლის შუქია.
კვლავ დაიბრუნოს სიცოცხლე,
სახე არ ჰქონდეს მუქია.

წყაროზე შემხვდა ქალიო

წყაროზე შემხვდა ქალიო,
ვკითხე, ნუთუ გყავს ქმარიო?
არც ხო მითხრა და არც არა,
მორცხვად დახარა თავიო.

ქალს დავაკვირდი, შევატყვე,
სიწითლემ გადაუარა.
ცოტაც დავეჭვდი,ვიფიქრე,
ხორციელია, თუ არა?!

თვალნი მიუგავს ნიამორს,
ტუჩ-ბაგე კიდევ ბალსაო.
ისეთი მშვენიერია,
მართლაც გადარევს კაცსაო.

მინდა ვწვდე, ჩემსკენ მოვზიდო,
კოცნით ვიჯერო გულიო.
მაგრამ რა ვუთხრა სინდისსა,
არ მაპატიებს სჯულიო.

ერთი გავბედე, ვუთხარი,
მას საყვედური ქმარზედა.
ასეთ ლამაზს და მშვენიერს,
მარტოს რად გიშვებს წყალზედა.

ქალმა ასწია კოკა და
ფრთხილად შეიდგა მხარზედა.
და შევამჩნიე საბრალოს,
ცრემლი დაგორდა თვალზედა.

მასა შევნატრი, ვინამცა
შენა გყოლია გულშიო.
ღმერთის ტოლადა ჩათვლი და
მზეს ჩაუსახლებ სულშიო.

ფრთხილად გაუყვა ბილიკსა,
მიმოარწევდა ტანსაო.
ქალსა მანამდე ვუმზერდი,
არ მიეფარა თვალსაო.

ქალი

ქალი ბურჯია ოჯახის,
ქალი ხომ, მართლაც გმირია.
მე ქალი მხიბლავს ლამაზი,
ვით აწყობილი მძივია.

ქალი ვით დედა, მშობელი
და შვილის ბედზე მლოცველი.
ქალი, სიტყვაა ისეთი,
მთელი სამყაროს მომცველი.

მე ქალი ომშიც მინახავს,
ვაჟკაცებს უტოლდებოდა.
ქალის გარეშე ნერგიც კი,
არ იხარებდა, ხმებოდა.

ქალი სიცოცხლის არსია,
ქალი, კედელი, საყრდენი.
სამშობლოს მოამაგენი,
ქალი მინახავს რამდენი.

ქალი ღმერთისგან შექმნილი,
როგორც რომ ნაზი ქმნილება.
ქალის გარეშე მოსვლაც კი,
თვით უფალმაც არ ინება.

უნდა გეფეროთ ქალებო!
ხელისგულ - საგოგმანებო.
ხანაც მებრძოლნო, ვაჟკაცნო,
ხან მარგალიტო, ლალებო.

დამისხით უნდა დავლიო

დამისხით ღვინო, დამისხით,
პირამდე აავსეთ ფიალა.
რამდენმა შავმა ღრუბელმა,
ჩემს თავზე გადაიარა.

დამისხით უნდა დავცალო,
მგონი ამჯერად გავლოთდი.
ამდენი სასმელისაგან,
ბახუსის მონა აღმოვჩნდი.

დავლევ და მე ამ ცხოვრებას,
მერე სხვა თვალით შევხედავ.
აღარ მადარდებს ქუჩაში,
ნაცნობ-უცნობის შეხვედრა.

ვინც უნდა იმან გამკიცხოს,
რად იარები მთვრალიო.
არვის არაფერს ვუშავებ,
მე ჩემი მაწევს ვალიო.

შენ რაღას გიშლი ძმობილო!
მე თუ დავდივარ მთვრალიო.
გულში ჩამიკრავს გგონია,
მე საყვარელი ქალიო?!

ყველა დავკარგე მის გამო,
ამიტომაც ვარ მთვრალიო.
და ვიარები მიწაზე,
ბარბაცით, ერთი ცალიო.

დღეს ღვინოს ვინმე მომაწვდის,
ხვალაც ვეცდები დავლიო.
და ასე წუთისოფელი,
მინდა ბახუსში გავლიო.

დედა

შენს ფანჯარაში შუქი შევნიშნე,
რად არა გძინავს დედი?!
გადაგგქცევია ალბად ფიქრებად,
დედი შვილების ბედი.

ალბათ ლოდინმა დაგღალა ჩემო,
და გზის ამდენმა ცქერამ.
ლოდინი გახდა შენი ხელობა,
და მონატრება,დედა.

ალბათ რამდენჯერ შენ მონატრების,
გადმოგცვენია ცრემლი.
შენგან გაკვალულ ბილიკებს დედა,
მე ნელ-ნელობით ვტკეპნი.

ვიცი სარკმელთან, ხშირად ფიქრებში,
იხსენებ დედა წარსულს.
როდესაც ხელში გეჭირეთ ჩვილნი,
და დავიწყება არ გსურს.

შენს დამჭკნარ ხელებს ვენაცვალები,
თეთრად დათოვლილ თმებსა.
ეს რა ყოფილა დედაშვილობა,
და რა ცოდნია წლებსა.

მინდა რომ დიდხანს იცოცხლო დედა,
წინდებს მიქსოვდე, რთავდე.
და არ დამტოვო ჩემო დედიკო,
მინდა იმედად მყავდე.

გაზაფხული

მარტიც, ჩემი აპრილიც
გაზაფხული მთლიანად.
ხოტბას შევასხავ, ვუმღერებ,
ლექსსაც მივუძღვნი ხმიანად.

მიყვარს რომ აფეთქდებიან,
ვარდისფრად ატმის კვირტები.
და მაღლა მთაში ერთურთის
ძებნას დაიწყებს ირმები.

ხმაურით გადმოეშვება,
მდინარეები მთებიდან.
მყინვარიც დნობას დაიწყებს,
კავკასიონის ქედიდან.

მზეც ფერს შეიცვლის,
ბაჯაღლო ოქროსფრად ალივლივდება.
მიწაც გათბება, ჯეჯილი
იზრდება, აბიბინდება.

შეიმოსება ბუნება,
მწვანეს ჩაიცმევს ფარჩასა.
გლეხიც გალესავს გუთანს და
კვლავ შეუდგება გარჯასა.

ვაზსაც გასხლავს და აკონის,
დალოცავს ვაზის ფესვებსა.
უფალო, ძალა მიეცი,
მიწის მხვნელსა და მთესველსა.

ბლომად მიეცი დოვლათი,
გლეხსა, მიწისა მუშასა.
ლოცავდეს ბუნების ძალას,
და ადიდებდეს უფალსა.



ლალი ორმოცაძე

პედაგოგი. საქართველოს ხელოვანთა,
მწერალთა კავშირის წევრი. დაბადებული ბათუმში

„დარწმუნებული ვარ ამ სამყაროში უკვე ათასჯერ ვიყავი, როგორც ახლა, და იმედი მაქვს ასევე ათასჯერ დავბრუნდები“ (იოჰან ვოლფგანგ გოეთე!)
“ “

სხვა ჟამში...

“ “ “

მე გადავეშვი, ჰო, გადავეშვი წარსულ, სხვა ჟამში...
თეთრი მერანით არქაულში ვარ ნათქარუნები...
“ “ “

პონტოს სილურჯე მიხმობდა მისკენ უცხო ცდუნებით...
სულის ჩქერები ბინდ-ბუნდში მახვევს ანაჩქერები...
“ “ “

ზმანებით მიპყრობს ბროლის ტალღები, ვით ჩანჩქერები,
ჩაძირულია წარსულის ლანდი მეტყველ ფერებში...
“ “ “

აუთვლელია ისტერიული, ცეცხლის გზნებებით,
მისტერიაა ამოუხსნელი, გამაოგნები...
“ “ “

შენთვის მოძღვნილი პოეზიის წმინდა ვნებებით,
მე გადავლახე ლაჟვარდოვანი ზეცის საზღვრები...
“ “ “

წინ მიმიძღვოდა სული წმიდისა, სპეტაკი მტრედი,
შემომცქეროდა ის სასოებით... განაოცები...
“ “ “

ჰოიი! გალაქტიკებში ცხადად, ცხადად ვიხილე
გასაოცარი ოლიპმოს მთების ზენა ღმერთები...

“ “ “

ნეტავ ვინა ვარ? იქნებ ღვთაება, წყარო მუზების,
ანდა იქნებ ვარ მოხეტიალე, ვინმე უბირი?
“ “ “

ო, ხან დედამიწას ვიპყრობ საუცნაურო ფიქრით
გაგიჟებული,ხანაც ვარსკვლავებს ვლაშქრავ ჯირითით...
“ “ “

ან როგორ იტევს სული ტიალი უვრცეს სივრცეებს,
სული მშფოთვარე, ლურჯი სიზმრებით ანაკინძები...
“ “ “

ჰოი! იოჰაან!
ათასწლეულის ისტერიული მოჰქუხს ჩრდილები!
შევიშალე, თუ გოეთესავით დამდევს ლანდები?...
“ “ “ “ “ “ “ “ “ “ “ “ “ “ “

ჰკივიან ქარები ბოლო ოქტავით...

“ “ “

როკავს ორკესტრში წვეთები წვიმის,
ხსოვნაში შენი აჩრდილი ჰყივის,
ავხეტიალდი
და ამედევნე უცნაურ ჟინით,
გარდასულ ჟამთა
სივრცეები ჰრბიან ყიჟინით...
“ “ “

ვეღარა ვჰპოვე ყოფა სიმშვიდით,
ჩვენს სამყაროში
ნუთუ ყოველი არის წაშლილი?...
ისევე ვტირი ჯიუტ ბავშვივით,
ვიგრძენ ჩურჩული...
– ძვირფასო, გეტრფი, იყავი მშვიდი,
შენა ხარ ჩემი ცისფერი ლილი...
“ “ “

ჩაჰფლითა, ჩაჰლეწა გრიგალმა ნოტები,
ვაი! ქარები ჰკივიან ბოლო ოქტავით,
გულს მაგლეჯს მე შენი ტკივილის ოხვრები,
მოჰთიბა საწუთრომ დიადი მოკვდავი,
ციურ გუმბათზე ბრწყინავს მნათობით...
“ “ “

ჩაბნელდა, ჩასრულდა ლამაზი მითები,
ჩათქერა სიკვდილმა ფერადი ზღაპრები,
დახეთქა ყინულმა იმედის კვირტები,
ჩააქრო საწუთრომ ცეცხლივით თვალები,
ჩაწურა იღბალმა ჟამთასვლის მტევნები...
“ “ “

შთაინთქა ვნებები გამაოგნები,
სანთლის ტყეებში ანაცრემლები,
მოთქვამს პოეტი განაოცები,
უჰორიზონტო უსაზღვროებით...
შმაგობს შეშლილი! გიჟურ გრძნებებით...
“ “ “

მაგრამ„სულ სხვაა სიყვარული“ პირველი
და ანარეკლიც
მისგან შთენილი„უკანასკნელი“...
ქარს მიჰყვებოდა ქარივით შლეგი,
ბედს მისტიროდა კვნესით და სევდით,
აღარცა ჰქონდა იმედი ღმერთის,
ზენამ წარსტაცა ის ერთადერთი...
“ “ “

ყინვამ დააზრო ვერხვის ფოთლები,
სეტყვა დაგაცხრა შენ ალმაცერი,
გზააბნეული წივის ფიქრები,

ჰოი, დამთრგუნავს დღე ათასები,
ვეღარ აკეცე გზა–სამანები...
“ “ “

ლოდინი გრძელდება... არ მსურს დავეცე,
ბურანში ფანტელი მათოვს ნამცეცებს,
ზამთარი ძერწავს ნაფიფქარ ყინულებს,
ჩამოწვა მეწყერი...გრიალებს ზვავები,
ვეღარა გწვდები...
“ “ “

წუთისოფელი შეუცნობელი
დამსგავსებია სხვისგან ნასესხებს..
მთოშავს, სიცივე სულს ამყინვარებს...
დამემსხვრა ფრთები, ვინ გამიმრთელებს...
ვეღარ მოვფრინავ... ვერა, ვერ გწვდები...
“ “ “

მითხარ, რა ვუყო ქართა რიალებს,
ცაში ატყორცნილ ბოლო ოქტავებს,
და დედამიწის თეთრ როიალებს?
სულნაზვირთები შენთან ვრიალებ...
“ “ “

ზაფრა მკლავს... ისევ გწერ, ისევ გწერ,
ირმის ბღავილით ვჰკვნესი სტრიქონებს,
მყვირალობისას კლდიდან მოვწყდები,
შევერკინები მთის სტიქიონებს...
“ “ “

სადამდე გაუძლებს
იღბალი მსახვრალი
გულს ტანჯვით ნაძგერებს...
სათუთად ავკინძავ
უნაზეს ბარათებს,
მტრედებით მოგაწვდი
ფაქიზად ნაფერებს...
ოჰ, ზმანებით დავჰქრი...
ისევ შენ დაგეძებ...
“ “ “

ჰოიი, სადა ხარ?
არსად ხარ...
ჩაბნელდა,
ჩასრულდა
ლამაზი მითები...
ჩაჰლეწა,
ჩათქერა
სიკვდილმა
ფერადი ზღაპრები...
“ “ “

ჰაუუ... ქორბუდავ!
გელი მირაჟში
ლურჯი ოლარით...
ვაი! ჰკივიაან!
ყინულის ნოტები
ჰკივიან ქარებში...
ბოლო ოქტავით...
“ “ “ “ “ “

ვკინძე და ვკინძე ეპოქათა საწუთროები...

“ “ “

ჰოიი!
ზღვის სამარეში ლეწავს ნიჟარებს
მიმობნეული ძვლების გროვები,
და მე შეშლილმა და მე შეშლილმა
ამოვხეთქე ათასწლოვანი სარკოფაგები!
ამაყ ჰრბოლვებით მოვიჯირითე
ბაბილონის, შუმერ-ქალდეას, აიეტ კოლხის,
დიად ღმერთების ოლიმპოს მთები!
ვკინძე და ვკინძე ეპოქათა საწუთროები!

“ “ “

ო, ზმანებათა ქარაშოტებმა
ლაინისფერით
პონტოს ტალღებზე ამომაფრქვიეს....
ჰოი! გუგუნებს
ღრუბელში ნისლი ცეცხლით და ქარით!
ზეცის არმურში გუგუნებს
ალმოდებული გალაქტიკები...
იწვის და ჰკვნესის
გარდასულ ჟამთა საუცნაურო
საოცრებები...

“ “ “

გიჟივით მოვჰქრი!
შენი ნეკნი ვარ!
ოჰ! შენ დაგეძებ
ნიბირუელო!
ატლანტიდელო!
იბერმუდელო!
ჩაძირულო და
უხელთებელო....
ყოლგნით დაგეძებ
შენ, ჯადოქარო!
მითოსურო და
ბაბილონელო!
ქალდეელების
ტიგროს-ევფრატის
მოგვების სულო!
ჩვილი იესოს
თაყვანმცემელო...

“ “ “

ამოვხეთქე ათასწლოვანი სარკოფაგები!
ხორცშესხმული ვარ,
ძვლები ათას წლის!
ამორძალი ვარ
ავაზას სულით!
ვმოთქვამ ეული,
გადარეული!
გარდასახული....
გადაფლეთილი ბროლის ცრემლებით...

“ “ “

ო, სად არი? სად არი
მოშარიშურე მწვანე პალმები,
ანდა ტირიფი ნაზი ფოთლებით...
სად არი? სად არი წალმით ნაფენი
ჩვენი ქოხები....
ან დარბაზები ფარაონების...

“ “ “

ედელვაისად ამოვიყლორტე
და ჩავიძირე ტალღის ქვითინში...
კამარას ჰკრავენ მაგნოლიებში
დედოფლებივით ზღვის თოლიები...

“ “ “

მომნატრებია
მე ჰერასავით ზევსის ჩურჩული,
მესურნელება...
მესურნელება
ოჰ, პარნასელი სურნელი ვარდის,
ოდესღაც... მაშინ...
ვხეტიალობდით ოლიმპოს მთებში...

“ “ “

ჰოი, ძვირფასო, როგორ გიყვარდი!
ჩვენ ვგიზგიზებდით ტრფობის ალებში...
სულში გვითრთოდა
ლურჯ ალიონის ცისფერი ცვრები...
ლაჟვარდისფერში
გვეფერებოდნენ ანგელოსები,
გვაგვირგვინებდა განცდის სინაზე,
შენკენ ვილტვოდი,
გასხივოსნებულ სიწმინდის გზაზე,
ჰოი, აინთო მოგონებები
და შემომადნა
გარდასულ ჟამთა თეთრი ფიფქები...

“ “ “

ამოვხეთქე ათასწლოვანი სარკოფაგები!
მივაპობ...
მივაპობ ტალღას...
თოლიებს ვატან მგზნებარე ბარათს,
ნუთუ არა აქვს საშველი ტანჯვას?!
ვერა! ვერ ვემონები მიწიერ ვარამს...

“ “ “

უნდა გიპოვო...
და თუ მიწაზე არსაითა ხარ
მთვარიან ღამეს ზეცას ვეწვევი,
არ მოვისვენებ,
უნდა დავლაშქრო
სავარსკვლავეთის უვრცესი ველი!
და ჩემი სული დაუცხრომელი,
გიჟად ქცეული
ყოველგან გჰპოვებს,
თუნდაც გქვიოდეს დედამიწელი,
ანდა სუფევდე სასუფეველში...

“ “ “

შენ ხომ მელოდი?
ზეცის სარკიდან
ჩამჩურჩულებდი...
ო, შეშლილივით გაგიჟებული
საუკუნეებს ვიკეცავდით და
მეძახდი მარად ფაქიზ
ცდუნებით...

“ “ “

აჰაა, მოვედი!
მე შევიშალე
და
ამოვხეთქე ათასწლოვანი
სარკოფაგები!
ამოვხეთქე და
ოჰ,უსასრულობის სივრცეებში
დავეხეტები
სასოწარკვეთით...
ხან დაბნეული,
ხანაც თავგანწირული
სიყვარულით
აღტკინებული
თეთრი რაშივით
მოვჯირითდები!....

“ “ “

ღმერთოოო დიადო...
ვიხილე სატრფო ...
მადლობელი ვარ
ცისკრის ნიავო....
საფირ ნისლებში
ამდევნებიხარ
ნეტარ აჩრდილად,
სადაფის ფერად,
ზეცის რაინდად....

“ “ “

ისევ და ისევ ამდევნებიხარ
ვნებად და ცეცხლად!
ხელახალ შობით
დავბადებულვართ
ათას წლის მერეც
და
მრავალ ათასის...
დრო წაიშალა...
სივრცეც გამქრალა...

“ “ “

ჩვენ მხედრები ვართ
ცის ორიონის,
დღე-სასწაულობს
კავკასიონი,
ხევებს ასკდება
წყალი იორის...
ზარები რეკენ
წმინდა სიონის....
ისევ ერთად ვართ...
წმინდა ჯვრისწერით
შეგიერთდები...
ამ ჟამის ჟამშიც
უკვე ვართ ერთნი...

“ “ “

ავაგრიგალოთ
წმინდა ტაძრებში
სამრეკლოები!
ისევ მრავალგზის
ერთსულ ავკინძოთ
ეპოქათა სივრცეების
საწუთროები...

“ “ “ “ “

(ნათელხილვა)

“ “

მითოსური, ის ღადარი...

“ “ “

მელანდება შენი ხატი,
თმებში ჩაგიქარგე ვარდი,
არსად, არსად არ მიხილავს
მე მშვენება შენი მსგავსი,
ქალი ხარ, თუ დედოფალი?
თუ, რენესანსის სიზმრის ლანდი?

“ “ “

ხვატი, დელგმა, ცეცხლი,
მხურვალება სულის
გაითქვიფა სულ–ერთიან
გზნების მზეში...
უდაბნოა? თუ
ფერს იცვლის სივრცის
ბნელი?...
კაეშანი გაციურდა,
მეჩვენება? თუ
მივცურავ მზეში?
მედელგმება ხვატი
ცეცხლად...

“ “ “

ალისფერი ცისკარია,

თითქოს იგი
მიღმიერი ლოტოსია,
ღადარს მაყრის
ნაკვერჩხლებად,
სულიერი ზეიმია,
მწვავს შლეგობა
და არ ვიწვი,
უქრობელი, უსაშველო
ხანძარია,
სამყაროში აღმაფრენის
გუზგუზია...
“ “ “

ვიფერფლები,
ვერცხლისფერად
ვფერმკრთალდები...
ნაპერწკალი ისევ
ღვივის, ღვივის
ცეცხლის გასადელგმად,
ხვატში მარწევს
მუგუზალი ნეკერჩხალის
და ფიფქივით მზე მადნება
ნაკვერჩხლებში ჩასაქარგად...
“ “ “

უეცარი ბნელ–წყვდიადით
ჩაქრა,
ჩაქრა ნეტარება
ცეცხლოვანი,
ალისფერი,
უცნაური ოქროსფერი,
ტიბეტური ევერესტის
წვდება მწვერვალს...
გამთოშე და გაითოშე
დადგა მწუხრი ირონიის...
“ “ “

ვინ ვყოფილვართ?
ვნების სივრცის ტრფიალების,
უკმარობის ნაპერწკალით
ვერ იღვივა სულმა მზეში?
დამსხვრეული ათინათი
გაფანტულა ნაცარგვალის
ქარიშხლებში...
ჩვენი ტრფობის ანარეკლი
გათელილა ნაცეცხლარში...
“ “ “

აფუთფუნენ ჯადოქრები
და ჩაჰრეწეს ოცნებები
ბოროტების გრიგალებში!
აჰა! დადგა მწუხრის ჟამი
სევდიანი, კაეშანით
სივრცეს ფარავს შხამიანი
ყინვის ფარი...
“ “ “

განსხეულდა, შეეძერწა
მყინვარს ყინვად
და ლეგენდად
საოცარი ტრფიალების,
მზის სადარი,
უჩვეულო, შმაგიანი,
მითოსური ის ღადარი...
“ “ “

ყინვამ შთანთქა ჩემი ხატი,
ოჰ, დააზრო ძოწის ვარდი
ნაფერები სიყვარულით...
ო, რად მერგო ცრუ ღალატით
შეშლილობის ისტერია...
მწუხარებით დათრგუნულსა
ჭიუხვებში მიფრენია,
არწივივით მიყივლია
რომ ამეხსნა სიყვარულის
იდუმალი მისტერია...
“ “ “

მენატრები შენ, ნეტარო,
სამყაროში არვის მსგავსო,
უკარებავ, მყინვარწვერო,
უწვდომელო ევერასტო,
ლუვრის ლანდო, ნაზო ვარდო,
ჩემი სუნთქვის მზე ღადარო...
“ “ “ “ “ “

ზაზა მედულაშვილი

სამართალმცოდნე. პოლიციის მაიორი
დაბადების ადგილი გურჯაანი არაშენდა

ვაზის სიმღერა

რქაწითელი ეუბნება,
საფერავის ჯიშის ვაზსა.
ვაჟკაცურად ერთი მითხარ,
რით მამეტებ ბიჭო თავსა.
ქარხანამ თუ შენს ყურძენში,
გადიხადა ჩემზე მეტი.
მე სიხარულს ისიცა მგვრის,
რომ ავავსე დიდი ქვევრი.
კაცი შენ თუ სამ ჭიქას გსვამს,
მე სამ ლიტრას ჩამისხავსო.
სენ არასდროს შეგინახავს,
მე ჯაგნებად ამისხავსო.
იანვრიდან თებერვლამდე,
ზედმეტ ტოტებს გამისხლავსო.
შემდეგ მაჯებს გადამიგრეხს
და მავთულზე დამიბავსო.
მუშა კაცი სახლში ჯდომას,
აბა როგორ მოითმენსო.
ერთი ორჯერ გადამკრეჭავს,
გამარიდებს ფოთოლ„თმებსო„
ვენაცვალე გლეხის შრომას,
თავზე მადგას ყველა თვესო.
ქალაქელებს ვახსენდები,
ჩამოდიან მხოლოდ რთველსო.
ამდენ ვარამ გამოვლილი,
მოვიწევი სექტემბერსო.
ოქტომბერში დამკრეფავენ,
ჩამწურავენ დიდსა ქვევრსო.
ავდუღდები ჩამერევა,
ჩასარევი მე სამკაპა.
მაჭრის სუნად დავიღვრები,
მაჭაშნიკებს მიხო პაპა.
ორ კვირაში დავღვინდები,
ვინ დამტოვებს ქვევრად განა.
ბოც-ბოცებში ჩამასხამენ,
აივსება მინის ტარა.
მემრე დოქით მიმიტანენ,
დავამშვენებ სუფრის თავსა.
შემდეგ ყანწით ან ფიალით,
გავუდგები მუცლის გზასა.
ბარაქით და სიტკბოებით,
დავუყენებ მტერსა თვალსა.
ყურძნად მჭამოს შეერგება,
ვინც ვერ იგებს ღვინის ფასსა.
დარჩენილი ჭაჭისაგან,
გამოხდიან სულ არყსა.
ლოთი ჭიქას გამოჟურავს,
გააკეთებს ცხრა მალაყსა.
ერთი სიტყვით მეგობრებო,
ყველა ამბობს ვაზზე კარგსა.
აბა როგორ ვუღალატო,
კახელ მშრომელ კაი კაცსა.

არსაიდან ხმა

ამ სოფლად წამად მოსული,
წამის ნატრულად ვქცეულვარ.
წყურვილით ლაღი სიცოცხლის,
მათხოვრად გადავქცეულვარ.

მაგრამ სად არის სილაღე,
დღის შუქსა ვხედავ ბინდადა,
ამდენი ცუდის ყურება,
თვალზე მედება ლიბრადა.

აღარ გამოჩნდა ცის ფონზე,
„არწივს„ ვერ ვხედავ მეფესა.
„ჭილყვავმა„ გადამიძოვა,
რაც კი რამ ყანა მეთესა.

ბეღელი„ტილით„ გაივსო,
საცქერად თვალშემზარავი.
ქვეყანას„ტურა„ მოედო,
ქურდბაცაცა და მპარავი.

ზოგჯერ კაცსა და მშიერ მგელს,
ვინ რითი განასხვავებსა.
სახვრეპი ყველამ შეხვრიპა,
საძიძგნი დარჩათ„სვავებსა„

არსაიდან ხმა არ არის,
არსით ძახილი არ მესმის.
ქართველი ხალხის ვარამი,
ყურში გოდებად ჩამესმის.

ვუძღვნი მეუღლეს

{ფეხმძიმე ქალებს}

მას მუცელში აქვს მყუდრო ბინა ცხრა თვის საგზალით,
რა სიხარულის მომტანია ენით ვერ აღწერ.
ასე იტყვიან მოცურავსო ტივით ნელნელა
და ცხრა თვის შემდეგ სიყვარულის ნაპირს მოაღწევს.

ეს სულ ერთია ბიჭია თუ გოგო იქნება,
ლეკვი ლომისა სწორიაო უთქვია რუსთველს.
რა კარგიაო ეს ცხოვრება გვამცნობს ბულბული,
ვარდის ბუჩქებში ტკბილი ენით ლამაზად უსტვენს.

ცხრა თვის შემდეგ კი სიხარული უფრო მძაფრდება,
როს ამ ქვეყანას ევლინება ერთი არსება.
მოვა და ყველას გაგვახარებს ის ანგელოზი,
ყველა ნანახი ცხრა თვის სიზმარი ასე ახდება...

მიუკაკუნებ...

ახალგაზრდობა ისე გაივლის,
მიუკაკუნებ სიბერის კარებს.
რომ ვერ გაიგებ სად გაქრა წლები,
სად გაუფანტავს შფოთიან ქარებს.

ბავშვობის წლები ჩვენი სარკეა,
ახალგაზრდობა წმინდა სანთელი.
სიჭაბუკიდან გადასულ კაცებს,
გასავლელი გვაქვს გზები ნათელი.

გაივლის წლები, მოვა სიბერე.
გულს ვერ აჰყვება ბებერი სისხლი.
ბავშვობა დღეა განათებული,
სიბერე ცივი,ღამე და ნისლი...

რა იმალება...

ღამემ დააღო ხახა შავბნელი,
ჩაყლაპა დღე და მზის ბრწყინვალება.
დათარეშობენ ლანდები უხმოდ,
ამ სიბნელეში რა იმალება.

მხოლოდ დუმილი აზრთა ჭიდილში,
მხარზე შემჯდარი ეშმაკი ავად,
ბოროტი ენით მოლაპარაკე,
წარმოდგენილი სამყარო შავად.

დღისით კი ლამაზ ფერთა სამეფო,
მოაფრქვევს სურნელს ია ვარდ ქმნილი.
სულს გაანათებს გულის ძახილით,
სიბნელისაგან იავარქმნილი...

გლეხი კაცის საფიქრალი

გლეხი კაცის საფიქრალი, დასტრიალებს ვაზის ძირსა.
ისე უვლის როგორც მამა, სახლში უვლის თავის შვილსა.
თვითონ იკლებს, მაგრამ ყურძენს, არ დააკლებს თავის წილსა,
ელოდება მოიწიოს, მოსავალი მისი წლისა.

ცოტაოდენს თუ გაჰყიდის, დააფასებს არცთუ ძვირსა,
წავა ბაზრად და იყიდის, სახლისათვის რამე მწირსა.
ცოტას სახლში წამოიღებს, გოდრებს ავსებს ქვევრისთვისა,
ისეთ ღვინოს დააყენებს, არ ინახვის თვალით მტრისა.

ფუძე სადაც თვითონ ცხოვრობს, არის მისი წინაპრისა,
საწნახელი დაუტოვა, პაპის პაპამ წაბლის ხისა.
ჩამოასხამს დოქში ღვინოს, წამი დგება დიდებისა,
ფიქრით წარსულს გააცოცხლებს, შვილთაშვილი ამად ღირსა.

დ ა ვ ხ ვ დ ე ბ ი თ...

გლეხს მიწის მადლი ასულდგმულებს, ბალახს ცის ნამი,
ბარს მოჩუხჩუხე წყაროს წყალი, მთიდან ნავალი.
ავადმყოფს ყოფას უხანგრძლივებს ციცქნა წამალი,
მიჯნურს კი ტრფობა, გულის კარში გრძნობა ნამალი.

ჩვენ ასე ვცხოვრობთ, ჩვენი საქმე სხვა არც არარი,
გულით დავხვდებით კაცს კაცურად, მავანს მავანი.
თუ გაგვივლია წლები არცთუ ისე მრავალი,
რაც დაგვრჩენია ღმერთმა მოგვცეს ტკბილად სავალი...

ფ ხ ო ვ ე ლ ს ...

დაბლა წევს ლაკბის ხეობა,
მაღლით დაჰყურებს ფხოველი.
ბევრი უნახავს ამ კუთხეს,
მტერი და სისხლის მწოველი.

მისი მშვენებით დამტკბარა,
ამის მნახველი ყოველი.
მეც ვიზიარებ ამ ტკბობას,
სხვა არც არაფერს მოველი.

ძველის-ძველია ეს მხარე,
კიდევ გრძელდება ცხოვრება.
აქ ჩემი გვარის წინაპრის,
ძვლები და სული ცხონდება.

ზაფხულს საამო ნიავით,
ზამთარში მყუდროდ საყოფი.
შორიდან ვერას გაიგებ,
თუ აქ არა ხარ ნამყოფი.

რას აღარ ნახავ ამ ტყეში,
ხილი, მის ხეთა ნაყოფი.
ფრინველთა თავზე საყრელი,
ნადირისთვისაც სამყოფი.

კუნელი,პანტა,ასკილი,
სოკონი ნაირ-ნაირი.
ზღმარტლი და ბია კომშები,
ხეხილი ათასნაირი.

ამ ადგილს შველი ამშვენებს,
ხოხობიც ზღაპრად ქცეული.
მაყვლის ბარდებში ლამაზად,
გაქცეულ-გამოქცეული.

ხანდახან ტბებს მოაკითხავს,
გედი ბედისგან ეული.
ყველას იზიდავს ეს მხარე,
წალკოტად გადაქცეული.

დაბლა წევს ლაკბის ხეობა,
მაღლით დაჰყურებს ფხოველი.
კეთილის მახარობელი,
ცუდის ყოველთვის მგმობელი...

რ ა ც კ ი

სულის ნაპრალში ჩავარდა მთვარე,
გათენებამდე უძრავად იწვა.
გულიდან მზემაც უშველა ვერა,
უფრო დაშორდნენ ზეცა და მიწა.

და აი ასე დაშორდა კაციც,
თავის ღმერთსა თუ ბუნებას მისსა.
სულ გადაუსვა ყველაფერს ხაზი,
რაც კი ოდესმე განგებამ მისცა...

ქ ა ლ ებ ს

მობრძანებულა ჭირვეული მარტი ქალივით,
თვე გაზაფხულის პირველი და მანდილოსანთა.
მუდამ სიცოცხლის მომტანი და მახარობელი,
ია ვარდების, ტიტების და ზამბახ სოსანთა.

თვე გაზაფხულის მარტია და რიცხვი რვა არის,
ეს თვეც ქალივით ცვალებადი მათი ხვედრია.
ამ დღეს გილოცავტ ჩემო კარგო ქალბატონებო,
ნაზი არსება ქალის მსგავსი არ შემხვედრია.

ს ა ნ ა დ ი რ ო დ... –

ხვალ დიდი დღეა, სანადიროდ მივდივართ საძმო,
წინასწარ ვტკბები, სულიერად ვხდები ამაყი.
მოვრჩი სამზადისს, მოვუყარე სასუსნავს თავი,
ზურგჩანთას კიდევ მივუმატე ცოტა არაყი.

„თეთრი“ სიცივეს მალე ტეხავს, ძარღვებს აცხელებს,
კარგად გამიგეთ, მონადირის ეს არის წესი.
თითო ყლუპს დავლევთ, გავიხსენებთ ვინც ნადირობდა
და ოჩოპინტრეც „გველოდება“ ნადირთა მწყემსი.

ცოტა ნიგოზი დაშუშული,ცოტა ხიწიწი,
ცოტა მუჟუჟი, ღორის თავი ტყვია ნაჭედი.
პამიდვრის მწნილი, მწვანილები, ხახვი ნიორი,
სულ ცოტა ჭრელი შებოლილი სალის ნაჭერი.

მეფური სუფრა, ამაზეა ზუსტად ნათქვამი,
სუფთა ჰაერზე მუხლის გაშლა მთაში თუ ბარში.
ამ გულის ნადებს ვერ გაიგებ მონადირისას,
თუ ასეთი რამ არ ყოფილა შენს ცხოვრებაში...

ვაგრძელებ...

ლექსების წერას ვაგრძელებ,
ცხოვრებაც მუზას აცოცხლებს.
ალბათ იქამდე შევიძლებ,
სადამდეც ღმერთი მაცოცხლებს.

სადამდეც ნორჩი რითმებით,
კვლავ მასაზრდოებს გონება.
სადამდეც ცელქი გრძნობები,
ბავშვურ გულს დაემონება.

სადამდეც კალამს ამ ქვეყნად,
კვლავ შერჩენია მელანი.
სადამდეც გარშემომყოფნი,
ძლიერ მიყვარხართ ყველანი.

სადამდეც ჩემით თქვენამდე,
ამ გულში სიყვარულია.
სადამდეც ყველას სახეზე,
სითბო და სიყვარულია.

სადამდეც შრომა-ჯაფაში,
მომდევს მკლავი და მუხლია.
სდამდეც ორთავ თვალებში,
კვლავაც სინათლის მუხტია.

ლექსების წერას ვაგრძელებ,
ეს ჩემთვის ყველაფერია.
დავწერ იქამდე სადამდეც,
ცხოვრება მშვენიერია...

მ ე კ ვ ლ ე

მთვარე ვარსკვლავთა მამაა,
მზეს ერგო მათი დედობა,
მეკვლე ვარ ყველას გილოცავთ,
ახალ წელსა და ბედობას.

მეკვლე ვარ ღმერთმა აგავსოთ,
ბარაქითა და ხვავითა.
გიმრავლოთ ბაღჩა ვენახი,
თვალუწვდენელი ზვარითა.

გიმრავლოთ ფრინველ ცხოველი,
ბეღელიც მადლის პურითა.
არ გამითენდეს თვალებში,
თუ არ ვამბობდე გულითა.

სარჩო უბოძე ამ ოჯახს,
ნაშრომი მკლავ მარჯვენისა.
ანგელოზებმა დალოცონ,
ფუძე კერია ჭერისა.

ფიალით მინდა დაგლოცოთ,
ამ ენა ტკბილი პირითა.
ღმერთმა მარანი აგივსოთ,
ბულბულის ცრემლა ღვინითა.

ღმერთო ამ ოჯახს უმრავლე,
კარგი სტუმარი მნახველი.
ახალ წელს მეკვლედ მოვსულვარ,
არაშენდელი კახელი...

იზა კარიჭაშვილი

ინჟინერ ეკონომისტი.
დაბადების ადგილი გორი.

ზღაპრული იყო...

ზღაპრული იყო ლეფილიეს სკოლის ნაძვები,
ღარჩის თეთრ ქვებზე მორაკრაკე ბროლის ბინული,
ჟუშკის ფერდობზე გაწოლილი ლურჯი ნისლები,
დაუვიწყარი ბავშვობა და მწვანე ობრული..

ზღაპრული იყო ნაეზვარის ყანები ზვარე,
ოლენ ტყისაკენ მიმავალი ვიწრო ბილიკი,
მესაიდუმლე ოცნებების, - ნამგალა მთვარე,
გაშლილ მინდორზე გაუხედნავ ცხენთა ჯირითი...

ზღაპრული იყო წყალვარდნილზე ძველი წისქვილი,
მონოტონური მელოდია დაუვიწყარი,
ნაუცბათევად, მსხალის ძირში სუფრა გაშლილი,
ჩაურაზავი, მოჭრიალე რკინის ჭიშკარი...

ლამაზი იყო, რა ერთგული ნიკორა ხარი,
რაღაცნაირად მისტიური გუთან-სახნისი,
ბაბუ მღიმარი, მოგიზგიზე კუთხის ბუხარი,
თავშალწაკრული ჩემი ბებო დიასახლისი...

ზღაპრული იყო "მოსაუბრე"ნაძვების ჩრდილი,
სანაძლეოზე "მოპარული" ახალი თხილი,
ორდროშობანა, ხიდობანა, კარტის თამაში,
ხან ფეხშიშველი ნავარდობა მწვანე ბალახში...

რა ჩქარი იყო ცხენისწყალი, ზოგჯერ კი მშვიდი,
ხან მდინარეზე თავს იხრჩობდა ზღაპრული ხიდი...
...ზღაპრული იყო საკირეზე კირქვების კვამლი...
და მშობლიური დედულეთის ბავშვობის სახლი...

აპრილში გავჩნდი, ყვავილობისას
იებით თქვენსკენ მოვიჩქაროდი...
.....
ხიდისთაური ატმების ეშხით,
პოეტის ქნარი მსურს ავამღერო,
ქართლის გულიდან ნამღერი ლექსით,
მთელ საქართველოს რომ მოვეფერო...

....ქართლში აპრილის წვიმები იცის,
წვიმა ცრის... ზეცა გულსევდიანობს,
და სურნელება ქართული მიწის,
შხაპუნა წვიმით ქართულხმიანობს...

დავბადებულვარ აპრილში როცა,
ტყის ენძელები წვიმდა ჭალებში,
ქართლის ველებზე მზემ გამაოცა,
შერწყმულმა მთების სინარნარეში...

მე დავიბადე აპრილში როცა,
ატმის ყვავილი თოვდა ბაღებში,
დედის თვალებმა მე გამაოცა,
მზე იღიმოდა დედის თვალებში...

მამამ ლალისფერ ღვინით დამლოცა,
აკვანს მირწევდა თურმე ღამეში,
"იავ-ნანის" ხმამ მე გამაოცა,
უფლის ხმა მესმა დედის ნამღერში...

მე დავიბადე აპრილთან ერთად,
იებით თქვენსკენ მოვიჩქაროდი,
ქარს გამოვყევი ქართლში მე კენტად,
მამის ვენახში ვაზად ვყვაოდი....

მე დავიბადე აპრილში როცა,
მთვარე სტუმრობდა ცას ვარსკვლავედში,
ვარსკვლავთა სევდამ მე გამაოცა,
და ვერცხლის შუქმა სავსე მთვარეში...

...აპრილში გავჩნდი, ყვავილობისას,
მზე ვარდად თოვდა ქართლის ბაღებში...
მას შემდეგ ვეტრფი მე ქართულ ზეცას,
და უფალს ვხედავ დედის თვალებში...

სამ-შობლო

მთის წყარო ბროლისწყლიანი,
მოსჩქეფს კლდეში და ქვაშია,
სათიბი ველ-მინდვრიანი,
ოქროსფრიანობს დარშია...

ღამით ცა, - ვარსკვლავიანი,
მთვარე კაშკაშებს ცაშია!
მინდვრები თავთუხიანი,
მზისფრად მღელვარებს ქარშია.

სიმღერა მრავალხმიანი,
ღმერთს ესმის ღვთიურ ხმაშია,
ტაძრები გუმბათიანი,
ზარებს რეკს მთა და ბარშია!

მთა-ჭიუხებზე მწყემსები
ამღერებული ცხვარშია...
მთაშია სისხლის ყივილი
ყაყაჩოების "ხმაშია"...

წვიმისას ცისარტყელები,
შვიდფეროვანნი, ნაზია,
ვაზის ალაზნის ველები,
ო, ღმერთო, რა ლამაზია..

მშობლიურ მიწის ჯავარი,
ალალ, უბრალო ხალხშია,
სიყვარულია მთავარი
რუსთველის ქვეყანაშია!

ჩემი სამშობლო ჯვარცმული,
მუდამჟამს ლეწვა-მკაშია,
რწმენაა სული ქართული,
და ღმერთთან ერთობაშია!

...ტირის იბერთა ფესვები!
ცრემლი უჟონავს ძარღვშია!
წინაპარს დავესესხები,
თვით უფალთან ვართ ვალშია!

სამშობლოს ცაო!

სამ-შობლოს ცაო ლაჟვარდიანო!
მიწავ ქართულო, ბალახ-ცვრიანო,
ჩემო ქვეყანავ! პურ-ღვინიანო!
ალალო, სტუმარ მასპინძლიანო!

ფშავ-ხევსურეთო არხოტიანო,
ჭიუხიანო, ვაჟას ხმიანო,
გუდამაყარო ჩოხელიანო,
თუშეთიანო, არაგვიანო.

თრიალეთის მთის კალთებიანო,
გორის ციხეო, ლიახვ-მტკვრიანო!
ქართლის ველებო კვერნაქიანო,
თხოთის მთიანო, ნინოს ჯვრიანო!

აღმაშენებლის ანდერძიანო,
გელათო, სულის სავანიანო,
მოწამეთაო კლდეკარიანო,
მწვანე ჭალებო რიონიანო!

ივრის ჭალებო გომბორიანო,
დედა მდინარე ალაზნიანო,
ბოდბის ნიავო ქიზიყიანო,
წმინდანიანო, ნინოს ძვლიანო!

ნოქალაქევო კოლხეთიანო,
ტობავარჩხილო ბროლისწყლიანო,
აბაშისწყალო, ტეხურიანო,
ასხის მასივო, მარტვილიანო!

შუამთიანო, სატახტიანო
თელავიანო, კახის ხმლიანო,
სიღნაღიანო, გალავნიანო,
დურუჯიანო, ყვარლის მთიანო!

კრიმანჭულის ხმავ, ომახიანო,
ბულბულხმიანო ფოლკლორიანო,
პოლიფონიის მწვერვალიანო!
გურიის მთებო წალკოტიანო!

წმინდა გიორგო, ქურმუხიანო!
ძელი-ცხოველო მაწიმიანო,
საინგილოო თვალცრემლიანო,
ფესვს მოგლეჯილო ჰერეთიანო!

უღელტეხილო მწვანე ტბიანო,
არსიანს იქით, გოდერძიანო,
ბეშუმის მთებო ჭოროხიანო
სხალთის ხეობავ, მონასტრიანო.

მცხეთავ მთიანო, ჯვრის ტაძრიანო!
შიო მღვიმელის მონასტრიანო!
არმაზიანო, ზედაზნიანო,
სვეტიცხოველო, ღვთის კვართიანო!

სვანეთის მთებო უშგულიანო,
ენგურისწყალო მყინვარიანო,
რაჭა-ლეჩხუმო ხვამლისმთიანო,
გაღმა-გამოღმა ცხენისწყლიანო.

თერგო მყვირალო, ყინულიანო,
ღმერთთან ასულო მთანო კლდიანო,
დარიალის ცავ, ყაზბეგიანო,
უფლის ალაგო გერგეთიანო!

იმერ-ამერო, რიკოთიანო,
უბისიანო, ურბნისიანო,
ციხე-დარბაზო მზოვრეთიანო,
ძამის ხეობავ, ყინწვისიანო!

ვარძიავ, ოქროს კარიბჭიანო,
მეფე თამარის დარბაზიანო!
ასპინძიანო, ჯავახიანო
ზეგნებიანო, ვაზ მადლიანო...

ტაოს ბილიკო კლარჯეთიანო,
თვალცრემლიანო შავშეთიანო,
ოშკო და ბანავ, ჩუქურთმიანო,
შატბერდო, გრიგოლ ხანძთელიანო...

სამაჩაბლოს ცავ, ჭრილობიანო,
მოურჩენელო ტკივილიანო,
აფხაზეთისკენ სავალო გზებო,
გაღმა ნაპირზე შთენილო ძმებო.

დვალეთის გზებო, ნიქოზიანო,
იბერიულო მხარევ, მზიანო,
დავიწყებულო ლორე-ტაშირო,
ქართულო სისხლო, ზღვაში ჩაღვრილო...

ვაჟებო ყაწიმ-ხანჯლებიანნო,
ჯაჭვგაუხდელნო, ბექთარიანნო,
ასულნო გიშრის ნაწნავიანნო,
ქართვლის დედაო მანდილიანო...

თბილის ქალაქო, გორგასლიანო!
მამა დავითო, მთაწმინდიანო,
ნარიყალაო მეტეხიანო,
ქაშვეთიანო, სამებიანო!

თეთრჩოხიანნო, დროშის მხლებლებო!
გმირებო, ქვეყნის ღამისმთევლებო!
დედა სამშობლოს სულის მჭედლებო,
მამულისათვის სანთლის მთებლებო!

სამ-შობლოვ, გმირთა ვარამიანო,
ღვთით კურთხეულო, მხარევ სვიანო!
უფლის წილხვედრო, - ხან ავდრიანო,
როდემდე უნდა ისევდიანო!!!

პოეტი არ ვარ!

პოეტი არ ვარ, გულს და გრძნობებს ვაწობ მელანში,
მელექსე არ ვარ, ზოგჯერ ცრემლით ვყვები არაკებს,
ხან აღმაფრენით დამაქროლებს ფრთოსანი რაში,
ქვეყნის ტკივილი ზოგჯერ სევდად მალაპარაკებს...

რა დროს ლექსია, რობაია, მიეთ-მოეთი,
როს დედამიწას სიძულვილის ალი "ანათებს",
ფუჭია ყველა სტრიქონი და ოხვრა პოეტის,
ვიდრე სიცრუე, სიმართლეს - არ ალაპარაკებს...

არ ვარ პოეტი, წუთისოფლის მქვია სტუმარი,
მთვარიან ღამეს მუზებისთვის ვაღებ დარაბებს,
მუხლმოდრეკილი სანთელს ვანთებ ხატთან მდუმარი,
პოეტურ ჰანგზე სიყვარული მალაპარაკებს!

ვაზის ყვავილობა მიყვარს...

ვაზის ყვავილობა მიყვარს და სურნელი ლერწებისა,
ხმები მიყვარს ალიონზე მოჭიკჭიკე მერცხლებისა,
გაშლილ ველზე გაფანტული ფარა მიყვარს მწყემსებისა,
ნისლი მიყვარს მთის ფერდობზე და ჟღურტული ქედნებისა...

ცაზე მზის ამოსვლა მხიბლავს, წყალზე ცეკვა გედებისა,
სევდა მნუსხავს ჩემს სარკმელთან მოღუღუნე მტრედებისა,
იაც მიყვარს, ვარდიც მიყვარს და შრიალიც ვერხვებისა,
სოფლის მაყვლიანი მიყვარს, სურნელი აქვს ედემისა...

წყარო მიყვარს ყინულისა, მორაკრაკე ბინულისა,
მყუდროება მიყვარს ტყისა, საბალახო ირმებისა,
საფერავის მიყვარს ღვინო, ფელამუში ბადაგისა
და ქართულად მასპინძლობა, რომ არა ჰგავს არავისას...

ქარვისფერი მიყვარს ფერი, მზით გამთბარი მტევნებისა,
მწიფე ყურძნის მიყვარს რთველი, მღერა თიხის ქვევრებისა,
მარულა და დოღი მიყვარს გაუხედნავ ცხენებისა,
ძმობა მიყვარს შეფიცული, ფიცვერცხლნაჭამ მხედრებისა!

მამის ხელით დამყნობილი კვირტი მიყვარს ვენახისა,
დედის "იავ-ნანა" მიყვარს, მადლი მიყვარს აკვნის ხისა,
უღალატო გული მიყვარს, მოყვასის და მეგობრისა,
წვიმის შემდეგ ცის ტატნობზე ათინათი მიყვარს მზისა!

ზღვის ტალღებზე ფირუზისფრად ანარეკლი მიყვარს ცისა,
განთიადის მიყვარს სხივი, ხილვა მიყვარს ცის კარისა!
მთვარიანი ღამე მიყვარს, მოჭედილი ვარსკვლავისად...
ქართვლის მიწავ! შენ მიყვარხარ! შენ მეგულვი საძვალისად...

ლექსი მიყვარს ძარღვიანი, სიტყვა მხიბლავს ალალ ხმისა!
გულმხურვალე ლოცვა მიყვარს, სალოცავი მიყვარს ღმრთისა!
მადლიანი კაცი მიყვარს, ქალი, - კაცის მიჯნურისად!
სამ-შობლო-ო! შენ მიყვარხარ! შენ გიმღერი მარადისად!!!

კაცს დაუთესავს ხორბლის ყანა მიწაში მარცვლის!

კაცს დაუთესავს ხორბლის ყანა მიწაში, მარცვლის,
სიკეთის თესლი და თავთუხის თავთავიანი,
ღამით, უკეთურს, ჩაუთესავს ყანაში ღვარძლიც,
დაღონებულა ხორბლის მთესველი ადამიანი...

კაცმა დაინდო სარეველა, ყანის სამკალში,
მონებს უბრძანა: ქორფა ნერგი არ მოგლიჯოთო,
ვაითუ, ღვარძლის გამარგვლისას, მწვანე ყანაში,
ქორფა სიკეთის ნერგებიც ზედ მიაყოლოთო...

უნდა ვაცადოთ, შეინანოს, - გახდეს კეთილი,
ნუ გეშინიათ, თვალს ვადევნებ ბოროტ ძალასო,
ყველა ცოდვილთან თავად მივალ, მყარი სამხილით,
და ცოდვა მადლით გავასწორებ მზისფერ ყანასო...

რომ გაიზრდება, ღვარძლი, მკის დროს, ძნებად შეკარით,
ხოლო ხორბალი, ჩემს ბეღელში შემომინახეთ,
კეთილი თესლი ვინც დათესა, არის ძე კაცის!
ღვარძლის მთესველი, - ბოროტება, - ეშმაკის სახე..

მარგვლას უკრძალავს ძე კაცისა ანგელოზს უფლის,
სიკეთეც, ღვარძლიც, ბოლოს გადის უფლის სამსჯავროს,
სიკეთის თესლი, ძე სასუფევლის, სამოთხეს უცდის,
ღვარძლს ჯოჯოხეთი ელოდება, - დაასამაროს!

ღმერთმა დაგვირგო მადლის ნერგი დედამიწაზე,
და სიკეთისთვის მოავლინა ადამიანი!
სიკეთე მუდამ ძლიერია ბოროტებაზე!
უფალთან რჩება კაცი ღვთისა და მადლიანი!

დავით ძნელაძე

თეატრის რეჟისორი.
დაბადების ადგილი ქობულეთი.

მზე ღრუბლებს იქით

დღეს, როცა გული ას ქორწილს იხდის,
როცა შავი ზღვა ნაზად მიღიმის...
რად მებუტები, ჩემო მნათობო,
რად მემალები ღრუბლების იქით?

გარშემო ნაზად მღერის ბუნება,
ჩემი ჭადარი ბანს ეუბნება.
გესმის, „კაფეო“ თქვეს გუგულებმა,
მყინვარი ცის თაღს ელამუნება.

ნუ მებუტები, ჩემო მნათობო,
ნუ მემალები ღრუბლების იქით.

* * *

ყველა ტირიფი ტბას ელოდება,
ყველა ტირიფი ძირს იყურება.
ზოგი, სიყვარულს ეკურკურება,
ზოგიერთი კი - ოცნებით კვდება.

წუთისოფელი მიწაზე მოსვლის
არის ლოდინით გასეირნება...
ტირიფის ფესვებს ტბა შეეხება
და მისი ეშხით გაირინდება.

უჩვეულო ნიშნობა

უჩვეულო ნიშნობა აქვთ გედებს...
სიყვარულით მზე ამოჰყავთ წყლიდან,
სილაჟვარდე ეფერება ვარდებს,
ცისარტყელა იღიმება ციდან.

უჩვეულო ნიშნობა აქვთ გედებს...
ტბა მორთულა იაგუნდის ფერით,
ასწლოვანებს შეუპყრიათ სიო
და ათრობენ სილამაზის ცქერით.

უჩვეულო ნიშნობა აქვთ გედებს...
და სასწაულს ელოდება ყველა.

* * *

ღამეა და ღამეს ვათევთ,
ერთად ყოფნით - თაფლობს თვე...
სიყვარულით აბუტბუტდა
ბაღში იასამნის ხე...

ვგრძნობ სხეული გამთლიანდა,
მდიდარი ვარ ახლა მე,
ჩემთან შენ ხარ, ცაში - მთვარე,
ბაღში - იასამნის ხე.

მონატრება

ჩემი მთაწმინდა და მტკვარი მენატრება,
მუზას, ლექსი აწევს ვალადა...
ჩემი დაკოჟრილი ვაზი მენატრება
და ის იმერული ბალადა.

ჩემი საქართველოს ღამე მენატრება,
ვარსკვლავთ მოოჭვილი ფარდაგი.
რარიგ მოწყურება სცოდნებია,
პირში გემო დამრჩა ბადაგის.

მაინც დაკოჟრილი ვაზი მენატრება,
ვაზი - საქართველოს თილისმა.
მიკვირს, ასე სწრაფად როგორ შევიცვალე,
ღმერთო, ეს რა მიყო თბილისმა.

* * *

მახელებენ მოყვრულად და ბოლოს მმტრობენ,
ეს ყოფილა ამ ცხოვრების ატრიბუტი...
ყველაფერი წამართვეს და საკნატუნოდ -
ხელში ჩამჩრეს შაქრიანი ბატიბუტი.

მეცინება, რა ვქნა ჩემსას ვეღარ ვიშლი,
მე ჩემი გზა უკვე გავისიგრძეგანე...
თოხარიკით მიმდიოდა ბედაური,
გავბედე და შუაღმით მეც ვუგანე.

ჩემი მტრები - „დაჯავშნული“ სტრიქონები,
დილით ისევ გამიწვევენ ბრძოლის ველზე,
ამაღამ კი, საყვარელთან მარტო ვრჩები
და ცხოვრება მიმიშვია ალალ ბედზე.

მემატიანის სამსჯავრო

უნდა ვიძიო მე შური...
უღირსნი მეთაურობენ,
აღარ ჭრის ჭკუა-გონება,
დოლარით ბედაურობენ.

რას არ კადრულობს ქართველი,
გული მიკვდება, რას ვხედავ...
მე პოეტი ვარ, მე დავწერ,
საძრახ სიტყვასაც გავბედავ.

ზემოთ, იქ - უზენაესში,
კანონებს ცვლიან მალი-მალ,
ამდენ კრედიტის შემყურე,
ვიცოდე მაინც სად მივალთ.

ქვემოთ - ქაოსის, ბაზრობის,
სურათი გვხვდება მეტწილად...
ქართველი საქართველოში
მოიაზრება დევნილად.

ნასწავლი ხალხი გაგვწირეს,
ირწმუნეს ავაზაკების,
სამოთხის ბაღი წამართვეს,
ტყვე გავხდი ეკალ-ბარდების.

ჩამკეტეს მცირე მარკეტში
„საქონელმცოდნე“ გამხადეს...
ხელში წითელი დიპლომით
ჩემგან რეკლამა დახატეს.

იყიდება კი ყოველდღე
„არიელი“ და „კომეტი“?!...
არავის აინტერესებს
ბედი ქართველი პოეტის.

... უნდა ვიძიო მე შური,
თუნდ ჩამომაცვან თავს ჯვალო...
ვერ აცდებიან უღირსნი,
მემატიანის სამსჯავროს.

ჰორიზონტი

როცა მნათობი ზღვაში ჩავარდა,
ნაპირზე დავრჩი მე მარტოდმარტო.
ახლა მოყვარედ მყვანან ღრუბლები
და ჩემს სიყვარულს მხოლოდ მათ ვანდობ.

ლურჯად კამკამებს შავი ზღვის წყალი,
სურვილი მაქვს რომ კვალი ვაჩინო...
ძლევამოსილი გავხდე პოეტი,
მთელი სამყარო გადავარჩინო.

ჩემი სატრფოა ზღვის ჰორიზონტი,
მისთვის გმირობა მსურს ჩავიდინო...
დავრჩე ნაპირზე და მთელი ღამე
მასზე ვიფიქრო, არ დავიძინო.

ეჰ, მერამდენედ ვუყურებ დაისს,
მის ცქერაზე ვარ დახარბებული...
ღმერთო, იმდენ ხანს მამყოფე ქვეყნად,
სანამ ვიქნები გახარებული.

სანამ აღვიქვამ ამ სილამაზეს,
სანამ ზეცას ვარ შეზავებული,
სანამ პოეტი მქვია სახელად
სულ უნდა ვიყო შეყვარებული.

სანამ ლექსებით ვამკობ სამყაროს,
სანამ სული მაქვს ამაღლებული,
სანამ კაცი ვარ, სანამ გმირი ვარ,
სანამ თავი მაქვს გადადებული.

ჩემი სამშობლო მიმყოფე, ღმერთო,
გაბრწყინებული, დალაგებული,
მისთვის ვიღვაწო და ვიპოეტო,
სტრიქონი მქონდეს გალაღებული.

თუ ეს სურვილი ამისრულდება,
ისევ მიხილავთ ნაპირზე მარტოს,
ჰორიზონტამდე ოცნებით მივალ,
რომ არ ეწყინოს ჩემს ლამაზ სატრფოს.

რომ ერთხელ კიდევ მომიალერსოს,
რომ ერთხელ კიდევ მომცეს ნუგეში,
დაღამებამდე პატივი დამდოს,
ერთხანს მამყოფოს მის თბილ უბეში.

ყოველთვის, როცა ვუყურებ დაისს,
ერთ დიდ სურვილს ვარ დახარბებული,
ჩემი სამშობლო მიმყოფე, ღმერთო,
სამარადჟამოდ გახარებული.

უკვდავება მუზების სამყაროში

ამ დიდ სიყვარულს შეჩვეული ისევ აქა ვარ...
მხოლოდ მე მღვიძავს, დაუხუჭავს ყველას თვალები.
მე აქ ღმერთი ვარ, მე ვარ მეფე და ყოვლისშემძლე,
მე ღვინო მიყვარს, სიმღერა და კაი ქალები.

მე უფლება მაქვს გავუშალო ვარდებს კოკრები...
ამ სილამაზეს, გეფიცებით, აღარ მოვწყდები.
მე უფლება მაქვს სრულად გითხრათ ჩემი სათქმელი...
და მერე ვიცი აღარასდროს აღარ მოვკვდები.

ღვთისმშობლის ხატთან

სიყვარული წევს მთვარიან ცაზე,
მას მიწიერი ტანჯავს სიზმარი...
წართმეული აქვს მოწყალე სული,
გახეთქილი აქვს გულის ფიცარი.

დაბადებისას ფრთებიც თან დაჰყვა,
ყველა მორწმუნე ჩუმად მიენდო...
და შვილობილი გახდა ის ზეცის,
როცა კაცთაგან ცოდვა მიეზღო.

ერთმა კეთილმა მხატვარმა კაცმა,
ეკლესიაში ფრესკა დახატა,
ყრმა იესო ჰყავს მარიამს ხელში...
სალოცავ ხატთან წევს ჭრელი კატა.

დაკარგეს რწმენა და სათნოება,
სიყვარული და თავად გონება,
მიწაზე დაძრწის ნიღბების კასტა,
ცას ეშურება ლიპა ოცნება.

ღვთისმშობლის ხატთან ილოცებს კაცი,
მერე წავა და სიყვარულს გაცვლის.
მოხუცი აჭმევს შვილიშვილს წანდილს,
შვილიშვილი კი იმასვე სჩადის...

და სიყვარულიც ამაოდ ფიქრობს
დედამიწაზე ფეხის ჩამოდგმას,
მტვერით ევსება სუფთა თვალები,
ვერ ემიჯნება მიწიერ მოდგმას.

გაფითრებულა განთიადის ცა,
ცოდვილ მიწაზე დიდი „თოვლია“...
„თეთრმა ბომბორამ“ დაჰყეფა ცივად
და მიეყინა ნაპირს თოლია.

სიყვარული წევს მთვარიან ცაზე,
მას მიწიერი ტანჯავს სიზმარი...
წართმეული აქვს მოწყალე სული,
გახეთქილი აქვს გულის ფიცარი.

ჰანდიკაპი

ჰანდიკაპი დაიწყება საცაა...
დავამარცხე სხვა მამაცი მხედრები.
ჰოდა, ახლა საძინებლის კართან ვარ,
გამომხედე, სიყვარულს გევედრები.

ფანფარები გამარჯვებას გაჰყვირის,
არ მოხდება, ვიცი, ჩემგან ღალატი...
პორტვეინი ჩამოასხი, ლამაზო,
მადღეგრძელე - „სახლის კურაპალატი“.

დღეს „კინტრიშის“ სათავესთან აგიყვან,
სადაც კალმახს დაუყრია ქვირითი...
სიყვარულით გაგაოცებ, ძვირფასო,
არ მწყინდება უსასრულო ჯირითი.

კლდის ვეფხვი

ჭირისუფალთ მივუგზავნე შიკრიკი,
მითხრეს - ღამით ჩურჩულებენ ალპები...
იქ, სუ-ალტოს დოლომიტის ლოდებზე,
ანთებულა უკვდავების სანთლები.

ნახეს, თურმე, არ ყოფილა ჯაბანი,
ქართულ სახელს არ ჩვევია შერცხვენა...
უშბავ, იცი, არ ტირიან ვაჟკაცებს,
ცრემლსაფარად ნისლები ნუ გეხვევა.

არ გამქრალა მადლიანი ღიმილი,
არც ლილეოს სანუკვარი ღიღინი.
თუ ხორცი დუმს, სული მას არ ნებდება...
მესტიაში კვლავ ლამაზად თენდება.

ჭირისუფალთ მივუგზავნე შიკრიკი,
მითხრეს - „კლდის ვეფხვს“ დაუპყრია
ალპები...
და სვანეთში, ხერგიანის მამულში,
აუნთიათ უკვდავების სანთლები.

* * *

საარჩევნო დაპირება -
ტყუილების ბუკეტი,
უამრავი კანდიდატი -
ჭკვიანი და დუპლეტი.

შესაფერი პროგრამები,
მოსაწონი ბუკლეტი,
დაწყვება კი საქართველო?!
როგორც დაწყვა „კუპლეტი“.

შემოქმედების მწვერვალი

შემოქმედების მწვერვალზე ვდგავარ,
ბედნიერი ვარ, ვაზროვნებ საღად...
ისევ შევიგრძნობ წილხვედრ სიყვარულს,
ისევ ვაგრძელებ სიცოცხლეს ლაღად.

აქედან ვხედავ მე ჩემს ქართლის გულს,
და დედაქალაქს ქცეულს ბაღნარად...
ანჩისხატსა და მეტეხის ციხეს,
ჩემო თბილისო, იხარე მარად!

აქედან ვუსმენ მე თერგის ღრიალს,
მთიდან მჩქეფარეს ჩამოსულს ბარად...
აქედან ვუსმენ ქართულ სიმღერებს,
ჩემო ქვეყანავ, იხარე მარად!

ამ მწვერვალიდან ვხედავ სამშობლოს,
დღეს ქართლის დედა რომ უდგას
ფარად...
ილიას მხარევ, აკაკის მხარევ,
შენ საქართველოვ, იხარე მარად!

* * *

ვგალობ „ოსანას“ - ბაიით ხელში
ველი განთიადს,
გული მკარნახობს, რომ ხვალ
ჩემთან მოვა სტუმარი...
მე სიკეთის მწამს, მომავლის მწამს,
მე ხალხის მჯერა,
ოცნების მჯერა, მზის ფლისებში
რომ წევს მდუმარი.

მონატრების ქარი

ისე მატირებს დღეს შენზე ფიქრი,
სიცილის მეფეც ვერ გამაცინებს.
მთვარეც ეცდება თვალის ახვევას,
მაგრამ ამაღამ რა დამაძინებს.

მომაგონდება ბაზალეთის ტბა,
ყაყაჩოებით სავსე მინდორი...
წყალში შესულს რომ გამოგედევნე
ყველაზე მეტად მაშინ მინდოდი.

ჩვენი შემყურე მზე მოგვერიდა,
ღრუბელი თავზე ჩამოიფხატა,
ანგელოზები დასხდნენ ნაპირზე,
როს ორთა ლანდით ტბა მოიხატა.

გამახსენდება ქობულეთის ცა
და მოლივლივე ზღვის დალალები...
კმაყოფილებას ვეღარ მალავდა
შენი ზღვისფერი სათნო თვალები.

და იყო წუთი... და იყო წამი...
და იყო დროის რაღაც ფარდობა,
შენთან ვიყავით - ბაღში ვიჯექით,
ბაღის ბუნებას ჰქონდა ვარდობა.

მე სინატიფე ვიხილე შენი
და სათნოება გავიზიარე,
ჩემს ღმერთს შევარქვი სახელად მარი
და სიყვარულის ცას ვაზიარე.

მომაგონდება მზე სიახლოვის -
შენი მარწყვივით ტკბილი ტუჩები...
ჩვენი ერთობა და სეირნობა,
განათებული თბილი ქუჩები.

მომენატრები... მომენატრები...
მთვარე ავსილა მზის მონატრებით...
ღამის მანდილი მოპნეულია
ულამაზესი ცის მონაზვნებით...

დღეს მე ოცნების მკვიდრი შვილი ვარ
და მონატრების ქარი მაწვალებს.
მე უშენობას ვერ ვეგუები,
მე უშენობა ძლიერ მანაღვლებს.

და არის წამი... და არის წუთი...
და არის დროის რაღაც ერთობა.
შენკენ მოვილტვი და უსაშველოდ
მოგონებები გრძნობებს ენდობა...

ღამემ წააგო დღესთან ჭიდილი,
ცას სილაჟვარდე დაეპატრონა...
ბუდეს დაეძებს ორი ფრინველი:
ცელქი ტოროლა და ჩიტბატონა.

ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე

პედაგოგი
დაბადების ადგილი ლანჩხუთი ნიგოითი
საცხოვრებელი ადგჯლი თბილისი

მხოლოდ იმედი

„ო, იქნებ" - არა,
ეს არ გვიშველის,
ეჭვი მომავლის,
ავის მაცნეა,
მაშ, რად ეწამა
ასი ათასი,
სასუფეველი
ლოცვით სავსეა!
მე კი მგონია,
იბერთ ქვეყანა,
იქნება მარად,
ღვთისმშობლის მადლით,
მომრავლდებიან
მეტეხის ხიდთან,
თეთრი მანდილით
და, არა ჩადრით!
ქვაფენილს, ლამაზ
ხალიჩას გაშლის,
ჭადრის დიდრონი
ფოთლებით ქარი,
კვლავ ივახტანგებს,
კვლავ ილომგულებს:
დავითი, დემე, გიორგი,
მარი.

ღალატი, მტრობა
ოდითგან იყო,
გულსაკლავია
დღეს რაიც ხდება,
წარმხოცველ ცუნამს
უნდა დავუხვდეთ,
ჭკუით, გონებით
და, არა მონად!
წამებულთ სისხლი
ბოგინობს მტკვარში,
და გაუხშირდა
სუნთქვა სამშობლოს,
მესია, ჩვენში
უნდა ვეძებოთ,
ჩვენ, ჩვენი ძალა
უნდა ვაჩვენოთ!
სადაც იზრდება
თქვენისთანები,
სადაც, მეტეხი
თავზე დაგვცქერის,
ვერავინ შესძლებს,
ვერარა ძალა,
დაეშანთებათ თვალნი
საცერის!

მუდამ ასე იყო

მხოლოდ უფალია,
ქვეყნად კაცთა მხსნელი,
ჩვენ კი ცოდვით სავსე,
ძმის საფლავის მთხრელი...
მუდამ ასე იყო,
იმ გაჩენის დღიდან,
ვერ გათალეს ძელი,
კიპაროსის ხისგან?!
ჯვარს ვინ აცვა კაცი,
მოვლენილი ღვთისგან,
ვინ ატირა დედა,
უფლის ჯვარცმის დღიდან!...
კმარა სიბოროტე,
მოვიშოროთ გზიდან,
მოვეფეროთ ერთურთს,
ისმის რეკვა ციდან!...
მორწყულია მიწა,
მამა-პაპის სისხლით,
ტაოს ყრია ძვლები,
ნაკვალევი იმ დღის...
ოო, რამდენი მეფე,
მოურავი, გმირი,
შეიწირა ქვეყნად,
საამაყო შვილი...
და დღეს ხელში
რა გვაქვს,
დაგლეჯილი გული,
გაუბიათ ხლართი,
აუძაღლდეთ სული...
და, საშველი საით?!
არჩევნები მეფობს...
თავს თვითონ ირჩევენ,
მერე - „წლები ცელქობს!"
ღმერთო, დამამშვიდე,
გვეშველება რამე?!...
გაგვითენე ქვეყნად,
„ჯადოსნური" ღამე!

სვანეთი - ჰაწვალი

ზურულდის მთიდან ვიხილე
უშბის თეთნულდთან ტრფიალი,
ყინულით თეთრად დაფარულს,
ცხრათვალა მზისა ციალი!
ჰაწვალში სცენას შევესწარ
სასიყვარულოს მწვერვალის,
მთას სიყვარული სცოდნია -
ო, - მოკრძალება მხევალის!...
ძირს მოხატულა მესტია,
ულამაზესი მთა - ველით,
ნეტა მას, ვინაც იქ ცხოვრობს,
რა გადაღება კამერით?!
ცად ატყორცნილი კოშკები,
ენგურს გაუდის გუგუნი,
მჟავე წყალს კუპტარს გეახელთ,
მიგვაქვს სვანური სულგუნი!
გული სავსეა ტრფიალით,
თვალს არ შორდება ნანახი,
სვან ქალს მწვანილი ეკრიფა,
რის „ბოზბაში“ და „ჩანახი!"
მეამაყება სვანეთი,
მე ქართველი ვარ გვარადა,
მთის სალოცავებს ვავედრებ,
ჩემს საქართველოს მარადა!

ბატონ ზურაბ გორგილაძის მოტივებზე.

საქართველოს სიამაყე

ეს რა კაცი - სასახელო,
გაუზრდიათ სხალთასთანა,
ყველა აჭარელმა იცის,
მისი ლექსი - „ოჰოი ნანა!"
როგორ კოხტად კითხულობენ,
თავს დაუხრის ბენჩქვი ყანა,
ღმერთო, ჩემი საქართველო
რა ყოფილა ამისთანა?! ...
კლარჯეთს, ტაოს, ძვლები ყრია,
ხანძთას ღმერთმა ამიყვანა,
„ოთხთას" - წირვა დავაყენეთ,
სულთა გმინვა სარკმლიდანა?!
სანთლის ალი ცას სწვდებოდა,
ცრემლი ქვესკნელს ჩაეტანა,
ერთდროს ქუხდა აქ სიცოცხლე,
მიდით, ნახეთ უტყვი ბანა!...
გუშინ აჭარელი ბიჭი,
ლექსის კითხვამ აიტანა,
გორგილაძის ლექსის ძალამ,
ძვალს და რბილში გაატანა!!!

„მამული''-ა ბათუმელი,
ძარღვი გასკდეს კითხვისგანა,
დე, უმრავლოს საქართველოს,
აჭარლები ამისთანა!...
ბევრს ახსოვს და ბევრსაც არა,
მისი ღვიძლი, ტკბილი ნანა,
ბატონ ზურაბს გაუმარჯოს,
ცხონდეს მისი ნენეის ნანა!...
მე მყავს აჭარელი დები:
დალი, ნანა - ჩოლოქთანა,
სიყვარულით სავსე გულით,
ასე ახლოს ქრისტესთანა!
ღვთაებრივი უფლის ჯვარი,
მათ პირველმა მოიტანა,
დე, უმრავლოს საქართველოს,
აჭარელი ძმებისთანა!
ჩვენი ქვეყნის გულის ფეთქვა,
ხულო, ქედა - ზღაპრისთანა,
საქართველოს შემოეჭდოს
აჭარული განდაგანა!

ესეც ისე რა...

მე ვარსკვლავს
არვინ გამიხსნის,
არც ძეგლს
დამიდგამს ასხინზე,
არც არვინ მოისაკლისებს,
ჩემს ლექსებს
ლამაზ აპრილზე...
ჩემი წიგნები დარჩება,
შთამომავლობას მარადის,
იქ ჩავდე სული და გული,

მიყვარხართ სიკვდილთ კარამდის!
ვიღაცას მოეწონება,
ვიღაცა მაგრად გამტკუცავს,
ჩემი საბინო დამიცავს,
სალი, ელე და დათუჩა!
რაღაც დამაკლდა
თითქოსდა,
რაღაცას უცხოს მოველი,
შენ გამახარე უფალო,
მე, შეწყალების მთხოვნელი!

მლეთა

შემომეფეთა ალპებში,
ულამაზესი ასული,
იქით ლომისა მოსჩანდა,
გადაგვეშალა წარსული!
ზღვა იყო - უკიდეგანო,
ჰყვაოდა ირგვლივ ყოილი,
ხევის შვილების მომრთველი,
ბარის არ იყო დობილი!
ვეროდეს წარმოვიდგენდი,
გავშრი, გავშეშდი წამიერ,
„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს,“
მის დამწერს, მრავალჟამიერ!
სალი კლდეები მეფურად,
დგანან არწივის ბუდედა,
იქით გერგეთი მფარველობს,
ვერვინ გახედავს მრუდედა!
აქეთ, ლომისის სალოცავს,
აუუ, რა მადლი ჰქონია,
ამგვარი ძალის მოცემა,
მე არსად გამიგონია!
...გოგო ვიხილე წერწეტი,
კისერზე ჯაჭვი ეხვია,
ღვარად გადმოსდის ცრემლები,
თავადის ქალის სეხნია!
ზოგისთვის მძიმე საოცრად,
ზოგსაც გიშერი ებნია,
იწონებაო ცოდვები,
აქ არა სჭრიდა ხერხია!
რკინის ქალამნებს შევეხე,
ნეტავ რა ხელმა აკეთა,
დრომ ვერაფერი დააკლო,
დარჩა წარსულის სარკეთა!
...გახსენი პირი მიწისა,
იქ წვანან გმირი მამები,
ბორგავენ, ვერ ისვენებენ,
იქაც გვერდით აქვთ აბჯრები!
მათ გულზე ხარობს გვირილა,
ულამაზესი, სპეტაკი,
ვინაც ღალატი გაივლოს,
ეხუროს ქალის ლეჩაქი!
წმინდა მამები დღედაღამ,
დარიანში თუ ავდარში,
ახლოს არიან უფალთან,
ათენ - აღამებს საყდარში!
აი, რამ გადაგვარჩინა,
ვინ მოგვიყვანა აქამდის,
ხევის შვილები მტერს ხმალით,
ფეხით მისდევდა სახლამდის!
... ისმის გალობა მთის წვერზე,
ხან წვიმს, ხან მზე და ნისლია,
ამ საოცრების მხილველი,
გაგვხადოს ღმერთმა ღირსია!

გერგეთი

ან რა ცაა, ან რა მიწა,
რა ყვავილი, რა მყინვარი,
ცის ტატნობზე არწივთ ბუდე,
კლდეზე სვავნი მოყივარნი!
ხან ცხრათვალა მზე ანათებს,
ხანაც ციდან ისმის გვრგვინვა,
მომლოცველთა დასი გალობს,
ღვთის წყალობა მოევლინა!
ოთხთა კუთხეს ლოცავს ჯვარი,
თვით სამება გვიხმობს წმინდა,
რაც აქ მადლი შენახულა,
ყველამ იღეთ გულით მინდა!

პრომეთეს მღვიმისა და ბაგრატის მოლოცვის შემდეგ

აი თურმე,
რად„ბლატაობს“
იმერელი,
„სიმონ, სიმონ“
გაიძახის
დღე და ღამე,
დგას ბაგრატი,
გელათი და
მოწამეთა,
იაკობო,
რად გაყუჩდი
მითხარ რამე?!
მიწის ზევით
თვალდანახულს
სად წაუხვალ,
მიწის ქვევით
რა ჰქონიათ
შენც ხომ ნახე,
აი, წყვილებს
ელოდება
იმ მთის
ქიმზე,
ნაზიბროლას,
ამირანის,
„მოდი ნახე!"
აქ სხვა მადლი,
სხვა ეშხია
იმერული,
საოცრებებს
ღმერთი
გვჩუქნის
ყოველ წუთში,
სათაფლია,
დინოზავრის
ნაკვალევი,
საოცრების
საოცრება,
მიწის
გულში!
წყალტუბოში
მიწის ქვეშეთს
„დავიშოკეთ,"
იმ მღვიმეში
გავათიო
მინდა ღამე,
აქ პრომეთე
არაფერ არ
შუაშია,
სასწაულებს
ღმერთი
გვჩუქნის
ყოველ
ღამე!
გაზაფხულზე
გულს გადაშლის
საპოვნელა,
საწერეთლოს
დაუდგება
წინა რამე?!
ამ მხარეში
არხევს სიო
იასამანს,
გალაკტიონს
უწერია
„მე და ღამე!"

იმერეთი

საპოვნელას არ ვეძებდით იმერეთში,
კაცხის სვეტის მოსალოცად წასულები,
გავეცალეთ ქალაქის თქორს, ბუღს და ქაოსს,
სად ბევრია ბოროტი და ავსულები!
ხელგაშლილი, გულგაშლილი შეგვეგება,
ქუჩის პირას ხელებს გვართმევს ვაშლის რიგი,
აქეთ ტყემლებს დაუხრიათ მორცხვად თავი,
გვეხვეწება - დამკრიფეთო ჩქარა, მიდი...
პეპლებივით ირევიან ფერთა გამა,
ზოგი წითლად, ზოგიც შავად დარახტულა,
შორს კორომი ბროწეულის ალნადები,
აბრეშუმის სინაზეში აფაკლულა!
ეს რა თავბრუ დაგვახვია ღმერთო ჩემო,
არ გვეთმობა, აღარ გვინდა წასვლა არსით,
არ მოგაკლოთ ღვთის წყალობა მაღალ ღმერთმა,
ღვთისმშობელმა დაგიფაროთ თავის კალთით!

სამების მთებში დაჟროდა სიო

მე შევიმოსე
ნეტარი სხივით
და უთეთრესმა
ნისლმა დამფარა,
მე არ ვიდექი...
ჰაერში თითქოს
ანგელოზებმა
ხელით მატარა!
მამაო პეტრე
მამკობს ლოცვებით,
მაყენებს მაღლა,
დიდ კორიფეზე,
მე არც კი ვიცი
რა ჰქვია ამას,
დავფრინავ სადღაც
ცის ჰორიზონტზე!
ჩემი ბაგენი
მე არ მეკუთვნის,
თითქოს - უფალი ამბობს
ჩემს სათქმელს,
აქ აფასებენ
მშობლიურ კუთხეს,
ჩემს ნამოღვაწარს,
ნაწერს, ჩემს საქმეს!
დიდი პოეტის
მუზეუმს ათბობს,
ტკბილი სიტყვები
გმირ პოეტების,
ქალბატონები
გულში მიკრავენ,
მუზას შერწყმია
ხმა „სონეტების“!
ჩოხოსან ვაჟკაცს
უჭრის სიტყვა და
სულხანის სისხლი
ძარღვებს ამჩნია,
გაშალეთ დროშა
მეფე თამარის,
კვლავ იტყვის სათქმელს
დიდი ვარძია!
„ოჰოი ნანა“
ბიჭმა იკითხა...
უთამაშებდა -
ძარღვები სხეულს,
ისე იკითხა,
ისე იკითხა,
შესძრავდა -
ცხრა მთას
ბუმბერაზს,
გრძნეულს!
ისმოდა
ხვეწნა - მუდარა კაცის,
ოთხმოცი წელი
მოაქვს ბეჭებით,
გემუდარებით
შეუნდეთ ერთურთს,
თავს ნუ გაუტეხთ
ქვებით, კეტებით!...
სამების მთებში
დაჰქროდა სიო
და, შრიალებდა
გაღმა ვერხვები,
ასეთ საღამოს
გამართვის შემდეგ
ხალხნო -
აროდეს
არ დავბერდები!

არ დაინდეს იესო

შეუყენეს გოლგოთას, არ დაინდეს იესო,
ალესილი ეკლებით, სისხლი დაანთხიესო...
ზურგი გაუმათრახეს, მხრები ჯვარით სძლიესო,
სული აუწიოკეს, სულ შოლტებით სდიესო...
ჩვენი ცოდვებისათვის, ჯვარს გაეკრა იესო,
ძმარი ასვეს წყლის ნაცვლად, ფერდი შეუნგრიესო...
გვერდით ჰყავდათ, ვერ იცნეს, გულს ვერ დაიტიესო,
აღდგომის დღეს გილოცავთ, გაღიარებთ იესო!

დათო ლომიძე

ბიზნეს ადმინისტრატორი.
დაბადების ადგილი ხაშური.

ვტირი აწმყოს და მომავალს

ზოგჯერ ნამდვილი ცოდვა ვარ,
ზოგჯერ ლოთკაცის ბოდვა ვარ,
ზოგჯერ ნაცემი ბოლთა ვარ,
ზოგჯერ კი ხორცის გროვა ვარ.

ზოგჯერ ადამის მოდგმა ვარ,
ზოგჯერ კი ფულის მონა ვარ;
მე, უღმერთობით მომავალს,
ცოდვა ხურჯინით მომაქვს და...

ჩამოქცეული ოდა ვარ,
ვტირი აწმყოს და მომავალს,
ძირგატეხილი ქვევრი და
ყურმოტეხილი ხონჩა ვარ.

მე ღმერთის მოდგმა კი არა,
მე სულმდაბლობის მონა ვარ,
მე ჩემი სული გავყიდე
კაპიკებად და გროშადა.

ჰო და მე ფულის მონაც ვარ,
მართლა, ლოთკაცის ბოდვა ვარ.
ეშმას შესხმული ხოტბა და
სულის ავსულად ხოკვა ვარ.

სადაც შენ არ ხარ...

ვიცი, რომ აღარ გამოიდარებს,
შემოვრჩი ღამეს, ვით უცხო მგზავრი.
ჰო, პოეტები ასე ღამ-ღამე
დავეხეტებით ღვინისგან მთვრალნი!

ღმერთის ძებნაში და უხვ ღმერთებში
ვეძებთ საბედოს, ის კი ჯვარს იწერს...
გული კი ამ დროს ფიქრთა სავანეს
არა და ვერა, ვეღარ დაიტევს.

ჩვენი სამსჯავრო მზის ამოსვლაა
და სარეცელზე გაკრულ საგულეს
შორიდან ვუცქერთ, რომ ფიქრის მტვერში
შენი ხსენება აღარ დაბრუნდეს.

ღმერთო, დახურე ყველა კარიბჭე,
სადაც მზის სხივი ჩვენთვის კიაფობს,
მე პოეტი ვარ, ვით უცხო მგზავრი,
...და უცხო გზაზე ეშმა ხმიანობს.

შემიპყრობს, ვიცი, რადგან მე, ცოდვილს,
სუსტი გული და მთვრალი გრძნობა მაქვს,
სადაც შენ არ ხარ, ვით წმინდა ცეცხლი,
იქ ეშმა თავის ადგილს მონახავს.

ღმერთო, რამდენჯერ უნდა შეგცოდო?...

ღმერთო, რამდენჯერ უნდა შეგცოდო?
ანდა შენდობა გთხოვო, რამდენჯერ?
გამოვერიდე ბრბოთა ნაკადს და
შენს სავალ ბილიკს უხმოდ დავეძებ.

აღარც გული მაქვს მთელი და საღი,
აღარც სული მაქვს შეუცდომელი.
ბარაბათგანი მეც ვარ, ერთ-ერთი,
ეშმას ზრახვებით დაუცხრომელი.

ღმერთო, რამდენი უნდა შევცოდო?
ანდა რამდენჯერ გთხოვო შენდობა?...
ჯვარი დავიდე უკვე მხარზე და
ახლა არაფრად არ დამეთმობა.

გზა-გზა ფეხს ვადგამ ჩადენილ ცოდვებს,
რაც კი ოდესმე ჩამიდენია,
ახლა კი მივხვდი, ჩემო უფალო,
თურმე რამდენი დაგითმენია!...

ღმერთო, თუ გზაზე ისევ დავეცი,
თუკი ჯალათიც წამომეწია,
ისევ მიშველე გაწვდილი ხელით,
გამომეცხადე ისევ მესიად.

ალბათ დამახრჩობს სიმწრის ცრემლები,
ჩემი ცოდვების პირისპირ მდგომარს,
რადგან შენ გარდა, სხვა, ყველაფერი,
ამოვირჩიე ცხოვრების დოგმად..

***

სულში ისევ დაფათურობს
მონატრების ფერები
და, უღმერთოდ, კვლავ მახსენებს,
რომ გამიშვი ხელები.

ნაბიჯ-ნაბიჯ, ბანცალ-ბანცალ
მივუყვები შარა-გზას,
არყით მხოლოდ დარდს ვიქარვებ,
რისი დარდიც შენ არ გაქვს.

შორს წახვედი, ისე შორს, რომ
მექცა ფიქრი წარსულ დროდ,
სიკვდილისთვის გამიმეტე
მე კი სულსაც ვერა ვთმობ.

გაფრინდი და დარდის კონად
შემატოვე მე სევდას;
რაც დრო გადის, ახლა, მეტად,
მინდა შენთან შეხვედრა.

თუმცა ვხვდები, არც ღმერთის გწამს,
აღარც ჩემი ცრემლების,
ამიტომაც მოგტირივართ
მეც და ჩემი ლექსებიც.

იღვენთება ცეცხლის ალში
ჩემი სული, კელაპტრად,
რადგან ჩემი სიყვარული
ვერ მიიღე ვერაფრად.

* * *

გვირაბის ბოლოს მოსჩანს სინათლე,
ალბათ ის არის, რაც მე მგონია.
ვერ მოვასწარი მონანიება
ცოდვებიც უკან გამომყოლიან.

როცა წავრსდგები სამსჯავროს კართან
სულ მისხალ-მისხალ მომეკითხება.
ვერ შევინანე და ვიცი ახლა
ეს სინანული გვიან იქნება.

***

ღმერთო, დაეშვი დედამიწაზე,
ნახე, ბავშვები როგორ კვდებიან...
მოდი, შეხედე, და-ძმანი სიკვდილს
ბოლო წუთამდე როგორ ებრძვიან.

მოდი, ჩაგვხედე, ღმერთო, თვალებში,
იქნებ მოიღო წყალობის მადლი...
გთხოვ, კიდევ ერთხელ დაგვიდექ გვერდით,
სიკვდილს წავგლიჯოთ ხელიდან ბავშვი.

ღმერთო, დაეშვი ამ სამყოფელში,
შენი მხნეობა ძლიერ გვჭირდება,
ჩვენ თუკი ვცოდავთ დედამიწაზე,
რა დააშავეს ჩვენმა შვილებმა?

გთხოვ, რომ დაეშვა დედამიწაზე
და ნუ მიანდობ ეშმას ჩვენს სულებს;
მოდი, უფალო, დედამიწაზე,
მოდი და გულში ისევ გვესტუმრე.

ღმერთო, ისევ თოვს!...

ღმერთო, ისევ თოვს, ისევ ნისლია,
ღამის ავდრებში ისევ მიცდიან
ის, უნუგეშო ფიქრთა ასხმები...
...და, ალბათ, სადმე, ბნელში, მისვრიან.

აღარ იდარებს, ვიცი და, ღმერთო,
რა მძიმე ჯვარი მომაქვს ეულად,
ის, რაც ოდესმე სიკეთე ვთესე,
ახლა ფერფლად და მტვრადა ქცეულა.

ღმერთო, რამდენი უნდა ვითმინო,
ანდა რამდენი ძალუძს საგულეს?!...
ალბათ გასკდება და ერთ ღამესაც
შენი სამსჯავრო მზეს არ მარგუნებს.

შენთან მოვდივარ იმის იმედად,
რომ მიმიღებ და მეც გადავრჩები,
თორემ აქ ყოფნით და აქ არ ყოფნით
ვხედავ, რომ მარტო, სულ მარტო ვრჩები.

***

ნატყვიარ გულზე კვლავ მასობენ მოყვასნი ლახვარს
და ღმერთის სახელს იფარებენ ნიღბად, მოკვდავნი!
შენ, ჩემო ღმერთო, ახლა ვიცი თურმე რას გრძნობდი,
როცა ჯვარს გაცვით, შეგიპყრეთ და ისე მოგკალით.
მეც წილად მერგო, იმღამითვე, შენი სამსჯავრო,
დაფლეთილი მაქვს მეც სხეული ისე, როგორც შენ.
ახლა არ ვიცი, ღმერთო, ჩემო, რომელს ვსტიროდე -
ჩემს სხეულსა, თუ ჯვარზე გაკრულს უნდა გგლოვობდე?
შემომეცალნენ საგულედან გულის მცველები
ჩემი გოლგოთაც ახლოსაა, მამალიც ყივის...
ალბათ მეც ისე გამწირავენ, როგორაც ერთ დროს...
შემიპყრობენ და ჩემს სხეულსაც მოჰგვრიან ტკივილს.

გმადლობ, ღმერთო!

მინდა, ისე გავძლიერდე,
შენზე ლექსი თავად მწერდეს,
შენზე ნაფიქრ ყოველ ღამეს
სტრიქონებად გადავწერდე.
ჩამომეხსნას გულზე სევდა,
მონატრება არ მტანჯავდეს,
მინდა, შენთან ვიყო მანამ,
სულს სხეული გაფანტავდეს.
ყოველ ღამე, ფიქრის ნაცვლად,
შენი სუნთქვა ჩამესმოდეს;
ჩემს გულიდან შენს გულამდე -
სიყვარულის სამეფომდე,
გაგაღმერთო, გადედოფლო,
სიყვარულის მონად გექცე.

გადავკეტო მერე გული,
რომ არასდროს არ გამექცე.
ერთად ვიყოთ "სამეფოში",
შენ - დედოფლად, მე კი მეფედ!
ჩვენი შვილის სუფთა სარეცხს
აივანზე ერთად ვფენდეთ,
ჟრიამული შვილების და
სიყვარულით სავსე კერა.
გმადლობ, ღმერთო, რომ მაჩვენე
უკვე ჩემი ბედისწერა!
ამიხდინე სიზმარი და
ლექსმაც თითქოს თავად მწერა,
სიმარტოვის შიშის მონა
სიყვარულად გადამწერა.

***

გატეხილ გულში იბუდებენ ღამის ავდრები
და მთვარის სონეტს ხელთ უპყრია ვარსკვლავთა გამა;
დღესაც უშენოდ, ჭიქა ღვინოს ისევ დავნებდი
და როგორც ლოთი, მივუყვები სევდისფერ აღმართს.
არ დამიშალოთ ჭიქა ღვინო, ახლა მადლია,
სულის საზრდოსთვის კვლავ დამისხით ერთი ფიალა,
ჩემს დაჭრილ გულში გრძნობის ცეცხლი ისევ ანთია,
ცეცხლი, რომელიც გააღვივა ღამის ნიავმა;
ღამის სიჩუმის აჩრდილებთან ერთად დავდივარ
და მტკვარს ვუყვები უშენობის
სევდიან ამბებს,
ასე მგონია, სხეულიდან თითქოს გავდივარ
და მტკვარს ვუტოვებ ჩემს სხეულს და უკუნით ღამეს.
მე კი გავყვები ცის კიდიდან მოწყვეტილ ვარსკვლავს
და ერთი მცველი, ცის კიდეზე, შენთვის ვენთები.
და თუ ჩვენ, ორნი, აღარ შევხვდით, კარგო, ერთმანეთს
მაშინ ჩემს სათქმელს მოგიყვება, ჩემი ლექსები.

***

ისე დავცოტავდი, ისე გავნახევრდი,
თითქოს კაპიკი მაქვს ფასი,

ისე გამოვცალე, ერთი ამოსუნთქვით,
ჩემი ცრემლით სავსე თასი.

ნიავს გავაყოლე სევდის აპრილი და
გულში მუმლად დამრჩა ღამე.

შენც თუ მიმატოვებ, შენც თუ დამივიწყებ,
გული ვერ დაიტევს ამდენს.

წავალ, შორს წავალ და, უკან დაბრუნების,
აღარ დამიტოვო გზები.

შენი მონატრებით, შენი სიყვარულით
ღმერთო, ყოველღამე ვკვდები.

ალბათ აპრილია ასე თავნება და
ოდეს იმაისებ ჩემშიც.

შენ თუ არ მოხვედი, და არ გეყვარები,
ალბათ უშენობა შემშლის.

მე იქ წავალ...

მე იქ წავალ, სადაც ღმერთი მეტია,
სადაც სიტყვებს ტყვიებად არ ისვრიან;

სადაც ჩიტი გალობს, რაღაც სევდიანს,
სადაც ჩემს ღმერთს ტალახს აღარ ესვრიან.

მე იქ წავალ, სადაც მტრობას, გაქცევით,
შეეფარნენ უცოდველი ბავშვები.

სადაც მუდამ გაზაფხულობს მაისი,
სადაც გულებს, დასტყობიათ ხალისი.

სადაც ეშმა ვერ დასჯაბნის სიკეთეს,
სადაც ყველა ღმერთის სიტკბოს იგემებს.

მე იქ წავალ, სადაც მარტო ვიქნებით -
მე, ღმერთი და მხოლოდ ჩემი ფიქრები.

სადაც ლექსებს კვლავ უკალმოდ დაგიწერ,
მეგზურობას კვლავ უჩუმრად გაგიწევ.

მე იქ წავალ, სადაც, მხოლოდ ფიქრებით,
ჩემი გულის ნაფიქრალი იქნები.

***

არსად წავსულვარ, მე ისევ იქ ვარ,
სადაც შენ უკვე დამტოვე ერთხელ,
მართლა არ ვიცი, რა ვარ, ან ვინ ვარ,
ან რაღად გიწერ ყოველდღე ლექსებს?

ნუთუ მიყვარხარ?!... მართლა არ ვიცი,
თუმცა ვიცი, რომ გული მკვდარი მაქვს,
მე ისევ იქ ვარ, იქ ვარ და გიცდი,
სადაც ყოველდღე ვგავარ შადიმანს.

მივყვები ღამის სევდიან აღმართს,
იქ, სადაც, ვიცი, არვინ იქნება;
როგორ გავუძლებ, არ ვიცი, ზამთარს,
როცა ვიღვრები გრძნობის ფიქრებად.

კვლავ ბოლო სტრიქონს დავტოვებ ისევ,
დაუსრულებელს, იქნებ რა მოხდეს...
იქნებდა სული მე, უშენობით,
სევდიან გზაზე ჯერ არ ამომხდეს.

***

თეთრი სუდარა დავიფარე ფიფქების ასხმად,
ნელი ნაბიჯით მივუყვები წყვდიადს, ღამისას,
ვიცი, ფიქრები დამეღვრება ცრემლების თავსხმად,
...და ვიცი, მე, ლოთს, ღვინის ნაცვლად, ჩემს სისხლს დამისხამთ.

ჩემი გოლგოთა სულ თან დამსდევს ღამის ავდრებში
და ღამის შიშით გზას მინათებს გულის ხანძარი,
უსულო სულთა მასკარადის უცხო ლანდებში
ვერ გამოვნახე ჩემი ღმერთი და ვერც ტაძარი.

ჩუმი ნაბიჯით კვლავ მივყვები სუიციდს მტკვართან
და ფიქრის ხურჯინს გავაყოლებ სამარადისოს,
ალბათ, ეს არის ბოლო ლექსი, საკუთარ ლანდთან,
მერე კი ღმერთმა ინებოს და გადამარჩინოს.

გაგაღმერთქალე

გოგონა ვნახე წითელ კაბაში,
კი არ ვაღმერთე, გავაღმერთქალე!
მის გამოხედვას, მომნუსხველ თვალებს,
რა ვქნა, ვეღარსად ვერ დავემალე.

მე ქალი ვნახე წითელი კაბით,
მისი სადარი არსად მენახა.
მას კი სხივები, გულით ნაფეთქი,
ყოველი, ჩემთვის გადაენახა.

მე ქალი ვნახე, ღმერთო, რა ქალი...
რა რიგ შვენოდა მხრებზე ნაწნავი...
მე ქალი ვნახე წითელი კაბით,
არვინ მენახა მისი სადარი!

მე წუხელ ღამით, მესიზმრა ქალი,
ქალი კი არა, იყო ღმერთქალი,
უძირო ღამის შავი სიზმარი
გამიმზისხივა, როგორც ფერადი.

წუხელის ქალი ვნახე სიზმარში,
ამოვირჩიე ცხოვრების ბედად,
გამოღვიძებულს, თურმე ეს ქალი
გამომდგარიყო ჩემს შვილთა დედად.

ღმერთო, ასეთი ვნახე სიზმარი,
მისკენ მილტვოდა გული იმ ღამით,
მის წმინდა სახელს და მის მშვენებას
ნახვის წამიდან, ღმერთად ვფიცავდი.

მე გასულ ღამეს ვნახე სიზმარი,
და ამ სიზმარში ვნახე საბედო;
გამოღვიძებულს, ნანახზე ფიქრით,
ამემღერა და ასე ვთავნებობბ.

თეა ბარბაქაძე ბუღალტერი
დაბადების ადგილი ხაშური ბეკამი

***

ხორცით შეფუთული სული,
ლექსი - დანთხეული მელნად...
ხან როგორ მძიმეა სული,
ხან რა ადვილია ფრენა...

ერთი ნაბიჯია ცამდე,
ერთი არითმია - შენთან...
ხან როგორ გრძელდება გზა და
ხან როგორ ახლოს ხარ ღმერთთან...

ჯვარზე დარწეული ღმერთი,
რითმად აღვლენილი სევდა,
შენ - ისევ ადამი, ჩემთვის,
მე - ისევ ისეთი ევა.

***

ღმერთო, შემეშველე, ჯვარი დამიმძიმდა,
იმდენ ჩემიანს და უცხოს ვეხიდები...
ძალა აღარ მყოფნის, დედა გამიგებდა,
სხვა რომ არავინ მყავს, ჩემს თავს ვუხირდები...

მამლის ყივილამდეც ვეღარ გავაღწიე,
ჩემი ოცნებებიც აღარ ცხონდებიან,
შენგან გაქცეულსაც ლოცვა დავაწიე,
რადგან ვინც გიწამა, მაინც ცხონდებიან...

ჯვარზე დარწეული შენი ჭრილობები,
დედის ხსოვნასავით გონში ხორცდებიან...
ტანში შერჩენილი შენი მადლის კვალით,
ჩემი უჯრედები ისევ ცოცხლდებიან...

***

დღეს შენთან ერთად, ალბათ, ქვებიც დადუღდებოდნენ...
მეც ხომ დედა ვარ, როგორ მესმის შენი წუხილი...
ძვლები მეწვის და, ცრემლი კი არ, სისხლიც დუღდება,
მეც გადამისხეს შენი სისხლი, იწყო დუღილი...
დღესაც შენს შვილად ვიხსენებით - ძედ და ასულად,
მომაკვლევინა ნეტავ შენი რწმენის წყურვილი...
იყო მდუმარე მოლოდინი ტანჯვის პასუხად,
კაცთა სახსნელად, ჯვარზე ასვლის დიდი სურვილი...

რას გავხდებოდი, ვერ გიშველე, ვერ შეგეწიე,
მეც პეტრესავით კვალში გედექ, გბანდი იარას,
შენს სისხლის წვეთებს ვაგროვებდი, რომ დამერწიე
ახალშობილის მსგავსად, ჩვენი ცოდვა-ჯვრიანად...
გაგაფანატე, კი არადა გავხდი შეშლილი,
სულით ხორცამდე შენი ვარ და როგორ მეამა...
დაბადებამდე გრძნობდა ტანი, როგორ შემშლიდი,
რომ დედამიწას შეარყევდა შენი იარა...

***

ახლა შენსავით ჩემი სულიც ჯვარზე ჰკიდია,
ხორცი რას იგრძნობს, თიხისაგან მოზელილია...
მტვერიც არა ვარ და ვერცხლებზე როგორ მყიდიან
...და მაინც ვამბობ: „აპატიე, არა იციან...”

***

ახლა ჩემთვისაც ამზადებენ, ალბათ, გოლგოთას,
მიმალურსმავენ ჯვარზე, ალბათ, ჩემი ლექსებით...
ჯანდაბას ჩემი გოლგოთა და ჩემი აღდგომა,
თუ ქრისტესავით აღდგებიან ჩემი ლექსები...
ახლა რა ჯვარის ამწევი ვარ, ვდევარ ლოდივით,
ჯვარი კი არა, ბევრჯერ ჩემი ტანიც ვერ ვზიდე...
...და, გეფიცები, დავიღალე შენი ლოდინით!...
...და მოდი, სანამ ტკივილისგან ხორცსაც დავცილდე...

***

ჰორიზონტს წამსკდარ სტროფებივით რარიგად მწამდი,
გადახსნილი აქვს ცას მაჯა და ნეტავი რა სურს?
თუ რამე წმინდა კიდევ შეგრჩა, როგორიც მახლდი,
გოლგოთის გზაზე, ასეთივე დაურჩი წარსულს...

***

საწნახელიდან ჩამოწურულ მირონს მაგონებ,
ქრისტეს სისხლივით შემიდედდი, როგორ ჩამოგბან,
როცა გეძახი, მთელი არსით,
ისე მაგონებ, თითქოს ზეციდან ქრისტე ღმერთი მიწად ჩამოგყავს...
ადუღებულხარ ძარღვებში და ცდილობ, ამოსკდე,
ამოიყოლო ვაზის ცრემლი,
მიწის სურნელი...
ვეღარ გიტევ და ლამისაა სადღაც წამომცდე,
სენად შემყრიხარ კიბოსავით განუკურნელი...
მოწამლული ვარ შენს დაჭორფლილ მკერდზე ფერებით,
შენი ტანიდან იის ნაცვლად ქრისტე ამომყავს...
შენი ზედაშით ნაზიარებ უფლის ცრემლებით
ნაკურთხ მიწაზე ალავერდით შენთან გადმოვალ...
ცა აიჭრება შენს ალერსად მოსულ მერცხლებით,
პირჯვრიდან ვცდილობ, შეგეშველო, ფრთხილად გარდმოგხსნა,
რამ გვაიძულა - გადავცვალეთ ღმერთი ვერცხლებში...
...და საუკუნოდ ველოდებით სულის გამოხსნას...

***

წლებმაც ვერ ზიდა ნაღალატევ გრძნობის პირჯვარი,
მისტერიულად ვცდილობ ახლაც შენგან გაღწევას,
არა, არ მსურდა ვყოფილიყავ შენთვის ის ჯვარი,
შენი მხრები რომ სიმძიმისგან ვეღარ აწევდა...
ამოიზარდა მრუდე კერას მორჩი მარგილი,
ურწყულმა როგორ ეცადა და ტოტი გაშალა,
გაგლეჯილ მყესებს უკემსავდა ღმერთი არილით,
ყველაფერს ვუძლებ, დავრჩი მხოლოდ ღმერთის ამარა...
ახლა ზღვარზე ვარ, სიგიჟის და ღმერთში მყოფობის,
ხიბლში ვარ, როცა ხოტბას მასხავს შენი ამალა...
ჩემს შინაგანშიც იმართება ახლა ბრძოლები,
რომ იქნებ ქრისტე მეტი იყოს, ვიდრე ბარაბა...

***

სისხლზე მეტი ხარ ჩემს ძარღვებში, ღელავ რითმებით,
ჩემი კი არა, შენი ღმერთის ძალა მაგიჟებს...
ჩემს დარჩენილი დღეებივით აღარ მეთმობი,
არ მეთმობი და, ღმერთს გაფიცებ, ნუღარ მაგიჟებ...

ანგელოზივით ჩემს დარჩენილ დღეებს დაურჩი,
ნურასდროს წახვალ, რადგან დარდიც გამინახევრე,
მე თუ გელოდი, სხვას სიზმარში რატომ აუხდი,
მელოდია ხარ და ძარღვებში სისხლსაც ახელებ...

***

რა საოცნებო დაგიტოვო, ჩემო ძვირფასო,
სულიც დავკარგე, როცა შენ წინ ლექსად გავშიშვლდი,
ფრთაშემოსილი, მიმამსგავსე, ალბათ, ანგელოზს,
ფრთამოტეხილი მიმატოვე მახინჯ ბავშვივით...
გამოგედევნე, ამ ზეციდან მსურდა გაღწევა,
მეც, შენებურად, ქერუბიმის ფრთები მოვისხი...
შენ, ვინც სამოთხე მოგვივლინე, სულის სახსნელად,
ჩვენ ჯოჯოხეთი დაგატეხეთ ჩვენი ცოდვისთვის...
რომ მახსენდება, რა დაგმართეთ ვერცხლის ხამებმა,
თავი დავკარგე, როცა ყველა ძარღვში შენ იშვი...
ისევ შემხვდი და დამარიგე, როგორც მამებმა
იციან ხოლმე დარიგება დიდი მარხვის წინ...
არამიწიერს მიგამსგავსე, როცა საუბრობ,
ნუ შემეწევი, თუ გგონია, მართლა გავგიჟდი...
რამდენი რამე დამიგროვდა შენთან საუბნო,
მას შემდეგ, როცა საბოლოოდ ხელი გაგიშვი...
ფრთამოტეხილმა, ბევრჯერ ვცადე ცაში აფრენა
და როცა ვცადე, ამ ცის იქით არსად გამიშვი,
რა საოცნებო დაგიტოვო, მთვლიდე ქალღმერთად,
სულიც დავკარგე, როცა შენ წინ ლექსად გავშიშვლდი.

დიალოგი ღმერთთან

ეს მონოლოგი კი არაა, დიალოგია...
ჩამოდი ჩემთან, მოთმინებით გელოდი, ღმერთო...
რატომ გგონია, ყველა ლექსში ელეგიაა,
რატომ გგონია, შენგან რამეს მოვითხოვ, ღმერთო...
ჩვენ ერთი კაცის საზიდი ვერ გვიზიდავს შენთან
და შენმა მხრებმა რას გაუძლო საზიდრად, მიკვირს...
აღსარებაა - ყველა ჩემი შეხება შენთან
და გელოდები, გელოდები, სასწაულს იტყვი...
არავინ არ ვარ, არც აქამდე არა ვიყავი,
ცამდე მიყვარხარ, შენს სიტყვების მაცნე ვარ, ღმერთო...
შენი საქმენის ეგების და მქმნელიც ღირს მყავი
და, გეფიცები, სურვილი მაქვს, შენსავით ვენთო...
ჭკუიდან შემშლი, ხან ფურცელზე რომ არ დაგწერო
და შეშლილივით ჩავუსაფრდე ყოველ განთიადს,
ძარღვებამოყრილ ცის კიდეზე მზესავით ვენთო
და ვნებით სავსე დედამიწას მოვხსნა მანტია.
და როდენივით - თავისუფალ ნებამდე დასულს -
ქვისა და ხორცის კი არა და სულის მეოხად
მეყოლებოდი უცნაური ყოფის დასასრულს,
რომ მეც გოლგოთა შენებურად გამემეორა...
ქარი, აშარი... ეგონა რომ რამეს გამგლეჯდა,
შემომატმასნა, შემომგლიჯა ტანზე სამოსი,
ვინმეს ეგონა სიმარტოვეს შემომაგლეჯდა?
არა, ბატონო, მადლობა ღმერთს, გავხდი სალოსი.
აღარ მაშინებს ჩასაქოლად სხვისი ლოდები,
თვითონაც ხვდები, ჩემში რწმენა როგორ ანთია...
შენს მაჯისცემას შეშლილივით ველოდები და
კვლავ ველოდები ხელმეორედ ახალ განთიადს...

ღვთისმშობელივით ლამაზია შენი თვალები...

მიყვარხარ ისე, როგორც მიყვარს ჩემი ბიბლია,
მარტის მზესავით სათუთია შენი თვალები,
მიყვარს შენს სულში შეყუჟული ცელქი ნიბლია,
ღვთის მშობელივით ლამაზია შენი თვალები...
შენთან მოვდივარ ისე, როგორც ცასთან მიდიან,
გულის წასვლამდე ლამაზი ხარ, სულს რომ აჩნდები,
ვერ გამიგია, თუკი უყვართ, რატომ მიდიან?...
ან სად მიდიან, ღმერთის იქით როცა მთავრდები...
შედევრად ქმნილხარ შემოქმედის, მსგავსად ყოველთა,
თუმცა მანამდე თიხით გზელდნენ, ალბათ, მოგვები,
ჯვარცმაზეც როგორ ლამაზი ხარ, თუმცა რომელმა
სამსჭვალმა ჰქმნა და შეაკავა ჩვენი ცოდვები...
ვაზის ცრემლებში დაგუბებულ ღმერთად მიცვნიხარ,
მჩუქნი სამყაროს, რომ არ დარჩეს გრძნობას ვალები,
მაშინაც მყავხარ გულში, როცა ჩემგან მიდიხარ,
ღვთის მშობელივით ლამაზია შენი თვალები...

***

ახლა ქვაფენილს ტკივილით და იმედით მოფენ,
დღეის ტკივილით ნაშობი და იმედით ხვალის,
რომ ჩემმა ნებამ არ მაცდუნოს მოვუსმენ შოპენს
და ფოთოლცვენის ბოლო აკორდს ავიღებ ვალით...

რომ დავურიგო ობლებსა და ქუჩაში მჯდომებს,
მე გამხმარ პურსაც ვიმყოფინებ ნამცეცად დაშლილს
და მათხოვრისთვის დატოვებულ მზერას რომ სჯობდეს,
ეგებ ღიმილიც ვაჩუქო და იმედი ხვალის...

თამარ ბერიაშვილი მშებებელ ინჟინერი
დაბადების ადგილი ყვარელი საბუე

* * *

მე ჩემი ქვეყნის სიძველე მიყვარს,
ციხე-კოშკებო ფიქრებით მმოსავთ.
ამაყად მდგარნო...ჯერაც ვერ ნათქვამს,
რამდენ ჭირ-ვარამს გულში ინახავთ.
ოი ქართველნო!...რამდენს გაუძელთ,
დღემდე რა გზები გამოგივლიათ,
რწმენა, მამული, ენა ქართული,
სიცოცხლის ფასად არ გაგიცვლიათ.
ხერთვისის ციხევ ღალატ ნაგემო!
შენ თმოგვის ციხევ მზირალო ციდან!
კლდეში ნაკვეთო ჩემო ვარძიავ,
თქვენი წარსული გულზედ მატყვია!...
ჩემო გელათო და ნიკორწმინდავ,
მამადავითო რას ფიქრობ ნეტავ?!
ჩემო საფარავ, აწყურის ციხევ,
ჩემო იშხნო და ოშკო შენ წმინდავ!
შენ მრავლის მომსწრე ჩემო შუამთავ
და ალავერდო ქვეყნის მშვენებავ!
შენ ჩემო გრემო, ჩემო იყალთოვ!
დავით გარეჯო წარსულო წმინდავ...
ჯვრის მონასტერო მზირალო მთიდან,
სვეტიცხოველო შენ საოცრებავ!
არა, მე მარტო თქვენ როდის გეტრფით,
მე ქვეყნის ყველა სიწმინდეს ვლოცავ!...
ყველა სიძველეს ვეტრფი და ვლოცავ,
ნუ მიწყენთ, თუ ვერ გასხენეთ ყველა..
ჩემს საქართველოს დავლოცავ გულით,
წმინდა სამება გფარავდეთ ყველას!!!

* * *

ო, რა საოცრად ეს შემოდგომა
ბუნებას ხატავს ლამაზ ფერებში...
და ფოთოლცვენა ამ სილამაზეს
უკვალოდ აქრობს ისევ წამებში.
წამოუბერავს ზენა ქარი და
ირგვლივ მოაფენს ოქროსფერ ფარჩას,
მე კი არ ვიცი ეს ფოთოლცვენა,
ჩემში რად იწვევს უზომო სევდას.
გაეხვევიან ნისლებში მთები,
ბარში დაჰბერავს ცივი ქარები...
ფოთლებთან ერთად ნოემბრის ქარო,
ჩემს ფიქრებს საით მიერეკები?!
ბუნებას თითქოს შემოსავს სევდა,
სულს დაამძიმებს შენზე ფიქრები...
თუ შემოდგომის სევდას გავუძელ,
ვიცი დამათოვს თეთრი ფიფქები.
ფიფქებს მოჰყვება სიცივე ზამთრის,
მე კი გამათბობს შენზე ფიქრები...
გაზაფხულდება და ჩემს ფანჯრებთან,
აყვავილდება თეთრი ვარდები.
გაზაფხულს შეცვლის ცხელი ზაფხული,
ჩაენაცვლება ერთმანეთს დრონი
და ვით ფურცლები კედლის კალენდარს,
შემომელევა მეც ჩუმად წლები...
ვით გაელვება ჩემი ცხოვრებაც,
ჩაივლის ისე, როგორც ზღაპარი...
და ზღაპრის ბოლოს ცრემლების ნაცვლად,
გულზედ დამადეთ თეთრი ვარდები.

* * *

შემომაძარცვა ცხოვრებამ წლები,
ვით შემოდგომამ ხეებს ფოთლები.
სარკეში ვუმზერ საკუთარ აჩრდილს,
ვხედავ ცხოვრება გასულა წამში.
მოგონებების კარიც შევაღე,
კვლავ ფრთხილად ვფურცლე წარსული ჩემი,
და აღარ მიკვირს თუკი სახეზე
მე შემტყობია სიმრავლე წლების.
განვლილ წლებს თითქოს თან გაჰყოლია
ლაღი ცხოვრება და სილამაზე,
აღარც სარკიდან აღარ მიმზერენ
მე ის თვალები სიცოცხლით სავსე.
წლებს თმებშიც თეთრად დაუთოვია
და შეპარვია სახეს ღარები,
მხოლოდ გულიღა შემომრჩენია
კვლავ ძველებურად იმედიანი.
გასული წლები ხან არ ადარდებს,
ხან აენთება, ისევ ხალისობს,
ხან კი უეცრად ისე მოიწყენს
გასულმა წლებმა თითქოს შეაკრთო.
წლები კი მართლაც ბევრი გასულა,
შემოეჩვია გულსაც ფიქრები,
გულო გაუძელ წლების სიმრავლეს
და ნაადრევად ნუ დაბერდები !!!

* * *

მე უფლის სახლში მოველ სალოცად,
სულში რეკავენ მძიმე ზარები...
მუხლმოდრეკილმა ისევ ხატის წინ,
კრძალვით ავანთე წმინდა სანთლები...
უფალს შევთხოვე სულის სიმშვიდე,
სხვას არას შევთხოვ...არა მინდა რა,
რომ მშვიდი სულით ცხოვრების გზაზე
მე ჩემი ჯვარი ვზიდო თამამად.

* * *

წლები მიდის და... თავისი მიაქვს,
სულში ბობოქრობს შენზე ფიქრები,
მივყვები ისევ ნაცნობ ქუჩას და...
თავგზას მიბნევენ მოგონებები.
ჩავივლი ქუჩას და ჩვენს ჭადრისკენ,
კვლავ გამექცევა მზერა მალული,
წლების შემდეგაც იქ გხედავ ფიქრში
და მეც მოვილტვი ხელებგაწვდილი.
გხედავ სახეზე გიკრთის ღიმილი,
თვალებს ხრი, ისევ, მარიდებ მზერას,
ჭადრის ფოთოლთა სიო უტეხი,
როგორ მალულად გეალერსება.
მოგონებები მძლავრობენ სულში
და თითქოს მესმის ჩურჩული შენი,
წლების სიმრავლემ ვერა შეცვალა,
კვლავ სიყვარულით ძგერს ჩემი გული.
ნაწვიმარ ქუჩას სიჩუმე მოსავს,
არც ძველებურად ისმის ჰანგები,
სიოც ჩამდგარა და ჭადრის ფოთლებს,
კვლავ შემოდგომის შვენის ფერები.
ჩემს ცხოვრებაშიც დგას შემოდგომა,
ფოთოცვენებით, ლამაზ ფერებით,
ისევ იმ გრძნობით, წლების შემდეგაც,
ძვირფასო, მე შენ, კვლავ მეფიქრები.

* * *

მე ვარ აპრილი შენს ცხოვრებაში,
შენთან მოსული ყვავილთა თოვა.
მე ვარ ოცნება, ვარ სიყვარული
და შენს გულში მაქვს მუდმივად ბინა.
მე მთის სიო ვარ, მქროლავი ბარად,
ფიქრებს გიწეწავ, არ გაძლევ შვებას,
მე ის ქალი ვარ, ის ერთადერთი,
ვისაც ეგ გული, ვერ შეელევა!...

* * *

მალულად სარკეს შევავლე თვალი,
იქიდან მიმზერს განვლილი წლები,
ნაოჭს ნაოჭი შემატებია...
გულს გასჩენია სიბერის ბზარი.
თმაშიც ჭაღარა გამორეულა,
თვალებიც თითქოს ბინდის ფერია,
ნეტავ ეს წლები ასე ულმობლად
სულმოუთქმელად საით მიდიან?
ნეტავ ვიცოდე საით იჩქარით,
ან რად არ იცით წლებო დანდობა?!..
ცხოვრებით დაღლილს იქნებ მაცადოთ,
სიცოცხლის კართან ჩამოსვენება.
ნუთუ ძნელია? ცოტა მადროვოთ!
მეც რომ ვიცხოვრო შვებით ამ ქვეყნად.
ნუ დაინანებთ დროს ჩემთვის წლებო!
და ნურც სიცოცხლე დაგენანებათ!
მე სულ ცოტა ხნით სიცოცხლის კართან
ჩამოვისვენებ, მოვითქვავ სულსაც...
მხრებზე მოვიხსნი ცხოვრების ტვირთს და
და მერე მშვიდად წავალ იმ ქვეყნად....

* * *

დამისხი ღვინო...მე ამ სასმისით
მინდა რომ შენი ვთქვა სადღეგრძელო,
შენ გადღეგრძელებ ქვეყნად ერთადერთს,
შენ გაგიმარჯოს ლამაზო ქალო!
დამისხი ღვინო, მინდა დავლიო,
მე სადღეგრძელო კვლავ სიყვარულის,
მონატრების და ჩუმი ოცნების,
თვალზე მომდგარი ალალი ცრემლის!
დამისხი, დავლევ შენს სადღეგრძელოს
და ამ სასმისსაც ბოლომდე დავცლი!
ნუ გეგონება ღვინო დამათრობს,
მე სიყვარულით, შენით ვარ მთვრალი!
დამისხი, ცოტას კიდევ დავლევ და
მერე გრძნობებშიც გამოგიტყდები.
ნუ მიწყენ თუკი შენით დამთვრალი,
მე სიყვარულით მოგეფერები...
მოგეფერები, მე დიდი გრძნობით,
გულსაც გაჩუქებ დაღლილს ფიქრებით...
გულით მიყვარხარ და ნუ იფიქრებ,
ღვინის ბრალია ეს ყველაფერი!...

* * *

გადაივლიან ზამთრის დღეები
და გაზაფხული კეკლუცი მოვა.
მთებს ძილს გაუფრთხობს ნაკადულები,
ბარშიც იები აყვავილდება.
თავს მოიწონებს გაზაფხული და
კვლავ ჭრელაჭრულას ჩაიცმევს კაბას.
ბაღში იფეთქებს იასამანი,
მისი სურნელი დაათრობს ზეცას.
გამოიღვიძებს მკაცრი ბუნება,
მერცხალიც ბუდეს დაუბრუნდება.
აყვავებული ვარდი კი ბაღში,
კვლავ ჩვენს შეხვედრას დაელოდება.
შენი ლოდინით ამ გულს გადაღლილს,
ნეტავ ვიცოდე რა ეშველება?
სულში ფიქრები ნისლებად მაწევს,
გულში დარდისგან გაავდარდება!
ეს გაზაფხული ჭრელი ფარჩებით
კარს შემოაღებს, სტუმრად გვეწვევა,
მე კი უშენოდ მისი მშვენება,
ალბათ არც არად მომეჩვენება.
მე გაზაფხული უშენოდ არ მწამს,
რატომ არ გესმის სულის გოდება,
გულმა ხომ შენ ერთს გაგიღო კარი,
სხვა ვერასოდეს ვერ შეიყვარა.
შენ ერთს დაგითმე ეს ჩემი გული
დღეს დარდიანი უშენოდ ფეთქავს
და ჩემში მაშინ გაზაფხულდება
კვლავ სიყვარულით როცა შენ მოხვალ...

ზღვა და ქალი

ზღვის პირას იდგა ლამაზი ქალი,
დაისს უმზერდა სადღაც ზღვის მიღმა
და მის სევდიან, ლამაზ სახეზე,
ჩამავალი მზის სხივები კრთოდა.
დუმდა, დუმილში ფიქრებს აქსოვდა,
ფიქრებში სადღაც შორს დაფრინავდა
და მის უძირო, ლამაზ თვალებში,
მთელი ცხოვრება იკითხებოდა...
დუმდა, დუმილით სათქმელს თოკავდა,
ბობოქარ ტალღებს თვალს ადევნებდა...
ზღვის მონაბერი ცელქი სიო კი
მის გიშრისფერ თმებს ურჩად წეწავდა.
ზღვა ბობოქროდა, ტალღები ნაპირს
ეხეთქებოდა, ფიქრებს უფრთხობდა,
ქალის თვალებზე მომდგარ ცრემლებს კი
ტალღა შხეფებში ჩუმად მალავდა.
ხატებას გავდა დაისის შუქზე,
ლამაზი ქალი, ნაზი ქმნილება,
მის სილამაზეს ბობოქარი ზღვაც,
თითქოსდა ჩუმად გულით ეტრფოდა.
ებრალებოდა ლამაზი ქალი,
ზღვა ბობოქრობდა, ქალს ამხნევებდა.
ლამაზი ქალის უსაზღვრო სევდას
ტალღებს ატანდა, დარდს უქარვებდა...

* * *

ლამაზო ქალო, მზისა სადარო,
მინდა გაჩუქო მთელი სამყარო.
სახელად გერქვას "ჩემი სიცოცხლე",
შენს სიყვარულში ვაღამ-ვათენო.
როცა იღიმი ლამაზი სახე,
მიგიგავს დილას გაზაფხულისო
და თუ მოიწყენ შენი თვალები,
მაგონებს, სევდას შემოდგომისო.
დაუკითხავად ჩასახლდი გულში,
გადაგირაზავ გულის კარსაო,
აქედან უკვე თავს ვერ დააღწევ,
დღესვე რომ მაცვან თუნდაც ჯვარსაო.

* * *

ცას მოეფინა რუხი ღრუბელი,
მზეც აღარა ჩანს, ისევ გაწვიმდა.
წვიმის წვეთები გინამავს სახეს
და ისე კრთიხარ, როგორც პატარა...
წვიმა გისველებს გიშრისფერ თმას და
შემოგტმასნია ტანს სველი კაბა.
მაოცებ, ჰგავხარ შენ, ცის გუმბათზე,
ლამაზ ფერებში მოხატულ ფრესკას.
ლამაზო ქალო, შენი მშვენება,
ცეცხლის ალივით გულზე მედება,
დგახარ წვიმაში გაოგნებული,
უხერხულობით მიწა გისკდება.
რატომ გაკრთობენ წვიმის წვეთები,
ან უმზეობამ რად დაგაღონა?!!..
გულს ვერ ნატევი, სევდა ღრუბელმა,
წვიმის წვეთებად მიწას აპკურა.
ნუ დაღონდები, ისევ იდარებს...
შენი სახიდან კრთობაც გაქრება,
მხოლოდ ღრუბელი ალბად სადღაც შორს,
სევდის ცრემლებად კვლავ დაიღვრება.
ჩემში კი შენი ხიბლი ბობოქრობს,
გულიც უცნაურ გრძნობით მევსება,
შენი თვალები მათრობს და ვხვდები,
გულში ლამაზი აპრილი დგება.

* * *

თუ შენს ქუჩაზე ფეხარეულმა
ჩამოვიარო, შემავლო თვალი,
ნუ გეგონება ღვინომ დამათრო,
მე უღვინოდაც, შენით ვარ მთვრალი!...
თუ შენს ფანჯრებთან ყოველ ალიონს,
როგორც აშუღი, ღიღინით ვხვდები,
ნუ გეგონება რომ შეშლილი ვარ,
მე სიყვარული მამღერებს შენი!
თუკი ვიქეცი მე შენს აჩრდილად
და უკან დაგდევ დღითა და ღამით,
იცოდე კარგო შენი ბრალია,
ასე უსაზღვროდ რომ შემიყვარდი!...

* * *

ქალავ მშვენებით ქებულო,
რად მტანჯავ ეგრე ძალიან!
ნეტავ ვიცოდე რად მწუნობ,
მითხარი რად არ გიყვარვარ.
თუ შამიყვარებ ქალაუ,
ჩემს ბედს არ დაჰყეფს ძაღლია,
თუ სიყვარულში გიმუხთლო,
დამიდგეს ორთავ თვალია.
დღედაღამ შენზე ზრუნვაში,
თვალს არ მამივა ძილია!
შენ განაცვალებ სიცოცხლეს,
გულს შენთან ყოფნა სწყურია!
თუ ვერ გაჩუქებ ქვეყანას,
თვალმარგალიტს და ბრილიანტს,
ოქროს კოშკს თუ ვერ აგიგებ
კერა გვექნება თბილია!

* * *

მარტი?!...მარტია,
მარტს რას გაუგებ!
მარტს ხასიათი აქვს უცნაური,
თუ ხასიათით შენ მარტს მადარებ,
შენს სიყვარულში მე ვარ უცვლელი.
თუკი ვიღიმი შენს დანახვაზე,
გარეთ თუნდ ქროდეს მარტი აშარი,
მაბედნიერებს შენს გვერდით ყოფნა
და გულში მიდგას მუდამ აპრილი.
თუკი მოვიწყენ შენი სიშორით,
თუკი თვალს ცრემლი მოეძალება,
მაშინ იცოდე რომ უშენობით,
გულში კვლავ ცივი ზამთარი დგება.
თუკი ხასიათს მარტივით ვიცვლი,
მე ქალი ვარ და მეპატიება
და ხასიათის ჩემი ცვლილებაც,
მარტს კი არა და შენ დაგბრალდება!

* * *

მინანია?!...
ცხოვრებაში,
გულით მართლა მინანია...
შეცდომები?!...
ცხოვრებაში
ალბად მეც ხომ დამიშვია...
უშეცდომოდ ეს ცხოვრება
დღემდე არვის გაუვლია.
გულის ტკენა თუკი მერგო,
თავი ძირს არ დამიხრია!
მიტირია?!..
როგორ არა,
ცხარე ცრემლით მიტირია.
ეს ცხოვრება განა ვინმეს,
უცრემლებოდ გაუვლია?!
მაგრამ გულში ბოროტება,
არასოდეს გამივლია.
მყვარებია?!...
მე უსაზღვროდ
გულით მართლა მყვარებია!
ბევრი ღამე ფიქრში თეთრად,
მთვარის ცქერით მითევია
და ცხოვრებაც სიყვარულით
ჩემებურად გამივლია.
სიხარულიც ბევრი იყო,
ბევრჯერ გულით მიღიმია.
ღიმილს სევდა მოჰყოლია,
თვალსაც ცრემლი დასდენია,
ეს ცხოვრება მხოლოდ ლხენით,
განა ვინმეს გაუვლია?!...
ავდარს დარი მოჰყოლია,
ღიმილს ცრემლი შეუცვლია,
ძლიერი ხარ თუკი მართლა,
ყველაფრისთვის გაგიძლია!
და თუ გული ისევ გიცემს,
სულში თუკი აპრილია!
ამ ყველაფერს თუ ვერ იგრძნობ
მაშ ცხოვრებაც აბსურდია!!!...

* * *

შენ მეკითხები, მე გიპასუხებ...
მაინც რა მიყვარს უფრო ძალიან?!
სიცოცხლე მიყვარს, ცხოვრება მიყვარს,
იცი რა მიყვარს კიდევ ძალიან?...
ბუნება მიყვარს ლამაზი ფერებით,
მისი მშვენება გულს მოჰფენია,
ბუნება მიყვარს ფიქრით მოცული,
გულზე მალამოდ რომ დამდებია.
სიმღერა მიყვარს გულით ნამღერი,
ჩუმი ღიღინი მეც შემჩვევია,
მე ჩემი ქვეყნის სიძველეც მიყვარს,
ციხე-კოშკებზე ფიქრი მჩვევია.
მე ფიქრი მიყვარს გარდასულ დღეთა,
მდინარის ჩუხჩუხს რომ გაჰყოლია,
აზიდულ მთებზე ფიქრში დგომა და
უძირო ხევში ცქერა მჩვევია.
მე ფიქრში მიყვარს, წარსულზე ფიქრი,
ყველაფერს ერთად თავს რომ უყრიან,
ფიქრებს გრძნობები აუშლიათ და
თვალს მონატრების ცრემლი სდენია.
მე შენზე ფიქრი მიყვარს ძვირფასო,
შენზე ოცნებით ცად მიფრენია,
მაგ შენს სახეზე ღიმილი მიყვარს,
ფიქრში ცხადად რომ მომჩვენებია.
და თუ რამ მიყვარს, ყველა ვერ გითხარ,
ფიქრებში გართულს გამომპარია,
შენ თუ ვერ იგრძენ ეს სიყვარული,
მაშინ ამ ქვეყნად არც გიცხოვრია!!!

* * *

წლების დაღმართს მივუყვები,
უკან მინდა დაბრუნება.
რა იქნება რომ წარსულში,
თუნდ ცოტახნით დამაბრუნა.
დრო მიდის და ვერ ვაჩერებ,
წლები ჩუმად მემატება,
თმას ჭაღარა შეერია,
ნაოჭებიც მემატება.
ვძებნე, გზები დაბრუნების,
ვერსად ვპოვე, დაკარგულა,
გაფრენილი წლები უკან
არასოდეს დაბრუნდება.

* * *

ვინ იცის?!...
რამდენჯერ ვათენე ღამე და
რამდენჯერ ავაგე ოცნების კოშკები.
რამდენჯერ ჩაგიკარ სათუთად გულში და
რამდენჯერ შევეხე მაგ ბაგეს ოცნებით...
ვინ იცის?!
რამდენჯერ, რამდენჯერ გინატრე,
რამდენჯერ მე შენთვის ცრემლები
დავღვარე...
რამდენჯერ მეტკინა უშენოდ გული და
ამ ქვეყნად გაჩენაც რამდენჯერ ვინანე...

გიორგი ჯავახიშვილი ჯარისკაცი
დაბადების ადგილი ახმეტა მაღრაანი

***

(კადნიერ ემიგრანტებს).
პასუხის საქართველოსი!.

რატომ მაკნინებ, ქართველო,
რა დაგიშავე, ნეტა, რა!
ასეთი ყოფით, ხომ ხედავ,
ყველამ დაგვადო ბეგარა,
ასეთი ყოფით, იცოდე,
ვეღარ მიხილავ, ვეღარა,
თუმცა გამცდარხარ
ჩემს საზღვრებს,
ერიც კი ლანძღე წეღანა.
შენი ვარ, შენი სამშობლო,
შენი ტანჯული ქვეყანა!
შენი შვილების მიწავარ
და მამა- პაპის ზე ხანა!
შენი აკვანის ადგილი,
ჩემს კალთაზე ხარ გაზრდილი,
სხვას აქებ, მე კი - მაძაგებ,
გული მაქვს ნატკენ- დაღლილი.
ვეღარ გავწიე მარხილი,
ჩემთვის როგორი ძნელია,
შენთვის აღმოჩნდა ადვილი!
სხვისი წალკოტი აშენე,
რა ვაზი დარგე, რა ხილი,
შენი გაახმე, დამტოვე,
გულს მოიშორე წადილი!
შორიდან მმოძღვრე, მარიგე,
ურცხვად ატეხე ძახილი,
მრცხვენია ქართველებისა
მე მანდ არავარ გაზრდილი!
ჩემს წინაპრებსაც უთხარით,
რისთვის იქნიეს მახვილი,
ინგლისელი ვარ დღეიდან
ამერიკელი ნამდვილი!
ჩემთვის როგორი ძნელია,
შენთვის აღმოჩნდა ადვილი.
რატომ მაკნინებ, ქართველო,
რა დაგიშავე, ნეტა, რა?
შენი ვარ,შენი, სამშობლო,
შენი ტანჯული ქვეყანა!
შენი აკვანის ადგილი
და მამა -პაპის ზე ხანა,
ასეთი ყოფით, ხომ ხედავ,
ყველამ დაგვადო ბეგარა,
ასეთ წალკოტში ისმინეთ,
ვეღარა ვსუნთქავ ვეღარა!....

***

ცას სწვდებოდა სილამაზით,
გუმბათი და ჯვარი.
ცის კიდეზე, გარს ეხვია
ვარსკვლავების ჯარი!
მთვარე იყო საოცარი,
ნათელი და მრგვალი.
გუმბათს ისე ამშვენებდა,
როგორც წმინდანს - რკალი!
ეტყობოდა სალოცავებს,
ძველის -ძველი კვალი.
ყველა კედელს გასჩენია,
ნაპრალი და ბზარი!
შორიდანვე შევამჩნიე
დაკეტილი კარი,
შევეცადე, მომეხადა
ღვთის წინაშე ვალი!
მოვძებნე და შევარჩიე,
მისასვლელი კვალი,
ნელ - ნელა კი ამეხილა,
უსინდისოს, თვალი!
და ცოდვებიც ამიჯანყდა,
შემოჰქროლეს ქარი,
აზრები სულ ამიშალეს,
ამატკიეს თავი!
შემობრუნდი, არ მიხვიდე,
არ მოგვტეხო მხარი,
რაღაც ხმები ჩამესმოდა,
სულ ამქავლდა ტანი!
გავქვავდი და გავიყინე,
კარების წინ მდგარი!
ძაღლმაც მაშინ შემომყეფა,
ისმის ღრენაც, მწყრალი,
დარაჯია, იქ ყოფილა,
ბალახებში მჯდარი,
ნუთუ მართლა ასეთივარ?
საზიზღარი მყრალი.
შიშისა და სინანულის,
მომდის ცრემლის ღვარი.
მსხვერპლს შევწირავ,ვიჩურჩულე,
მინდა, დავკლა ცხვარი.
თუ ცოტაა, გავიმეტებ,
მაშინ იყოს ხარი!
მეგონა, რომ მიშველიდა,
აზრი იყო მცდარი,
რად უნდოდათ სალოცავებს
ცხოველები, მკვდარი?!
სინანულში ჩავვარდი და
თან შევხსენი კარი,
გამიჭირდა, ვერ შევედი,
თითქოს ვიყავ მთვრალი.
ერთიანად ცახცახებდა
ფეხები და ტანი,
როგორც იქნა, ამოვძახე,
ვაი, დედა, წყალი!
ვაი, ჩემი ცხოვრება და
ვაი, ჩემი ბრალი!
ეს ხმები კი გამეორდა,
ექომ მისცა ბანი,
მოვიკეცე მუხლებში და
აღარ შემრჩა ჯანი,
საყრდენიც კი ვერა ვნახე,
საიმედო, მყარი
რომ მეგონა ყოვლის შემძლე
საკუთარი თავი,
გეგმები და ოცნებები
მექცა როგორც შარი.
ყველაფერი ფუჭია და
უფერული, მკრთალი!
ამეხილა გონება და
ამეხილა თვალი,
უსუსური ვყიფილვარ და
საშინელი მხდალი!

***

ლექსი მინდა, რომ დავწერო
ამ დიდი ღამის ბოლოს
შეშინებული თაგვივით,
ვეღარ ვპოულობ სოროს.
ლექსი მინდა, რომ დავწერო,
არ ვიცი, რაღაც დიდი,
ჩემი გონების ფურცლებსაც
რატომღაც სწრაფად ვშლიდი!
ლექსი მინდა, რომ დავწერო,
თენდება, მზის მაქვს რიდი,
მთვარევ, დავიწყოთ ერთად
და ავაშენოთ ხიდი!
ვასრკვლავს სევდები მოსწყვიტე,
როგორც წყდებიან ცაზე,
ელვისებური სიჩქარით,
მე დამაყარე თავზე!
წყვდიადს მუზები მოსტაცე,
შემომახვიე მკლავზე,
ნიავს ერთხელაც უთხარი,
შემომიბეროს ტანზე,
მთვარევ, ალიონს უთხარი,
მე რომ მაქვს მისი რიდი,
შერცხვენილი ვარ, არ ვიცი,
თავს მასთან დაბლა ვხრიდი.
ნამსაც უთხარით, ერთხელ,
ცრემლად დაედოს ვარდზე,
ბროლის სხივებად ეფინოს
ამ დედამიწის ღაწვზე!
მზეს დავუნიშვნავ პაემანს,
ჩვენს აშენებულ ხიდზე,
იმას ვერ ვიტყვი ვერასდროს,
რაც მომადგება პირზე.
ლექსი მინდა, რომ დავწერო,
მაგრამ არ მომდის მუზა,
ნავსაყუდელზე გავჩერდი,
ფიქრმაც ჩაუშვა ღუზა!

***

გლახად მერჩივნოს ცხოვრება,
მშიერ მწყურვალი ვკვდებოდე,
ვისაც რაუნდა, ის ჰქონდეს,
უფლის მორჩილად ვრჩებოდე!
ჩემს ნაკვალევზედ, არვიცი,
ცუდგზის ამბებად ჰყვებოდნენ,
ბოროტად ჩათესილები,
ფესვს ვერ იდგამდნენ, ხმებოდნენ!
ნისლით მოსილი ნაღველნი,
უფერმკრთალოდა ქრებოდნენ!
მომცდარან უღმერთოები,
სამართალს მტრულად ჰხვდებოდნენ,
ალბათ, ეგონათ ცოდვილებს,
მწვერვალებს მაღლად სწვდებოდნენ,
შეკრებილები მაძღრებად,
ღმერთი სად არის ჰყვებოდნენ,
სხვისი ჭორით და დარდებით,
სიამოვნებით ტკბებოდნენ.
უღმერთოების სახელზედ,
მსურს კელაპტრების ნათება,
არ ვიცი, ასე მერჩივნოს,
ეს იყოს ჩემი ხატება.
გლახად მერჩივნოს ცხოვრება,
მშიერი ტალახს ვზელავდე,
ღმერთთან თუ მივალ მართალი,
ყოველ დღე ამას ვღელავდე!

***

მთებს ლეგენდები უხდება,
ბარს - ვარდი, ია, ველისა.
არ ვიცი, ასე ხმამაღლა,
ეს გული რატომ მღერისა.
ნეტავ ყოველთვის შემეძლოს,
ხმა ტკბილი, უცხო ბგერისა,
მალომოდ მეფინებოდეს
ექო, ჭაუხის ხმებისა.
ალბათ მთებს შიგნით მომინდა,
ნაღველის ფანტვა, წლებისა.
იქნება დამშვიდდებოდეს
სული, ნაგესლი გველისა!
იმ ქართველს როგორ ვემსგავსო,
შვილნი რომ ზარდა სხვებისა.
ნუგეში ვინაც იტვირთა,
ქალ -ბალღის, დიაცთ ცრემლისა.
იმ არწივს როგორ ვემსაგვსო,
ზეცაში გადაფრენილსა.
იმ ჩანჩქერს როგორ ვემსგავსო
შიში არა აქვს ხევისა.
მთებს ლეგენდები უხდება,
სურნელი ლამაზ დეკისა.
არ ვიცი, საით ვიარო,
ბილიკ სად მიდის ფეხისა.
ვერ დაცხობილა მჭადებიც
ობოლისა და გლეხისა.
სითეთრეც შემომპარვია,
წვერებისა და თმებისა.
მიშველეთ, დახეტიალობს,
ჩემი ოცნება კვდებისა,
არსაით გადაეყარნენ,
ჯოგნი ტურის და მგელისა!
როგორ არ მინდა შემუსვრა,
პირჯვარის ნასახ ხელისა!

***

ჰეი! თქვენ ქართველნო!
ვახ! ჩვენი ბრალი!
მტერი მოგვადგა, მომეცით ხმალი!
ღვინო დამისხით რად მინდა წყალი!
დავჭექოთ ბუკი და მოვცვითოთ ნალი,
გუთანს აუშვეს ნიკორა ხარი!
მოსწყვიტეს წისქვისლ საბრუნი თვალი,
მოჰკვეთეს გმირებს თავი და მხარი!
ვეღარ ვიპოვნე იმედი მყარი.!
ტაძარს მივედი, შემოვკარ ზარი,
შენდობის ლოცვით ვიწერე ჯვარი!
შემდეგ კი, ვლეწე უსჯულოთ კარი,
მტრისა ვაბნელე დღე, მზე და თვალი,
ასე ვიხადე სამშობლოს ვალი!...
იუდას ამბორით აჩინეს ბზარი,
ნათელს დაატყვეს წყვდიადის კვალი,
ეჭვებმა ხეთქეს კლდეები სალი,
ჭორმაც დააშრო, არაგვი, მტკვარი!
სიმართლეს არჩიეს ტყუილი მტკნარი
და ბოლოს მაინც მომკვეთეს მკლავი!
კედელს დავჰკიდე, ის გორდა ხმალი,
აღარ დამიდგა დღე მშვიდი წყნარი!
ჩემს გზებს მოედო ეკალი, ნარი,
ხმები ჩამესმის ვახ! ჩვენი ბრალი!
ასე დავდივარ მე, ცოცხალ - მკვდარი,
ტაძარს მივდივარ, დავრეკო ზარი!
ღმერთო! შემინდე, დამსახე ჯვარი!

***

ხევსურეთმა სთქვა, მიყვარხართ,
მიცვნიხართ, როგორც შვილნია.
ხანდახან შემომიარეთ,
ნუთუ არა ხართ გმირნია?!
მარტო ვარ, დავღონებულვარ,
ხშირად ვზივარ და ვტირია,
გლოვის ზარებმა ჩამოჰკრეს,
შატილს მოედო ჭირია.
კოშკები ჩამონგრეულა,
იქნებ, მოგვფინოთ ლხინია!
თვალი აღარ სჭრის, რაღა ვქნა,
აღარც მუხლი და კბილია.
ვეღარც როშკაში გავსულვარ,
დევებმა ჰყარეს წილია.
ლოდები მიმოფანტული,
ნახეთქი გადაწრილია!
გონთ არ ამოდის ნანახი,
მოსაგონებლად ტკბილია.
ნეტავ, რას შვრება, არ ვიცი,
ჩემი ძმა,ბლოველ კვირია,
ყველა მის გახსენებაზედ,
ციმციმებს, სახე პირია!
აბუდელაურს ზემოდან,
ჭაუხნი გადმოჰყვირიან,
სადა ხართ, ხევსურთ შვილებო!
დარდისგან სვავნი ჰკივიან,
არწივი ბუდეს არ ჯდება,
მუდამ ბარტყები წივიან.
სადა ხართ, ხევსურთ შვილებო!
სადარის აბჯარ-ხმალია?!
იორღა ისევ ჭიხვინებს,
ვინღა იქნიოს მკლავია!
იქნებ შიათ და არ ვიცით,
იქნებ ყველასა სძინია,
იქნებ საომრად წავიდნენ,
პირველ-მეორე გმირნია?!
ხევსურეთმა სთქვა, მიყვარხართ,
მიცვნიხართ, როგორც შვილნია!
ხანდახან ბილიკს შამოჰყეთ,
გულზედ მომფინეთ ლხინია!

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს !!!

ღვთისმშობელს უყვარს ეს საქართველო!
ღვთისმშობელს უყვარს მიწა, შვილისა,
როცა მას უჭირს, ნახეთ ფრესკაზე
სისხლად და ცრემლად როგორ ტირისა!
ღვთისმშობელს უყვარს ქართველი ერი,
ჩვენი დედაა და ჩვენი მხსნელი!
ღვთისმშობლისაა ეს საქართველო,
საფლავი არის შვილის კვართისა,
ეს ადგილია ღმერთის სახლისა,
საძირკველია მისი ტაძრისა!
ეს საქართველო კიდობანია,
კიდობანია დიდი განძისა!

მთისა და ბარის მეგობრობას...

ირემო, მთაში გაზრდილო,
ბარს ჩამოსულო სტუმრადა,
არ ვიცი, რაი მოგართვა,
რაი გაჭამო პურადა?
ერთი ნაჭერიც რომ მქონდეს,
ორთავ გავიყოთ ძმურადა,
მშიერად ვიყოთ, სჯობია
მაძღრად დარჩენას მტრულადა!
მცირესაც ერთს სხვას ვუყოფდეთ,
ბევრსა სჯობს ნაქონს, შურადა,
ერთად რომ ვიყოთ, სჯობია
ცალ ცალკე ყოფნას მგლურადა!
იმედი ჩემი გქონოდეს და
გეგულებოდე გულადა,
ჭრილობა თუ მოგაყენეს,
ზედ გესმებოდე მურადა!
არ ვიცი, რისთვის დაგჭირდე,
გამომიყენე ბრძნულადა,
შენ შემაფასე, მარჩიე
მეკი ვიქნები ჩუმადა!
ირემო, მთაში გაზრდილო,
ბარს ჩამოსულო სტუმრადა,
არ ვიცი, რაით დაგატკბო,
რაი გასმინო ყურადა?
იქნებ გერჩივნოს ფანდური,
შაირ- სიტყვებთან ბმულადა,
იქნებ ყველაფერს მიწუნებ,
აღზრდილ ხარ ძლიერ სულადა!.
რაისთვის სწუხხარ, რა გინდა,
შენს სიტყვებს არვინ ისმენსა,
მასპინძლის კეთილ თვალებით,
სტუმარი უფრო ილხენსა!
სასახლეს თუარ ამიგებ,
თუ არ ამიგებ ხიდებსა,
მაინც ჩემი ძმა იქნები,
მკერდში ხომ გული გიძგერსა!

***

ამ მიწაზე არაფერი,
სულ არაფრად ღირდა,
მივდიოდი ქუჩაში და
რა ლამაზად წვიმდა!
მოწყენილი ტირიფნარი,
თავს სულ დაბლა ხრიდა.
მოქარგული ფარშევანგი
ქუჩას ნაზად ჰგვიდა.
ვიღაც მთვრალი, მონდომებით,
სიყვარულსა ხსნიდა!
ხელოვნება, პეიზაჟი
ჭრელ-ჭრელ ქოლგებს შლიდა.
ღრუბლები კი, მაღლა ციდან,
წვიმის წვეთებს სცრიდა!
ჰორიზონტზე, ცისარტყელა
ლამაზ ფერებს ღვრიდა.
იქ მოხუცი, მტრედებისთვის,
საკენკს შორსა ჰყრიდა!
ბედნიერი წყვილები კი
თვალით თვალსა სჭრიდა,
ეს სურათი, დამერწმუნეთ,
დასველებად ღირდა!
მივდიოდი ქუჩაში და
რა ლამაზად წვიმდა.
მოწყენილი ტირიფნარი
თავს სულ დაბლა ხრიდა!

ნათელა გოხელაშვილი ფილოლოგი

დაბადების ადგილი გორი ს. ძევერა

საფრანგეთი--------FRANCE.

ვიმოგზაურე, მოვიარე პარიზი, ნანსი,
ედიტ პიაფის მელოდიას უსმენდა ბავშვიც,
საფრანგეთის ცას ფერი დაჰკრავს რობერ დესნოსის,
აქაც იციან არსებობა დისკო ფესტოსის.

მშვენიერების დამნახველი უცებ მიხვდები,
გუდიაშვილს და ახვლედიანს, რომ ვერ მისწვდები.
მაგრამ უეცრად დამეუფლა სამშობლოს სევდა,
სადაც წავედი მონატრება სუყველგან მსდევდა.

მივხვდი ვერასდროს ვემგვანები მადამს ევროპელს,
ისე არა მაქვს მათი ვალი, როგორც ეზოპეს!
ელისეს მინდვრის სიახლოვეს თვლემდა ბალზაკი,
მე დავიჯერე მშვენიერი ესე არაკი.

თვალი მოვკარი ჩემს სამშობლოს ღრუბლებში მაღლა,
ტატოს და ვაჟას მონატრებამ მომიხსნა დაღლა.
ვერლენი, დიდრო, ანრი მიშო არის გენია,
ასათიანის პოეზია უფალს შთენია.

ვეთაყვანები ბაირონსაც, ბოდლერს და რემბოს,
მაგრამ რუსთაველს ვერ შემიცვლის სამშობლოვ ჩემო!
ვიმოგზაურე, მოვიარე პარიზი, ნანსი,
ედიტ პიაფის მელოდიას უსმენდა ბავშვიც.

წილები მიყარეს

მე არც პლუტარქე ვარ, არც ჰორაციუსი,
თუმცა გონება მაქვს ვიტყვი სათანადო,
არვინ შეწუხდება ჩემით კარგად ვიცი
სიტყვას ჩავამარცვლი ლექსში სათავადოს.
ღმერთად მოვლენილი ქრისტე გავიმეტე,
ჯვარზე გავაკარი ჩემი ცოდვებისთვის,
ამად დავისაჯე, სრულად გავნადგურდი,
ბევრჯერ მოვისმინე მტარვალთა ბოდვები.
დამცრობილ მიწაზე წილები მიყარეს,
ზოგი აღმა დარჩა და ზოგი გადაღმა,
ქართველთა საცხოვრისი მავთულით შემორანგეს,
ბულბული აღარ გალობს, ყვავილიც გადახმა.
დიახ არც დანტე ვარ, არც ვირგილიუსი,
მაგრამ გონება მაქვს ვიტყვი სათანადო,
არვინ შეწუხდება ჩემით კარგად ვიცი,
სიტყვას, სიტყვას ვიტყვი ლექსით სათავადოს!

* * *

შეგხვდი უეცრად ბულვარზე
ვარდად ამენთო ლოყა,
ვცადე სხვა მხარეს გახედვა
და მოსახდენიც მოხდა.
შენ არ მაცადე გამევლო,
გამიღიმე და მოდი,
სრულად გაცოცხლდა წარსული
სიყვარულად რომ თოვდი.
გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა,
მერე დავმშვიდდი ცოტა,
-როგორა ხარო? მკითხე და
თან მაიძულე მოცდა.
-კარგად, გითხარ და იქავე
მძიმედ დაეშვა ფარდა,
იმ სიყვარულის სიმღერა
მოგონებებში დარჩა.

დავითი გვეტყვის..

მწუხრი ჰფენია საქართველოს ნაომარ მინდორს,
წარსულ დიდებას ვერ ივიწყებს, გასცქერის დიდგორს,
საიდან გაჩნდა ჩვენს მახლობლად ბერწი სატანა,
რარიგ ძნელია, შეგუება..ამის ატანა.
მოვა ჟამი და ქართველი კვლავ დაიბადება
ბაგრატ მეფედ და ყრმა..დემეტრე თავდადებულად,
ცოტნე გაარღვევს საუკუნეს ერის სახსნელად,
გახოცხლდებიან საქართველოს გადასარჩენად.
დავითი იტყვის;-რად მოუშვით მტერი აქამდე?
საზღვარს აღვადგენთ...ნიკოფსიდან-დარუბანდამდე!

კავკასიონზე ბნელა

მთამ ამოზიდა მხრები,
კავკასიონზე ბნელა,
შეძრწუნებულა შველი,
ცრემლი სდის ნელა-ნელა.
რისხვით მოღელავს მტკვარი,
თერგი არაგვთან შფოთავს,
ჩურჩულებს იადონი დევს
როგორ მოსჭრის ორ თავს.
მეჰმედ ხანი და ლენგი,
იმპერატორიც რუსის,
აბასიც, ნადირ შახიც
ამ მთების არის დენთი.
სად არს გიორგის ხმალი,
გადაკარგულა შორეთს,
ტყეში ჩიტებიც სდუმან
მტკვარი მოღელავს მდორეთ.
აღარც ცოტნე და ქუჯი,
არც ელვარება ხმლების,
მხოლოდ ობოლი გედი
მაძიებელი ბედის....

ფიქრებს მივეცი თავი

ფიქრებს მივეცი თავი,
შემძრა ტერენტის ბედმა,
გაიფართხალა უცებ
ფრთამოკვეცილმა გედმა,

ჭენებასა წყვეტს უმალ
გალაკტიონის რაში,
არწივს სისხლისგან დაცლის
ვაჟა-ფშაველა მთაში,

ბარათაშვილის მერანს
არა ბეზრდება ფრენა,
მდინარის პირას ისმის
შოთას რაინდის კვნესა,

ღმერთო ამდენი ცრემლი,
მიწას არბილებს როცა,
ფიქრებს მივეცი თავი,
დროსაც სჭირდება მოცდა,

ტირილი არა, ბრძოლა მინდება!

ისტორია და პრეისტორია, მთებს აზანზარებს ქართულს,
ვხედავ დავითის სამოსახლოში საზღვრად სკვითების მავთულს,
ძარღვი მასკდება გულის სარქველზე, თვალზე მოცურავს ცრემლი,
იმ მხარეს დარჩა ჩემი კერია, ჩემი ურო და გრდემლი.
ტირილი არა, ბრძოლა მინდება, დავით გაგვიძეხ რწმენით,
ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს ენა, კვლავ დავაბრუნოთ ზენით!

ჩემი ევროპა

მეკითხებიან, რა არისო შენთვის ევროპა,
რა გხიბლავს ასე, რა მოგწონს და რითი აფასებ/?
-განა ევროპამ არ უკურთხა აკვანი შექსპირს,
ბაირონს, ბოდლერს და ვინ მოთვლის კიდევ ათასებს/?
ჩემთვის ევროპა არის.. ღიჩაღ, შანტალ, კაღმენი,
საღა, ლიდია, ჟაკი,ანა, მადამ მაღსელი,
სიკეთით სავსე, მადლიანი ქალბატონები,
გული რომ დააქვთ ვებერთელა, სითბო რამდენი.
ნიკოლა, საღილ,სტეფანე და მადამ ქღისტინე,
გენია გინდათ?-მოდელიანს ფუნჯი უკურთხეს,
დიუმა, ზოლა, სტენდალი და აპოლინერი,
ედიტ პიაფი, რომ გაგხდიდა მისით უკურნელს.
ევროპამ მოგვცა„მანე, მონე, პაბლო პიკასო,
ჰიუგოს მადლით ესმერალდამ გვატირა ბევრი,
რევოლუციით ისხვაფერა, ევნო, ეწამა,
არ დაჰკლებია არცა ტანჯვა და არცა ცრემლი.
ჩემი ევროპა პეღ ჟილბეღტის გულია დიდი,
ჩვენს ქვეყნებს შორის, მსურს აშენდეს ერთობის ხიდი.

ქართველი ვარ..

ქართველი ვარ და ქართველობას ითხოვენ ჩემგან,
უფალმა ჩემმა მომავლინა ამ მიწის მცველად,
მე ნაგრამი ვარ ქართლოსის და ფარნავაზისა,
ხმლის, ხანჯლის მკვეთი და ნაჟური..ცრემლი ვაზისა.
კირით ხურო ვარ, მშენებელი სვეტიცხოვლისა,
მოდგმა ვარ შოთას, დალოცვილი ძელიცხოვლისა,
თამარის დროშით მოვიტანე ივერი ძველი,
ვარ ჯვრის მტვირთველი, დაფარული გრაალის მცველი!

* * *

შემოდგომის მიწურული.
ღამემ მშვიდად გაათენა დილა,
მზემ შეცვალა ჩამავალი მთვარე,
სისხლში ლაღად გაიარა სითბომ,
და ეახლა დაღლილ გულის კარებს.
ვარდის კოკორს ჩამოუჭკნა კვირტი,
გვირილებიც აქა-იქა ბზინავს,
შემოდგომა იწურება უკვე,
სუსხი შეცვლის მოფუსფუსე ნიავს.
ნოემბერმა დაასრულა შრომა,
თრთვილი სუსხავს შეყვითლებულ ფოთლებს,
ხიდან მათი ჩამოყრილი გროვა
ველზე დაყრილს ჰგავს მოთენთილ ლოთებს!

ნინოს ჯვარივით სრულო!

ქართლის მინდვრები ყაყაჩოებში
ცრემლიანობენ, სწუხან,
მავთულხლართებში ხტიან სკვითები,
არაყს წრუპავენ მუხრანს,
ქართველი გლეხი ცხვარს ვერ აძოვებს,
ძუძუ გაუშრა ძროხას,
მტერი ბობოქრობს, ღვინოს მიირთმევს,
შენს ნატერფალზე ხოხავს.

ღვთივკურთხეულო მიწავ დავითის,
ნინოს ჯვარივით სრულო,
გაჩენის დღიდან სისხლადდაღვრილო,
და ვერ დამცხრალო გულო.
გკლავენ, ვერ მოგკლეს, გხვრეპენ, ვერ შეგსვეს,
უფლის ჯვარცმასთან შესდექ,
არწივო, მთებზე ისარნაკრავო,
ამაყად უმზერ ქედებს!

ლოდინში ბინდდება!

ღრუბლები, ღრუბლები, პირქუში, უაზრო,
ჩემს ცაზე მინდა, რომ თავადვე მოვახრჩო,
ცამ პირი ვერ გახსნა, ვერ ნახა სინათლე,
ვარსკვლავი არა ჩანს, სივრცეს ვერ მინათებს.

რა არის მიზეზი უფალო მაუწყე,
მინდორს ხალიჩებად გვირილებს დავუფენ//?
ცამ პირი ვერ გახსნა, ტირილი მინდება,
ბრძოლაში, ლოდინში, ბინდდება, ბინდდება!

ბეღურა

გავცქერი სივრცეს იმედით სავსე,
ცად ამიტაცოს ბუნებამ ლამის,
ხეზე მიცოცავს სიმწვანით ხავსი
ვარსკვლავად ცვივა წუთი და წამი,
მინდვრად ბეღურა ხატულა პეპლებს
და სილამაზეს უცხადებს ბრძოლას,
მუთუ სიკვდილის მეცა ვარ მსხვერპლი
გავიფიქრე და შემიპყრო ძრწოლამ!

თუ სიყვარული

თუ სიყვარული გეწვია ერთხელ,
სიგიჟეების გიბოძა წამი,
უარი არ სთქვა, არ შეგეშინდეს,
გადაუხადე კუპიდონს ვალი.
სიყვარულისთვის ტანჯვაც ტკბილია,
მოლოდინიც და თავდავიწყებაც,
ძნელია ყოფნა ამ ცეცხლის ალში,
შეუძლებელიც გადავიწყება.
ერთხელ მოსული არსად არ მიდის,
შენთან დარჩება აწ და მარადის,
ტანს გიწვავს, გსუსხავს მისი ცეცხლი და,
ტვინიდან გულში სწრაფად გადადის.
თუ სიყვარული ერთხელ გეწვია,
სიგიჟეების გიბოძა წამი,
უარი არ სთქვა, არ შეგეშინდეს,
გადაუხადე კუპიდონს ვალი.

გაგუ სოფრომაძე ინჟინერი
დაბადების ადგილი წყალტუბო ზარათი

ფიქრის ქარავანი

იდგა შემოდგომა ფანჯრის დარაბებთან,
ნაცნობი სურნელით, ჩვეული ფერებით,
ციდან დაშვებული ცივი წვიმის ფარდა,
მიწას ეხებოდა ლამაზი ბგერებით.

მთებსაც დაუხურავთ თავზე ნისლის რიდე,
გარეთ ქარებს შორის მუდამ კამათია...
ისე გამისტუმრე, ფიქრი ამარიდე,
ღამემ შენი თავი თეთრად დამათია.

ყვითლად დაათოვა ირგვლივ არემარეს,
წლების ლაბირინთში ვითვლი საფეხურებს,
ბევრი შევიცანი ახლოს და სხვა მხარეს,
მისი შეცდომების შლიდა ნაფეხურებს.

ცოდვის ლუკმასავით ყელში მეჩხირება,
უთქმელი სიტყვები პირში დაგუბული,
გამხმარი ტოტები სიცოცხლეს ებჯინება,
როგორც ყვავილები, სეტყვით დაღუპული.

სულზე გაიარა ნდობის ნიაღვარმა,
აღარც ნამსხვრევია, აღარც ნაფერფლარი,
გადაწყვეტილებამ დრომ და ჩქარმა,
გულზე დამამჩნია შენი ნატერფალი.

სანამ დროა!

აირია...დედამიწა აირია!
ჰაერშიც კი მომწამვლელი აირია,
ტყუილ-მართალი ერთმანეთში გაირია,
ყველაფერი დაცინვა და შაირია.

ბუჩქის უკან დამალულა ძალოვანი,
ხელგაწვდილი ლუკმას ითხოვს ხელოვანი,
სუსტებს ჩაგრავს კუნთმაგარი ძალოსანი
და თავს იქებს არასმცოდნე ხელოსანი.

სავარძელში განაბულა ქვეყნის მტერი
და ტაშს უკრავს მოღალატეს სულით შტერი,
შეიცვალა აირია თითქოს ერი,
პოლიტიკამ ამოსვარა მღვდელი-ბერი.

აღარავინ აღარ ფიქრობს მშიერ ხალხზე,
გაგიჟდნენ და სულს ყიდიან ფულის ჩარხზე,
მდიდრდებიან დამშეულთა ცოდვის ხარჯზე
და წაქცეულს წიხლს აჭერენ სნეულ მხარზე.

ძველი ცოდვა,კვლავ ახალმა გადაფარა,
სამართალი არ ადარდებს არვის არად,
რელიგიას იყენებენ დამცავ ფარად,
მიბაკუნებს უფსკრულისკენ ცხვრების ფარა.

სანამ კარგზე - ბოროტება გაიხარებს,
სანამ ჩოხა გმირულ სისხლში გაიხამებს,
სანამ დროა, შემოჰკარით წმინდა ზარებს,
თორემ ღმერთი ჩვენთვის ლოცვას დაიზარებს.

აირია, დედამიწა აირია,
ჰაერშიც კი მომწამვლელი აირია...

შენთან ვიყო მინდა

წამო სადმე, ჩავიკარგოთ მთებში,
გავერიდოთ უჟანგბადო ქალაქს,
ვნახოთ ქარი, რასაც მღერის ტყეში,
მსგავს სიმშვიდის ვერსად ჰპოვებ ალაგს.

იქ ფოთლები არ ითხოვენ ქირას,
არც კალთები დაფარული ნისლით,
მინდა მქონდეს ქოხი ღელის პირას,
პაწაწინა, დახურული ისლით.

იქ ვერავინ დაგვინახავს მწუხარს,
სალოცავი მეყოლები წმინდა,
როგორა გავს მოგიზგიზე ბუხარს,
შენი ხელით მოქსოვილი წინდა.

ცეცხლის შუქზე მოგიყვები არაკს,
როცა დაისს შეასრულებს კვლავ მზე,
სილამაზეს შესადარი არ აქვს,
კოცნით დაღლილს ჩაძინებულს მკლავზე.

სისხამ დილით გაგაღვიძებ მძინარს,
რომ აისმა ჩემამდე არ გნახოს,
სხვა რა მინდა,შენ გხედავდე მცინარს,
შენთან ვიყო, შენში სულზე ახლოს.

შევაგროვებთ ერთად ბუჩქის პირას,
ნანადირევს მოპოვებულს ისრით,
მინდა მქონდეს ქოხი ღელის პირას,
პაწაწინა, დახურული ისლით.

წამო სადმე, ჩავიკარგოთ მთებში,
გავერიდოთ უჟანგბადო ქალაქს..

არაფრის მთქმელი

ნაწვიმარ ქუჩას შემოათენდა,
ალიონს მოჰყვა ფიქრები სერი,
თითქოს მოსულა სიცოცხლის ბოლო,
იდგა დუმილი თანხმობის ფერი.

ალუბლის რტოზე აყვავდა ნუში,
ჩუმად დაგეძებ, არ სჩანხარ არსად,
არვიცი რატომ გაცივდი გუშინ,
ნიავს წაღებულ ფოთოლის მსგავდად.

ქარავანს ჰგავდა დღეები თითქოს,
სევდიან ნოტებს ღიღინებს ქარი,
ერთი პასუხის ლოდინით მიჯობს,
ლამაზ ფიქრებით ვიარო მთვრალი...

ის რომ ვიცოდე, შენ ჩაგაფიქრებ,
მისთვის დამეთმო სიცოცხლე მთელი,
ნაწვიმარ ქუჩებს კვლავ აატირებ,
კვლავ დგას დუმილი არაფრის მთქმელი...

გამონათება

გადახსნილ ვენიდან მოჩქეფდა მაისი
და სალექსეთიდან მიხმობდნენ მუზები.
რითმების ყულაბას დაუდგა აისი,
აქამდე ჰორიზონტს უქმად რომ ვუმზერდი.

მოწყენილ ტოტებზე აყვავდნენ კვირტები,
შავ-თეთრი ღრუბლები გავფანტე შიგნიდან,
ჩემო ლექსებო, თქვენ უკვე ირთვებით,
ჭრელ ფერებს დავეძეთ ჯადოსნურ წიგნიდან.

ცხოვრების ბაქანზე ჩამოდგა იმედი
და წარსულს ვაყოლებ ჟანგისფერ ვაგონებს,
დღეებით უშენოდ მე უკვე მივედი,
მაგრამ ცხოვრება უწყლო ტბას მაგონებს.

პასუხს ვთხოვ სურათზე ჭაღარა გვირილას,
შრიალი შეწყვიტე, ცოტა დრო დამითმე,
მინდა რომ გავძახო რიონს და ყვირილას,
მზისფერი მზერით, რომ სიცოცხლე გამითბეს.

მომავლის კართან

მე რომ შემეძლოს დროის უკან შემობრუნება,
გარდასულ დღეთა გაცოცხლება,ჭიდილი ქართან,
სახეშეცვლილი,სისხლშეცვლილი დედაბუნება,
წარსულის ფარდას ჩამოხევდა მომავლის კართან.

მე რომ ვიცოდე, შენ შეგხვდები იმ ქუჩის ბოლოს,
მიმართულებას შეიცვლიდა ალბათ გონება,
და სარეველაც მოისხამდა ნაცრისფერ ჟოლოს,
ართქმულ სიტყვების გავრცელება რომ ემონება.

მე რომ შემეძლოს პატიება და დავიწყება,
ნატყვიარ გულსაც დატოვებდა ალბათ იარა,
უკლებლივ ყველას წაიღებდა თავდავიწყება,
გაღიმებულმა ვინც კი ზურგზე გადამიარა.

მერე უკვე გვიანია

ზოგჯერ, თურმე სინანული შეგვახსენებს თავს,
ვისაც კარგი გაუკეთე,აქეთ გესვრის ქვას,
გამოგონილ სიმართლეში დაარწმუნებს სხვას,
მაგრამ სხვა ხომ„ბნელი”„არის სხვამ რაც უნდა თქვას.

ნურასოდეს დაივიწყებ მუდამ გვერდით მდგარს,
ტკივილსა და განსაცდელში,ვინც გეხვია გარს,
უმიზეზოდ ნუ დამარხავ მის ცოცხალს და მკვდარს
და სხვის გამო ნუ გადადგამ ნაბიჯს ძალზედ მცდარს.

რაც არ უნდა გაგიჭირდეს მოერიდე ბრაზს,
წლების ნაცად ისტორიას ნუ გაუჩენ ბრაზს,
ნდობასა და სიყვარულში ნუ დაარღვევ ზღვარს,
თორემ მალე თვითონ ნახავ, თვალზე ცრემლის ზღვას.

მერე უკვე გვიანია... მოეჭიდო ხავსს,
როცა შენზე კარგის მთქმელი ირგვლივ არვინ გყავს,
ნათქვამ სიტყვებს გაიხსენებ, წამებში რომ კლავს,
ალბათ მერე არ ჩაიდენ სისულელეს მსგავსს.

დაგაგვიანდა

ნუ მესიზმრები! ნუ მაცოდებ თვალებს ავდრიანს,
ზაფხულმა უკვე გაიარა, დადგა ზამთარი.
დილის აისი ენაცვლება ღამეს ჩადრიანს,
ფიქრებში დაძრწის მოგონება,როგორც აფთარი.

ნუ მეფიქრები! ეს ქარბუქი შენს თავს მაგონებს,
კაშკაშა მზეში უმიზეზოდ მოსულს ზეციდან,
დაგაგვიანდა, სიყვარული გაჰგვა ვაგონებს,
ძნელია სულ სხვას მოელოდე დაჭრილ მხეციდან.

ნუ შეშინდები! მოაშუშებს წლები იარას,
ეკლებს ვიშორებ, ჩემს გულზე რომ ვერ დაატიე,
მზერას ვისხლიტავ დამიზნებულს, როგორც იარაღს,
მე შენ სითბოში ქარიშხალი ვერ გაპატიე.

სიზმარი

ვეღარ ვიხსენებ, იმ ადგილზე აღმოვჩნდი როგორ,
კაშკაშა სხივმა ამირია აზრი და კვალი,
ვიდექი ჩემთვის თვალუწვდენელ ბილიკის ბოლოს,
ნისლში გახვეულ არემარეს შევავლე თვალი.

ძალზედ უცნაურ წინათგრძნობამ შემიპყრო უცებ,
ვეღარ გამეგო, ნეტა ვისთან მივდივარ სტუმრად,
მივდივარ განცდა მოწოლილი მაგრამ მას ვუძლებ,
დიდი კარიბჭეც მორიდებით შევაღე უბრად.

გაკვირვებული ვუყურებდი ჩემს წინ გამვლელებს,
ყველა იღიმის, ირგვლივ ყველა ბედნიერია,
თითქოს გამქრალა სამუდამოდ ბოღმა და შური
და გარწმუნებენ, რომ ცხოვრება მშვენიერია.

იდგა ედემი, ლაჟვარდოვან უღრუბლო ამ ცის,
წარმოუდგენლად მშვენიერი, მშვიდი ქალაქი,
არვინ იცოდა, არსებობა ოქროს და ვალის,
ერთად ცხოვრობდნენ თანასწორად მეფე, დალაქი..

ვის არ ნახავდით დიდგვაროვნებს,მხატვრებს,პოეტებს,
მიმოჰფენოდა ისტორია ლამაზ მინდორ-ველს,
უკლებლივ ყველას, ვინც ცხოვრება აქეთ მოაწყვეს,
თორმეტ მოციქულს, ცხრა ძმასა და სამას არაგველს.

იადონების მოისმოდა გალობა ტკბილი
და სიყვარული იფრქვეოდა ყველას გულიდან,
ვერსად ნახავდით გაჭირვებას, ნაღველს და ტკივილს,
თითქოს სცდილობდა ამოვარდნას გული ბუდიდან.

უღირსი განცდით, მორიდებით დავდექი იქვე,
ვერ გამებედა მიკარება ვმალავდი სახეს,
ანგელოზებმაც მოწიწებით მათთან მიმიხმეს,
განდეგილივით შორიახლოს, რომ დამინახეს.

შენთვის ადრეა, ეს სამყარო, ძალიან ადრე,
ასე უდროვოდ აქ შემოსვლა რატომ გარისკე???
უკან დაბრუნდი გელოდება, იქ შენი მხარე,
კეთილი მზერით მიმითითეს იქვე კარისკენ.

მოულოდნელად გამეღვიძა ოთახში მარტოს,
გაორებული აზროვნებით ტკივილი ღირდა?
გულმა დარდები ისევ სიზმრებს უნდა გაანდოს.
რეალობისთვის გაღებული ფანჯრების მიღმა.

ჩემს წინ ვხედავდი თავდაყირა ფიქრების გროვას,
ღმერთმა ბოლომდე დამანახა ცოდვები ბნელი,
ყველას უთვლიდნენ მისხალ მისხალ ჩადენილ ცოდვას,
იყო მორიგი გარიჟრაჟი არაფრის მთქმელი.

აქ ყველაფერი მაგონებდა ამბავს წაკითხულს,
თურმე ყოფილა მიტევება სუყველას ვალი,
თუკი შემთხვევით აცდენილხარ იმ გზას რეალურს,
ქრისტეს მცნებების დავიწყების ყოფილა ბრალი.

მამაცის ნიღაბს ეფარება ათასი მხდალი,
ორგულობისგან დარღვეულა ბევრი პირობა,
აქ სიცოცხლეში მოიხადე პირნათლად ვალი,
სიკვდილის მერე ვის რად უნდა თქვენი გმირობა.

ძირს დაცემულზე გაადვილდა წიხლის დაჭერა,
თუკი ეშმაკი ჩაგისახლდა კეთილ ზრახვაში,
დროს ატარებენ ღრეობაში, მშივრის არ სჯერათ,
ზოგსაც დიეტა აერია მძიმე მარხვაში.

პატიოსნება გაუხდიათ თემად დაცინვის,
გადაიღალა თვალი ამდენ სიყალბის ცქერით,
არვის ადარდებს მათხოვარის სახე მშიერის,
ფარისეველი პირჯვარს იწერს ამაყი მზერით.

თურმე ძნელია სიზმარიდან ცხადში გადასვლა,
ბოროტებისგან დამძიმებულ ღვთიურ მიწაზე,
ალბათ ამიტომ ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი,
რადგან სამოთხეს ვეძიებდი დედამიწაზე.



ვერიკო პარწიკანაშვილი მათემათიკოსი
დაბადების ადგილი თელავი

„ფიქრები ბოდბის მონასტრის კედელთან".

იალქანივით აღმართულხარ სიღნაღის თავთან,
მინდა, რომ ხელი მოგაწვდინო, ვერ ვბედავ შიშით,
შენი კედლები შეიფარებს ყველა ჩვენთაგანს,
შენი კალთები დაიფარავს სრულიად ქიზიყს!

ააგუგუნე შენს გუმბათზე ზარი განგაშის,
მტერს საქართველო ვიცით, როცა ლუკმად ეყოფა,
ახლა გვჭირდები უფრო მეტად, ვიდრე აქამდე,
გაგვაგებინე ვინ მტერია და ვინ მეგობარ!

მოგვმადლე თმენა, სიყვარული და გულწრფელობა,
ურწმუნოებამ ქვეყანაში ღრმად რომ შეტოპა,
კვლავ დაგვიბრუნე იმედები, ნდობა მოყვასის,
ილოცე ჩვენთვის, შენი ლოცვა ყველას ეყოფა!

ჩირაღდანივით აღმართულხარ სიღნაღის თავთან,
მინდა რომ ხელი მოგაწვდინო, ვერ ვბედავ შიშით,
შენი გუმბათი გაგვინათებს გულებს დაჟანგულს,
შენი კალთები დაიფარავს სრულიად ქიზიყს!

* * *

კახეთისკენ თუ იჩქარი,
სულ იარე პირდაპირ,
ყველგან მიდი, თუმცა გირჩევ,
არ გამოგრჩეს სიღნაღი!

მთის წვერებზე აზიდული,
ციხე-კოშკად ნაშენი,
დედამიწის სამკაული,
საქართველოს-სამშვენი!

ნახე გრემი,ყვარლის მთები,
იყალთო თუ ნეკრესი,
ვიცი, ყველგან სილამაზე
მოგედება ფეხებში!

წინანდალი, პოეტების
საოცნებო სამოთხე,
დადიხარ და მუზით მთვრალი,
სიყვარულზე აბოდებ!

მაგრამ ძველი გალავნიდან,
მზის ნახვა თუ არ გინდა,
დამიჯერე, კახეთისკენ
წასვლა იქნებ, არც ღირდა!

თუ არ ნახე ნისლი- მთაზე,
როგორ ბოლავს-თავხედი,
ჩათვალე, რომ არ გინახავს,
შენ, ნამდვილი კახეთი!

მაგრამ თუ-კი ამ ტერასებს
არ ეწვევი სადილად,
მაშინ გეტყვი,რომ სიღნაღიც
არ გინახავს ნამდვილად!

„ნინოს წყაროს" თუ არ დალევ,
ისე, როგორ იქნება,
დამიჯერეთ, საქართველო
სიღნაღიდან იწყება!

„ბოდბის" გზაზე, არა-ერთი,
რომ ჩანს გადმოსახედი,
შენი თვალით თუ არ ნახე,
არ გინახავს კახეთი!

ხოდა, მართლაც თუ იჩქარით,
კახეთისკენ პირდაპირ,
დამიჯერეთ, ბევრს ინანებთ
თუ არ ნახეთ სიღნაღი!

„ექსპრომტი"

ღამის სიჩუმეს ვფანტავ,
ისე მომწყურდა ლექსი,
ლექსებს ვაგროვებ, მთვარეს
ამურის ისრებს ვესვრი!

მე შენ დაგეძებ ისევ,
ვარსკვლავებს
დავკრეფ პეშვით,
მე, სიყვარული შენი,
ან უშენობა შემშლის!

მე, გულგრილობა მტკივა,
მე, ორპირობას ვებრძვი,
დღემდე, იმ წლებით ვცოცხლობ,
შენ რომ შეცვალე ჩემში!

* * *

მე ვეფერები ყველა ქუჩას და ყველა ბილიკს,
მეამაყება ბაგრატი და ძველი სიონი,
ვდგავარ „ფენიქსად", აღდგენილი, ფერფლიდან ახლა,
მე მაძლიერებს ალავერდი და ბახტრიონი!

არწივის თვალით გადავყურებ ალაზნის ჭალებს,
კავკასიონზე-მყინვარწვერი სანთლად ანთია,
უფლისციხეში გაშლილია, სუფრა-ღმერთების,
კლდეში ნაკვეთი კოშკებიდან, მოსჩანს ვარძია!

ყველა ტაძარი სულს სწამლობსო, ამბობენ როგორც,
ყველა ტაძარი, არის ჩვენი რწმენის-საცდელი
და თუ აქამდე ვიყავ მხოლოდმლოცველი ერთი,
ახლა ვიქნები, კიდევ ერთი „სულის ტაძრელიც"!

შენ, მიწავ-ჩემო, საფიცარო,მიწავ ქართულო,
გადამტვრეულო ხერხემალში, მძიმე ხუნდებით,
მივდივარ, მაგრამ მე ფერფლიდან, კვლავ „ფენიქსივით",
შენთვის ყოველთვის, აღვდგები და დაგიბრუნდები!

უბრალოდ, ლოცვა არ მომაკლო, ლოცვა-გულ-წრფელი,
გიფიცებ, შენი ვარ მესანთლე, აკვნის გამთლელი,
მე ჩემი მიწის, სულ პატარა, ერთი კენჭი ვარ,
მეამაყება, რომ ვარ დედა, რომ ვარ ქართველი!

მე-დღემდე, ყველა ამოსუნთქვა, უფლის-მიერო,
შენ მოგიძღვენი, ვიყავ-დედა, შვილის-გამზრდელი,
მაგრამ რა ვქნა-თუ, ახლა ჩემში, ბობოქრობს მუზაც
და უკვე მქვია მე დღეიდან „სულის ტაძრელიც"!

* * *

ადრიან გაზაფხულს, აპრილის წვიმაში,
ნაფერებ სიყვარულს გროშებად ყიდიან,
მერე? მერე ისე, ვითომც არაფერი,
ხელს ჩაიქნევენ და უბრალოდ მიდიან!

დედა-შვილობა!

დედა-შვილობა! უხილავი ძაფით ნაკერი,
დედა-შვილობა! სიყვარულო დაუსაბამო,
ეს ფენომენი, ღმერთმა რისთვის გამოიმეტა,
სწორედ ამაზე ვფიქრობ ხოლმე ყოველ საღამოს!

დედა-შვილობა, დედის გული, დედის ხელები,
მისი კალთის ქვეშ, ჩვენთვის მუდამ არის ადგილი,
დედა-შვილობის მადლი ეცხო ჩვენს გზებს ყოველთვის,
მაგრამ არასდროს არ ყოფილა ეს გზა ადვილი!

დედა-შვილობა! სიტყვითაც კი მოსაფერები,
დედა-შვილობა! ხან მუქია, ხან კი ქათქათა,
ის კანონია უხილავი, დაუწერელი,
სუროსავით რომ გეხვევა და გაცლის არაქათს!

ცხოვრების გზებზე, ბევრი ცდილობს „სარმა" გამოგვდოს,
რაც მეტს ვიხოხებთ მიწის პირად, ის უხარიათ,
დედა კი, არსად არ გაგვიშვებს ლოცვის გარეშე,
ის, ჩვენით ცოცხლობს, რაც-ჩვენ, მასაც ის უხარია!

დედა! აკვანთან თავდახრით რომ ტირის ხანდახან,
დედა! მორჩილად ერთგული და შვილის გამზრდელი,
დედა-სიმშვიდე! დედა-ფიქრი! დედა-ფერება!
დედა, ოჯახის დედა-ბოძი, უღლის გამწევი!

ღმერთმა სიცოცხლედ მოავლინა დედამიწაზე
და ღმერთის ნებას, უნებლიედ ყველა ნებდება,
დედა-შვილობის მადლი იცავს დედა-სამყაროს
და ამ ფენომენს, ანალოგი არ ეძებნება!

* * *

მიყვარხარ, მინდები, მძულხარ, თან მჭირდები,
არაფერს არ ვითხოვ, ვერაფერს გპირდები,
ასხლეტილ ყინვების, მზის-სიცხის სვეტი ხარ,
შენ--ჩემი, პატარა, პატარა ღმერთი ხარ!

* * *

შენი სიყვარული მომერია,
შენმა სიყვარულმა გამაჯერა,
შენზე თუ იტყვიან ცუდიაო,
მე არ დავიჯერებ და არც მჯერა!

შენი გაღიმება მენატრება,
შენთან უთავბოლო ხეტიალი,
შენი გამოხედვა მესიზმრება
შენი მოფერება ვნებიანი!

მაგ შენი ხელებისგრილი სითბო,
გაზაფხულისა და მზის - ფერია,
შენმა სიყვარულმა გამომათრო,
შავი ღვინოსავით მომერია!

* * *

ქარი არ არის და მაინც მცივა,
მზე ანათებს და არ მყოფნის სითბო,
ნუ მტოვებ მარტოს, თუნდ ერთი წამით,
თორემ მგონია სიკვდილი მიხმობს!

თოვლი არ არის და ვიყინები,
არ წვიმს, თუმც სახე სველი მაქვს ისევ,
როგორ არ მინდა შენგან შორს ყოფნა,
შენ კი არ მისმენ, ისევ არ მისმენ!

„გავიგე, ღამით ფიქრობდი ჩემზე,
ვერას ვუხერხებ ამ ფიქრებს უთქმელს,
მე ჯერ არ ვიცი, ამას რა ჰქვია,
მაგრამ მეც, შენზე ვფიქრობდი წუხელ!”

(ხალხურ მოტივზე)

ფიქრო, სად მიხვალ ოხერო,
ნუ დამტოვ, იყავ ჩემთანა,
კაცმა რაც, თავის თავს ავნო,
ვერ შეძლო მთელმა ქვეყანამ!

კოცნის სურნელო, ნუ წახვალ,
აქ, ჩემთან იტრიალეო,
დღეს თუ აქ არ მყავს „ნიავი “,
იქნებ, დაბრუნდეს ხვალეო!

მეოცნებე ვარ ბუნებით,
მთის-გულს დავიდე ბინაო,
ან შინ, რისთვი-ღა წავიდე,
არ მელის აღარ - ვინაო!

გამხდარა ჩემი საბანი,
ნისლები, მთვარისხელაო,
არცა ისეთი ცუდი ვარ,
როგორაც მოგეჩვენაო!

ვერავინ ვერ მომერია,
შენ ამიმღვრიე დილაო,
გოგოვ, ლერწმისა-ტანისავ,
ისეთი რა გეწყინაო?!

თუმცა-კი, ვის დავაბრალო,
რომ არ გეწადოს ჩემთანა,
კაცმა რაც თავის თავს ავნო,
ვერ შეძლო მთელმა ქვეყანამ!

* * *

ჩემი სიცოცხლე, ისედაც მცირე,
გავლიე, ბოლო არ უჩანს ლოდინს,
ჯოხის კაკუნით მივიკვლევ ქუჩებს,
ჩემი თვალები, გამხდარა ჯოხი!

დიდი ხანია მინდოდა მეთქვა,
რაღაც ისეთი და თბილზე-თბილი,
მაგრამ, თვალებში თუ ვერ ჩაგხედავ,
ვერ დავინახავ მაგ ღვთიურ-ღიმილს!

როგორ შევეხო, ვერ ვხედავ როცა,
ოქროს კულულებს, ესოდენ ურჩებს,
ხელის კანკალით გაგითბობ ხელებს,
ხელის ცეცებით მოვძებნი ტუჩებს!

შეგიგრძნობ სუნით, გიკვლევ შეხებით,
ეს ჩემი გულიც, მუნჯია თითქოს
და მკერდის შიგნით გამომწყვდეული,
აწყდება კედლებს და შველას ითხოვს!

ჩემი სიცოცხლე, ისედაც მცირე,
გავლიე თითქმის, არ ვიცი როდის,
ვერ ვხედავ, როგორ ამოდის მზე და
ვერ ვხედავ, ქარითმებზე რომ გკოცნის!

გულში მყინვარებს ვაზამთრებ ჯერაც,
ჩემი თვალები, გამხდარა ჯოხი!

* * *

წვიმდა, აღარ გადაიღო წვიმამ,
ნაცნობ ბილიკს ოცნებებით ვრთავდი,
შენს თვალებში ცისარტყელა თვლემდა,
შენი მზერით უცნაურად მწვავდი!

ჩუმად, ყურში ვუჩურჩულე წვიმას,
ხელი ვკარი ჩასაფრებულ დარდებს,
შენ დაგიწყეთ ძებნა, მე და წვიმამ,
მეშინოდა, არსად დამეკარგე!

წვიმს და წვიმებსმოჰყოლია გლოვა,
წვიმის წვეთებსგავაყოლებ დარდებს,
სად წავიდა ის გოგონა ანცი,
თვალის სხივებს ვინღა მომანათებს!

შენ გეძებეთ მე დაჩემმა წვიმამ,
ვერ გიპოვეთ, დავიღალეთ ძებნით,
ცის მკლავებში ცისარტყელა თვლემდა
და შენი კი სიყვარული ჩემში!

შენი ძებნით დაიღალა წვიმა,
ჩემს გულშიაც, ვეღარ ნაირ-ფერობ,
შენი მოსვლა, უცხო სიზმარს გავდა,
მზის-ფერო და ჩემი სულის-ფერო!

* * *

მე ახლა ვხვდები,რატომ მიუძღვნა,
ყვარლის მთებს ოდა, დიდმა ილიამ,
ვნახე ისინი და მომეჩვენა,
რომ ქვეყნის ვალი გადახდილია!

მივხვდი, თუ რატომ უჭირდა მგოსანს,
მათი დათმობა, თუნდაც გირაოდ,
გრძნობდა, რომ მთებიც,ვით, საქართველო,
დაღონდებოდნენ უ-ილიაოდ!

გულიკო კაპანაძე რადიოინჟინერი
დაბადების ადგილი საჩხერე

ჩემს სოფელს...

კორბოულის სანახები
სურათია ზღაპრიდან.
გეგებება გორაძირი,
ჯინი ძვრება ლამპრიდან:
მუხა, რცხილა, წაბლი, თელა,
კოპიტი თუ ტირიფი,
ტანწერწეტა, ოკრობოკრო,
ტანმსხვილი თუ ირიბი!
კორბოული გამოჩნდა და
ქარმაც თავი იჩინა,
მარადმწვანე, არც თუ დიდი
გორაცა გვაქვს-"ჩიჩინა"!
ხალხი? ხალხი, ზღაპარია,
იმერული ზრდილობით...
თუკი მათთან სტუმრად მიხვალ,
ვეღარ იტყვი მშვიდობით.

ჩვენი სოფლის ყველა მტკაველს,
მკვიდრის სისხლი ურევია ---
კორბოულიც წარსულ დროში
მონღოლ, კოლას ურბევია...
მერე აღსდგა უბან - უბან
გაბნეული სოფელი,
აქ იციან დაფასება
მოყვრის, კეთილმყოფელის.
ყველა უბანს სახელი აქვს,
შედგენილი, გვარიდან.
ძალა იცავს მაღლა, მთიდან,
სოფელს, გორიჯვარისა!
ვინ დათვალოს მჯობნის, მჯობნი.
მე აქ ვპოვე ედემი!...
ვერ შევაქე საკადრისად
კუთხე, ღმერთის შედევრი!...

იქნებ...

ზღვა ბობოქრობდა, მზე არსად ჩანდა.
ტალღები ერთურთს ახლიდნენ თავ-პირს.
ვიდექ ხმაურში, კუშტი, უდრეკი
და ვუცქეროდი გადაშლილ ნაპირს.
მერე მოვიდა ტალღა ფეხებთან,
თითქოს შეხებით ვიგრძნობდი შვებას!
ან იქნებ, სურდა, ღრიალით ეთქვა:
ვეღარასოდეს შეხვდები შენ, მას!

კორბოულს...

ჩემი ყველა სიზმარი,
დღესაც შენით იწყება.
სიყვარული აგიხსნა?
არასოდეს მწყინდება!
მზემ ალმურში გამხვია,
ირგვლივ სიცხის ხვატია!
შენი ყველა კუნჭული,
ჩემი სულის ხატია!
ყოველ ჯერზე შეხვედრა,
სიხარულით აღმავსებს.
დილით, ცვარი ბალახზე
მოჰგავს მბრწყინავ ალმასებს!
გეტრფი დაუსრულებლად ---
ჩემი ჯიშის მძლავრო ხევ!
სიყვარულის საწყისო,
მუდამ ტრფობის ალში მხვევ!
მიყვარს შენი ცის ფერი,
მიწის გოჯი ყოველი,
შენთან ყოველ შეხვედრას,
მოუთმენლად მოველი!

სასიმღერო...

მომიკითხე, მოდი თორემ,
ჩამენისლა ფიქრები.
ვხედავ ზეცას ჩემ ფერებში,
ცოტაც, აღარ ვიქნები!
ხან დარდია ეს ცხოვრება,
ხან კი, ისევ მზისებრი!
ჩაიხატავ გულში ვისაც,
არვინა გყავს მისებრი!
მისი ერთი სიტყვა გიჯობს,
ათიათას სხვის სიბრძნეს.
აგამჩატებს, მსუბუქს გაგხდის,
ხან კი, ისევ, დინჯს და ბრძენს.
ქარბორბალა ფიქრები მაქვს,
მენატრები ძალიან,
უშენობის დღეები კი
თავაწყვეტით გარბიან!
მომიკითხე, მოდი, თორემ,
ჩამენისლა ფიქრები!
ზეცას ვხედავ ჩემს ფერებში,
შენ ფერს ჰქვია მზისებრი!

გვერდს ნუ ამივლი...

ბედნიერებავ! გვერდს ნუ ამივლი,
ჩემთან შეჩერდი, სულში შემოდი!
ხელი ჩამჭიდე. ნუ მიმატოვებ,
გულს მომაშორე სევდა და ლოდი!...
მერე მე ვიცი, ვიცეკვებ შენთან.
ზღაპარსაც ვიტყვი, აქამდე ართქმულს
და ეს ზღაპარი, ყავის სიწრფელით,
შეემატება ლეგენდას, ქართულს!

ვაშლის ხეზე ასულ ვაზს...

ვაზის, ერთ ტოტს, ვაშლის ხე,
ვხედავ, შეჰყვარებია!
მოჰხვევია, ჩაუკრავს,
თითქმის შეჯვარებია!
ვაზს მტევსნი მოუსხავს,
ვაშლის ხეს კი-ვაშლები,
ერთმანეთის ტოტები
ჰხურავთ, როგორც თავშლები!

ახლა...

დამავიწყდა ის სიცილი,
თავანკარა, წკრიალა.
ახლა სხვა ვარ, წლებით სავსე,
ძველი გული კი არა.
კიდრვ კარგი რომ ვერ ხედავ,
ჩემი გულის იარებს...
ისე ღრმაა, მტკივნეული,
ტანში დაგაჟრიალებს!
სიყვარული? არ გამქრალა!
ვაქსოვ ლექსში რითმებად!
რაც დრო გადის ბადაგდება.
ძვირფასდება, მით მეტად!

მას...

ზეცა წიგნს ჰგავდა ლამაზ ამბებით,
მერე ვიღაცამ წიგნი დახურა.
რაც იმ წიგნიდან მქონდა ნასწავლი,
უცებ გამიხდა, სულ, ხარახურა...
სულმა სხეული თითქოს დატოვა,
ფიქრში არ შემრჩა არცერთი სიტყვა.
მარტო ტკივილის კორიანტელი,
უშნო დღეების მახინჯი სტიგმა...
ახლა ნისლია, კარს ვკეტავ გულის,
არ მსურს, ტკივილი სხვას გადაედოს:
ხარახურაა, სათქმელი როცა
დახურულ წიგნს ჰგავს, უფერო ეგოს.

დღე ენკენისთვისა იმერეთში

ხეთა ტოტებს, ქარი, ერთმანეთზე ახლის...
წვიმის ხმაზე მღერის, სახურავი სახლის.
აბლაბუდას წვიმამ, დააბნია ვერცხლი,
თითქოს ჩუქურთმაა, ძველი ბუდე, მერცხლის.
გადამსკდარა ლეღვი, გულში სიტკბო უდევს.
მიწა დაუფარავს რკოზე წამძვრალ ქუდებს,
უბრდღვიალებს წითლად ასკილის ბუჩქს ფერი,
ვაზის მტევნებს ააქვთ ბურთულები ბევრი.
ვაშლის ხეზე ვაშლებს, დაბრაწვიათ მზერა,
არ აპირებს წვიმა გადაღებას ჯერაც.
სადღაც ღრუბლებს იქით, მზე წასულა ძილში,
მოჩხრიალებს წვიმა, გრძელ, საწვიმარ მილში.

საკუთარ მეს...

მთები ნისლებმა დაფარა,
ცაზე ჯარია ღრუბელის.
არ თქვა, წუხილი ყოფაზე,
სადღაც, ერთიც კი თუ გელის.
საკუთარ თავთან დარჩენილს,
ალბათ, ბევრი გაქვს სათქმელი!...
წრფელ და ალალ კაცს, გჯეროდეს,
არ ჩაუქრება სანთელი!
ზოგჯერ ძნელია ცხოვრება,
გამოცდაა და წამება --
რასაც ჰქმნი, აქვე დატოვებ,
თან გიწევს რისი წაღება?!
სიკვდილთან, ვერრას გააწყობ,
სხვა დარდი დროებითია --
ეცადე, ისე გიყვარდეს,
აქ დარჩე, როგორც მითია!...

მოვედი...

ძველი კარის ჭრიალია,
ეს კი ნიშნავს, მოვედი.
ჩემში რაც კი ძვირფასია,
შენით არის ყოველი.
ცა-ფირუზი უკვე გქვია,
მე დაგარქმევ საუნჯეს.
მონატრება ლექსებს ბადებს,
მაგრამ კიდეც მამუნჯებს.
სულში რაც კი ძვირფასი მაქვს,
შენ მოგაწერ ყველაფერს.
ვერ გნახულობ როცა დიდხანს,
ვეღარა ვგრძნობ ვერაფერს.
ძველი კარის ჭრიალია,
ეს კი ნიშნავს, შენთან ვარ.
ყველა დარდის მკურნალი და
სულში, ჩემთვის მზე ცა ხარ.

ადამიანო...

შენ, როცა გტკივა, სიყვარული თუ შეგიძლია,
სხვა თუ გადარდებს, როცა თვითონ ძალიან გიჭირს,
მხოლოდ შენს თავზე, შვილიშვილზე, შვილზე კი არა,
ფიქრში თუ დარდობ თუ გაწუხებს შენ, სხვათა ჭირი!
ბევრი კი არა, ცოტა, რომ გაქვს, იმ ცოტას თუ ჰყოფ:
ობოლთ, უპოვართ, დავრდომილებს თუ დაეხმარე?!
თუ მიეფერე, ანუგეშე, მიეც საგზალი,
შეუმსუბუქე? ვისაც ჰქონდა დღეები მწარე!
„ადამიანად ყოფნის სევდა" თუ განიცადე
და თუ ილოცე გულში ჩუმად, სხვათა ბედისთვის --
უკვე ამართლებ შენ, შენს სახელს ადამიანო!
საჩუქარი ხარ, იმედი ხარ, თავად ღმერთისთვის!

გულო

გულო, სეხნიავ, პატარავ!
დიდ ელდას როგორ გადურჩი?
მარტო სახელით არ გგავარ,
მეც ძლიერი ვარ, თან ურჩი!
რამდენ სიყვარულს ინახავ,
რამდენი წყენა გიგრძვნია!...
არადა, გრამებს იწონი,
შენი სიგანე-სიგრძიან.
ვერ გიფრთხილდები, ბოლოდროს
შიგ გულისგულში დაგჭერი!
თავს ზემოთ ძალა არ მეყო,
ჩამომენგრია თავს ჭერი!
გულო, სეხნიავ, პატარავ!
ჩემო შუშპარა, მბორგავო!
მრავალ ტკივილის მომრევო
და სიყვარულის გორგალო!

დედას

შენ აღარაფერს მიყვები.
სათქმელს აბარებ ახლა სხვას.
ზოგჯერ მშვიდ წვეთებს, წვიმისას
ზოგჯერ ნიავს და ქარს.
ზოგჯერ მოდიხარ მზის სხივით,
სახეზე მელაცლიცები.
სითბოს მიტოვებ შენებურს
ეს სითბო არის ცის მეტი.
ზოგჯერ ყვავილთა სურნელით
მახსენებ გარდაცვალებას,
რომ კი არ გაჰქრი, სადღაც ხარ,
მასწავლი ფერისცვალობას.
შენ ჩემო ღმერთო, დედიკო.
ჩემთვის, სინდისის საწონო.
დედაშვილობის ეს გრძნობა
მასწავლე, როგორ ავწონო.

ვერ...

ვერ ჩავკეცე ხსოვნის წიგნი
იმ ფურცელზე, სადაც შენ ხარ.
უამრავი დღე გვაშორებს,
მე კი ისევ, ცხადად გხედავ.
დარდით არა, აღარ გდარდობ,
ოღონდ, უშენობა მნისლავს.
ისევ ვხატავ ლექსის ბოლოს --
გულს გარჯობილ, ფრთიან ისარს.

ნიტას...

ისე იცინი, ისე ხმამაღლა,
ისე გულწრფელად და გადამდებად,
ამიყოლიე, გალაღდა გული,
არ მახსოვს, რამე თუ მადარდებდა!
იცინი ისე, ცაც კი ღიმილობს.
შენი სიცილია ბრდღვიალა მზე!
სამყარო, მას შემდეგ ფერადია,
შენ რომ დაექარგე, პატარავ, ზედ.

უფალო...

ხან ნაწილი ვარ, შენი, უფალო! ხან იუდა ვარ!
ხან მონანიე, უფრო ხშირად, ვაგროვებ ცოდვებს...
კი არ მახარებს, მეშინია, რაც უფრო გიცნობ.
როგორ შევნატრო ურწმუნოს და არაფრის მცოდნეს.

სამშობლო...

რა სხვანაირი ზეცა გაქვს,
რა სხვანაირი ღრუბლები!
სადაც არ უნდა წავიდე,
მერე, სულ შენთან ვბრუნდები!
შენ სალბუნი ხარ ტკივილის,
უჩინარ სულის, მალამო!
ხმამაღლა გიხსნი სიყვარულს,
გულში, ჩუმად რად დავმალო!
სულ ხელუხლებლად დავტოვე,
შენ რომ მაჩუქე გრძნობები.
შენს სადარს, შენზე უკეთესს,
ვერასდროს, ვერსად მოვძებნი!...
ჩემო სინდისო, ნამუსო,
სინათლევ, ბედნიერებავ,
ასჯერ რომ მომცენ სიცოცხლე,
სულ ყველას, შენი ერქმევა!

დარდო...

დარდო, დამეხსენ, რად დამდევ,
რად შეგიყვარდი ასეო.
არა ვარ შენი სარგო და
სამსალას რაღად მასმევო!
წუთით მოვსულვარ ამ ქვეყნად,
შემარგე, ამ ცით დავტკბეო!
დამეხსენ, გადაიკარგე,
წადი, როგორმე დამთმეო!
რად არ მოგწყინდი, რა ნახე,
გულში რად ჩამეკირეო!
წკირის ოდენაც არ მსურხარ,
შენ კი გამიხდი დირეო!
თუკი უეცრად მოხვედი,
ახლა რად ითრევ ფეხსაო!
გულიდან სულში მიძვრები,
იქაც იკიდებ ფესვსაო!
შემარგე წუთისოფელი.
ქარს გაჰყევ რიარიაო!

გვირილავ...

აღარ მოგწყვიტე გვირილავ,
ვეღარ დაგისვი კითხვაო.
ვისზედაც უნდა მეკითხა,
უკვე უარი მითხრაო.
წავიდა, მარტო დამტოვა,
სიბერეს მიმაჩეჩაო.
მე ვუძლებ, ხომ არ ვიტირებ,
თავი რად დავიბეჩავო.

ცას ვკითხე...

ცას ვკითხე, ხომ არ იცოდა
მასზე, რაიმე ამბავი...
გაწვიმდა, აღარ გაჩერდა,
ნეტავ რას ნიშნავს? რა არის!
ვაგროვებ სათქმელს, ვაგროვებ.
ჩუმად ვარ, შევძლებ? როდემდე!
ვიცი ჩემ გვერდით არ არის
სიზმარშიც ვეღარ მოვძებნე.

გურამი სახვაძე გემოკვების ინჟინერი
დაბადების ადგილი ხარაგაული

სიყვარული ბედნიერებაა

ბაგე - ბაგეს
თუ შეეხო ჩემო,
ვნებებისგან
დაგვეწყება თრობა,
და რაც უნდა
თავი შევიკავოთ,
ყველაფერი
მაინც მისით მოვა.

თუ მოვა და
ან რა უშავს მერე
სად იპოვით
კოცნაზე მეტ წამალს,
თორემ ხანგრძლივ
თავის შეკავებით,
სიყვარულიც
ნიავივით წავა.

ნიავივით
გავქარვდებით ყველა
როცა ხიბლი
ჩაგვაჭკნება ხელში,
მერე ალბათ
იმის დარდი მოგვკლავს,
ის სიამე
რად ჩავკალით ჩვენში.

ამიტომაც
მოეფერეთ ერთ ურთს
ყველამ, ვისაც
გულის სწორი გახლავთ,
ნუ იტყვით რომ
ბევრი საქმე მაქვს და
რა დროს
სიყვარულიაო ახლა.

დრო ყოველთვის
ისე სწრაფად გარბის,
ყველას რაღაც
დარდს გვიტოვებს გულში,
შეიფერეთ
სიჭაბუკის წლები,
რომ შედეგი
ჰპოვოთ სიყვარულში.

თუ სიყვარულს
შეაქციეთ ზურგი,
სიხალისეც
თავისთავად ქრება,
ხდები ბოღმით
სავსე მარტოსული
და შედეგიც
სავალალო დგება.

და პირიქით,
როცა გიყვართ მაშინ,
ღიმილებსაც
ყველა შემხვედრს
ჩუქნით,
ამურისგან
თავს გრძნობთ
ბედნიერად,
არც არავის
ზიზღი არ გაქვთ გულში.

ჰოდა ყველამ
იგრძნეთ მისი მადლი,
ნუ დარჩებით
ამ სიკეთის მიღმა,
ჭეშმარიტი
სიყვარულის ფონზე,
უკვდავება
გველის ბევრად დიდხანს.

შენ მზე ხარ ჩემი

ამ გულის ყველა
ლექსი შენია
სახელი რომც არ
დავარქვა ქალის,
თვითოეულში ჩემი
სევდაა,
თანაც სინათლე
ორთავე თვალის.

დასაბამიდან
შენში ვეძებდი
ყველაფერ იმას
რაც მახარებდა,
თან სულს მიხვეწდა,
თან მოთმინებას
ხან მაქცევდა და
ხან მანმაღლებდა.

შენით ვხვდებოდი
ყველა ალიონს
მიღამდებოდა
შენზე ფიქრებში,
გულში ვთრგუნავდი
ყოველგვარ იმას
რაც არ მოსჩანდა
ნათლად იმედში.

წლებმა ვერ შექმნეს
ერთფეროვნება
ქება-ლოცვისგან
აგავსებ მანამ,
თუ არ დავბრმავდი,
თუ არ დავყრუვდი,
და პირში სული
მედგმება სანამ.

მინდა ბოლომდე
შენზე ვიგალო
ლექსის რითმებთან
ჩაგწნა- ჩაგგქსოვო,
ოღონდ ეს დიდი
შთაბეჭდილება
არ გამიხუნო,
არ მომაშორო.

ვიფიქრებ შენთვის,
ვილოცებ შენთვის,
სიყვარულს სწორედ
ეს აქვს მისია,
რადგან ქალი ხარ
მზე ხარ სიცოცხლის
სხვა ყველაფერი
შენთან ნისლია.

მანამ იცოცხლე
სანამ გემზეოს,
სანამ გაიგებ
მოკეთის ამაგს,
მე გაპატიებ
თითქმის ყველაფერს
მაგრამ ვერასდროს
ტყუილს და ღალატს.

შეუცნობი არაფერია

ჟამი შეკვეცავს საუკუნეებს,
ზღვასავით გაცრის ქვასა და ქვიშას,
მეისტორიე დიდსა თუ მცირეს,
ბოლოს საკადრისს მიუზღავს მისას.

ზოგს დროიანად, ზოგსაც უდროოდ,
ჩამოაშორებს ნიღაბს თუ ბანერს
და მაშინ, - იქნებ გვიანაც,
მაინც აღვიქვავთ მათ ნამდვილ სახეს.

* * *

ზოგჯერ რა ცოტა
რამ გვწყინს,
ყველასგან არა, - მისგან,
ვინც სხვებზე მეტად
მოგვწონს,
ვინც სხვებზე მეტად
გვხიბლავს.

ეს უნებლიე წყენაც
მომატებაა ცოდვის,
რაც სისუსტეა ვფიქრობ
ადამიანთა მოდგმის.

შ ე გ ო ნ ე ბ ა

სანამდე სიტყვას ვიტყვით,
ანდა თუ რამეს დავწერთ,
უნდა დავფიქრდეთ წამით,
ამით ხომ ვინმეს არ ვვნებთ.

ცხელ გულზე თქმას და წერას
სჯობს მოვერიდოთ ყველა,
რადგან იმ ჩვენი ნათქმის
გვიან, ჩვენც აღარ გვჯერა.

და გარკვეულ ხნის შემდეგ
რომ არ გავკვირდეთ მარტო,
თუ პასუხს მოგვთხოვს ვინმე
არ ვთქვათ - ეგ მე ვთქვი? - რატომ?

რატომ და ვერ მოვზომეთ
არც შევეცადეთ ახსნას,
და ამოვუშვით პირში
ავი სიტყვების თავსხმა.

ამით ის დავჭერთ გულში
ვისაც ვუთხარით ავი,
ავმა სიტყვამ კი ავად
გააცნო ჩვენი თავი.

მოკლედ რამდენჯერ
თქვეს რომ დიდი ძალა აქვს სიტყვას,
იგი ავად თუ კარგად
ყოველთვის აღწევს მიზანს.

კარგად ნათქვამი სიტყვა
მტერს გადაგიქცევს მოყვრად,
ცუდად ნათქვამმა კიდევ
შენც შეიძლება მოგკლას.

მახვილზე მეტად სწამლავს
მისი გესლი და შხამი,
ჰო და გვახსოვდეს უნდა
რომ სიტყვა არ ვთქვათ ავი.

ვინაც მომისმენთ ჩემო,
თავს კარგად იგრძნობთ ყველა,
არც უმადური ვინმე
არ გეყოლებათ მჯერა.

დღეს როცა სიტყვა სანზღვრავს
ყველა მოკვდავზე საქებს,
ვეცადოთ კარგი ვთქვათ და
ნუ გავიფუჭებთ სახელს.

მოგილოცავთ ხარებას

ხარება გაგვითენდა
მშვიდი, თბილი, მზიანი,
და განწყობა შემექმნა
ბევრად ხალისიანი.

სახლში ვეღარ გავჩერდი
ეზოს გამოვეშურე,
შენ მოგიკვდა მამულო
ორგული და მოშურნე.

ამ ლამაზმა განწყობამ
სად არ შემომატარა,
ლექსიც დამაწერინა
კეთილი და პატარა.

ყველა თქვენგანს მასტუმრა
თვალთუხილავ სიმებად,
რომ საამო გიამბოთ
ლოცვად და ჩურჩულებად.

მსურს გულები გაგითბოთ
ცხოვრებისგან დაღლილი,
რა სჯობია კარგ დარებს
ძალას იკრებს აპრილი.

რა სჯობია თბილ სიტყვებს
სასმენადაც კარგია,
ავ სიტყვებში რას ვეძებთ
შურში რა დაგვკარგვია?!

მზად ვარ ყველა თქვენთაგანს
მხოლოდ კარგი ვუსურვო,
არც არასდროს ვყოფილვარ
უგულო და უსულო.

მაგრამ დღეს სულ სხვა არის
მოდის კარგი დღეები,
მინდა გაგახალისოთ
ყველას შემოგევლებით.

დაგილოცავთ ოჯახებს,
მოგილოცავთ ხარებას,
და თვითეულს გისურვებთ
მუდამჟამს წარმატებას.

თ ე ე შ ი

სარკმლის მინებზე ესხმის
წვიმის წვეთები ხშირი,
გარეთ ვერ გახვალ ეხლა
ამინდს შეურცხვა პირი.

ნაკადულებად მოდის
ეზოს ბოლოსკენ წვიმა,
ხმაურობს არე მარე
თანაც საგრძნობლად ცივა.

ალუბლის ბაღი გუშინ
ჰგავდა პატარძლის ფარჩას,
დღეს გუშინდელი პეწი
მოგონებადღა დამრჩა.

მიწას სუყველგან მათი
თეთრი ყვავილი დაჰფენს,
მარტის არ იყოს ზოგჯერ
აპრილიც კარგად " აფრენს".

კონტრასტულია ჰავაც
გუშინ ვიწვოდით სიცხით,
დღეს კი ღუმელთან ვზივარ
რაც გავიღვიძე დილით.

საათებია რაც წვიმს
თქეში ჩამოდის ციდან,
პარალელურად ბაღში
ყვავილები თოვს ხიდან.

მინავლებულა თითქმის
გარეთ სიცოცხლის ჩქამი,
ჩიტებიც აღარ სჩანან
მითუმეტეს კი ხალხი.

თუმცა ვიტოვებ იმედს
ხვალ იამინდებს მჯერა,
და ისეთ აპრილს ვნახავთ
რომ არ გვინახავს ჯერაც.

დღეს კი რადგანაც წვიმას
არ სურს გამიშვას გარეთ,
კარგი არის თუ ცუდი
ამ ლექსს გთავაზობთ აგერ.

26 მ ა ი ს ი

ეს დღე სხვა დღეთაგან
იმით განსხვავდება
არის განუზომლად
უფრო სასწაული,
ყველა ჩვენთაგანის
გულის ფეთქვაა და
ყველა ჩვენთაგანის
მართლა გაზაფხული.

ეს დღე სამშობლოსთან
უფრო გვაახლოვებს
მისი აწმყოთი თუ
მასზე მოგონებით,
დაავადებასავით
სისხლს რომ შეგვრევია
განუკურნებელი
მისი ჰორმონებით.

და რაც გვიხარია,
ან რაც გვედარდება
რასაც განვიცდით, ან
რაც რამ განგვიცდია,
დამეთანხმებით რომ
ყველა ნიუანსით
დედასამშობლოსთან
მუდამ კავშირშია.

თვითოეულს გვტკივა
მისი ბედ - იღბალი
ხანი არ გამოხდა
ერის დამშვიდების,
ასე აჭრილნი და
სხვების შემყურენი
ალბათ ვერასოდეს
შორს ვერ გავფრინდებით.

მაგრამ ყველას მაინც
ქვეყნის სიკეთე გვსურს
თუმცა რა დაგვილევს
მტრებს და მოღალატეს,
ღმერთმა გაუმარჯოს
როგორც ჩვენ სამშობლოს
ისე თვითოეულ
მის კარგ მოქალაქეს.

გაგვმთლიანებოდეს
ისეც ერთი მუჭა
მკლავებმოკვეთილად
აღარ გვყოლებოდეს,
და ჩვენც თვითოეულს
დედა სამშობლოსთვის
არ დაგვნანებოდეს
რაც რამ გვქონებოდეს.

ერი დაგვივადდა
პირადომანიით,
საკმაო ხანია
მოგვედო სატანა,
სანამდეც კანონი
ყველამდე არ ავა
არასდროს გვექნება
ერთურთის გატანა.

- იდიდე სამშობლოვ !
მე მაინც ვისურვებ
უფალმა დაგვასწროს
უკეთეს მაისებს,
რომელიც ერთ მუჭა
ქართველებს კი არა
უკლებლივ ყველას რომ
გულს გაგვიხალისებს.

არ გამახარა მარტმა

არ გამახარა მარტმა
როგორც ლამაზმა ქალმა,
ხან მაგრძნობინა სითბო
ხანაც მომგვარა ჯვარცმა.
დღეში რამდენჯერ იცვლის
ხასიათსა და დარებს,
ეს ჭირვეული მარტი
მართლაც როგორ ჰგავს ქალებს.
მზე თუ გაჩნდება ცაზე
კვირტებს ემჩნევათ სკდომა,
ტყემლის ყვავილთა ჯარი
გვჩუქნის სიამით თრობას.
ფუტკრებიც დაბზუიან
მათაც ახარებთ სითბო,
ყვავილთა სილამაზე
თითქოს ტრფობისთვის იხმობთ.
მაგრამ რად გინდა მერე
დიდხანს არ გასტანს დარი,

ცა ღრუბლებს შეყრის შავად
ამოვარდება ქარი.
წვიმა წამოვა ჯიქურ
რასაც სიცივეც ახლავს,
და დაგვატყდება თავზე
ჯოჯოხეთური განცდა.
-მერე კვლავ იამინდებს
კვლავ გაცოცხლდება არე,
ჩვენც ხასიათზე ვდგებით
თუ არ დასრულდა მალე.
მოკლედ არაა სანდო
მარტის დარებით ტკბობა
როგორც ლამაზი ქალის
ღიმილებისგან თრობა.
ორივ ერთია თითქმის
ხშირად გვიცვლიან გეგმებს,
და თავს ზენიტში რომ ვგრძნობთ
ჩაგვიფუშავენ შედეგს.
მე ქალებს ხშირად ვაქებ
მათში სამყაროს ვხედავ,
ქალია ქვეყნის ღერძი,
ჩვენი ცოლი და დედა.
მათ ყველას ვაღვთიურებ,
ნაცნობია თუ უცნობს,
არ გადავყრილვარ ქალებს,
უსახურებს და უნდობს.
ჰო და ნუ იზავ ღმერთო,
უქალოდ დარჩეს კაცი,
ან კალენდრიდან გაქრეს,
ეს ჭირვეული მარტი.

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი

სიცოცხლეს მმატებს
ამათი ცქერა,
ბავშვებს ვუწოდებ
სამშობლოს ფესვებს.
როდესაც ბლომად
შეგროვდებიან,
მაშინ არ ვარჩევ
სხვისებს და ჩემებს.
მაშინ მგონია
ყველა ჩემია,
და აღმატებულ
განცდით ვბრუვდები,
თვითეულ მათგანს
და ყველას ერთად
გულით და სულით
ვესათუთები.
ხან სიტყვიერად,
ხანაც უთქმელად,
ერთობლივ ლოცვა-
ფერებით ვამკობ,
ვერ განვვასხვავებ
ჩემსას და სხვისას,
სუყველა ბავშვი
ჩემია ამ დროს.
მათ შემხედვარეს
ზოგჯერ მგონია
თითქოს მეც მათი
ტოლივარ ახლა,
რადგან სულ თვალწინ
მიდგას ის წლები,
ჩემი ყრმობის და
ბავშვობის ხანა.
დე, იჟღურტულონ,
დე, იბჟუტურონ,
მაგრამ გაეგოთ
ანი და ბანი,
ისე ვით ყველა
თაობას გასდით,
მათაც გაუვათ
ბავშვობის ხანი.
დაკაცდებიან,
დაქალდებიან,
და მერე თავად
მწყემსვენ პატარებს,
წინასწარ ვიცი
გაიხარებენ
როგორც ესენი
დღეს ჩვენ გვახარებს.
ღმერთმა დაგლოცოთ
ჩვენო ხვალის დღევ,
აღმაშენებლის
ფესვზე ნაყარნო,
თქვენი იმედით
სულ ვიღიმილებთ,
რადგან თქვენა ხართ
ჩვენი სამყარო!

დარეჯან მაჭარაშვილი ინჟინერი
დაბადების ადგილი საჩხერე

მამულო

ისე ვერ ვისვენებ, მტერი დაჩოქილი
თუ არ დაგითვალე კართან.
თუ არ ჩაგეხუტე,
თუ არ მოგეფერე,
თუ არ დაგიკოცნე კალთა.

ყოფნა უშენობით
ისე მეძნელება,
როგორც საიქიოს კართან.
ჩემო ხატებავ და
ჩემო საფიცარო,
გულში დანთებულო სანთლად.

შენი სიყვარული ისე მომდებია,
როგორც უკურნელი სენი,
მიყვარს მზის ამოსვლა მთების
წვერებიდან
მიყვარს შეღამება შენი.

შენი გაზაფხული,
შენი მაისობა,
შენი ყვავილობა ვაზის,
ზღვა და დედამიწა,
ზღაპრული ედემი
უფლის დალოცვილი ასგზის.

ალვისტანიანი შენი გოგონები
თვალის გაყოლება ვაჟის,
შენი “დედა ენა” შენი დედამიწა,
დამამშვენებელი თვალის.

ჩემი სუნქვა ხარ და
ჩემი ბედისწერა,
მინდა განაცვალო თავი,
მტერი დაგიმარცხდეს,
ერი გაგიმრავლდეს
ვერ გეკარებოდეს ავი.

სადაც უნდა ვიყო,
მიხმობს და მეძახის შენი
სიყვარული წმინდა,
სიცოცხლე მხოლოდ და მხოლოდ
ამ მიწაზე
მოვკვდე ამ მიწაზე მინდა.

ზღაპარ იყო

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
რა "იყო და არა იყო",
ჩვენი ყოფა და ცხოვრება
საარაკო გამხდარიყო.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
თვალზე ცრემლი გამშრალიყო,
ყველგან ლხინი ბატონობდა,
გაჭირვება აღარ იყო.

დახმარების ხელს უწვდიდნენ
არ ცდილობდნენ სათავისოდ,
მშიერსა და უსახლკაროს,
ვერ ნახავდით, არსად იყო.

ძმა ძმისთვის და მეგობრისთვის,
ნატვრისთვალი გამხდარიყო,
შური, მტრობა, ორგულობა
სამუდამოდ გამქრალიყო.

სიყვარული რიგდებოდა,
ხალხის რიგი დამდგარიყო,
დიდი თასით მოითხოვდნენ
პატარა რომ არ კმარიყო.

მეხრე გუთანს მიუძღოდა,
ერთგულების პიკი იყო,
ნალიაში სარჩო უხვად,
ბარაქა და ხვავი იყო,

ხალხი სოფელს ბრუნდებოდა,
კერია არ ჩამქრალიყო,
შრომაც იყო, ქეიფიც და
ნასოფლარი სადღა იყო.

“ზემოთ” მდგომი ღმერთკაცობდა
ხალხის ჯავრით აღარ იყო,
თურმე ხელფასს ჯერდებოდა
მომხვეჭელი ვინღა იყო.

ქალი აკვანს მიჯდომოდა
საშოვარზე კაცი იყო,
სიტყვა “ემიგრანტი”-ს მცოდნე
ასში ერთი ჰა, თუ იყო.

დამნაშავეს სად ნახავდი,
ციხე ცარიელი იყო,
ბედნიერებისგან ხალხი
მეცხრე ცაზე გასულიყო.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ქალი კდემა-მოსილ იყო,
კაცის ვაჟკაცობის საქმე
ცხრა მთას იქით წასულიყო.

****

განა ისევ ბავშვები ვართ,
კმარა”იყო არა იყო”
რაც კი გულში დარდი გვქონდეს,
ჯანდაბამ და ქარმა ზიდოს.

“ჭირი იქა, ლხინი აქა”
სიხარული დამდგარიყოს,
ეს არაკიც ზღაპრად თქმული
სულ კეთილად ამხდარიყოს.

***

არ მინდა, არ მეფასება,
კაცი ფლიდი და უგულო,
როგორ დავხუჭო თვალები,
ანდა რა თვალით ვუყურო.

არც შენ არ მოგეწონება,
ვით ხეტიალი ღამეში,
ღიმილს გჩუქნიდეს მაცდურად,
ნაცარს გაყრიდეს თვალებში.

მიყვარს და მეიმედება
კაცი მშრომელი, ალალი,
გვერდს არ აგიქცევს ქურდულად,
არ ენანება სალამი.

არ უხარია მოკეთის
გაჭირვება და ვარამი,
მუხლჩაუხრელად შრომობს და
ლუკმა არ უნდა არამი.

სიტყვა რომ უჭრის ხმალივით,
ნაღდია, არა ორპირი.
გაჭირვებაში ნახული
ყველა ძმაა და ძმობილი.

ჭირში ალალად ცრემლს დაღვრის,
ლხინში არ მოშლის მღერასა,
საგინებლად არ გაიხდის,
საფიცარ მამა-დედასა.

ამ ქვეყნად სტუმრად მოსულსა
ეიმედება ზე-ყანა,
თვით სიცოცხლეზე უმეტეს
ეძვირფასება ქვეყანა.

***

ალბათ ბევრი გაზაფხული გავა,
ალბათ კიდევ ბევრ ზამთარსაც ავთვლი,
სანამ კიდევ შემიძლია გარჯა,
სანამ ჟამი დამიდგება წასვლის.

შემოვივლი სალოცავებს წმინდას,
მოწიწებით ღმერთს დავუნთებ სანთელს,
და ვინანებ უნებლიე ცოდვას,
გადამალულს და ვერ ნათქვამ სათქმელს.

უფრო ხშირად დავილაგებ მუხლზე
უძლურსა და შრომით დაღლილ ხელებს,
თან ამბებსაც გავიხსენებ ისეთს
სულ ადრინდელს, მივიწყებულს, ძველებს.

უფლის ნებით გავმრავლდები ალბათ,
დავინახავ ნაყოფს ჩემი შრომის,
იქნებ მოხდეს- დამემსგავსოს მაგრად
ერთი მაინც შვილიშვილებს შორის.

გამაფხიზლებს ჟრიამული მათი,
თვალზე თუკი მომერევა რული,
ძველებურად შემომრჩება ალბათ,
ბავშვური და უბოროტო გული.

ვიცი, წლები ვერ წამართმევს ჩემს თავს,
ვერასოდეს შევიცვლები ვიცი,
მეწყინება ისევ სხვისი წყენა,
გამახარებს სიხარული სხვისი.

სულ ყოველ დღე გავიხსენებ ისევ
ამბებს, რომლის დავიწყებაც არ მსურს,
ხელჯოხით და ჭაღარებით თმაში
“ეჰეჰეი” გადავძახებ წარსულს.

ბედისწერა

ღმერთთან მისასვლელი ბეწვის ხიდი,
ვაგლახ, უღმერთობით ჩაშლილა,
ვიღაცა შორი გზით დაიღალა,
ვიღაც უგზოობით დაღლილა.

მიდის ბედისწერის ქარავანი,
ფიქრი ღრუბელივით აშლილა,
ზოგმა გაიარა- კვალი დარჩა,
ზოგის ნაკვალევი წაშლილა.

ყველა სიკეთე და სიხარული
ქარში სიმღერებად გაშლილა,
რაღაც უკითხავად დასრულდა და
რაღაც თვითნებურად დაწყილა...

ჩემს გზას ნარ-ეკლიანს მივუყვები,
წლებიც სიზმარივით გავიდა,
ჩემი კონკის-ძველა მეფასება,
სხვისი ოქრო-ვერცხლი არ მინდა.

ჩემი სიხარული სათვლელია,
სხვისი სიხარულის ზღვა მინდა,
ჩემი მადლიცა და სინანულიც,
ვატყობ, თავისი გზით წავიდა,

ბედო, სულ ტყუილად მეჭიდები,
კისერს ვერ მომიგრეხ ადვილად,
კართან სამართალი მომდგომია,
პური უნდა ვჭამოთ სადილად.

დედას

პირველად მოვიდა ზამთარი უშენოდ,
ფიფქები აგროვა ეზომ და ვენახმა,
დილით პირველ თოვლში ვეძებდი ნაფეხურს,
რომელსაც ვიცი რომ ვერასდროს ვერ ვნახავ.

უშენოდ ბუხარმაც დაკარგა სიფიცხე,
გნატრობს და მოგელის კუნჭული და კუთხე,
იქ შენი სკამი დგას- გელის უსასრულოდ,
ეს უსასრულობა მტკივა და ვერ ვუძლებ.

მუდამ ფეხზე მდგომი ხვდებოდი ალიონს,
გღვიძავდა, როდესაც მამალი ყიოდა,
კერავდი, გვიქსოვდი, გვინთებდი, გვათბობდი,
თვითონ კი რატომღაც არასდროს გციოდა.

თვალში სხივჩამდგარი მიყურებს წარსული,
თითქოს დამემდურა- ხელს მიქნევს შორიდან
და მე ვერ მიზიდავს ფიფქების სითეთრე,
ზამთარში- რომელიც უშენოდ მოვიდა.

გზები

გზები, გზები და გზები,
ვითვლი - არ უჩანს ბოლო,
ხან სიხარული ბევრი,
ხან ტკივილია მხოლოდ.

უცებ დაცემა სადღაც,
ისევ დადგომა ფეხზე,
ხან მწვერვალებზე ასვლა,
ხან გადაჩეხვა კლდეზე.

გზა ოცნებების ზღვაა,
გზა - დასაწყისი ყოვლის,
ზოგჯერ ვიღაცის კარგვის,
ზოგჯერ ვიღაცის პოვნის.

გზები - გვირგვინი დაფნის,
გზები - მალვა და სორო,
ჩვენი ცხოვრების თავი,
ჩვენი ცხოვრების ბოლო

***

ამ ცხოვრების გასაოცარ ორომტრიალს
მომკალით და გულით მაინც ვერა ვგრძნობ,
ბედი რაღაც უცნაურად მათამაშებს,
რაც დავთესე, ვერ მოვიმკე ვერასდროს.

კიდევ კარგი- ბნელი შიში არ მჩვევია,
მიმძიმს, მაგრამ არჩეულ გზას მივყვები,
მირჩევნია, ისევ ლექსით მოგეფეროთ,
გრძნობა თუკი გამოვხატე სიტყვებით.

გულს რა ვუყო ასე ურჩს და თავისნებას,
მაიძულებს- "მტერი შენი გიყვარდეს"
თუკი შევძელ მადლი ვქნა და ქვაზე დავდო
არ ვიფიქრებ - გავივლი და წინ დამხვდეს.

სხვისი ბედით ვერასოდეს ვითამაშებ,
რა გულმა ქნას, წაქცეულს რომ გავშორდე,
ვინც ვერ მიგებს, ტკბილად გზასაც დავულოცავ,
მთავარია ჩემს ღმერთს რომ არ დავშორდე.

***

შენი ბილიკი სევდისფერია,
ახლა ამ გზაზე მე დავრჩი მარტო,
შენი ხმა ჩემთვის ყველაფერია,
ვდგავარ, გავცქერი შორეთს და გნატრობ.

მოგონებები ავკინძე მძივად,
ეკლად მერსობა შენი სიშორე,
გადაგივიწყო ხანდახან, მინდა
და მონატრება ვერ მოვიშორე.

შენგან გათელილს ავყვები ბილიკს,
ვეჭორავები გზაში გვირილებს,
წამომეწევა წარსულის ლანდი
თვალს ჩამიკრავს და ჩამიღიმილებს.

ქალი ვარ

უცნაური რაღაც შემომეჩვია,
ხშირად ვდგები მოლოდინით კართან,
სადარდელი თითქოს არაფერია,
მედარდება- ქალი ვარ და რა ვქნა.

მკერდში გული ფეთქავს ისე ძალუმად,
უეჭველად მოვერევი მთასაც,
გასაკვირი მართლაც არაფერია,
ძლიერი ვარ- დედა ვარ და რა ვქნა.

ტკივილს ვეღარ ვერევი და ცრემლები
ღვარად მომდის სასაფლაოს ქვასთან,
თუმცა ვიცი ცრემლიც არაფერია,
მეტირება- შვილი ვარ და რა ვქნა.

ღმერთო, ღმერთო ჩემო, როგორ ძნელია,
ქვეყანაზე მოვლინება ქალად,
მჯერა ამ ტვირთს ვაჟკაცივით ვატარებ,
და ქალივით ვალმოხდილი წავალ.

***

გაავდრდება და ჩამოწვება
ღრუბელი სულშიც,
დარდიც უღმერთოდ შემომიჭერს
თავის მარწუხებს,
თავს შემახსენებს წარსული
ვით ცუდი სიზმარი
შენ კი ვერასდროს ვერ გაიგებ
მე რა მაწუხებს.
ავედევნები მთვარეს, შენს მსგავსს
ცივს და უგულოს,
ლოგინს გავიშლი იქვე,
სადაც დამიღამდება,
მერე გულის დარდს მოვუყვები
ჩამქრალ სტრიქონებს
და გული შენგან დადაგული დამიამდება.

***

ფიქრმა ზეცამდე აუშვა აფრა,
დარდი არ ტოვებს თურმე მიწიერს,
სიტკბო გრამობით თუკი მომეცა,
იქვე ტონობით შხამი ვიწვნიე.

როცა მიჭირდა, ვკაფე უღრანი
უნდა მეტირა, მაშინ ვიცინე,
გზააბნეულს ვინც ფეხი დამიდო,
ვითომ არ იყო, გადავივიწყე.

მაღლა ღმერთია ყოვლის მხილველი,
მე სხვისი ცოდვა ვერ ავიკიდე,
ვისაც მოყვრულად პირში ვუთხარი,
სუყველა მტერად გადავიკიდე.

რაც უშურველად სითბო გავეცი,
გული მატკინა მერე სიცივემ,
სად მონდომებით დავრგე ვარდები,
იქ ეკლის მეტი მე ვერ ვიხილე.

ჩემი სიმართლე თუ ვერ გავყიდე,
სხვისი ტყუილი ვეღარ ვიწამე,
ძნელი ყოფილა სამართლის პოვნა,
ამ ცოდვით სავსე დედამიწაზე.

***

სამართალმა ვეღარ ჭამა,
ღორზე მეტად კაცი ღორობს,
წიგნიერი ჩუმად არის,
უწიგნური ორატორობს
ღირსეული მიღოღავს და
ფრენით მიდის ყალბი, ფლიდი,
სიძულვილის პიკია და
სიყვარულის დეფიციტი

***

შენ გაკვალულს შეუდექი ბილიკს,
უკვალავი მე ვარჩიე გზები,
შენ გზა და გზა დააბნიე სითბო,
მე იმ სითბოს გულმოდგინედ ვკრეფდი.

მტკიოდა და გადაგიხსენ გული,
შენს სიმართლეს შეეპარა ბზარი,
ერთგულება მე უსაზღვრო მსურდა,
შენ საეჭვო გაატარე ზღვარი.

ვერ გავკვებეთ სიყვარული ურჩი,
უსუსურის მეუფლება განცდა,
მენანება, სივრცესა და დროში
ჩვენი გზები ერთმანეთს რომ ასცდა.

სანთელივით გზას მინათებს ახლაც
ის წარსული სათუთი და წმინდა,
მუხლზე სულს რომ მიბერავდა მაშინ
ის სითბო და სიყვარული მინდა.

არ გეგონოს მენანება ახლა,
ეს მცდელობა ამაო და უქმი,
შენ მითხარი, რაც არ უნდა გეთქვა,
მაგიერში მე ყვავილებს გჩუქნი.

ლეილა ბაგრატიონი (ბაბადიში)

პოეტი დაიბადა თელავში, ცხოვრობს თბილისში

ჩემო კახეთო

ჩემიო კახეთო, როგორ დაგხატო,
როგორ გიმღერო ისე ლამაზად,
რომ ეკადრება უფლის სატახტოს-
ლურჯ მთებს, ველ-მინდვრებს,
ზვრებს და ალაზანს.
რომ ეკადრება ერეკლეს თელავს,
ბებერ შუამთას, გრემს და ალავერდს,
სადაც ურიცხვი მლოცველი შევა
და მამულისთის სანთლებს აანთებს.
ჩემთვის ცის კარი შენით იღება,
შენით იწყება მთელი სამყარო„
მარად მწყურია ლექსი, სიმღერა
ფანტელებივით გადმოგაყარო.
ახლა სტრიქონებს ალერსით ვკინძავ,
შიგ ჩაგიწანი მზე და ვარდები,
ჩემგან ყოველთვის მშობელო მიწავ,
ზღვა სიყვარულით დაიბარდნები!

თელავი

თელა დასახლდა ამ მთაზე
თუ ხალხი მტერთა მთელავი?
გაჩნდა გომბორის კალთაზე,
წევს ღია-ცისფერ ბადეში -
თავქვეშ ზურმუხტის ბალიშით,
მეფე ერეკლეს ბადიში -
ჩემი ლამაზი თელავი.

ამიტომ დამაგვიანდა

დაბინდდა, სუნთქვა მიჭირდა
და მუხლიც აღარ მიჭრიდა,
თვალი ამევსო გიშრითა,
შენი დანახვის შიშითა.
ნისლიდან ოქროსთვალებამ
გამოიჭყიტა მთვარემა,
განათდა არემარე და
სევჩერდი ჭიშკრის კარებთან.
ნუ დაებმები წარსულთან -
მირჩია ღამის ასულმა
და აქვე რაღაც დასრულდა,
ეს მე მსურდა თუ არ მსურდა.
ქარმა თმა ამიფრიალა,
ქარი შეცვალა ნიავმა,
გულში კვლავ მეჯდა ია და...
ამიტომ დამაგვიანდა.

უფალ იესოს

საღებავები - ფერით
სხვადასხვა,
არის უხვად და
არის ულევად,
მაგრამ ის ფუჯი,
შენ რომ დაგხატავს -
დედამიწაზე არ მეგულება...

მოდგმა თამარის

თელავის ზეცა,
ველი ალაზნის,
ნაქარგი ლურჯით
და მეწამულით,
იმ დღეს საოცრად
 იყო ლამაზი -
ფარშავანგს ჰგავდა
ჩემი მამული.
კავკასიონი
იყო ზვიადი,
ისეთი, როგორც
ვაჟას ლექსია,
მთების სილურჯეს
როცა წყვდიადი
ლეკის ჯარივით
შემოესია.
მანდილოსნები
დასხდნენ სუფრასთან,
დასხდნენ ლამაზად
და მიკრძალებით,
მათში სინაზე
ვცანი მუზათა
და ძლიერება
ამორძალების.
ბრძენი, ამაყი,
სიტყვათამამი -
გამორჩეული
ჭირშიც და ლხინშიც,
სუფრას ჰქარგავდა
მოდგმა თამარის -
მისი ჯილაგი
და მისი ჯიში.

გმადლობ, უფალო!

მიწაზე ხოხვას
არ ვარ ჩვეული,
მე უფლის გზა მაქვს
ამორჩეული;
მან ფრთები, ალბათ,
იმიტომ მომცა,
მხოლოდ მიწაზე
არ მსურდეს ცოცვა,
ზემოთ და ქვემოთ
შემეძლოს ფრენა,
სიკეთეს თესდეს
გული და ენა.
მანვე მასწავლა,
რომ უნდა შევძლო,
ბნელს განვერიდო
და ნათელს ვეძმო...
სწორედაც მისი
სიმაღლის რწმენით
გავსინჯე სიტყვის
გემო და ფერი.
მასწავლა ხატვა
ლექსით და ფუნჯით,
გამოსარჩლება
ყრუსა და მუნჯის.
მან მისახსოვრა
მე გასაღები
კარის სხვათათვის
ვერგასაღების,
რომ დამენახა
მთელი სამყარო -
ულამაზესი,
უკიდეგანო.
მის სიდიადეს
მარად ვუგალობ,
გმადლობ, უფალო!

ალაზნის ველი

ვერცხლის ჩანჩქერი დიოდა ციდან,
ნისლის საცერი რძისფერ ნამს ცრიდა,
კავკასიონზე ენთო კოცონი,
აბრდღვიალებდა ნისლებს მოწოლილს.
თელავს ფერადი წვიმა აწვიმდა -
შორიდან ჰგავდა ბუდეს არწივთა.
გომბორის მთასთან მზისა ხელებით
იხატებოდნენ ცისარტყელები.
ზღაპრულ უფლისწულს ჰგავდა კახეთი -
თავს ედგა ოქროს შარავანდედი.

წინანდალი

მიყვარს, მიყვარს წინანდალი -
დილის ცვრით და მზით ნაბანი;
მახსენდება წინანდელიმისი ყველა
ბინადარი.
ჩემს ხსოვნაში ცოცხლობს ბაღი -
დათვით, ნუკრით, ფარშავანგით.
მიყვარს, მიყვარს წინანდალი,
ახლანდელი, წინანდელი
ბაღი, ზამთრის ფიფქნაყარი,
სიყვარულში წილნაყარი...

„დედაენის" ყვავილი

ეძღვნება დიდ იაკობს - იათ-მკობს..

პაწაწინა სახელი აქვს,
პაწაწინა ყვავილია,
პაწაწინებს იაკობმა
მიტომ გიძღვნათ - „აი, ია"...
ფერით, სუნით და სინაზით
პირველობა უკავია,
ამიტომაც ყველგან ია
საპატიო სტუმარია...
სამკაული ია-დონის,
„იავ- ნანას," ია-კობის,
სანუკვარი„დედენის"
თავფურცელის შემამკობი...
„აი, ია", აი, ია" –
დედაენის ყვავილია..

პატარძეულის ია

თელავი, გიორგი ლეონიძეს (100 წ)

გარეთ სუსხია, ცივა,
ციდან ფანტელებს ცრიან,
ჩვენს დარბაზში კი ცვივა
პატარძეულის ია.
პაწაწინათა, ნორჩთა
ნაზი სურნელით ვთვრები,
ჰოი, რა ახლ;ოს მოჩანს
პატარძეულის მთები.
ივრის ღუღუნიც მესმის,
ხანაც - ტალღათა ბორგვა,
რადგან სულით და ლექსით
დღეს ჩვენთან არის გოგლა.
გარეთ სუსხია, ცივა,
ციდან ფანტელებს ცრიან,
მაშ აქ საიდან ცვივა
პატარძეულის ია!

ძველი სარკე

როცა ბედნიერებას
ღმერთი უხვად ბარდნის,
ერთმანეთში გვერევა
სიზმარი და ცხადი.
შლეგებივით ვივლიდით,
ადამიანს ბედად
რომ არ სდევდეს ტკივილი,
წუხილი და სევდა.
წამებივით მიქრიან
დღეები და წლები,
თავზე არ მიფიქრია -
ვხატავდი და ვწერდი.
რა თქმა უნდა, პირფერობს
ჩემთან ძველი სარკე-
არ მაკარებს სიბერეს,
მამხნევებს და მაქებს...
ერთი კია ნამდვილი,
მრავალთაგან თქმული-
არ ბერდება წადილი,
თვალები და გული.

მიმოხვეულში

მოულოდნელად, მუზად მეწვიე
ჩემი ცხოვრების მიმოხვეულში,
თუმცაღა, ვფიცავ მამა ზეციერს,
შენს მყუდროებას ხელს არ შევუშლი...
მე გაზაფხულის ვარდისფერ ციდან,
ო, რახანია, თავქვე დავეშვი,
შენ უმანკო ხარ და ყოვლად წმინდა
ჩემს გადარეულ სიმწუხარეში.
ვერაფერს გეტყვი ამის მეტს ახლა,
მხოლოდ თვალებით გეალერსები,
გაზაფხულივით მოხველ და წახვალ -
დამრჩება მხოლოდ შენზე ლექსები...

ლევან ბოცვაძე სამართალმცოდნე
თავდაცვის სამინისტრო
დაბადების ადგილი სამტრედია ნოღა

ვინერვიულე

ვინერვიულე დაბადებამდე
ვინერვიულე,
ვინერვიულე როცა გავჩნდი
ვინერვიულე,
ვინერვიულე სკოლის მერხზე
ვინერვიულე,
ვინერვიულე საქართველოს ისტორიაზე,
ვინერვიულე კომკავშირში როცა მიღებდნენ,
ვინერვიულე ცხრა აპრილზე,
აფხაზეთზე, სამაჩაბლოზე,
ვინერვიულე მერე ცხადში ამდენ გმირებზე,
ვინერვიულე სამი ბავშვის დაბადებაზე,
ვინერვიულე მამაჩემზე, დაობლებაზე,
ვინერვიულე სოფელზე და მერე ქალაქზე,
ვინერვიულე პანდემიაზე, ჩემს გარშემო გარდაცვლილებზე,
ვინერვიულე და მერე ქაღალდზე გადავიტანე,
ვინერვიულე თუ გაიგებენ პოეტობას ვინერვიულე,
ვინერვიულე ჩემს სიმაღლეზე,
ვინერვიულე არაფრისმთქმელ სხვის სიმაღლეზეც,
ვინერვიულებ წარდგენაზე როგორც არასდროს,
ვინერვიულე და ვნერვიულობ ჩვენს მომავალზე.

არ დაგანებებ

როცა ილია მამაა ერის,
აკაკის სიტყვას მსოფლიო მღერის,
ვაჟა აცოცხლებს ყვავილს და ბალახს,
სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარსაც ლახავს.

ტატო მერანით, ვით კატიონი,
ის ჭაბუკია „მარად და მარად“,
გალაქტიკიდან გალაკტიონი,
უქრის „ხეთა ჯარს“ სიოდ და ქარად.

რუსთველი როცა ღამე ნათევი,
ქმნის და უმღერის დიდ მეგობრობას,
ჩემო სამშობლოვ არ დაგანებებ,
არ გაგრძნობინებ მე შენ ობლობას.

მხატვრის თვალი

ისე ჩამიარე, რომ ვერ გავინძერი,
თანაც ვერ გიცანი, რაღაც კი ვიგრძენი,

მზისგან დასაცავი მეკეთა სათვალე,
გულიც გაგატანე, წლებიც გადავთვალე,

თვალიც გავაყოლე ანარეკლს მინაზე,
მაინც ვერ გიცანი, თითქოს ჩემს ჯინაზე,

ნუთუ მე გამექცა ეს მხატვარი თვალი,
გულმაც არ გაუშვა ის ლამაზი ქალი,

წარსულს დავაბრალე თითქოს ჰქონდა ვალი,
ის ლამაზი ქალი, ეს ოხერი თვალი.

ცხოვრების ტკბილი საარი

ისიც წავიდა! უკვე რამდენი...
ფიქრობ! რა არის წუთისოფელი,
ერთხელაც ჩემზე გაიფიქრებენ,
სხვა დანარჩენი აქა მყოფელნი.

გლოვის წერტილი ახლობელთათვის,
საძვალის თავზე მარმარილოა,
რამდენი ხანი გასტანს ცრემლთათვის,
შენ კი, ხარ უკვე მარადისობა.

სიზმარია, თუ გონი მაწვალებს,
აქა ცხოვრება ჩვენი რა არის?
გავიფიქრე და ექო მაფხიზლებს,
დილის სისხამხე ტკბილი საარის!

ვაჟა-ფშაველა

ფაუნა ტოვე მეტყველი,
შენ ფლორამ გაიკაჟაო,
საქართველოის მთა-ველი,
შენ გააცოცხლე ვაჟაო.

სულიერი თუ უსულო,
სიკვდილ-სიცოცხლის მძღვარიო,
ქცევით აცხოვნე "ურჯულო",
სტუმარ-მასპინძლის ზღვარიო.

ქალ-ვაჟი, ყველა ქართველი-
ადიდე შენ საქართველო,
სამშობლოისა მთა-ველი,
შენ უკვდავყავი ფშაველო!

სიზმარს შევფიცე

უნებურად აღმოვჩნდი,
პოეზიის ბილიკზე,
განზრახ არა ვფიქრობდი,
უფრო სხვების ქილიკზე.

.....ამ ბილიკზე უვლია
საქართველოს ასაკის;
შოთას, ვაჟას, ილიას,
და ჩონგურით აკაკის.

ტატოს თავის მერანით,
უქროლია სადამდე...
გალას მთვარე მოჰყავდა,
გრანელს ცივი სამარე.

რაც არ უნდა იყო მარგე,
აწი რაღას მოყვები,
შენ კი ვიღას დაეკარგე,
ბილიკს ბანცალ მოჰყვები.....

განგებ ავდექ, ვიარე,
მერე მუზებს მივმართე,
"იქნებ ვინმეს მოვეწონე?!"
..ცოტაც თავი ვიმართლე.

მეც ღმერთისა ვარ შვილი
ჩემი ერის მყვარებელი,
ბილიკს იქით ვერ ვივლი,
ჩემი მუზის მტარებელი.

სუფრა გურული

ბუხარს კეცზე სქელი ჭადი,
წალმის თხელი ნაკვერჩხალი,
შამფურს უმზეურის მწვადი,
ღელის თევზი, ტაფას მწვარი,

ყველით სქელი, ხაჭაპური,
ნადუღი და ფხალი პრასის,
ტარხუნა და ნიახური,
სულგუნს ჯერაც რძე, რომ გასდის.

იქ ტყემალი საკვირველი,
კანჭი შიგ, რომ ჩაუწვინო,
ლობიო ნიგვზით კირკველი,
დოქს ჩასხმული ცივი ღვინო.

საცივი და ღომი ცხელი,
კუჭმაჭს ბლომად ბროწეული,
შემწვარ კუპატს კანი თხელი,
კიტრი ახალ მოწეული.

გოჭის თავიც სიყვარულით,
უმზერს ბოლოკით თამადას,
დედალი მრგვლად მოხარშული,
ხილით სავსე კალათა.

აბა კარგად მოილხინეთ,
დრო ატარეთ მხიარული,
ძველი ჰანგიც გაიხსენეთ,
დილოვო და კრიმანჭული.

ამინ!

მე ყველა ლოცვას ვეტყვი ამინ და
კვლავაც დამინდობს ცოდვის მორევი,
უღმერთოებთან ომი არ მინდა,
ჩემში ცდუნებას ღმერთით ვერევი.

ადამიანურს ვერ შეველევი,
ვერც სადიდებელს, ჩემსას ამ ქვეყნის,
მე ყველა ლოცვას ვეტყვი ამინ და
ვარდებს დავუფენ სავალს იმქვეყნის.

ორი ილია!

"მამული, ენა, სარწმუნოება",
"ღმერთი, სამშობლო, ადამიანი",
ილია მართლის ჭეშმარიტება
და პატრიარქის ბრძნული ნათქვამი.

ესეც ქართველთა ქრესტომათია,
კვლავ ჭავჭავაძის "ქვათა ღაღადი",
საქართველო ხომ ანდამატია,
ამ პლანეტაზე, არ ჰყავს ბადალი!

ცაზე გალაკტიონი

შოთას "ვეფხისტყაოსანი"
და აკაკის "გამზრდელი",
"დიდოსტატის მარჯვენა",
ვაჟას "გველის-მჭამელი".

ილიასთან ქვაც ღაღადებს,
მგზავრებს ატანს წერილებს,
ყაზბეგს ბერი უხარხარებს,
გონს ვერ უსვამს წერტილებს.

მთაწმინდაზე გალა მთვარეს,
წყნარ ღამეში ანაზებს,
ტატო მიჰქრის უგზოუკლოდ,
მერნის საფრენს ანათებს.

„აი ია“ გაზაფხულზე,
ზამთარს დარდი მიჰქონდეს,
ალიონზე „მე ვხედავ მზეს“
მეტი რაღა მინდოდეს.

წმინდა მარიამ

მიეც ძალა-გონება,
ვისაც როგორ აკლია,
გევედრები ძალიან,
ღვთიმშობელო მარიამ.

კალთა დაფარებულებს,
ზოგიერთს კი ღვარძლიანს,
ნებით მანქურთებულებს,
სამშობლოს, რო გვაცლიან.

საქართველოს იღბალზე,
სიტყვას ნუღარ გაცვლიან,
გულმხურვალე, ცრემლიანს,
სასმისებს, რომ ჩაცლიან.

მიეც ძალა-გონება,
ვისაც როგორ აკლია,
დაე იყოს ღვთის ნება,
დაგვიფარე მარიამ!

წვიმის წვეთები

სიომ წვიმის წვეთები,
ჩემსკენ შემოაბრუნა,
თითქოს სველი ხელებით,
სახეს მომესალბუნა.

ვიცი მე, რომ მნატრობდი,
ფეხშიშველი მოვქროდი,
გუშინ ღრუბელს, რომ ვმტრობდი,
თურმე მასაც მოვწონდი.

როცა თვალებს ნაბავდი,
ფიქრში ნისლებს ფანტავდი,
სანამ სიზმარს ნახავდი,
მანამ ცხადში გხატავდი.

აკი გითხარ მნატრობდი,
მინატრე და მეც აქ ვარ,
ეტყობა თან დარდობდი,
ალბათ ასე გიყვარვარ.

ზეცამ წვიმის წვეთები,
დედამიწას აპკურა,
მზის სხივების წვეტები,
ზღვის ტალღებში აცურა.

ოქროს აქცია

როცა ქართველნი ბევრნი ვიყავით,
მსოფლიომ ხანა ოქროდ აქცია,
გვაპატარავა შურმა ვიღაცის
და დრომ სიკეთეს ზურგი აქცია!

მე თქვენ მიყვარხართ

სიყვარულზე ვერ ვწერ სიტყვას,
რადგან არ მაქვს ამის ახსნა,
ვერ გადმოვცემ, როგორ მიყვარს,
რას ვგრძნობ იმ წუთს, თუნდაც ახლა.

ჩვენ ვიბადებით ამ გრძნობით,
ვის მეტი აქვს და ნაკლები,
განსაზღვრავს ყოფიერება,
ზრუნვა, გარემო თანმხლები.

ესეც სულისა გამოცდა,
საითკენ გადავიხრებით,
ბნელში არ გვინდა ჩვენ მოცდა,
გრძნობა ვამტკიცოთ ფიქრებით.

გონება ერთვის ფიქრებსა?!
შენ უკვე ტყვე ხარ სინდისის,
შავ-თეთრს ამატებ ფერებსა,
ირგვლივ დაგიდის ნათელი.

ცხოვრებაც ლაზათიანი,
შენი ლამაზი გულისთვის,
კაცი ხარ ადამიანი!
გამღები, სიყვარულისთვის.

აღმაშენებელს

ვინც საქართველო ატარა მხრებით,
აღმშენებლობით და არა ნგრევით,
მასხე ზრუნვა და ფიქრები თავით,
მეც ლექსად გბედე სიტყვები დავით.

ქვარნალა

ნოღის ხიდის ზემოდან,
ჭოლას სახლის ქვემოდან,
იას მზე არ ხვდებოდა,
უღონობა კვდებოდა.

ხევისწყალის წყაროსთან,
თითქოს სული ხარობდა,
გონი ინაბებოდა,
აწმყოც იბადებოდა.

წყარო წარსულს მოგვიყვება,
მომავალსაც გვაუწყებს,
ქვარნალასთან მოდის ყველა,
ის თაობებს გაუძლებს.

ჩვენი საფიცარი

„მამული, ენა, სარწმუნოება“
ამ მომავლისთვის ზრუნვას აქვს ფასი,
ფიქრი სხვა რამის ამაოება,
მერე ცხოვრება, ყალბი და ფარსი.

ეს კურთხეული, სამოთხის კარი,
იბერიელთა „წმინდა გრაალი“
ყველა ქართველის ხატი და ჯვარი,
გვაქვს საქართველო ჩვენ საფიცარი.

მტერი და შინაური?!

თუ არ დაგიცავს სიკეთით
და შეშურდება შენი,
გაგყიდის კუბოს ფიცარზე
შინაურია?!..მტერი!

გიღიმის გულში რას ფიქრობს
ვერ წარმოიდგენ ღიად,
წუთი, რო მარის სოფელი
მიხვდება, მხოლოდ გვიან!

მტერი ინატრე ვაჟკაცი,
ის არ დაგიწყებს თამაშს,
მე შინაური მტრის არ მწამს
უფრთხილდი შარბათ-შამათს.

როცა...

წინ ვიყურებით იმედით,
უკან კი მადლიერებით,
მაღლა ავხედავთ ცას ლოცვით,
დაბლა სინანულს დავცქერით.

ჩვენს თავს ჩავხედავთ სიფრთხილით,
გარშემო ვაფრქვევთ სიყვარულს,
ეს ყველაფერი სიფხიზლით,
მოგვიტანს ნამდვილ სიხარულს.

მაია დიაკონიძე ეკონომისტი
დაბადების ადგილი თბილისი

წინაპრების გახსენება

კვლავ ჩემი სახლის პარმაღზე ვდგავარ,
თუმცა აღარ ვარ მისი ნაწილი,
კარის სახელურს კრძალვით ვეხები,
შეჩერდა დრო და გაქრა მანძილი.
ჩემი დარდები, როგორც ჩრდილები,
გადასწოლიან ცისფერ ფოლიანტს,
მზე ჩადის ისე, მგონი, ძილშია,
რა ესიზმრება წითელ გოლიათს?
არ მინდა ვიყო მკაცრი მსაჯული
ჩემი თავის და განწყობას ვიწყობ,
მაგრამ სიჩუმე თავს დამტრიალებს,
ფეხებთან მაწევს გველივით თითქოს,
სულისშემხუთველ მისტერიებში,
მოგონებებში წინაპრებს ვიხმობ,
ვინატრე, ახდა, ესეც ბედია,
ხელით ვეხები ვენახის ჭიგოს,
რომელსაც პაპა თლიდა ოდესღაც,
რიგში აწყობდა მოხდენით თითოს,
ჭირისუფალის მოჰგავს გოდებას,
იდუმალი ხმა ეძახის თვისტომს...
გაშავებულა სახლის კედლებიც,
ჩამოწოლილა ვაშლი ლოდებად,
ეზოში დგანან ძველი ქვევრები,
გახსენებიათ ძველი დროება,
მივდივარ მათთან და ვეფერები,
ვერ კი ვახერხებ გულის მოგებას,
მიწას ეკრობა, ვხედავ, ყოველი,
ჟამთმდინარების ტალღას მოჰყვება.
მზეზე გამომაქვს ძველი ხალიჩა,
რომ შეისრუტოს ეზოს ნიავი,
უძღები შვილი ამას წავიტან,
ავწონ-დავწონი, რა აქვს ზიანი,
იმასაც, როგორც ამ სახლს, გავყიდი
და სულის მოთქმას ლხინით აღვნიშნავ,
აღარ გაჩნდება ის ბედაური,
ვარსკვლავებთან რომ ცაში ამიყვანს?!
ბოდიშს მოვუხდი ლეღვს და უნაბებს,
რომ ვერ ვექეცი მწედ და პატრონად,
დავშორდი ისე, ვეღარ ვუწამლე,
მხოლოდ სურათი მოვხსენ თაროდან,
მაგრამ რა ვუყო იმ ძველ ჭრილობას,
რომელიც ტანჯვით ჩემს სულს გახსნია?
ვემშვიდობები სახლს - ძველ მეგობარს,
ძაღლი კი მომყეფს: "ეს ღალატია!"

ნეტავ, რა არის სიყვარული?!

ნეტავ, რა არის სიყვარული, თუ არა ელვა,
ამოღებული ქარქაშიდან ბასრი ხანჯალი,
ტკივილებით რომ ძარღვებსა და ლურჯ ვენებს სერავს,
ხან აღმაფრენა, ღრუბლებს მიღმა ჩიტი ფრთამალი.

მეხია, ციდან მოვლენილი, დაგცემს და გაგცემს,
ვერ დამალავ და თვითონაც ვერ დაემალები,
მშვიდობა არის, ომი არის, ზავდები არცერთს,
და თვითონ იწვი ზეცის თაღზე მნათეს სანთელი.

მოფრენილია ლურჯი ტყიდან ლურჯი ფრინველი,
და ყურებს გიტკბობს ჭიკჭიკით და საამო ხმებით,
ხან სევდის ხმაზე ამღერდება, ვით კორსიკელი,
მისი ცხოვრებაც ხან ზესვლაა, ხან ჯოჯოხეთი.

დაგივლის გულში და შენს სხეულს გათანგავს ვნებით,
გტკივა სისხლძარღვი, გტკივა ნერვი და თითო კუნთი,
და თუ ცხოვრებას შენი ასე ტანჯვა ენება,
ფიქრობ, რად გერგო განაჩენი ასეთი კუშტი.

და მაინც გიყვარს, ვერ იცილებ იმაზე ფიქრებს,
დღეა, ღამეა, ვერაფრით ვერ გამოიდარა,
სიყვარულისთვის საბრძოლველად ძალებს ვერ იკრებ,
გინდა, ჩაგაცვან შროშანივით თეთრი სუდარა.

ხან სამფლობელოს გადაუვლი ზღაპრების, მითის,
აბესალომის და ეთერის გშურს კიდეც ბედი,
ვერანაირად ვერ იმშვიდებ ეგოიზმს, სინდისს, —
გსურს იყო მისთვის მნათი მზეც და სამყაროს ცენტრიც.

გვაბრუებს, გვატკბობს, ხან კი მწარედ ვიწყევლით თავბედს,
და ჩვენი ყოფა კვლავ ხელშია მაღალი ღმერთის,
და თუ კი მაინც სიყვარული შემოგხვდა გზაზე,
ვმადლობდეთ უფალს, განა არის ის ყველას ხვედრი?!

ჩემი ფუძე

ჩემი ფუძე ქართლის მთა და მდელოა,
გვირილების თვალწარმტაცი სივრცე,
ლურჯ მწვერვალთა„საიდუმლო სერობა",
გულს მგზნებარე ნაპერწკალით მივსებს.

ნაზ გაზაფხულს სიყვარულის მზე მოაქვს,
შემოდგომას - ქარვისფერი ზვრები,
ჩემი ფუძე ქართლის მთა და მდელოა,
თვალანკარა ნაკადულთა ცვრები.

დასაფიცად გოჯი მიწაც მეყოფა,
მამა-პაპის შესანდობარს დავლევ,
ქართველ კაცის გმირობა და ზნეობა,
რაინდული მზერა ლხენით მავსებს.

ჩემი სოფლის ულამაზეს ხეობათ
გადავცქერი სიამაყის გრძნობით,
ჩემი ფუძე ქართლის მთა და მდელოა
და ყინულზე მოციმციმე თოვლი.

მზეს ვიგულებ უერთგულეს მეგობრად,
მთელი გულით შევტრფი დილის სისხამს,
გაგვიმრავლოს ნათლობა და ძეობა,
ოდითგანვე კურთხეული ღვთისგან.

ჩემი ფუძე ქართლის მთა და მდელოა,
სულს მისერავს წინაპართა დარდი,
ვაყურადებ ჩემი კუთხის გულს და ხმას,
არწივივით მაღლა ცაში აჭრილს.

ერთით მეტი ვარ ყველაზე!

თავზე მეტადაც მიყვარხარ,
მსურს, მოვისროლო ბადე,
ბედის ვარსკვლავს რომ მიჰყავხარ,
იმ ბილიკებზე დაგხვდე,
განა, ყომრალი ფიქრია
ნაოცნებარი ბევრის,
ნიავზე სწრაფად მიქრიან
საათები და წლები,
წაწალს წაგართვა მიჯნური,
ჩამოვაბურო ფარდა,
რომ ვეღარსაით დაგლანდოს,
ჩამოიღვენთოს დარდად.

ერთით მეტი ვარ ყველაზე, -
ასე არავინ გნატრობს,
შენი თვალების მინანქარს
მსურს შევხაროდე მარტო,
ცის სილურჯეს და ზღვის სივრცეს
სასწაულად რომ იტევს...
ჩავიძირები, მოვკვდები
და გავცოცხლდები ისევ.
ცა გინანავებს მზის აკვანს
და მზესთან ერთად გარწევს...
რა სავალალოდ შემომხვდი
ბრმა წუთისოფლის გზაზე!

სახლო!

ვეღარ გხედავს გულის თვალი,
ვეღარ გწვდება ჩემი მზერა,
სახლო, ვისზედ მიმინდიხარ?!
სად მიმაგდო ბედისწერამ?!

გადაკარგულს მეძებს ქარი,
არევია ზენა, ქვენა,
აღარ რეკავს სოფლის ზარი,
ვეღარ შეგვკრებს ერთად ყველას.

მოსტეხია ირემს ფეხი,
ტყუილად უხმობს კაცად მშველელს,
პატრონი რომ აღარ ჰყავს,
სახრავს ძაღლი სხვაგან ეძებს.

ლიბოს გველი შესჩვევია,
ის დარაჯობს ახლა ედემს...
მაგრამ ღმერთი არ გაგვწირავს,
სიკვდილად ვით გაგვიმეტებს?!

ქალი და სარკე

მიაჩერდა დაჟინებით ქალი სარკეს,
ოდითგან რომ წინაპართა სახლში იდგა,
და რას ხედავს, ბებიამისს უგავს სახე,
„ბებო", ყელში გაეჩხირა უცებ სიტყვა.

შეკრთა, როცა ნაოჭები დაინახა,
და ნაღველით დაბინდული ნაზი მზერა,
სარკეში რო ქცეულიყო ათინათად,
ღიმი იყო, მას ჩუქნიდა ბებო ძველად.

დასთამაშებს ნათლის სხივი ქალის სახეს,
სადღაც მთიდან მზე გორდება, დაბლა მოდის,
ნუთუ სარკე, აქ რომ იდგა, იქცა მახედ,
ბებოს სული შიგ ჩარჩა და ვერ გამოდის?!

მიტომ ვეღარ დაემალა იმის თვალებს,
ეს კავშირი არასოდეს არა წყდება,
და შეჰყურებს ქალბატონი იმ ძველ სარკეს,
ტუჩზე ღიმით ბებო თავზე ეფერება.

ფანელის კაბა

გახუნებულა ფანელის კაბა,
ძველ ჩემოდანში ჩრჩილები ჭამენ,
არ გადაიხდის არავინ აბაზს,
ჩემთვის კი ნიშნავს ეს კაბა რამდენს...

ხსოვნის ზანდუკში ფშვინავენ ხმები,
„ბებია, კაბა გიხდება როგორ,
ისეთი კოხტა, ლამაზი მყავხარ,
აბა, ვისა ჰყავს ასეთი გოგო!"

მზემოკიდებულ მკლავებზე მიწვენს, პაპა,
უჩუმრად მიმღერის„ნანას",
„ისეთი კოხტა, ლამაზი მყავხარ,
ნეტავ ვინ არის აქ შენისთანა!".

ბედისწერის ქარს მივყვები აშარს,
გახუნებულა ფანელის კაბა,
სხვა რომ არავინ არ მისცემს აბაზს,
მე ვერაფერში ვერ გავცვლი ამას!

დედაჩემს!

დედაჩემს თეთრი ხელები ჰქონდა,
ვარდის სურნელი სდიოდა ხელზე,
და ახლა როცა ძალიან მიჭირს,
ვარდების ბაღში დედაჩემს ვეძებ.

დედაჩემს ლურჯი თვალები ჰქონდა,
სიო დაჰქროდა მღელვარე ტბებზე
და ახლა, როცა ძალიან მიჭირს,
უკიდეგანო სივრცეში ვეძებ.

დედაჩემს მარჯნის ტუჩები ჰქონდა,
მარგალიტებით ანთებდა ზესკნელს,
და ახლა, როცა ძალიან მიჭირს,
მარჯნის ნაპირზე დედაჩემს ვეძებ.

სული ბავშვივით უმანკო ჰქონდა,
ახლა მაღლაა, მაღლაა მზეზეც,
და ახლა როცა ძალიან მიჭირს,
ზევით ზეცაში ანგელოზს ვეძებ.

თუ კი მატირებ, მატირე...

თუ კი მატირებ, მატირე
გულს მოწოლილო ღრუბელო,
სათქმელი გამიადვილე,
ჭირში მყოფთ ლექსი ვუმღერო,
ჩავყვე არაგვის ნაპირებს,
ცხენი გავხედნო უბელო,
ხოშკაკალს თუ დააპირებს,
მთის ვარდ-ყოილებს ვუშველო.
სული რომ კბილით მიჭირამს,
მტერმა არ იგრძნოს გუმანით,
ესეც ერთგვარი ნიჭია, -
ჭირთთმენა სოფლის სტუმარის.

ქალი მოდიოდა ხიდზე

ქალი მოდიოდა ხიდზე,
აღიმართა ნათლის სვეტად,
ვარდი უმშვენებდა თითებს,
შენ თუ ხარო, ვუთხარ: დედა.

ბროლის ყელი, ბროლის სახე,
უბრწყინავდა თოვლზე მეტად,
ვარდი დაეფინა პირზე,
შენ თუ ხარო, ვუთხარ: დედა!

ვეამბორე იმის თითებს,
თითო-თითოს, მერე ერთად,
თვალები რომ მომანათა,
შენა ხარო, ვუთხარ: დედა!

მოდიოდა ხიდზე ქალი,
აღიმართა ნათლის სვეტად,
ის წავიდა,მე კი, დავრჩი,
დაბნეული მასზე მეტად.

მზეს!

(ხალხურ მოტივებზე)

მორცხვი ბალახის ღერი ვარ,
აბა, შენ ვინ და მე ვინა...
თუმც შენმა სითბო – ნათელმა
თავი მეც ამაწევინა.
ავყვავილდი და შავივსე
მიწის მადლით და წვენითა,
პეპლებიც დამფარფატებენ
თავზე, ნარნარი ფრენითა.
ცელქ სხივებს მოაქვთ სიცოცხლე,
შენ მოგყავს გაზაფხულები,
ჩვენ აქ რა გაგვიჭირდება,
ვიდრე შენ ცად გვეგულები!

ვისთვის ვწერ ლექსებს?!

ვისთვის ვწერ ლექსებს? ჩემთვის, შენთვის, იმისთვის, სხვისთვის,
ყველასთვის, ვინც კი ჩემი ძმა და მეგობარია,
ვეთაყვანები ჩემს სამშობლოს, პირმზიან თბილისს,
აქ მტკაველ მიწას, ვიცი, რომ არ დამამადლიან.

როდესაც ზეცა გადაწვება მარჯვნივ ან მარცხნივ
და ალმაცერად გადმოხედავს მთვარე აივნებს,
მე იქ ვიქნები, არ მჩვევია ვიგემო მარცხი,
და ვამცნობ სიკვდილს, — დანებებას რომ არ ვაპირებ.

მინდა რომ სისხლში სულ ცოცხლობდეს ქართული გენი,
და ნარიყალას გოგო-ბიჭთა შვენოდეს ალყა,
ამ მთების იქით გაისმოდეს„ჩაკრულო" ჩვენი,
უმზერდეს ყველა ჩვენთა თვალთა დანთებულ ხანძარს.

შეყვარებულთა ნაზ ტკბილ ჩურჩულს ვისმენდეთ ღამით,
ქორწილები და გამრავლება გვისურვოს ღმერთმა,
და ვღაღადებდეთ„,შეგვეწიე, უფალო, ამინ!,
და ნუ მოგვიშლი სილამაზეს ცადამფრენ ლექსთა!

ბიჭები მღერიან!

მღერიან ბიჭები, ბიჭები მღერიან,
მოედო ამ ჩემს გულს წამლად და სალბუნად,
ბიჭები ჯერ კიდევ ქართულად მღერიან,
არ ძალმიძს უფალს რომ მადლობა არ ვუთხრა.
მადლს, კეთილს თესავენ ქუჩებში თბილისის,
იმედს გვაწოდებენ ავებს, გულარძნილებს,
და სანამ ქართულად მღერიან ბიჭები,
გულისგულს სიკეთით, იებით ავივსებთ.

ფატი კვარაცხელია სამართალმცოდნე
დაბადების ადგილი ხობი

დედა

ხანდახან„დავბერდიო„იტყვი,
სევდით აგემღვრევა თვალი,
„ოღონდ თქვენ მყავდეთო კარგად,
ჩემი წავიდაო ჯანი„

შენი„დავბერდიო„ მტკივა,
შენი„აღარა მაქვს ჯანი„
ოღონდ გვერდით მედექ დედა,
ჩემი ნუ გექნება ჯავრი.

შენი ჭაღარები მცივა,
შენი დაღარული სახე,
მაინც ლამაზი ხარ დედა,
მინდა სულ გიყურო ასეთს.

შენი ტკბილი ლოცვა მათბობს,
„ჩემს შვილს შეეწიე ღმერთო„
შენ ჩემი ჭიგო ხარ,დედა,
შენს გარდა ვის უნდა ვენდო?

შენი გაღიმება მშველის,
თავზე გადასმული ხელი,
ჩემი ჭრილობების მალამო ხარ,
ციდან გადმოსული ღმერთი.

შენამდე...

მიწიდან ზეცამდე დავთვალე მანძილი,
ვერსადროს ჩემიდან-შენამდე,
„მიყვარხარ“ მინთია თვალებში,
და ბაგეს ვერ სწყდება მეასედ.

ბევრი მაქვს სათქმელი - ვერ ვამბობ,
ღამეებს უშენოს ვეწამე,
მე ვდუმვარ - შენ სდუმხარ და მაინც,
დუმილში მიყვარხარ ღმერთამდე.

ვარსკვლავებს ხელს ვუწვდენ ზეცაში,
შენს ხელებს ხელი ვერ შევახე,
ათასი სიცოცხლეც არ მკმარა,
იმდენად შორია შენამდე.

დრო მიდის, ვერაფერს ვერ აკლებს,
სიყვარულს - ანთებულს ზეცამდე,
მოვყვები ბილიკებს - აქა ხარ,
და მაინც ვერ მოველ შენამდე.

მიწიდან ზეცამდე დავთვალე მანძილი,
ვერსადროს ჩემიდან - შენამდე,
„მიყვარხარ“ მინთია თვალებში,
და ბაგეს ვერ სწყდება მეასედ.

კაფია

მიყორხარ ქალავ,
რად მიცქერ ირიბად,
მოგიტაც, წაგიყონ,
მაღალი მთის ძირას.

შაგასმევ სიყვარულს,
მთის ცივი წყაროდან,
და მერე მოგიკვდე,
არ ვჩივი არც რომ რას.

გამყობა ცრემლები,
მაგ შავი თოლების,
სიკვდილსაც დააზრობს,
შენი ხმა გოდების.

მაცოცხლე ან მამკალ,
მაგ თოლებ ცქერითა,
მზეს ციდან ჩამავხსნი,
დაგიფონ ფერხთითა.

* * *

მოდის ნოემბერი, მალე დაიზამთრებს,
ფიფქებს ჩამოპენტავს ზეცა,
ქარებს ავადევნე ჩემი ნაფიქრალი,
ისევ ჩამახუტა შენთან.

მთებში ამიყვანე, ფეხ-ფეხ გამოგყვები,
ბილიკები ვკვალოთ ერთად,
მერე-შემცივნებულს სული დამითბილე,
შენი გაზაფხული მჯერა.

დილაადრიანზე კოცნით ამომიშრე,
თვალში მიმალული სევდა,
თორემ ეს ზამთარიც ისე გადაივლის,
როგორც ჩაიარეს სხვებმა.

მოდის ნოემბერი, მალე დაიზამთრებს,
ფიფქებს ჩამოპენტავს ზეცა,
ქარებს ავადევნე ჩემი ნაფიქრალი,
ისევ ჩამახუტა შენთან.

ო, როგორ მიყვარს

ო, როგორ მიყვარს,
შემომსკდარი ხეზე კვირტები,
გადაბნეული მზის სხივები
მთების კალთებზე,
გახსენით კარი, დახურული
ყველა დარაბა,
და გაუღიმეთ გაზაფხულის,
გრძნობებს თავნებებს,
ო, როგორ მიყვარს, მოჩურჩულე
ლორთქო ბალახი,
ბუჩქების ძირას მინაბული,
იის სინაზე,
გახსენით კარი,დახურული
ყველა დარაბა,
და შეეგებეთ გაზაფხულის
სულის სილაღეს.
ო, როგორ მიყვრას,
ლაჟვარდებში ნარნარით ფრენა
და გაბუტული ოცნებების
შემორიგება,
მიძინებული გაზაფხულის
გამოცოცხლება,
და სიყვარულის ვნებიანი
შემოპირება.

კლდეებო...

კლდეებო, თქვენთან მასვლა და
გასაუბრება მამინდა,
გულ დარდი შამამწოლია,
ყოფნა-არყოფნის ჟამიდამ...

შაჭმუხმნილ წარბზედ გატყვიათ,
ნაჭირ-ვარამი ქვეყნისა,
სევდა შამყრია ტირილად,
ცრემლების დაღვრა ბევრისა.

კლდეებო, დარდით დამზრალნო,
თქვენად მიგულვეთ შვილადა,
მტერთა საკლავად ისარი,
ერთად მავჭიმოთ მშვილდდანა.

ყაყაჩოდ გამაგაყარათ,
სისხლმა ვაჟკაცი ძმისასა,
მიხარის, კვლავაც ხმაურობს,
ძარღვებში ქნევა ხმლისასა.

სანამ იქნების მზე ცაზე,
სანამ სისხლი დუღს ქართული,
ისე არ დავძაბუნდებით,
რომ შაგირცხვინოთ წარსული.

კლდეებო, ცისკენ მზირალნო,
ლოცვით სავსე გაქვთ თვალები,
თქვენი ვარ, თქვნთვისვე ვცოცხლობ,
სიკვდილსამც თქვენით შავები.

მიფრთხილდი

მიფრთხლდი მტერო დუშმანო,
ხმალი მაქვს იმისთანაო,
მხარზე თავი არ შაგრჩების,
თუ მოვიქნიე თანაო.

ასე იოლად ნუ მიცქერ,
გულიც ჭრის როგორც დანაო,
ეს გული სამშობლოსთვინ ძგერს,
მეორედ მოვალ განაო?

შენ, რომ გგონია მარტო ვარ,
შემცდარხარ ვეჟო ძამაო,
შინ მიზის ქალი-დიაცი,
ცხრა ვაჟკაცს მიზრდის თანაო.

ცხრავე მზეებრ ბრდღვილებს,
სამშობლოსთვინ ვზრდი მათაო,
სამშობლოც მაგათთვინ მინდის,
სულს ვანაცვალება თანაო.

მიფრთხილდი, არვის დავუთმობთ,
ლომისებრ მთები დგანანო,
ველ-მინდვრებს მოქარგულებსა,
ზღაპარ-სამოთხეს გვანანო.

მიფრთხილდი ავსა ნუ ფიქრობ,
თუ მახვალ, მეგობრადაო,
სულს ვანაცვალებთ მეგობარს,
მტერს „ვასროლინებთ ქვასაო„.

ფეხზე ადექით

ფეხზე ადექით, აფხაზეთის სილურჯე გვიხმობს,
სად საქართველოს მომავლის მზე მზეზე დიდია,
ფეხზე ადექით, აფხაზეთის ზღვა კვლავ ხმაურობს,
სად საქართველოს გამარჯვების დროშა ჰკიდია.

ფეხზე ადექით, შეუმშრალეთ აფხაზეთს ცრემლი,
გახსნილ იარებს მოშუშება ჩვენგან სჭირია,
ფეხზე ადექით, შემოხვიეთ აფხაზებს ხელი,
გზა გასავლელი გრძელია და დიდზე დიდია.

ფეხზე ადექით, წინაპართა საფლავი გვიხმობს,
მოურჩენელი-გადახსნილი ჭრილობებიდან,
ფეხზე ადექით, შემოვიცვათ ჯაჭვის პერანგი,
სიყვარულისთვის დავირაზმოთ კუთხეებიდან.

ფეხზე ადექით, ილორს ზარებს ისევ რეკავენ,
ლოცვით იფარავს უფლის მადლი ბრძოლას ჟინიანს,
„სამშობლოსათვის“ ერთი სიტყვა ფიცად ქცეული,
ერთიანობით გავათენებთ დილას იღბლიანს.

ფეხზე ადექით, ენგურს გაღმა გვიხმობს ნაპირი,
ღრუბლები ცაზე დარდისაგან ზანტად მიდიან,
ფეხზე ადექით, თითო მუჭა მზე გაიმეტეთ,
რომ სიხარული კვლავ მოვფინოთ პალმებს ფიქრიანს.

ფეხზე ადექით, აფხაზეთის სილურჯე გვიხმობს,
სად საქართველოს მომავლის მზე მზეზე დიდია,
ფეხზე ადექით, აფხაზეთის ზღვა კვლავ ხმაურობს,
სად საქართველოს გამარჯვების დროშა ჰკიდია.

არ მიმტყუნო

შვილო არ მიმტყუნო, კაცად გამეზარდე,
ამაგს ნუ ჩამიყრი წყალში,
შენთვის მთებს გადავდგამ, ზეცად მზეს ჩამოვხსნი,
შიში არ მიკრთოდეს ხმაში.

შვილო არ მიმტყუნო, კაცად გამეზარდე,
გზა თავად გაკვალე ბარდში,
ლოცვად მუხლმოყრილი სანთლად გაგიძღვები,
მტრებს ნუ დაუდგები მხარში.

შვილო არ მიმტყუნო, კაცად გამეზარდე,
მეგობარს სული მიეც საგზლად,
მშიერს და უპოვარს ხელი გაუწოდე,
გზაზე ნუ დატოვებ საწყალს.

შვილო არ მიმტყუნო, კაცად გამეზარდე,
წმინდა მეგობრობის გწამდეს,
ღალატს და ორგულობას ბინას ნუ დაუდებ,
სამშობლო გიყვარდეს ცამდე.

შვილო არ მიმტყუნო, კაცად გამეზარდე,
ბოღმას მიუხურე კარი,
სხვისი დარდი შვილო შენად მიიჩნიე,
ამით დაფასდები კაცი.

შვილო არ მიმტყუნო, კაცად გამეზარდე,
ეჩო ნუ იქნები, ხერხად გამოდექი,
შენი სიყვარული ყველას უწილადე,
როცა დაეცემი, შენით წამოდექი.

შვილო არ მიმტყუნო, კაცად გამეზარდე,
ამაგს ნუ ჩამიყრი წყალში,
როცა არ ვიქნები, ციდან ვიკაშკაშებ,
შენ თუ დამიდგები კაცი.

იყიდება საქართველო

მთა-მთა, ხევ-ხევ, ყანა-ყანა, იყიდება საქართველო,
მუხლმოყრილი გევედრები, არ დაუშვა ჩემო ღმერთო.
მინდორ-მინდორ, კლდე-კლდე, ღრე-ღრე, იყიდება საქართველო,
არ დაეცე, არ დანებდე, გამოფხიზლდი ერო-ბერო.

ჭიუხ-ჭიუხ, ჭალა-ჭალა, იყიდება საქართველო,
ხელის გულზე დასატევო, ჩემთვის მაინც ბევრზე ბევრო.
სიმღერ-სიმღერ, ღიმილ-ღიმილ, იყიდება საქართველო,
შენთვის დედებს უგლოვიათ, და რამდენი გმირი ევნო.

ტყე-ტყე, გზა-გზა, შარა-შარა, იყიდება საქართველო,
ვფიქრობ, როგორ შეგაფხიზლო, შინაურო, მტერზე-მტერო.
ბილიკ-ბილიკ, ვენახ-ვენახ, იყიდება საქართველო,
მითხარ, როგორ აგარიდო, ეს ტკივილი - ჩემთვის ღმერთო.

და მაინც...

არაფერს ვინატრებ, შენს გვერდით მამყოფე,
გზადაგზა დაგიკრეფ ლურჯთვალა ღიღილოს,
მზეს ფეხქვეშ გაგიგებ...ხან გაგიწვიმდები,
შენ, ჩემო სუნთქვა და შენ ჩემო ღიმილო.

არაფერს ვინატრებ,შენს კვალზე მატარე,
შენს ჩრდილში ნამზეურ იარებს ვიურვებ,
ფოთლების კვალდაკვალ დღითიდღე ვიცლები,
და მაინც...და მაინც...მხოლოდ შენ გისურვებ.

არაფერს ვინატრებ, ზაფხული გასულა,
უშენოდ ლამაზი ფერებიც გახუნდა,
იწყება წვიმა და იწყება დარდები,
მიდიხარ..და ჩემი ზღაპარიც დასრულდა.

თინა ჯანიბეგაშვილი ფრანგული ენის სპეციალისტი

დაბადების ადგილი ახმეტა

გაზაფხული

როგორც ქალწული ათქვირებული,
ყაყაჩოს ველზე თეთრი ყვავილი,
ისეთი ხიბლით, ისეთი შარმით
შემოფრიალდა წელსაც აპრილი,
ვერ იოკებენ ვნებას მორეულს,
ეხეთქებიან ერთურთს ატმები,
ამ გასაოცარ სილამაზეში
გადავითვალე წლების მარშები...
ჩავლილ ცხოვრების შორ ტრამალებზე
ცამ ჩამოფინა თეთრი მანდილი,
დახავსებულა ყველა ბილიკი,
ისე შორია ახლა მანძილი...
და გენანება ის ერთი დღე და
ის ერთი წუთი, თუნდ ერთი წამი,
როდესაც ხვდები, ფერთა გამაში
აღარ გიღიმის იასამანი...
დროებითია მაინც ყოველი,
მუდმივი-სევდა წარმავლობისა,
ეს ყვავილთცვენაც ისევე მტკივა
როგორც ფოთოლი შემოდგომისა...

გზა უფლისაკენ

მე ჩემი გზა მაქვს, ჩემი გოლგოთა,
უნდა წავიდე, უნდა ვიარო,
რამდენჯერ უნდა ვიშვა ხელახლა,
რამდენჯერ უნდა გარდავიცვალო!
ვერ გავექეცი ქარებს, გრიგალებს,
და დემონების ავხორცულ ხარხარს
ეწირებოდა სული, სხეული,
და ეშლებოდა გუმბათი ტაძარს,
და....მივდიოდი, რადგან მახსოვდა,
რომ გაჩერება ნიშნავს დაცემას,
უნდა გჯეროდეს, უნდა იწამო,
ყოველ სიბნელეს მოსდევს ნათება,
მე ერთი გზა მაქვს-გზა უფლისაკენ,
იქ უნდა ვპოვო სულის სავანე,
რადგან არ მინდა,სხვებმა გადახნან,
ჩემი ახო და ჩემი საყანე,
ეს ჩემი გზაა, ძნელად სავალი,
ჩემი რწმენა და ჩემი ხატება,
უნდა ვიარო, რადგანაც ვიცი,
რომ გაჩერება ნიშნავს დაცემას.

კოპალეობას

დღე მიიწურა ხმაურით,
მზე შუბისტარზე დაჰკიდა,
კოპალეს წმინდა სალოცავს
მთვარის შუქურა დაჰფინა,
ღრეობენ ლაღი ფშავლები,
ფშაურ კაფიის წესითა,
ზოგი ფანდურზე ნამღერით,
ზოგი წაწალზე ლექსითა...
ხუმრობა უყვართ ფშავლებსა,
სიტყვისა არა მრუდება,
შემოსწრებული ხევსური
ვიღაცას ედიდგულება,
ჟიპიტაურის ბოთლები
იქვე,შორ-ახლოს იყრება,
მთელი დღის დაღლილ ხევისბერს
ზეზეურ ჩაეძინება...
ჟრიამულობენ ბალღები
არ უჯერებენ დედებსა,
ქვემოთ არაგვი ხმაურობს,
მოჰყეფს, მოსძახის ქედებსა,
ოხშივარ ასდით ქვაბებსა,
ხორცის შეწირულ მოზვრისა,
ისმევა სადიდებლები
უფლის და მოკეთ-მოყვრისა,
დადუმებულან ფრინველნიც,
ლოდინით დილის ცისკრისა,
რომ სტვენა-სტვენით გვაუწყონ
გამონათება დილისა,
მერე... ვაჟაი ვინატრე,
თავისი ოქროს ქნარითა,
სიტყვას იტყოდა მადლიანს,
სიბრძნით და თადარიგითა,
გათენდა... კოპალეს თავზე
მზემ კვლავ სხივები შეჰყარა,
მერე კი... ვაჟაის დარად,
მეც ვისაუბრე ღმერთთანა...

* * *

ნოემბრის ქარებს მოჰყვება თოვა,
ძახველს მოსწყდება ცრემლის კურცხალი,
მე ის ვიხილე ტოტებდახრილი
და სამძიმარიც ვეღარ ვუთხარი...
ყოფნა- არყოფნის მაწვალებს ფიქრი,
სულის ტკივილებს ბოლომდე ვითმენ,
და ჩემი წილი დარდით, წუხილით,
დღეებს გაცვეთილ სამოსად ვიცმევ ..
სამყარო თავის წესებით გვმართავს,
ცოდვაც და მადლიც კოცონზე იწვის,
იქნება არცა არსებობს ის გზა,
ის გზა,რომელიც ტაძრამდე მიდის,
თუ ეს ასეა, თუ ეს ასეა,
ხელი გამიშვი, ადამიანო,
რომ ამ ცხოვრების ქარტეხილები
მარტოკამ ხოხვით გადავიარო...
თოვას მუსიკა მოჰყვება თითქოს,
კითხვები რჩება კიდევ რამდენი...
და... უნებურად კვლავ მახსენდება
თოვლიან ტყეში მწიფე ძახველი...

* * *

წლები მიდიან
და ჩვენც მივდივართ,
რა შეაჩერებს ჟამთასვლის სევდას,
საბნად ვიფარებ
ჩემ ყველა ტკივილს,
სასთუმალთან კვლავ ლოცულობს დედა...
გარეთ ნოემბრის
თარეშობს ქარი,
დაცვენილ ფოთლებს მოხვეტავს კართან,
რა მოვუხერხო,
ჯერაც არ ვიცი,
სულის სიმშვიდეს- გაცემულს ხარკად...
ბევრი ვიარე,
ცოტა ვიარე,
სიკეთის მთესველს სხვა არც რა მსურდა,
ზოგჯერ ცხოვრება
ისე ამეწვა,
ვით ხელისგულზე დაყრილი ხურდა. ..
უფალი ყველა
ტკივილებს გვაჩვევს,
არ ვიცით,ხვალ რას გვიმზადებს ბედი,
ოღონდაც ქართლის
მწვანე ჯეჯილებს
მუდამ შვენოდეს ყაყაჩო კენტი ...
სილამაზეა,
ცისკარი დილის,
როცა ნათდება ჩემი მამული,
ტყეში ფრინველთა
მღერა- გალობა
და უფლის ჯვარი გარდასახული...
მე დღესაც ჩემ წილ
მოსამკელს ვიმკი,
თუმც ძველებურად ოცნებებს ვბედავ,
საბნად ვიფარებ
სამშობლოს ტკივილს,
სასთუმალთან კვლავ ლოცულობს დედა ...

* * *

ქარი ქრის და ფიქრებიც
მიფრინავენ ქარდაქარ,
ვერ ვიამევ ტკივილებს,
დავატარებ კარდაკარ,

ყველა მინდა მიყვარდეს,
ყველას ვერ ვეყვარები,
ზოგმა ცხვირწინ უხეშად
მომიხურა კარები,

ახლა უფრო მეტი ვარ
სულის სიგრძე- სიგანით,
არც ის მიკვირს,შემხვდი და
თითქოს ვეღარ მიცანი,

როცა ჩემ სიკეთეზე
მთელ ქვეყანას ვახარე,
მერე მივხვდი,რამდენი
მეგობარი დავკარგე,

ცივი არის სამყარო
თავის მკაცრი წესებით,
ფეხზე წამოდგები და
მერე ისევ ეცემი...

ვით ვისტუმროთ ამქვეყნის
ცოდვა- მადლის ვალები,
მე თუ არ შეგიყვარე,
შენ თუ არ გეყვარები..

აირია ამინდი,
მწუხარების ჟამია,
ნეტავ,ნეტავ,როდემდის?
მითხარ,დედავ, მარიამ !

ქარი ქრის და ფიქრებიც
მიფრინავენ ქარდაქარ,
ვერ ვიამევ ტკივილებს,
დავატარებ კარდაკარ...

ცოტა მოგვიანებით...

ნასესხებია,
ჩემო კარგო,ნასესხებია...
გახსოვს? ვამბობდი:
პოეტურია
რაღაც მასში,რაღაც სხვაგვარი"...
ჩაივლის იგიც
და მინდორში ყელმოღერებით
ყაყაჩოები
აჰყვებიან ნიავს თამაშში...
ნასესხებია...
ო,რამდენი გროვდება სულში,
ვითვლი ამინდებს,
იქნებ ჯობდა,დარდი მეთვალა,
ეს აპრილობაც
წავა,თითქოს არცა ყოფილა,
ვერ შევეგუე,არ დამცალდა, რაიც მეწადა...
ალუჩის ტოტზე
ისევ მღერის ჩიტი ნიბლია,
ყვავილები კი
ფრიალ- ფრიალ მიდიან ცაში,
ნასესხებია,
ჩემო კარგო,ნასესხებია....
რაღაც პოეტურს,
ამაღლებულს ვხედავ მე მასში....

მე დავბრუნდები...

მე დავბრუნდები ათას წლის მერეც,
რომ არ არსებობს გარდაცვალება,
მე დასასრული არასდროს მიყვარს,
ის ჩემთვის არის ფერისცვალება,
მე დავბრუნდები რწმენით,ღიმილით,
რადგან აქ არის ჩემი საუფლო,
და ეს მოხდება აპრილობისას,
რომ გაზაფხულის მოსვლა გაუწყო,
და შენაც,მზეო,სხივებნათელო,
შენ,ოცნებების ლამაზო ცაო,
მე დასაკარგი არაფერი მაქვს,
არ ავსებულა ჩემი საწყაო,
ეს საწყაოა სიყვარულისა,
ეს საწყაოა სიკეთის,მადლის,
ამ წუთისოფლის ორომტრიალში,
დრო ისედაც ხომ სისწრაფით გადის,
ოღონდ მანამდე,ოღონდ მანამდე,
ღმერთო მაღალო,მომეცი ძალი,
ისე მაცხოვრე ამ ქვეყანაზე
გადაუხდელი არ გამყვეს ვალი...
მე დავბრუნდები ათას წლის მერე,
მოვალ სიმღერით,ღიმილის ერთი,
თან მოვიყოლებ აპრილის ფერებს,
რომ უკვდავების იწამო ღმერთი!

სიშორე

სიშორეს დიდი აქვს შარაგზა,
სიყვარულს-სულ ერთი მტკაველი,
რამდენჯერ ვეცადე,ვერ გითხარ,
სათქმელი,გულ-ჯავრად ნადები,
ახლა აქ ქარები დაქრიან,
ქალი ვარ,ბევრი მაქვს წადილი,
თუმც სულში სიცივე თარეშობს,
თუმცა კი შორია მანძილი,
ქარია,იქროლებს,მოვა კვლავ,
სურვილებს ღიმილით მოვირთავ,
ეს ისე,უბრალოდ,რა მოხდა,
შორიდან შენს ამბებს მომიტანს...
ისეთი ცივია ამინდი,
ფიქრებმა გაშალეს კარვები...
სიშორეს დიდი აქვს შარაგზა,
სიყვარულს-სულ ერთი მტკაველი...

მე მეშინია...

მე მეშინია იმ ერთი დღის და
იმ ერთი წუთის,
თუნდ ერთი წამის,
როცა სულერთი გახდება ჩემთვის
ჩაცმა, არ ჩაცმა ლამაზი კაბის...
მე მეშინია იმ ერთი დღისა
იმ ერთი წუთის,
თუნდ ერთი წამის,
ქუჩაში ჩემ ძველ
მეგობრებს შევხვდე
ვერ გავუსწორო
სირცხვილით თვალი....
მე მეშინია იმ ერთი დღისა,
პირველთოვლობა როდესაც მოვა,
არ გამახსენდეს
შენგან ნასროლი
ის ერთი გუნდა
,გიყვარდი როცა....
მე მეშინია
იმ ერთი დღისა,
ესეც სულერთი იქნება,ვიცი,
რა დამიამებს სულს ატკიებულს
ატმის კვირტი,თუ სიმღერა ფიფქის...
მე მეშინია
იმ ერთი დღისა,
ო, მეშინია იმ ერთი წუთის,
როცა მივხვდები,რომ ცხოვრებაში
ყველა ოცნება ყოფილა ფუჭი...
მე მეშინია ყველაზე მეტად
გზის გასაყარზე
შევხვდებით როცა,
მშვიდობას ვეტყვით ერთურთს
და ბოლოს,
ღვთის სადიდებლად
აღვავლენთ ლოცვას...
მანამდე ღმერთო,
მანამდე ღმერთო,
მე როგორც დედა,
ბებია, ქალი,
ისე მაცხოვრე ამ ქვეყანაზე,
არ გამაყოლო არავის ვალი....

* * *

სულ მცირე იყო,
სულ პატარა,
სამოსახლო სიყვარულისა-
-საუფლო ჩვენი,
ვერ დავეტიეთ...
იქნება კარგო,
არცა ყოფილა
და ის თვითონ გამოვიგონე,
სავალალოდ თუ
საბედნიეროდ...
რამეთუ შემდგომ,
ჩემს ხილვებში,
ყაყაჩოთა ჩამქრალ ველებში,
ფოთოლცვენისას,
თუ თოვლობისას,
გამოღწეულს იმ ქარტეხილებს,
მოგეძებნე და ჩემს გასაოცრად
ერთხელ კიდევ
გეთქვა: " მიყვარხარ! "....
რომ მცირე იყო,
სულ პატარა,
სამოსახლო სიყვარულისა-,
-საუფლო ჩვენი,
ვერ დავეტიეთ...

არის ასეთი წუთებიც....

ვიღაც ძველებურ ბაიათს მღერის,
ვიღაც გარდასულ დღეებზე ტირის,
ვიღაცას სცივა,ვიღაცას სტკივა,
ვიღაცა მოდის, ვიღაცა მიდის....
ვიღაც წვალებით მიათრევს ჭაპანს,
ვიღაცას მუდამ უყვავის ვარდი
ყველაფრის ბოლო მაინც ერთია,
გამინაპირებს ალბათ ეს დარდი....
ქვიშიან ნაპირს ასკდება ტალღა,
საღამოს ბინდი...მზე ძლივსღა მოჩანს,
და მეჩვენება, სადღაც შორიდან,
თითქოს საჩემოდ უკრავენ მოცარტს....
ოო,თუ ღმერთი გწამთ, ნურაფერს მეტყვით,
ხომ სულერთია, ვერაფერს შევცვლით,
დასასრულია ყველაფრის ბოლო,
(ნურც დასასრულზე ნურაფერს მეტყვით)
ვიცი,ერთხელაც ჩამოჰკრავს ჟამი,
სხვას რას გვიქადის ბედი მუხთალი?
შენ რაღა გინდა,ცაო,რად სტირი,
რად დაგეკიდა ცრემლის კურცხალი?
ვერ გავექცევით უფლის განაჩენს
და აღსასრულიც კარებთან გვიცდის,
ოო,რამდენი მრჩება სათქმელი,
ეს უთქმელობა ყველაფრად მიღირს...
ვიღაც ძველებურ ბაიათს მღერის,
ვიღაცა წარსულ დღეებზე ტირის...

ამ ლექსს,როგორც ანდერძს, ვუტოვებ ჩემ ხუთ შვილიშვილს

შეხედეთ ამ მზეს და ლაჟვარდებს ზეცაში,
კლდეებზე მთებიდან მოხეთქილ ჩანჩქერებს,
უსმინეთ არწივთა კივილს და შეძახილს,
ნუ შეუშინდებით ზვავებს და ნამქერებს,
უსმინეთ,ფრინველნი რარიგად გალობენ,
რაშები შარაგზას კეჭნიან ტორებით,
ახედეთ იმ ქედებს,იქ სადაც ოდესღაც
მიჯაჭვულ ამირანს ებრძოდნენ ყორნები,
უსმინეთ წინაპართ სევდიან სიმღერებს,
ის გულის გმინვაა,ცრემლებით გამთბარი,
დღეს თქვენი ჯერია,თქვენ უნდა გასწიოთ
სამშობლოს ღირსების ეს მძიმე ჭაპანი,
თქვენია ეს მიწა,მრავალჯერ ნაოხრი,
სისხლით და ღალატით რომ რწყავდა მტარვალი,
ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ხართ შვილები,
სამშობლო გიყვარდეთ-ესაა მთავარი,
იარეთ წინ დიდი მოგელით სავალი,
ეს თქვენი ვალი და ეს თქვენი ლელოა,
ჰეი,თქვენ ალგეთის გრძელკანჭა ლეკვებო,
გახსოვდეთ,სამშობლო-ეს საქართველოა!

მირანდა ზაბახიძე ფილოლოგი
დაბადების ადგილი ზესტაფონი

ამაოდ თვლემდა დროება კარგო

ამაოდ თვლემდა დროება კარგო,
ვეღარ შევძლებდით ერთი გზით დენას.
ოცნებები და ნაფიქრი ჩემი,
მჯერა არასდროს იქცევა შენად.

ცხოვრებას სულ ხვა ჰანგები ქმნიან,
დროებას კიდევ, სულ სხვა ფერები.
ერთნი ხარობენ წუთისოფელით,
ერთნი სავსეა ბევრი იჭვებით.

არსებობაა, უწყვეტი ბრძოლა,
ლუჯი ზეცა და სინათლე ჭარბი.
მომეკიდება ხანდახან ძრწოლა,
სულს მიფრიალებს ქარები ავდრის.

უცვლელ სიყვარულს ვერ ნახავთ ვერსად,
არც მისმენია აროდეს სხვების.
შემთხვევითობა-და მაშინ ხედავ,
კვლავ სცილდებიან ერთმანეთს გზები.

მე მოვალ დავიცდი იქამდე

მე მოვალ, დავიცდი იქამდე,
ფხიზელი ვხვდებოდე ალიონს.
ნეტავი ასე რად დამჩემდი,
მერე თუნდ დრომ ხელი დამრიოს.

სიყვარულს გავუღებ დარაბებს,
სიცოცხლე დავიწყე ახლახანს.
ზოგჯერ კი მთვრალივით დავდივარ,
აღარ მსურს სამოთხის დაკარგვა.

მიწვევენ ივნისის დარები,
მიწისგულს მუხლებით ვეხები.
გრძნობები მაწვება აშარად,
მგონია ცას ხელით შევწვდები.

დროდადრო მინდება შლეგივით,
სიკვდილი სიცოცხლედ გარდავქმნა.
ყველაზე ცოდვილი სულდგმური,
სამოთხის ბჭესთან რომ მანახა.

რაღაც აკლია

რაღაც აკლია ამ სინამდვილეს...
ანთებს, კვლავ ანთებს ფერებს გოგენი,
კვლავ უხმობს სული უცხო ნაპირებს,
ისევ დაეძებს კაცს დიოგენი,

ებრძვის, კვლავ ებრძვის ღმერთს გილგამეში,
ეძებენ ფრთებს და ფრთებს ოცნებები.
და ვარსკვლავებით სავსე ღამეში
ჰქრიან და ჰქრიან ლურჯა ცხენები.

ისევ მიხმობენ ძველ საძირკველთან

რაც კი მიყვარდა სულით და გულით,
რაც უკვე ვიცი ისპობა ჩემთან.
გიჟურ ოცნებით გატაცებული,
ისევ მიხმობენ ძველ საძირკველთან.

ბრბოსგან დაშლილი წმინდა ტაძარი,
გზა თვალუწვდენი, მეტად საზარი.
ყვირის სიჩუმე სამარის მსგავსი,
უდაბნო მშრალი,უზარმაზარი.

ცის სილაჟვარდე უღრუბლო ზეცა,
ზღვა ოცნებები, ჟამი წინარე.
ისე დამსეტყვა უგულო ზეცამ,
აღარ მჯეროდა რაც კი ვიწამე.

ჰე,ჩემო თავო ანდა რად დარდობ,
ვერ გამთელდები ეს გზა რთულია.
რამდენიც არის ამ ქვეყნად ჭირი,
იქვე იმდენი გაზაფხულია.

გაზაფხულია, სულის სიმშვიდემ,
წამს დაიხურა მშვენების თალხი.
მკაცრ სიჩუმეში სილუეტს ვსახავ,
ჩემს თვალებში დგას ბავშვობის სახლი.

ბავშვობის ნატვრა ყოველთვის ხდება,
არც ეს სიტყვები იქნება დიდი.
მხოლოდ შენ ჩაწერ, შენვე დაკეცავ,
მე მას დავარქვი სიცოცხლის წიგნი.

ჩემს მონაფერებ ეზო-კარს ველი,
აქ სხვა პატარა დაიდებს ბინას.
ცა მომიხატავს მე ვარდისფერი,
ჩემთან ეზოში ბავშვობას სძინავს.

ვაზის ნასხლავიდან ჯვარს ვთლი

ვაზის ნასხლავიდან ჯვარს ვთლი
ცრემლი წამოუვა ღეროს,
მე რომ რწმენა გულში ვთესე
ფუჭად დაკარგვისთვის ვერ ვთმობ.

ცრემლებს შეუშრობენ თმებით
ნაწნავს შემოახვევს ჭიგოს,
ქართლის ასულები მზერით
თითქოს მიჰგავნანო ნინოს.

რად არ გაიღიმებს ერთხანს
ღიმილს არ გადაჰკრავს სახეს,
თითქოს მოგვაგონებს მეტად
ქართველ მარიამის მსგავსებს.

დედის ნაღიღინებ ნანას
სულში ჩავიწვეთებ სიტკბოდ.
ჩემი გადარგული ნერგი
ისევ სიყვარულს რომ ითხოვს.

მზისგან ნაჯეჯილებ მარცვალს
ჩემი სამშობლო რომ მიცხობს.
მადლით დაცვარული პური
ყველას ამყოფეო მიხმობს.

თვალზე ჩამოღვენთილ ცრემლებს
ნენე მალულად რომ იშრობს.
კალთით იწმინდავს და მერე
გზასაც სალოცავად მითმობს.

გულში ასე როგორ მალა
რწმენა მისი გენის, ძარღვის.
უფლის ხატებისკენ სწრაფვა
არსად შეუცვლია არგზით.

ძალას ვკარგავ და შენგან მინდა სისხლის გადასხმა

ახლა ხომ ხვდები, როგორ მიჭირს ისევ უშენოდ,
თვალები გეძებს, ჩვენს გაკვალულ გზებზეც ვერ ვდგები.
თუკი მტოვებდი, რად გამწირე ასე უღმერთოდ,
ჩაგისახლდი და შენს წიაღში მიდგას ფესვები.

მომენატრე და ღმერთს ვევედრე თავშესაფარი,
ოთახის კედლებს, შენი ხსოვნის ფიქრები ათბობს.
შეგიყვარე და ახლა გავხდი თითქოს სხვაგვარი,
თითქოს მივგავდი ცის ანგელოზს ზეცაში ნამყოფს.

გადარეულან სიავეთა შავი ფერები,
ისე ბობოქრობს ჯოჯოხეთში დარჩენას ლამობს.
ჯვარის მტვირთველად ვერ გამოვდექ,ვერ გავუძელი,
ხელი გამეშვა, შენზე არა, ჩემს თავზე ვბრაზობ.

ზეცა ბედია, დედამიწა ჩემი სამჭედლო,
და მის ლურჯ თაღზე მსურს დავწერო ჩვენი კანტატა.
რა უფლება მაქვს, სიყვარულზე სიტყვა გავბედო,
ძალას ვკარგავ და შენგან მინდა სისხლის გადასხმა.

ნაცნობი ეშაფოტი

მოინახულებს გული ახლაც ნაცნობ ეშაფოტს,
ზედაზნის ჯვარზე ზარს დარეკენ ცისკრის ზარები.
შენ ჩემო თავო, ახლა ვიცი როგორ გეწამლო,
ლამაზ ზღაპრებად ფეხს აიდგამს ძველი ამბები.

ხავსმოდებული კედლებიდან ვუმზერ ჰოროზონტს,
და თითქოს წლებში გადავალ და დავიკარგები.
აბჯრად ავისხამ ჩემს ლექსებს და ბოლოც მომიღონ,
საგზლად მეყოფა საზვერეში გადასახდელი.

ღმერთო, დამეხსენ!

ღმერთო, დამეხსენ აღსასრულთან დავდევი ზავი,
არა, აღარ მსურს დედამიწის ფერხულს მივსდიო.
ვეღარ ვარჩიე წუთისოფლად თეთრი და შავი,
მსურს ევასავით ტკივილები ახლად ვიწვნიო.

დედამიწიდან ჩამავალი მგზავრი ვარ ქვესკნელს,
თქვენვე გიტოვებთ უფერულ ცას, კაენს, სიპიონს.
სხვა ფერად ვიქეც, სხვა წიაღში მივგავარ შემსვლელს,
გამთენიისას გზად დავტოვებ ცისფერ ალიონს.

სულის სამოსლად შევიმოსავ მზისფერ ქიმერებს,
სხეულს ჩავატან მიწის ქერქს და მტვარადაც მაქციოს.
ღმერთო, დამეხსენ აღასასრულათან ობლად აღმკვეცე,
სხეულს ბორკილად ვერ გავუძლებ კვლავ რომ ვამსხვრიო.

მაწვალებს ჩემი არსებობა

მაწვალებს ჩემი არსებობა ამ მზისქვეშეთში,
უცხოდ დავდივარ დევნილივით თქვენთანვე ახლოს.
ჩამოვარდნილი ცის ცვარივით ნამს მოყოლილი,
ჩემში ყოველი დაბადება უვადოდ სახლობს.

სიცოცხლე მტკივა, არ გეგონო ვერ დამტეველი,
ლანდებს დავყვები მიუსაფარ ქვეყნებში ნამყოფს.
ხელთ ჩამიგდებენ, ჩამძირავენ, ისევ მკიცხავენ,
ყველა ჩემს სათქმელს, უჩვეულოდ ეს ლექსი ამობობს.

უცნაურად ჟღერს ეს სიტყვები?!
მაგრამ რა მერე,
ეს ქარის ქროლვაც, რამდენნაირ სიცოცხლეს მაქსოვს.
გაყიდული ვარ, არ ვიოცებ, აღარც ვიკვირვებ,
თავს ვეღარ ვაღწევ უცხოობის მტკივნეულ ამბორს.

გულით რომ გიყვარს და ცამდის

ქართან საუბარი მიყვარს,
ცაზე ვარსკვლავების ვალსი.
წლები გასულა და თურმე,
ვხვდები ისევ ბავშვად დავრჩი.

გულსაც გაუძლია კარგად,
სულის სიჯიუტით დაღლილს.
ლოცვაც მომდებია წამლად,
ფიქრებს ვერაფერი აშლის.

ჩუმად მივყვებოდი დღეებს,
თითქოს ფეხაკრებით,კრძალვით.
ყველას ვურიგებდი ფერებს,
შავ-თეთრ ცხოვრებისგან დაღლილთ.

ახლაც ასე მინდა დავრჩე,
ჩემდა სანუგეშოდ თავის.
მინდა იმ ბავშვობის მწამდეს,
გულით რომ გიყვარს და ცამდის.

ცა ოცნებებად მექცა

ცა ოცნებებად მექცა,
ზეცამ მაჩუქა ფრთები.
მთვარემ სიმღერად მიხმო,
მზე სიყვარულით მელის.

ხანდახან ასე ვფიქრობ,
ჩემი მთაც და გზებიც.
სხვას რას ვინატრებ აბა,
გედის ნამღერით ვკვდები.

სხვა იმედები დამაქვს,
სხვა გაზაფხულებს ველი.
სხვას ვოცნებობდი მუდამ,
სულ სხვა მხიბლავდა ბედი.

მე შევიყვარე ფიქრი,
მე შეიყვარე სხვებიც.
სულ სხვა ვიყავი უწინ,
ახლა კი სულ სხვა ვხდები.

ფეხზე ვდგები და ვიღიმები, არაფერია!

დავიმახსოვრე ჩემი სულის ყველა კუნჭული,
სხეული ახლა ისე მძიმე, ისე სველია.
თითქოს მიწიდან ამოვგლიჯე ყველა წუხილი,
თითქოს აქ ყოფნა, არასოდეს არ შემხებია.

დავიმახსოვრე, როგორ ჰყოფდა შური სამყაროს,
დავიმახსოვრე, რა წესებით სუნთქვა გვჩვევია.
დედამიწაზე გაუმართავს ეშმაკს ფერხული,
და ერთმანეთის სიყვარული გადაგვჩვევია.

ამოვისუნთქე, მიველურსმე თითქოს ხელებით,
ყველა ტკივილი ჯვარცმასავით რომ გვამჩნევია.
არადა ვითომ არ მყოფნიდეს როცა ვეცემი,
ფეხზე ვდგები და ვიღიმები, არაფერია.

ატმების ბაღში

მე ყველაფერში ვხედავ ჩემეულს,
სამყაროს ვქარგავ გონების თვალით.
არ დამაფიქრებს, არ გამოცებს,
გარეშე პირთა აზრები მცდარი.
მე ჩემეული ზმანებით ვცხოვრობ,
როგორც ბეღურა ატმების ბაღში.
არ ვენდურები, არ ვექიშპები,
ისეთი მიყვარს როგორიც არის.
ზოგჯერ ბავშვივით ძალზედ ვჯიუტობ,
აღმართს მივყვები დაღმართზე მდგარი,
გზებზე ეკლებიც ხშირად მესობა,
ქარის წისქვილთან მებრძოლი მგზავრის.
მე, ვარდისფერი გაელვება ვარ
არ ვარ უფერო არა ვარ მკვდარი.
ზოგჯერ სიცოცხლე შემომახურვებს,
სისხლს ამიდუღებს ძარღვებში დაღლილს.
არა, მე უფრო სიტყვებით ვცხოვრობ
გავაფერადებ სამყაროს წამში.
მე, სხვანაირი სიცოცხლე მხიბლავს,
როგორც ბეღურა, ატმების ბაღში

მე გადმოვდივარ შენთან ალავერდს

როგორც გარედან
ვაზი ან სურო,
რარიგ ლამაზად
ეხვევა თხმელას.
შიგნიდან ისე
მეხვევი სულო,
შიგ იფოთლები და
ჩუმად ღელავ.

კვლავ განთიადის
 გრილი ხანძარი,
როგორც ბუნების
ხმა იდუმალი.
ბედნიერებას
ისე მაძალებს,
თითქოს ოდესმე
მეთქვას უარი.

სიკვდილზე ვდარდობ
არა იმიტომ,
რომ წყალს ვერ დავლევ
ან თუნდაც ღვინოს.
არც იმიტომ, რომ არ შემეძლება
გზაზე სიმღერა წავიღიღინო.

მე ასე მესმის
დარდი და სევდა.
მე სიყვარული
ამგვარად მესმის.
და, გთხოვ, ძალიან არ დამიძრახო
ეს ჩემი გულის ამონაკვნესი.

და შენც,
მომავლის დღეთა მფლობელო,
აჟღერებული ზეცა გფარავდეს.
აჰა, მიიღე,
ჩემი სიცოცხლე
მე გადმოვდივარ შენთან ალავერდს.

კახა გორგაძე

დაბადების ადგილი თბილისი

„ქარი მზის ალში„

დავინახე, მზის ალებში გახვეული ქარი ალმად,
ცის ნაღვათი გადმოღვარა, მზის ნაფერმა ღვთიურ კალმად,
ქართა მასა ფრთებ გაშლილი მიებარა ზეცის სხივებს
საუცხოო ნაამბორით, მწამს ალები, მეც მიშვილებს.

დახვეული გრაგნილები, ფრთებით ქარებს დაემონა
ალთა დიდი ფერ ალამი, მზის ნარ ნარებს ჩაეკონა.
მზის სხივებით გაფოთლილი გავეშურე იმ გრაგალში,
სადაც ქართა დიდი დასი, დავინახე სხივ გაშლილი.

რა კარგია, როცა სულში საამოდ გრძნობ იმ ნაზ ნარებს,
რაც აკვნიდან მზის მანდილი, მზის თაიგულს, ფრთით გატარებს.
ციურ ქარმა იქ, ციაგში გადაჰქროლა, გადმოჰქროლა
და მეც სულით ავმღელვარდი, ამიყოლა ცათა ფლორამ.

დავინახე, დავინახე მზის სხივები ქართა ალში,
მზის ნაღვათი გადმოღვარა, ციურ ფლორამ, ღვთიურ ალში.
დავინახე და ვიწამე მზის სხივები ქარში ალმად,
არ მომაკლო, გთხოვ უფალო, მე მუზები ციურ კალმად.

* * *

წრფელი რითმების მზეთა დინება
ციდან ფრთებივით მოედინება,
ღმერთმა დიადმა ასე ინება,
სურნელი მზისა, ზღვებს ეფინება.

„სერაფიმი„

სერაფიმი გუმბათს ხატავს
ლაჟვარდთა ცას აფერმკრთალებს,
მის ლამაზ ფრთას ალში ნავალს
მოაქვს დარი, სინარნარე.

თითებ შუა მუქი ფუნჯი
შორ სამყაროს ისე სახავს,
როგორც ახლა ჩემს წინ ლურჯი
ვარსკვლავები ალთა ასხმას.

ფუნჯი არის ის მანდილი
რაც სავსეა ცის ნაფრქვევით,
მასში არის ფრთა გაშლილი
გადმოღვრილი მზის ნაფერით.

კვლავ ელვარებს მუქი სხივი
და ჩაუცვამს ჩუმად ფარჩა,
ფარჩაშია მზის მანდილი
ძლიერ მიყვარს მასში დანთქმა.

მე მაოცებს ეს ორგია
ცაც ვერ იტევს ზღვას,მწვერვალებს,
სამყაროში სულ ომია
მაგრამ მე სულს მას ვაბარებ

მას ვაბარებ, ვისშიც ლოცვის
ხმები ისმის სანუკვარი,
ანგელოზი მადლმოსილი
გადმოფრინდა მზის ამალით.

"ო ფ ე ლ ი ა"

მე ლექსებს ვწერდი, ქარებში ვმღერდი
და დიდ ტალღებში ვშლიდი იალქნებს,
ისე ავეშვი ზღვის ლამაზ ფრთებში,
რომ თაიგულებს, ზღვებშიც მივაგნე.

თავი მივანდე ჩემს "ოფელიას„
და შევეყარე ზღვაზე იმ ნათელს,
ვისშიც მუზები სხივად მელიან,
ზემოდან ვიცი, სულში ინათებს.

„პ ო ე ტ ი„

განა რათ გინდა გერქვას პოეტი,
თუ განღმრთობანდე ვერ მიგყავს ლექსი?
ხორცისგან განყრას ვერც კი ჰპოვებდი
თუ არ იგრძნობდი, მზეთა ალს ცეცხლში.

მადლია ღვთისგან ის სტრიქონები
მუზათ რომ მოდის ციდან მელანით,
მინდა ვიხილო მზით ნაბოძები
გაცოცხლებული „ლურჯი მერანი„.

უბიწო მთვარე

რა საოცრებით ანათებს მთვარე
ქალწულებრივი გამონათებით,
მის ლამაზ ფერში ნარნარებს ღამე
და ლაჟვარდების მოაქვს დარები.

მასთან შეხება მინდება ძლიერ
მინდება,რადგან წმინდაა დიდად,
თუ შევეხები შეიცვლის იერს
და უცაბედად იწვიმებს ციდან.

ვინ გაუბედავს კოცნას უბიწოს
თუ სულში მისებრ არ აქვ სიწმინდე?
ვერ დაივანებს მასში უღირსო
რადგან ცას მიწა,ვერ შეითვისებს.

სინორჩოეების ფერთა სიდინჯე
მე ძლიერ მიყვარს და ძლიერ მატკბობს.
მინდა ახლოში,მასთან მივიდე,
მაგრამ ამისთვის,სხეული არ მთმობს.

სხივს,აალებულს მთვარის წიაღში
არ შეხვედრია,ალბათ საბედო,
ანათებს მთვარე დიდი ტრფიალით,
დე,მასთან მისვლა,ვერვინ გაბედოს.

* * *

მე შევეყარე ზღვაზე "ლენორას"
ვისი ხსნებაც უყვარდა "ტერენტს",
გადაიფრინა სულში დემონმა,
დამადემონა და ლექსებს აქ ვწერ.

მაგრამ მიჯნურად მყავს ოფელია,
ვისშიც სიზმრების არის მაგია,
მუზები ვიცი სულ მომელიან,
მზის გიგანტები,ზღვებზეც დაჰქრიან.

"ზეცის ციალი"

(რომეოს და ჯულიეტას ხსოვნას)

ამბავი ძველი,ცეცხლივით მწველი
იმ ორი ბავშვის ცად რომ გაფრინდა,
ზამბახთა მსგავსი მოლურჯო ცრემლი
მზის ციალივით ზეცად გაბრწყინდა.

დაისის მსგავსი გაჩნდა ციაგი
ტბაზე გაცურდა,ვით ნაზი გედი,
ცაში გაფრინდა ოქროს ციალი
იქ,სივრცეებში იპოვნა ბედი..

ეს ის მნათია,ის ნაზი სხივი
წეღან სამარხში რომ დაიძინა
და სასთუმალთან,ვნების წიაღში
ლურჯი სხივები მკერდთ დაიფინა..

ვნებათა ღელვით აღივსო ღამე
ზამბახს,ზამბახი გადაეკონა,
ცაზე გაცურდა მოლურჯო მთვარე
ლურჯ სხივებს ზეცა კვლავ დაემონა.

კაპულეტის და მონტეგოს გვარი
მუდამ სადავე მტრობის და შუღლის
გახდა მხილველი,შემსწრე იმ ამბის
რამაც გაალღო ცა,ძველი შურის.

* * *

მოკვდავი,თუმცა სულით უკვდავი,
პოეზიისკენ მიილტვის მუდამ,
მე დღეს სიზმარში გედებს ვუთხარი
რომ გადავცურავ ზღვასა და ურვას,

სულს გაფრენა ხომ ზეცად სწადია,
სადაც ფერები მელნისა არის,
მე სანუგეშოდ ცა მაბადია
და ლაჟვარდიდან,მიმღერის ქნარი.

მთვარე მზის წიაღში

მზის კალთებში გასრიალდა მთვარე
წაიყოლა ცაში არემარე,
გადაიცვა ლურჯი ფერი მუზამ
და ამ მუზამ,ზღვაც კი დაამუნჯა,.

ლაჟვარდებში გარეული ღამე
ალავერდით შეეგება მთვარეს,
ამ მთვარეში არეულა ფერი
ლაჟვარდებში,მზისგან მონაფერი.

მოცურავე დავინახე გედი
ანგელოზის ჰქონდა ნაზი ფრთები
და ვიცანი ანარეკლი მზისა
მზისა,რამაც ცაც კი გაამზისა.

მთვარეშია გარეული ღამე
ამ ღამეში განვვლე არემარე
და ვიგრძენი საიდუმლო მთვარის,
მთვარის,რაშიც მზის ალამი არის.

"მუზების ხმა„

მზე ტყის ნაზ ხედებს ალისფრად მოსავს,
ზეცის სხივები,აფერებს მგოსანს.
ცა შეღებილა უცხო ფერებათ
სერაფიმის ფრთა,მართავს,მეფერება.

და თუ არ იცი,რას ნიშნავს როცა,
მუზა სხივით გაფერებს,გმორჩავს,
მაშ რად მიიჩნევ უმწეოდ პოეტს?
მის იდუმალ სულს,იქ,ცად თუ ჰპოვებ.

გრილ ნიავქარმა გადაირია
და ჩაიარა,ქარმა ფრთიანმა,
ეს არის მუზა ცამდე აწვდილი
მის ხმაში ვცანი,ფრთა სერაფიმის.

არის ძახილი,დიდი ძახილი
მზის ციალიდან გადმოძახილი
და თუ დაუგდებ ყურს,მუზას ჰპოვებ,
გრიგალი ახლავს,სულ მუდამ პოეტს.

„ის ჩვენთვის იშვა„

ლაჟვარდთა ფერში ზურმუხტთა ფრთით აალდა სხივი
და ანარეკლი„,ძე ღმერთისა„ ბაგაში იშვი„
განდიდებული ღვთის სადარი,იქეცი ხორცად
სხივად მოხვედი,სიბნელეში ვიდოდით როცა.

სნეული იყო თითქმის ყველა,ადამის მოდგმა
და სნეულებში გაერიე ღვთის შვილი ხორცად,
განღრმთომა მოხდა მადლით შენით,ხორცისა ჩვენის
ხრწნაც კი აქციე უხრწნელობად, ალამი გშვენის.

მსურს განგადიდოთ ღვთის სადარი,მზისა და ცისა,
შენ მხსნელი გქვია,სიცოცხლე ვინც კაცთათვის მისცა,
გადმოიღვარა ციდან მიწას ნაღვათი სხივის
და ამ ნაღვათით დაიბადე,ბაგაში ჩვილი.

ოთარ რურუა სამართალმცოდნე
დაბადების ადგილი ფოთი

დიდება გმირებს!

ჩემთვის გმირია ბერი თევდორე,
ვაქებ ცოტნეს და ბაგრატიონებს,
ვარ იმ გმირების თანამედროვე,
აფხაზეთში რომ მაგრად იომეს.

ჩემთვის გმირია მერაბ კოსტავა,
სამშობლოსათვის ნამსახურია,
ზვიადს მამულის მადლი მოსავდა,
ნათელში იყოს გამსახურდია.

ახლა შარტავაც უნდა ვახსენო
და მასთან ერთად გაბესკირიაც,
მათ სანთლებს ვუნთებ, სანამ ვარსებობ,
წყალობას შევსთხოვ: ნანას, მირიანს.

დედა ქეთევანს - კახთა დედოფალს
ვუქებ სიმტკიცეს, რწმენას, მოდგმასაც,
წრფელი მადლობა ყველა ეპოქას,
გუბაზს, ფარნავაზს, ვახტანგ გორგასალს.

მე მოწამეთას მიწაზე ვდგევარ,
სული ტრიალებს არგვეთელ ძმების,
მათ არ სჩვევიათ უკან დახევა
და ქარქაშებში ჩაგება ხმლების.

იყო შინდისი, ცხრა აპრილი და
იყო წლების წინ ბრძოლა ტამიშის,
დღეს ჩემშიც ცოცხლობს ყველა გმირი და
ქვეყნის სიყვარულს ვერვინ დამიშლის.

ფეხზე ვუდგები სამას არაგველს,
მარაბდის ველზე დაცემულ ცხრა ძმას,
დედა ღვთისმშობლის კალთა ჰფარავდეს
ამ საქართველოს - სალოცავ ტაძარს.

არ შემიძლია - მეც არ ვახსენო
სააკაძეთა გვარი, ბუნება,
ჩვენი ქვეყანა დღეს რომ არსებობს,
არის იმათი დამსახურებაც.

ქართველი თუ ხარ, არ გქონდეს შიში,
შეინარჩუნე შენი ზნეობა,
დღემდე მაოცებს მხარგრძელთა ჯიში,
ახალციხელთა მხიბლავს მხნეობა.

მტკივა ობლობა ვაჟას შვლის ნუკრის,
წყაროს წყალს ვასმევთ ქორბუდა ირმებს...
ვიდრე ჩაქრება თვალებში შუქი,
თავს ვხრი და ვამბობ: დიდება გმირებს!

რა დამავიწყებს პირველ სიყვარულს

გადაივლიან შავი ღრუბლები
და გამოჩნდება ცაზე ირისე,
მე სიყვარულზე ვესაუბრები
ყველა ფოთელს და ყველა თბილისელს.

რა დამავიწყებს პირველ სიყვარულს,
რამ დამავიწყოს ლამაზი ანა!
ვიზიარებდით ჭირს და სიხარულს,
გვტკივა ხახული, ოშკი და ბანა!

მსურს თბილი კერა უფრო გავათბო,
სხვა საქართველო არსად მეგულვის,
მიწის სურნელმა ისე დამათრო,
ვით ეშხმა ჩემი შეყვარებულის.

კარგი რამ არის ახალგაზრდობა,
მწვავს სიყვარულის უშრეტი ცეცხლი,
თუმც მოვიტოვე უკან ბავშვობა,
გულს კვლავ მიხარებს ჭიკჭიკი მერცხლის.

გადაივლიან შავი ღრუბლები
და გამოჩნდება ცაზე ირისე,
მე წრფელ გრძნობაზე ვესაუბრები
ყველა ფოთელს და ყველა თბილისელს.

რა დამავიწყებს პირველ სიყვარულს,
ვერც დავივიწყებ იმ ლამაზ ანას!
ვიზიარებდით ჭირს და სიხარულს,
ქართველ დედების ვისმენდით ნანას!

ეჰ, ბედისწერა! ერთურთს დავშორდით,
თუმც ჩემი ბაგე კვლავ იკოცნება!
სველ ტანსაცმელებს მზეზე ვაშრობდით
და ვიღვრებოდით ქარში კოცნებად!

ისევ მივყვები ძნელად სავალ გზებს,
მაგრამ ღია მაქვს გულის კარები...
ვიდრე ვარსებობ ამ ქვეყანაზე,
მეც მიზიდავენ ლამაზმანები.

ჩემს წინ შეიხსნა ქალმა საკინძე

ჩემს წინ შეიხსნა ქალმა საკინძე,
შორენაა თუ ვარდისახარი?!
მივჩერებივარ, ვით არსაკიძე,
ვგრძნობ: მიქარწყლდება დარდი - სახადი!

ვხედავ იმ ქალის შეხსნილ საკინძეს,
მას სავსე მკერდი მიუგავს მთვარეს...
და ისე ვაქებ, ვით არსაკიძეს,
ანდა შორენას შვლის ნუკრის თვალებს.

ჰეი, მწყურია მდედრის ალერსი,
როგორც მთის წყალი დაჭრილ ირმის ჯოგს...
სიყვარულისთვის მინდა ავლესო
ხმალი... მის ღალატს სიკვდილი მიჯობს...

გავჩენილიყავ ნეტავ ძველ დროში,
მე ამ ქვეყანას მთლიანს ვნახავდი!
მინდა ვიცხოვრო საქართველოში
და მოვიხადო ჩემი სახადი!

მე ეს თვალები სადღაც მინახავს

მე ეს თვალები სადღაც მინახავს,
არ მავიწყდება ერთხელ ნახული,
ნეტავ ასეთი რა ხარ, ვინა ხარ,
მაოცებ, როგორც ოშკი, ხახული.

შენი თვალები ისე მიზიდავს,
ვით იზიდავდა სოსლანს - თამარი...
არსად წახვიდე შენი მიწიდან,
თუ სამშობლოა შენთვის მთავარი.

მინდა მწედ ჰყავდე ამ საქართველოს
და უერთგულო კუბოს კარამდის,
ერს წარმოადგენ, ვიდრე ჯანმრთელობ,
ერს - თვით ,,ვეფხვის და მოყმის ბალადის".

მე ეს თვალები სადღაც მინახავს,
არ მავიწყდება უკვე ნახული,
სხვა გოგონებზე ბევრად წინა ხარ,
მანცვიფრებ, როგორც ოშკი, ხახული.

შენი თვალები ისე მიზიდავს,
ვით იზიდავდა სოსლანს - თამარი...
არსად წახვიდე შენი მიწიდან,
თუ სამშობლოა შენთვის მთავარი.

მუდამ გახსოვდეს ჩემი სიტყვები,
მინდა კოცნებით კალთა აგივსო...
წმინდა ქართულ გზას თუკი მიჰყვები,
ჩვენში დარჩები სამარადისოდ!

დედა

დედა არა მყავს... ჩამიქრა კვარი,
ჩემთვის ღამეა დილა ყოველი,
მსურს სიკვდილამდე ვატარო ჯვარი
და შემწედ მექნეს სვეტიცხოველი.

დედა არა მყავს... ჩაქრა ვარსკვლავი,
ცაც თანამიგრძნობს სიმწუხარეში,
სულგანათლებულ მშობლის საფლავი,
სულის მისატან არის მხარეში.

აღარ მიყვავის ბაღნარში ნუში,
თუმც კვლავ მივყვები დროის დინებას,
ხშირად მიკრავდა მშობელი გულში.
მიზიარებდა გამოცდილებას.

ამ მონატრებას სტრიქონებს ვსწირავ,
ცხარე ცრემლები მისველებს ლოყებს,
ქუდბედიანი ვიყავი წინათ.
ხმაშიც არ მქონდა ნაღველი მოყმეს.

მე გულახდილად ვსაუბრობ ღმერთთან,
მხოლოდ მას ძალუძს ბედის მისნობა,
მჯერა: ვიქნები დედასთან ერთად,
როცა მიმიღებს მარადისობა.

აქ სამუდამოდ ჩამიქრა კვარი,
ჩემთვის ღამეა დილა ყოველი,
მინდა მეც ვზიდო ეს მძიმე ჯვარი
და მეწეოდეს სვეტიცხოველი.

დაგელოდები იმ მთის წყაროსთან

გავიდა კიდევ ერთი წელი და
გაიყოლია ძველი დარდები!
ღვინით დაგლოცავ საწნახელიდან,
რომც არ გიყვარდე, შეგიყვარდები!

ხარ მომნუსხველი შველივით, თვალებს
ნაბავ - შემდგარი წინაპართ კვალზე...
ნეტავ მას, - ვისაც შენ შეიყვარებ
და მაგ დალალებს დაუფენ მკლავზე!

მინდა გაჩუქო სულ ერთი კოცნა,
(პოეტის კოცნა უყვართ ლამაზებს),
დაგელოდები იმ მთის წყაროსთან,
ვიდრე ვარსებობ ამ ქვეყანაზე.

არც ფშაველი ვარ, არცა ხევსური,
თუმც ჩემიც არის მთების ნაჟური...
მსურს რომ შემასვა წყალი ხელსურით,
ვჭექო სიმღერა გარიჟრაჟული.

მოვიდა კიდევ ერთი წელი და
წაიყოლია ძველმა დარდები!
ღვინით დაგლოცავ საწნახელიდან,
რომც არ გიყვარდე, შეგიყვარდები!

ხარ მომნუსხველი შველივით, თვალებს
ნაბავ - შემდგარი გმირების კვალზე...
ნეტავი იმას, - ვინც შეგიყვარებს
და გადაგიწვენს ერთადერთს - მკლავზე!

დაგელოდები წყაროსთან

ლექსს კითხულობდი... გისმენდი,
ზარივით რეკდა შენი ხმა,
არც ზღვისფერი და მზისფერი,
შველივით მომნუსხველი ხარ.

დავეწაფები წყაროს წყალს,
როგორც ქორბუდა ირემი...
დაგელოდები წყაროსთან,
არ მოხვალ? გადავირევი!

მსურს მკლავზე გადაგიწვინო,
შენ - მომირჩინო წყლულები,
მერმე გინდ სულშიც იწვიმოს,
აღარ ვინაღვლებ სრულებით.

ლექსს კითხულობდი... გისმენდი,
ზარივით რეკდა შენი ხმა,
არც ზღვისფერი და მზისფერი,
შველივით მომნუსხველი ხარ.

დავეწაფები წყაროს წყალს,
როგორც ქორბუდა ირემი...
დაგელოდები წყაროსთან,
მოხვალ? არ გადავირევი!

მე გრძნობას ვეღარ დავმალავ,
გვნახოს, შეშურდეს ბარეორს,
როცა მოვკვდები, ალალად,
,,შენს მიწას მიმაბარეო“.

ზურაბ ზოიძე ინჟინერ მექანიკოსი
დაბადების ადგილი შუახევის რაიონი ს. ბრილი

შინდისის გმირებს!..

მეწამულ ცაზე სევდისფერი გრგვინავს შინდისი
და გაელვება თვალისმჭრელი გვაკრთობს ჩვიდმეტი...
გმირთა ვარამის საიდუმლო, ყველა-- ვინ იცის...
და მათ საგმირო არაკებზე სრულად ვინ მეტყვის?!..

ქედმოუხრელნი-- ღვთის კალთაში,ციურ ნათელით,
გმირულ დიდების შარავანდედით შეიმოსებით
და თქვენს საფიცარ საქართველოს უფლის სანთელით
წამოადგებით...ლოცვად მოგავლენთ ანგელოსები...

და როცა მტერმა,მუხანათმა, ავაზაკური
ცოდვის კალო... თქვენი სიკვდილის "სცენა" გამართა,--
ცას შესჩუხჩუხებს,ყივის თქვენი სისხლი ქართული
და გამუდმებით ამ ცოდვების ითხოვს სამართალს.

მშობლიურ მიწას მობნეული,გულში ჩაკრული,
შინდისის სიომ თქვენ სიკვდილის გირწოთ აკვანი,
თქვენი სახელი სულ გვექნება სულში ჩარგული,
თქვენს თავდადებას მარად ეძღვნის დიდი თაყვანი.

სხვადასხვა კუთხის პირტიტველა ჯარისკაცები,
ძმობის ფიც--ვერცხლით ანთებული,ძმურად დაეცით...
მტერს არ ჩაბარდით უსუსურად,როგორც ლაჩრები
და საქართველოს სიყვარულის მსხვერპლი გაეცით.

უსუსურობას ვერაგ მტერთან არშეჩვეული,
"გულმოდრეკილებს მუხლის მოდრეკა არ გიკადრიათ"...
მშობელ მიწაში დარჩა ფესვი, თქვენი გმირული,--
ალგეთს ლეკვები კიდევ მრავლად დაუბადიათ!..

ვინ არ გაოცდა ქართველების გმირულ საქმენით,
სისხლით დაწერილ მატიანით საქართველოსი,
მიუხედავად სიმცირისა,ჩვენ არ გავქრებით,--
მებრძოლი სული გამტანია ყველა ლელოსი!..

შინდისი არის საოცრება თავდადებების,
ვერ დაგვაჩოქებ, მტერო,მზაკვარო და საძაგელო,
სული ბობოქრობს ცხრა ძმისაც და არაგველების
და გმირთა მადლით გადარჩები, შენც საქართველო!..

ჩვენს დამონებას მტერი ვერა, ვერ ეღირსება,
ამაყად ბრწყინავს ცრემლი თვალზე, ჩემი უშრობი...
"რომან ზოიძე"--ჩემი გვარის დიდი ღირსება!--
გულში დარჩება მოგიზგიზე ცეცხლი უქრობი.

ვიამაყებ და ვიდიდგულებ,რომ ვარ ქართველი,--
ამდენი გმირი ვის ჰყოლია ნეტავ, ამ ქვეყნად?!..
ჩემმა ჯილაგმაც გამოჭედა გმირის სახელი,--
მიხარია და სიამით ძგერს გული, რამხელად!..

სალოცავი და ხატი იყო სამშობლო თქვენთვის,
თქვენ სულ იქნებით მეომრები ამ ქვეყნის ფარად,
მზე საქართველოს ამოვა და იბრწყინებს თქვენით,
დიდება თქვენდა, ხსოვნა თქვენი, მარად და მარად!!..

ის სურნელი ვერსად ვპოვე!..

გულს მიხარებს სოფლის სითბო,
ვეფერები ყველა კუნჭულს...
ნაძვის სუნი მათრობს, თითქოს,
თითქოს ვხვდები ტყეთა ჩურჩულს.

გვირილებით მორთულ მინდორს,
ბავშვობა რომ დავუტოვე,
როგორ ვეტრფი,--ნეტავ იმ დროს!..
ის სურნელი ვერსად ვპოვე.

კვლავ დაეძებს მონატრება
ჟივილ--ხივილს გოგო--ბიჭის,
დაკარგულის მოლანდება
როგორ მიმძიმს, როგორ მიჭირს!

აქ, შარაზე ვხედავ, თითქოს
სიყმაწვილის ნაფეხურებს...
ის წარსული ისევ მიხმობს,
ისევ თვალებს მიფახულებს.

სხვა სამოთხეს მე არად ვთვლი,
სხვაგან, ვერსად გამიძლია,
სოფლის ეშხი, სოფლის მადლი,
სხვა განძში ვერ გამიცვლია.

აქ, სხვა მიწა--და სხვა ცაა,
ანთებული სიყვარულით,
მშობლიური--ის, რაცაა,
მარად მინდა, მთელი გულით!

ყოფნა--არყოფნა!..

ეშხი გვიტაცებს "ყოფნის" და
ყოფნას არ ვფიქრობთ "არყოფნის",
რწმენა არც "ყოფნის" გვყოფნის და
"არყოფნის"--უფრო არ გვყოფნის.

ნიჭი ყოფნის და არყოფნის
თითქოს გვყოფნის და არც გვყოფნის,--
რომ ტალახია ორღობის
ყოფნა უღმერთოდ ნამყოფი.

აქ საიმქვეყნოდ მოვსულვარ,--
მინდა საგზალი საყოფი,
გზა გავიკაფო რომ სრულად
უფლის კალთაში სამყოფი.

და რაც შემეძლო ვიმზადე
მადლი, სიკეთე ამ ყოფის,
რამდენი ვთესე და ვზარდე,
რომ იქ მოვიმკა ნაყოფი.

რომ ვპოვოთ აქ სრულყოფილად
ზეცაში ყოფნის უფლება,--
მოსვლა "ტყვეობა" ყოფილა,
წასვლა კი--თავისუფლება.

ღმერთმა თუ წუთისოფლიდან
"იმ დიდ სოფელში" გვამყოფა,--
არყოფნა ყოფნა ყოფილა,
ყოფნა ყოფილა არყოფნა!..

როგორ მწყურიხარ!..

მთებს ეხვევიან ნისლის ქულები,
გარეთ წვიმა და შლეგი ქარია...
ჩემი ფიქრები, დაკარგულები
შენთან ბუდობენ, შენში ჰხარიან.

თვალებს იტაცებ ანდამატურად
და მთვარესავით ბნელშიც მინათებ,
აფეთქებული გულის სალბუნად
როგორ მწყურიხარ, როგორ გინატრებ!!

რა არის ჩვენი სიცოცხლე...

ლოცვა--შენს გამჩენს,სიცოცხლევ,
სამყარო შენით ბრწყინდება...
შენი ეშხი და სიტურფე
მარადჟამს არ მოგვწყინდება.

ასე მდუღარე,მჩქეფარე,
რა ზენა--ძალამ ინება...
მოჰქუხს,მოშხუის უშრეტად,
მოდის და "მოეფინება"...

დღეგრძელი არის მის ზვირთებს,
ვინც მედგრად შეერკინება,
ამ სოფლის მადლით გაძღება,
ნეტარით მოილხინება...

რა არის ჩვენი სიცოცხლე?--
ვერ 'ჩავწდომილვართ" ბოლომდის,
სადაც სიკეთე ნავარდობს,
იქვე "მართვეა" ბოროტის...

ნარ--ეკლით არის ნაზელი
დუღაბი ჩვენი ცხოვრების,--
სულ ყველა ნაბიჯს "გვითვლიან"
ბედი ჩვენი და "მსტოვრები"...

ბუნებაც--სულის საუფლოდ
"მოგვიძღვნეს" დიდი ხანია,
მაგრამ ცხოვრების ნექტარში
ვაი,რომ ბევრი შხამია!..

მზისქვეშეთს ბევრი უნახავს
"მძლავრი", დიდების მპოვნელი,
მაგრამ სიკვდილით რაც კვდება,
ამაო არის ყოველი..

საწყისი ჩვენი სიცოცხლის
ცეცხლის ალივით ინთება,
ბოლოს ცეცხლივით ჩაქრება,
ნაცარში ჩაიღვინთება...

მაგრამ,რაზომცა "ეავოთ"
გაჩენილთ ათასგვარისას,--
მაინც ბრწყინავს და ანათებს,
"მაინც სიტურფით ჰყვავისა!.".

ასე ტკბილი და საამო,
ნეტავი სხვა რა გვბადია?!--
სიცოცხლის ბოლოს უფალთან
მუხლის მოდრეკა "მწადია!..."

დასტურად დაფასებისა
მისი უზომო ამაგის--
ამ ქვეყნად "მოსაკუთრება"
ჩემი სულის და"ალაგის"..
.
დიდება შენდა,უფალო,
რა "მადლიც" გამოიმეტე,
ერთ დროს ჩემთვისაც "გაიფრქვა"
შენი ღვთიური სიკეთე!...

შენდამი ლოცვად წარვდგები,--
"მადლიერების" მსურველი,--
მეც რომ მაგემე იმდენში,
დიდი სამყაროს "სურნელი"!...

სული ქართული

სული მზიანობს, როცა ჰყვავის ჩემი მთა--ველი,
როგორც სალოცავს, მშობელ მიწას გულზე ვემთხვევი,
აქ სიყვარულით მოფრქვეულა ყველა მტკაველი,
აქ ცა--ფირუზის სიანკარის მადლში ვეხვევი.

დილის მზის სხივი ოქროსფერად მთებს რომ მოხატავს,
სიამაყით ვარ ჩემს მიწაზე წელგამართული...
შორს წარსულიდან გმირთა საქმის ქარებს მოფანტავს
ჩემი მებრძოლი და უტეხი სული ქართული.

აქ ყველაფერი გულს მიხარებს, სიამეს მჩუქნის,
აქ სულს მინათებს მშობლიურის გრძნობა და განცდა..
თვალისჩინივით ვუფრთხილდები საჩუქარს--უფლის,
რომლის დიდება,ბრწყინვალებაც ცის კიდეს გასცდა.

სამშობლოს სუნთქვა--ამ ჩემს სულშიც მოეფინება,
ამ სიყვარულით შემიცვნია მთელი სამყარო...
შენი გენია წარსულიდან მოედინება,--
ღვთისმშობლის მადლით კურთხეულო და წილნაყარო.

ვარ ბედნიერი, რომ მხვდა წილად ეს მზე და ეს ცა,
მე შენი ტრფობის სტრიქონები არ მომწყინდება...
ვინც გიღალატა, ვინც გემტერა--ყველა დაეცა,
შენი ედემი იმთლიანებს!.. კვლავ გაბრწყინდება!

შენი დიდების მეციხოვნე--ვარ ბედნიერი,
შენი გენი ვარ, უძველესი, სახელგანთქმული...
ღმერთო, მაღალო, --დამილოცე ფესვი ძლიერი,
ქართული სისხლი, ქართული სიტყვა, სული ქართული!!

* * *

სულ დამიკარგე რწმენა, იმედი,
სულ შეიცვალე, რაც დრო გავიდა...
თუ ისევ აღარ გამიღიმებდი,
რად დამატყვევე, ნეტავ თავიდან?!

ყველგან ვინატრებ მე ჩემს კერიას!..

როგორ მიტაცებს ცის საოცრება,
მისი წესრიგი და ჰარმონია!...
თავის "ბედი" აქვს ყველა მნათობსაც,
თავისი გზა და ტრაექტორია.

ვერ ვძღები ცქერით მოჭედილი ცის,--
მილიარდობით ვარსკვლავთ ციალის...
"ირმის ნახტომში" ძლიერ ვიგრძენი
"შინაურული" სულის ტრიალი!..

იმ შორეულშიც "ჩემი" ვიპოვე,
იმ ჩემეულში მეტს ვხედავ პეწებს,
რა ძვირფასია მშობელი ზეცა!..
გული ყოველთვის მშობლიურს ეძებს!..

სადაც წავედი, ჩემი ვინატრე,
სხვაგან ვერ ვნახე სულის ალაგი,
ყველგან მაბოდებს წინაპართ ძვლები,
ჩემი ფუძე და ჩემი ჯილაგი.

მე, ჩემი მხიბლავს,ჩემი ქვეყანა,--
ჩემი სამშობლო,--"ტკბილი ზღაპარი",
სადაც დაირწა ჩემი აკვანი,
ჩემი სულის მზე მხოლოდ აქ არი!..
.
მე ჩემი მინდა,ჩემი კერია,
ისე სპეტაკი,როგორც ციური,
ზეცის წესრიგი და ჰარმონია,
სიყვარული და სითბო ღვთიური.

ნეტავ თუ არის სხვა ნეტარება,
რაღა ვინატრო ამაზე მეტი...
"მშობლიური მზით" განათებული,
ჩემი ოჯახი --არს ჩემი ღმერთი!..

მე მინდა ჩემმა შთამომავლობამ,
ისეთი "ზუსტი" გზებით იარონ,
როგორც ვარსკვლავნი,--სულ "იკაშკაშონ,"
სულ "იციმციმონ," სულ "იელვარონ!.."

ისე მიყვარხარ!..

(იკითხება ორივე მხრიდან)

ლოცვად მინთია შენი მზე გულში,
თვალები შენი--ღმერთია, ახლა...
როცა გიყვავის ბაგეზე ნუში,
ალები ტრფობის--გაზაფხულს ახლავს.

გავწევ ოცნებით სარკმელზე ფარდებს,
ფიქრებს გავანდობ ღამეში მთვარეს,
გავცემ მდინარეს სევდას და დარდებს,
იქნებ მეტყოდეს ნუგეშად რამეს.

ისე მხიბლავ და ისე მაოცებ,
ხოტბით ავავსებ შენთვის სტრიქონებს,
ისევ გასულა ხანი, რა უცებ...
ნატვრით უძღები კვლავაც გიგონებ.

ისევ დროს სადღაც, სადღაც მიყავხარ,
ძნელი ყოფილა, ვსდიო ნაბიჯებს...
ისე მიყვარხარ, ისე მიყვარხარ,--
შენი წყურვილი მუდამ მაგიჟებს!!

ლორეტა რობაქიძე პროფესიით იურისტი
ქალაქი თერჯოლა

იესო ქრისტე

ოცდაათ ვერცხლად გაყიდა,
იუდამ ტკბილი იესო,
ჯვარზე გააკრეს აწამეს,
და სისხლი დაადინესო.

ფულზე გაყიდა უფალი,
სიხარბემ ძლია სულისამ,
ვერ იცნო, ვერ დააფასა,
მოძღვარი სიყვარულისა!

დღესაც აქაა იუდა,
დღესაც მლიქვნელობს ამბორით,
ჯვარს ვეღარ აცვამთ ქრისტე ღმერთს,
მოდის დიდებით, აღდგომით!

ბევრმა სინდისი დაკარგა,
ბოროტი სულში ჩაუჯდა,
შეგახსენებთ, რომ იუდას,
ღალატი ძვირად დაუჯდა!

ასეა კაცი სულხარბი,
ვერ იტანს ქვეყნად სიკეთეს,
მოვიდა ჟამი სიმართლის,
კვლავ ქრისტე ღმერთი იმეფებს!

შურზე, მტრობაზე, ღალატზე,
კვლავ გაიმარჯვებს სიკეთე,
ბოროტსა სძლია კეთლმან,
ბეჭებზე დადებს სიბნელეს!

კვლავ გაბრწყინდება ი-ბერთა,
ჯვარცმული ჩვენი ქვეყანა,
დედაღვთისმშობლის სამშობლო,
წილნაყარია ღმერთთანა!

ღვთის შვილთა ჟამი დაგვიდგა,
დრო დადგა სიხარულისა,
მოდის წმინდანთა ლაშქარით,
მოძღვარი სიყვარულისა!

* * *

ცისფრთვალება ღრმა და უძირო,
ლამაზი მზერა სათნო ღიმილით,
ნეველის ტაძრის ეზოში ნახავთ,
და ჩაგიხუტებთ უმალ შვილივით.

დედა მარია, ელიზავეტი,
გესაუბრება ღმერთით სალოსობს,
ვინც ნახავს არვის უშვებს გულ ნატკენს,
ცდილობს ყველანი ტკბილად დალოცოს.

ღვთისმშობელი

ზეციურო დედავ ჩვენო,
დედოფალო ცის და მიწის,
თვით სამყაროს დედაბოძო,
შენ გვირგვინი გადგას ცისკრის.

შენს სიწმინდეს სისპეტაკეს,
და სიყვარულს ვინ დაიტევს,
როგორ გტანჯეს ღვთის მშობელო,
შენებრ ტკივილს ვინ დაითმენს.

ერთადერთი შენი პირმშო,
გიწამეს და ჯვარს გააკრეს,
იქ იდექი და ვინ იცის,
რა ტკივილი გაგატარეს.

მაგრამ ყველას მაინც ლოცავ,
ყველას დედად ევლინები,
ცოდვილ სულებს იწყალებ და
მათ ლოცვებით ეხიდები.

გევედრები ღვთისმშობელო,
დაგვლოცე და შეგვიწყალე,
დაგვილოცე მომავალი,
ცოდვილები შეგვიბრალე!

თხოვე უფალს შენი ერის,
მოქცევა და გადარჩენა,
ბოლო ჟამის იბერიის,
გაბრწყინება გახარება!

გალაქტიონი

ადიდებულა თურმე რიონი,
დღეს ჭყვისში იშვა გალაქტიონი,
ანგელოზებმა დაასხეს ხელი,
და თვით უფალმა აცხო მირონი.

მისი ფიქრები ზეცას წვდებოდა
როდი ეძლევა განა ეს ყველას,
გამორჩეული იყო კაცთაგან,
ზუსტად იცოდა ღმერთების ენა.

მარტოობით და ტკივილით სავსე,
რომ ვერ გაუგეს იყო ეული,
ღვინით იკლავდა დარდებს პოეტი,
ყველას ეგონა გადარეული.

ვინ გაუგებდა ღმერთის რჩეულ კაცს,
თუ არა ღმერთი მისი მფარველი,
გალაქტიონი იყო ლეგენდა,
მარადიული სული ნათელი.

ის მოკლეს,მაგრამ ვერმოკლეს სული
და უხილავად დადის ჩვენს შორის,
უბადლო გონით,უბადლო ნიჭით,
ზეცით ნაკურთხი დიდი მენტორი.

გალაქტი -კაა და კიდევ ონი,
ზეცის შვილია, არა ეული,
ჩვენ ვერ გაუგეთ მაგრამ იქ ზევით,
დაბადებიდან იყო რჩეული.!

* * *

ამ ქვეყანაზე სტუმრად მოვედით,
სული იცხოვნეთ და მოემზადეთ,
იშრომეთ ბევრი ლოცვით იღვაწეთ,
მტრებზე ილოცეთ და მოეხმარეთ.

ჩვენი ვალია გვიყვარდეს ყველა,
გაუგოთ თუნდაც უდიდეს ცოდვილს,
თავი იცხოვნეთ რადგან დრო არის,
უკვე დიდებით უფალი მოდის.

ჯვარცმა და აღდგომა

დედის გულმა როგორ შეძლო,
რით გაუძლო ამდენ ტანჯვას,
უყურებდა მისი პირმშოს,
წამებას და მერე ჯვარცმას.

ნეტავ როგორ დაიტია,
მწუხარება ჯერ არ თქმული,
ქრისტე ღმერთი აცვეს ჯვარზე,
რას უძლებდა დედის გული.

გარდამოხსნეს ნაწამები,
ჯვრიდან ტკბილი მაცხოვარი,
დედამ გულში ჩაიხუტა,
თავისი ძე ნალურსმალი.

დაიტირა დედამ შვილი,
ჯვარმცმელებს კი კვლავ ლოცავდა,
აპატია მათ ღალატი,
შემწედ დადგა მაცხოვართან.

დაიღალა დედის გული,
ნაისრალი დაშანთული,
მაგრამ უკვე დრო მოვიდა,
კვლავაც მოდის გაზაფხული.

ჯვარცმას ვეღარ მოესწრება,
ბოროტთა და ბნელთა მოდგმა,
ქრისტე ღმერთი ჩვენთან არის,
ვიზეიმებთ დიდ აღდგომას.

ნატანჯი და ნაწამები,
დედის გული გაიხარებს,
ქრისტე აღსდგა!-ჭეშმარიტად,
სიხარულით დაიძახებს.!

ჟამი

კართან მოდგა შემოდგომა,
გავიხარებთ მალე ვიცი,
მოდის ჩვენი ქრისტე ღმერთი,
ჟამი დგება ჩვენთან ლხინის.

დროა უკვე მოსავლისა,
ქრისტე ერთგულ შვილებს იხმობს,
ბედნიერი იქნება ვინც,
მის დიდებას კვლავ შეიცნობს.

კართან მოდგა შემოდგომა,
ჟამი დგება სიხარულის,
მოაგროვეთ ყველამ მადლი,
თავმდაბლობით სიყვარულით.

დგება ერა სიმართლისა,
დაფარულის გაცხადების,
კართან მოდგა შემოდგომა,
დიდების და გამარჯვების.

მოდის უკვე ქრისტე ღმერთი,
და ნადიმიც უნდა შედგეს,
ქ-ორ -წილ-ით და სიხარულით,
ჩვენს ტკბილ უფალს უნდა შევხვდეთ!

გაგახაროს დედაღვთისამ,
ჩემო დიდზე უდიდესო,
ტანჯვას ბოლო მოეღება,
გამობრწყინდი უტკბილესო.

კართან მოდგა შემოდგომა,
მიხარია, გელი, გიცდი,
მალე უნდა გამახარო,
ქრისტე ღმერთო, უკვე ვიცი.!

ფერისცვალება

უფალმა ფერი იცვალა,
მზესავით გამოიდარა,
და ეს ცოდვილი სამყარო,
ბნელიდან გამოიყვანა.

ერო მოვიდა დრო ჟამი,
ფერი ვიცვალოთ ყველამ,
მეორედ მოსულ უფალთან,
მივიდეთ ერთად ყველა.

მოვიდა ჟამი უფლისა,
ერთად ვიხაროთ ქრისტეში,
ნუ მოგვიშალოს გამჩენმა,
ღმერთის რწმენა და იმედი.

უფალმა ფერი იცვალა,
და ჩვენც მივუბრუნდეთ ღმერთისკენ,
და ღმერთიც არ დააყოვნებს,
მადლი წამოვა ერისკენ.

მიყვარხარ ჩემო უფალო,
უსაზღვროდ გიხდი მადლობას,
ვიმსახურებ კი შენიდან
ასეთ, უდიდეს წყალობას?!

გამოდი ჩემო ღმერთკაცო,
გამოანათე დიდებით,
ქრისტეს მხედრობა მზადაა,
შენი ერთგული შვილები!

* * *

ჩემი სამშობლო არ იყიდება,
ჩემი სამშობლო ქრისტეს ერია,
დედაღვთისმშობლის წილხვედრი მიწა,
და ღვთის შვილების სამყოფელია.

ჩემი სამშობლო ულამაზესი,
სამყაროს გული სუნთქვა და ფეთქვა,
ცისა და მიწის კავშირი დიდი,
და წილნაყარი უდაოდ ღმერთთან.

მასკარადზე დამპატიჟეს

ეჰ, რამდენი ნიღბიანის
შენიღბული სახე ვნახე,
მასკარადზე დამპატიჟეს,
შევიცანი არ ვეახლე.

ჯერ ისედაც ბოღმა ჭამდათ
მერე, უფრო გამიაფრდნენ,
ისე დაძვრათ ეს ნიღბები
ღმერთის თვალში გაიაფდნენ.

იცით? - მერე შემეცოდნენ,
მათ ეშმაკი ატრიალებს,
ერთხელ თუ კი დაიმონა,
მის ჭკუაზე აბზრიალებთ.

ღმერთმა ყველა მოაქციოს,
და ესწავლოთ სიყვარული,
სული, გული გაიწმინდონ,
შეძლონ ცრემლით სინანული!

მდუმარე ბერი

ვუძღვნი მამა ნიკოლოზს

შენს წმინდა მზერას, უძირო თვალებს,
მითხარი ღმერთო რა შეედრება,
ნატანჯო სულო, კეთილო გულო,
მინდა ისმინო ჩემი ვედრება!

გთხოვ, გამობრწყინდე მალე დიდებით,
კმარა რაც გტანჯეს, გაწამეს ღმერთო,
მინდა იდიდოს შენმა სახელმა
და შენს თვალებში მუდამ მზე ენთოს!

წლებია უკვე დაღლილი გვიცდი
გვითმენ მდუმარედ, ცოდვებს გვპატიობ,
მღვიძარებაში, ლოცვა ბრძოლაში
ისევ მდუმარედ ხვდები ალიონს !

გამოდი ღმერთო, გამოანათე,
მოჰფინე ირგვლივ შენი ნათელი,
გიცდი, გეძახი, გიხმობ და გელი
და მიხარია მე მყავს აქ ღმერთი!

მიყვარხარ ძლიერ უკიდეგანოდ,
და ამ სიყვარულს არ აქვს საზღვრები,
გამოდი ღმერთო, გამოანათე
მე,შენს წინაშე მუხლზე დავდგები!

ვინა ვარ, რისთის გავჩნდი ამ ქვეყნად,
სულ არ ვკითხულობ არაფერს ველი,
მხოლოდ ის მინდა არ მიმატოვო,
გთხოვ, არ გამიშვა ჩამკიდე ხელი!

შენთან ვარ ღმერთო, მთელი არსებით,
სიყვარულს გჩუქნი და გულს სრულიად,
დაუსრულებლად გეტყვი მადლობას,
ჩემს სულს, სულ შენთან, შენთან წყურია !

თვალები, ბევრის მეტყველი მზერა,
იმედით მავსებს სულს და გულს მითბობს,
მიყვარხარ ქრისტე ღმერთო ნამდვილო,
მზე ერთადერთო ნათელო სხივო!

სულის ტკივილებს ვინ დამიამებს

სულის ტკივილებს ვინ დამიამებს,
ვინ არის ჩემთან თუ არა ღმერთი,
შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო,
და სიყვარული ის ერთადერთი.

მიყვარხარ ღმერთო უკიდეგანოდ,
ჩემი ტკივილის მხოლოდ შენ გესმის,
შენ მომიშუშე ყველა ჭრილობა,
და აღმადგინე ტანჯული მკვდრეთი!

მალე ინათებს

მალე ინათებს გამობრწყინდება,
თავზე დაიდგამს გვირგვინს ნამდვილი,
მასთან მისვლა და მიახლოება,
აღარ იქნება ასე ადვილი.

სამყაროს მეფე ტახტზე დაჯდება,
ლაზარეს ენა მალე აღსდგება,
სვეტიცხოველში ქრისტეს წინაშე,
მთელი სამყარო მუხლზე დადგება.

ქართული გენი

ქართველი ხალხი ღვთის შვილთა მოდგმის,
ღმერთის რჩეული ოდიდგან მოდის,
ჩვენა ვართ ქრისტეს საუფლო ერი,
ბერების მოდგმა-იბერთა გენი.

ღვთივკურთხეული სამშობლო ჩვენი,
დედაღვთისმშობლის აღთქმული მიწა,
ბევრმა არ იცის და არ გვიმხელენ,
ქრისტე ღმერთი რომ ჩვენს ერში იშვა.

ჩვენს სისხლ -ძარღვებში დუღს უფლის
სისხლი,
და დედაღვთისას გენი ქართული,
უნდა გაცხადდეს ქართული ენით,
ლაზარეს ენა დრომდე დაფლული.

სიცოცხლის წიგნში ოქროს სიმებით,
ჩაწერილია ქართველთა მოდგმა,
ბევრ საიდუმლოს ინახავს ერი,
და თვით მესიაც დიდებით მოვა.

ჟამი დამდგარა უკვე ქორწილის,
და მაყრიონი ზეციდან მოჰქრის,
ანგელოზები გვახარებს მალე,
აქაა იცით?- უფალი მოდის!



ლილი გულბათაშვილი პროგრამისტი
დაბადების ადგილი დუშეთი

მე და საღამო...

მე და საღამო, ჩამოვჯექით ნარიყალაზე,
იმ დროს ვიგონებთ, ჩვენ სამნი რომ მივდევდით ქუჩას,
იმ წუთებს, გულში ჩაიხუტებს ალბათ მაღლა მზე
და ხვალ, სხივებად გადმოაფრქვევს სკვერსა და დუქანს.

მე აღარ ვამბობ, ჩემი გრძნობა როგორ დაიმსხვრა,
დროს ელოდი და აჰა, ეს დროც,ყოფილა ფლიდი,
მოლოდინი რომ შენი თვალთა ცეცხლში ჩაიწვა,
შენ მოხვედი და მე დაგიხვდი, სხვაგვარად მშვიდი.

ეს განშორებაც ... ჩემზე მეტად შენ გაგიჭირდა,
მე შევეჩვიე, ტკივილებზე უხმო გოდებას,
ადრე თუ სიტყვა, ჩემთვის თქმული შენ არ გიღირდა,
ახლა რა მითხრა, იმის იწყებ გამოგონებას.

მე მეღიმება, ზუსტად ვიცი რომ რაც დრო გავა,
ტკივილი უფრო გამძაფრდება, ჩემს და შენს გულში,
მაგრამ სხვადასხვა სახე ექნეს იქნებ ამ გრძნობას,
ერთურთის სახემ, გაგვახვიოს ზღვა სინანულში.

წახვედი, ვფიქრობ რომ ეს წასვლა გარდაუვალი,
კიდეც კარგია, რომ ვიფიქროთ ხვალინდელ დღეზე,
ახლა ეს მთვარე, ამობრწყინდა ღამის სტუმარი,
მესაუბრება, გულახდილად ძვირფასო შენზე.

მთებო !...

მამნატრებიხართ მთებ - კლდენო,
საჯიხვეებო ზღაპრულო,
თქვენს მკერდზე ფეხით მატარა,
კარგ სხო ვინატრო რა უფრო?

ჭიუხვში ღამის თევისას,
თავი მგონია საუფლოს!
თქვენსა სიშორეს ნეტა- რა,
გულმა რა რიგად გაუძლოს!

თოლწინ მიდგების ნისლებში,
არწივთ შაკრული კამარა,
უთქვენოდ ყოფნამ ეს გული,
დაღარა და დაასამარა!...

ჩამესმების კე მძინარსა,
მგელთა ყმუილი მგლურია,
აზმუვლებული ნიკორა,
აყეფეფებული მურია!

შხამად მერგების უთქვენოდ,
ყოველი გაზაფხულია,
ზეცის გრგვინვას და ქუხილსა,
თქვენბრს სად ისმენს ყურია?!

დამენისლება თოლები,
ამიტირდება გულია,
უთქვენოდ ყოველი წამი,
ფუჭი და დაკარგულია!

მთებო, სამშობლოს მცველებო!
არ მაიკიდოთ რულია,
მაკვდარიც მავაღწევ თქვენამდე,
თქვენ ტრფობით მიდგა სულია!

აღარც რა...

აღარც- რა მინდოდის მეკითხა,
აღარც შენ ისურვე მეტის თქმა.

მდუმარედ დაგვცქერდა ტატნობი,
ცამ თოვლი გვაწვიმა ნადნობი.

სანამ ღმერთს შენს ყოფნას შავთხოვდი,
წახველ და ცრემლებად გასთოვდი .

ხმალაზე ჯანღები ღრეობდნენ,
ნისლები სთქორავდნენ ხეობებს.

ხევის პირ ვიდექი მდუმარი,
ჯავრ იყო დღეს ჩემი სტუმარი.

ტრფიალი კუნაპეტ ღამისა,
მჭირს, ვინ რა გამგეა ამისა?

არცა ვარ მორჩილი არვისა,
არც მკითხე საკუთარ თავისა.

აღარც რამ ვგეგმო და ვიწვალო,
რაც მაჰხდეს ის ხვთისგან ვიწამო.

ზეციერს რაც სწადდეს აღსრულდეს,
დასასრულებელი დასრულდეს.

აღარც რამ მთქმელ ვიქნა დარჩენის.
მხოლოდ მადლობელი გამჩენის.

მენ ემ მთებს მეხოტბედ შავრჩები
და შენაც სადარდოდ დამრჩები.

გეაროს მშვიდობით,დრო ვრცელი,
მე ვიქნე შენი გზის მლოცველი.

მასულდგმულებენ ...

ემ ღამემ, სულზე თრიაქივით მამხვივა რეტი,
რადგან, უშენოდ მათენდება, დნება უწყალოდ,
ცის კაბადონზე, ობლად ენთო, ვარსკვლავი კენტი
და ისიც ჩაქრა, დაიკარგა, სადღაც უკვალოდ.

ტარანტულივით, მამეხვია გულზე დარდები,
კვალში ჩამიდგა კაეშანი, ვერსაით ავცდი,
ვეტყვი კე მაგრამ არვინ არი სწორად გამგები,
ჩუმად ვდგავარ და ბედისწერას, დასასრულს ვაცდი.

მთვარემ, საძილედ გაიშალა ღრუბელთ კარავი,
აღარც ადრეა, თითქო აღარც ისრე ვგვიანობ.
თუნდ ჩემი სიტყვა გაიგონოს სწორად არავინ,
მაინც ჯიუტად და უცვლელად ვადამიანობ.

თუ გაგეცინას მემრე რაი, ეგაც არც არა.
პირთუკან თქმული არად მიღირს, ან რად ვეძიო,
დრო ჰხურავს კარებს, დროვე აღებს გულის ფანჯარას,
კარიდან წასულ არ გამომოვა ფანჯრით მეწვიო.

ეს ღამეც გავა ჩაჰბარდება წარსულის ლანდებს,
ვინ მასდებს ლაგამს, დროს გაუხედნ, ულაყს სადოღეს?!
მე ჩემი სევდა ემ მთებსა და ქარაფებს ვანდე,
ვინ გეგულებათ, საერთგულოდ მათებრ ვარგოდეს?

ჰოდა ეს გულიც დამითმია მშობელ მთებისთვის,
შენზე ფიქრი კი გულს მიჰყვების, როგორც თილისმა,
მე მათში ვპოვე ძალა, სულის გადარჩენისთვის,
მასულდგმულებენ მთა, ლექსი და ჭიქა ღვინის სმა!

ვაღმერთებ თვალებს...

როგორ აგიხსნა, რას განვიცდი შენზე ფიქრისას?
არ მყოფნის ძალა, ვერ ვპოულობ შასაფერ სიტყვებს,
მამესალმები, მამიკითხავ, სდნები ღიმილად
და ეგ ღიმილი, ჩამოცლილ გულს სიცოცხლით მივსებს.

ვნანობ ბევრ რამეს, მაგრამ ყველა სინანულს სჯაბნის,
მაგ გულისაკენ მასასვლელი ბილიკის მოჭრა,
მეიმედები, მაჩნიხარ და თან მეჩემები,
იარებს მირჩენის იმ გარდასულ დღეებზე ლოცვა.

იცი? დღეს მივხვდი ''ჩემო„ შენი ღიმილის ფასი,
შენს სიძლიერეს ვაკერპებ და ვეთაყვანები,
გტკივა და მაინც, ეგ ღიმილი არ არის ფარსი,
სიკეთის სხივებს მფენენ სულში შენი თვალები.

შენს გულწრფელ სიცილს, დაუფარავს სიღრმე ტკივილის,
არა და ვხედავ, მწუხარებაც რარიგად გიპყრობს.
სიცოცხლის მერეც მეხსომება შენი ღიმილი
და იარებზე კვლავ მალამოდ ვიდებ შენს სითბოს.

იმედს ვიტოვებ დრო აღადგენს ჩვენს შორის ნაპრალს,
ნახანძრალ სულებს, შაუხორცებს მწვავე იარებს
და მოგონებად მავიტოვებთ, იმ მცდარ ნაბიჯებს,
რომლებმაც სულზე, ქარიშხლებად გადაგვიარეს.

გთხოვ მაპატიე, მამიტევე, სრულად შამინდე,
თუ უნებურად შენი სული დავაზიანე,
ყველა ჭრილობა, ყველა სევდა, ყველა ტკივილი,
უფალამა იცის მე საჩემოს გავაზიარე.
და ჩემო ერთავ, გულისთქმავ და სულის მალამოვ,
ვაღმერთებ თვალებს, სულის შვების თანაზიარებს.

ნუ გამამყვები ...

ნუ გამამყვები, გზა მაქვს რთული, ეკლებით სავსე,
შენ არად გიღირს, ჩემთან ერთად, ბარდების თელვა,
გიჯობს რომ მშვიდ და მწვანედ ნაფერ, ბილიკებს გაჰყვე,
რომ აირიდო, გულის შფოთვა, ტკივილი, ღელვა.

ნუ გამამყვები, მე მეგზურად ტკივილიც მყოფნის,
კლდოვან ბილიკზე, ცრემლით სველზე, როცა დავდივარ.
დრო აღარა მაქვს, ჩემო კარგო შიშის და შფოთის,
ცხოვრების მკაცრი გზის ლაბირინთს, ახლა გავდივარ.

ნუ გამამყვები, ვერ გაუძლებ ამ გზას ნარიანს,
შენ ხომ ძვირფასო, ჯერ თაფლიანს ილოკავ თითებს...
ვერ შაიგუებ, ნისლა ფაშატს, ფლოქვებ ნალიანს
და აგიცრუვდეს, ცხოვრებაზე ეგ გული იქნებ.

და თუ მაინც გსურს, ბეწვის ხიდის გადავლა ხშირი
და იმედების დასაკრძალად თავად თხრი საფლავს,
მაშინ წამოდი გზა გვექნება გრძელი და მწირი,
ბილიკი სადაც, სვლას ათასი ხიფათი ახლავს.

მთებისკენ შავყვეთ გზა წაშლილი ფერდობის მკერდებს,
გზა და გზა, ნისლებს ვესაუბროთ თან დაყვავებით,
მე მოგატარებ ჩვენი ქვეყნის მიწიერ ედემს,
მაგრამ კი მაინც, გირჩევ, დარჩი ნუ გამამყვები.

* * *

გულ დამიმძიმა რიჟრაჟმა,
გველად მეხვევა ტანზედა,
დამყრანტალებენ დარდები,
შავნა ყვავ-ყორნის ხმაზედა.

* * *

ვინ იცის უკანასკნელი
მზე მოდიოდეს ცაზედა,
ცელის ტარს ჩამაყრდნობილი,
სიკვდილი მადგეს თავზედა.

მონანიება...

და კვლავ ბათუმი, უშენობით ცარიელ ქალაქს,
ვუკოცნი ტალღებს სევდიანი და მარტოსული.
წვიმს ღამისთევით უძილო და გადაღლილ თვალში,
კვალში მომყვება მუზა დარდზე თვალჩანისლული.

წვიმები, სევდებს დაუნამვს მოწყენილ თვალებს,
თოლიებივით ფარფატებენ ძველი კადრები,
შეეფარება გული ჩემი ნისლიან ღამეს,
მოგონებების ბილიკებზე დავიკარგები!

სანაპიროზე გადავაწყდი მოხეულ ფურცელს,
სადაც, ხელგაკვრით ერთი ციდა სტროფი ეწერა
და მე მომინდა ახლა მთების სიღრმეში ყოფნა,
რომ მთელი ჩვენი მეგობრობა გადამეწერა.

ის სისუფთავე და სიწმინდე რაც გულში გქონდა,
ის მდუმარება ხანდახან რომ სტროფად ჰქარგავდი,
დანაშაული ჩემი მოსვლის დაგვიანება
და ცრუ იმედია რომ მოსული ისევ გნახავდი!

ახლა კი მოსვლა სინანულის არის გოდება,
მონანიებაც გვიანღაა, იქნება ჩემი,
მე ამ ქალაქში აღარავინ არ მელოდება
და სინანული არის ჩემი თვით-განაჩენი!...

* * *

რა იქნებოდა ნეტარა,
მცოდნოდ რა მელის ხვალ-ზეგა?
შევცვლიდი რასმე თუ არა?
ემ მზიანს ქვეყანაზადა?

ნიკოლოზ იასეშვილი ბიზნესის მართვის ფაკულტეტი
დაბადების ადგილი სიღნაღი

* * *

სულში ვარსკვლავი აინთო
და გულის სიმი შეირხა,
როცა თვალებში ჩაგხედე,
ეს ლექსიც მაშინ შეითხზა.

ტკბილია ყოველი წამი
შენი ხილვის და სურვილის,
ნათელი, ვით მარგალიტი
და ჟინის მოკვლა წყურვილის.

მზეზე მნათობო, ხალასო,
ვერ ვბედავ გრძნობათ ღელვასა,
შენგან მანძილი შორია,
შენთვის ვისწავლი ფრენასა...

შენთვის გალობენ ბულბულნი,
და მღერის წყარო ანკარა,
შენთვის ლაღობენ გედები,
და აჟღურტულდა ნაცარა.

ავანთე ოქროს სანთელი,
იწვის, არა და არ ქრება,
როგორც ამ გულში ეს გრძნობა
ვგრძნობ, რომ არასდროს ჩაქრება!...

* * *

სამყაროს მზეო,მნათობო მზეო,
გთხოვ გაგვაბრწყინე შენი სხივებით,
მოგვნატრებია დღენი მზიანი,
სითბო და მდელო ლურჯი იებით...

გთხოვ სხივოსანო კვლავაც გაგვითბე,
გული და სული დიადო მზეო,
ერთადერთი ხარ ამ ქვეყანაზე,
გვევლოს მარადჟამს ჩვენ მზიანზეო!

ზამთრის ცივ ღამეს,უმთვარო ღამეს,
როდესაც წყვდიადს უბატონია,
მოგვნატრებია დილა მზიანი,
შენთან ალმასნიც უბრალონია...

არ ჩანს ღრუბლებში შუქიც კი შენი,
დღე-ღამეს თითქოს დამსგავსებია,
აგერ ჩიტუნაც სარკმელთან მჯდარი,
სცივა და მკერდიც გასციებია...

მზეო ამოდი,მნათობთა მნათო„
გაგვასხივოსნე,გაგვამზიანე,
მზეო,დიადო ვარსკვლავო ჩვენო,
მუდამ მზეობდე,მარად ბრწყინავდე!

* * *

თბილისო მიჯნურთ ქალაქო,
ბრდღვიალებს შენი მთვარეო,
ულევი ტკბილი წუთები,
და ბევრი დარდი ნახეო...

მრავალი მტერი გებრძოდა,
მაგრამ ვერავინ დაგჩაგრა,
მყარად გაგიდგამს ფესვები,
ვერც ცეცხლ-მახვილმა დაგჯაბნა!

კვლავ იგერიებ მოშუღლეთ,
ზეცით დაგყურებს სამება,
დიდება შენს გამძლეობას,
მარად მზეობა და ლხენა.

ბზინვარებს შენი ტაძრები,
დიდ შემოქმედთა სახელი,
დიდება შენს სულის ჩამდგმელთ,
და უკვდავება ნათელი...

თბილისო ჩემო ქალაქო,
შენს ქუჩებს შემოვევლები,
მიყვარს ყოველი უბანი
და შენი მაცხოვრებლები.

ყოველ შენობას და ქუჩას,
შენი სურნელი დაჰყვება,
თბილისო ფესვებმაგარო,
დაგლოცოს უფლის განგებამ!..

ბრწყინავდეს შენი სახელი,
მარად და ყველგან მზეობდე,
გამარჯვებითა ლაღობდე,
მტერზე სიმართლით მძლეობდე.

თბილისო მიჯნურთ ქალაქო,
ბრდღვიალებს შენი მთვარეო,
მრავალი ლამაზი დღენი
და ბევრი ცრემლი ნახეო...

* * *

წმინდაო ანგელოზო, მფარველო ჩემო,
გთხოვ დამიფარე გაჭირვების ჟამს,
შენ შემეწიე ყოველსა ღამეს
და ყოველ დღესა განსაცდელისას.

ღვთის ანგელოზო გავედრებ ჩემს სულს
და ცოდვილ სხეულს,სანამ ვართ ერთად,
წმინდაო ღვთისავ გთხოვ შემიფარე,
სანამ ვარსებობ და ვარ ამ ქვეყნად.

გთხოვ ანგელოზო შესთხოვო უფალს,
მაშოროს ავი, მქონდეს სიკეთე,
არ დავიკარგო ცოდვილ მიწაზე,
მომიახლოვდეს თუნდაც სიბერე...

ღამე

ცა ვარსკვლავებით შეიმკო,
ამობრწყინდა თეთრი მთვარე,
ღამეა და სიჩუმეა,
ნათელი და მშვიდი ღამე.

დავრჩი მარტო, ვით ეული,
ღამე მშვიდი, მე და მთვარე,
ვარსკვლავებით მოჭედილი
ცა, შუქმოფენილი არე.

გულზე სევდა მომდგომია,
საიდუმლოს ვანდობ მთვარეს,
ვარსკვლავი მეჩურჩულება,
სიყვარული ანდე ღამეს...

თეთრია თუ ბნელი ღამე,
ის გინახავს გულში ნადებს,
ღამე მალავს შენს საწადელს,
მფარველობს მიჯნურთა ამბებს.

ღამემ გულთან მიიტანა
ჩემი სულის სატკივარი,
ია-ვარდით მომიქარგა,
ჩემი გულისსწორის ხატი.

მომცა თეთრი სანთელი და
ავანთე ამ ხატის წინა,
დავემხე ხატთან, ვემთხვიე,
მან კი თითქოს გამიღიმა.

* * *

სასოწარკვეთას მიეცა გული,
როცა იმედის სანთელი ჩაქრა,
როდესაც სევდამ შეაკრთო სული
და ერთადერთი "ვარსკვლავიც" გაქრა.

სჯობს, შევებრძოლოთ ყოველ სირთულეს,
დაუბრკოლებლად ვერ გადავლახავთ,
მაგრამ ცრემლები არაფერს შეცვლის,
დღეს იმედით, ხვალ მომავალს ვნახავთ!

სასოწარკვეთას რა ხეირი აქვს,
გულის ტკივილი და სევდა მოაქვს,
შეუპოვრობით, სიმშვიდით, ბრძოლით,
გამოიდარებს და მზე ამოვა...

უიმედობა უძლურთ ხვედრია,
ძლიერი ტკივილს, სიმშვიდით ებრძვის,
ადამიანი ხომ ოდითგანვე
სულის სიმშვიდეს და იმედს ელტვის...

კაცი მაშინ ხარ სულით ძლიერი,
როდესაც იმედს არასდროს კარგავ,
როცა "ნაპერწკალს" მუდამ იტოვებ
და მომავლის დღეს იმედით სახავ!..

მუდამ მზეობდეს "იმედის სხივი",
არასდროს ცაზე სევდის ღრუბელი,
სიმშვიდე მოგვცეს უფალმა ღმერთმა,
მომავლის რწმენა გულში ულევი.

* * *

იყავი გულით ადამიანი,
სულით მდიდარი,სანდომიანი,
უბოროტო და ენაწყლიანი,
სუფთა და სპეტაკ სინდისიანი.

იყავი მუდამ ავ-კარგიანი,
გესმოდეს სხვისი დარდი ხმიანი,
გონებით არა, გულით განსაჯე,
თუ გინდა იყო ადამიანი!

* * *

როგორ დაგვაკლდა, უცბად დაგვტოვა,
დრო სწრაფად მიდის, ვერ დათვლი წამებს,
მშობლის სიყვარულს რა შეედრება,
შრომით დაღლილ და დაქანცულ სახეს?!

მეგონა, დედა მიყვარდა უფრო,
მაგრამ მამა ხომ შორს წასულია,
უკან ვერასდროს ვერ მობრუნდება,
იქ არის სადაც დასასრულია!..

მე მომენატრა მშობელი მამა,
მისი სითბო და მამური რჩევა,
მომნატრებია ყოველი სიტყვა,
მამური სიტკბო და დარიგება!

როგორი მხნე და მშრომელი იყო,
იუმორით და ღიმილით სავსე,
მაგრამ დრო უკან არ დაბრუნდება,
უკვე ჩავიდა ღრმად მისი მთვარე.

ნეტავ ამ ტკივილს ვინ მოგვიშუშებს,
თითქოს დროს მიაქვს სევდა და დარდი,
მომნატრებია მე მამის სითბო,
რა სწრაფად მიდის ცხოვრება, ჟამი!..

* * *

დათოვლილ მთებს გადმოჰყურებს
ღამღამობით ბროლის მთვარე,
ნეტავ სადმე თუ გინახავთ,
ასეთი ლამაზი მხარე?

აგერ ცას ვარსკვლავი მოსწყდა,
სადღაც თითქოს ჩაიძირა,
მყისვე პატარა ბიჭუნამ,
ჩანაფიქრი ჩაიფიქრა...

გათენდა და მზის ამოსვლას
ეგებებიან ჩიტები,
მოხუც, საყვარელ ბებიას
შეუგროვია ფიჩხები...

ვის არ უყვარს თვისი მხარე,
კუთხე,მიწა საფიცარი,
მაგრამ არსად არ მინახავს,
მე ამდენი სალოცავი!..

ღმერთო ჩემო შენ დალოცე,
საქართველოს ყველა მხარე,
მაგრამ მაინც მიყვარს უფრო,
ჩემი კუთხის მზე და მთვარე...

* * *

წვიმის წვეთი ეპკურება ფანჯრის რაფებს,
საღამოა, ჩაფიქრებული ლექსსა ვწერ,
ზაფხულია, ივნისის თვე, უკვე ცხელა,
ეს კამკამა წვიმა მშვიდად ჰაერსა სწმენდს.

რა სჯობია ცხელ ზაფხულში მსუბუქ წვიმას,
სიო ნაზად, ბუმბულივით ფოთლებს არხევს,
გაზაფხული და ზაფხული როგორ მიყვარს,
ყვავილების წვიმა მოდის ყოველ ღამეს.

მირზა ვარძუკაშვილი მშენებელი

დაბადების ადგილი ყაზბეგი

დამიწყდნენ...,

დამიწყდნენ მელნის ცრემლები,
აღარ სტირიან სატირალს.
ფურცლებსაც ვხევ და ძირსა ვყრი,
ვცდები სტროფების ნასუფრალს.

ვთქვი ვფიქრობ ბევრის ტკივილი,
რაც რამ მივიღე თავისად.
დასასრული აქვს ეს ვიცი,
ყოველი კაცის ნაფიქრალს.

მეშლება სიტყვა პასუხიც,
ნურავინ მიწყენთ ამის თქმას.
ალბათ დავბერდი რა ვიცი,
ვიქეც მოხუცი ძაღლის ყბად.

დამიწყდნენ მელნის ცრემლები,
აღარ მაცლიან სიტყვის თქმას.
ფურცლებს ვხევ მოკვდავთ ძირსა ვყრი,
ვუზივარ ლექსთა სასთუმალს.

გაუკუღმართდა ცხოვრება...

გაუკუღმართდა ცხოვრება,
სხვა სხვის დარდს აღარ კითხულობს.
ველით ფეხ ვისმე დაუცდეს,
ერთმანერთს ვსაფრობთ უგულოდ.

ხელის მომწვდელსაც ეჭვით ვჭვრეტთ,
ამას რაღაც სურს უთუოდ.
გაგვაბეჩავა შობილნი,
ყოფიერებამ სულ უღვთოდ.

სვის სიხარულზეც მას ვფიქრობთ,
ნეტა უხარის თუ ცრუობს.
ცხოვრება უკუღმართობს თუ,
თავად ჩვენ გავხდით უსულო?

მე ვფიქრობ თავად ვიქეცით,
ამპარტავნები უკუდო.
ყველა ზეცისკენ ვესწრაფვით,
შინაგანით კი ვჯურღმულობთ.

სულ დაცვდა...

სულ დაცვდა ტანთ თუ რამ მეცვა,
დავდივარ ჩამაძონძილი.
არ ვჩივი გარეგნულობას,
ჭეშმარიტებას მყნობილი.

გულის სამოსი არ მცვდება,
სიშიშვლით ღვთისგან შობილი.
ძონძ მანძი დარჩეს სოფელსა,
სული ღმერთს უკვდავყოფილი.

ჩემო სამშობლოვ...

ჩემო სამშობლოვ შიშმა შეგიბყრო,
იმედის თვალშიც რა გეხედება.
ცხოვრობ წარსულით არ გწყალობთ აწმყოთ,
და მომავალიც ვერას გპირდება.

გაავდა ჟამი დაუნდობელი,
მშობლის სხეულით შვილნი ვაჭრობენ.
განლაღებულნი წუთის სოფელით,
დარდსა და ვარამს დედის არ გრძნობენ.

ვგონებ კი არა მჯერავს დრო მოვა,
წმინდანნი ალბათ შუბებს აწრთობენ.
აღგადგინებენ საფლავით ცოცხლად,
შენ საქართველოვ ქართველთ სამოთხევ.

ჩემო სამშობლოვ...

ჩემო სამშობლოვ შიშმა შეგიბყრო,
იმედის თვალშიც რა გეხედება.
ცხოვრობ წარსულით არ გწყალობთ აწმყოთ,
და მომავალიც ვერას გპირდება.

გაავდა ჟამი დაუნდობელი,
მშობლის სხეულით შვილნი ვაჭრობენ.
განლაღებულნი წუთის სოფელით,
დარდსა და ვარამს დედის არ გრძნობენ.

ვგონებ კი არა მჯერავს დრო მოვა,
წმინდანნი ალბათ შუბებს აწრთობენ.
აღგადგინებენ საფლავით ცოცხლად,
შენ საქართველოვ ქართველთ სამოთხევ.

მივალ მამასთან...

რამდენი ვცადე აღმართს შედგომა,
უკან მაბრუნებს წუთის სოფელი.
სიავით ცდილობს ფიქრის შემოსვას,
ვერ შემოსძარცვა გულს სამოსელი.

მივალ მაბრუნებს ქარები უკან,
მებრძვის ფანდებით თითქმის ყოველით.
ვერ დამაჩოქებს მაგრამ კი მტანჯავს,
სატანჯველებით მრავლის მთოველით.

ასავლელს მაინც ავივლი აღმართს,
მე ცხარე ცრემლით ცოდვის მგლოველი.
ტანს რაც მამძიმებს დავტოვებ მიწად.
მივალ მამასთან ერთი მლოცველი.

არა მარტო არ ვარ...

გული? მუდამ სავსეა სიყვარულით,
სული? ზეცაა უკვდავთ სამოსახლო.
ლეში სატირალი სიბრალულით,
მიწის მკერდში უნდა ჩაიშალოს.

სიტყვა? რა რიგ შვენის კაცთა მოდგმას,
სწორედ სიტყვამ შექმნა ეს სამყარო.
მტრად რად მოვეკიდეთ სულით შრომას,
სიკეთის კეთებას უანგაროდ.

ბევრჯერ ისე მიწევს საუბარი,
გიჟიაო იტყვის რომ ვინმ მნახოს.
არა მარტო არ ვარ ჩემთან არის,
მთა კლდე სინდისი და ღმერთი ახლოს.

თვითონ გეძებდი...

თვითონ გეძებდი აღმოგაჩინე,
მომკალ და ჩემშიც მოკალი ღმერთი.
მე კი სიკვდილთან არ მიგატოვე,
ახლაც მიყვარხარ მხოლოდ შენ ერთი.

შენ არ მეძებდი ალბათ ვფიცავარ,
გულს გარეთ გყავდი ვიბრძოდი შენთვის.
მე ვიცი ახლა შენ არც გიყვარვარ,
უმადურს გული გიბოძე წრფელი.

თვითონ გეძებდი ან რატო ნეტავ,
რად დავიჩაგრე ეს გული ჩემი.
თითქმის არცარას ვჩივი ა ეხლა.
მეჩვევა დროში სიკვდილი მწველი.

რა დავაშავე ნეტავი ღმერთო,
დედამიწისთვის რა ავი ვქენი.
ახლა ვარ ისევ სიკვდილთან ახლო,
მე შენგნით მკვდარი ისევ ვარ შენი.

ხან ისეა ხანაც ასე...

ხან ისეა ხანაც ასე,
იცინიან ხოცხალ მკვდარზე.
მათ თავები ვერ იპოვეს,
და მგზავრობენ მრუდე გზაზე.

რა აცოცხლებთ რას ტირიან,
არ არიან თავად აზრზე.
სხვათ დაცინვით იჩქარიან,
ჯოჯოხეთის კუპრის წყალზე.

ამ სიცილმა არვინ მოკლა,
მოკვდა კაცი შურის ზღვაზე.
ისევ კეთილი შემოსავს,
ბოროტ ხალხთა ფიანდაზებს.

ხან ისეა ხანაც ასე,
მკვდარს ვირივე ზიდავს გზაზე.
მისდევს ვირი მგლის ბილიკებს,
საყვედურს არ ამბობს სხვაზე.

ღვთის სიყვარული...

სიბნელე არის სიბნელე ძმაო,
წყვდიადი სუფევს ჩემშიც და შენშიც.
წავიბორძიკებთ სადმე ამაოდ,
ვარდებით ღმერთის არსების ეჭვში.

ეს სისუსტეა სისუსტე სუფევს,
კაცობრიობის სენია ჩვენში.
ნუღარ დავიდებთ ეშმაკის უღელს,
ღვთის სიყვარული ჩავიდოთ მკერდში.

რამდენი კლდის ქიმს....

რამდენი კლდის ქიმს გადავეკიდე,
იღბალმა მაინც ცოცხლად დამტოვა.
არ ჩქარობს არა ჩემს წასვლას კიდე,
ბედთან ბრძოლაში განა მარტო ვარ.

მე ვარ და არის ზეცა მზიანი,
მზის იქით სულთან ღმერთი ახლოა.
სიყვარული მაქვს გულში ზვიადი,
და სასიცოცხლოდ ძე ღვის წყალობა.

მიდის მიიჩქარის...

მიდის მიიჩქარის ეს სოფელი,
ნეტავ რა აჩქარებს მაცოდინა.
თუმცა უკვე ვიცი მე ყოველი,
მისი ზნედაცემა ყოველგნით ჩანს.

მიდის კარებს ლეწავს დრო მუხთალი,
ყველა ემონება ჟამთ გულისთქმას.
ვეღარ გარჩეულა გულმართალი,
ამ წუთის სოფელში სულმდაბლისან.

ოი დედამიწავ საცოდავო,
როგორ დაგამძიმეთ სიცრუისგან.
შეძლებ სიყვარულით იმოძრავო,
თავის დასახსნელად სიყალბისგან.

მიდის საით მიდის ეს სოფელი,
ნეტავ რას მოელის იუდასგან.
აქ ვერცხლი ბატონობს ღვთის მგმობელი,
სულის უკვდავება კი უფალთან.

ზღვა აზვირთული...

ზღვა აზვირთული ტალღებით ღელავს,
ქარი ქრის ნეტა როგორ იცოდე.
შენ მიუყვები იმ ნაპირს ნელა,
ვფიქრობ დახრჩობა უნდა გინდოდეს.

შენ ვერც კი ამჩნევ მოგდევ ფიქრებში,
უსიყვარულოდ მე არ დაგტოვებ.
თავის დახრჩობას ნურც კი ეცდები,
სიკვდილთან მარტოს არ მიგატოვებ.

თვითონ გეძებდი...

თვითონ გეძებდი აღმოგაჩინე,
მომკალ და ჩემშიც მოკალი ღმერთი.
მე კი სიკვდილთან არ მიგატოვე,
ახლაც მიყვარხარ მხოლოდ შენ ერთი.

შენ არ მეძებდი ალბათ ვფიცავარ,
გულს გარეთ გყავდი ვიბრძოდი შენთვის.
მე ვიცი ახლა შენ არც გიყვარვარ,
უმადურს გული გიბოძე წრფელი.

თვითონ გეძებდი ან რატო ნეტავ,
რად დავიჩაგრე ეს გული ჩემი.
თითქმის არცარას ვჩივი ა ეხლა.
მეჩვევა დროში სიკვდილი მწველი.

რა დავაშავე ნეტავი ღმერთო,
დედამიწისთვის რა ავი ვქენი.
ახლა ვარ ისევ სიკვდილთან ახლო,
მე შენგნით მკვდარი ისევ ვარ შენი.

სიტყვა და საქციელი...

ცოცხალთ გვაქვს ხმით სატირალი,
სიტყვა და საქციელია.
ერთურთს ვხოცთ ფერებ ფერებით,
მკვდარზე გვდის ცხარე ცრემლია.

ფარისევლობა ტიალი,
ფიქრ ენა კაცის მკვლელია.
სიყვარულია გულწრფელი,
კაცთ მოდგმის გადამრჩენია.

თამუნა გიორგაძე იურისტი
დაბადების ადგილი თბილისი

ღამით მოთოვა

ღამით მოთოვა,
გაირინდა ირგვლივ სამყარო,
სიკეთესავით გადაფარა კვალი ცოდვების...
თოვლის ქულებით დახუნძლული ნაძვის ხეები,
ცის კაბადონზე ანთებული ვარსკვლავედებით...

თეთრ საბურველში ჩამალული მყუდრო სახლები,
უმანკო ფიფქით მოქარგული სახურავებით...
ჩუქურთმებით შეკაზმული საწვეთურები,
ყინვის ლოლოებს შეუმკიათ ბრწყინავ მძივებით...

ძველ ბუხარში დანთებული ცეცხლი ტკაცუნით,
ალი კვლავ ცეკვას მაცდურ ცეკვას არაბ ქალივით...
თავისუფალი მისწრაფებით, მჟღერი სიმივით,
საკვამურიდან კვამლი ძვრება კეთილ ჯინივით...

ფანჯრებიდან გადმოსული თბილი სინათლე,
ჰორიზონტად არეკლილი თოვლზე შუქჩრდილად...
ისევ ის კადრი
საყვარელი კინო ფილმიდან,
მთვარე მეფეა,
ღამე რჩება ისევ მის ჩრდილად...

გ ე ნ ი

ადამიანის მსგავსება
ხასიათებით ბევრშია,
გენეტიკური თანხვედრა,
მხოლოდ ჩვენს დნმ-შია...
სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის
კვლავ გაგრძელებაც გენშია...
ისტორიასთან კავშირი
ვინც კი გაწყვიტა ბნელშია...
აწმყო მიბმული წარსულთან
ჩვენს გენეტიკურ კოდშია...
ინფორმაციის ამომცნობ სპირალურ
ხვეულებშია,
ინდივიდების გასარჩევ ჩვენს
თითის ანაბეჭდშია...
ჩვენი ზნეობის საზომში,
აურის სიწმინდეშია...
ფიზიკურ ჯანმრთელ სხეულში,
ჩვენს სისხლის გენეზისშია...
მემკვიდრეობით გადმოსულ
ერის სრულ ანამნეზშია...
თითოეული ის,ვინც კი დღეს,
საერთო სამსახურშია,
ნამოქმედარის შედეგით -
თავში,შუაში და გვერდშია...
პოტენციალი რაც კი რამ,
ჩვენს გულს, გონსა და სულშია,
მომავლის აღზრდას მივუძღვნათ,
ქვეყნის ხსნა ჯანსაღ ზნეშია...
შთამომავლობის იერი,
ოჯახის ანარეკლშია!!!

მომავლის რწმენა

ამპარტავნებამ დაღუპა
თვით ანგელოზი ფრთიანი,
მე მართალი ვარ,მე ვიცი-მ,
ბევრი გახადა რქიანი...
მომხვეჭელობამ შემუსრა,
აზრები,
ერთ დროს მზიანი,
რადიკალიზმის პათოსმა
ხალხს მიაყენა
ზიანი...
მასების დაზომბირებამ
ფიქრი გახადა გვიანი,
ნათქვამის„ასჯერ" გადათქმამ
ცხოვრება ნარეკლიანი...

კვლავ დავიწყებამ წარსულის-
სოც.პოლიტ. მტყუან-მართლიანის,
„ლურჯი უფსკრული" გვაჩვენა
ჩაძირულ ცრუ განძიანი...
ნუღარ ვეგებით ანკესზე,
დროა,რომ გავხდეთ ჭკვიანნი!!!
ჩვენი ქმედების ძალაა,
სიტყვები ღრმა აზრიანი...
მომავლის რწმენის ტალღაა,
თაობა გონსაზრიანი...
შანსი არ დავთმოთ შენების,
უნარი, წვრთნა მადლიანი...
დამეწყრილ მიწას აჩერებს
ხის ნერგი მყარ ფესვიანი!!!

ოპტიკური ილუზია

შალის პლედი
    არქაული ორნამენტით,
ეფინება ქალის ნატიფ,
    ძლიერ მხრებს...
მონუსხული ნაწვიმარ
    დღის მონუმენტით,
ოქროსფერი ეთვისება
    ჟანგის ფერს ...
დანისლული ზეცის კიდე
    ამ მომენტით,
გულში ივსებს მახსოვრობის
    ღრმა ფენებს...
ოპტიკური ილუზია
    ძველი ლენტით,
მხედველობით წარმოსახვებს
    ასხამს ფრთებს...
იმპულსური ხასიათის
    მუდმივ ხედვნით,
საღი აზრით:
    ის-შენ,
        შენ -მე,
            მე- მეს მძენს...

წამიერი წუთის
    წლებით წინგასწრებით,
ვარსკვლავებს ვწყვეტთ,
    ვიჯერებთ და ვარდებს ვკრეფთ...
იმედიან იდეისთვის
    იდეალებს,
მომლოდინე მზერით
    მზეზე მივაფენთ...
ამაოს და არსთა არსის არსებობას,
    დაფნით დაწნულს,
გვირგვინებად გადმოვფენთ...

გაფრინდა წელუ,ფიქრები

გაფრინდა წელი,ფიქრები,
საათს დაუცვდა ისრები,
ვიღაცამ განვლო ღირსებით,
ბევრი იღვაწა ღვთის ნებით,
არ გადაგვარდა თვისებით,
არც ვინმეს მაცდურ მიზნებით...

ზოგისთვის ცა სულ გაბაცდა,
ეკალ-ბარდსაც კი ვერ აცდა ...
დარდმა იმდენად გაძარცვა,
შესამოსელი დაძარცვა,
შინაგან ვნებათაღელვით
სული ტკივილით ჯვარს აცვა ..

პირდაპირი თუ ირიბი გაგებით
ბევრი რამ მოხდა,
რამდენს ნაფიქრი,ნათმენი,
„ახია ჩემზე "აღმოხდა...
სინდისით სავსე ჭური კი
ითხოვს დროულად თავს მოხდას...
ვერც შუბლზე ხელის ტკეცა და
ვეღარ გვიშველის ვალმოხდა...

ყოველდღიური რუტინა,
ჩარჩო და ქუჩის ვიტრინა,
ზოგმა მეტალზე აფრინა,
ვინტაჟს და ვინილს დაცინა...
საპირისპიროდ ბევრმა კი
ღვთიური ხმები აფინა,
მომავლის უკეთეს რწმენით
საქმე ლოცვას არ აცდინა...

უკვდავების წყაროს წყალი

წინაპრისგან დატოვებულ
ვაზის ზვარში,
მუხლმოყრილი სათუთობა
ყოველ ძირთან,
ლოცვის რიტუალს მივამსგავსე
ხელაპყრობილს,
გულმხურვალედ აღვლინებულს
უფლის ხატთან...
ფოთლის კვირტვა,
ცოდვებისგან წმენდის ცდას გავს,
ლერწის აკვრა,
მონანულის მიტევებას ...
ყურძნის მარცვლად ჩამოკუნწვლა,
ასხმულ ფსკვნილს გავს...
მტევნის კრეფა,
მეტანიის შესრულებას ...
რთველი?!
ღვთიურ სიტყვის
სასწაულს გავს,
ნაყოფიერ ნიადაგში
თესვის იგავს ...
დაწურული მოსავალი
მზის ნაჟურს და
მაკურნებელ სითხედ ქცევა,
უფლის ნებას...
მოკვდავთათვის სისხლის
ღვინოდ გადაქცევა,
უკვდავების წყაროს წყალის
რწმენით გემას...

სიმშვიდე სულის განძია

მუდამ ვცდილობდი გაგებას
ადამიანთა ქცევის...
თანდათან უფრო ვრწმუნდები
ზნე-ჩვევას ვერ ცვლის წლები...
მიუხედავად მრავალი მცდელობების
და ცდების,
არ გათეთრდება ყორანი,
აზრს კარგავს შეცვლა ფერის...
გზა დაულოცე,გაუშვი,
იფრინოს როგორც შვენის...
შეიგრძნოს,თვითონ იწვნიოს,
ალალმართლობა ბედის...
ნამოქმედარით ფასდება,
ამ ქვეყნად რხევა ფრთების...
მერე კი დრო თავს დაუთმე,
შანსი მიეცი შვების,
თორემ ყოველი უღირსი
ბნელში ორმოა შვლების...
არ გახდე მსხვერპლი ღვარძლ-ბოღმის,
ნატკენ გულს მოვლა შველის...
ღიმი აისხი მზისფერი
შენს სითბოს სხვებიც ელის...
სიმშვიდე სულის განძია,
გონების თვალი ბრძენის...
უსამართლობა იქნება
ფუჭად დაკარგვა წლების...

* * *

თვალები სევდით გასცქერის შორეთს,
მხრები სიმწიფის მანტიას ისხამს...
გონების ძალით იგებენ ომებს,
ფრთები ნისლიან ამინდსაც იტანს...

თითები ფრთხილად ეხება სიმებს,
ფოთლები ცეკვით იწვევენ იფანს...
თმები შერეულ ვერცხლისფერს იხდენს,
მწიფე თავთავი ოქროსფერს იცვამს...

ზაფხულის სიზმარი

ვსეირნობდი ზღვის ნაპირზე,
ტერფებს ტალღა მისველებდა...

მიფიცხებულს მზის სხივებზე,
სახეს სიო მიკოცნიდა...

აცეკვებულს ცხელ ქვიშაზე,
რიტმებს წვიმა მისრულებდა...

გავყურებდი ჰორიზონტს და
მთვარე სონეტს მზეს უძღვნიდა...

იმოქმედა განწყობაზე,
მართლა ნეტარებას მგვრიდა...

ვიწყებ სიზმრის ახდენას და
ვიბადები ზღვის ქაფიდან ...

* * *

შ--ორიდან მოაქვს ჰანგები ნიავს,
ო--რომტრიალში წლებიც გავიდა...
პ--იესად ნაწერ პოლარულ
ციალს,
ე--ტიუდებმა
ცა დაუბინდა...
ნ--ოტის ფურცლიდან
ალეწილ გრიგალს,
ი--სევ გენიის ტაქტი გაწმინდავს...

აკორდები

გული სევდანარევ
გრძნობით სავსე,
ისევ ელოდება
სითბოს ალერსიანს...
ლოცვა გულწრფელობით
აღსავსე და
ორმაგი აქვს ძალა,
სიტყვას ომახიანს...
ციდან ვარსკვლავები
შუქით სავსე
აკორდებს ბგერებს
უწყობს მრავალხმიანს...
ვარდი ბულბულს
ელის ტკბილი ჰანგით სავსეს,
გონი ფრაზებს ეძებს
ბრძნულს და მრავალ ფრთიანს...

მწიფე თავთავი

თვალები სევდით გასცქერის შორეთს,
მხრები სიმძიმის მანტიას ისხამს...
გონების ძალით იგებენ ომებს,
ფრთები ნისლიან ამინდსაც იტანს...
თითები ფრთხილად ეხება სიმებს,
ფოთლები ცეკვით იწვევენ იფანს...
თმები შერეულ ვერცხლისფერს იხდენს,
მწიფე თავთავი ოქროსფერს იცვამს...

* * *

სითბო, ფისო და პლედი,
თენდება წვიმის ბგერით...
ქალაქი იღვიძებს ხმებით,
ქარის და გულის ძგერით...

ღამეებია გრძელი,
სათმენად უფრო ძნელი...
რიჟრაჟს კვლავ თმენით ველი,
მუსიკა უკრავს ნელი...

დროა!!!

ღვთის ხატად ქმნილო!!!
დროა,
იფხიზლო!!!
გამოაღვიძე მთვლემარე სული...
თავს შეუძახე,
გაითავისე,
დღეს ერს ჭირდები
გონებით სრული...

ნუ დაგაბრკოლებს,
რომ არ ხარ ბერი,
განდეგილი ან
სალოსად მვლელი...
საკმარისია, როგორც ნათელი,
რომ იყო ბნელის ცეცხლივით
მწველი...

ნუ შეგაშინებს ავი კოშმარი,
წარმავალ სოფლის შავი სიზმარი...
ხედავ?
ხმამაღლა„ჩუმად" რეკს ზარი,
ისევ მზაკვრობით
გულს გვადეს ბზარი ...
კვლავ გამოვაღოთ ოჯახის კარი,
სალოცავ კუთხეს
ვაბრძანოთ ჯვარი...

სულში მოვხატოთ
ფრესკები ტაძრის,
გადავარჩინოთ მშობლიურ სახლის,
ფანჯრიდან მფენი
იმედის შუქი
და რწმენით ვფეროთ
ფერები მუქი...

განუწყვეტელი, მუდმივი ღვაწლით,
წარსულის, აწყმოს, მომავალის ჯაჭვით,
გონების ძალით
გადებულ ხიდით,
ბექიდან-ბექზე,
უფსკრულს„ზე" გავლით,
კვლავ მოვიპოვოთ
ერთობა კრძალვით ...

მეგობარო

შენ, საკვები ხარ,
სამყაროში არსებობისთვის...
შენ, წამალი ხარ,
სნეულ გულის განკურნებისთვის...

შენ, მაგნიტი ხარ,
ანდამატი,
ერთგულებისთვის...
შენ ჰაერი ხარ,
უჩინარი, ყველგან მჩენი სიყვარულისთვის...

* * *

რიჟრაჟს კვლავ თმენით ველი,
მუსიკა უკრავს ნელი...
საფიქრალია ბევრი,
უკვდავქმნილი შედევრი...
ნეტავ ბევრს ხომ არ ველით?
გადაღლილია ერი,
განწყობა ნაცრისფერი...
მოსაძებნია ფერი,
მომავლის შესაფერი...

სულიკო ჯამალაშვილი პოეტი
დაბადების ადგილი საგარეჯო

* * *

მითია თუ სინამდვილე
ძუ და ხვადი სწორი,
ასახდენი ოცნებაა
თუ ციალი შორი?!
მიყვარს დილის პეიზაჟი,
მყვირალობა ხოხბის,
ჯადოსნური ტრამალები,
ვეფხვისა და მოყმის.
განურჩევლად კუთხეების,
კახი ხარ თუ მესხი,
წყვდიადი რომ წყვდიადია
მასაც ჭკვიდან შეშლის!
როგორ მტკივა კალმოსანო,
ტაო-კლარჯეთ, რიწა,
გაჩუქებულ დაპყრობილი
ყველა ჩვენი მიწა!
უძრაობას განვარიდე
ბწკარია თუ ბელტი,
საუკუნე მოვიხილე,
ლუწიც ვნახე კენტიც.
მიყვარს დილის პეიზაჟი,
მყვირალობა ხოხბის,
ჯადოსნური ტრამალები
ვეფხვისა და მოყმის!...

* * *

დავგმე სამყაროს მითი,
იმ გარინდებულ დღეთა.
საუკუნეებს ითვლის
მერიდიანთა კვეთა.

ტოვა შხამი და გესლი,
ცრემლი მისველებს კალამს.
სამყაროს ვგუობ შეშლილს,
დღის გაურჩება მზარავს.

და რომ მდგარიყო ფეხზე,
წუთისოფელი მყარად,
ქარებს ვუშვირე მკერდი,
სალი კლდეების დარად.

ვეღარ მიოკებს სივრცე,
ვუშვი სადავე მერანს.
მიუსაფარი ზღუდე,
გადმონაშთია ჯერაც.

მივალ მივაპობ სივრცეს,
ჯერაც მბჟუტავი კვარი.
გზად ბეწვის ხიდი მოსჩანს
და საუკუნის მგზავრი.

* * *

სამრეკლოსი დუმილი მკლავს,
ცრუ მრევლისა პიარი.
გოლგოთის გზებს მივუყვები
სამოთხისკენ მზირალი.

მოდი ერთად მოვიხილოთ
ვარსკვლავების ციალი,
იქნებ წყაროდ ამოვხეთქოთ
უდაბნოში ტიალი.

ჩემი ჰობი, ჰობად რჩება
შეუვალი ჩქერები,
წამიერი გაელვება
სევდიანი ლექსები.

სიტყვა გრდლემზე გამოვჭედე,
ვარსკვლავს ვუძღვენ ნოხები,
ტრამალს დამღა დავამჩნიე
ჩემი მერნის ფლოქვებით.

მირაჟი ვარ თვალწარმტაცი,
გარუჯული ხელები,
ნაკადულის სიანკარე,
ჩანჩქერების კერები.

მოდი, ერთად მოვიხილოთ
ვარსკვლავების ციალი,
იქნებ წყაროდ ამოვხეთქოთ
უდაბნოში ტიალი.

* * *

წამიერია სიცოცხლე,
არ მინდა ისიც ყალბი და
თუ მამულს როსმე ვუგანო,
თვალნი მიწითაც დავსილან.

ცამ ბრილიანტი აისხა,
მთვარე ალხაჯზე დაბრუნდა,
ზღვარს უსაზღვრობა დაეძებს,
მგოსანს საზღვარი რად უნდა?!

ვეღარ ვუწიე იალაღს,
შემომაღამდა ხარირემს!
ახლა იმ რითმებს მოვუხმე,
წლობით ჩემგან რომ გავხიზნე!...

ნაოჭი დაჩნდა რამდენი,
სიბერემ ხელი დამრია,
ძველ მივალ, ახალს გზას გითმობ,
გელი უსიტყვოდ ხანია.

თუ რუსთველს შეეჭიდები,
გზა ხსნილი გქონდეს ძამია!
თუ ვერ ივარგე მგოსნადა,
იყავ კაი ყმის დარია!

ცამ ბრილიანტი აისხა,
მთვარე ბინაზე დაბრუნდა,
ზღვარს, უსაზღვრობა დაეძებს,
მგოსანს საზღვარი რად უნდა!

ემიგრანტებო დაბრუნდით

ნაიარევი წარსულის
ისევ ატყვია ქალაქს
შენ საბერძნეთში რა გინდა
აქა გვჭირდები ქალავ

შენ აქ ზღვაცა გაქვს მდინარეც
ბულვარიც მეფის ხანაც
არც ჩვენ ვართ დალხენილები
პური გვაქვს ხანაც არა

* * *

სიო უწილადე ატმის რტოებს,
ღამით ყივჩაღივით ვუდარაჯე.
მერე ლაჟვარდებად მოვეფინე,
ჩემი სიყვარულის მუხამბაზებს.

დიდხანს ვუტრიალე ვაჟას არწივს,
ხანაც ჩავანაცვლე ბოდლერს შელი,
რაცხა გავაკეთე ქვეყნისათვის,
ალბათ უფრო მეტი დავაკელი.

ვზივარ ლაჟვარდებში მარტოსული,
კალმით განვადიდე ძუ და ხვადი,
ყელზე საბელი მაქვს გამობმული,
არა პრემია და დანამატი.

ისევ გოლგოთა გვჭირს მერამდენე,
ისევ ჩვენია და ასავლელი,
რა დროს ღალატია, სიჩაუქევ,
თვალი არ დახუჭო ასახელი.

ახლა, რა დრო არის ნუღარ მეტყვი,
ხვადი საყურეთი მიხვრა მდედრის.
რწმენა, მეტნაკლებად გარიყული,
ძუზე არას გეტყვი, დავმუნჯდები.

* * *

ურაგანი შემიღრენს,
ისევ ღამით გალეშილს.
ყვარებია ამინდსაც,
ძუ მგელივით თარეში.

კალამს ისევ ვაშიებ,
ლექსთან ისევ უბრად ვარ
და ტყეც მიუსაფარი
ვეღარ გუობს ურაგანს.

* * *

ვერას ვკადრებ გალაქტიონს,
ანდა ვაჟას, მაშინ წავხდე.
მათ წინაშე უძლური ვარ,
უძლური ვარ მათ წინაშე.

ჯანღი წევს და თვალსაწიერს
ჩაურაზავს გზები მსხნელი.
კაეშანმა მიუჩინა
საროსკიპო და გზა მწველი,

ამორძალმა მთის ნაჟურით
დაიბანა როცა სახე,
მომაძახა ეგ სტროფები,
საუკუნით გადვინახე,

გადვინახე ყველა სტროფი,
გასარითმი რაიც ვნახე.
სიო მთიდან მონაბერი,
ამიტომაც დამთამაშებს,

შენ ერთადერთს გაგიმხელდი,
ამორძალო, გულის ნადებს,
ეგ ნაჟური უდაბნოში,
წყაროდ იქცეს მორაკრაკედ.

ვერ გადმოგცემ სიტყვებად,
დამიდვია რაც ფსონი.
სიკვდილი თუ სიცოცხლე,
კიდევ ერთხელ ავწონი!

რაც გაზაფხულს აკავებს,
ლერწის ხილვა არ ნებავს.
კალმით ნაშენ რითმებით,
ერთიანა წავლეკავ.

* * *

ისევ მივულოცე დღესაც,
ლაჟვარდს ჰორიზონტის კვეთა.
ცოტა წავიხემსე კიდეც,
ლუკმა უწილადე მეძავს.

ვატყობ მივავიწყდი მუზას,
ვუცდი ძუ მგელივით სერზე.
ალბათ ისევა მყავს უბრად,
ჯანღმა დაივანა მთებზე.

ვეღარ დავაჭედე სტრიქონს,
რითმა გასახარი გულის.
ისევ მივეძალე არაყს,
ასე მოვიშუშე წყლული.

* * *

ბრწყინავდა უწყვეტ ფერთა გამაში,
ფარჩით ეფარა ტანი შიშველი,
უნაკლო იყო პოეზიაში
და უთვალავი გარს ერტყა ლელი.

დროს შეუღრინა და უთხრა კმარა!
და ბოძებული აღმართა ჯვარი,
მე პოეტი ვარ, მარად და მარად!
საუკუნეთა უწყვეტი მგზავრი!

მდედრი თუ მამრი, ძუა თუ ხვადი,
კვლავ ინტერესი კლავდა ცხოველი,
გამეფდა დრო და გამეფდა ჟამი,
ახალი დროის უარმყოფელი!

საქართველო მე ვარ, შენ ხარ...

საქართველო შველას ითხოვს, შენგან მოვა ყივჩაღიც,
საქართველო მე ვარ, შენ ხარ, საქართველო ის არი!
საქართველო ილიაა, საქართველო რუსთველი,
საქართველო დიდგორია, მტერთა შესამუსვრელი!
ვწუხვარ, ზოგჯერ ვეღარ ვამჩნევ, მტერია თუ მოკეთე!
საქართველო მკლავი არის, დიდოსტატს რომ
მოჰკვეთეს!
საქართველო წარმტაცია, საქართველო ერთია!
საქართველო ქეთევანის დაშანთული მკერდია!
საქართველო თარშია, აფხაზურა მერცხალი!
საქართველო შარტავაა, თვალზე ცრემლებ შემხმარი!
საქართველო შველას ითხოვს, შენგან მოვა ყივჩაღიც,
საქართველო მე ვარ, შენ ხარ, საქართველო ის
არი!
დიახ, ჩენ ვართ საქართველო, მტერთა შესამუსვრელი!

* * *

მთვარის უკუქცევა,
მუზის ჰარმონია,
ჩემი სიამაყე,
ლექსის აგონია!

სტრიქონს შევალიე
რითმა გასახედნი,
მამლის ყივილამდი
შენახული ბრენდი.

რითმა მომენატრა,
რითმა, ძველის-ძველი.
ხვადის დაწინდული,
ძუის ანარეკლი.

ჟამის შერაცხული
წლები მიმოდიან,
დილის პეიზაჟი --
ღამის პაროდია.

ზურგის მოშიშვლება,
დღენი უკაცური,
უსაზღვრობის განცდა,
განაღმული შური.

უსაზღვროა კვეთა
მამრისა და მდედრის,
თუ სიმღერა გწყალობთ
მომაკვდავი გედის.

* * *

გეხვეწე, არ გინდა,არ გამცე,
თუმც მუზა არა მთმობს ოხერი.
ეს ლექსი უმღერის ლაჟვარდებს,
აპრილს კი მაისის ნოხები.

შემოვრჩი ნაგზაურს, ლეგენდად,
ვაჟაის მადლი წევს არხოტზე,
თუ გინდა მიხილე ერთჯერად,
თუ გინდა შემომდე თაროზე.

ნუ მეტყვი სხვა დროა მერიმე,
კბილიც ვერ ვიცვალე სარძევი,
შევუნდე წასალეკ ჯებირებს,
გოლგოთა ჟამისგან ნარწყევი,

და მთვარეც დაბინდდა ეული,
და ვიცი ამაღამ იწვიმებსმ
კორიდა ხარისგან ძლეულა,
ტრამალი მერნისგან ქვითინებს.

* * *

ჩამოშლილია გუმბათი, კალთა,
ხავსმა დაფარა ნაბილიკარი.
მხოლოდ ცრემლები გოდება ქალთა,
შეხიზნული ვარ კლდეებს ფიქალი.

გადმოსული ვარ შენთან ალავერდს,
ვუსმენ შენს ფეთქვას თვალით მზირალი.
სხვა ვიღა დამრჩა ვავლებ პარალერს,
შენ, საქართველოვ, ერთი მითხარი!

სასომიხდილი არა და არა,
აღარ მანახო ამერ იმერი,
როგორც დამშრალი წყარო ანკარა,
როგორც ყვავილი ქარში ნაგვემი.

ჩამოშლილია გუმბათი, კალთა,
ხავსმა დაფარა ნაბილიკარი.
მხოლოდ ცრემლები, გოდება ქალთა,
შეხიზნული ვარ კლდეებს ფიქალი.

* * *

დასალიერს, ზოგჯერ მითი
და ცდუნება გვაშორებს,
წუთისოფლის სტუმარი ვარ,
წლებმა, წლებმა დამტორეს.

როგორც ჟამმა, დრომაც ტოვა
წარუშლელი კვალი და
ფრესკებიდან სისხლი ჟონავს,
ვით ერეკლეს ტანიდან!...

დაჭრილ ირმის ჯოგი მოსჩანს,
სადღაც ახლოს დაყრილი.
ბეწვის ხიდად ვეღარ ცალობს,
საუკუნის გზაწვრილი.

ესეც ძველი პეიზაჟი,
წელთაღრიცხვით ახალი.
შენ ხარ ჩემი საქართველო,
მე ვარ შენი წაწალი!
ალავერდი გადმოვედი,
ერთად შევსვათ მოდი და
ხანაც დოღმა გამიტაცა,
ხან ხარების კორიდამ!

ბოლოს მუზამ ხელი მტაცა,
შენი საქმე იცოდე,
სანამ წრიდან გახვიდოდე,
ცეცხლში უნდა იწვოდე!...

შენ, გართობის ნება არ გაქვს,
ჯაჭვითა ხარ დაბმული,
შენ გოლგოთა აირჩიე,
და სიცოცხლე ჯვარცმული!...

დროებითი გატაცება,
ვერ გახდება ჰობი და
მოდი, მოდი სისხამ დილით,
მიხმობს მდელო კორდი და
ცხელი დედას პურები,
ამოყრილი თონიდან!

* * *

ტრამალ და ტრამალ აგადევნე ჩემი სტრიქონი,
მოვარდნილ მუზას მეწყერივით ძალა ჰქონია!
და როცა მთებზე აზვირთებულ ჯანღად ვდიოდი,
ზღვარი დავუდე უსაზღვრობას ასე მგონია!

პოეტს სიმდიდრე, ლუკმა პური სანამ ჰგონიამ
დაიბადება ჯოყოლა და ტატო, გრანელი.
საუკუნებს უყოყმანოდ გადიწონიან,
უსაზღვრობაში გაქაფული მათი რაშები.

დილა თენდება უნიათო, სიცოცხლის წამო
მიმოვდიოდი, მთელი ღამე მუზა მივლიდა.
ტრამალს გავხედე, უარი ვთქვი სიმცირის გამო
და არწივეთიც მეცოტავა საფრენ ბილიკად!

პაპუნა ქვარიანი ისტორია-ფილოლოგია
დაბადების ადგილი ცაგერი ორხვი

საპნის ბუშტივით

ღმერთმა რაც მოგვცა თუკი წაგვგვარა,
არ აეწყობა საქმე ამგვარად;
რადგან ქვეყანა ასე წაირყვნა,
საძებარია ყველგან კაი ყმა.

თუკი კაენი ისევ კაენობს,
რის მაქნისია მაშინ გაერო?!
აწ კიდობანი ვეღარ გვიშველის,
აინშტაინი გარბის შიშველი.

ერთი მითხარით, დასაბამიდან
ვინ არ დამარცხდა როცა იომა?!
თვით ბაბილონი როგორ დანაცრდა,
მაინც არ ცხრება კაცობრიობა.

თვითგამორჩენის სწრაფვის სურვილი,
აღარ ასვენებს დიდს თუ პატარას,
არ გასკდეს გული საპნის ბუშტივით,
არ დავრჩეთ ისევ ჯოხის ამარა.

აცინცხალებს

ათინათის ცრემლი
ეღვინთება მდელოს,
მოსახდენს ვერ შევცვლით -
რაგინდ ვჭრათ და ვკეროთ.

ვიღაც ქეჩოს იფხანს,
ვიღაც ქვეშ - ქვეშ ქველობს,
ლაფი ვასხათ იმ კაცს -
მამულში რო გველობს?!

უნდა გახდეს საწერო
ხორციელი სერობა,
ქუხდეს სიტყვა საერო -
სასამხნეო ზეობად.

საჯილდაო მერცხლები,
აცინცხალებს განწყობას,
თავზე შემოგევლებით -
სასულმნათო საწრთობად!

ნატვრა

ჩვეული ხარ ფარულ მზერას,
მოაჩვენებ კაცს ერთს ასად.
მაცდურ თვალით გულს მისერავ,
სიტყვას ნატრობ ვნების თასად.

უთქმელ სათქმელს ეთანხმები,
განიქარვებ წუთით სევდას.
მკურნალს ეძებ დანანებით,
ვერ პოულობ თუმცა ვერსად.

ავის მაცნე

ეჰ, საწუთროს
რა შევჩივლო?
ვინც რო ურჩობს
წეწავს სინდრომს.

პირშავ ამბორს
ვერ გადვურჩი,
მრჩება სარჩო
მოსაქუჩი.

ამბიონზე
ქოთქოთს ვლესავ,
საღიოფედ
ოხრავს ქლესა.

ავეტმასნე
ბუქის ფარდაგს,
ავის მაცნემ
ჩამომკაწრა.

იწრთო

შფოთის წიაღში
შემომათენდა,
აზრის სიახლის
ვქექავ ნაღვერდალს.

სული ნაგვემი
დაზაფრულია,
ხარკის ამკრები
შიფრავს უპრიანს.

ცოდვის ყლორტები
იწრთო ხუნდებად,
ღვარძლის ფლოქვები
ათქარუნდება.

უძღებ მშიშარამ
უმატა ღრინვას,
დაიბრდღვიალა
განგაშის სხივმა.

ის რაც

ქარი უტიფრად
გვერგვავს ტირიფებს,
ხოჭომ უღირღნა
ფესვი გვირილებს.

ციყვებმა მაჩვი
გააქილიკეს,
სილუეტს აწვდის
ტატნობს პირიმზე.

მიმოიცეცქვა
აბი საძილე,
სულიერ ღვენთვა
მიმოვაფხიზლე.

შესარჩევია
ზნის საფირონი,
ის რაც წრფელია -
ეცხოს მირონი!

ცხოვრების დვრიტა

ვეძებ დარში და ვეძებ ავდარში,
სად აღარ ვეძებ ცხოვრების დვრიტას,
ვეძებე ხალხში, ვეძებ საყდარში,
ცოტა სიამეს, ბევრ ჯახირს ვიტან...

ვეძებე ფულში, ვეძებე ქალში,
ვეძებ ოცნებით, ვეძებ ხილულად...
ცრემლი შევნიშნე ჯალათის თვალში,
ციდან სხივები ჩამოხიდულან...

შიშით დავეძებ ბრძოლის ქარცეცხლში,
ვეძებ წაქცეულ მოძმეთ გარშემო,
ვეძებ, არ ამცდა ხვედრი ასკეტის,
ვეძებ, გოდოლი არ ჩანს საჩემო.

გადავიღალე ამდენი ძებნით,
სევდით დავცქერი მარჩენალ მიწას...
წინაპართ ძვლების ღაღადი მესმის--
ჩვილის თვალებში ციაგებს დვრიტა.

სინაზე

რა შეედრება
დილის მშვენებას,
ითავკვერება
კასკას ფერებად!

როს აჭიკჭიკდა
ანცი მერცხალი,
ამისიფრიფდა
ვნების ნექტარი.

ნიავს მივანდე
მიმოზის ღელვა,
ო, ეს სინაზე
იოგებს სერავს.

განწყობა ქველი
სამწყოს დარაჯობს,
ჩამკიდე ხელი -
მივყვეთ ქარაშოტს!

ვთბუნავ

როს მოაწყდება
ნაპირს ზვირთები,
ჯიქურ თავნება
ნავსით ვივსები.

როს ვეხიდები
წარსულის ალერსს,
ბაცი სიზმრები
მიფშვნიტავს თვალებს.

ო, რახანია
სად არ დაგეძებ,
იმ სახვალიოს
ვთბუნავ სარეცელს.

ე, ღამის სუსხმა
ისე მათრთოლა,
მოწყალე თუ ხარ
მიხმე სათრობად!

უხმობს

ისე გაყუჩდა
ბებერი ხევი,
ტოტებს მოსწყურდათ
შრიალი ხვევნის.

როს უნიათოდ
მოდის მყოფადი,
ამოდ ხელხვავობს
ჩრდილთა ნობათით.

მიიკლაკნება
ცრემლის ბინული,
უხმობს ღირსება
სვეგანწირულის.

თანხმობის მგმობი
გააფასურებს,
უებრო ნდობის
ალალ დასტურებს.

წვიმის მონატრება

გაუცინა ცისარტყელამ
ავდრის სიფერმკრთალეს.
უდაბნოში ყვავილს ვხედავ,
არ ვუჯერებ თვალებს...

წვიმს... და უცხო
თვალხატულას
ფურისულას ვარქმევ;
ქარით გზათა გადასილვა
შეეწონა ნაღველს.

გულში ისე ჩასარკულა
ვერ ვივიწყებ შვიდფერს;
მაინც ვაცნობ ჭირის უსტარს
ამ ჭირვეულ ფიქრებს.

ახლა მივხვდი, რა ყოფილა
მონატრება წვიმის...
და რად შევხვდი კმაყოფილი
ფურისულას ღიმილს.

დაიხვეწება

ეჰ, რარიგ ცვლის და გონებას უმღვრევს
კაცს მიწიერი ცხოვრების არსი,
ზოგს სიღარიბე მხნეობას მატებს,
ზოგს კი სიმდიდრე არაქათს აცლის.

მაცდური ბიძგი დასაბამიდან
წარმმართველ ძალად წარმოისახა,
რაც ასულდგმულებს კაცობრიობას
და ქვეცნობიერს შეიქმს მისაბაძს.

მინდა, რომ წმინდა გონის უჯრედი
გადაენერგოს ცოდვილ ათასებს...
ღვთივ ხელდასმული სიბრძნის შურდული
შეუვალ ციხის თაღებს გადასწვდეს.

თუ არ მოაკლდა ზენაარ მადლი
ოცნებით ნაკვებ ზეშთაგონებას,
დაიხვეწება როდესაც მრწამსი,
სული ხორცს აღარ დაემონება!

კუთვნილს

მიმოვიქანცე
ამდენი ოხვრით,
ო, ეს სინაზე
სიამეს ცოხნის.

ქარმა აწიწკნა
პეწი ხის ტოტებს,
წინსვლის საწინდრად
ყამირი მოხნეს.

ჯანი მოქმედი
ხვნეშის ეულად,
უტყვი ცოდვები
მიმონთხეულა.

მსუნაგ ტალკვესის
ყველა სიავეს,
უზენაესი
კუთვნილს მიაგებს.

უდროო დროს

ერის მიმართ ნათქვამი
პირობა თუ ირღვევა,
მაშინ ყალბი აზრები
დაიფრქვევა სიტყვებად.

მაშინ როცა ბაგედან
შხამი გადმოიცრება,
ცხადის განზომილება
მოგვედება სიზმრებად.

აივსება მამული
დამთხვეული ჩაფრებით,
უგზო - უკვლოდ ვივლი და
უდროო დროს ჩავქრები.

ოღონდ სანამ ვიქნები
ფიქრით მაინც ვიომებ,
გაუხეშდნენ რიტმები,
უნდა ვეძმო დიოგენს!

ატანა

ნუთუ მიწიერ
სასაცოდვილოს,
იმად ვიძიებთ,
რომ ვიორპიროთ.

რომ დავეუფლოთ
კოშკის ქონგურებს,
ღვთიურ საუფლოს
ვამკობთ მოდურებ.

გულმა იწვნია
როს სულის ჯვარცმა,
სისხლმა იყივლა
სამოთხის კართან.

ჰოდა სატანამ
იხსნა ბარაბა,
რომ აგვეტანა
დავიდარაბა.

შეცბა

როს სიახლოვე
ზღვარს გადასცდება,
დრო აფასოებს
განსჯას საცდელად.

როს მომახალეს
მანკიერება,
შეცბა სახვალე
სიმის ჟღერება.

ტლუ დამცირების
ჩასისინება,
გულღრძო გზირების
სახავს მხილებას.

შვება რო ღვენთოს
თუგინდ ზარებმა,
გუნება კერპობს
არ საკარებად.

მითრევს

სუსხი განქარავს
აღრენილ გრგვინვას,
ჩახერგილ წკვარამს
ეამა წვიმა.

ნაბახუსევი
მიხმობს ზვირთები,
ვბორგავ გულმწველი
გამოფხიზლებით.

ძლივს გადავკვეთე
სივრცის განედი,
ურჩ სასახედნეს
აღვირს ვაჩვევდი.

რადგან განგებამ
აწრთო მხილება,
ემხრობა ვნება
შეხმატკბილებას!

არა მგონია

როცა სხეული ფითრდება
სული იწყებს გაცხარებას,
ერთიმეორის განტვირთვით
ერთგულება გაცხადდება.

მაგრამ მაინც არ მგონია,
რომ ეს ორი ფენომენი,
ერთად ისე მოქმედებდნენ,
როგორც რიგი და ნომერი.

თანაც ვიცი, ვერ შევაღწევ
მათ იდუმალ საუფლოში,
ერთს სანდალი ჩაუცვია,
მეორეს კი ოქროს ქოში.

იდეალურ შეთანხმების
ნაყოფს მათგან ვერ ვიხილავ,
გარკვეულ დროს თანამდგომნი
ერთმანეთის ჩრდილებს ჩრდილავს.

მოვიოხე

რადგან არ არსებობს
სრულქმნილი გარანტი,
ხორცის საამქრებოდ
სულიერ დავმარცხდი.

საღრუბლოდ იელვებს
წანწალა მაშხალა,
დამფრთხალმა სიმთხლევემ
განწყობა ჩაშხამა.

ანგელოზს ნაადრევ
აეწვა ცრემლები,
წინაპრის ანანთხევ
ნასისხლარს ვეხვევი.

ოხვრით მოვიოხე
შუბლი საიოფლე,
მტერო დაიოთხე,
შარა გაიფოფრე!

ვუფრთხი

ამეკვიატა
სინდრომი ცრემლის,
ვნებას მიღადრავს
სიმდაბლის ქერტლი.

გამისასტიკდა
ბეცი თვალები,
ვუფრთხი საფიცარს
ძერის მანერით.

თავდავიწყების
კვნესის დილემა,
ფარსის ხიჭვები
მეძინძგილება.

აღქმულ სამდურავს
ნერწყვი აკმევდა,
ვარამს განმუხტავს
შენი თანხვედრა!

ვით ვწვდე

გაიჩინდრიკა
სიავის ხვითომ,
ნაცად სიმწრიდან
განკვეთას ვითხოვ.

ყრუ შეძახილის
ფხა არ მიამა,
ხელებჩაწვდილი
ვით ვწვდე იარაღს.

დაკოჭლებული
ხვნეშს სიავკაცე,
სული ვნებული
ცას მივაჯაჭვე.

როცა სიზმარი
ნთქავდა იარებს,
მინდვრის სისხამი
ცვარს აპიარებს.

ობლის აკვანი

შეეზიარა ქარაშოტი ცის ატირებას,
წუთით მყუჩდა აღგზნებული ლოცვა მოკვდავთა,
შეეწირება მოთარეშე ავ ახირებას,
ელვამ ალქაჯი ქამიერად მიხარ-მოხატა.

შეაფერადებს ნაკადულებს სისხლი დაჭრილთა,
მგლების ხროვასთან შიშითა თრთის ანცი ბატკანი,
ავის მგმობელთა უსაფუძვლო დევნა გახშირდა,
ძლივსღა ირწევა თვალცრემლიან ობლის აკვანი.

ირმა კუკულავა ფილოლოგი
დაბადების ადგილი გურია

კ ე ს ა ნ ე

მიწის მკერდს საკინძედ დაეკერა,
უმანკოდ მომღიმარი კესანე,
ქარმა მედიდურად დაუბერა,
ყვავილი მოსტაცა მესამე.

ხელი გავუწოდე თხოვნით ნიავს,
რა არ ვემუდარე, ვესალმე,
მისი სურნელება შორით მიაქვს,
ქარო, შეიბრალე კესანე !

სულში მოკრძალებით ჩამესახლა,
ყურში ჩამესმოდა კვნესა მე,
ნეტავ არასოდეს დამენახა,
ნაზი და უსუსური კესანე .

დედამიწის სიყვარულში,
მას არა ჰყავს ტოლი,
ყვავილია ცისფერთვალა,
მთებსაც მოსჭრა „თოლი".

კლდეზე იებს მოეფერა,
ჩაეხუტა გულში,
მეგობრობის ტკბილი ჰანგი,
ჩასჩურჩულა ყურში.

მთებსაც მკერდზე მიეხუტა,
თვით კესანემ გაუგო,
ირგვლივ ფესვი შემოხვია,
ქვასაც გული გაუღო.

მაგრამ ქარმა ულმობელმა,
ყვავილს მახე დაუგო,
ქვამ კი გულში ჩაიხუტა,
კესანე არ დაუთმო.

თურმე ქვასაც სიყვარული
შესძლებია დიდი,
ლოდებს მიღმა მოკრძალებით
ჩაიხუტა იგი.

არ ივიწყებს ლამაზ გრძნობას,
რაც კესანემ დაუთმო,
კლდის ცივ ლოდებს სიყვარულმა
ცივი გული გაუთბო.

ვინ რა იცის ცხოვრებაში,
ვის რა გზა აქვს განვლილი,
კესანე ასე ჩურჩულებს -
„ა რ დ ა მ ი ვ ი წ ყ ო " ყვავილი...

ბუნების კარუსელი

მარტმა გვაჩუქა აპრილის სუნთქვა,
მაისმა -- ივნისს ჩახედა თვალში,
ივნისმა -- ივლისს ჩურჩულით უთხრა
არც მე დაგრჩები დაიკო ვალში!

აგვისტომ მზიდან გადმოიხედა,
სექტემბრის სიო წამწამებს ურხევს,
ოქტომბერი კი ოფლს იწმენდს შუბლზე,
დამთვრალ ნოემბერს ფიალას უვსებს.

დეკემბრის სუსხი გაბატონდება,
გადაუღებლივ დაათოვს ბაღებს,
იანვრის დილა რომ გათენდება
იმედი კარებს ყველგან შეაღებს.

თებერვალი კი, ლოცვით აგვავსებს,
გაზაფხულს უხმობს ნაზამთრი გული,
ეს დედამიწა ლამაზ ზღაპარს ჰგავს
თუკი დაუგდე ბუნებას ყური.

მრავალჟამიერ იბრუნე წაღმა!
არ მოგეშალოს მშვიდობის დარი,
სიყვარული და სიკეთე იყოს,
ჩვენი სიცოცხლის ფარი და ხმალი.

მეტყველი თვალები

ღიმილით ვერ დაფარავ სევდას,
თვალები მაინც იტყვის სათქმელს.
იქნებ ეს სიტყვებით ვერთქვა,
მაგრამ ეგ თვალები გაგცემს.

რადგან ამ ღიმილით გინდა,
მას რომ არ ატკინო გული,
გადამდები არის სევდა,
სხვასაც არ დატოვებს გულგრილს.

ღიმილით ვერ დამალავ თავს,
თვალი მაინც ამხელს გულს,
დარდებს რომ ინახავს ფსკერზე
თვალი მეტყველებს და დუმს.

ვერა, ვერ დაფარავ მაინც,
დიდი სიყვარულის წყლულს,
ღიმილს ამჯობინებ სევდას,
ღიმილს -- ღიმილი რომ სურს.

ამიტომ გავიღიმო უნდა,
თუნდაც მიტიროდეს გული,
რადგან სხვებს ვაჩუქო იგი,
რომ არ დაუმძიმდეთ სული.

სიყვარულის ძალა

სხვისთვის კარგი სულ ისურვე,
უფალიც მას დაგიბრუნებს,
ამით შენს სულს გაახარებ,
ყველა სურვილს აისრულებ.

გაიმარჯვებს დღის სინათლე,
ისე, როგორც ზღაპარშია,
ბედის დიდი გასაღები,
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ძალაშია.

მზის სხივების ფუნჯით

ზეცის თაღი მრავლად იტევს,
ჩვენს წილ ნათელ სხივებს,
ღამით ცაზე ვარსკვლავს აბნევს,
როგორც ყელზე მძივებს.

მზე ურიგებს თავის სხივებს,
ყველას გულს და თვალებს,
გავუფრთხილდეთ ღვთის ნაჩუქარ,
დროს, წუთებს და წამებს.

ღმერთმა ჩვენთვის გააჩინა,
მზის სხივების ფუნჯი„
ამ ცხოვრებას თავად ვხატავთ,
ფურცელია ლურჯი.

მხატვარი თუ ფერით ხატავს,
სამყაროს და ზეცას,
მე სიტყვებით გადავხატავ,
მთვარესაც და მზესაც.

ცამ მარგუნა ჩემი წილი,
მზის სხივების ფუნჯი,
აბა როგორ არ დავწერო?
როგორ ვიყო მუნჯი?!

„კარგ მთქმელს უნდა გამგონეო",
რომ არარის რავქნა,
სული როგორ წავიწყმიდო,
სიტყვა როგორ არვთქვა?!

ჩემი წილი ცის ტრიბუნა,
მზემ მანახა ცაზე,
რაც უფლისგან დამეკისრა,
უარი ვთქვა მასზე?!

ცას მივაწერ ჩემი ლექსით,
მარადიულ სიტყვას,
და ეს სიტყვა -- მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ ო!
მე მრავალჯერ მითქვამს.

სულში ღვივის ლექსის ფესვი,
სიყვარულის ფერად,
მე სამყაროს სხვა ფერს ვხედავ,
სხვაგვარი მაქვს მზერა.

ამ ზეცაზე იმედს ვხედავ,
ერთგულების მზეში,
შენ მაშინებ, რომ ნისლია,
ცის ნაცრისფერ ფერში.

მე გავფანტავ ყველა ნისლებს,
ყველა ჩრდილს და ღამეს,
მაინც იმედს ჩავუსახავ,
ამ სევდიან თვალებს.

კვლავ მივაწერ მზის სხივებით,
ამ იმედის ცაზე,
მიყვარხარო! - მტერსაც გეტყვი,
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ხმაზე!

მერე, ფუნჯით გადავხატავ,
მზით ნაფერებ ზეცას,
წლების შემდეგ, ჩემს წილ ადგილს,
დავიმკვიდრებ მეცა.

სადაც გული ახატია,
სიყვარულის ფერში,
ეს გრძნობა კი ჩაისახა
ლექსის ფერად ჩემში.

ოღონდაც გჯეროდეს

თავს არ მისცე დანებების ნება,
თორემ წლები დაგაბერებს მალე,
ეს დღეები პეპლებივით ქრება,
დრო მიდის და საათს ართმევს წამებს.

უკან ვეღარ დავიბრუნებთ ამ დროს,
წიგნებივით იფურცლება დღენი,
ყველა წუთი წარსულს მიაქვს მისკენ,
ჩვენ კი -- ხვალის ანაბარა ვრჩებით.

ერთადერთი, რასაც ვერ ცვლის ეს დრო,
ეს გულია -- უნდა გქონდეს წრფელი!
ეს ის არის, ვისაც უნდა ენდო,
ვისაც უნდა გაუწოდო ხელი!

თავს არ მისცე შენ უფლება დარდის,
გული სევდას არასოდეს ანდო,
ეს ცხოვრება ისე სწრაფად გადის,
ღმერთს მიენდე -- ის ყოფილა სანდო!

ზოგჯერ დაბლაც დაიხედო უნდა,
ხშირად თვალით ცას მიაპყრო მზერა,
რასაც გულით ჩაიფიქრებ ნატვრას,
გჯეროდეს, რომ ასრულდება ყველა!!!

ოღონდ გულში ნაპერწკალი გენთოს,
სიყვარული ცის კენწეროს წვდება,
თუკი გული სიკეთისთვის გიცემს,
ყველაფერი ასრულდება მჯერა!

ცხოვრების ტყვე

შენ რომ გიყვარდა ის ქალი არ გყავს,
ვერ მოასწარი გრძნობის გამხელა,
ჩქარი ნაბიჯის გადადგმისათვის,
მისთვის დარდი ხარ, იცი რამხელა?!

შენ რომ უცქერდი ის ქალი სხვას ყავს,
ცაში წაიღო სიტურფე მისი,
დააგვიანე მისი შეხვედრა,
მაშ, არ ყოფილა ის შენი ღირსი!

შენ რომ ელოდი ის ქალი არჩანს,
არ დაბრუნდება შენთვის არასდროს!
შენ რომ გიყვარდა ის სიყვარული,
მხოლოდ შენს გულში ჩუმათ დარაჯობს.

შენ რომ ფიქრობდი იმ ქალზე ფიქრი,
დრომ გამოგტაცა უცებ ხელიდან,
გადაიფრინა ზღვის ლურჯ ტალღებზე,
მას ნუღარ ელი ბავშვურ წლებიდან.

დააგვიანე იმ ქალის ნახვა,
დღეს რომ აღმერთებ, ასე რომ გიყვარს,
ნუღარ მოითხოვ მასთან შეხვედრას,
სიყვარულის კვალს ზეცამდე მიჰყავს.

დრო არ ყოფილა ქვეყნად მკურნალი,
უძლეველ გრძნობას ის ვერ ერევა,
ნეტავი იმას, ვისაც კვლავ უყვარს,
ნამდვილ სიყვარულს ვინც ვერ ელევა.

დრო მიდის

წამს -- წუთები მოსდევს,
დრო იჩქარის, მიჰქრის,
ისე სწრაფად მიდის,
დრო არ გვრჩება ფიქრის.

მხოლოდ ფოტოები
ამშვენებენ წარსულს,
გვახსენებენ ამ დროს,
დროს ლოცვებში გასულს.

წუთით ვემსგავსებით,
მზის პატარა ასულს,
ღრუბლებში რომ მალავს,
თავის ლამაზ წარსულს.

საქართველო დამილოცე ღმერთო

საქართველო დამილოცე უფალო,
ჩემი ქვეყნის ცის მშვიდობას შეგთხოვ,
მომავალი უძლიერე ჩემს მამულს,
შენი კალთა დააფარე ღმერთო.

ღვთისმშობელო გევედრები მოგვხედე,
თუმც წყალობა მრავალი გვაქვს შენგან,
საქართველოს სავედრებელით მოგენდე,
ქართველობა დამილოცე ყველგან.

ეს წალკოტი წილხვედრია ღვთისმშობლის
-- ჩემი სულის უდიდესი განძი,
საქართველოს ღმერთის ხელით მოხატულს
რტოზე წმინდა ანგელოზი აზის.

ვერვინ წავა უფლის ნების წინაშე,
ვინ უარყო მამული და ენა?!
საქართველოს ღვთისმშობელი იფარავს,
მთავარია არ დავკარგოთ რწმენა!

ქალს -- ქალობა დაულოცე უფალო,
კაცს -- კაცური ღირსება და სიტყვა,
ენას, მამულს და ჩემს სარწმუნოებას,
ღვთისმშობელი მფარველობს და იცავს.

არც იფიქროთ ერთმანეთის განწირვა,
-- სინანული ეს იქნება გვიან!
მრავალტანჯულ საქართველოს შვილი ვართ,
ჩვენს სამშობლოს -- სიყვარული ჰქვია!

ერთგულება დამილოცე მამულის,
ყველას გულში გაუღვივე მარცვალი,
მისი აწმყო, მომავალი, წარსული,
შენ გეკუთვნის, ყველაფერი რაც არი.

მომავალი დამილოცე სამშობლის,
სულ სიკეთე უბრწყინავდეთ თვალში,
საქართველოვ -- სიყვარულით გაზარდე!
არ დაგრჩება ერთგულებით ვალში.

ეს ქვეყანა მტერმა ბევრჯერ გათელა,
ღვთისმშობელმა დააფარა კალთა,
მშვიდობა და გამძლეობა მოგვმადლა,
რომ იხაროს აქ სპეტაკმა კვართმა.

იქ „გურია" დამილოცე მარიამ,
ჩემი ტკბილი იმერეთის სიო,
საქართველოს თბილი დედაქალაქი
სანთლის შუქი ანთებული სიონს.

„სამევრელო" დამილოცე მარიამ,
იქ ნამღერი „დიდოუდო ნანა,"
„კახელების" და „სვანების" ფერხული,
საქართველოს სიძლიერედ დგანან.

მთიულები დამილოცე მარიამ,
მთის ფერდობზე წამომდგარი რაჭა,
ხევსურეთში გამოზრდილი მერანი,
ფშაველების გადაღლილი მაჯა.

„აჭარლები," დამილოცე მარიამ,
ლურჯი ზღვა და სანაპირო ჩემი,
ქართველები დამილოცე დედავ,
საზღვრებს მიღმა მონატრების ცრემლით.

სამშობლოში დააბრუნე მშვიდობით,
აქ შეარგე მისი წილი მიწა,
სისხლის ყივილს ვეღარ უძლებს ვერავინ,
დაგვიბრუნე დაკარგული რიწა.

იქ მთაწმინდა დამილოცე მარიამ,
გორგასალის ხოხობი და ხმალი,
ქართველუსკენ არ აღმართოთ ხელები,
რომ არშერცხვეთ გათენება ხვალის!

ეს ქვეყანა უფლის დიდი მადლია,
დიდ გრძნობასაც ამიტომაც ვატარებთ,
ქართველობა -- ქართველისთვის განძია,
მტერი თუ გვყავს -- მოკეთესაც რა დალევს.

სიყვარული დამილოცე მარიამ,
ყველას გულში გაუღვივე მარცვალი,
საქართველო წილხვედრია ღვთისმშობლის,
მას ეკუთვნის ჩვენი მიწა, მთა -- ბარი.

რწმენას სულში ვერ შებღალავს ვერავინ,
გულს მამული შეზრდილი აქვს ფესვად,
საქართველოს ღვთისმშობელი იფარავს,
ქართველობა მოგვანიჭა ღმერთმა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო მარიამ,
თავდახრილი მოკრძალებით შეგთხოვ,
იმედი გვაქვს შენი ყველას ძალიან
-- საქართველო დამილოცე ღმერთო.

მუზა

ცხოვრებაში ამედევნე,
არ მშორდები გზაზე,
ჰოდა მეც ვწერ, არ ვაყოვნებ,
სიყვარულის ხმაზე.

გემალები ზოგჯერ მაგრამ,
მაინც ყველგან მნახე,
მუზავ, ჩემო დიდო ძალავ,
როგორ დამინახე?!

მაწერინე რაც შენ გინდა,
სიყვარულის ხმაზე,
აჩრდილივით ამედევნე,
ამ ცხოვრების გზაზე.

მზის საბუდარი ზღვა

ზღვაო რახარ ამისთანა,
მზე რომ გიყვარს ძალიან,
შენი ღელვაც ალბათ მისი,
სიყვარულის ბრალია.

გრილ უბეში დააბუდრე,
მზეც მოგენდო დაღლილი,
მისი სხივი შენს გულს ათბობს,
გშვენის მისი აჩრდილი.

მზე -- ზღვას მკერდზე მიეხუტა,
ზღვამ გაუღო გალია,
ზღვაო -- შენი სიყვარულით,
ცა და მიწა მთვრალია.

რუსუდან ბურჯანაძე გემოკვების სპეციალისტი
დაბადების ადგილი ქიათურა

* * *

გადავიკითხე კიდევ ერთხელ ჩემი ცხოვრება,
წლებმა აშალა უნებურად სევდის ფიქრები.
მაპკურა ცრემლი, უსამართლო ამაოებამ
და დამინამა ეს თვალები, ტკბილ-მწარე ცრემლით.

გადავიკითხე ადგილები მთელ გულისყურით,
ახლა ვხვდები რომ სიყალბეში ვიცხოვრე წლები.
მაგრამ არ ვნანობ რადგან ბევრი ვისწავლე მაინც
და არ მდომია გამეტეხა სიცოცხლე ჩემი.

ვისწავლე როგორ ვმართო ჩემი რჩენილი წლები,
როგორ ვიცხოვრო წარსულიდან მომავლისაკენ.
გაკვეთილებად ჩამისახლდა გულში წარსული
და მთელი წიგნი, მე ზეპირად კარგად ვისწავლე...

მე მოვინდომე ბედის შეცვლა, ბედის გაძღოლა,
ვცდი, ეს ხომ მაინც დამანახებს ახლა სიმართლეს.
აღარ ვიქნები უბედური, რადგან აღარ მსურს,
რადგან აღარ მსურს ტირილი და ცრემლი მიყვარდეს.

დამღალა წერამ, უკუღმართი ბედის ჩივილით,
ახლა დრო დადგა სიხარულად ვიფარო ზეცა.
დროა ამ გულშიც გაზაფხული შემოვაპარო
და წიგნის ფურცლებს ავაშორო შავთ-ეთრი სევდა...

* * *

ვიარე, მთები დავლაშქრე,
გზად შევეჭიდე სიავეს.
ხან ქარიშხლები მესხმოდნენ,
ხან ზღვის ტალღების სიშმაგე.
ხან ამ ცხოვრების ჭიდილში,
ბევრი სიკეთე ვიწამე.
ზოგჯერ დაცინვა სიტყვისთვის,
პატივისცემით ვისწავლე.
ამიტანია წვიმაში,
სველი ტანსაცმლის ტარება.
გულზე ნაწვეთი ტირილი,
შემომაცილა განგებამ.
ვიარე, ჩემი ღიმილით,
ავიც კი გავანიავე,
გულზე ნადები ჭრილობა,
დღეს მოჰგავს კვალს ნაიარევს.
მაგრამ დრო თურმე როგორ ცვლის,
სიკეთით განაზიარებს.
რასაც თესს იმას მოიმკი,
ბედი არ დააგვიანებს.
ხანდახან გბოჭავს სიცივე,
ბედის ბორბალი ტრიალებს.
არ გავაკეთე იგივე,
ყველა განგებას მივანდე.
ვითვალე მხოლოდ სიკეთე,
არ დამითვლია საჩემოდ,
გავანაწილე იმდენჯერ,
ალბათ მეყო და არც მეყო.
ვიარე, დღესაც მივდივარ,
გზას ვერ ავუვლი ახლა გვერდს,
მჯერა გზა მეც იქ მიმიყვანს,
სადაც დაწერენ განაჩენს...
აღარ მაშინებს ქარიშხლის,
ავად ნაჩენი ქმედება,
სიკეთეს გვერდს ვერ ავუვლი,
ჩემი სამყარო მექნება...
ხვალ თუ არ გამოიდარებს,
არც ავდარს შევუშინდები,
გულზე დანაფენ იარებს,
რა ვქნა, მეც შევურიგდები...
ვიარე, ცამ რომ დამსეტყვა,
ღრუბლებში გადავიკარგე,
ცაზე დაწერა განგებამ,
ჩემი ავ -კარგის სიმართლე...
დღეს ფუჭად არ ჩაუვლია,
მოსავლის ხვავად აღებას,
რამდენ წლებს გადაუვლია,
მეც ვუნდებოდი ლაგებას...
განიავებულ გრძნობებში,
რამდენჯერ მეც გავრეულვარ...
ვიარე წუთისოფელში,
ადამიანად ჩვეულად.
მიდის ცხოვრება, მივყვები,
მეც ნაბიჯ-ნაბიჯ მის ნებას,
სიყვარულისთვის ვიქეცი,
შავ, ადიდებულ მორევად.
დღეს თუ ხვალ მოვა სიკვდილი,
თავის წესით და კანონით,
რას მეტყვის მე ეს არ ვიცი,
ალბათ ბოლოჯერ გამომცდის.
არც მას არ შევუშინდები,
თვალსაც არ დავახამხამებ,
ბედს ისე შევურიგდები.,
სიკვდილიც კარგად გაბრაზდეს.
წლები გარბიან, ჭაღარა
მათოვს და ფიფქებს თავს მაყრის,
ოდეს მეც მივალ საფლავთან,
დავცლი ბოლოჯერ თასს ავსილს!...

* * *

თუ დარდისგან დავიცალე,
თუ მომინდა ჭიქა ღვინო,
თუ ცხოვრებამ მოინდომა,
მხოლოდ ლოთი, მთვრალი ვიყო,
მაშინ დავლევ ერთს კი არა,
ბევრს, ისე რომ გავილეშო
და ცხოვრების ავან-ჩავანს,
გადამთვრალმა კვლავ შევხედო.
ისე დავლევ რომ შემეტყოს,
ცხოვრებისგან ჭრილობები,
სასმისს წვეთს არ შევუტოვებ,
წითელ ღვინოს მივენდობი.
იქნებ ასე მაინც გაქრეს,
ტკივილები სამუდამო.
ასე მაინც გადავფარო,
მწარე ფიქრი სამწუხარო.
იქნებ სიტყვა ასე მაინც
ვთქვა მე, ღვინით გადამთვრალმა.

ქალმა ვისაც წარსულმა და
მომავალმა გადამღალა...
ნეტა ღვინომ დამიამოს,
ეს ფიქრები აწეწილი.
ნაბახუსევს კვლავ მომინდეს,
ჭიქა ღვინით ავსებული
და თუ სულ არ გავფიხზლდები,
ლოთმა მაინც ვიარსებო,
ფეხათრევით ალიონსაც
ჭიქა ღვინო მივაგებო!
ჰო, მე ესღა დამრჩენია,
სევდანარევ სიცოცხლეში.
ცხადში ვხედავ შავ აჩრდილებს,
მთვრალი უკეთ ვიხედები.
ჰოდა ასე მირჩევნია,
ჭიქაში რომ ჩავკლა დარდი...
რადგან ქალი არეული,
გალეშილი, ბედით დადის...

* * *

ქალბატონო, არ შეგშვენით დანებება,
არ შეგშვენით დაეცეთ და კვდებოდეთ.
ქალბატონო, ნუ ინებებთ აცრემლებას,
აზრი არ აქვს, ამდენს უნდა ხვდებოდეთ.

ქალბატონო, ეს შეგეგებეთ ისევ დილას,
სული ისევ ლამაზ ფიქრით იმდიდრეთ...
ქალბატონო, არ უყვარხართ თუკი ვისაც,
დალოცეთ და თქვენებურად მიიღეთ.

ქალბატონო, წამოდიქით ისევ მედგრად,
ნისლიანი გაატანეთ ღამე ქარს.
ქალბატონო, დაივიწყეთ მოდით სევდა,
ვინ გაბედავს ამცირებდნენ ასეთ ქალს.

ქალბატონო, ცას შეხედეთ როგორ ელავს,
ჭექა-ქუხილს კვლავ ამინდი მოჰყვება.
ქალბატონო, დაელოდეთ ახალ დღეს და
დაივიწყეთ ეს მოთქმა და გოდება.

ქალბატონო, არ მგონია ძალა გაკლდეთ,
ან სიცოცხლე ვინმეს ცრემლად გიღირდეთ.
ქალბატონო, სცადეთ ბედთან ფიცი დადეთ,
რომ არასდროს არავისთვის იტირებთ.

ქალბატონო, წამოდექით არ შეგშვენით,
არ შეგშვენით უსასრულო მონობა.
ქალბატონო, დაივიწყეთ და შეჩერდით!
იცით? ზამთარს გაზაფხული მოჰყვება!

ჩემში რას ეძებ..
რა ვერ იპოვე?....

ჩემში რას ეძებ,
რა ვერ იპოვე?!
რა არის ის რაც
ვერ გიპოვნია?!
რა დაგიმალე,
ნუთუ თვალებში
არ ჩანს სიმართლე
რაც კი მქონია?!

ჩემში ვერ ნახე
გრძნობები ნუთუ?!
ნუთუ ვერ იგრძენ
ბედნიერება?!
თუ სიყვარული
ასე არ გეყო,
მაშინ რად მოკალ
მშვენიერება?!

ჩემში რა ნახე
განა უძლური?!
განა რა დარჩა
არ მომეთმინა?!
მე ვერ შევძელი
რადგან არ გსურდა
რომ ჩვენი გრძნობა
გადაგერჩინა!...

ჩემში რა დარჩა,
რაც არ გავეცი?!
ნეტავ რა არის
ჩემი შეცდომა?!
და თუ შევცოდე
მე შენს წინაშე,
მე შენ კი არა,
ღმერთს ვთხოვ შენდობას!...

ჩემში რა არის
ის რაც არ მოგწონს?!
რა არის ცოტა,
რა აღარ გეყო?!
მინდა იცოდე,
რომ სრულყოფილი
არც შენ არა ხარ
უბრალოდ გეყოს!...

ჩემში რა ნახე
ამდენი სევდა?!
ან თუ მოგთხოვე,
რამ ღირებული?!
ერთი რამ გთხოვე,
არ წასულიყავ,
არ დაგეტოვე
ატირებული!...

ჩემში რა შეგხვდა
ამოუცნობი?!
რა ვერ გაიგე,
რად ვერ მიწამე?!
რა დავაშევე,
ნეტავ ასეთი -
რაც ტკივილები
გადავიტანე!...

რა ვერ გაგიგე,
რა არ შეგინდე?!
რა არ ვიღონე
გადამერჩინე...
რამდენჯერ დავთმე,
რამდენჯერ გმალე
და შენ კი ასე
გადამეკიდე!...

ჩემში ვერ ნახე
უძირო გრძნობა!
ვერ დაინახე
ეს სიყვარული!
არა ხარ ღირსი
ისევ მიყვარდე
და მოგანიჭო
ეგ სიხარული!...

* * *

ფოთოლცვენაა ახლა ბაღებში,
სულს დასდებია უკვე სიშიშვლე,
მალე ჩამოთოვს თეთრად ზამთარი,
და არაფერზე აღარ ვიფიქრებ.

მალე დადგება გულში ზამთარი,
და ვერ გააღებს კარებს სიცივე,
გაზაფხულდება მაგრამ ზაფხული,
მხოლოდ ბაღებში გამოიღვიძებს.

ფოტოს მიხედვით....

მესიზმრა წუხელ ვიჯექი და
ვკერავდი გულებს

მთელი ცხოვრება სიყვარული ვატარე გულით,
მაგრამ ცხოვრება ულმობელი აღმოჩნდა მართლა.
იმდენი წყენა განვიცადე ამ ხნის მანძილზე,
ვერც ამას ვითვლი ჩემი გული რამდენჯერ გატყდა!...

რამდენჯერ დაჭრა სიყვარულმა შხამიან ისრით,
რამდენჯერ ღამე შემომალია ცრემლმა ნადენმა!
დაჭრილ გულიდან სულ მსდიოდა წვეთები სისხლის,
ღამე სიკვდილიც მინატრია, მაგრამ გათენდა!...

მთელი ცხოვრება გულს ვკერავდი ფერად ძაფებით,
მაგრამ ჭრილობა და იარა ვერ მოვარჩინე!...
ვერ მოვარჩინე დადებული დიდი იარა,
ვერც უმოწყალო სიყვარული გადავარჩინე!...

მესიზმრა წუხელ, ვიჯექი და ვკერავდი გულებს!
ღრმად მოხუცებულს ხელში ნემსი, ძაფი მეჭირა!
გვერდით კალათი შემოედგათ გულებით სავსე,
ვერ ვახერხებდი გამწარებულს ცოტა მეტირა...

და ამ სიზმარში სისხლიანი გულები ვკერე,
თითქოს ვადებდი ნაკერებს და არ მთელდებოდა.
ვერ მოვახერხე ერთი გული ჩემთვის ამეღო,
რადგან სულ ყველას, ჭრილობიდან სისხლი სდიოდათ!...

დიდხანს ვცდილობდი ღონემიხდილს რამე მეღონა,
მაგრამ ამაოდ, არაფერი არ გამოვიდა!...
სასოწარკვეთილს გამეღვიძა და ავქვითინდი,
რადგან სიზმარშიც უბედობა გადამეკიდა!...

და ეს სიზმარი იმ სიცხადის იყო სასრული,
რაც სიცოცხლეში სიყვარულში დრო დამელია!...
ახლაც გამომყვა იმ გულების თვალში მე ხილვა,
ალბათ სიზმარში კვლავ ვიხილავ და მიმელიან...

არეული ოთახი და გაბოლილი კვამლით...

არეული ოთახი და გაბოლილი კვამლით,
სიგარეტის ნამწვავებში ჩაფერფლილი დარდი.
კედლის მიღმა დარჩენილი არეული ქარი,
ფანჯრის მინებს შერჩენილი ბნელი ღამის ნამი.

აშვებული ფიქრები და ცრემლი თბილი თვალის,
ნამთვრალევი სხეული და ორჭოფობა ქალის.
მილეული ბნელი ღამე, გაღიმება ყალბი,
სულ ტყუილი კარგად ყოფნა, ამ ცხოვრების ვალი.

შერჩენილი სასოება, გულს ნაფენი დაღი,
ტკივილების გამეფება, მოტყუება თავის.
არეული ოთახი და შებოლილი ჭერი,
გაღებული კარები და ქუჩის მწვავე მტვერი.

სინამდვილე ამ ცხოვრების, იმ ოთახის მიღმა,
სადაც ღამემ ნამთვრალევი, ქალი გააფხიზლა.
არეული ამინდები, შემოთოვა გულის,
ყველაფერი გაყინული, წრფელი ახლა სულში.

გადათვლილი საათები, მაჯის ცემა მალი,
სისხლი ვენას მოწოლილი, არსებობა მთვრალი.
შეგონება სულ მცირედი, ხოდა ისიც მცდარი,
არეული კედლები და სიგარეტის კვამლი.
ცხოვრებისგან განდეგილი, დაფერფლილი ქალი.

* * *

ახლა ამ ბილიკებს შენით გადავივლი,
ღამის სიბნელეში აღარ მეშინია,
გრძნობებს ავედევნე, შენსკენ მოვყავარ და
თითქოს ეს სამყარო ჩვენებრ შეშლილია.

ახლა ამ ბილიკებს მთვარე გამინათებს,
გვერდით გამომყვება გზა რომ მომასწავლოს,
როცა გათენდება დილის ათინათებს,
ჩვენი სიყვარული სხივად მოვაფაროთ.

ნათელა კუპრაშვილი (ვართუმაშვილი)

ექიმი-სტომატოლოგი
დაბადების ადგილი გორი

* * *

გამომცხვარი თონის პური,
ნატეხებად დაობდა.
სული ბევრჯერ აბობოქრდა,
დაიწრიტა, დაობლდა.

დრო გაიქცა თეთრი რაშით,
ჩვენ კი ჩაგვძინებია,
თუ ერთმანეთს არ შევხვდებით,
აბა, ის რა გზებია.

ვიმკითხავე, თეთრ გვირილას --
დავაცალე ფოთლები,
მიწას შავად მოეფინა
ნამეხარი ტოტები.

ფოთოლცვენა ჩამომდგარა,
გულმაც ფერი იცვალა,
ჩაიფერფლა, ღამესავით
უხმოდ გარდაიცვალა.

დრო კი გარბის, მაგრამ ფიქრით,
გავაჩერე წამები,
წუთიერად ვახალისე
სული განაწამები.

ონისე დოიჯაშვილს

(აგვისტოს ომში დაღუპული გმირი)

ღრიალით მოდის ლიახვი,
ლოდებს ტალღები ასკდება,
დღე დადგა ქარიშხლიანი,
ვაჟკაცი ქცევით ფასდება.

დედა დაეძებს თავის შვილს,
სიკვდილმა გადაუმალა,
ქარი უწეწავს გაშლილ თმებს,
ცას სწვდება მოთქმა, მუდარა.

სული დაეწვა სიმწრისგან,
როგორც ნაღვენთი სანთელი,
ტკივილით დამდუღრებული,
შვილისთვის დარჩა სათქმელი.

ცა მოიქუფრა სევდისფრად,
ატირდა, სისხლად იწვიმა,
მიწამ გულ-მკერდზე, მებრძოლი,
ვაჟკაცი გადაიწვინა.

გმირულად დახვდა მომხვდურ მტერს,
არ შეარცხვინა მანდილი,
დედის უბეში გამომთბარს,
ობლობის კვერით გაზრდილი.

* * *

სადაც ჩიტები გალობენ,
ზუსტად იქ გავშლი ფარდაგებს.
დავკრეფავ მინდვრის ყვავილებს,
გვირილების საბნად დავაფენ.

მთვარიან ღამეს, კოცონთან,
ბალახმა გვნამოს ცვრიანმა.
გული იმედით ვაპურე,
ოცნებამ ამაწრიალა.

ვარსკვლავი, კოცნას მიგზავნის,
სულში იბარტყა იმედმა,
ღამემ კარები ჩარაზა,
ნეტავ, რამ დამაიმედა.

ცელი მოთიბავს ბალახებს,
როგორც, გადამჭკნარ ყვავილებს
დაღმავალია ცხოვრება,
თუკი, ვერ დაიყვავილებ.

მიყვარხარ

არ დავიღლები შენზე ოცნებით,
მონატრებები ბრჭყვიალებს თვალზე,
ჩემი სამშობლოს მდინარეს, ტაძრებს,
თითით დავხატავ კრიალა ცაზე.

სევდისფერია ახლა სამყარო,
ჩუმად დუდუნებს და მოსთქვამს ქარი,
არ დაჟანგდება ხმალი ქარქაშში,
მოსახდელი გვაქვს სამშობლოს ვალი.

მე წამოგყვები ღამე, მთვარეო,
შენ ვარსკვლავებში ჩუმად დამმალე.
მოვინახულებ მაჩაბლის მხარეს,
ცრემლით დავნამავ წმინდა საფლავებს.

მასპინძელია, დგას ქართლის დედა!
შემოგაგებებს შარბათს ფიალით,
საქართველო და მისი შვილები,
რომ დაულოცო ერთად მთლიანი!

* * *

იებით მოქარგულ მინდორს,
ქარი დაეფარა საბნად.
ბალახებს, პატარა ბუჩქებს,
მწვანე ჩაუცვამთ კაბად.

ფოთლებში გახვეული ია,
თვალს ხუჭავს ხეების ძირში.
შენ, ხომ გაზაფხული გქვია,
რატომ გაგჩენია შიში?

ქარი ვეღარ მალავს ვნებას,
გრძნობით აფრიალებს ყვავილს.
ნუში იკვირტება, ფეთქავს,
ვეღარ უმკლავდება წადილს.

ჩიტი მზის ამოსვლას უცდის,
ნიავს ეფარება მკერდით,
საკენკი მოგიტანე მუჭით,
რომ არ დაიღალო ძებნით.

* * *

დამფრთხალ შველივით გავრბივარ,
ბალახს ვეხები ცვრიანს.
ტუჩებზე კოცნას გიტოვებ,
ასე, რომ გადამრია.

წაულეკივარ ოცნებებს,
გულო, ვერ გიმორჩილებ,
მაჭარივით დუღს გონება,
ფიქრებს, ვერ ვუკრავ ღილებს.

მზე მიწოლილა ცის კიდეს,
სხივმა დაფერა ნაზად,
ნაკაწრი გული გაყუჩდა,
ცდუნებამ გადარაზა.

მაინც მაწუხებს ფიქრები,
არ მასვენებს და ვდარდობ...
ამბობთ:- წამია ცხოვრება
და მე ვკითხულობ: - რატომ?

* * *

თითქოს ბავშვობის კისკისი მესმის,
წარსული ჩემი, დრომ გამიგუდა.
დაღლილ თვალებზე წამწამებს ძინავს,
მოგონებებით ავავსე გუდა.

შემომეძარცვა დრო უდარდელი,
კრძალვით გამოჩნდა ჭაღარა თმაში.
მაინც სილაღის თბილ შრიალს ვეძებ,
როგორც ყინვისგან ნაკბენი ვაშლი.

მუმლი ეხვევა დაკოჟრილ მორებს,
ფუტურო გულ-მკერდს, დრო შემოაკვდა,
ღვარად ჩამოსდის უტყვი ცრემლები,
მძლავრი მკლავები ქცეულა ნაცრად.

მე, თვალებს ცრემლი არ მივაკარე,
დასაცლელი მაქვს ჭიქა ბოლომდე,
ყველას ჯინაზე, ცხოვრებავ ჩემო,
რომ გაიმარჯვო უნდა ომობდე.

* * *

მე ქართველი ვარ, აქ დავიბადე
და ჩემს ქვეყანას ჰქვია სამოთხე.
მძიმე ჯვარი მაქვს ზურგით საზიდი,
თუნდ სიმძიმისგან სული ამომხდეს.

ნიავს გავყვები მთაში ნავარდით
კლდეს შემოუფრენ, შევეკედლები.
თუ სირცხვილისგან დავპატარავდი,
არც ქართველობას შევეფერები.

მეც მკერდით ვაპობ სივრცეს, არწივო!
ქარმა ცის თაღი ფრთებით გახია.
ფიალით, ღვინო გაუნაწილოთ,
აქ წინაპართა ძვლები მარხია.

* * *

ზეცას, დარდი გაუნელე ქარო,
თვალებიდან არ ადინო წვიმა,
ყორნისფერი გადაეკრა სივრცეს,
მზეს ღრუბლებში უდარდელად ძინავს.

მთვარე, მძიმედ ამოგორდა ცაზე,
მზის სიყვარულს გულში დაიგუბებს,
მთის მწვერვალზე შეისვენებს წუთით,
ვარსკვლავებით გაუვსია უბე.

ნახანძრალი, აბობოქრდა სული,
ყველაფერი ცუდი გადახუნდა,
უხმოდ ვყლაპავ სიხარულის ცრემლებს,
გალაღება მოითხოვა გულმა.

ალისფერი ღვინით ვავსებ ჭიქებს,
მზის სხივების, შემოვიხვევ მძივებს,
მე წყარო ვარ, ცივად მორაკრაკე,
მოწყურებულს გულს, რომ გაგიგრილებს.

* * *

ბედნიერი ვარ, როცა
ბაგე მეხსნება ვარდად.
ხან გული ჩუმად ქვითინებს,
გადავიქცევი დარდად.

სხივებად დაგეფინები,
წინ დაგიდგები ფარად,
ნისლებად წამოვიშლები,
ჩემს, დარდებს გადავმალავ.

თუკი წახვალ და დამტოვებ,
გულს სევდა გადანამავს,
სული დამრჩება ნატკენი,
ცრემლებად, დილის ნამად.

თუ არწივივით მოწყდები
და ფრთებით დამიფარავ,
ერთი უბრალო დიაცი,
დავრჩები ძლიერ ქალად!

ვედრება

ვიცი, რომ მოსვლა დამაგვიანდა,
გული გამითბე დაჭრილ, ნატყვიარი,
არ გავბოროტდე, შემინდე უფალო!
მინდა, რომ დავრჩე ადამიანი!

სინანულისა, ცრემლს ჩუმად ვმალავ,
ფერფლად ვიქეცი, დამწვარ ქაღალდის,
რიდით შევყოვნდი მონასტრის კართან,
მომეც შენდობა შენს წინ თავდახრილს.

სულის სიმშვიდეს სხვაგან არ ვეძებ,
შენს წინ წარვდგები მოხრილი მუხლით.
ღვთისმშობლის კალთას ვკოცნი, თაყვანს ვცემ
და შენს განაჩენს ჩუმად თავს ვუხრი.

უკვე სამრეკლოს ზარები რეკენ,
ხატის წინ ვენთო, დავდნე სანთელად,
ხელაპყრობილი უნდა ვილოცო,
გლახაკი სულის გადასარჩენად!

სინანული

ვარ ქრისტიანი, ჩემი ქვეყნის ერთგული შვილი,
არც ვერცხლი მხიბლავს და არც ოქროს ზოდები მთათა,
ჩემი უფალი მაცხოვარის რწმენა მაქვს დიდი,
უნანიებელ სინანულის დამყვება განცდა ...

ვერაფერს გშველი, ტკივილები რით დაგიამო,
მათი გენი ვარ, ვინც გაწამა და გესროდა ქვათა,
ჩემს ამ ცრემლებს და აღსარებას თუ შვებად მითვლი,
აღარ დავეძებ ჩემს სიმწირეს ან სხვათა, სხვათა...

ერთი იმედით დავალ ქვეყნად და გეაჯები,
შენი შენდონის იმედი მაქვს, ცოდვების ზღვათა.

* * *

შენი ტრფობით თიხის ჯამი,ხელით გამოვძერწე,
შემდეგ თეთრი ყაბალახი სიყვარულით ვკემსე,
გულში სითბო ჩაგიღვენთე, სიხარული ვთესე,
მაშ, გაშალე მკლავები და მიმიხუტე მკერდზე.

მიყვარხარო არ გითქვია, სულს თანაზიარს,
მოგონება ინისლება, კარებს ხურავს მზიანს,
შეუმჩნევლად დამაქვს სევდა, დახანჯლული სულით,
დარდი ეკლად შემომეხვა, დროში ჩამარხული.

დაივიწყე, რომ ოდესღაც ვიყავ შენი სუნთქვა,
მონატრება, დაპირება, გადავტეხე გულთან.
ვარდმა თითი დამიკაწრა მტკივა ნაეკლარი,
ტკბილ ზედაშით, ბილიკს ვლოცავ მე შემდგარი ქალი.

* * *

მიყვარს სიცოცხლე,
ღვინოც კახური!
დაღვინებული
ალადასტური.
სიტყვა ქართული,
ქცევა და-ძმური,
პატივისცემა
მართლაც კაცური!

მზერა ზვიადი,
სიტყვა ხმიანი,
ზეცა მზიანი
ვარსკვლავიანი.
უანგარობა,
ხელგაშლილობა,
გვეამაყება
გვარიშვილობა!
მტერი გაგვიჩნდა
ყალბი, მზაკვრული,
ფიქრები მათი
ავაზაკური,
საქციელი კი
ურცხვი,
ლაჩრული!

გვშველის უფალი
სამართლიანი,
გვქონდეს ქვეყანა
მუდამ მთლიანი,
ხალხით სავსე და
ბარაქიანი,
გულები ჩვენი,
ალერსიანი!

სადღეგრძელო

მუჭზე დამისხით, ღვინო ჭურში ჯერ არ ჩასხმული.
უნდა დავლოცო ჩემი მიწის უხმო ჩურჩული,
ხორბლის მარცვალით ჩათესილი, გაჭრილი ხნული,
დილის რიჟრაჟი, ჩემი ქვეყნის კუთხე, კუნჭული.

ცის წამწამებზე დაკიდული მბზინავი ნამი,
ქართული სიტყვა, დამწერლობა და ოქროს ბწკარი,
აკვანში ჩაკრულ თვალბრიალა ჩვილის ღუღუნი,
კლდეზე მორბენალ ჯიხვებისა და მტკვრის დუდუნი.

თავის შემოგწირავ, თუ დაგჭირდა ბრძოლა მომხვდურთან,
მუშტად იკვრება ივერია, მოდგმა ლომგულთა,
ტკბილი ნაჟური ედინება დაბრაწულ მტევანს,
დავთვრები შენით, შენზე დარდმა გამაცამტვერა.

ნაზი გალოგრე ინჟინერი-ტექნოლოგი
დაბადების ადგილი ლანჩხუთი ლესა

იყუჩე გულო

ლამობს გასკდომას გული მკერდქვეშ ჭურვადქცეული
ამღვრეულ მორევს რომ ემატება წვიმების დელგმა
საოცარია, დედამიწა ბრუნავს რარიგად წაღმა,
როცა უკუღმა ცოდვებით სავსე ნაკადები მიედინება.

ლამაზ სიცოცხლეს ამახინჯებს ფუჭი ოცნება
გზააბნეული მეგზურია სულის სიმწარის,
როცა დაფრინავს უნაპირო ცის კაბადონზე
ან თავაწყვეტილ ჩანჩქერივით მთებს რომ შებღავის.

იყუჩე გულო და შეგონებით მიანთე მზერა
უჩინმაჩინობს დღეს რეგვენი თავს რომ იბრძენებს,
გულმანკიერი უხამსი გზით დიდების გვირგვინს
ეცოდვილება და უმეცარ მოლოდინით თავსაც იმხნევებს.

დროსთან ჭიდილში დაიოკე ჩუმი სიფიცხე
მაცდურად დაცლილ ნუგეშის ველს რწმენა აგივსებს,
რიგიან კაცს და სხივმადლიანს ქვეყნის ტრიალში
წუთისოფელი არასოდეს მოისაკლისებს.

სულის ძახილი!

ადამის მოდგმა, ჯაბანი გულით
ვერ დასწევია ვერც რას საწადელს,
მხდალი სიცოცხლით ხოხვით სავალ გზას
ჯირითით გიჯობს შეხვდე განსაცდელს!

ქალო

მე შენ გადარეებ ცისკარს, ალიონს,
ვარდის თვალებში რომ სძინავს ცვარად,
სულში ჩაგიდგამს მშვენიერება,
როს მოევლინე სამყაროს ქალად.

თუ ვერ შევძელი ყველა სტრიქონი
ეშხთა ფერებით რომ დაგიცვარო,
მაინც მიმიხვდი სურვილს გულიანს,
ვინძლო არ შევცდე ამაში ქალო.

გრძნობის ზენიტზე გულთა ფეთებავ,
ყველა სიკეთის ძალავ და მადლო,
წმინდა ღვთაებად წარმოდგენილი,
ეს ხომ შენა ხარ, შენა ხარ, ქალო,

შენეულ მადლით გინდა, აჩუქო
ოჯახს სიწმინდე, მამულს - შვილები
ოღონდ დაგჭირდეს ძალა ქალური
და თვით ტარტაროზს შეეჭიდები.

და თუ შეიძელ დაუდგე ლოცვად
მომავლის ყლორტებს სულის სანთლებად
ვინძლო გულუხვად გადმოგაყარო,
სამადლობელი წმინდა ხატებად.

სულით მაღალს ხომ ზნეობაც გშვენის,
რომ ყოველ ნაბიჯს წინ წაუმძღვარო,
ცხოვრების გულში კელაპტრად მდგომი,
დაგლოცავ, იყო, ყოველთვის, ქალო.

დროსთან ჭიდილში

დროსთან ჭიდილში წლები ღმუოდა,
როდის ყოფილა გზა უბრძოლველი,
მისაღწევს დროზე თუ ვერ დაასწარ
სულს გაგიწელავს მიუღწეველი.

თუ ცოდვის თოკი ცხოვრების კიბეს
ვერ იმორჩილებს და მაინც არწევს,
გესლით ნაკვები დღე გადაგრიხე
და ამჯობინე ხვალე დღევანდელს.

დაკორტნილ გულით ერთს რომ მიაღწევ,
მეორე ჩნდება მისაღწეველი;
დღეს დაიძინებ ბრძოლით დაღლილი,
ხვალ გაღვიძებულს კვლავ ბრძოლა გელის.

რას გარგებს ფიქრი დაღმა სვლის შიშით,
აღმა სვლის გზაზე ნუ შეჩერდები!
მოუთოკავი ლაგამი ფიქრის
მიუშვი მტკიცედ, ნუ შეყოვნდები.

ჯიუტად გვიცდის დამჩოქებელი,
ნუ დავიხრჩობით საკუთარ ცრემლში,
თორემ უფსკრულთან ძალა ღვარცოფის
გადაგვისროლის უძირო ხევში.

გაუტეხელი გაუძლებს სული,
გაფოლადდება რკინის ნერვები,
ოღონდ ნუ დაგღლის დროსთან ჭიდილი
დროსთან ჭიდილში ნუ შეჩერდები

გასაქცევი რა გვჭირს

დროის მარხილს ცივ სარკმელთან ვეურჩები
დარახტული ბედაური ფლოქვებს ისვრის
მე რომ შენი სიყვარული შემიძლია,
სად წავიდე, სად, სად ან რისთვის.

მშობლიური ყველაფერი სათუთია
უმოწყალოდ გადაბუგე თუგინდ ირგვლივ
ნუთუ სულის ნაღვერდალი დაილია,
ან ძველ ფესვებს შემოაკლდათ ხიბლი.

ორგული თუ გულს მკერდიდან ამოგიღებს,
ჩუმად მზაკვრულ სიბეჯითით დაგდევს
დაგიფანტავს გულში სხივებს უმოწყალოდ
და შენს სუფთად მოჯარებულ ფიქრებს არევს.

როგორ უნდა გადამძალოს, გულის გულში
ჩასაცემად თუ მიმზადებს მახვილს,
გაფიქრებაც დიდზე დიდი სირცხვილია
წაუქცეველს, წასაქცევი რა გვჭირს.

ჩემი მიწის მოფერებას ვინ დამიშლის
მთელ სამყაროს როცა არყევს რეკვა ზარის
ან რად იცდის კართან შლეგი ბედაური
დასაბნევი, გასაქცევი რა გვჭირს.

სიტყვის ძალა

სიტყვა მოგკლავს და სიტყვა მოგარჩენს,
სიტყვით დაანგრევ ასაშენებელს
სიტყვა გაგმართავს, სიტყვა დაგძირავს,
სიტყვით გატეხავ კაცს შეუდრეკელს.

საქმე არ მოგდევს, გულიც არ გერჩის,
სიტყვითაც თუ არ შევეშველებით,
ჯახირ სიცოცხლით სულს გავიმწარებთ
ისე უაზროთ გადავშენდებით.

ტვირთის აზიდვა თუ ვერ შევძელით
ღვარძლიან გულით ძმობა რას გვარგებს,
ვიწამოთ სიტყვა ბრძენკაცის როგორც
ღრუბლებში მოჰფენს მზის სხივი ნათელს.

რა თავში ვიხლით ციმციმა ვარსკვლავს
ან ლაჟვარდებში მზის სხივის ციალს,
მორგებულ სიტყვით თუ არ ვუწამლეთ
უფლისგან დროის გამოცდას ტიალს.

გადაყარეო - ბოღმა ცოდვილი
ატარე გული თავისუფალი
კაცს რომ შეხვდები მადლიან სიტყვით
გაუთბე გული - გვმოძღვრავს უფალი.

თვალები

არ მშორდება, თან დამდევს,
თვალები მოელვარე;
ნატყორცნ ისრებს რა დალევს,
მცდება, ვეღარ დავთვალე.

მზეს დავეძებ.. ვიპოვე
ცეცხლოვანი თვალები,
მზის სხივებს რომ ცეცხლს ატანს,
მწვავს და ვერ ვემალები.

ცის ტატნობზე დაცურავს
ის თვალები ბრიალა,
მზის სხივებად ციმციმი
გადმოსტყორცნა იარად.

ვარსკვლავებში გამოკრთის
თვალები მოელვარე
ნატყორცნ ისრებს შევხვდები,
ვინძლო, თუ მოვიპარე.

ცოდვის სიმძიმე

შენ მე წამართვი გულის ნაწილი
გადამიკეტე ყველა სათქმელი
შენ განმიძარცვე გრძნობა ყოველი
აქამდე ჯერაც დაუწერელი.

გულის ძარღვიდან გადმოჩქეფილი
მადლი დაფანტე მღვრიე მორევში
სალოცავ საყდარს კულისებს მიღმა
ამოეფარე ნიღაბის მტვერში.

როგორ დაშალე სიკეთის ზვინი,
დროს გამოვლილი, გამძლე, მფარავი,
არ გაიფიქრო, რომ გასამართლებ,
მენანები, რომ ხარ საცოდავი.

საყრდენი კიბე ისე ჩატეხე
მორბენალს ხოხვაც არ შეგიძლია,
მიუხვედრელი ცოდვის სიმძიმე
როგორ დაგჩაგრავს, თუ გიფიქრია.

ჩემო სოფელო

ჩემო სოფელო და ჩემო არემარევ,
უნიჭ-უგნურთათვის ავად შემხედვარე,
სად არ ვიარე და სად არ დამატარე,
მაგრამ ვერსად ვნახე შენი მსგავსი მხარე.

აქ მინდორიც მწვანე თბილი ლეიბია,
თავქვეშ ორი ხელი ჩემი ბალიშია,
ეზოს ხეთა ჩრდილი საბნად დამაფარე,
არსად არის მსგავსი საოცნებო მხარე.

მორკალულა ეზო მწკრივად, დაფნის ჯარით,
და კამკამა ცის ქვეშ ფრინველები გალობს,
ან მიწის სიღრმიდან მოჩუხჩუხე წყარო
ჩურჩულით რომ მიხმობს, როგორ დავემალო.

აქ სულ სხვანაირი ადევს ვარდებს ფერი,
მიწის სუნთქვა მესმის, სადაც გავიარე,
ღმერთო დიდებულო, ამ ცისა და მიწის,
როცა ჩავეშვები... მადლი ჩამატანე.

სიხარბე ნუ გძლევს

გულში თუ ბოღმა დაგიტრიალდა,
ვერ მოიშორებ და ვერც გაამხელ,
ბნელი აზრებით დამძიმებული,
შენ ბრმავდები და სხვებს თვალებს უხელ.

ფართო ბეჭებით თითქმის კლდეს ანგრევ
და უკეთურ გზას თუ ვერ მიმხვდარხარ,
ის მაინც მიხვდი, შენი სიხარბით
რასაც პოულობ უფრო მეტს კარგავ.

გაზაფხულის სიმღერა

მთის კალთებზე თეთრი შუბა
მზემ გაცვითა, გადაყარა
და ბუნებამ სიმწვანეში
მოიღერა ყელი წყნარად.

ატმის ტოტზე აფეთქებულ
ნაღმებივით სკდება კვირტი,
გაზაფხულის სიმღერაა
ეს აპრილის დილა მშვიდი.

დედას

დაბადების ასი წელი შეგისრულდა,
შენს საფლავთან ვდგევარ, დედა თავდახრილი,
შენი სუფთა და ნათელი გულით რომ ხარ
წმინდა სულის საუფლოში გადაზრდილი.

ვერ შევძელი, დამეძლია უშენობა,
წარამარა შენს სურათთან შევჩერდები,
სახლის ჩუმ და გარინდებულ ცივ კედლებთან
დავდივარ და შენს ნაკვალევს ვეფერები.

შენ იყავი ჩემი გულის ჩირაღდანი,
ჩემი რწმენა და სიცოცხლის დიდი ღმერთი
დედა-შვილურ სიყვარულის წმინდა ხატთან
ანთებული კელაპტარი ერთადერთი.

სულის ძახილი!

ადამის მოდგმა, ჯაბანი გულით
ვერ დასწევია ვერც რას საწადელს,
მხდალი სიცოცხლით ხოხვით სავალ გზას
ჯირითით გიჯობს შეხვდე განსაცდელს!

გასაუბრება ღმერთთან

მესმის, ვხედავ და ვაზროვნებ
-სიცოცხლის შესაფერი ვარ,
ქონება მეტი ვინდომო
მაშინ ხომ არაფერი ვარ!

თუმცა ოთხმოც წელს გადავუქროლე
ღმერთო! ჯერ კიდევ დაუღლელი ვარ,
ცოდვა-მადლიან წუთისოფელში
მორჩილი, შენს ფერხთა მტვერი ვარ.

შენი ცხოვრების გადმოსახედი

როცა ფიქრები არ მოგასვენებს,
რაც სულში ბრუნავს, იმას ვწერ კალმით
ჯერ არ მომხდარა, სიტყვით ერთი ვთქვა
და მეორე კი ვაკეთო საქმით.

როცა ცოდვები მომავლის მკაცრი
განსასჯელის სკამს დაგეჭედება,
დაგრჩება თავი კისერზე სწორად,
ან სინანულით - მწარედ შეგრცხვება.

და თუ სიკეთით დამონებული
გადაგიზომავს ნაბიჯი ბედის,
მზეს დაძრავ თუ კი გეხვევა სუფთად,
შენი ცხოვრების გადმოსახედი

თვალები

არ მშორდება, თან დამდევს,
თვალები მოელვარე;
ნატყორცნ ისრებს რა დალევს,
მცდება, ვეღარ დავთვალე.

მზეს დავეძებ.. ვიპოვე
ცეცხლოვანი თვალები,
მზის სხივებს რომ ცეცხლს ატანს,
მწვავს და ვერ ვემალები.

ცის ტატნობზე დაცურავს
ის თვალები ბრიალა,
მზის სხივებად ციმციმი
გადმოსტყორცნა იარად.

ვარსკვლავებში გამოკრთის
თვალები მოელვარე
ნატყორცნ ისრებს შევხვდები,
ვინძლო, თუ მოვიპარე.

მე თქვენს სურათთან ვსაუბრობ ისევ

ვუძღვნი მშობლების ხსოვნას
მე მოვიჩქარი თქვენთან იმ გულით,
თითქოს სიცოცხლე მეძახის ძველი,
თქვენი სურათი შეხვედრას მიწყობს

და ამ შეხვედრის ვარ მადლობელი.
კარს გავაღებ და თქვენს სურათს ვხედავ,
ეს არის ალბათ მზის მოლანდება
და რომ არ იყოს ამის შეგრძნება,

დამძიმდებოდა ეს მონატრება.
თუკი სალხინოდ მეძახის გული,
სიცარიელეს სურათი მივსებს.
სასმისს ავიღებ ხელში თუ არა,

მამა, თამადა შენ ხარ ისევ!
ადათ-წესებით დაცული სუფრა,
ომახიანი შემოძახება,
მე ძველებურად ჩამესმის თითქოს
ჭიქის ჭიქაზე მიჭახუნება

მამშვიდებს დედის ნათელი შუბლი
და თვალებისგან ძველებურ სითბოს
ძებნა არ უნდა, თავისით მოდის
და გაყინულ გულს ალერსით მითბობს.

ვერც ერთი შვილის გული ვერ შეძლებს
წარსულის ცივად გადაბიჯებას
ძველის გარეშე რაა ახალი,
ხვალინდელს უფრო გაუჭირდება.

არ შეიძლება დაკარგო იგი,
რაც დაგიტოვეს და რაც გასწავლეს
გადააბრუნე შენს გულში ფიქრი,
გადაუარე სულის ტრამალებს.

ჯერ ჩაუმქრალ და თბილ ნაღვერდალთან,
სანუკვარ გრძნობით დადექ, ილოცე,
უნდა შეიძლო აცოცხლო იგი,
ვინც თავად მოგცა შენ ეს სიცოცხლე.

არ გაგვიცივდეს ცხელი ღადარი,
არ დაილიოს კერაზე კვამლი,
რადგან დაგვყვება ფეხდაფეხ მუდამ -
ღმერთის განგებით, ცოდვა და მადლი.

გასაუბრება ღმერთთან

მესმის, ვხედავ და ვაზროვნებ
-სიცოცხლის შესაფერი ვარ,
ქონება მეტი ვინდომო
მაშინ ხომ არაფერი ვარ!

თუმცა ოთხმოც წელს გადავუქროლე
ღმერთო! ჯერ კიდევ დაუღლელი ვარ,
ცოდვა-მადლიან წუთისოფელში
მორჩილი, შენს ფერხთა მტვერი ვარ.

ხათუნა ჩიტაძე პედაგოგი
დაბადების ადგილი ხაშური

მე ვარ ქალი!

მე ვარ ქალი!
ამომსკდარი
მიწის ცხელი გულ-მკერდიდან!
ანდა სულაც
სულის ქნარი,
უზენაესი ფიქრიდან...
მე ვარ ქალი,
ტრფობის დარი,
მზე სისხამზე თმას მიწნის და...
ვარ შლეგი და
თან ვარ წყნარი
ამოსული ამ მიწიდან!
ისევ ლაღი...
ისევ ვმღერი,
გაზაფხულიც ისევ მეტრფის,
ისევ თალხი!
ისევ ჭრელი,
არც რა მინდა ამის მეტი!
ისევ ცისკრის ვარსკვლავს ვუმზერ,
ისევ მჯერა საოცრების,
ისევ მზის სხივს ღაწვებს ვუშვერ
და ნურასდროს გაოცდებით,
თუ ყვავილებს ლექსს დავუწერ,
თუ იმედებს დავიმღერი,
თუ თვალებით ლოცვას ვუკმევ
მტერს!
– და ამით არ ვიცლები!
...და რამდენი, საოცარი,
იცით, რატომ?
– მე ვარ ქალი!
ცხელ მიწიდან ამომსკდარი,
შავი არა, –
თეთრი ბწკარი!
მე ვარ ქალი...
ანდა სულაც,
ერთი სუსტი ბილილ-ღერო,
იქნებ, გესმა,
ანდა არ გსურს
ეს ზღაპარი დაიჯერო...
...და უბრალოდ,
მე ვარ ქალი...
არც რა მინდა ამის მეტი,
სიყვარული!
საოცარი!
მე სულ თქვენთვის გავიმეტე!

შვილებს

მოვილევთ საქმეს,
მოვივლით სოფელს,
ყველა ნივთს თავის ადგილს ვუხვედრებთ,
არ გვავიწყდება, კერძი რომ გვქონდეს,
გასაჭირს გამოსავალს "ვუხერხებთ!"
ავიტანთ რამდენს,
გავიტანთ რამდენს!
ყველა სიძნელეს მკერდით ვასკდებით!
დე, ღმერთი გვწამდეს!
რომ ღმერთი გვწამდეს!
სამყაროს ვუჭვრეტთ
შვილის თვალებით!
ღამეს ვათეთრებთ,
დილას ვაღამებთ,
უქმნელს ვაკეთებთ,
ტირილს ვამთავრებთ,
ზეცას შევღებავთ ცის ფერადებით,
მზეს გულზე ცისკრად გადვეფარებით!
რომ მათ სულებში ცისარტყელებით,
ვნახოთ დილა და წრფელი თვალები!
დე, მარად ეგრძნოთ დედის ხელები!
დედის სითბო და განთიადები!

დაცლა

მოვგავე შენი დღეები და
ქარს გავატანე,
არ ღირხარ არც რად!

მე კი შემეძლო
უსაზღვროების ცის კიდეები
ამეგო ტაძრად!

უფერულ თვალებს
უფერული სული უდგია!
და ყველა გრძნობა
განძარცვული
ფეხქვეშ გიგდია!
არ ღირხარ არც რად!

მე კი,
მე ვიცი
სიყვარულის უსასრულობა
და მისი განცდა!

მოვხვეტე შენი დღეები და
ქარს გავატანე!
ტრამალებს გასცდა!

სათქმელი

ჩემი ცხოვრების შავ-თეთრ კალათში,
შენი სიზმარი სიზმრად ანთია,
სულ ვინეორებ-ღმერთმა დაგლოცოს,
წელს ცისარტყელა შენით მარტყია.

სულში ივნისებს ვიგროვებ მარად,
ცისკრის ვარსკვლავს კი ბუდე აქვს ძველი,
და როცა წავალ, მე როცა წავალ,
შენი თვალების ჩაქრება ფერი.

გადავურბენდი ქუჩებს ბავშვურად,
სიცილს მოგფენდი სულის აისად,
ვაგლახ, სილაღე უხმოდ დასრულდა,
ვეღარ ვიბრუნებს სიყრმის აისებს.

ჩემი ცხოვრების ფერად კალათში,
შენი სიზმარი ცხადლივ ანთია,
ვზივარ დაღლილი-როგორც ქალაქი,
წვიმს და სხეული ისევ მაცვია.

სიმძიმე

რა სირცხვილია!
ახლა ბინდია,
ადამიანმა შეჰბედა როცა...

ჩვენ ის არა ვართ?
როცა უფალი ხელვყეთ –
ჯვარცმულის არ გვესმა ლოცვა!

როცა ოცნებას ფრთები აუხდა!
როს გაიკაფა გზები უვალი!
როცა სიყვარულს ფესვი გაუჩნდა,
ამ დროს
ჯვარს აცვა კაცმა
უფალი!

მორჩა დილა და
მორჩა სამყარო!
და რაღას ვითხოვთ,
ღმერთო, მაღალო!

თიხაში ცხოვრობს
ცოდვა და დარდი!
ჩვენს გვერდით მაინც
უფალი დადის!
იმედი დადის!
და რწმენა დადის...
მტკივა სული და
მტკივა სხეული...

ველი აღდგომას!

საკუთარ მეს

გამორთე ყველა განწყობა და,
გამოდი გარეთ!
და შორიდან შეხედე სევდას...

გამოდი გარეთ!
გამოექეც საკუთარ თვალებს!
იმედად სულის ხელადა გედგას...

შეეშვი გვემას...

გახსენი გულის დარაბები
და დაანებე
სურვილს სურვილი!

შენც ხომ სუსტი ხარ,
დაიღალე მართლის წყურვილით...
ნუ გკლავს წუხილი...

ხელადა კი სულ ახლოს გედგას!

რამდენჯერ მითქვამს
და არ გესმის შენ ჩემი, ჩემო...
...

მე გამოვედი ჩემი თავიდან
და არც ეს ფიქრი არ მეფიქრება,
განთიადს ვიწყებ შუაღამიდან
სევდის სიზმრებად.

...გამოვრთე ყველა დარდი და ღელვა,
გამოველ გარეთ!
და შორიდან გიყურებთ ყველას...

ხელებგაშლილი

ახლა გავშლიდი ხელებს მთაში,
ჩემს სოფლის თავში!
აბრიალებულ ღრუბლებს ბანსაც
გავადევნებდი.
წვიმა მოლოდინს ვეღარ წაშლის
და როგორც ბავშვი,
ჩემს სოფლის თავში
მოგონებებს შევაჯერებდი!

მაისის ქარებს გადათელავს დღეები მრუმე,
დავტრიალდები ეზოს გულში,
ვითარცა რუმი...
თვალს გავაყოლებ მოჭრიალე მეზობლის ურემს
და მოედება ბავშვობის სულს ძილისპირული.

წვიმს...
და წყაროზე გეჯა ვიცი,
ახლა მღვრიეა.
წვიმს...
სად გამიქრით მეგობრები
სოფლის ქუჩებში?!
წუთისოფელი ტიტანივით ისე მძიმეა,
თუმც ფრთებით ფრენას
განსაცდელშიც კი ვერ მოვეშვი.

ახლა გავშლიდი ხელებს მთაში,
ჩვენს ზვარის თავში.
და ყველა ტკივილს
ღრუბლებს მეხად შევაგებებდი,
მონატრება და ტვირთმძიმობა
ისე მწვავს ხმაში,
რომ სოფლის თავში
ღრუბლების სვლას შევაჩერებდი!

დამშვიდობება

(თეთრი ლექსების სერიიდან)

ჩემს ოცნებებს თბილად ჩავაცვი,
მართალია,
ჯერ ნოემბერი არ მიდგას ხმაში,
მაგრამ,
მაინც ჩავაცვი თბილად...
მეფერებიან, მეხვეწებიან,
ტირიან ჩუმად და სულ ხმამაღლა.
გულის გასკდომას ელოდებიან,-
ოღონდ არ დავტოვო მარტო...
მე კი,
უხმოდ,
უემოციოდ,
ჩავაცვი თბილად,
რომ არ შესცივდეთ ქარში, სეტყვაში,
ამ ნოემბერში...
კარი და ზღურბლი აწურულია,
და ლამობენ,
წვალობენ,
რომ აღიმართონ უსასრულოდ
და ზე აღპყრობით,
ცივი ფიქრივით....
მე კი,
უსახოდ,
უუნაროდ,
ურეაქციოდ,
მიმყავს შვილები – ოცნებები
გასამგზავრებლად...
დასავიწყებლად...
იმედია,
მას იპოვიან,
ვის თვალებშიც წვიმს სიყვარული!

* * *

ნუ უსმენ სიტყვებს! –
დაღლილან ფიქრით
და მიტევებით,
და თავი უცხო სიტყვებს
ძლივსღა შეაშველ-ფარეს.
ასე, რომ...
გულის ხმას უსმინე
და ეულ სიზმრებს,
რომლებიც შენთვის
მოვქსოვე და შემოგაკალმე.
ამოძახილი ჩემი თუკი
გულს გაგისერავს,
იმ წამსვე მაჯას ჩამჭიდე ხელი
და ჩემი გულის გზავნილ სტროფებს
შენ წაიკითხავ,
არ ენდო სიტყვებს,
რომლებიც რომ
ჩემს ტკივილს შველის!
უნდა დაყრუვდე...
ცოტახანი
უნდა იყუჩო,
გვაცადე, სევდა გადვიქარვოთ
ისევ სიტყვებით!
შენ კი, ნუ სწუხარ,
დედის მუცლით მე ძლიერი ვარ,
მაისის წვიმას და სიყვარულს
ვერ დაგპირდები...
ნუ უსმენ სიტყვებს...

ფოთოლთა სევდა

შემოდგომაზე კი არ ვწერ,
ფოთოლთა სევდა მაფიქრებს,
წელი წელს ისე მიათრევს,
სული სადარდელს აიმღვრევს.
ზამთრის სუსხი არ მაშინებს,
ადრე სხვა სევდა მეომა,
ისე მძიმდება ყოველი,
ლექსმაც ვერ გაიმეორა...
ჩემი დარდი რა დარდია,
გარშემო როგორ დადიან!
წყვდიადი ეკალ-ბარდია,
იმდენი ღვარძლი-ფანდია!
სად არის ღმერთი! ვის ახსოვს!
აღარც წინაპართ საფლავი!
აღარც მომავლის დათმენა,
აღარც ნამუსი, მართალი!
... შემოდგომაზე კი არ ვწერ,
ფოთოლთა სევდა მეტკინა,
ის ბოლო სულის, სინაზე,
ზედ გულზე გადამეწვინა!
ყინვა ვერ მომკლავს, მტარვალი,
უკვე ვერც ვერა მაშინებს,
ალესილი მაქვს ხანჯალი
და ბრძოლას ვიწყებ საშინელს!
შემოდგომაზე კი არ ვწერ,
უნდა დავიცვა ფოთლები,
შორი-ახლოდან ქარს ვუმზერ,
რომ შევაშველო ლოცვები.

სიმძიმილი

(შოვის ტრაგედიის გამო)

წელს აგვისტომ შეიმოსა შავები,
ჩვენ, ეკლიან განსაცდელებს ვხვდებით.
ცრემლიანი ეს ამდენი ,,თვალები"...
დარდიანი საქართველო ჩემი!
სათქმელს აზრი დაეკარგა დუმილში,
ფერებს ბაცი შეერია თმენით,
ახლა მხოლოდ საშველია წუხილი,
ლოცვა, დარდი და უფალი ჩვენი..

თეთრი ხალათი

თეთრი ხალთი არ მიყვარს მამა!
მაგონებს ზამთრის თოვლიან წუთებს,
რომ მოდიოდი დაღლილი, მარად...
იმ ალიონზე ბერტყავდი მწუხრებს!
და ალინოზე, ძილბურანებში,
ვიღაც იძახდა, –
შველას ითხოვდა,
შენ უხმოდ, ისევ ნამძინარევი
იცვამდი, –
გარეთ წვიმდა თუ თოვდა...
თეთრი ხალათი დარდისფერია,
შენი თმის ფერი,
სიცივისფერი...
ჩემი თვალები ისევ გელიან,
ისევ ელიან შენნაირ ექიმს!
ეს არჩევანი, ტვირთი და მძიმე,
ეგ თავგანწირვა განძივით დამაქვს,
ეშმაკი ქვესკნელს ბევრჯერ ჩაკირე,
გადარჩენილთა სულებით, მამა!!!
... ახლა კი უხმოდ,
სულგანაბულა,
თეთრი ხალათი, –
მოელის ჩვეულს...
ჩვენი ფესვიდან ისევ ამოვა
ყლორტი! –
– გვარი კი მოელის რჩეულს!
... არ მიყვარს თეთრი ხალათი, მამა!
შენს დაღლილ სახეს
და დარდს
მაგონებს...
მივყვები შენი სხივების გამას
და იმ სიკეთეს, რაც შთამაგონე!

ღამისპირული

ცაზე ალმასი წკრიალებს,
ფეხზე ხვიარა მეხვევა,
გაზაფხულია, იარებს
უნდა ზეცასთან შეხება!
დარდი სულეთში ციალებს,
ჭრილობას შველის შეხვევა,
სულ მზით ამივსებ ფიალებს,
მეც სევდა აღარ მეთქმევა.
მზე ნაირფერად პრიალებს,
ცის ტატნობს ეტრფის- ეხვევა...

სიზმარი

ტყის ვარდებზე ვანანავე დართან,
ვეჩურჩულე პეპელას და დათვრა!
გამიღიმა, გაფრინდა და გათბა,
როგორც იქნა, როგორც იქნა დათბა!
მე კი ველი,
როდის მოვა ფრთაჭრელი,
მოციმციმე-მოელვარე ბანზე,
საიდუმლოს ხაფანგივით დამჭერი,
ლექსს მოიტანს სიზმარეულ ქალზე...

ლალი გულიაშვილი

ფილოლოგი მსახიობი მხატვარ გრიმიორი
დაბადების ადგილი ლაგოდეხი
საცხოვრებელი ადგილი თელავი

* * *

გათენდა, სუსხია...
მზე ვეღარ ათბობს სიცივეს,
მუხები ტიტველი ტოტებით,
ტირიან, ამცივნებთ.
ქუჩაში სიცივე ხარხარებს,
გოგონას ხელები დააძრა...

რამდენი რამის მომსწრეა,
გზადა-გზა ეს მდგარი მუხები,
შენსავით პატარა გოგონა,
ოდესღაც მეც ბავშვი ვიყავი...

ციოდა ზამთარში მაშინაც,
მითბობდა მამიკო ცივ ხელებს,
საღამოს იმ მომცრო ოთახში, დედიკო
გვისხავდა, ცხელ ჩაის ფინჯანზე.

სუსხია ზამთრისას ვერ მივხვდი,
ფიფქები თავისას არ იშლის,
დაბრუნდი შენ მაინც დაბრუნდი,
სიცივე ხარხარებს,
მიყვარხარ! მე შენთვის ვიცინი...

* * *

ისევ მიყვარხარ,
ჩემი სიზმრების დასაწყისი ისევ შენა ხარ,
ღაწვზე ნადენი ცხელი ცრემლით,
მონატრება ხარ.

ძარღვს გაცდენილი, სისხლის დენა ხარ,
გულის ტკენა ხარ,
ხარ მოლოდინი, არ მოსვლა ხარ,
ღამენათევი გაგიჟება ხარ.

ისევ მიყვარხარ...
ახალი დილის გათენევა ხარ,
სადღაც რომა ხარ,
რაშორს ხარ და რა ახლოსა ხარ.

მონატრევა ხარ, წვიმად მოსვლა,
მზის ამოსვლა ხარ,
ბევრჯერ გითხარი,
სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ.
ისევ მიყვარხარ!
ისევ მოყვარხარ!

* * *

მახსოვს როგორ მახარებდი,
არც მტკიოდა არც მჭირდა,
იცი როგორ დაგეძებდი,
გვერდით მყავდი რა მჭირდა?

ხშირად მომენატრებოდი ახლოს
 მყავდი რა მჭირდა?
ჩემი ყველა სურვილები,
შენთან ერთად გაფრინდა.

ახლა მარტო ვხეტიალობ
უშენობის აჩრდილთან,
გეფიცები არ დაგკარგავ
 ჩემი ტკბილი ზღაპრიდან.

ხშირად ცრემლებად ვიღვრები
გაღიმების მაგივრად,
იცი როგორ მენატრები?
არც კი ვიცი რა მინდა.....

* * *

ატმის და ტყემლის კვირტებმა ხარბად,
დაიწყეს ფეთქვა ისე საამოდ,
დილის ალიონს ხვდებიან ვნებად,
შემოიხედეს მთელი სამყარო.

ისე წააგავს ეს ფეთქვა მათი,
ქალის მორცხვობას, თანაც ამაყობს,
ქალის გადახსნილ მკერდის საკინძეს,
ვნება, მორცხვობის რომ ვერ დააცხრობს.

მარტია სუნთქავს ხარბად სამყარო,
დამსკდარ კვირტებად ყვავის ხეები,
რითმის მატებას ვითვლი მაჯაზე,
ისევ თავიდან დავიბადები...

შემიყვარდები ისევ თავიდან,
ისევ, თავიდან შემიყვარდები...

ძალიან მიყვარხარ ...

შემეჩვია უშენობის ფიქრი,
ალბად მომკლავს ეს ტკივილი დიდი,
მომეძალა მონატრება შენი
ცრემლებიც კი ვეღარაფერს მშველის .

მენატრება გაღიმება შენი
ისევ მახსოვს მაგ თვალების ფერი,
უშენობა მტკივა მაინც შენი
მენატრება სიყვარული ჩვენი .

* * *

მზე ნისლის ფერებს გაფანტავს,
და ცისარტყელას მოხატავს ცაზე,
ხეებს დასცვივათ თოვლის გუნდები,
მეც ავმღერდები ნატვრების ხმაზე...

გადაივლიან ცივი დღეები,
მინდა გავუძლო ბობიქარ ქარებს,
გამიაპრილებს ზამთარსაც ვიცი,
და გადაივლის ეს ცივი ღამეც...

* * *

ყველა თვეს აქვს ოქროსფერი დღეები,
ცრემლნარევი მარტის თვეა ახლა,
ბავშობაში დედა მეუბნებოდა,
ისურვე და აგიხდება ნატვრა...

იმ ნატვრების ასრულებას ვდარდობ,
მაშინ თურმე მისრულებდა მამა,
არეული ფერები აქვს დღეს მარტს,
ნატვრები კი მაინც ბევრი გაჩნდა...

მაინც მზისფერ ბავშობაში ვრჩები,
სულ სხვაგვარი ნატვრებია ახლა,
სამყაროს აქვს უამრავი ფერი,
მე მზისფერი სიყვარული დამაქვს!...

* * *

მალე გაწვიმდება, თოვას მოაყოლებს,
სულშიც აცივდება, ფიქრებს აიყოლებს.
თბილა სახლში ჩემთან,
და მე მაინც ისევ, უშენობა მცივა...

მომენატრე ძლიერ, ნატვრას ვეღარ ვძლიე,
სიბნელეა სახლში, დამათენდა ლამის.
ქარს მოყოლილ ფიფქებს,
ჩემს დარაბებს აყრის...

გადაივლის თოვაც,
უშენობა მციცა,
სიყვარულის დარდებს,მონატრებას
ვარქმევ...
მომენატრე ძლიერ,
თმენას ვეღარ ვუძლებ...

* * *

ჩამოიტეხა ზეცამ ნაპირი,
ტირის წვიმებად თუ ცრემლებია,
ვერ გამიგია, მენატრები თუ...
მე უშენობა არ შემიძლია.

შემოაღამდა ზეცას შუადღე,
წვიმს და...
სევდები ისევ არია,
არ შემიძლია მართლა უშენოდ,
მართლა უშენოდ არ შემიძლია...

დაგიფიცებდი ისევ თავიდან,
მოსმენა მაინც თუ შეგიძლია,
მარტო უშენოდ მინდა იცოდე,
მე, ჩემი თავიც არ შემიძლია...

* * *

დატრიალდება დოლაბი ისევ,
ჩვენს წილს გვარგუნებს ამ სამყაროდან,
ეს, როგორია წუთისოფელი,
ხან ბევრია და... ხან არის ცოტა.

უფალო ღმერთო, გვაცადე მეტი...
მრავლად დავტოვოთ მოსაგონარი,
ადამიანად დავბადებულვართ,
ადამიანად ყველა ვერ ვკვდებით.

და თუკი...
მაინც უნდა წავიდეთ,
მაინც, საფრენი შევკვეცოთ ფრთები,
სიყვარულისთვის გვამყოფე ბევრი,
უსიყვარულოს ცოტაა მეტიც...

* * *

რატომ ჯიბრიანობს ამინდები,
ვეღარ გადიყარა ზამთრის დარდი -მანდი,
ვერა, ვერაფრით ვერ მომაწონეს, ასე
არეული ფერთა ნარინჯები.

ქარი არეული, წვიმა თქეშიანი,
დღეა ღრუბლიანი,
მზე ხან ცხარეული,სხივი თბილიანი,
ღამე მთვარიანი მონატრებიანი.

ჯიბრი არ გამოვა ამინდო, კარგდღიანდი,
მზეო გაათმაგდი, ათიათასმაგდი,
გულო საგულეში მოკალათიანდი,
ავდრებს რას გაუგებ,
ვეღარ შეუფერეს,
დღეებს მათი ხასიათი.

* * *

ნაწვიმარ ქუჩაზე ამოდის მზე,
სველია ფოთლები, იშრობენ ცრემლს,
გოგონა ლურჯ ცაზე ითვლიდა ფერს,
სადღაც კი ოთახში მუსიკა ჟღერს...

სისხლის დგაფუნმა ჩაძირა მზე,
სველი ვარ, სველ ქუჩას მივყვები მეც,
დაღლილი ფიქრები,
ღრუბლებზე წევს...

რა წვიმა ეწვია, ჩვენს ქუჩას დღეს,
ტიროდა წვიმა და ავტირდი მეც...
მიყვარხარ! ყვიროდა წვიმა და...
მიყვარხარ! წვიმა ვარ მეც...

* * *

მიიზლაზნება ცოდვით ეს ღამეც,
დილის ალიონს თითქოს იზარებს,
რა დამაძინებს, დარდებით ვფხიზლობ,
ფუქრებშიც თუ არ გადამეყარე.

შორს ხარ და მაინც როგორ ახლოს ხარ,
ვტყვევდები თითქოს ხელიც შემახე,
სთვლემს სითბო...
გარეთ გარიჟრაჟია,
ფიქრებმა ღამე ისევ წამართვეს.

ბედნიერია ეს სიმარტოვე,
რომელიც ტანზე გადავიფარე!

* * *

ახლა ყველაფერი შორია,ალბათ
ყველაფერი ახლოს, აღარც არაფერი
მამშვიდებს, ვეღარც ვერაფერი მათბობს.
თეთრი ღამეებით ლოდინი, ვეღარც ნაბიჯის
ხმა მაკრთობს, ახლა უშენობით დაღლილი,
მაინც გამძლეობას ვართობ, ვგრძნობ რომ
ძარღვებს გასცდა რითმები, სიტყვას,
სიტყვაზე ვერ ვაწყობ... იცი, რანაირად
მიყვარხარ?! მინდა მთელ სამყაროს
ვამცნო! ახლა არც კი ვიცი რა მინდა... ისევ,
გაგიჟებით მიყვარხარ! ისევ გაგიჟებით
გნატრობ!

ნანა კაკიაშვილი-ქაჯაია

ფსიქოლოგი სამართალმცოდნე
დაბადების ადგილი თბილისი

ვედრება ღვთისმშობელს

დედაო ღვთისავ, შენ შეგავედრებ შვილებს ქართლისას,
დაიფარე და უპატრონე იმერ-ამიერს,
გადააფარე შენი კალთა მფარველობისა,
გონი მიეც და დაგვილოცე მრავალჟამიერ.

გაალამაზე მათი ყოფა, წუთისოფელი,
გაუფერადე ცხოვრების გზა ქვეყნის მომავალს,
შენ დააპურე, მიეც ძალი უფლის მხმობელი,
არსობის პური არ მოაკლო ქართველთ მონაგარს.

შეიფარე და დააძინე დედის კალთაში,
მიეც ძალი და აგრძნობინე დედაშვილობა,
ამ მიწის მადლით გამოზარდე ჩვილი ყოველი,
ერთგულებისა ათქმევინე მცხეთას პირობა:

„გაიზრდებიან შენი მადლით უფლის მოშიშნი,
სიცოცხლეს თვისას გაწირავენ მოძმის სანაცვლოდ,
დაიფარავენ ოჯახს, მოყვასს, ქვეყანას თვისას,
მამულს საკუთარს არ გახდიან მტრების სალაშქროდ".

დედაო ღვთისავ, შენ შეგავედრებ შვილებს ქართლისას,
შენი წილხვედრი ქვეყნის შვილებს, მიმოფანტულებს,
გადააფარე შენი კალთა მფარველობისა,
ძალი მიეც და აამღერე მრავალჟამიერ.

ღვინო დამისხით!

სულაც არა მსურს, დავემსგავსო წლებით დაღალულს,
რა მოხდა მერე, თუ შემნიშნეთ შუბლზე ღარები?!
დღესაც მივყვები მუხლამდე თოვლს, პაპის გაკვალულს,
მეც მომსვლელს ვეძებ, გზას გავყურებ მამის თვალებით...

ღვინო დამისხით! უღვინოდ აქ ძალზე ძნელია,
შარბათს შევსვამდი, მაგრამ სისხლი მიჩქეფს ქართველის,
ღვინო დამისხით, ტკბილის ქება სულთნებს სჩვევიათ,
არა მგონია, საიდუმლო სჯობდეს გამხელილს!

ლექსის სტრიქონებს შეუერთდა ფიჭვის სურნელი,
ნაცნობი სუნთქვა დატრიალდა ვარდობის თვისა,
ჩემს ბაღს ესტუმრა ჩიტბატონა, ჭიის მსურველი,
მეწამულ ვარდებს დასთამაშებთ სხივები მზისა.

ვარდობის თვეო

ვარდობისთვეში ვარდს გზას უთმობს იასამანი,
აპრილის ქარმა შემოძარცვა ტანიდან კაბა,
ყვავილედებში კვლავაც ვპოვე ხუთქიმიანი,
ჩავიფიქრე და ამიხდინა ოცნება ქარმა.

სუნთქვაშეკრულმა მივაკითხე ტყეში გვირილებს,
თეთრ გვირგვინებში ჩავაქსოვე კესანე კონად,
ყმაწვილქალობამ ჩამიქროლა აზრთა ბილიკზე,
კვლავაც დამტოვა დაუმჭკნარი სურვილის მონად.

ქარებს, ავ ქარებს, არ აწუხებთ ყვავილთა დარდი,
დაუფიქრებლად, უმოწყალოდ გვირგვინს აცლიან,
აფარფატებენ სისიხლისფერი ყაყაჩოს ყვავილთ,
მინდორ - ველებზე წითელ-ყვითელ წინწკლად აყრიან.

არ იამაყო ვარდობისთვის სისინა ქარო,
მკათათვესა და თიბათვეში ძალას დაკარგავ,
ვერ გამიბედავ, ვეღარ მეტყვი, პატარა ხარო,
შენთან ჭიდილში რაც ვიპოვე, აღარ დავკარგავ.

წუთისოფელი

მე არ ვაგროვებ ცაში ფერებს, ის თვითონ ჩნდება,
გაინავარდებს, მომანათებს და მერე ქრება.
მე აღარ ვითვლი ზღვაში კენჭებს, არც ვაფერადებ,
ის თვითონ არის მრავალფერი და მაფერადებს.

მე აღარ ველი წელთა ბრუნვას, თვითონ ტრიალებს,
მერე მაცდურად თვალს ჩამიკრავს, ამაწრიალებს,
ხან დამაფიქრებს, ხან მაკოცებს, ხან დამადარდებს,
წუთისოფელზე ზღაპრებს ჰყვება, თან ალამაზებს.

ხან გაზაფხულებს შემაფეთებს, ხანაც - ზაფხულებს,
თანაც ზამთრისთვის ვერ მიმეტებს, სულს მისათბურებს,
გულში ჩამიკრავს, თითქოს მისთვის ერთადერთი ვარ,
მერე მაჯერებს, მე შენთვისო თავად ღმერთი ვარ.

მომიალერსებს, დამიყვავებს და დამამშვიდებს,
ხანაც გამკიცხავს, დამარიგებს, სხვა გზას მაჩვენებს,
მონანიების შვების წამით კოშკებს ამიგებს,
მერე მაცდურად შემიჩნდება, ხაფანგს დამიგებს.

არ დაუჯერო! შენც იმავეს გაგირიგდება,
ყველას სულების მოამაგედ თავს მოგვაჩვენებს,
ვცეკვავთ, ფერხულში თითქმის ყველას სოლოს გვპირდება,
ხანაც სიმღერას დაგვიწუნებს, ხან აგვამღერებს.

წუთისოფელო, შენი დარდი იქაც გამყვება,
როცა გოლგოთას ავუყვები გზაარეული,
ეშმას მივყიდო სული ჩემი?! არ მეთანხმება,
სისხლდათხეული, დაწრეტილი ჩემი სხეული.

* * *

გაქცევა

ჩემ ოცნებებს გავურბივარ,
შენ ნაფერებ თვალებს,
ტუჩთან ხალს და ხალზე ფიქრებს,
ჭორიკანა ქალებს.

გამიღიმა მზემ და
ჩაიძირა მთვარე,
საით მიხვალ ქალბატონო,
რატომ დამემალე?.

გაზაფხული

მიყვარხარ გაზაფხულო, ნუშის ყვავილობავ,
ჩემს ბაღში ამოსულო იავ,
მზის სხივის ათინათო, თოვლზე მონადირევ,
შენ ხომ გაზაფხული გქვია.

ენძელავ, შროშანო, ნარცისო, ტიტებო,
ბუნების მგოსანო ლამაზო ჩიტებო,
ჩრდილს მოფარებულო თოვლის ნარჩენებო,
მზისგან დამალულო ყინულის ნატეხებო.

მთიდან მორაკრაკე პატარა ნაკადულო,
კორდზე ამოსულო ენძელავ დახატულო,
ვაზის გადაჭრილი ლერწმის ატირებავ,
აივანს ჩამომდნარი ლოლოს დატირებავ.

ჭიგოს შემოხვეულ ვაზის ყვავილობავ,
ბარად ჩამოსული ირმის მყვირალობავ,
შორეულ ქვეყნიდან მერცხლის მობრძანებავ,
ჟუჟუნა წვიმისგან თავის შეფარებავ.

იმედით ნაშენი ბუდის დამშვენებავ,
სულის ფორიაქო, გულის აჩქარებავ,
თოვლის საფარქვეშ ნაპოვნო იმედო,
სიცოცხლის საწყისო ლურჯთვალა იებო.

მიყვარხარ გაზაფხულო, ჩუმად მშობიარევ,
ბუჩქის ქვეშ ამოსულო იავ,
ხეებზე მოჟღურტულე ჩიტების წყვილებო
თქვენ ხომ გაზაფხული გქვიათ.

ოცნებების ახდენა

არ მითხრა, რომ ყველაფერი დამთავრდა,
არ მითხრა, რომ გრძნობა უკვე გაქრა,
მე მინდა, რომ მთელ სამყაროს ვახარო,
ოცნებები და სიზმრები ახდა.

კატისებრთვალა გოგონა. . .

ყურძნის მტევნებით შეფერადდა ბავშვობის ეზო,
ჭრელ-ჭრელ ფოთლებად ჩამოდიან ხიდან ფიქრები,
აქ ჩემს ანცობას ჩაუვლია და, როგორც ერთ დროს,
მწიფე ნაყოფებს კვლავ კენკავენ ეზოს ჩიტები.

მახსოვს, ვაცლიდით კუნწულებად ალუბლის ტყუპებს,
თან დიდ ნაყოფებს ვაგროვებდით სამკაულებად,
მე ვიჩემებდი მსუყე მარცვლებს ალუბლის ხიდან და
ვიმაგრებდი ლალისთვლიან საყურეებად.

თვალწინ დამიდგა მორბენალი პატარა გოგო
ცელქი, თვალჭრელი, ოქროსფერ თმით, ჟღალი ფერებით,
მისი კისკისი, სურვილები ზეცას სწვდებოდა,
თავს იწონებდა მთელი ეზო მისი ფერებით.

ჭორფლიან გოგოს ყოველ დილას ბიჭი ხვდებოდა,
მზისფერ ყვავილთა თაიგულის ციცქნა კონებით,
ეს ბიჭი როცა გოგოს ჩასჩურჩულებდა,
ელვისსისწრაფით ივსებოდა გუდა ჭორებით.

ხან ველოსიპედს, ხან„მანქანას“ ერთად მართავდნენ,
ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთის ყურძნის ხეივანს,
ის ბიჭი, თურმე, გოგოს მწვანე კატისებრ თვალებს,
ვერ ივიწყებდა, ვერც იმ ეზოს, ვერც მის აივანს.

დღეს ამ ეზოში ისევ დარბის ერთი გოგონა
ოქროსფერ თმებით, ჭორფლებით და მწვანე თვალებით,
აქ ყოველ დილით ისევ მოდის ერთი ბიჭუნა,
მზისფერ ყვავილთა თაიგულით, გიშრის თვალებით.

როდის დაბერდები, როდის?!

მინდოდა ნდობის ხელახლა დაბადება,
სიმართლეს მოვუხუჭე თვალი,
ვაფრინე ზეცაში იმედის გზავნილი,
დამისხლტა, დამადო ვალი.

ვწონიდი სიმძიმეს, ვერა გავიგე რა,
ცხოვრება ლამაზია, თითქოს,
უკან მოვიხედე, დატკეპნილ ბილიკზე,
გვირილა წამოდგომას ითხოვს.

უხმოდ ჩავუყევი ცხოვრების შარაგზას,
თან ძველს ვიხსენებდი რამდენს,
ეს წუთისოფელი სამოთხეს არა ჰგავს,
პეპლებს რად ველოდი ამდენს?!

ეს დღე და ეს წამი არ დაგავიწყდესო,
წიკწიკებს საათი დროის,
თვალს თვალში გამიყრის, ჩერდება, კითხულობს:
„როდის დაბერდები? როდის?“

მარტის მოსაფერებლად

გამომიწვია უჩუმრად მარტმა,
საკინძე შემხსნა და გამიღიმა,
თავი მანება ზამთარზე დარდმა,
გაზაფხულდაო, მზემ გამიცინა.

საქართველოში, როცა გიჟმაჟი
მარტი დაათბობს ჭალებს და მინდვრებს,
ია, ენძელა, ყოჩივარდები
და ფურისულა გადაშლის კვირტებს.

გადაიღეღავს ბუნება გულ-მკერდს,
დღე ეჯიბრება პატარა ღამეს,
უკვე დიდი ვარ, ყური მიგდეო
და მოგიყვები ქალებზე რამეს...

შემოიძარცვა ბუნებამ ქურქი,
თოვლი ენძელებს ეამბორება,
მოგონებებში დარჩა ზამთარი,
თუმცა, წასვლა არ ეადვილება.

მზე, ზღვა და სანაპირო

სიხშირე განაწილდა, რაღაც უთანაბროდ,
სხივებს დაუკარგავთ, თითქოს, სიმეტრია,
ისევ ფეხზე მდგომი, ისევ უღალატოდ,
რიჟრაჟს ელოდება ქუჩის მაგნოლია.

ტალღამ წყლის წვეთები სურნელად აქცია,
ზღვაში ჭრელ-ჭრელ კენჭებს ვუმზერ გაოცებით,
ქვიშას წყლის ბუშტები კაბებად აცვია,
მზე, ზღვა, სანაპირო - სავსე საოცრებით.

ონისე სალდაძე

პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი
დაბადების ადგილი ქუთაისი

მთელი ცხოვრება ვეძებ რაღაცას

მთელი ცხოვრება ვეძებ რაღაცას,
მინდა ცხოვრებამ შობოს ნაყოფი,
მე სიცოცხლეში ვგავარ ავაზაკს,
საიქიოში არ ვარ ნამყოფი.

ჯერ არ ვაპირებ იმ ქვეყნად წასვლას,
მივესალმები მალე გაზაფხულს,
ჩემი მუზები გაივლის სავალს,
მიღწევებს ელის ალბათ არნახულს.

მიიწურება მალე ზამთარი,
გაზაფხულს კვლავაც მივესალმები,
მუზები დამგლეჯს როგორც აფთარი,
და პოეზიას გავებუტები.

მინდა მოგიძღვნათ ია ვარდები,
გაზაფხულდება ძალიან მალე,
ერთხელაც მუზა დაგეკარგები
და მაინც ჩემთვის თენდება ხვალე.

მთელი ცხოვრება ვეძებ რაღაცას,
მინდა ცხოვრებამ შობოს ნაყოფი
მე სიცოცხლეში ვგავარ ავაზაკს
საიქიოში არ ვარ ნამყოფი

რაღაც მინდოდა მეთქვა

მინდა ვიფიქრო შენზე,
თან მესმის გულის ფეთქვა,
წამომაყენეთ ფეხზე,
რაღაც მინდოდა მეთქვა.

ახლა მე ვფიქრობ სხვაზე,
არ მესმის გულის ფეთქვა,
ღვინო დამისხით ჯამზე,
რაღაც მინდოდა მეთქვა.

ახლა ვიფიქრო ვისზე,
შრიალი მესმის ხეთა,
მინდა აღვბეჭდო ფირზე,
რაღაც მინდოდა მეთქვა.

მუზაზე ვფიქრობ ალბათ,
რაღაცა უნდა ეთქვა,
ლექსის დაწერა მტანჯავს,
რაღაც მინდოდა მეთქვა.

ღამის წყვდიადში მზეა,
ახლა მე მინდა შენთან,
დღეს გალას შობის დღეა
რაღაც მინდოდა მეთქვა.

არ დაივიწყოთ ღმერთი!

გაჭირვების დროს გამომესარჩლა,
და მომაწოდა წყალი,
ასე მასწავლა შენც მიეხმარე,
ესაა შენი ვალი!

ალბათ იკითხავთ ვინ მომეხმარა?
ვინ მომაწოდა წყალი?
ჩემი ცოდვებით დამძიმებულმა,
ვერ გავუსწორე თვალი...

უფალი არის ჩემი დამხმარე,
ასე მიმათრევს ბებერს,
ამ ლექსსაც თუ კი დააკვირდებით,
ვერ ვუწოდებდით შედევრს.

მე მოგიწოდებთ უბრალო ლექსით,
ვითომ პოეტი ერთი,
არცერთი წამით! არცერთი წამით!
არ დაივიწყოთ ღმერთი!.

ვინ როდის წავა

ვცხოვრობთ და ასე სიცოცხლე ყვავის
და გვიხარია ცხოვრებით ტკბობა,
მაგრამ მუდმივად არავინ არის,
როცა იქნება სიკვდილი მოვა.

არავინ იცის ვინ წავა როდის,
შენ პირველი თუ ან მე მეორე,
მე მგონი გასწრებ სიკვდილი მოდის,
მე პირველი ვარ შენ კი მეორე.

თუ გაგასწარი ვიცი იტირებ
და განიმტკიცებ შენ ამით რწმენას,
ნეტა ეცოცხლა გულში იფიქრებ
და ავიტანდი სუყველა წყენას.

და თუ გამასწრებ დამტოვებ ეულს,
ამ ჩემს სიყვარულს გრძნობიდან დავცლი,
მე შენს გარდაცვლილ სულსა და სხეულს,
არცერთ ცოცხალში ნაღდად არ გავცვლი

არვის შეხედო ზემოდან

ასე ოცნებავ ახდები,
წისვლა დაიწყე ქვემოდან,
თუ დიდი კაცი გახდები,
არვის შეხედო ზემოდან.

არ შეულახო ღირსება,
ყოველთვის ამას ფიქრობდე,
ყველაზე კარგი თვისება,
თავმდაბლობაა იცოდე.

კაცია ვიცი

თითქმის არ ვიცნობ ამ კაცს,
როგორც ქართველი ეძებს,
გოდაბრელიძეს ავ კაცს,
ვერ უწოდებდით ვერცერთს.

რაჭაში ვსვამდით ერთად,
ძმობის შევფიცეთ ფიცი,
მე არ მიცვნია ღმერთად,
მაგრამ კაცია ვიცი.

დამალულ რითმებს

მე დღეს შევშფოთდი, რატომ?არ ვიცი.
თუმც შიშსა უნდა რომ მომერიოს,
მე პოეზიას ისე განვცდი,
როგორც ხე მიაქვს აგერ ამ რიონს.

მე ახლა ვუსმენ რიონის ღრიალს,
თითქოს ის ჩემში მოდის და გადის,
მთელი ცხოვრება ვაპირებ გრიალს,
გარდავიცვლები ამაღამ ლამის.

რიონი გმინავს გუმათის მთებში,
სიცოცხლით სავსე და ამღვრეული,
დამალულ რითმებს ადუღებს ჩემში,
და ლექსებს დავწერ გადარეული ...

რა ადვილია იყო პოეტი

ვიღაცა მეტყვის,
მაგრად წერ ლექსებს!
ვიღაცა იტყვის ნუ, რა პოეტი!?
გაგიადვილებთ გასწავლით წესებს,
ასე იქმნება თურმე სონეტი.

თავი დახარეთ მგოსნის წინაშე!
გვეყოთ პოეტებს რაც გაგიტარეთ,
ახლა პოეტის დგება სინათლე,
ცოტა გვლანძღეთ და ცოტა გვინატრეთ.

ისე დამყვები როგორც თანამგზავრს,
ბახუსის ღმერთოვ შენ დიონისე,
ისე დაგიწერ ლექსებს ლამაზად,
და განცვიფრდები თვითონ ონისე.

ასე იქმნება თურმე სონეტი,
რა ადვილია იყო პოეტი.

მუზა რომ მოდის

მუზა რომ მოდის მაშინ ხარ მთვრალი,
სანუგეშოა ამ დროს სიმთვრალე,
ვინმეს გონია ჭკუას რევს ქალი,
ჩემი აზრები მაშინ მივმალე.

მე ჭკუას მირევს ახლა რიონი,
ყოველ საღამოს უცქერ დინებას
გაგიჟებული გალაკტიონი...
მე დამიპირებს აქ შეგინებას...

ზოგისთვის მე ვარ უბრალო ბიჭი,
ზოგი მიწოდებს ალბათ ფენომენს,
ხომ ხედავთ თურმე მქონია ნიჭი,
ლოყაში მირტყამთ, გიშვერთ მეორეს.

„ოდეს გულს სევდა შემოაწვება"

„ოდეს გულს სევდა შემოაწვება",
ვფიქრობ ტყუილი მართალს აწვება.

„ოდეს გულს სევდა შემოაწვება",
ძმაკაცებია, გული არ მწყდება.

„ოდეს გულს სევდა შემოაწვება",
სატრფო გინდა და სხვაგან დაწვება.

„ოდეს გულს სევდა შემოაწვება",
ჯერ გაგრლანძღავს და მერე თან გყვება.

„ოდეს გულს სევდა შემოაწვება",
ცხოველებშიც კი არის თანწყობა.

თუ ცხოველებში არის თანწყობა
ადამიანო რა გემართება?.

* * *

მეგობრობა რომ ძალიან გინდა
და შენი სული ამისთვის სუნთქავს,
უარს რომ გეტყვიან ასეთ გრძნობაზე,
შენ რწმენითა თქვი დიდება უფალს.

ჯერ რომ სიტყვებით გულში დაგჭრიან
და მერე იტყვის, თურმე არ უთქვამს,
შენ აპატიე, თან მიუტევე
და რწმენითა თქვი დიდება უფალს.

ლოცვა მასწავლე ეტყვი ვედრებით,
ადგომა უჭირს, წააგავს მუქთას,
ტაძარში ხატებს კოცნის ფერებით
და გაიძახის დიდება უფალს.

აქ მეგობრობას ხუთ წუთში შლიან,
მე მიგამსგავსეთ რატომღაც გულქვას,
ერთგულებისთვის იცლიან გვიან,
რას მოვესწარი, დიდება უფალს.

ასეთი ქცევა„ ასეთი ქცევა,
ყოველთვის სულში რაღაცას თუთქავს,
მე მაინც ვიტყვი როგორც ყოველთვის,
მუდამ დიდება ჩვენ მფარველ უფალს.

* * *

ასე ვიძახი ძლიერ მიყვარსო,
გულში დამინთო გრძნობის გრიგალი,
შენ რომ გიყვარვარ ჩემო ძვირფასო,
მე ამითი ვარ მარტო მდიდარი!.

* * *

ვერ შეგასმინე სინათლე არ ჩანს,
ყველა გიყვარდეს უგნურის გარდა,
პირველ სიყვარულს თავისი დრო აქვს,
უკანასკნელს კი არაა აქვს ვადა.

დაუნახავი კაცი

ბრმა კაცი როცა დადის,
მას ეხმარება ჯოხი,
მთელი ცხოვრება გადის...
თუნდაც ეს იყოს ხოხვით.

მერე უფალი ინდობს,
სინათლეს მისცემს თვალში,
ბრმა უკვე აღარ ინდობს,
ჯოხს გვერდით მდგომელს მხარში,
ასეთ მეგობარს ხელს კრავს,
და გაადაგდებს წყალში.

ჯოხი მას ედგა მყარად,
ბრმა იყო როგორც ყვინჩილა.
ვინც გვერდით ედგა მარად,
პირველი ის მოიცილა.

ეს ჩემი ლექსი მათეთრებს,
შეფასება მაქვს მკაცრი,
ყოველთვის ასე აკეთებს,
დაუნახავი კაცი.

* * *

უნდა დავიპყრო კავკასიონი
მე შენთვის მინდა ყველა სონეტი
ქვეყნად ერთია გალაკტიონი
ისე ერთი ვარ შენი პოეტი

არ მეღირსები ასე მგონია
არც არასოდეს ვიქნები შენი
თუმც არაუშავს გამიგონია
არც გალაქტიონს ეღირსა მერი

ოდესღაც ფიროსმანს შიმშილი კლავდა

ოდესღაც ფიროსმანს შიმშილი კლავდა და
დღეს კი მის ნახატში მილიონს იხდიან,
ასეა ცხოვრება ცუდად და კარგადაც,
უყურეთ დღეები რა სწრაფად მიდიან.

ცოცხალი რომ იყო უღირდათ არაფრად,
მოკვდა და უეცრად აღმოჩნდა გენია,
ბოდიში მოგითხრობთ რაღაცას ქარაგმად,
მკვდარიც და ცოცხალიც ორივე ჩვენია.

ასეა ვწერ და დავიწყებ თავიდან,
ამბობენ მაგისთვის ზედმეტი ბარგია,
ამ წუთში ეს ლექსი არ უღირთ კაპიკად,
როცა მოვკვდები იტყვიან კარგია.

მე მაინც უნდა ვწერო ლექსები,
თუმც ოვაციებს დიდად არ ველი,
ამ ლექსში მილიონს არავინ გადიხდის,
სამაგიეროდ მრჩება სახელი.

მუზაა ჩემთვის ძმა და ძმისშვილი,
დღეები ისევ მიქრის და მიდიან,
ოდესღაც ფიროსმანს კლავდა შიმშილი,
დღეს მის ნახატში მილიონს იხდიან

* * *

ისე მომინდა დალევა,
ხარს რომ წყურია შრომაში,
დალევას მოსდევს არევა,
ჩხუბი არ ვარგა ძმობაში.

უცნობს მოვთხოვე სასმელი,
მე მოვიქეცი ლოთივით,
აბა შენა ხარ ქართველი,
სახე მივიღე ბოთლივით.

ეს ჩემი მუზის სიმბოლო,
ღვინო დამბრიდავს რითმებში,
ხანდახან მიჭირს თვის ბოლო,
ფული რომ არ მაქვს ჯიბეში.

მან მომაწოდა არაყი,
მასაც ლექსები სწყურია,
ღარიბი, მაგრამ ამაყი,
კეთილი როგორც მურია.

გრძნობა მოსულა სასმელში,
ფხიზლად ყოფნა ხომ მტრობაა,
ამ კაცს ვეცნობი სარბევში,
ეს გრძნობა ძმაკაცობაა.

* * *

იდიდკაცე და გული არ გაიმრუდო!!!,
იცოდე ამ სიტყვებს ესმერალდა უგდებს ყურს,
გულს ნუ გაიტეხ დიდო კაცო კვაზიმუდო,
უშნო სხეული ბევრად სჯობს მახინჯ სულს!!!...

* * *

მე მინდა რომ ერთხელ,
მაინც გითხრა რამე,
თუ გაწუხებს, ფერთხე,
მოგიტევებ ხვალე.

მე მინდა რომ გითხრა,
არ ვარგიხარ კაცად,
ეს სიტყვები მითხრა,
დაკოდილმა ვაცმა.

მე მინდა რომ გითხრა,
კაცის ქონდეს ღირსება!
შენ კიარა ოკეანემ,
ზღვამაც იცის მიქცევა.

მე მინდა რომ გისურვო,
ყველა ზემოთ ნათქვამი,
ისე წავა ცხოვრება,
არ დაგინდობს ზამთარი...

მე მინდა რომ გაგანდო,
საიდუმლო უფლისა,
თუმცა თვითონ არ ვიცი,
არ ვიცი და მეღირსა...

მე მინდა რომ გიყვარდეთ,
ნუ მტრობთ ხალხო ერთმანეთს!!!
გიყვარდეთ და გიყვარდეთ!!!
აქ დავაფრთხობთ ეშმაკებს.

მე მინდა, რომ მემინდა,
ღმერთმა იცის რა მინდა,
და ამდენი ნაგავი,
დედამიწას არ უნდა.

მე ის ვიცი რაც მინდა,
ყველას მინდა გეფეროთ,
და შემეშვით რა გინდათ?!
ღირსი არ ვარ მეფეროდ...

ცოდვილი ვარ, მაცადეთ,
ვნანობ, ხელს ნუ შემიშლით,
ტყუილად ნუ განმიკითხავთ,
უფალს ხელს ნუ შეუშლით.

მკრეხელობა დიდია,
გამკითხველნი ცოტანი,
ხიდი ჩატეხილია,
აქ სად არის მორალი???

ცოტა ჟარგონს მიმართავ,
აქვე რითმა ტიტველი,
ვისაც სიმართლე არ მოგწონთ,
გამგონო მგონი მიხვდები.
..
ერთხელ როდესაც დავიწყე წერა...
უფალს უნდოდა ალბათ მეწერა..

გიორგი ზუბიტაშვილი ფილოლოგი
საცხოვრებელ ადგილი ყვარელი შილდა

* * *

სათიბში ვდგავარ... ოცნებებს ვთიბავ,
როგორც ყვავილებს თიბავს ნამგალი...
ის აღარა ვარ, რაც ადრე ვიყავ -
ვერ მოიწია ჩემი სამკალი.
დამჭკნარ ოცნებებს - ოქროსფერ თივას,
გროშად წაიღებს ხვალ-ზეგ ვაჭარი...
ე, მან რა იცის, რა ტვირთი მიაქვს,
დღეს ძმრად ქცეული, ოდეს - მაჭარი.
მაინც ამ სოფლის სიამე მჯერა,
სიავის უკვე ვთელე გზა-ხიდი,
არ გამიმართლებს ჩემი დღე-წერა? -
მაშ, საწუთროსაც გროშად გავყიდი.
სევდანარევი ჩანამღერი
შებინდდა, თეთრი ამოდის მთვარე
და თვალთა ირგვლივ მწიფდება ბნელი,
ეე, ვის რა ელის, რა ვიცით, ხვალე,
ან ვის რა დაგვრჩა გადასასვლელი...

აწ, გავლილ გზებზე ყვავის ასკილი,
მან შავი კაბა არ იუარა...
არ არის თურმე ყოფა ადვილი,
არ არის, არა, გინდა თუ არა!
და მოლოდინი ხვალინდელ დღეთა,
ყოფილა ბეწო-წუთისოფელი,
სილამაზესთან და სიმწარესთან,
ოდითგან ესე განუყოფელი!
ნეტავი ხვალე - გზა მომავლისა,
იყოს ფენილი მწირი იებით,
სხვას არც რას ვანატრობ,
სხვა არც რა მინდა,
არ მიცხოვრია ვერცხლის ძიებით!..
შებინდდა, თეთრი ამოდის მთვარე
და თვალთა ირგვლივ მწიფდება ბნელი...
თუ გინდა მწარე ცრემლები ღვარე,
მაინც საწუთრო ყოფილა ძნელი!

* * *

ეს ორი დღეა კაეშანს ვებრძვი,
ეს ორი დღეა ჩავრაზე კარი,
ახლა პოეტი ბობოქრობს ჩემში,
ვით საზედაშე ქვევრში მაჭარი.

თუმცა სახეზე ღიმილს არ ვიქრობ,
რომ არ გავტეხო მოლაღის ფიცი...
უფალო, აბა, მეტი რა გითხრა,
სხვა დანარჩენი თავადაც იცი.

* * *

რა გულმა უნდა გაუძლოს
დარდს წინას, იმისწინასა...
ეს მიწისხელა ტკივილი,
კბილებით დაღრღნის რკინასა!
კლდეს დაღვრის ცხარე ცვარ-ცრემლად,
თუნდ ჯარი შეარკინასა,
ძაძას ჩააცმევს ანგელოზთ,
თავზე დააქცევს ბინასა.
შენ კი მომიკვდი, მთა-ბარო,
გულზე გაყრიდე ღვიასა...
რა გენაღვლება, აპრილში
აიბიბინებ იასა.
განა ლამაზი იქნები,
თავს რომ მიანდობ სიოსა?! -
ცოდვიან ფარაჯის ჩაცმა
ღმერთმა არ გაპატიოსა!
აწ, საქართველომ ეს მწუხრიც
დაღად უნდ დაიკიდოსა...
რა გულმა უნდა გაუძლოს,
რა ცრემლმა უნდა ზიდოსა?!

მცირე მანიფესტი

მაინც ლექსებით უნდა ვიუბნო,
ვით ამბავს ყვება სიო მავალი,
ლექსია ჩემი მწირი საუფლო -
ჩემი წარსული და მომავალი!
რაც უკან დარჩა და რაც წინ მელის,
ის სტრიქონ-სტრიქონ უნდა ავაგო
და სულის მწველი ამოძახილი,
ლექსებად უნდა ვილაპარაკო!
თუნდ არა ღირდეს ჩალად და გროშად,
მე რომ მგონია ბადახშად, ოქროდ,
მაშ, ჩამითვალეთ პოეტურ ხოშად,
ლექსით სიცოცხლე მაცალეთ ოღონდ!
ხოლო სიცოცხლე თუ ლექსს თან ახლავს,
როგორც კაცის გზას ტყვია მრავალი...
ნუ გამიწყრებით, ლექსია, რადგან
ჩემი წარსული და მომავალი!

* * *

გზას მივდევ ყვავილმოქარგულს,
წინ უდაბური მთებია...
ვგრძნობ საქართველოს სიყვარულს
გულში ცეცხლად რომ მთებია.
გაღმა - ქვითკირის სოფლები,
გამოღმა - მინდორ-ველია.
ჩამოღელავენ ხევები,
ღვარა-ნისლების ფერია.
ცაზე არწივი ნავარდობს,
ცად ძველი მონასტერია
და იმ მონასტრის კედლებზე
ჩვენი წარსული წერია.
ჩემი სამშობლო ის არის -
ჩემი ძირი და კერია,
სადაც ქართულად გალობენ,
სადაც ქართულად მღერიან!
ცეცხლივით ღვივის ასკილი,
თითქოს სანთლები დნებიან
და უფალს საქართველოის
დიდებას ევედრებიან!

* * *

სათიბიგორზე დაიწვა ღამე,
დათოვლილ მთებში ნისლია შავი...
სხვათა ბილიკზე სული ვაწამე
და ჩემს ბილიკებს წავართვი თავი!
სხვათა ბილიკზე ვიბრძოლე მრავლად,
არ დამიზოგავს ღონე და ძალი,
ჩემი კერია ვაქციე ნავლად, -
დაქვრივებული ვით პატარძალი!
არა! დღეიდან მივხედავ მიწას,
მოსწყინდა მამულს დედაჭინჭარი,
ვილოცებ იმ ღმერთს, პაპა რომ ფიცავს,
მეც რომ ერთი მყავს დასაფიცარი!
ქვას ქვაზე დავდებ, ავაგებ ნიშას,
როგორც წინაპრებს უგიათ გრემი,
არ დავხარბდები სამშობლოს სხვისას,
ერთი მტკაველიც მეყოფა ჩემი!

* * *

სამხრეთის მთებზე ცა ცეცხლისფერი,
ფერდზე გაშლილი მუხნარი მკაცრად,
გაღმა - სახნისით ხნული ხნულები,
გამოღმა - წლები ქცეულნი ნაცრად!
ნისლში ჩაფლული მთები ყადორის,
აკაციების სურნელი ბარად,
მეხის ტეხილი თეთრ მთათა შორის,
ოცნების კოშკის დაქცევის დარად!
კლდეზე დაღვრილი ვერცხლის ნაჟური,
სიო ქცეული უგვანო ქარად,
წიფლისჩიტების გარიჟრაჟური, -
ჩემი წუხილის ზიარის ზვარად!
წყაროს საკრეფად წასული ქალი,
აღარ მოსული მზისაებს დარად...
ეგეთი ყოფა, ვითაარ ვალი,
აკვნიდან მიმაქვს შავეთის კარად!
საგაზაფხულო ჩანაწერი
წყალგაღმა იას უბრალო ეშხი
ცეცხლის ალივით სწვავს და ედება...
იგი იმ სათნო დედოფალს მოჰგავს
სხვის საკუთვნოდ რომ არ გემეტება!
არ გემეტება შეირყვნას იგი -
გაქრეს იმისი უღვთო მშვენება,
დაჭკნეს, უმწეო, როგორც ბალახი,
ანდა - მხევალთა მშვენიერება!

* * *

- აბა, ცხოვრების სიზმარო,
შენი დალანდვა რა იყო?!
მხოლოდ მზე ამომავალი,
ჩამავალმა რო წაიღო?!
თუ გაზაფხულის მშვენება,
წყალგაღმა მაყვლის ყვავილი,
აბორგებული მდინარე,
ტყეში ხარ-ირმის ბღავილი?!
ზამთრისპირულის ზეობა,
ჭალას გუგულის ყვირილი,
თუ სევდიანი ქალის ხმა -
მისი დაგვა და ტირილი?!
იმ ქალზედ თვალის დადგომა -
სიცოცხლისფერი სიკვდილი...
თუ თეთრი მთების ჩრდილის ქვეშ
სამშობლო ღონემიხდილი?!
მრავალი ავ-კარგის ნახვა,
მრავალთან ბრძოლა-ჭიდილი,
სატაბლე პურის დათესვა,
ცოდვის და მადლის ზიდილი?!
აბა, ცხოვრების სიზმარო,
შენი დალანდვა რა იყო?!
- მხოლოდ მზე ამომავალი
ჩამავალმა რო წაიღო!..

* * *

მოდის წყარო ბროლისფერი,
სათუნგე და სადალალე,
მაგრამ, ქალო, ამ მხარიდან,
თურმე ნისლებრ აიყარე!
ვინ აავსებს ახლა კოკას,
ან ვინ დაკრეფს ყვავილს ამდენს...
ვინ მომიტანს თიხის დოქით
ალერსს ცრემლებჩამონადენს?!
ვის დაუთმე ვერცხლის ღილი,
ან ასკილი ჰყვავის რისად?!...
თუ შენ არ ხარ, დე, აპრილი
იქცეს არცა რაის ღირსად!
მაგრამ მაინც მოდის წყარო,
ჩემი სულიც მას ეკვეთა
და იმ წყაროსა ჰგონია,
რომ ერთხელაც მოხვალ ჩვენთან!

* * *

ე, აგერ უკვე ჩაიარა წყალმა მრავალმა,
მით გამახსენა გაზაფხულმა შენი სახელი...
ჩვენ დროთა სვლაში ერთმანეთი შემოგვემალა
და ყველაფერში ვაზიარეთ აღარაფერი!
ჩვენი ბილიკი შენ გაცვალე სხვათა შარა-გზით,
მეც სხვათა ეშხმა დამატყვევა მწუხარნაგემი,
მაგრამ მე მაინც გულისჯიბით დამაქვს, გოგოო,
შენი ღიმილი, შენი მზერა, შენი სახელი!
მარისხებს ახლა კესანეთა დამჭკნარი ველი,
მათი ჩაკონვა შენს დალალში რომ მსურდა ძლიერ,
ალბათ სხვის ნაკრეფ ყვავილებმა თუ დაგიმონა,
ჩემს ხელში ჩამჭკნარ კესანეთა კონის მაგიერ!
და აგერ უკვე ჩაიარა წყალმა მრავალმა,
გასრულდა ჩემი ოცნებების ჰანგი-ჩარგული,
როგორც სიჩუმით ნაამბობი ძველი სიმღერა,
მივიწყებული და უნდობლად გადაკარგული!
მცირე პეიზაჟი
ცრემლისფერ ნისლებს წაიღებს ქარი,
მთის მკერდზე არვე მოსწყდება მზერას
და ტყეში გაშლილ ირმების ბრავილს,
მიემგვანება მწუხრის სიმღერა...
შეყვითლდებიან ბებერი ხენი:
წაბლი, წიფელი, მურყანი, თელა,
შეიმწუხრება ბილიკი ჩემი,
თითქოს ამ ვრცელი სამყაროს-ხელა!
და ზამთრისპირზე ვაჟაის ლექსით
სხვა მზესა ვნახავ, როგორც მინდია,
ხან გულმოსული ჩემ თავს შევყმუვლებ:
წურისოფელი შავი ბინდია!
და როცა მთებზე თოვლისფრად მოთოვს,
როცა მზე მნახავს გზად ღონემიხდილს,
ვით ხევი წარკვეთს ოქროსფერ ფოთოლს,
მინდა მეც ისე დავზავდე სიკვდილს.
გამოვეთხოვო ცრემლისფერ ნისლებს,
გაწითლებულ მზით მინავლულ მზერას,

ოქტომბერს ტყეში ირმების ბღავილს
და ჩემგან უთქმელ მწუხრის სიმღერას!
თეთრო თოლია
ხომ მაინც გქონდა ჩემდამი რიდი,
თუ სიყვარული არა გქონია...
მადლობა უფალს, რომ შემოფრინდი
ჩემ ცხოვრებაში, თეთრო თოლია!
ხომ მაინც მწერდი ფერად წერილებს,
თუ სიყვარული არა გქონია,
შავი ცა ლექსად გამიწერილე,
ესეც მეყოფა, თეთრო თოლია!
ხომ მაინც გქონდა ჩემდამი ხათრი,
თუ სიყვარული არა გქონია,
ჩემ ლექსზე ერთხელ ხომ მაინც გათრთი,
ესეც მეყოფა, თეთრო თოლია!
ხომ მაინც გქონდა ჩემდამი ლტოლვა,
თუ სიყვარული არა გქონია,
ერთხელ ჩემმა ხმამ ხომ დაგათოვა,
ესეც შვებაა, თეთრო თოლია!
ხომ მაინც გქონდა ჩემდამი ფიქრი,
თუ სიყვარული არა გქონია...
ახლა ქარივით სხვა მხარეს მიქრი,
მშვიდობით მყავდი, ჩემო თოლია!
შილდა
ჩემი შილდა...
ყვავილობენ შინდები,
მთებზე წუხელ
თეთრად დაუთოვია,
ჩემო მთებო,
თქვენ გაზაფხულს მპირდებით,
გენაცვალეთ, განა ვის უთხოვია.
ეჰე!
სად ხართ,
მშობლიურო ნისლებო?!
იქნებ ქარმა
დაღესტანში გაგრეკათ,
ისევ მიხმობთ,
გზებო გადავლილებო?!
თქვენს სიყვარულს
რომ ვღაღადებ აგრე რად.
ჩემი შილდა...
იკვირტება ვენახი,
დრო მოვა და
იყვავილებს ყაყაჩო...
შილდის ციხევ,
შენი შვილი გეძახი,
მითხარ, მითხარ
რაზე გელაპარაკო.
სასიმღერო
აღარ ისმის ჰანგები,
ჰე, ბიჭებო,
აამღერეთ ჩონგური,
რომ შეტოკდეც
ჟამი ჭირით ნაგები,
რომ დაინგრეს
ყველა სამტყო ქონგური!
ჩემი შილდა...
ყვავილობენ შინდები,
მთბეზე წუხელ
თეთრად დაუთოვია,
ჩემო მთებო,
თქვენ გაზაფხულს მპირდებით,
გენაცვალეთ, განა ვის უთხოვია?!
ნეტავ ეს წვიმა ცრემლია ვისი...
ნეტავ ეს წვიმა ცრემლია ვისი,
ჩემს ფანჯარაზე რომ დაიღვარა?!
წმინდაა იგი თუ საძრახისი?!
ვკითხულობ, მაგრამ პასუხი არა!
კარში კი ჭკნება იასამანი
და მწყდება გული, თითქოს პირველად,
ვდუმვარ, როგორც დუმს ქვეყნად მრავალი,
ვდუმვარ უმიზნოდ და საკვირველად.
მიპყრობს რაღაცა გუმანი უცხო:
(ვითა გვირილებს ქარის შრიალი,)

ვის რა ვუამბო, ვის რა მოვუთხრო,
ვის თვალთა ვაქრო სხივთა ბრიალი.
რომ იგი წვიმა ვიცნო ვისია,
სარკმელს ცრემლებად რომ დაეღვარა,
ალალია თუ საძრახისია...
მიპყრობს რაღაცა უცხო გუმანი.
ჩარგალს რო ვიყავ
ჩარგალს რო ვიყავ წლების წინ,
ვაჟას ვესტუმრე ბინადა,
მგოსანი შინ არ დამიხვდა,
თავი ვიგრძენი წბილადა.
უმასპინძელოდ შევბედე,
ქვის სახლში ვიყავ სტუმრადა,
კედელზე ეკრა ფანდური,
სიმებდახსნილი ჩუმადა.
ვინატრე: ნეტავ ჩემ იყოს,
ავამღერებდი ტკბილადა...
რას ვიფიქრებდი მაშინა,
მე ლექსი თუ გამწირავდა.
არა, არ ღირდა ჩემობა,
რისთვის ინატრე, ჭკვათხელო,
ვაჟა-ფშაველას ფანდური,
სხვამ როგორ უნდა ამღერო?!
მაგრამ რა ვუყო ჩემ კალამს,
რა ვქნა, რო სვე-ბედს წერსაო,
ხსენება ვაჟა-ფშაველას,
დიდება - მაღალ ღმერთსაო!
სურათი
წყალზე ხიდად მუხის მორი...
ირგვლივ მწუხრის ნისლებია
და ქარების ქირქილს მოაქვს
გულსატკენი ჩემთვის ჭორი.
რითღა უნდა გამაკვირვონ,
რით დანაცრონ განა გული? -
არ იციან, არ იციან
რა ცეცხლში ვარ დადაგული...
სერზე ეკალ-ნარებია,
ფიქრითა ვჭამ ლაგამ-სახრეს,
ვინც იცალა, არ დამზოგეს,
სულშიც ბნელი დამისახლეს.
აწ, გადავყე ალალ ყოფას,
ცელს ვაბრუნებ, ვითა წუხილს,
როგორც პაპა შენატროდა,
აწ მე ვნატრობ წვიმა-ქუხილს.
გზები არის ახლა შორი,
მხრებზე მაწევს სევდის გუდა...
უხაროდეს წუთისოფელს:
ჯავრმა ჩემშიც დაიბუდა.
მაინც უფლის მადლითა ვარ,
იმის რიდით ვჭედე ჯვარი
და ნაგესლარ მკერდზე მაწევს,
იგი ჩემი სანუკვარი.

* * *

თალხიან წვიმებმა შემრყვნეს და შემლახეს,
უმზეო დღეები გავლიე მრავალი,
დავდევდი ბილიკებს, მინდვრებს და ვენახებს,
ვით გუთნისდედა და არცარად მავალი!

ხვალე კი გაზაფხულს ჩაიცმევს მთა-ბარი,
მოივლის ნიავი დუნიას ქროლვითა,
ჩემთან კი რარიგად ითოვლებს ზამთარი,
ითოვლებს ზამთარი იისფერ თოვლითა.

რამაზ ჩხიკვაძე მშენებელი ინჟინერი

დაბადების ადგილი თერჯოლა
1972 წლის 27 ოქტომბერი

ოქტომბერი

ქარი ხეებს უღვთოდ ძარცვავს
ტოტს ფოთლები გასცვენია,
სილას ისე შემოაწნავს
თითქოს რამე აწყენია...

შორი გზიდან მოაქვს ჰანგებს
სირინოზის ხმები მჟღერი,
ბანსაც ტკბილად უსადაგებს
ნარინჯისფრად ოქტომბერი.

დაეფინა ოქრო მიწას
ფერი ფერში გაურია,
თითქოს მკვდარი გააღვიძა
აქ ისეთი ხმაურია...

მონაცვალობს ავდრის თქეში
სუსხიც სითბოს ირევს განა,
გაემგზავრა ამ თბილ თვეში
ქარი ზამთრის მოსაყვანად...

უალერსებს მზერა ბაღებს
ხეხილი რომ მწიფს და ხვნეშის,
სათიბებს და იალაღებს
მზე ეტრფობა ოქტომბერში.

ემიგრანტი

შენ დაიკარგე უცხო მხარეში
მაგრამ რას იზამ ვერაფერს შეცვლი,
ამ უსამართლო მდინარებაში
ალბათ გახდები სხვა ტომის თესლი...

თანდათან გაქრა ქართული სიტყვა
და სიყვარულიც ჩაკვდა იმდენი,
რომ აღარ გჯერა ერთმანეთს მიყვა,
ზრუნვა მოყვასის გუშინწინდელი...

და რაღა დარჩა, სულით შეცვლილი,
როცა გონება ფიქრებს აწყდება,
სასოწარკვეთით სახეშეშლილი
მხოლოდ ცრემლებს თუ გადააწყდება.

რა იყო ადრე და რა მიიღე
ან რა დაკარგე თუ გეთავისა,
სხვისიც ბოლომდე ვერ გადაიღე
და აღარც შენი გჯერა თავისა.

წავიდა გაქრა, ვეღარც ბრუნდები
ვერც წასვლით ხარობ, გულიც გეწვება,
და აბორგებულ დედაბუნებით,
სამშობლო გიხმობს და გეხვეწება....

თვალებ ანთებულ და გაფითრებით

თვალებანთებულ და გაფითრებით,
მისტიურ ხილვით, ისე მაოცებ,
გიყურებ გეტრფი და გაკვირდები
და მიჭირს სიტყვით, როგორ გადმოვცე...

მკლავს შორეული, აზრი და განცდა,
ფიქრები კვეთენ,ცისფერ ლაჟვარდებს,
მწამს იმ გრძნობების,ზღვარს რომ გადასცდა
შენთან ერთად რომ გაინავარდებს....

მოვეჭიდები ნატვრის ახდენას
რომ ეს ცხოვრება, წყვილად გავლიოთ,
თუ შენი გულიც დამეთანხმება
გეტყვი რად ვხვდები ფხიზლად ალიონს.

გააფერადე შავ თეთრი სივრცე
და ფიანდაზად ტოვებ ნაკვალევს,
რაც თბილი გულით, სიცოცხლეს მივსებ
ეს გულგრილობაც აღარ მაწვალებს...

ზმანების ზღვარზე

თვალებს ვიფშვნიტავ, მეძინა თითქმის,
სარკმელში ნათლის გაკრთა ჭიოტი,
ძლივს გავათენე, ადვილად ითქმის,
ვგონებ მიწვევდენ საიქიოში...

ვინაპირებდი ზმანებებს აშლილს,
გონი სიცხადეს ვეღარ ჩვეულობს,
არც ძილია და სიფხიზლე წაშლილ
ვუყვები განცდილს, საგვარეულოს...

ფიქრი მტანჯავდა მტრისა თუ მოძმის,
იმდენად ლამის,სიზმრად ვიქეცი,
ვერ შეველიე ძილქუშთან ქორწილს
და ზმანებიდან გამოვიქეცი.

მაინც სიცხადე მიჯობს რომ მწამდეს,
საღათას ძილის მაცდურ ფერებას,
მიყვარდეს, მძულდეს, მიწიდან ცამდე,
ალბათ ეს უფრო შემეფერება....

თუ ასეთია

დილას ადრიანს ცვარი რომ წევს ვარდის ფურცლებში
და სურნელს აფრქვევს გვირგვინების ჩუმი ოცნება,
როგორც ყმაწვილი შეტოკდება, დედის მუცელში
ისე მახარებს, თვით ვარდებიც დამემოწმება....

ახლოს ნაკადულს ემღერება ჩუმი სისინით
სტვენაც რომ ისმის ფრინველების, სადღაც გაღმიდან,
დილის რიჟრაჟზე სიხარულით მზეც კი იცინის
თუკი სამოთხეც ასეთია, მეტი არ მინდა...

თვალები გენთება

დროდადრო თვალები გენთება
პეპლებიც გივლიან ხანდახან,
და იმდენს მგონია ვერ ხვდები
ერთ ადგილს ტკეპნი და მანდახარ...

თვალები მესხმიან შეისვრით
და მიჭირს მეც როგორ გახელა,
ჭინკები მხრებზე რომ შეისვი
ვერ ხვდები გული გაქვს რამხელა.

საოცრად თეთრი და ფითქინა
სახით და ქათქათა ლავიწით,
ამ გულმა იმდენხანს მითმინა
შენს ციურ მზერაში დავიწვი.

ჩემს ფიქრებს გულდაგულ გაგანდობ,
ვერ აღწერს მას ზოგჯერ სიტყვები,
ანცობ და ბავშვივით ქარაგმობ,
შენ კიდევ შენს ამბებს მიყვები .....

შენ იტყვი ალბათ

შენ იტყვი ალბათ, რომ გავა წლები,
ვუყვარდი, ვწამდი, ფიქრებზე მეტად,
დაჭკნება სახე და შეიცვლები
სიბერეც მოვა, სიკვდილთან ერთად...

გაგრიყავს სევდა სიგიჟის მიღმა
ცრემლებს შეგიშრობს გულქვა იერი,
რომ დიდ სიყვარულს დათანხმდი კიღმა
მაგრამ არ გეყო თვალსაწიერი.

სად გაქრა ნეტა ის სილამაზე
შენზე რომ წერდნენ ლექსებს მგოსნები,
გეტრფოდნენ როგორც,ციხე დარბაზებს,
ეს უგვირგვინო გვირგვინოსნები..

ჰო იტყვი ალბათ, რომ გავა წლები
და მარტოობაც გაგინაპირებს,
ერთდროს მაგ წარმტაც ლამაზ ღაწვებზე
წარსული ცრემლებს ჩამოგატირებს....

სიცხდება

სიცხდება, ჰაერი არ იძვრის
თუ რაღაც, კაცი მსგავსს აიტანს...
მაგრამ ფიქრს, შენზედ და ყოველდღე
ვებრძვი ვით, შეჩენილ შაითანს....

მომისწრებს წვიმების სეზონი,
მანამდე ამ გულმა გამიძლოს,
დახეთქილ გვალვიან მიწაში,
იმედის თესლი რომ ჩაიდოს....

მომწყურდა მაღალი ჩანჩქერი,
ან იქნებ მაგ თმები დაგეწნა,
გაბუტულს ფიცხსა და თავნებას,
სახეში მოქნევით გაგეწნა..

მოდის დღის ხვატი და სამუმი,
მირაჟი, შანთი და დადაღვა,
ნატვრით და იმედის სურვილით,
გავყურებ ჰორიზონტს გადაღმა....

აისი

ცის კიდეს თითქოს ფუნჯი გაესვა,
ახალ სიცოცხლის სულისკვეთებით,
სამყაროს ჩუმი სუნთქვა ჩაესმა,
მზის კაბადონზე შემოფეთებით.

მეწამულს სისხლი შემოერია,
გამოიკვეთა ცაზე ელიფსი,
მზის ამოსვლა ხომ მშვენიერია,
თითქოს ბალღივით მხრებზე შევისვი.

გარიჟრაჟია, ნისლის შებურვით,
მზეს თან ასხმია როგორც სამოსი,
და მისტიურად თავისებური,
სხივებს მოჰყვება როგორც ანონსი...

დანებივრობენ ღამის ფთილები,
სანამ მზის ურდოს შეეჯახება,
და იცის ღამემ გამოცდილებით,
მასთან ჭიდილში ვერას გახდება.

პირველ სხივების ანცი ჯახანი,
მთების კალთებმა უკვე იწვნიეს,
და როგორც სატრფო სიცილ ხარხარით,
მკლავებზე ვნებით გადაიწვინეს...

მთვარემ დახუჭა დღისით თვალები,
მზის ელვარების ცეცხლში ჩაინთქა,
და ღამე თეთრად განატარები,
აღარც ახსოვდა შემდეგ რა იქნა....

ბლის კუნწულა

ბლის კუნწულა მეწამულად,
მწიფს და როგორ შელანძულა,
ერთი ხელის გაწვდენაზე,
უფრო ახლოს მინახულა.

ისე ტურფად გადმომხედა,
იოლად ვერ დავიჭირე,
ფოთლის შრიალს აყოლილი,
სისხლის ფერად ავატირე.

სიმწიფისგან მადნებოდა,
თითებს როგორ დავაჭერდი,
მარცვალ მარცვალ თითო თითოს,
გულის სითბოს ვანიჭებდი...

კუნწულები ორი სამი,
ცალკე აცმად დავალაგე,
მათი ანცი სილამაზით,
დავიწვი და დავიდაგე.

ტოტზე ფოთოლს,ფოთოლს ყუნწში,
ბლის აკიდოს ვარჩევ განა,
მათი ცქერით უფრო ვტკბები,
სიხარულმა ამიტანა.

ბლის კუნწულა შეფარულად,
ანცად შევათვალმაჩინე,
მადლობთ ღმერთო რომანტიკის,
სავსე გრძნობით გამაჩინე.

ბროწეული- სალაღობო

შებრაწულა ბროწეული,
მეწამული ღაწვებით,
მისგან ისე მოვიხიბლე,
მის ჩრდილისქვეშ დავწვები.

რას ყვავილობს ამისთანას,
ნაპერწკლების ცეცხლია,
ჩავეხუტოო,? პატარაა,
ნეტა გაზრდა მეცლია.

ალბათ მალე დამრგვალდება
გაგორდება ბურთივით,
ჩემი გულის ხელაა და
ჩარაზული ყუთივით....

ცოტა თუ დააგვიანდა
ღიმილებად სკდებიან,
განწყობა კი ისეთი აქვს
მართლაც გადამდებია.

მარცვალ-მარცვალ ლალის მძივებს
მომჟავო აქვს ვნებები,
მე კი მის ამ ღვთიურ ნექტარს
კრძალვით შევეგებები.

შებრაწულა მეწამულად,
გულსაც მისით ვიოხებ,
რას ვიზამდი მირთმევამდე,
ჩუმად ამოვიოხრე.

ასეა

მე ვარ იქ ალბათ, სადაც უნდა ვიყო ამჯერად,
გულს სტიქიები, როგორც მუხას შემოხვევია,
და განსაცდელი ჩემდა წილად თუ დამაჯერა
რასაც უფალი ჩემზე უშვებს, ...არაფერია...

სხვას არ ვაბრალებ, თვითონ ვიწვევ ჯანყს და სტიქიებს,
რომ ბრძოლა მიყვარს და მიზნისთვის საქმის კეთება,
ის მაიმედებს, თუ საომრად გამომიწვიეს,
მიათმაგდება წინააღმდეგ სულისკვეთება.

ვერ ვაპატიებ თავს ვერასდროს, გულგრილ მოქცევას,
ან მიყვარს, ან მძულს, სხვა გრძნობას ხომ ჩალის ფასი აქვს,
ამ ცხოვრებაში დაბადება არის მოწვევა
და სიყვარული აძლევს ყოფნას, აზრს და ხასიათს.

ცაცხვი

დღე ცისმარე აისიდან,
ქარი ვარცხნის ქოჩორს ცაცხვებს,
ამოდენა ხე გიგანტი,
ბუმბულივით დაცახცახებს.

რა ჩერო აქვს, რა სურნელი,
როგორ ყვავის და იმკობა,
ეს ქარი კი როგორც სატრფოს,
 მიყვარხარო ეუბნება...

გადაკეცავს ტოტებს ხვევნით,
თითქოს ცეკვად გაიწვია,
ფოთლებს წიწკნის ისე ვნებით,
როგორც თმები უწეწია.

მუსიკაც კი აყოლილა,
სიმფონიით ქარით ზუზუნს,
და ეხლება ცაცხვის ხეებს,
ქროლვით წელში გადაკუზულს.

მოხიბლული ტკბილად ვუმზერ,
ცაცხვს ფოთლები დავარცხნია,
ერთმანეთს რომ ამშვენებენ,
რა ქარი და რა ცაცხვია...

იღიმი

იღიმი, მაგ ფანდი
მაცდური გამოგდის,
ამ გრძნობით მხიბლავ და
ნამდვილად მაოცებ,
შენთვის რაც წმინდაა
ისე შორს წახვედი,
ვისურვებ უკლებლივ
მასე რომ გადმომცე...

ამასწინ ქარი რომ,
დალალებს გიწნიდა,
მომწონდა მინდა რომ,
ამასაც ხვდებოდე,
შემდეგ კი იმხელა,
წვიმებმა იწვიმა,
ყველა სხვა განცდილი,
თაროზე შემოვდე.

იღიმი, შენში რომ
ასე რომ მიზიდავს,
იცი და ამისგან
ჩემს ფიქრებს ერთვები,
შენს გამო ყველა ვარდს,
ამოვთხრი მიწიდან,
ჩემს ახლოს არ მინდა,
სხვა ვარდის ფესვები.

* * *

დედაო მარიამ, მოგქონდეს მშვიდობა
ქართული ტვირთი ხომ, ზეცაშიც დიდია,
წილხვედრი ჯვარიც ხომ, შენდობით ინდობა
ჩვენს ფიქრში სიწმინდით, მკერდზე რომ გკიდია....

მოგვმადლე წყალობა,როგორც მკერდს საკინძე
წყალობა სულს ასე, ძლიერ რომ საშველობს,
მსურს თითო ქართველი, სკვნილივით აკინძო
შეკრა და გულმკერდზე დაკიდო სამშობლოს ....

ლეილა არხოსაშვილი

29.01. 1956 წელი
დაბადების ადგილი ქარელი
სამართლის დოქტორი-ადვოკატი ქ.თბილისი

* * *

სადაც კი ფეხი გადავდგი,
ყველგან დამიგეს მახე,
თუმცა, ვერ შეძლეს, ვერაფრით,
მე კვლავ მედგარი მნახეს.

რატოა წუთისოფელი,
ასე, ბევრ ტანჯვას გვიწყობს,
იქნებ, იმიტომ, გავმაგრდეთ
და გამძლეები ვიყოთ,

თუმცა, სჯობია არ ავყვეთ
ბოროტი კაცის სიტყვას,
ბოროტს კეთილი გარდაქმნის,
ეს ბევრჯერ უკვე ითქვა.

ბევრი ვეცადე ასეთი,
მეც გარდამექმნა ისევ,
თუმცა, ბოროტს რა გამოცვლის,
გარდაიქმნება მყისვე.

ამიტომ, იქნებ, შორს ვიყოთ,
არ დავისეროთ გული,
ბოროტს ვურჩევდი, დაფიქრდეს,
გადაირჩინოს სული.

* * *

ნეტა, თუ ვინმეა სადმე,
გულს რომ დაგვიმშვიდებს, მაინც,
არასდროს არ მინდა ვიყოთ,
უკმაყოფილო თავის.

წინ გზის ბილიკები გველის,
ნეტა, თუ ავივლით მშიდად,
ჩვენში ხომ სულია თბილი,
გულში ხომ სიყვარული იშვა.

მხოლოდ სიტყვა გვინდა თბილი,
ამით ხომ გულებს ვათბობთ
და თუ ვიპოვით ასეთს,
არასდროს არაფერზე არ ვთმობთ.

არ გვინდა არაფერი, არა,
სულში ჩაისახოს ღმერთი,
მაგრამ ვიცით, რომ სადღაც,
სადღაც, რომ იქნება ერთი.

ვისაც არ აწუხებს სევდა,
რადგან სხვის სულებში სახლობს,
სჯობს, ასეთს ნუ მივიტანთ გულთან
და არ გავიკაროთ ახლოს.

* * *

დილით როცა გაიღვიძებ,
გაიხსენე, ვის რა უჭირს,
ზოგის ტვინი სავსე არის,
ზოგს კი, მართლა, მართლა, უჭირს.

ზოგიერთი ცდილობს იყოს,
ის, ვინც ყველას არად აგდებს,
ჰგონია, რომ ბევრი იცის,
მეგობარსაც გადააგდებს.

სურს, თავისი გაიტანოს,
მხოლოდ ლელო ჰქონდეს თვისი,
არად აგდებს არავის და
დარდი არ აქვს, არ აქვს, სხვისი.

ჰგონია, რომ მის მოგონილს,
ვინმე, მართლა, დაიჯერებს,
კარგად ვიცით, მოჩვენებებს,
გონიერი არ იჯერებს.

ვინც სურვილი ერთხელ დაგმო,
რადგან მიხვდა მართალ სიტყვას,
თავთავები მაღლა ფრენენ,
ეს ხომ ბევრჯერ უკვე ითქვა.

* * *

საკუთარ აზრებს თუ არ ენდობი,
იქნებ, სხვას ჰკითხო რა გააკეთო
და შენში, იქნებ, გარდიქმნეს რამე,
რაც რომ აკეთე, აღარ აკეთო.

თუ თავზე მზის სხივს ვერ დაინახავ,
არ გეგონოს, რომ ის არ არსებობს,
შენს გარდა ბევრი ყოფილა შენებთ,
მაგრამ ვფიქრობ, რომ აღარ არსებობს.

შენ ერთადერთი როგორ შემორჩი,
ნუთუ, არ გეყო, რაც გააკეთე,
იქნებ, ის მითხრა, მართლა, მარტო ხარ,
თუ ეს საქმენი სხვასთან აკეთე.

სურვილი კი მაქვს, რომ იყო მარტო,
ერთი, საქმეს ხომ მალე გამოლევ,
მაგრამ ვაი, რომ მარტო არა ხარ,
თუმც, შენნაირებს რაღა გამოლევს.

შენისთანების ნავსაყუდელი,
ვფიქრობ, რომ მალე ჩამოინგრევა,
ხოლო მართალი კაცის სახლი კი,
იცი, არასდროს, არ დაინგრევა.

* * *

პოეზიის დღეს გილოცავთ, პოეტებს, თუ მოყვარულებს,
ლექსის გარდა, სხვა რა არის, რაც გაგვითბობს ყველას გულებს,
დილა ისე არ თენდება, მუზა თუ არ მოვა ჩემთან,
საღამოთიც შემომივლის და მოვილხენთ ორივ ერთად.
გადამიშლის გულის ნადებს, მომიყვება ქვეყნის ამბებს,
მეუბნება ლექსის გარდა, ჩვენს გულს სხვა თუ რამე არგებს,
მოგილოცავთ და გისურვებთ, ხშირად იყოს მუზა ჩვენთან,
სიყვარული ყველგან იყოს და ვილხინოთ ყველამ ერთად.

* * *

გზად თუ ვინმე შემოგხვდება, გაუღიმე, მხოლოდ,
სხვა არ უნდა, საკმარისზე მეტი არის, თითქოს,
ერთი სიტყვა მასაც ჰყოფნის, ბედნიერი იყოს,
შენც ხომ ერთი სიტყვა გეყო, საკმარისი იყო.

ალბათ, გახსოვს, გაღიმება, როცა ძლიერ გსურდა,
ნატრობდი, რომ გვერდით მყოფი ყოფილიყო მუდამ,
ღიმილით ხომ გაიქარვე ნაღველი და დარდი,
კარგად იცი წამალია, დაიმშვიდე თავი.

სხვასაც ასე შველის სხვისი, თითო სიტყვა, უთხარ,
ნუ ივიწყებ წარსულ წლებს და იქნებ, ვინმეს უთხრა,
თუ რას ნიშნავს თითო სიტყვა, თუკი, გაიმეტე,
მაგრამ ვაი, დაივიწყე, სხვისთვის არ იმეტებ.

უმადურის ბედი იცი, ბოლოს მარტო რჩება,
იქნებ, შენს თავს შთააგონო, ავადმყოფი რჩება,
მხოლოდ ერთი სიტყვა ჰყოფნის დაიმშვიდოს გული,
კარგად იცი სიტყვის ძალა, რომ ვერ შეცვლის ფული.

შენთვის მხოლოდ ფული გახდა შთაგონების წყარო,
ალბათ, სიტყვასაც გაყიდი, შემოსავალს არგო,
ის არ იცი, შენისთანა, ვინც ივიწყებს წარსულს,
რომ დაკარგავს რაც იშოვა და დარჩება მარტო.

* * *

რამდენი სევდა, რამდენი დარდი,
რამდენი რამ აქვს გულს ასატანი,
მერე იტყვიან, რა მოუვიდა,
ჯერ ხომ სიბერე არ მოუვიდა,

ის არ იციან, გულს ცოტა ყოფნის,
ვერ გაიხარა აქ თვისი ყოფნით.
იქნებ, იმედი ერთადერთია,
არ დაგვავიწყდეს, მაღლა ღმერთია.

* * *

მინდა, მოგხვიო ხელი, მაგრამ გულთან ვერ გწვდები,
ეს რა მოგსვლია, რად გინდოდა ასეთი ვნება,
რად გაგიცივდა გული ასე, არ მოველოდი,
იქნებ, იმიტომ, ვერსად ნახე ვერასდროს შვება.

შენს გულს ხომ მუდამ სიკეთეზე ჰქონდა ფიქრები,
ახლა რა ხდება, რატომა ხარ ასე გულგრილად,
შენ ხომ ამბობდი, შენს გულს წლებმა ვერა დააკლო,
აბა, რა მოხდა, რატომ არის ასე გულცივად.

სამწუხაროა, შენნაიებს გულს ვინც უციებს
და საუკუნოდ გულს დაუხშობს ფარული სევდა,
ერთდროს შენ იყავ გულმოწყალე, ყველას იმედი,
გული რატომ გაქვს სევდით სავსე, მითხარ, რა ხდება.

სადაც ამდენი აიტანე, იქნებ, გეცადა,
კვლავ ყოფილიყავ იმ გულით, რომ ყველას ათბობდი,
იქნებ, იფიქრო, გაიხსენო უძილო ღამე,
სიხარულით რომ ღამეს ათევდი.

მაგრამ ძნელია, მესმის შენი, რაც შენში ხდება,
ერთი დღე არის გადამწყვეტი, რომ დასკვნა დადო,
გადაიარო წლები ისევ, კვლავ გაიხსენო,
შენს ტანჯვის ფასად შენმა გულმა, თუ რამდენს არგო.

აი, ეს არის დასასრული, ალბათ, შენც ხვდები,
ცუდს ნუ იხსენებ, გახსენება, მართლა, არ უნდა,
ჯოჯოხეთია ეს ცხოვრება, თუ ვერ გაგიგეს,
არის წუთები, როცა კითხვას წერტილს დაუსვამ.

* * *

მუზა მოდის წერს და მიდის, არ კითხულობს ჩვენ რა გვინდა,
რა გვაწუხებს, დარდი, სევდა, თუ ზეცაში აღმაფრენა,
იგი გვაძლევს ძალას ღვთისას, კალმით ხელში შევხვდეთ მუდამ,
თან გვამხნევებს, არ დავნებდეთ უსამართლო ბედისწერას.

* * *

დრო წარსულს რომ ვერ გვავიწყებს,
ეს ყველამ კარგად ვიცით,
ცხოვრებას "ვებრძვით", ასეა,
სიცოცხლემ ასე იცის.

ასე არ არის, ეს ვიცით,
გულს ვერ შევუცვლით ადგილს,
გზას ვერ მოვნახავთ უკეთესს,
უკეთესს, უფრო ადვილს.

რა აღარ მოხდა ჩვენს თავზე,
რამდენს ავიტანთ, ნეტა,
რატომ ვისჯებით, რა არის,
გულს რომ გვისერავს სევდა.

მაშ რა ვქნათ, თავს რა ვუშველოთ,
მხრებს ვერ ჩამოვყრით უქმად,
ცხოვრება, შენს იმედზე ვართ,
თითო სიტყვა შენც უთხარ.

გვსურს, თავს როგორმე მივხედოთ,
გული არ გასკდეს დარდით,
გვსურს, დავივიწყოთ ყოველი,
ვითომ, მშველელი არის.

მათ, ვინც არასდროს გვასვენებს,
შური ჩააგდოს უნდა,
იქნებ, მოგვშორდეს ბოროტი,
წამით დაგვეხსნას, თუნდაც.

* * *

მიყვარს, როცა სიტყვას გეტყვის ის, ვინც სიტყვა აწონა,
კარგად იცის სიტყვის ფასი და სიმართლე გაცნობა,
იმას არ ჰგავს, ვინც იცრუა, ტყუილი თქვა, ცალსახად,
თავის სიტყვით მოგონილი, გაგონილი ასახა.

სურდა, შენთვის სიბოროტე და ფიქრობდა შედეგზე,
მოიფიქრა, იმუშავებს, იმუშავებს შემდეგზე,
რომ გულები აღარ ჰქონდეთ, ვინც მის სიტყვას გაიგებს,
კარგად იცის სხვის გულებზე ბოროტებას არიგებს.

კარგად იცი, მისი სიტყვა ბოროტებით სავსეა,
ბოროტს მუდამ ცუდი უნდა სხვისთვის, ვიცით, ასეა.
გამოსავალი ერთია, ნუ ვიქნებით მის ახლოს,
რადგან ბოროტს სხვა გული აქვს, ალბათ, ეშმაკი სახლობს.

* * *

ხშირად ინატრებ, სულ რომ გეძინოს და არ გესმოდეს საშინელება,
რა ხდება, ნეტა, რატომ ვართ ასე, ნეტა, ოდესმე თუ გვეშველება,
ქუჩაში გამვლელს შიშით ვუყურებთ, გვსურს, ჩვენი თავი გადავირჩინოთ,
არ ვიცით გვერდით თუ ვინ მოგყვება, ვაითუ, ვინმემ თავი იჩინოს.
ვისაც სწყურია სისხლის დალევა, რამდენს, არც ვიცით, ისე შევხვდებით,
ღმერთო, გვიშველე, რა დრო დაგვიდგა, ვინ იცის ხელით ვის არ ვეხებით,
არ ვიცით, იგი საიდან მოდის, გულში ან ტვინში რა გაიფიქრა,
ღმერთო, გვიხსენი, თუკი, ჩვენს გვერდით, თუ ვინმემ ცუდი რამ ჩაიფიქრა.
იმან რაღა ქნას, ვინც თავს ვერ იცავს, უსუსურია პატარა ბავშვი,
მას ვინ დაიცავს, ვინ გაგვცემს პასუხს, მის მკვლელს თუ უჭირს საკუთარ თავში,
ხშირად ასეა, ბევრია მკვლელი, ეს კარგად ვიცით, ეს არის ცხადი,
ვართ უსუსურნი, რადგან ჩვენს გვერდით, მართლა, ბევრია შეურაცხადი.
რა გვეშველება, ჩვენ ვინ დაგვიცავს, გზად რომ ვერ ვარკვევთ, ვის მოვერიდოთ,
ასე გამოდის, ვიზრუნოთ თავზე, შეურაცხადს რომ თვით მოვერიოთ.

* * *

როდესაც ვინმე შეგხვდება გზაში, იქნება ჰკითხო, რა გზა იარა,
თუ ვინმე ჰყავდა, ვისაც ეტყოდა, რთული გზა როგორ გამოიარა,
იქნებ, არა სურს, გაგანდოს დარდი და სურს დამალოს გულის ნადები,
სურს, რომ არ გითხრას, რაც თავს გადახდა, არ გაიხსენოს ისევ დარდები.
შენ ვერ გაუგებ, რადგან არ იცი, რა არის ტანჯვა, რაც კი მან ნახა,
იგი შენსავით არ იყო ლაღი, არ აოცებდა შენსავით თანხა,
მას სურვილი აქვს ისეთი ნახოს, ვინც მოუშუშებს გულის იარას,
მასავით იყო მთელი ცხოვრება, მასავით გზები გადაიარა.
აღარ სურს ნახოს ყველა ის, ვინც კი, სიყვარული რომ ვერ დაუნახა,
ებრძოდა, სურდა მისი დაცემა, მაგრამ სული კი ვერ შეულახა.


ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ ვინაც მიქია,


ვარ ვინმე მესხი მელექსე...

მერაბ ბერიძე

ახალციხისა და ასპინძის საპატიო მოქალაქე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი, პროფესორი.

ფრთხილად თეთრო ანგელოზო!

ფრთხილად თეთრო ანგელოზო,
უასაკოთა დარო,
თეთროსანო და ფრთოსანო, ღიმილმომადლებულო,
ფრთხილად ირგვლივ ასაკიანთ
ჯარი ჩარიგებულა,
მათ იმდენი რამ უნახავთ,
ისე ყალბად როკავენ,
ხედავ, როგორ მოგიმზერენ,
ჩამუქებულ თვალთაგან?
ფრთხილად, თორემ შენს სახეში
იმ ანგელოზს მოკლავენ,
პოეტი რომ ეფერება,
სულს შთაბერავს ოცნებით,
დიახ თეთრო ანგელოზო,
ნუ აჰყვები ცდუნებას,
ნუ უჯერებ ქარის ქროლვას,
ნურავის ეკოცნები!
დარი მოვა, დრო დადგება
თეთრი კაბის ფრიალით,
შენ რომ ზღაპრად გიხატავენ,
შემღვრეულ ფერს გაჩვევენ,
ფრთხილად, თორემ გელოდება
ყოფნის ორომტრიალი.

ატამი

რაღაც უაზროდ ყვავის ატამი,
კვირტი სკდება და არც სკდება,
ეს მერამდენე დღეა, არ დაადგა საშველი
მისი გულის გახსნას,
აი, ალუბალი მხიარულობს უკვე
და ეთამაშება შორიდან მოსულ ნიავს.
დავანთო სანთელი?
რისთვის, რომ კვირტმოღრეცილი ატამი
გაიშალოს?
და ჩემი ფიქრი ამ გაზაფხულის უგაზაფხულოდ
ყოფნაზე
ჭორად რომ მიაქვს ალუბლის ნიავს?
ვის დავემდურო?
ცუდ ამინდს?
უვარგისს მიწას?
თუ ჩემს სიბეცეს, რომ ვერ ვარჩევ
ატმის და კუნელის ყვავილთა სევდას?
იქნებ ფერება მოუხდეს ყვავილს?
იქნებ ამინდი შევცვალო,
გავთვალო ბუნება, ვუსმინო ბუნებას,
რომ მოტყუებით გამოიყვანოს ატმის
ყვავილი?
ან ჩემს თავს შევძახო: აცალე ბატონო!
ყვეფარეს დრო აქვს დაწყების და დასასრულის,
რა ვუყო ამ უნიათო ატმის ხეს?
ან იქნება არცა აქვს აზრი,
რა მნიშვნელობა აქვს, როდის გაყვავდება,
ისეთი არეულია წელი,
ატამი მაინც არ გვექნება,
ყვავილშივე შეჭამს ჭია
და იქნებ სჯობს, არც გაყვავდეს
ჩემი საყვარელი, ნაფერები ხე!

დავკარ ხმალი!

დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი,
ხმლიანები და მეხმლეები იყვნენ წინაპრები,
წყალს არ ურტყამდნენ, კვალს ტოვებდა ხმალი,
ტყვია ჩემი ასცდენია მიზანს,
არც დამიზნებული ვარგა და არც ტყვია.
ტყეში შევარდნილი ხარი, გიშრისფერი,
დაგემოვნებული ბალი ყოფილა და მეტი არაფერი.
ბარი დავკარ და ამოვიდა წყალი,
მან მორწყო მთა-ველი, წყალი მაინც წყალია
და ამ უწყლო ქვეყანას სჭირდება მუდამ,
აბა, რა ქნას მეუდაბნოემ, დედამიწა რომ
გახვრიტოს, ისე გავა მეორე მხარეს,
არ იქნება წყალი,
სამაგიეროდ იქნება ნავთობი,
რომელსაც არ უნდა ხმალი,
დაიდგება მბურღავი მანქანები და წამოვა
    ფული, ფული და ფული!
ფუ! ყველაფერი როცა ფულია
იქ აზრი ეკარგება სულს
მაგრამ, როცა დიდი გაქვს ვალი,
წყალი რად გინდა, ანხმალი რად გინდა,
გექნება ფული.....
 და მოვა მაინც შენზე ფულიანი, შენზე
მშვიდი და წყნარი,
წაგართმევს ყველაფერს,
რასა აქვს აზრი?
მე კი დავკარი ხმალი, მაგრამ ვერ
დავტოვე კვალი,
ამიტომ არვის ვუნდივარ ამ ატომის ქვეყანაში.
ჩემი წინაპრები ტყუილად არ მოიქნევდნენ
ხმალს,
ტოვებდნენ კვალს!

ლარიანი ღიმილი

მათხოვრის ლარიანი ღიმილით,
იმ დღის იმედით მხოლოდ,
რომ დღის ბოლოს მექნება პური,
მძიმე დასკვნამდე მივედი:
მთავრობა არის ხალხისათვის განაჩენი,
ყოფნა არყოფნის ანი და ჰოე,
დანარჩენი არაფერია,
დანარჩენი არის განაჩენის აღსრულება
და რაოდენ მძიმედაც უნდაგეჩვენოს,
ვიფიქროთ ერთადერთრამეზე:
განაჩენი არ იყოს სასიკვდილო!
მთავრობა - ჩვენი ყოფნის განაჩენი
და თავისი ყოფნის ზეიმი.
მეშინია, არ წამერთვას ლარიანი ღიმილიც,
თორემ ზე ივლი თუ ქვე-ქვე იბუზღუნებ
არავის ახსოვს ყოფნა შენი, ყოფნა ჩემი,
ახსოვთ ყოფნა თავისი!
მერე მარტივად გაირკვევა,
ხმა ისმის გარკვევის, გარკვეული და
გასარკვევი,
ყველაფრის მხოლოდ ხმა ისმის
და მეტი არაფერი,
შედეგი არ ჩანს,
 რადგან მათხოვრის ღიმილი არის საღამომდე,
ვიდრე იყიდის ლარიან პურს,
ხვალ ისევ გაიწვდის, ხელს გაიწვდის
და იწყება თავიდან.
ჩვენი განაჩენი კი აღსრულებას ექვემდებარება,
კიდევ კარგი არ არის განაჩენი სასიკვდილო,
მასიური განაჩენი, ყველასთვის მისჯილი,
რადგან ეს იქნება მათი განაჩენიც
და ეს გადაგვარჩენს.

ბებერი ბაღი

ეს თუთის ხე პაპის მამამ დარგო,
ის ვაშლი პაპის დარგულია,
კაკალი ჩვენი საგვარეულოს
    დამწყებმა ტრაპზონიდან ჩამოიტანა,
ბერძნულა უწოდა დიდრონი იზრდება,
სხვათახსოვნაკი დაკარგულია,
ესეც იმიტომ ვიცი, უყვარდა მამას
ხის მოფერება ისე და იმგვარად,
თრთოდა როდესაც ყვავილს ფუტკარი
                ართმევდა ნექტარს და ძალას
და ჩვენი ბაღი, ბებერი ბაღი,
იდგა სრულიად
საწინდარი სიუხვის, იმედის ხილით ნუგბარით,
საუკუნოვან ვაზს უმზერდა ცელქი ბლის ტოტი,
მსხალს, შეყვარებულს შავ მტევანზე
გული უძგერდა
და იდგა ბაღი, მძიმე ბებერი ბაღი,
ვით ისტორია,
ძველი ტკივილით, ძველივე დამღით,
ზოგს ტოტი ჰქონდა შემხმარი და საწყლად მზირალი,
ზოგს ფითრი სჭამდა, ჩემი ხელი მოაკლდა ყველას,
მაგრამ სურნელი ძველის და ახლის
გამორჩეული სურნელი დგას ბებერი ბაღის,
გამორჩეული, მიყურსული, ძალა არის ჩაბუდებული,
ძალა რომელიც ელოდება სასხლავს და მოვლას,
აქ უბედური არავინ არის, ყველაფერია საბედნიეროდ
სადგან ისეა ბაღი ჩემი მიწის პატრონი,
ისე არის შერწყმული და შენივთებული მთებს
თუ წყლის ჭალებს,
მხოლოდ იმისი მაქვს მე იმედი,
ბებერი ბაღი მკვეთრ საზღვარს ავლებს
მართლ სიტყვას და სიყალბეს შორის.
ვერ წააქცია ვერც კაკალი, ვერც თუთა, მსხალი,
შემოსეული ჭიების ჯარმა,

ვერც სისხლის თოვლმა,
ვერც ტალახის მოსულმა წვიმამ,
მუმლს გამოვლილი ფაროსანას მყარად იბერტყავს,
ზემოდან დასცქერს ჯუჯა ხეებს,
მოდურ ხილეულს
და კვლავ იმედად მესახება ბებერი ბაღი.

საიდუმლო

იმ კლდეს ვაახელ გულის ნადები,
გამოქვაბულში შევედი როცა,
აქ ყველაფერი იყო საჩემო-
სიბნელე,სიღრმე, წარსული მწველი,
მინდოდა მაგრამ, არც მიპასუხა,
რაც მთავარია, არც გაიოცა.
ეტყობა ჩემებრ ბევრი მოსულა,
ბევრი, ეძებდა მესაიდუმლეს.
კლდის თავზე იდგა ძელქვა ძლიერი,
მის გასწვრივ კიდევ -- ბებერი მუხა,
იქვე გლერძი და გრაკლის ბუჩქები
გამონაყარებს ჰგავდა დარდისა.
ახალია თუ არის ხნიერი,
ამბად ნათქვამი სხვისი წილია,
ჩემი ის არის, თავს რომ იმალავს,
მეც რომ ვმალავ და არავის ესმის.
გამოქვაბულის დიდი წვლილია,
მინდა ჩავხედო ერთადერთ თვალში,
უნდა მოვუთხრო ღვთისთვის სათქმელი,
არც განსჯისათვის, არც სამოთხისთვის,
აღსარებისთვის ვინ აღებს კარებს!

დღეს არ ანათბს წმინდა სანთელი,
არც გზის მკვალავი მჭირდება ახლოს,
მოვედი, გითხრა და გავიხარო,
თან ვიზეიმო ისე იდუმალ
როგორც სიმართლეს ნაზიარები
გაცხოველდება გამხმარი სვეტი.
მიჯრით ვაწყობდი ფიქრებს აზრებად,
ჩემს თავთან მქონდა განსჯა, როდესაც
იჭექა ისე, გავარდა მეხი,
ისე დამეხვა თავბრუ და რეტი,
რომ ყველაფერმა აზრი დაკარგა,
მეხდაკრულ ძელქვას ცეცხლი ეკიდა,
გულგახეთქილი მგელი ტიროდა,
კლდის ძირის წყარო გადამშრალიყო,
მუხის ქვეშ ტახებს რკო ვერ გაეყოთ,
ამინდი დადგა ისეთი ძნელი,
ათასწეულში ერთხელ რომ დგება,
კუპრი ამოსკდა გამოქვაბულში,
იძრა მიწა და დახეთქა კლდენი.
იყო, ხო, იყო სათქმელი ბნელი,
რომ ითქმოდა ან არ ითქმოდა!

ციური მესხიშვილი პედაგოგი პოეტი

მე და ჩემი მეგარმონე

(სალაღობო)

ზეცა, ისე მოისარკა, რომ ამღერებს მზე გარმონებს,
ეგრისიდან გადმოვედით მე და ჩემი მეგარმონე.
ჩონგურს გავუწყვიტეთ სიმი, ენგურთან რომ შეგვაყოვნეს,
ვჭამდით ნაპარავებ სიმინდს მე და ჩემი მეგარმონე!..

ჩემი ქმარი ტყეში იყო, ხესთან ცულით ცდიდა ღონეს,
მის ლოგინში გულებს ვცვლიდით მე და ჩემი მეგარმონე!..
რა გაცინებთ? - სად გვცალია, აბა, თქვენთან სალაღობოდ?
მე და ჩემმა მეგარმონემ ხიდი უნდა გადავღობოთ!..

მე ვარ მისი გარმონი და ის კი ჩემი მეგარმონე,
როცა თითებს მიფათურებს, მე ვმღერივარ: მი-ლია-დო-რეს!..
ჰოდა, ჩემმა მეგარმონემ,მომაფარა„ქუჯის“ გორას,
ჭორიკანა მეზობელმა ჭორად რა არ მოგვიგონა?!..

ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები, აჭრიჭინდა მინადორაც,
ეტყობა რომ ღობის ძირში, ჩემს მაგივრად იგარმონა!..
ჭრიჭინით და ჭრელ გარმონით მეზობლებიც შევაღონეთ,
ავდექით და წამოვედით მე და ჩემი მეგარმონე!..

გზაზე ღმერთი შეგვეგება, გვილოცავდა მზე ამ გორებს!..
ჯავახეთში რომ მოვედით მე და ჩემი მეგარმონე!..
შარვაშეთის ფერდობიდან გადმოვედით კოთელიას...
მე და ჩემი მეგარმონე გზად ვკრიფავდით მეთოვლიას!..

ეგრისელანთ ოდა ჩავდგით, დაგვეხმარა პაპაც, აკი!
ბუხრის ქუდში გადავცვალე ოდიშური ფაფანაკი!..
ზეცა ისე მოისარკა, რომ ამღერებს მზე გარმონებს,
ღმერთო, დიდხანს გვაჭრიჭინე მე და ჩემი მეგარმონე!!!..

„პლასტმასის" შვილები

დედის დაქარგულ ჩითის პერანგებს,
ნაკლი არ ჰქონდათ თითქმის არცერთი,
ქაღალდის თარგით ვჭრიდი და მერე,
სველ, ახალშობილ ჩიტებს ვაცმევდი...

უფლის პატარა ანგელოზები,
შეუღინღლავი, ვარდისფერ ფრთებით,
თივის ბუდეში, ნაზ სამოსებით
დედას ელოდნენ მშვიდად და თმენით...

უყვარდათ ჩვენი პატარა სახლი,
ფანჯრებს რომ ეცვათ გოფრეს კაბები,
თიხის ქოთნებში მოყელყელავე,
ლოყაწითელა, მწვანე ბალბები...

მე კი მიყვარდა დედის ზღაპრები:
„კომბლე" „კონკია", „დოქი და ჯინა"
და დაკარგული ნახერხის შვილი-
ჩემი პატარა ცელქი თოჯინა...

კი არ დავკარგე, მომპარა ნუნუმ,
აკვნით რომ მედგა ნანატრი„ჩვილი",
ხმას აყოლებდა მტრედების ღუღუნს
ჩემი პატარა - „პლასტმასის" შვილი...

„დედა" ვიყავ და, დედას ვბაძავდი-
ვბანდი, ვაჭმევდი მეც ჩემს ხატულას...
მეც ვუმღეროდი„იავნანინას"
და ტკბილ „მზე შინას" - გულით, ქართულად...

იმ„შვილთან" ერთად დავკარგე ძილიც,
მთვარე გადმოსხლტა შავ ღოღნაშოდან,
სახსოვრად დამრჩა ბრჭყვიალა მძივი
თვალებხუჭუნა სათამაშოდან...

მზემ მომაშველა თეთრი ღრუბელი,
თვალთაგან ცრემლის ამოსაშრობად
და მართლა ვშობე„პლასტმასის" შვილი
გენებშეცვლილი კოვიდსაშოდან...

ვეღარ იტევდა სიზმრების სახლი,
ჩემი ტყუპების ვითომ მნახველებს,-
ყველა მათგანში ვეძებდი ქურდს და
ყველგან ვხედავდი„აბორტმახერებს"!...

გგონიათ შევცდი? - წამით ჩამთვლიმა,
წამში ვიქეცი მკვდარ დამატებად,
ჩემი შვილები გამოეფინათ
მუზეუმებში ექსპონატებად...

ადამიანის მსგავსი თვალებით,
მზე მიღიმოდა სათამაშოდან,
ცხრა თვალი ჰქონდა იმასაც, მაგრამ
უკვე ბრმა იყო დედის საშოდან...

სასწაულს მრავალს იხილავთ კიდევ,
კვლავ დავმარცხდებით ჩუმი ომიდან,-
როცა ქართველი ვერ იქართველებს
„პლასტმასის" ჩვილის ემბრიონიდან...

გავბერავ ფილტვებს უხმო ტკივილით,
თოვლქვეშ მოვძებნი წითელ ძახველებს,
დავლევ უფლისგან დალოცვილ რძეს და
პლასტმასის შვილებს ამოვახველებ!!!..

„ბ ა ღ ჩ ა შ ი ა ‘‘

(სახუმარო-სალაღობო)

დილას, როცა გაწვიმდა,მზე დაცურდა ღაწვიდან,
თეთრფრთიანი მიმინო, ამოფრინდა ანწლიდან...
ქარმა კაბა შეკერა,აბრეშუმის ნაჭრიდან,
მზისფერი და ნაოჭა,ნეტავ, ვისთვის დასჭირდა?!..
დღეს,ისეთი დღე არის,რომ მსურს ჩავიღიღინო,
დილას,პურის ყანაში,მწყერს კოცნიდა მიმინო...
მიღიმოდა მერცხალი,შავთვალება მოცვიდან,
ზეცას შესწყდა გიშერი,მიწაზე ჩამოცვივდა...
დილის ვარდებს ღიმილით, დაუფრთხიათ სიზმრები,
შეხვევიან ღობეზე შოთას აფორიზმები...
ვარდისფერით,-ცისფერით, ნაზი ანაფორებით,
დაკიდულან ღობეზე,როგორც გრამაფონები...
თავს იწონებს რეჰანი, ტურფა ქალის სურნელით,
ტარხუნა რომ შესცქერის ეშმაკუნა,სულელი...
კიტრმა გამოიჭყიტა ულამაზეს ღეროდან,
მიწაზე გაწოლილი...„ბ ა ღ ჩ ა შ ი ა ს“ მღეროდა!..
მზე კოცნიდა პომიდორს,-წითლდებოდა ქალწული,...
მწარდებოდა ნიორი,-ხახვებზე გადაწნული...
წიწმატობდა წიწმატი,-დაემუქრა კამასა:
შენ, თუ ჩემს ქინძს აკოცებ,-გამოგისმევ დანასა!..
ისე გამოპრანჭულან მაკიდო და შაშკვლავი,
თითქოს,უნდა გაუხსნან, უცხო სუნელს ვარსკვლავი...
კუტკალია ჩამძვრალა,კუტლობიოს უბეში,
ალბათ,უნდა აკოცოს და ასე სცეს ნუგეში!..
თურმე, სარის ლობიოც, პაპას სიმინდს ყვარობდა!..
ჭორაობდნენ მარცვლები,ბროლის თეთრი ტაროდან...
თავს იწონებს სიმინდიც,-დაიმშვენა ულვაში,
დრო არ უნდა დაკარგოს, ჭმუნვასა და ურვაში!..
მერე, ისიც ეყოფა, რომ დასცვივა კბილები...
თავზე გუდაფშაკუნით დაესევა რწყილები...
გოგრაც დამწიფებულა, ჩვენს ღობეზე მოსულა,
ჭორად ასე ამბობენ: ნესვმა დააორსულა!..
იცინის და ყვითლდება, შემოდგომის ზაფრანა,

მზეს გაუხსნა ბოსტანში ბეჭდების ზარაფხანა...
ცისფერთვალა ქონდარი,ჩუმად კოცნის ომბალოს...
უნდა,პიტნის ქონდრისკაცს სიყვარული მოჰპაროს!..
მწვანე, მწარე წიწაკა, წითლდება და პილპილობს:
მამაჩემის თუთუნი, დედას უხნის ღილკილოს...
ჰოდა!-ამის შემყურემ,მეც, დილამდე გინატრე!..
იცი?!- ოღონდ, მრცხვენია!..გამოთიშე სინათლე!!!..

კოპლებიანი კაბა

კოპლებიანი კაბა, კოპლებიანი ქოლგით,
გამოვითხოვე გუშინ, ჩემი ბავშვობის თხოვნით.
ნაძვმა გაშალა მხრები, ტოტებზე მიბამს ჰამაკს,
შაშვი, პატარა ფრთებით, მიწერს ბავშვობის არაკს:

ქარს რომ უყვარდა ჩემი კოპლებიანი კაბა,
ეპრანჭებოდა როცა მზეს ფანჯარაში ბალბა,
სულ დამყვებოდა ყველგან, მღეროდა ქუჩა-ქუჩა,
ჩამომაშორა ყველა, მათ შორის ჩემი უჩაც!

ხან გამიშლიდა თმებს და მომიშიშვლებდა ხან მხარს
ძველი ბიჭების ქუჩა ჩვენზე იწყებდა ხარხარს.
რა დამავიწყებს იმ დროს,ან იმ ზაფხულის ორთვეს,
გვირილებმა რომ მიწა,თეთრი კოპლებით მორთეს.

ნეტავ დაბრუნდეს ის დრო, სიზმარში მაინც ვნახო:
ჩემი პატარა უჩა!-ცისფერთვალება ვახოც!
კოპლებიანი კაბა, კოპლებიანი ქოლგით,
ბაღში დამიდგით ძეგლად, ჩემი ბავშვობის თხოვნით!



ბადრი თამაზაშვილი (ხიზაბავრელი)

ქართველებს

ვაზი არის ჩვენი ერის,
სიმტკიცე და მშვენება.
მისი ფესვი, მისი ჭიგო
არასდროს არ ბერდება.

ქართველებო ფხიზლად ვიყოთ
მოვეფეროთ ვენახსა,
წინაპრების დაღვრილ სისხლზე,
ამოსულსა ყველასა.

საქართველო ზღაპარია,
ზღაპრულ გმირთა სამეფო.
ცეროდენას, წიქარასა
და ცისკარას სამრეკლო.

ქართულ ძირძველს ნუ დავკარგავთ
რამაც გადაგვარჩინა.
აქობამდე მოგვიყვანა,
მის ნაჟურმა გვარჩინა.

რვაათას წელს ითვლის დღემდე,
თიხა ჩვენი მამულის.
შიგ ჩასხმული, ვაზის სისხლი,
სხვაგან ჯერ არ ნახული.

ხალხთა შორის, დღესაც ისმის,
მისი ქება, დიდება.
ყველა სუფრის მშვენებაა
ტრფობის ტკბილი სიმღერა.

ჩემი სამცხე, ჯავახეთი,
კახეთი თუ გურია,
იმერეთი შამეგრელო,
ყველა შინაურია.

ხიზაბავრის ვენახების,
ჭაჭკარის თუ ვარძიის,
დღესაც ისევ საწნახელის
საწურავის ხმა ისმის.

დარიგება

არასოდეს არ დასცინო სხვას,
ყველაფერი გადაგხვდება თავს,
ეს ცხოვრება ბუმერანგი არის,
ყველაფერი გიბრუნდება კარს.

არვინ ვიცით ვის რა გველის ხვალ,
სიკეთისთვის სულ იყავი მზად,
თუ გინდა, რომ სულ ახსოვდე ხალხს
პატივიეც შენ საკუთარ თავს.

სიკეთე

მგელი ცხვარისა მტერია,
ლომი და ვეფხვი სავანის.
კატა თაგვების მტერია,
ტურა და მელა ქათამის.
კაცობრიობა ამათი
და თავის, თავის მტერია,
უსიყვარულოდ დარჩა და
უღმერთოებიც ბევრია.
ბრიყვი ჭკვიანის მტერია,
სუსტი ძლიერის, ვაჟკაცის.
სიხარბე მდიდრის მტერია,
ბოღმა და შური ღატაკის.
ცუდი კარგისა მტერია,
შეუხედავი ლამაზის.
დაბალი მაღლის მტერია,
ცოტანი უფრო მრავალის.
კვერი ობოლის მტერია,
ცხვება და მაინც არ არის
კენტი წყვილისა მტერია
მასთან არავინ არ დადის.
ბოროტი თავის მტერია,
მასში სიკეთე არ არის.
ვეძებ და ვერ მივაგენი
კეთილი ჩვენში სად არის.
მაინც სიკეთე იმარჯვებს,
მტერი მის გვერდით „მტვერია“
მაღალი ღმერთი გვიყვარდეს,
მასში სიკეთე ბევრია.

ერთმანეთისა ვალიდან

ქვეყნად, ვინც რისი ღირსია,
ყველა წილხვედრი მისია.
ბედში ნუ შეეცილები,
სხვისი ყოველთვის სხვისია.

კაცს მარტო ტყვია არა კლავს,
სინდის, ნამუსიც მკვლევია.
თუ გიყვარს შენი სამშობლო,
შენი ერი და კერია.

წუთისოფელი მწყემსია,
სულ უკან დაგვდევს, ნავარდობს,
ის არასოდეს ეცდება,
წინ გაგიძღვეს და გაგართოს.

ცხოვრება უცნაურია,
გამოცდა არის მრავალგზის.
რომელიც ხან გაგიმართლებს,
თანაც მერმისთვის დაგაცდის.

შენ ჩვენო ტკბილო საწუთროვ,
რა უცნაური რამა ხარ?
საინტერესო და თანაც
ყველასთვის გამოცანა ხარ.

ნუ გაიკვირვებთ, ნურაფერს,
ეს ხომ სამყაროს წესია.
დედა ბუნებას გაუგო,
შენც გაქვს მრავალი ვერსია.

უფალი გწამდეს, გამჩენი,
სათავე ყველა კარგისა.
ოცნება არ მოიშალო,
იმედი გქონდეს ხვალისა.

ჩვენა ვართ თვითონ უგნურნი,
რასაც ვერ ვხედავთ თვალიდან.
ვერა და ვერ ამოვედით,
ერთმანეთისა ვალიდან.

ქართველთა სამყოფელი

აღარავის აღარ მჯერა,
გარდა ჩემი ღმერთისა,
არც ახლობლის, არც უცნობის,
და არც ჩემი ბედისა.

არაფერი აღარ მიკვირს,
არვის არ შერჩენია.
ერთი დრო და ერთი სიტყვა,
რაც, რომ ყველას გვჩვევია.

ვინც სიყვარული არ იცის,
ვაი იმისი ბრალი.
ვერ გაიგებს, ის ვერა დროს
ღა არის მისი ვალი.

როგორ მინდა კვლავ გიხილო,
კვლავ ისევ გამახარო
რომ კვლავ ისევ ხნულს ავლებდე,
აბა, ნიკორა ხარო.

ქართულ მიწას მოეფერი,
მადლიანს და მზიანსა.
დღეს კი ისევ დაუდგენელს,
მომავლისთვის ზიარსა.

ეს უცნაური სიჩუმე,
ან ეს აურზაური,
სადამდე უნდა ვისმინოთ,
ეს უაზრო ხმაური.

მოძმე ვძებნოთ, თუ ვიპოვოთ,
ხელი მაგრად ჩავჭიდოთ.
დაუკვირდეთ, რომ არ შევცდეთ,
მერე ჩვენს თავს არ ვსჯიდეთ.

საქართველო ჩვენი დედა,
ჩვენი წუთისოფელი.
რომ მარადის, მუდამ იყოს,
ქართველთა სამყოფელი.

აპრილის გმირები

ეს გზა ტაძრამდე მიგვიყვანს,
მჯერა მივაღწევთ მიზანს,
ვერ შეგვაშინებს ვერავინ,
ვერ შეაჩერებს წინსვლას.

დღეს საქართველოს სჭირდება,
მართალი სიტყვა, წმინდა,
ლაღი და თავისუფალი
დედა-სამშობლო გვინდა.

წართმეულ მტკაველ მიწას,
კვლავ დაბრუნება უნდა,
ისედაც ნატანჯს, ნაწამებს,
გაგლეჯილს მრავალ წილად.

ვაცხონოთ მათი სულები,
ვინც შეეწიროს ამ საქმეს,
აპრილის გმირებს დიდება,
სამარადჟამო სამარეს.

სოფლის ახალგაზრდობას

გუგულის გუგუ გვესმოდეს,
ბულბულების გალობა.
არ მოგვაკლდეს არასოდეს,
მარჯვენისა წყალობა.

გადი, გადი, მარდად გადი,
გაიტანე ხნული ხარო.
ხორბლისა და ქერის ყანის,
მოსავლით, რომ გავიხარო.

თორემ უკვე რა ხანია,
დავივიწყეთ, თოხი, ბარი.
ვიღას ახსოვს ფოცხით მოგვა,
ფიწალი და საბძლის კარი.

კალოობაც დავივიწყეთ,
უღელი და წყვილი ხარი.
კევრით გალეწილი ნაბჯა,
ბზე, კრუხი და საბუდარი.

წიწილებიც აღარსად სჩანს,
მამლის ყივილი არ ისმის.
მომენატრა სოფლის დილა
ჟუჟუნა წვიმა მაისის.

სამენახირო, თავკალო,
ნახირი და ცხვრისა ფარა.
მენახირე, მეცხვარე და
წვერის მთა და საბუზარა.

წყაროს კალო, აუზები,
ცამეტ ასურელ მამათა.
ვის სახელზეც სოფლელებმა,
ამოკვეთა, გამოთალა.

ობოლეთი ბედკრულთ დედა,
ეკლესია მადლით დიდი,
მის კალთაში აღზრდილნია,
მრავალი ქართველი გმირი.

ოსკერია დავივიწყეთ,
შვიდრავანტა რა ხანია.
ვენახები სხვას დაუთმეთ,
გომები გადამხმარია.

ფესვებს ნუ მოვწყდებით შვილნო,
წინაპრების ადათ, წესებს.
ქართულ მიწას მოვეფეროთ,
სანამ სხვისთვის გაამწესეს.

ასე ყოფილა

მერე რაა, რომ თმაში ჭაღარა გამომერია
მერე რაა, რომ ეს ცხოვრება თუ მომერია.
მერე რაა, რომ სიყვარული გამომელია
რა ვქნა, რას ვიზამ, ყველაფერი – არაფერია.

სიცოცხლე ტკბილი, რომ მეგონა, მწარე ყოფილა
ცხოვრება გრძეი, რომ მეგონა, მოკლე ყოფილა
ჩურჩული სითბო, რომ მეგონა, ბოღმა ყოფილა,
ღა ვქნა, რას ვიზამ, ყველაფერი ასე ყოფილა.

წუთისოფელი

ეს დღეც გაივლის, აბა რას იზამს,
ყველაფერი ხომ წარმავალია.
გადაიყრება, ცაზე ღრუბლები,
დარდი, ნაღველი, სხვაც მრავალია.

შენ რაღას უცდი, ან რას უზიხარ,
ხვალინდელი დღე აღმავალია.
შენ საკეთებელს ვინ გააკეთებს,
ყველაფერი რომ გარდუვალია.

ფიქრიც კარგია, აზრთა კონაა,
საქმე კი შენი გამოსაჩენი.
ნუ დაიზარებ იყავი მარდი,
გიყვარდეს ღმერთი ჩვენი გამჩენი.

დედა სამშობლო, ენა ქართული,
წინაპრის ხსოვნის, სული ნათელი.
მართლმადიდებელ ქრისტიან მამათ,
დაუნთე მუდამ წმინდა სანთელი.

ფესვებს არ მოწყდე, იმედს მარადის,
თაობებს მიეც, ნიჭი გზა ფართო.
ხვალინდელ დღეზე, მუდამ იფიქრე,
ზეგ, რომ ოლიმპის ცეცხლი დაანთო.

ადამიანო იყავ გამგონე,
და შეიგრძენი ირგვლივ რაც ხდება,
წუთისოფელი ძალზედ მოკლეა,
განმეორება მისი არ ხდება.

სამყაროს არა ჰყოლია

ადამიანზე საშიში
და უცნაური არსება.
სამყაროს არა ჰყოლია,
გაჩენის დღიდან ამ ქვეყნად.
ყველაფრის სათავე არის,
ბოროტების თუ კარგისა.
უნებლიედ თუ შეგნებით,
მიზეზი ყველა ამბისა.
სიკეთე გაიმარჯვებდამ
ბოროტებაზე ყოველთვის,
სიხარბე, რომ დაგვეძლიოს,
ადამიანებს ბოლომდის.

სიცოცხლის ფასი გვესწავლოს,
ერთმანეთისა გატანა.
ყველა ცდუნებად დავძლევდით,
ვერას გვიზამდა სატანა.
უფალი ყველას გვიყვარდეს,
სამშობლო ჩვენი დედაო.
მომავალს გზა დაულოცოთ,
სამყაროს მივცეთ შვებაო.
ომებიც აღარ იქნება,
არც სიძულვილი არვისა.
გარჩევა შეგვეძლებოდა,
ცუდი აზრის და კარგისა.

თუ

თუ, მე შენ ვერ მოგეფერე,
ან თუ გაგიჯავრდი.
ამით გული მე მოვიკალ,
სულს დავასვი დაღი.

თუ არ გითხარ, სად იყავი?
ან მიდიხარ საით,
არ გეგონოს გულში მაინც
არ ვიფიქრე წამით.

თუ ყვავილებს შევხვდი ველად,
გვირილა და სოსანს.
არ იფიქრო არ ვნატრობდე,
სიტყვას ვთხოვდე მგოსანს.

თუ მაგ თვალთა, სხივთა ფრქვევამ,
გზა ვერ გამინათოს,
არ გეგონოს შენ სტყუოდე,
ბედი ასე მათოვს.

თუ ვერ გითხრა, ტკბილი სიტყვა,
თუ მუნჯივით ვიყო.
არ გეგონოს ჩემს ფიქრებში,
დგმურად, რომ არ იყო.

მეუღლეს

შენი თვალების სხივი,
არემარეს ანათებს.
გულში სიხარულსა მგვრის,
სიყვარულით მამაღლებს.

ეს რა გაჩნდი ამ ქვეყნად,
ყველაფრით მისაბაძო.
ნეტავ შენის ცქერითა
და ალერსით გამაძღო.

ვერსად ვნახე სადარი,
შენი სახის ფერისა.
სულ სხვა გემოვნება ხარ,
ხვედრი ჩემი ბედისა.

ღამით მთვარის შუქი ხარ,
ვარსკვლაების ციმციმი.
სულ რომ შენ არ გინდოდეს,
შენი სახე მიცინის.

ჩემო დიდო იმედო,
მზეო ხვალინდელი დღის.
ჩემო ტკბილო მეგზურო,
ყველა დარჩენილი გზის.



ვაჟა სამსონიძე (სამცხელი)

ქ. ახალციხე

სალამი თბილისს!

სალამი თბილისს,
სალამი თბილისს! -
მე კვლავ შენთან ვარ, დედაქალაქო! -
გრძნობათა ტალღა მძლავრად დამივლის,
რომ სიყვარულზე გელაპარაკო.

არ მიყვარს სესხი,
მე ვინმე მესხი
საკუთარ ლექსით გებულბულები;
მაღლით მთაწმინდადა „ივერია“
შენ გიმღერიან დაუსრულებლივ.

არცერთ ეპოქის არა ხარ ვალში,
კოხტა რაინდო, მარად უკვდავო, -
ვით სიყვარული მიჯნურის თვალში,
ცაც ისე ლურჯად ჩაგიმუქდაო!

* * *

მაყვლის თვალებით
და ბლის ტუჩებით
მოფენილია ჩემი ქუჩები, -
ასე თავნება, ასე ურჩები,
ო, მათ სიყვარულს ვერ გადვურჩები!..

მწველი ფიქრებით კვლავ ვიმოსები
მაგ შენი ტაძრის ეზო-არეში,
გარს მიმოდიან ანგელოსები,
დავალ ოცნების სიანკარეში...

„სალამი!“ - ვამბობ და თვალმაყვალებს
ხელს ვუწვდი ნაზად, ვეალერსები, -
იქნებ თბილისი მათ შემაყვარეს,
მათ შემაყვარეს იქნებ ლექსებიც!

სამცხით მავალი მტკვარის კვალდაკვალ
მხურვალე გრძნობით გავადნობ ივლისს, -
მე გამარჯვების ყანწი გადავკარ:
სალამი თბილისს,
სალამი თბილისს!!!

* * *

არქეოლოგია
არხევს მელოდიას
და ეხმიანება მესხთა მიწისქვეშეთს, -
უცხო,არამქონე კაცი მე როდი ვარ,
დიდი ისტორიის დიდი თესლი ვთესე!..

მთებში

რომელი მკერდი ჩაგიზნიქეს,
შენ გენაცვალე,
რომელ ბორცვს, გორაკს
დაებჯინა მტარვალის ფეხი,
რად მტრობდნენ სამცხეს,
რას ერჩოდნენ მესხთა ნაკვალევს,
რატომ დაღავდნენ ჩემს ედემ-ბაღს
ცეცხლით და მეხით!
აღარც თამარი,
არც რუსთველი,
ახალციხელნი, -
მესხეთში დასხდნენ ქედმაღალი ათაბაგები,
განუდგნენ მეფეს,
თვით გამეფდნენ,
იყვნენ ფიცხელნი,
იუფლეს დიდხანს,
მტერს ხვდებოდნენ ჯიქურ, გაბედვით!
მაგრამ საწუთრომ უჩინარად
ჰკრა გლოვის ზარსა,
ბილწთა, ბოროტთა
შური, მტრობა მოგვეძალადა, -
მოსწყდა ყოველი,
გაცამტვერდა, მიეცა ქარსა,
დაემხო ციხე, რა ტაძრები
დაბა-ქალაქთა!
რა ხალხი გვყავდა
დავლა-მრავლად,
რა მიწა გვქონდა! -
ათასი ჭირი
მტერთ დაგვმართეს,
იმად ვარ მწყრალი;
მინდა გარდვიჭრე,
მიმოვლეწო,
კვლავ ტრაპიზონთან
დავცე საზღვარი
ულახავი და მიუვალი!
დღეს კი,
შუაზე გაყოფილ არს
ძველი დიდება, -
აი, რაშია
ჩემი გულის ცეცხლისკიდება!..

ელეგია

მზის შესახვედრად აღმა მავალსა
სხივთ შემიმუსრეს ელვა თვალების;
განვვლე ბაღნარი, გავყევი ქარსა,
დავალ უდაბნოს, ვით ნამთვრალები.
მიძინებულა, გარინდებულა,
სამარადჟამოდ თითქოს ყოველი;
ანკარა წყარო, ჩანჩქრისებურა,
აქ ასამღვრევად როგორ მოველი? _

რამ დამადუმა,
ირგვლივ რად დუმან,
რად შეწყვეტილა მღერა უბადლო, _
გული განიცდის,
სული დაბმულა,
არც მე ვხმაურობ, აღარც უდაბნო!..

გამოთხოვება

ღამდება,
მზემ გადიწია,
სიკვდილი მოიპარება,
წამოიმართნენ ღრუბელნი,
ბნელი მოჰფინეს მთვარესა:
„- ნუთუ აქ დამიღამდება,
თბილის-ქალაქის არესა,
ვეღარ ვიხილავ მაღალ მთებს,
ხმალს მტერზე ვეღარ გავლესავ,
ვერ წარვუძღვები ლაშქარსა,
გმირთ მხარ-მკლავს ვეღარ გავლექსავ! -
ვაგლახ, სიმუხთლევ, სად მომწვდი,
სად დამეც მკერდში მახვილი,
რა დროს კვდომაა, მაჩვენეთ
მთანი ლაჟვარდში აშლილნი,
არ ძალგიძთ? - მაშ, დავუძლურდი,
წახდა სიცოცხლის მანძილი!..
მაშ, წყალი მასვით ანკარა,
მთაწმინდას გადმომდინარი,
ძირს გამიშალეთ ყვავილნი,
უკვე სიმშვიდის მფინარნი,
თუ ვკვდები, მათში ვკვდებოდე,
სულს ვლევდე პირმოცინარი!“
სიკვდილი უჭერს არტახებს,
ვაჟა მკერდს ირთავს ყვავილით:
„ - თქვენ დამიკრიფეთ გულ-ხელი,
ვიცი, ფშავს ვეღარ გავივლი,
გემშვიდობებით ქედებო,
ვეღარ ვვლო თქვენი მე გზები,
მაშ, ჰა, მიიღეთ საჩუქრად
ჩემი თქვენდამი ლექსები!..“

სამცხის მზიურ მთებს

სამცხის მზიურ მთებს,
ჩუქურთმიან ქვებს,
სხვა ვინ შეაქებს,
როგორც სამცხელი! -

მისი დიდების,
მისი მკვიდრების,
ყველას ვპირდები,
ვრჩები დამცველი!

ამ ულურჯეს ცას,
რომ არა სცნობს ზღვარს,
ვერ გადვუშლი სხვას
მე არგალექსილს, -

აქაური მზე,
მთვარის სინაზე
დამწვავს, ამაგზნებს,
შოთას ალერსით!

ეს მხარე მე მგავს,
დასაბამიდან,
რაც დრო გავიდა,
მე მას შევყურებ, -

ეს მთა, ხევი, ცა
ვერსად გამექცა,
გრძნობის მორევს, ზღვას
ისე შევცურე!..

გზაჯვარედინზე

წყნარი დუმილის მონა-მორჩილი
გზაჯვარედინზე დგახარ რიდებით,
ვეღარ ვიხილე შენი ქორწილი,
ნეტავ როდისღა გამობრწყინდები?
არარა მოაქვს უმოქმედობას,
ნუ, ნუღარ ჩაჰკლავ ბედნიერ დრო-ჟამს,
მიუალერსე ძვირფას მეგობარს
და სიყვარულის აღმართე დროშა!
რის მომცემია ძრწოლა, წუწუნი,
ფილოსოფია, მიდებ-მოდება, -
შენ კაცი გქვია ამ საუკუნის
და არ შეგშვენის მოთქმა-გოდება!
შენ კაცი გქვია, იყავ ვაჟკაცი,
საქმე აკეთე გასაკვირველი, -
მკერდში აინთე გული ას კაცის,
შექმენ ცხოვრება, იყავ პირველი!
ო, როგორ მინდა, რომ იყო ღირსი
ამ ძველი მიწის, მამაცი ხალხის;
გიჩქეფდეს ძარღვში ამაყი სისხლი,
წინაპართ სახელს ძირს ნურც შენ დახრი!
მზე შენც გიმზევებს, ნუ დაიმღვიმებ,
არ დაივიწყო ღმერთების ვალი, -
უწყვეტ ნაკადად წარმოავლინე
შენი მეობა და მომავალი!
არ დარჩე ყოვლგნით შემოძარცვული,
როგორც უდაბნო, კლდე-ღრე, ქარაფი, -
ამარადჟამე ჩვენი ქართულით
ეს მთა, ეს ხევი, დაბა, ქალაქი!...

ილია ჭავჭავაძეს

შენ კაცად-კაცის ძებნად ხელში გეპყრა სანთელი,
თვითონ შენ იყავ კაცად-კაცი, დიდო ილია, -
აწმყო, წარსული, მომავალი გწვავდა ქართველის,
ეგ სიყვარული სიკვდილამდე არ დაილია.

არ გაქცევიხარ სწორ მეტოქეს ორთაბრძოლაში,
სიტყვა მტრის გულში მახვილივით გაგიტანია! -
არ წაქცეულხარ იმ უკუღმართ ჟამთა სრბოლაში,
უსასოობის ცრემლით თვალნი არ გინამია.

დაღლილი ქვეყნის მთებზე იყავ შემოწოლილი,
ედექ გუშაგად ქანცგაწყვეტილ ივერიელებს;
შენი ღვწის ოფლი ცრემლთა შორის ჩანდა ბროლივით,
და ეს ბროლი კი.. ქართვლის გულში მარად იელვებს!..

* * *

ვიცი, დრო მოვა, შევივერცხლები,
თმებს დააჩნდება თეთრი ზოლები,
მაგრამ მაშინაც შენი მერცხლებით
ვიქნები ასე ანათრთოლები.

მაშინაც ასე შემიჩქროლდება
გული სათუთი და საყმაწვილო;
გუშინდელი დღე არ მეორდება,
რომ უკეთესად გავანაწილო.

ეგ გამოხედვა სულს კვლავ ამივსებს
შეუცნობელი შვება-წუხილით;
ხან მინდა წყნარად მოგეალერსო,
ხან ლექსი გითხრა ვაჟას ქუხილით.

ხან მიმარინდებ ემაგ სინაზით,
ხან ამაღზევებ, გამადიადებ...
ვით მზე ანათებს მთვარის ჯინაზე,
ისე იბრწყინე, ისხივკიაფე!..

* * *

დრო წაართმევს
მაგ ბაგეებს ვარდისფერებს,
და მორცხვობით
აღარც ლოყა აალდება...
ვერ ავიტან,
მშვენიერო, შენს სიბერეს,
შენგან გული
კაეშანით დავალდება;

წამწამთ შორის
ტბებში სიო ჩაგიქრება,
უშავეს თმებს
დაგისერავს თეთრი ზოლი,
და სამცხელიც
მძიმე ფიქრით ჩაფიქრდება,
კიდევ ერთი
მოსწყდება მის ბაღს ფოთოლი...

* * *

მე გავარღვევ ყველა ჯებირს,
ყველა მტანჯველ მოკრძალებას, -
გაიგონ, ვით გეაჯები,
ვით მჩვევია მოძალება.

მორჩა! დავთმე, დავამსხვრიე
კაცისა და ღმერთის შიში, -
ეს შენ მსურხარ ასე ძლიერ,
შენკენ ლტოლვას ვერ მოვიშლი!

შენ დამათვრე შოთას ლექსით,
ტატოს მერნით გამაქროლე,
შენ დამაძმე მიჯნურ ბესიკს,
ყაზბეგივით ამათრთოლე.

ვაჟასავათ ამამქუხრე,
ვიდრე წვერმა დამათიოს,
სამუდამოდ დამამწუხრე,
თუ შემნიშნო ღალატიო!

იქნებ ცოტა დაიჯერე,
ყველაფერი არა თქვიო...
წრფელი გულით დაგიწერე
ეს პატარა ბარათიო...

აწყურები... ხერთვისები...

ამ ხევებს, იმ ხევებს
გასცქერის თვალები,
ვჩურჩულებ:
ამ კლდეებს, ციხეებს
შეაფშვნეს თავები
ურჯულოთ!

ათაბაგთ ხელთ ეპყრათ
„დიდებულ მესხეთის“
დიდება, -
ვერ მიხვდნენ, ვერ ეთქვათ:
„ჟამი, რა, გასრესას
გვპირდება?“

ბარბაროსთ მრავლობამ
წალეკა მამაცთა
მხედრობა
და მაშინ დასრულდა
ციხეთა მძლავრობა,
მედგრობა!

რამდენი ვერაგი,
რამდენი მაცდური
გვეფეთა, -
ვერ შესძლეს ვერავინ
ხერთვისის, აწყურის
შეკვეთა! -

უცხო რამ, ართქმული
წალკოტი მოვქარგეთ,
ჰყვაოდა;
ხმატკბილი ქართული
ისმოდა სპერ-კლარჯეთ-
ტაოდან!

სერავდა დას-დასად
ცას ცეცხლის მძვინვარე
ენები,
დააჭრეს ვაზსა და
მესხთ სისხლის მხურვალე
ვენები!

იდგნენ, ვით სალი კლდე!
მიწისძვრამ განგების
მოგვისწრო, -
ის მტრებიც დამიწდნენ,
ვინ იყო დამცემი
თმოგვისა!..

ანაზდად მზის კიდე
შეგარსა ყორნის ფრთამ
ღამისა, -
გადასწვდა შავ ღრუბლებს,
მიწა, ცა დაფარა,
დანისლა;

სულს ლევდა... ლამობდა...
დაიწვა... დაიქცა
ბევრჯერა, -
ბოლოს კვლავ წამოდგა,
სიკვდილი მაინც არ
ეწერა!

რა დარი, მზე იდგა, -
ყანა-ბაღ-ვენახი
ახარა...
გვნათობდნენ ზევიდან
ჩუქურთმა-შენახვით
ზარზმა და საფარა!

მოასკდა მზიანეთს
შავი ზღვა თავზარით
ბათომთან, -
შეგვიდრკა სიამე,
სიმაგრეთ ზანზარი
გაჰქონდათ.

ახალ მზეს მივყვები,
იმ აურზაურით
ნაფერმკრთალს, -
კვლავ მესმის სიტყვები,
სიმღერა, ხმაური
ქართველთა!..

* * *

ალბათ ატყობ შენ ამ გრძნობის შეფითრებას
მელანდება სურათები მე წამების, -
საქართველოს მესამედი მეფიქრება,
სად წავიდა საქართველოს მესამედი!..

ციცო მაისურაძე

მარტის ხელი

ისევ შემომხვია,
მარტმა ცივი ხელი.
მის ცრემლიან მზერას
ვეღარ გავუძელი.
გულზე ენძელების
დაიბნია მთვარე,
სულში ჩამისახლა,
კითხვით სავსე ღამე.
განსატევებელი
შორს წაიღო ფიქრი,
ამიშარდა მარტი,
დღეებს ისევ ვითვლი.
ზამთრის ძილის ბურანს
დააღწია თავი,
ბორგავს, არტახებში,
გამოიხსნას თავი.
შემოხვია მარტმა,
დედამიწას ხელი,
შეაფრქვია მთა-ბარს,
გაზაფხულის ფერი.

გულის ტკივილი

მე, რომ ჩემი მამულის
ტკივილი არ მტკიოდეს,
გული არა ჩიოდეს,
ცრემლი არა მდიოდეს.
ვიღაცას არ შიოდეს,
ვიღაცას არ სციოდეს,
სისხლი არ იღვრებოდეს,
დღე არ იბინდებოდეს.
ვიღაც ამ ჩემს სამშობლოს
აღარ მედავებოდეს,
მუხლზე არ დამაყენონ
ეს არ მედარდებოდეს.
სიყვარული ერთურთის
ძველებურად ყვაოდეს,
ვიღაც რაღაცისათვის
არასოდეს დაობდეს.
როგორ მინდა, რომ მამულს
არასოდეს ტკიოდეს,
სულში სანთელი მენთოს,
ნაკვერჩხალი ღვიოდეს.

ცხრა მუხლი

ერუშეთის მთათა მიღმა,
გასაყარში ცის და მიწის,
ვებერთელა ოთხი ჯვარი
აღმართულა ნიშნად რისხვის.
თეთრი კაბით შემოსილი,
დაიმორცხვებს ტაბახმელა,
ფიქალ გვერდი გაწოლილა,
დრო გასულა დრო რამხელა.
მეხდაცემულ მუხასავით
წაქცეულა ბაქორა,
იყო ჟამი, როცა შიშით
მტერს კანკალი გაჰქონდა.
ცხრა მუხლია ჩაუხრელი,
ცხრა გული და ცხრა კარი,
გუგუმ ჯვარზე მტერს შლეგურად,
ცხრა ლახვარი დავკარით.
ერუშეთის მთების შუა,
თმოგვში დიდ ჭის ალაგზე,
ცივ წყლით წყურვილს იოკებდნენ,
მეომარნი გავლაზე.
ბაქორა თუ ბახტრიონი,
ბებრის ციხე ოხერა,
მტერმა მაინც თავისი ქნა,
მოაოხრა მოთელა.
ანაგული, გუგუმ ჯვარი,
ნაგუთნების,სალი ჯვარი,
გაბრწყინდება საქართველო,
გაგვეხსნება უფლის კარი.

თმოგვის ციხეს

ქედი აზიდულა,
მორღვას წარბებივით,
ქუფრი შორსმჭვრეტელი,
რაღაც სევდიანი.
თავზე დღის ნათელი
ჭაღარას უკოცნის,
ცაზე ფთილა ღრუბლის
ცურავს ცრემლიანი.
ირგვლივ თირებია,
მტკვარის შეძახილი,
მაღალ კლდეების
გაისმის ოხვრა.
აქ წუნდა ქალაქი
მიწიდან ღაღადებს,
და ქაჯთა ქალაქის
დამთავრდა მოქმა.
გმირთა სავანეა,
ბერთა სალოცავი,
ტბები ლელიანი,
წყლები სოცარი.
მარნის კარიბჭიდან
ვანის ქვაბებამდე
ბილიკი ჩაკიდულა,
თმოგვის კარებამდე.
ქედი აზიდულა,
მაღლით ერუშეთის,
მორღვას წარბებივით,
როგორც მთა თუშეთის.

მჭევრის სიზმარი

მჭევრის მთამდე
საცალფეხო ბილიკები,
მუხლ ჩაუხრელ
წინაპართა კვალი,
ბასილაანთ გორაა
თუ მოსე პაპას,
ყველამ ზიდა
თავის წილი ჯვარი.
წუნდას გვიხმობს,
დედო ზარის
ხმა მჭექარი,
დაღვრემილი
იმზირება თირი,
აქ ლელიანს
ბეღურები შესევიან,
მისრიალებს
ტბაში ნელა ტივი.
მჭევრის მთიდან
დაკიდული ბილიკები,
გადაღლილი
მიბუტბუტებს მტკვარი,
გასალეწად
განწირული ჩემი მიწა,
მტერზეც მერე
ამოყრილი ჯავრი.

მოგეფერები

მოგეფერები, მერე როგორ
მოგეფერები,
თითეულ შენს კენჭს მონატრებულს
ვეამბორები.
ხელის კანკალით სალოცავებს
დავუნთებ სანთელს,
შენს წყლებს გიჟურად მონავერდეს
ვუმრერებ რამდენს.
მოგეფერები, ცრმლ ნარევი
მოგეფერები,
ზურმუხტის ფერად შეიმოსნენ
ალბათ ქედები.
ამწვანდებოდა ჭალის პირას
ბერი ვერხვები,
აფეთქდებოდა ნაირფერად
შენში ტყემლები.
მოვეფერები, მერე როგორ
მოვეფერები,
იმ უხმო ლოდებს დადუმებულს,
გულის ფიცარზე,
ჩურჩულით ვეტყვი, წინაპრებო
თქვენი ცხოვრებით
ჭირით და ლხინით ქვეყანაზე
ღმრთი ვიწამე.

თუ

თუ წაგვიბილწეს
დედის საფლავი,
თუკი აგვყარეს
ტანზე აბჯარი,
ასეთ სიცოცხლეს
სიკვდილი მიჯობს,
თუ მოვკვდი მერე
დიდი ამბავი.

გრძნობა

ქარიშხალივით გადაუვლის,
გრძნობა მწვერვალებს,
ელვა-ქუხილით დაატყდება
ტყესა და ტაფობს.
მერე დაცხრება, დამშვიდდება
ასევე მყისედ.
და არე-მარეს ცრემლნარევი
შემოსავს ნისლად.

კესელოს ციხეს

ომალოში, სალ- სიპ კლდეზე,
არწივთ მართვეს, ნაბუდარზე,
აღუმართავთ თუშებს ციხე,
ალესილი ხმლების ხმაზე.
ღრუბლებს ზემოთ ცის წიაღში,
სად ბინა აქვთ წმინდა ელფებს,
კესელოა მოციქულად,
იქ გვავედრებს მარლა ღმერთებს.
მზის სხივი და წვიმის წვეთი,
გულს უგრილებს, ბებერ ციხეს,
აქ მამაცი ვაჟკაცების
ის ითვლიდა, ხშირად რიგებს.
ხმა ხმლისა და ხმა ბიჭების,
დროის მიღმა დაკარგულა,
დარჩენილა მხოლოდ ციხე,
ცას სვეტად, რომ აღმართულა.

ბავშობის ჭინკა

ჩამოვუარე ბავშობის ქუჩას,
ეშმა კამათელს ისევ მიგორებს,
მივწვდი მეზობლის ბროლთვალა თუთას,
ბავშურ სიხარულს ვეღარ ვიოკებ.
ჯირკზე დამჯდარა წითელი ჭინკა,
ლაღი ბავშობის დღიურს მიფურცლავს,
წინ გადამიშლის ბავშურ სამყაროს,
მერე კი უცებ სადრაც მოკურცხლავს.
შორს ერთმანეთში ჩაწნულა მთები,
ისევ კამათელს აგორებს ჭინკა,
სევდანარევი გული ჩურჩულებს,
მომნატრებიხართ სადახართ ნეტა.
თქვენც გელით ალბათ ბავშობის ჭინკა,
ჯირკზე დამჯდარი, დედის თვალები,
იქნებ წარსულისც ისე დაბერდა,
ვით ბებიების თბილი მკლავები.

თმოგვს

თოვლის ნამქერი ტერასებად აჭრილა მთებში,
ოქროსფრად ხავსი მოსდებია ძველისძველ ყორეს,
მამლის ყივილი შეწყვეტილა, სუნთქვა კაცისა,
აქ ალბათ ცხენი ამოჰყავდა
დიდ სულმნათ თმოგველს.
სდუმს აქ ტაძარი, ქართველთ
რწმენის დიდი ღადარი,
ძლევამოსილი, არჰყოლია ირგვლივ ბადალი,
აქ ამ სოფელში ირწეოდა გმირთა აკვანი,
დუღდა სიოცხლე კერიაში ენთო ლამპარი.
ფიფქის ნამქერი ტერასებად აჭრილა, თმოგვში,
ოქროსფრად ხავსი მოსდებია ძველისძველ ყორეს,
მივიწყებლი ისტორია თოვლის ქვშ გოდებს.

წელთა ფიქრი

ხევში ჩრდილი ამედევნა,
ასკილის და მაყვლის,
სურნელება ტრიალებდა
ასკილის და ფშატის.
დილა იყო საოცარი,
სილამაზის თარეში,
მდინარე გახვეულიყო,
მზის სხივების ბადეში.
სველ ბილიკზე უნებურად
დასრიალდა, წელთა ფიქრი
და ოცნებამ ამიტაცა,
მაღლა ზეცას,
როგორც ზვირთი.
ცის სახებას, ცის ხატებას,
მიწა ფეხქვეშ გაეგო,
და ბუნება, ეს წალკოტი
ფიანდაზად დაეგო.

მარინა გაჩეჩილაძე

***

დღეს მეგვერდზე გაგიარე, ამარიდე თვალი,
ჩავიარე და ჩემს გულში, გიზგიზებდა ალი,
ისე რისხვით მივდიოდი, ვით არწივი მთაში
ბევრის თვალი მაცილებდა არც ერთს ჰქონდა აზრი.

მივდიოდი თითქოს ჩემ სგულს, არ ტანჯავდა დარდი
თავი არც კი დამიხრია, შუბლზე მქონდა ღარი.
მივდიოდი მაცილებდა ტკივილი და სევდა,
მაგრამ, სახე არ იმჩნევდა, სიყვარულის ბედვას.

მინდოდა, რომ მომეხედა მონატრება ქროდა,
მსურდა გულში ჩაგეკარი, თუნდ რქმეოდა ცოდვა.
მივდიოდი კანკალებდა, გული, წყრომით რისხვით,
მსურდა ცრემლებს ჩაერეცხა, სიყვარულის ფიქრი.

ვერ მივმხვდარვარ შენს სახეზე, ვიტანჯები რისთვის
გულში როდის შემოიჭერ, არც გაქვს დრო და რიცხვი,
არც სიტყვა და არც ყვავილი გიჩუქნია ჩემთვის,
ასე, როგორ შემიყვარდი, გადამრიე რითი?

მე დღეს დარდი გულში ვმალე, აგარიდე თვალი,
იქნებ, კიდეც შემომხედე, მიყურებდი მალვით...
გვერდზე არც მე მოვიხედე, გულში მქონდა ბრაზი,
ვაი, რომ ვერ დამემალა, ცრემლიანი თვალი.

აღსარება

ღამეს ვარსკვლავით გადაფენილს ცის კიდობანზე,
შავი ღრუბლები კრუგს ურტყამენ, ჩემი ვედრებით
ხიდის ქვეშ მჯდარი, ცოდვიანი კაცი სტიროდა
უფალს კითხვებით აბეზრებდა და თან ჩიოდა.
ასე უაზროდ ხეტიალში წლები გავლლიე
ღვინის სმასა და თამაშებში, სულიც გავყიდე
დედის თვალები არ დავინდე, ცრემლად გავლიე,
ვინც შემიყვარა, შევაცდინე, ხელი დავრიე
პატიოსნება დავუკარგე, შემდეგ გავწირე.
ვინც სიახლოვეს მომეკარა, ვერ გაიხარა
ჩემმა ბინძურმა სულმა მათზე, ხელი იბანა
რაც რა მებადა ყველაფერი ქარს გავატანე.
ბედნიერებას ხელი ვკარი, არ დავაფასე.
საყდრის კარებთან მივიყვანე და მივატოვე.
მითხარ უფალო, მე ასეთი რად დავიბადე?!
გახსოვს, უფალო გუშინ დილით, როგორ დავთვერი?
შუა ქუჩაში გალეშილი მწარედ დავთვერი.
ხალხის სიცილი, მიმატებდა ტკივილებს მწარეს,
ვიღაცის ფეხებს ვეხებოდი მოვლილს და ნაზებს,
თავი ავწიე დავინახე ქმნილება ნაზი,
თმები ჯიუტად ეხებოდა მის ლამაზ სახეს.
იდგა, უძრავად, გაყინული ვით ქანდაკება
და სევდიანი უსველებდა ცრემლები სახეს.
წამომაყენა უხმოდ, ჩუმად ქუჩას გაუყვა,
მე კი დამტოვა, ფიქრიანი, თავ-გზა ბნეული,
და უხმო ცრემლით მიმახვედრა, რომ ვარ წყეული
ეხლა უფალო, აღსარების მომინდა თხრობა,
მსურს გავიწმინდო დატანჯული ჩემი, ეს გული
მინდა, შავ ღვინოს სამუდამოდ გამოვეთხოვო,
მწვანე თვალების სალოცავად მედგეს ეს სული
წმინდა დედაო, მაცხოვარო ცოდვილს შემინდე.
ღირსი გამხადე, თქვენს სამსახურს ღირსი შევუდგე.

მრავალ წლის შემდეგ

წლები გავლიამ, ჩენ ერთმანეთს
ვეღარ შევხვდებით,
მე ლოდინისგან გადაღლილი
უკვე გავთხოვდი
შენ რომ მიყვარდი იმ სიყვარულს
დავმალაბ გულში
და როცა გნახავ ამ სიყვარულს
მოგახლი პირში
შენ მაშინ გნახავ როცა უკვე
გვიან იქნება
ჩემს გვერდით ნახავ ჩემზე ლამაზ
პატარა ბავშვსა
შენ მოწყენილი შემომხედავ
და იტყვი წყნარად
ნუთუ პატარა ლამაზმანი
შენია მართლა?!
ჩემს ნაოჭებზე წაიკითხავ
ბევრ დარდსა და ვარამს,
შენ ჩემს სახეზე დაინახავ
სიბერის კვალსაც.
თვალცრემლიანი, შემომხედავ
და იტყვი წყნარად
ნუთუ, ამდენი წელიწადი
გიყვარდი განა?...
როდესაც, შეხვალ შენს ოთახში,
ტანჯულო კაცო
შენ გაიხსენე ის წარსული განვლილი წლები,
შენ დაითალე თუ რამდენი
წელი მიცდია
ჩემი გოგონა ახლა მხოლოდ,
ოთხი წლისია.
მშვიდობით ჩემო ანგელოზო
ბედი ეძიე.
მე ხომ პატარა ლამაზმანის
დედა ვარ უკვე
მართალი არის, ჩემ სახეზე ტანჯვა ატყვია,
მაგრამ ეს ტანჯვა სიყვარულის დიდი კვალია.

ჩემს დებს

საიდ ან მოჰქონდა ნიავს?!
ხმა სანატრელი და ნაზი,
ოთხი ცისფერთვალა გოგო
მთვარეს უღიმიან ღამით.
სიცილი, ტირილი, სიმღერა
ერთმანეთს ერწყმიან მადლით,
დედის მხიარული ძახილი
მამის დაყვირება ბრაზით.
ბუდეში შეფრინდნენ ჩიტები
ბუდეც ააჟღერეს ღამით,
ჩემო კუდრაჭებო, ლამაზებო
მარეხი, მადო და მარი.
ჩემო საღვინე და მდინარე
სად ხართ ბავშობის წლებო
როგორ მიყვარხართ და მენატრებით
ჩემო ცისფერთვალა დებო.

რა ვქნა, რა ვქნა

გაიცრიცა ცაზე ნისლი
აიშალა ღრუბლები
მიდიხარ და აღარ მოხვალ
აღარ დამიბრუნდები.
სიყვარული გულში დამრჩა
მოგონების ამარა
დამავიწყდა შენი სახე
აღარ მახსოვს აღარა,
მაგრამ მაინც შენზე ვფიქრობ,
ისევ ძლიერ მიყვარხარ
თვალზე ცრემლი დამრჩა დარდად
შენზე ფიქრი შემრჩა მარად.
შენს დავიწყებულ სახეზე
ისევ, ვფიქრობ წარა-მარა,
გავა წლები, მიდის ჩქარა
სილამაზეც წავა, წავა...
შენზე ფიქრმა დამაბერა
ჩემთვის ცისკრის ვარსკვლავს გავხარ
ერთი ნახვით შემიყვარდი
მთელ ცხოვრებას ჩემთნ არ ხარ,
მაგრამ, მაინც ვერ გივიწყებ
მიყვარხარ და რა ვქნა, რა ვქნა?

***

გზისკენ, რად გარბის, ასე დარდით ჩემი თალები,
ვის გამოჩენას ელოდება ცქერით დაღლილი,
ან და რა დარდმა დაუკარგა სხივი არწივის,
რომ ვეღარავის ვეღარ ამჩნევს სევდით გავსილი.
ყველგან ვარდები ეჩვენება წითელ ფერებად
ხელს გაიწვდის და ვარდის ყლორტიც უმალ გაქრება.
ყვეელგან ბარათი ელანდება ლამაზ წარწერით:
„მე თქვენ მიყვარხართ ქალბატონო, მთელი არსებით“
ფანჯრებში შუქი იხედება დილა იწყება
საქმე წაიღებს მთელი ღამის ფიქრებს სევდიანს,
თვალები ისევ დარდით მზისკენ იხედებიან.
ვერ მშვიდდებიან, მოჩვენებებს ვერ ელევიან.
მსურს დავიძინო,მაგრამ ძილი თითქოს გამიკრთა,
გთხოვთ, დამაძინეთ იქნებ ფიქრი სიზმრად ამიხდა.
ჩუმად თავისთვის ქირქილებდნენ ჩემი სტუმრები,
ვერ დაიძინებ, რადგან მარტო ჩენც ვერ ვიქნებით.

***

შენმა სიყვარულმა, მე ლოთად მაქცია
დღე და ღამ ღვინით ვთვრები
ისეთ სადღეგრძელოს წარმოვთქვამ
ცრემლად დაიღვრება ღმერთი,
იქნებ შემიბრალოს, შემიცოდოს,
თქვას, მიჩუქნიაო შენთვის.
ამით შენ დაგლოცავ სიყვარულო
გულს, რომ ჩმისახლდი სევდით
არც დაფიქრებულხარ, რა ქენი
ისე დამილიე დღენი.
სიცოცხლეს მოკლებულს გაუმარჯოს
სიყვარულს ჩამარხულს სულში
თვალებში მომდგარ ცრემლებს და
უკან დაბრუნებულს გულში.
სიტყვებს სათქმელად მომდგარს და
ენას დადუმებულს პირში
ვერ ვთქვი, ვერ გითხარი, ერთი სიტყვა
ყოფილა სათქმელად ძნელი,
ალბათ, ქალი ვარ და ვერ გავბედე
თუ რა დარდი მქონდა ერთი,
ღვინოს მივეძალე ალისფერს და
ღვინომ ამიშალა ეშხი.
ახლა მაინც ვიტყვი, ამ ჩემ სათქმელს
თუნდაც აქ დამეცეს მეხი,
„მე შენ შემიყვარდი ჩუმად და მალულად
მე შენს სიყვარულში ვკვდები“,
ორს სიგიჟემდე ვუყვარვარ ხალხო,
მე კი ვისაც ვძულვარ ვეტრფი.
თვალები დახუჭ, ჭქა გამოსცალა
არც კი დამალა ცრემლი
თავი ასწია და იმ ერთშ მიაჩერდა,
თქვა, მუდამ გფარავდეს ღმერთი.

ოცნებას მისტირი

მიყვარდი ყოველთვის, ძალიან მიყვარდი
ოცნებით ზღვაში და ღრუბლებში ვფრინავდი,
გეძებდი, მეგონა კვლავ ძლიერ გიყვარდი
და მივხვდი ცხოვრება ყოფილა სიზმარი.

დღე და ღამ ქუჩაში შენს თეთრ ლანდ დავსდევდი
და ყველას თვალებში შენს თვალებს ვხედავდი,
ვიცოდი, ჩემს ახლოს არასდროს იყავი
ვგრძნობდი, რომ ყოველთვის, ყოველთვის მიცავდი.

ტირილის, ტკივილის, სითბოს და სიცივით,
რომ გამახსენდები ხან ვტირი, ვიცინი
ნაოჭი, რომელიც შენს ფიქრში გამიჩნდა
შენივე ფიქრებით უკვალოდ გამიქრა.

ნეტავი ამ წუთას რას გრძნობ და განიცდი
ვის ალერსს ნატრულობ, ვის კოცნას დასცინი,
ვინ არის ის ქალი, რომელსაც ვერ მიწვდი
და მთელი ცხოვრება მის სახელს მისტირი.

ზაირა კეღოშვილი

სიკვდილ-სიცოცხლის გზა არის და...

ცა დედამიწას ხან შეჰხარის, ხან მოსთქვამს, ტირის,
არღანი ტკბილი ამშლელია თბილისზე ფიქრის,
ჯიხვი ჭიუხვებს მიუყვება, სჯერა, სწამს, იცის,
სიკვდილ-სიცოცხლის გზა არის და ის მაინც მიდის.

რა ტყეა თუკი აღარ მოსავს წიწვი და გირჩი,
არც ჩემი წასვლით არ ჩამტყდარა სიცოცხლის ხიდი,
ისევ კაშკაშებს, ისევ ერთვის მზე-მთვარეს ბინდი,
შორს ვარ, თბილისო, შორს, უშენოდ სიკვდილი მიმძიმს,
ტალღები მარწევს, მიწა ბორგავს, ცა საწყლად ტირის,
ვიღას ვჭირდები უცხო კარზე დამცხრალი ზვირთი,
წუთისოფელში გათენდება და მოვა ბინდი,
მთვარე მნათობი იმძლავრებს და მეხსნება ტვირთი

პატარა კახი დღეს კრწანისთან ამალას უცდის,
თუმცა ამაოდ, შორს წასულებს თავს ვეღარ გვიყრის,
ეს მერამდენედ, ეს მერამდენედ შორით მუხლს გიყრი,
პატიებას ვთხოვ მამადავითს, საფარას, ყინწვისს,

მთლად საქართველოს სალოცავებს გავედრებ, ვინძლო
შენს წინ მუხლმოყრა, აღსარება, ლოცვა შევიძლო.

დეე...

ცალად დარჩენილო დედა,
როგორ შეგიმშრალო ცრემლი,
ცად აფრენილ ჩემს ოცნებებს
ნეტა, დამსხვრეოდა ფრთები .
დეე, იცი, მეც მაწუხებს,
ეს ტიალი ჩემი ბედი,
უშენობის სევდა-ვარამს
ვერ დავუშრე მწუხრის ცრემლი.
დეე, სახლ-კარს გაუფრთხილდი,
არ დაჟანგდეს მამის ცელი.
წიგნი წასაკითხი დარჩა,
არ გააჩნდა ოქრო-ვერცხლი,
მინდა კიდევ ერთხელ ვნახო,
თეთრად შევერცხლილი თმები,
ერდოს თოვლი აარიდე,
არ დასველდეს ოდის ჭერი.
მამა-პაპის საფლავის ქვებს,
ფრთხილად გადაუსვი ხელი,
ცრემლით მორწყე და მონამე,
იას არ ეცვალოს ფერი.
„სოფლისწყარო''„წიპათწყარო'',
დეე...სიზმრად წუხელ ვნახე,
თუნგით მოტანილი წყალი,
ოფლით დანამული სახე.
დეე, სიზმრად ისიც ვნახე,
როგორ მაცილებდი გზაზე,
ცრემლი როგორ აკიაფდა
სევდა ჩამდგარ მიმქრალ თვალზე.
აგარიდებ ყველა განცდას,
ჩუმი ოხვრით, ტანჯვით, ლოცვით,
ოღონდ კარგად დამხვდი დედი,
შემისრულე თხოვნაერთი.
ტყუილ-მართალს ვურევ თავ-გზას,
დეე, მე შენი ბევრი მმართებს,
მარტოობის საკანს ვამტვრევ
და ჩიტივით ვკენკავ საკენკს.

კვლავ იყვავილა ოთხას წლის შემდეგ...

როდესაც ღერი ფესვიდან მოჭრეს,
მესხი კაცის გულს მოედო ცეცხლი,
მაგრამ ურჯულოთ ზიზღი და ბოღმა
არ გადაცვალა ერთმუჭა ვერცხლში.
განდეგილივით შერჩა ტერასებს -
აყრილი ვაზი, სევდა და ცრემლი.
კვლავ უპირებდა აღორძინებას
ჩვენზე მლოცველი მაღალი ღმერთი.
ვაზის ჯვრისა და ნინოს ფეხის ხმას
გზად მოჰყვებოდა მდუმარე სერი...
მირონცხებული გადაეფინა,
მესხი გლეხ-კაცის ვაზს ქარვისფერი...
თვით ანგელოზი გამოჩნდა ცაზე,
ოთხასწლის წინათ მოკვეთილ ფრთებით,
კურთხევა მასაც მისცა უფალმა,
და გაიოცა მესხური გენით...
კვლავ იყვავილა ოთხასწლის შემდეგ,
ვაზმა მესხურმა, ჯიშით და გენით,
აქ, საწნახელში ჩაწურეს უკვე
სუფთა ბადაგი და ვაზის ცრემლი.
და ტერასებზე გამოჩნდა ლანდად,
ხიზაბავრელი კაცი და ღმერთი.

ჩამომაცალეთ ყველა დარაბა

ჩამომაცალეთ, ჩამოლეწეთ ყველა დარაბა,
სულის ამბოხი ვერ ეტევა მიღმა კედლების,
თარეშობს ქარი, მომქანცველი ამაობა,
ისმის გოდება მიუსაფარ ქალთა კრებულის.

აახმაურე ზღვაო შენი შლეგი მუსიკა,
ცამდე აზიდე ქაფიანი ცხელი ტალღები,
შენ?! მებაღეო ის აკაფე რაც გევალება
და გამოფინე აკოკრება თეთრი ვარდების .

გადაინახეთ ჩამოქნილი თაფლის სანთელი,
უკუნ ღამეში გამაყოლეთ ერთგულ მეგზურად,
იქ განთიადზე ჩამოკარით მცხეთის ზარები,
ააჭრიალეთ ჩემი ხელით დაგმანული სახლის კარები.

თავზე ნათელი მომახვიეთ, ჩემი მთა-ბარის,
დამშრალი ცრემლი შემომაჭდეთ ყელზე მძივებად,
თეთრი ვარდები მებაღეო გზა და გზა ყარე,
თუ დაბრუნება ამ გზით თავად ღმერთმა ინება.

ქვაბული

კეთროვანივით შევაფარე თავი ქვაბულებს,
დრო უნდობარი მიდის უკან აღარ ბრუნდება,
„ცაზე მუხუდო ვერ დავთესე“ შენთვის მამულო,
ვერც შენთან ერთად ვიზეიმე სულის პურობა.

ახლა უცხოა ყველაფერი და ყოველივე,
მეზობელივით გამემიჯნა დედა-ბუნება,
„აკროპოლისი“ გადმომცქერის სევდა მორეულს,
მზეს ვხედავ ზღვაში როგორ ჩადის, როგორ ხუნდება.

„ცაზე მუხუდო ვერ დავთესე” შენთვის მამულო,
ვერც შენთან ერთად ვიზეიმე სულის პურობა.

შენი გოლგოთა

გადაამტვრიე ყველა მახვილი,
შენმა მოყვასმა შენ რომ გესროლა,
განა ოდესმე იყო ადვილი,
შენი გზები და შენი გოლგოთა.

ახლაც იგივე გმართებს მამულო,
სიმართლის გზები გასავლელია,
შიგნიდან იწვის შენი საუფლო,
შენზე დღეს ლოცვა აღსავლენია.

ახლა ვემთხვევი ცრემლიან ბალახს,
კრძალვით ვეხები ვით ჩვილი ძუძუს,
შენს გულზე მცოცავ მატლსა და მახრას,
მავანნი ისე ვუკმევენ გუნდრუკს.

შენ ერო ჩემო გმართებს იფხიზლო,
დროშა ასწიო ქართველთ დიდების,
დღეს ყველა ტვირთი უნდა იტვირთო,
დასრულდეს ჟამი ბორკილ- ხუნდების.

სიმართლის დროა და დროა სიბრძნის,
მომსვლელმაწასვლის გზებიც იციან,
რა უსაშველოდ გიჭირს და გიმძიმს,
კაცურად წასვლა განა ხინჯია.

გადაამტვრიე ყველა მახვილი,
შენმა მოყვასმა შენ რომ გესროლა,
განა ოდესმე იყო ადვილი,
შენი გზები და შენი გოლგოთა.

რუსთაველი და კაცობრიობა

ბატის ფრთას კალმად შემოხვია თლილი თითები,
მერე ნელ-ნელა ჩამოწურა მუჭში შარბათი,
გაბაცდა, გაცვდა წუთისოფლის ამაოება,
სიტყვა ქართული ამობრწყინდა როგორც ბადახში.,

„ვეფხისტყაოსნით'' მიჯნურობის ფილოსოფიას
კაცობრიობა აზიარა და რაღაც ბედად,
საუკუნეებს გამოსტაცა სათქმელ- განცდილი,
მეგობრობის და მიჯნურობის იქცა ლეგენდად.

თავად მიჯნური განეფინა ფუძე საფუძვლად,
თავადპირველმა გააოცა ხალხი მილეთის,
თავადპირველი მიეახლა წმინდა საუფლოს
და რუდინებით აიარა გზები გოლგოთის.

კაცობრიობავ, ვერ აღსდგები მკვდრეთით, იცოდე,
არ წაიძღოლეთ უმეგზურად სული ქართული,
თუ არ გშვა სიტყვამ ჭეშმარიტმა, თუკი არ გახდი
თავად მიჯნური, თავად გმირი, თავად ჯვარცმული.

მე და წარსული

რადგან ყველას გვწამს რაც იყო გუშინ,
რადგან უშენოდ ვერა ვძლებ ჩემო,
რადგან სიყვარულს ცრემლები შვენის,
რადგან სიყვარულს წარსულში ვჩემობთ.

რადგან მომავლის ვერ ვხატავთ სურათს,
რადგან ოცნებებს არ უჩანს ბოლო,
მე ისევ წარსულს ვირჩევ მეგზურად
დავრჩები შენთან ბოლოს და ბოლოს.

სეკუნდანტის განაჩენი

ახლა საათი გდია ქვიშაზე,
თვალი ჰორიზონტს მიჰყვება სადღაც,
დრო უჩვეულოდ მიიზლაზნება,
აღარ მჭირდება ძოწი და ფარჩა

ახლა ქარიშხალს ავყვები ცამდე
ის დამასახლებს ღრუბლებზე მაღლა,
პლანეტებს უნდა ჩავუჯდე ნავში,
რაც არი არი ცოტა დრო დამრჩა.

ვნახო თუ როგორ გრგვინავენ ცაზე,
მრავალტანჯული ჩვენი სულები,
ან და, თუ, ადგათ მწველი მზის სხივი,
თუ ამოქარგეს გრძნობით გულები.

ერთი ვარ, გინდათ?!, ასიათასი,
ან უთვალავი როგორც ზღვის ქვიშა,
მაგრამ ერთია წუთისოფელი,
ჩემთვის უძირო აკლდამად იქცა.

გაფანტულ ფიქრებს თავს ერთად ვუყრი,
თუმცა გვიანი როდია ახლა,
ეს სიმარტოვე ოხერ-ტიალი,
ყველა საწადელს თავისით გასცდა.

ომი წავაგე საკუთარ თავთან
და ბრძოლის ველზე დავრჩი მარტოკა,
ახლა დუელი თუ, გადამარჩენს,
თუ არ იქნება ისიც გართობა.

ახლა საათი გდია ქვიშაზე,
სეკუნდანტს აქაც დააგვიანდა,
ცა, დედამიწა, დრო და მანძილი,
სუყველა ერთად დადარდიანდა.

ახლა დროს უნდა ჩავუჯდე ნავში,
გზადაგზაიქნებ შტორმიც ვიგემო,
რომ აღარასდროს, რომ აღარასდროს
ამ მუხანათ დროს აღარ მივენდო.

ვრჩები მეწილე ცა-დედამიწის,
ლოდინად მიღირს ახლა წამება,
მხოლოდ თქვენს გამო აღარ ვინანებ,
საკუთარ თავთან ომის წაგებას.

ბეღურა ქანაობს ქარში

მარხილი ჩამიქროლებს კენტი,
მეწყვილე არა ჩანს არსად,
ალბათ, შეაყოვნა სადღაც
„უღმერთოდ'' მიტოვებულ კართან.

ცის ბილიკს აუყვება ფრენით,
ვარსკვლავებს ჩამოჰკრეფს ციცქნას,
გაუძლებსმერცხალიყინვას,
მზემ თუ ჩამოხედა ციდან.

ბუდეს შეატოვებს ზამთარს,
კერიას სიყვარულით გამთბარს,
წავა, სხვას მიაფიცხებს
ლამაზ ფრთებს ყინვისგან დამზრალს.

სადენზე ბეწვის ხიდს გასდევს
სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი,
ერთგული მთისა და ბარის
ბეღურა ქანაობს ქარში.

მარხილი ჩამიქროლებს კენტი,
მეწყვილე არა ჩანს არსად,
ალბათ შეაყოვნა სადღაც
„უღმერთოდ'' მიტოვებულ კართან.

მოჭრილი მარჯვენა

დგახარ საქართველო ცრემლების მდელოზე,
დედათა გოდება კაწრავს ცის კაბადონს,
ვაი რომ გაბნეულა ლმასის თვლებივით,
ბრწყინავენ ცრემლები ბალახის ღეროზე.

და, ჰა, და ჩაცურდა მიწაში ცვარ-ნამი,
ნაცრემლი, ნაწვიმი დედათა გოდება,
დფლეთილ მამულში გუგუნებს სამრეკლო,
მეც ვყვირი, ჩემია და აღარ მეთმობა.

ტაძარი რომელიც გუშინწინ წამართვი,
მოგძახი ჩემია ვგოდებ და მადარდებს,
არა ვთმობ! თქვენც იცით ჩემია რადგანაც,
ხვალ ვიცი ჩავლეწავ ჩაკეტილ დარაბებს.

ცას კიბე მივადგი სუფთა გზა-სავალი,
ავყვები, სამართალს ვიპოვი უცილოდ,
ოღონდაც შეაშრეს ჩემს მამულს ცრემლები,
დედათა ნაწვიმი სუფთა და უბიწო.

მოჭრილი მარჯვენა ქართველთა ხვედრია,
დიდების საქმნელად ქმნილ-გამოძერწილი,
ეგ წართმეული მიწები ჩემია,
მეც ჩემი მარჯვენა მაქვს შესაწირავი.

მთვარისა ცუცქირიძე

ახალციხე, სოფელი ბოგა, ფილოლოგი

იქ,მეორე ნაპირზე....

იქ, მეორე ნაპირზე,მზე დაცურავს ტალღებში
გაწოლილი ჰორიზონტს,შემოსილა ძაძებში,
ვიცი მისი ღიმილი წაუღია მეზღაპრეს
და მღელვარე ტალღებიც უღიმღამოდ ფეთქავენ.
იქ,მეორე ნაპირზე, სუნთქავს მარტოდ ტირიფი
და მის ძირში ცრემლების განუწყვეტლივ ტივტივი,
ვიცი მისი თვალები ლოდინს უცქერს,არვისას
ვიცი მისი ტოტები ფოთლებს გაშლის დაფილტრავს.
იქ, მეორე ნაპირზე, ლიანდაგის რელსები
უსმენს გუგუნს ელმავლის,ტანჯვად მკერდზე შეხების,
ვიცი მისი უენო შეძახილი და სიტყვა
ვიცი მისი ძახილი, შორ-შორ ტყეველს ასცილდა.
იქ,მეორე ნაპირზე, ქარი დაქრის ხალისად
ჭრელ პეპლების ფარფატში ფრთებს გადაშლის ნატიფად,
მტვერს გულს გაუნავარდებს,დედამიწა ვიცი და
ვიცი მისი სიგიჟე იმ ნაპირებს მინისლავს.
იქ, მეორე ნაპირზე, კიდევ ერთხელ დაღამდა
მთვარე გახევებული თვალს აახელს ანაზდად,
ვიცი მთვარის შეხება, მეტიც ვიცი და, მიყვარს
მიყვარს მე ის ნაპირი,ჩემს განცდებს რომ გასცილდა.
იქ, მეორე ნაპირზე,მზე თარეშობს ჰორიზონტს
იმ ტირიფის ტოტებზე,ცდილობს ცრემლი მოსწყვიტოს,
ლიანდაგის გრძელ რელსზე ის გუგუნიც გაგიჟდა
იქ, მეორე ნაპირზე, ქარში მტვერიც წარიქცა.

***

ჩემო პირნათელო დედა
გულში ენძელები ყვავის,
როგორც გაზაფხულის მერცხალს
მოგაქვს ზღვა, ღვთისმშობლის მადლის.
ჩემო ერთადერთო დედა
თმაზე ჭაღარები გეკვრის,
შენი კანის სუნი ქვეყნად
მქონდეს, სხვა არ მინდა მეტი.
ჩემო დარდიანო დედა
ხელზე ნაოჭების კვალი,
როგორ გალამაზებს მეტად
არცერთს არ ჰქონია მსგავსი.
ჩემო გულკეთილო დედა
ჩემში წყაროვ სილამაზის,
ჩემი გულის, არის ფეთქვა
შენი სიყმაწვილის მსგავსი.
ჩემო სიამაყევ, ხშირად
ვამჩნევ შენს მზერაში რამდენს,
გული აყვავილდეს ფრიად
როგორც გაზაფხულის დამდეგს.
ჩემო სილამაზევ, ერთო
სულში ანთებულო რწმენით,
დრო შენს სიჭაბუკეს ვერ თმობს
თუმც კი გაგპარვიან წლები.
ჩემო პირნათელო დედა
ჩემში უკვდავების მთქმელო,
დიდხანს იცოცხლე და იხარე
ქვეყნად სიცოცხლეზე მეტო.

გ ა კ ო ც ე ბ....

გაკოცებ თიხისგან აზელილ ტუჩებში
ერთი ხარ ჩემს გულში, მოსული დაფიცვად,
გაკოცებ რომ ვიგრძნო იმ მიწის სურნელი
პირველად ღმერთმა რომ თითებით აზილა.

გჯეროდეს დავითვლი შენს ნეკნებს ღმერთივით
ვიქცევი ღრუბლებში წვიმების ნაწილად,
ნეკნიდან არა და გულისგან შექმნილი
დაგტანჯავ,უჩემო ნაფიქრშიც გაგწირავ.

გაკოცებ და მერე ავიხდენ ოცნებას
ოცნებას დაგარქმევ,მეტი მე რად მინდა,
გაგიმხელ ამ ერთხელ ამბორი გთხოვე და
ეს კოცნა? მოსული მუზისთვის დამჭირდა.

***

დანაპირევზე, გაწვიმდა
წვიმს და გაჩერდეს, არ უნდა,
ჩემი განცდიდან გავდივარ
ვუშვებ ფიქრიდან ხმაურსაც.
წვეთების თქარუნს ავყევი
გავყევი ბილიკს ნისლიანს,
მე რომ დამპირდა, ის წვიმა
ასველებს ჩემს თმას ისლიანს.
მკლავებს შემეხო ყეყეჩი
წვეთებს არ აკლებს,რად უნდა,
გულზე მომწყდარი მეწყერი
ძველ ფიქრად ამიხმაურდა.
ამიხმაურდა განცდები
ამ ცხელ გულს მოინადირებს,
ღაწვზე ნადები ტრამვები
ხალისად მოიამინდებს.
სულ მიტკალ-მიტკალ ჩარეცხა
წვიმამ ბაგე ნამშრალევი,
აქამდე არც კი გამქრალი
ნაამბორევი შრამები.
მთვარისფერ ყელზე შეჩერდა
წვიმა აშლილი ვით ქარი,
მოსულა ჩემთვის უმსხვერპლოდ
დამფრთახალი როგორც მთის არის.
მისწვდა მკერდს ღილებ შეხსნილზე
სურნელ შეიგრძნო,დამშვიდდა,
მისთვის თვე გვალვა ფენილზე
ყოველი მარხვა გახსნილდა.
სულს შეაღწია წვეთებით
წვიმამ თამამად,შხაპუნად,
დაუნოტივა ფესვები
წვიმს და გაჩერდეს, არ უნდა.
და რაც მელოდი უფალო
მე კი არცერთხელ მოველ,
სულს დაუზამთრდა ფესვებში
მაშინ გიხმობდი თორემ„,
იღბალ ავსებულ დაღრეჭილ
ერთხელ არ გმადლობ მდოვრე,
სისხლს გადაშრეტილს ძარღვებში
შენ ეგულები ოხერს.
და რაც მე გავჩნდი უფალო
სულ შენ გახსოვარ თორემ,
ცოდვებში ისარ ნატყორცნი
მე?,მე სულ გულ გაღმა გტოვებ.

***

შემოდგომამ შემოიძრო ტანს პერანგი
და მე ვტირი,ვტირი რადგან ჩემი არხარ,
რომ მისფერი დამკარგვია რომ ვერავინ
რომ ვერავინ დამიოკებს ვნების თავსხმას.
შემოდგომა ხეებიდან ფოთლებს დაყრის
შორს წარიღებს განურჩევლად ბნედის ანშლაგს,
მე კი მწირი იმ წუთების ფიქრი მაწვიმს
მაიძულე იმ ვნებების ქარში გაყრა.
და მე ვტირი,ვტირი რადგან ჩემი არხარ
ფოთოლცვენა დამთავრების წუთებს ითვლის,
შემოდგომის თეთრ პერანგზე რაღა დარჩა
მხოლოდ მისი საყელო და შენი ფიცი.

* * *

არ ვიცი რა ნაირია,შენი წამება უფალო
არ ვიცი რა ტკივილია,შენი ტკივილი უბრალოდ,
არ ვიცი რა სიღრმეშია მისი ცრემლების მდინარე
არ ვიცი არ., რა წირვაა ღვთისმშობლის ბედზე, თქვი რამე.
არ ვიცი შენი წამება,შენი მოთმენა უწამლო
ვერ მოგეშველე ვერც მაშინ,დღესაც ვერ გშველი ვწუხვარ რომ,
განა არ ვნახე წამება?შენი არ ვიცი,წარვიდა
განა არ მახრჩობს ცრემლები,ყველა მარიამს დასცვივდა.
არ ვიცი არა, არ ვიცი,რამდენი წელი გავიდა
ოცდაცამეტი უმანკო,სისხლში შერევა,გარიყვა,
შენი ხელები,თვალები,შენი გაშოლტვა მთრგუნავსო
არ ვიცი არა,არ მესმის,შენი ტკივილი უფალო.
არ ვიცი რა ნაირია ბილიკი,სადაც იარე
არ ვიცი რარიგ მწარეა ჯვარცმა შენი, და მიწაზე,
მიწაზე სხვები ლაღობდნენ,უფალს არცერთი გიძახდეს
არ ვიცი რა ნაირია,ამდენ დაცინვას იტანდე.
იასამნების შერეულ,რიგებში ვეძებ იარებს
ტკივილებს რაც კი ითმინე,რაც მარტომ გადაიარე,
ვეძებ უწამლოდ დარჩენილ ნაღველ დათხეულ გოლგოთას,
გეძებ უფალო ჩემს გულში,შევხვდე შენს ტანჯვას ოღონდაც.
არ ვიცი რა ნაირია შენი გამცემი უფალო
არ მინდა, ვერ შევიყვარე, არ მინდა,როგორ ვუარყო?,
ყოველ ჯერ,ის ოცდაათი უფრო და უფრო გაძვირდა
არ მესმის შენი დაგმობა,შენი დათმობა რად ღირდა.
არ ვიცი რა ნაირია ეს პარასკევი უდარო
არ ვიცი შენი წამება,შენი ტკივილი უფალო,
ყოველ დღე მაინც გოლგოთა,მაინც ტკივილი და გმინვა
დღეს მერამდენე ჯვარცმაა,დღეს მერამდენე,წარვიდა.

***

ჰოლივუდის გამიბნიე ღიმილები
არა კარგო ჰოლივუდის მე არ მინდა,
მე მიტაცებს მხოლოდ შენი სიცილები
მხოლოდ შენი გაღიმება, დარდს რომ მიკლავს.
ატმის ფერში დამიხატე ეგ ლოყები
არა კარგო მთვარის ფერი მირჩევნია,
ეგ ღაწვები აფერადე მხოლოდ ჩემთვის
ეგ ღაწვები, რომ არცერთს არ მისჩვევია.
მომიყევი აშლილ სტროფად ის ამბავი
ის ზღაპარი,დასასრულს რომ კეთილია,
ერთი ორჯერ გამიხსენე არვის მსგავსად
არაფერში ყველაფერი შეშლილია.
ბედად თვალებს შემახვედრე სამუდამოს
მე შენს დარდებს ღიმილები მირჩევნია,
მირჩევნია ქალი იყო ცხრამეტი წლის
რომ აჯობო მკაცრ სიბერეს,მირჩევნია.

შ ი ნ დ ი ს ი...

მათი სიკვდილი იმ სიკვდილს არ ჰგავს
მათი სიკვდილი?მრწამსი,სინდისი,
ქართული სულის დუღილი, ჩქეფა
ნაბობოქრალი ჟინი,შინდისი.
მათი სიკვდილი მრწამსი,ზნეობა
და ამაღლება ვითარც უფალი,
დედა მშობელი,გულის მხნეობა
თვალზე ნაწოლი ცრემლი უწამლი.
მათი სიკვდილი არ ჰგავს იმ სიკვდილს
სხვა წუთისოფლად, გარდა "სვლა",ფიცი,
მათი სიკვდილი მცნება და რწმენა
ჩვიდმეტი ავდრის წუხილი შინდისს.
მათი სიკვდილი მრწამსი არს,მცნება
წუთისოფელი მარადიული,
ტყვიათა რეში,გმირად დაცემა
გარდა'ცვალება მათი,ღვთიური.

***

ცა ცისფერია ზღვა ზღვის
შენი თვალების მეშლება,
მთაც იმ ფერია და ღირს
შენი სხეულის შეხებად.
მზე მზის ფერია,მჩუქნის
შენი იერის ფეთებას,
თვალ შვლისფერი გაქვს და მშლის
გადამეტებულ ვნებებად.
სხვის მაჯის ფერზე შევჯერდი
მხოლოდ მაგ მაჯის მეშლება,
ეგ შენი ზეცა დამაბნევს
შენი სურვილის შერევად.

ცას ცის ფერი აქვს, ფიქრს შენი
ზღვას ტალღის ფერი ერწყმევა,
ტყეს ნაძვის ფერი ამშვიდებს
მე შენი სული მეხება.
არყს წყლის ფერი აქვს თუმცა
მგვრის მკერდში გულის შეტევას,
მაინც და მაინც ამდენში
შენი თმის ფერი მეშლება.
ცა ცისფრად ლაღობს, შენ კი
ჩემში განცდები მუნჯი,
შენ ფიქრფერი ხარ ამ ხნის
ზღვა უძირო და ლურჯი.

***

დღე იყო მეექვსე დაქანცულ ღმერთ'კაცმა
მოზელილ ტალახში გაძერწა ადამი,
იფიქრა მეწყვილე რომ უნდა ესანთლა
ნაძილარს მოკვეთა ნეკნთ შორის მთავარი.
და შექმნა სათუთი, თვალი ვერ სწვდებოდა
სილაღე,სიმძლავრე ავსებდა მის ღაწვებს,
და მაინც გონება სუსტი და მორჩილი
უღვივდა ადამში ცოდვების ფერ განცდებს.
ისეთი ლამაზი,ნეტარი,ნარნარი
უბოძა სამყაროს განგებამ ქალ'ღმერთი,
სურვილად,წყურვილად შევსებულ ფიალად
ქარვისფერ ღვინოში თვით შერწყმულ, ნაფერი.
გაზაფხულს ეტრფოდა მის ეშხი ზერელედ
მიხვედრილ განზრახვად ნაბოძებ ედემში,
უფლება და ნება,უფლება და ნება
გარდა იმ ვაშლის ძირს,დამღუპველ ვნებების.
დაღონდა უფალი,ბუნება,ცდუნება
და ადამ დევნილი ბაღიდან სამოთხის,
მას შემდეგ და ახლაც ქალია სიცოცხლე
სიცოცხლე ადამის კენტ ნეკნზე ნამყნობი..

***

გაგიჟდა მარტი, რა გიკვირს
განა პირველად? მარტია,
ბანზე იებს რომ დაგიყრის
თან ფიფქებს ათოვს
მაღლიდან.
გაგიჟდა მარტი ამ წლისიც
გამოიდარებს ხვალიდან,
ბეღურა უშტვენს დაღლილი
ზამთარ-ზაფხულის
ფანჯრიდან.
თავის რიგს უცდის აპრილი
წელსაც რიგში დგას, მაშინაც,
თუმც დღეებს ითვლის მარტივი
და ამ ლოდინში ამრიგად.
ეს შუათანა აპრილი
მარტივით სულ მთლად გაგიჟდა,
თუმც მარტი რისი მარტია
აპრილს დღენ თუ აპატია.



ეთერი გაჩეჩილაძე

ახალციხე, სოფელი აწყური, ექთანი

ნაწვიმარ გზაზე

ნაწვიმარ გზაზე ბილიკებს ვკეცავ,
მაგრამ შენამდე ვერ მოველ მაინც.
ყველა ნაბიჯზე სიყვარულს ვთესავ,.
მინდა გამოჩნდე როგორც იქ... მაშინ.

მაისი იდგა, ყვაოდა ვარდი
და გვირილებიც მინდვრებში, თეთრად.
მე უშენობის არ მქონდა დარდი,
რადგან ვხვდებოდით გაზაფხულს ერთად.

ახლა ყოველდღე წვიმაა, ცივა.
თუმცა, სიმწვანე ეტყობათ ხეებს.
მონატრებისგან ცრემლები მცვივა
და შენს თვალებშიც ვერ ვხედავ მზეებს.

მოწყენილია უშენოდ ქუჩა,
ვერხვები დინჯად არხევენ ტოტებს.
ნაღვლიან დღეებს ბოლო არ უჩანს,
შრიალი უჭირთ ამოყრილ ყლორტებს.

ზეცას ქუხილით გადარბის ელვა,
შიშით ცახცახებს ფოთოლი ხეზე.
გულს მარტოობით აწუხებს ღელვა
და უშენობა ვერ თბება მზეზე.

ჩიტის ხმამ გამომაღვიძა

ჩიტის ხმამ გამომაღვიძა,
ჩემი ფანჯრის წინ გალობდა.
თან კიდეც გამომაფხიზლა,
თავის განცდებს რომ მანდობდა.

ხეს ერწეოდა ტოტები,
ფოთლებს გაჰქონდა შრიალი.
თვალგახელილი ყლორტები
კაბებს იცმევდნენ ფრიალით.

არეს ავსებდა ჭიკჭიკი,
ტოროლაც გულით გალობდა.
ნამის წვეთების ტიკტიკი
ყვავილთა ფურცლებს ართობდა.

ხე გამვლელთ ესალმებოდა,
თავს გაღიმებით უკრავდა.
მზე მდელოს ეპრანჭებოდა
და სახე ბავშვურს უგავდა.

სხივმა გული მეც გამითბო,
გადამიყარა ნაღველი.
ძარღვებში სისხლი ჩამითბო,
კვლავ შემაყვარა მთა-ველი.

სამშობლოვ, ჩემო

მტკვრიდან მონაბერ გრილ ჰაერს ვეტრფი
და დილის ცვარით დანამულ მთა-ველს.
ქუჩებს, აშოლტილ ლამაზი ვერხვით,
თვალს რომ მოსტაცებს გამვლელს და
მნახველს.

ვლოცავ ჭაღარა ყინვიან ქედებს,
ჩემი სამშობლოს გადაშლილ მხარ-ბეჭს.
მინდვრის მშვენებას-ფრთალამაზ
ქედნებს
და ზღვის ნაპირზე გაბნეულ ქვა-კენჭს.

გაცისკროვნებულ ცისფერ ცას დარში,
ნაწვიმარ გზაზე დარჩენილ ნაბიჯს,
შრიალით ნამღერს ფოთლისასქარში,
ცისარტყელების ცად აჭრილ ნაწილს.

ღრუბლითაც მიყვარს, წვიმებით სავსე,
უებარ წამლად დამფრქვევი მიწას.
გაშლილი ვარდით წვეთით აღსავსე,
ფერადი კაბით მიკრული მინას.

სიტყვა ვერ ვპოვე სადარი შენი,
ულამაზესო სამშობლოვ, ჩემო.
არ ვიცი მეტად, როგორ ვთქვა ენით -
შენთვის რომ ვცოცხლობ და ერთს
რომ გჩემობ...

მიყვარს ჩემი სოფლის დილა

ვესალმები დილის აისს,
ცისკრის ვარსკვლავს მხრებზე ვისვამ.
ვუფრთხი უკვე წლების დაისს
და სევდისფერ კაბას ვიცვამ.

მთის ფერდობებს სცდება ნისლი,
უერთდება ცისფერ ფენას.
ისეთია დღეის ხიბლი,
რომ ვერ აღწერს სხარტი ენაც.

ალაგ-ალაგ მოსჩანს ზეცა
დაფარული თეთრი ღრუბლით.
მზის სხივები ნატვრად მექცა
ვეგებები მუზას ფურცლით.

სიოც არხევს მწვანე ფოთლებს
ეფერება ნაზად, ფრთხილად.
უფრიალებს კაბებს ტოტებს
და იხუტებს გულში თბილად.

ლამაზია ჩემი მხარე,
დიდ სიკეთეს შევთხოვ უფალს.
მისი მზე და მისი მთვარე
გზას მინათებს ვიწროს, უვალს.

მიყვარს ჩემი სოფლის დილა,
მტკვრის მონაბერს ჰაერს ვსუნთქავ,
რომ მეხება კანზე გრილად,
სიხალისით ვყვები სუნთქვას.

* * *

მაღლა ამაოდ შევყურებ ზეცას,
იქ არსადა ჩანს ჩემი ვარსკვლავი.
ვცდილობ მოვკიდო ხელი ჩემს ერთ ცალს,
თუმცა ვერ ვწვდები, დამვარდა მკლავი.

ვერ ვეგუები, მიჩვევა მიჭირს,
რომ, დასრულდება მალე ზღაპარი.
როგორ მსურს ვინმე მიშლიდეს ტირილს
და სევდის მორევს ჰქონდეს საზღვარი.

ღამის ტკივილი...

საღამოს მწუხრი ჩამოაწვა მთის მწვანე ფერდობს
და ბინდისფერი შეერია შარაგზას სოფლის.
შენზე ფიქრები დღედაღამე ნეტავ რად მეტობს,
შემოგიყვარდა იქნებ ვინმე, გზას აცდი ობლის?!

ბინდუნდში მაინც გიბევრდება ნაოჭი შუბლზე,
ცრემლებიც მეტი ეწვეთება ნაღვლიან ფურცელს.
უმთვარო ღამე, რომ გაწვება დარდიან გულზე,
სახეს ღიმილი უქრება და ჰგავს უგრძნობ—უცვლელს.

ღამე დიდდება და ტკივილი იმატებს ძლიერ,
ცრემლი-ცრემლს მწკრივში მოჰყვება და ღვარებად მოდის.
ასე გავიდა ბევრი წელი და დროის მიერ
ღიმილდაკარგულ სახეს შეცვლი, ნეტავი როდის?!

ცის ფერადობას დილაობით იმედი მოაქვს,.
თუმცა ამაოდ ელოდება ღიმილებს გული
დაბადებიდან შენი ბედი, იღბალი რომ გაქვს,
ვერავინ შეცვლის, უნდა მიხვდე.. დამშვიდდეს სული.

თუ კი შეიძლებ მიეჩვიო, დინებას მიჰყვე
და ცხოვრებას, რომ შეეგუო, აუწყო ფეხი,
სახეს ღიმილი რომ მოირგო, არავინ მიგყვეს,
არავის გამო არ დაგაწვეს გულზე კვლავ წნეხი.

როგორ ძნელია, ყველაფერზე დახუჭო თვალი,
შენს პირადს, კუთვნილს გადაუსვა ბოლომდე ხაზი
და რთულ ბრძოლებში წაგებული, მართალი ქალი,
ძნელია დარჩე სიცოცხლეში არსება ნაზი.

გულს ცრემლებივით მძიმედ სწყდება წვეთები სისხლის
და ბნელ ღამეში სულის კივილს ზეცაც კი ისმენს.
ვერ დაგიამებს... ვერვინ შეცვლის შენს ყოფას მისხლით
და განწირულ ხმას ყველა მხოლოდ ექოდ მოისმენს...

მე ქართველი ვარ...

მე ქართველი ვარ და მსურს ასე,
ქართველად დავრჩე,
სამშობლოვ მინდა, მზეც ქართული
რომ გადგეს თავზე.
ღმერთმა სიმხნევე მოგცეს, ვალში
რომ არვის დარჩე
და უშიშარსაც, მინდა გევლოს მშვიდობის გზაზე.

ფეხდაფეხ მინდა მოვიარო შენი მთა-ველი,
შენს ყველა მტკაველს, დანაბიჯებს
ვეფერო გულით.
მუდამ მიყვარდეს რწმენით სავსე,
სულით ქართველი,
კვლავ მოუბარი ტკბილი ენით, სანდო, ერთგული.

დაბადებიდან შენ მიყვარხარ, როგორც მშობელი,
შენი სიახლით, სიძველით და გენით ქართულით.
სახელოვანი წინაპრებით, გამრჯე მშრომელით,
შენი აწმყოთი, მომავლით და გმირი წარსულით.

სტუმრად მივიღებ, ვინც კი მოვა,
გულით კეთილით,.
ვინც შეგიყვარებს და იქნება კარგის მნდომელი.
ვისაც სიცოცხლე ემეტება მზის
სხივფენილი,
სამშობლოდ ჩაგთვლის, თავს დაგიხრის,
შენთვის მლოცველი.

მე ქართველი ვარ და ბოლომდე
ვრჩები ქართველად,
მშობელ მიწაზე გამატარებს სანამ უფალი.
ჩემო სამშობლოვ! კვლავ თუ ჩამთვლი
ერთგულ დამცველად,
ვერ შემაფერხებს ვერაფერი, თუნდ გზა უვალი.

იყუჩე გულო

იყუჩე გულო, იქნებ მეტის ატანა შეძლო,
იქნებ როგორმე დაიტიო დარდი და სევდა.
მეც მიჭირს ისევ და არ ვიცი როგორ'ღა შევძლო,
რასაც წლებია მივეჩვიე, რადგან თან მდევდა.

ძნელია ალბათ საგულეში ჩატევა გულის,
რომ ვეღარ ითმენ, გავსილია ფიალა უკვე.
როცა ტკივილი მისულია კარამდე სულის
და ვეღარც ხვდები, სად წახვიდე,
თავს ვეღარ ურკვევ.

იყუჩე გულო, ბილიკი გაქვს სავლელი კიდევ,
დაღმართში,მაგრამ მაინც უნდა
შეიძლო გავლა.
ეცადე მშვიდად ჩაიარო გზის
პირის კიდე,
რომ არ დაეცე, თორემ შემდეგ ვერ შეძლებს წასვლას.

დაფიქრდი აბა, განა დარდი სხვას არ აქვს, ჩემო?
განა ნაღველი და ტკივილი სხვას არ აფიქრებს?
შენი სიცოცხლე კვლავ რომ მინდა,
იმიტომ გჩემობ,
ვეღარ გიმეტებ.... აღარ მინდა ჰგავდე ნატირებს.

იყუჩე გულო,იყუჩე და უფალს მიენდე,
იქნება ღმერთმა დაგიმშვიდოს
სული ძლიერი,
რომ შენს ცხოვრებას სასიკეთო
ნათელ ფერს ჰფენდე,
ლაღმა ღიმილმა შეგიცვალოს ვინძლო იერი.

* * *

ფეხის გადადგმა მერიდება
მინდორში, ვფრთხილობ,
გვირილის მინდვრებს
გარევია ყაყაჩო წითლად.

შენთან მოსასვლელ ბილიკს ვეძებ,
დღედაღამ ვფხიზლობ
და მსურს კაბაზე ყვავილები
დაგაკრა ღილად.

საოცარია...

კავკასიონზე ჩამოწვა ნისლი,
მზეთ'უნახავი გახადა მთები.
საოცარია ნაგრძნობით ხიბლი,
როგორც სურნელით, ნაცნობი თმების.

ცას ასწვდენია სიმაღლე მათი,
ეთამაშება ზოგჯერ მზეც კრძალვით.
მთაგრეხილები ლამაზი, მნათი
ჩნდება ცხადად და აღარა მალვით.

საუკუნეებს ითვლიან მრავალს,
გათეთრებიათ მწვერვალებს თმები.
ჯერაც არ ჰგვანან არსაით მავალს,
ცამდე ასული მაღალი მთები.

ზღვა სილამაზეს ბადალი არ აქვს,
მათ მოფერებას ცოტა თუ ბედავს.
მზეზე ყინულებს ლაპლაპი გააქვს,
თვალის სისწორეს ვერც გაუბედავ.

კავკასიონზე ხშირად წევს ნისლი,
და იბურება თეთნულდი, შხარა.
ულამაზესი მყინვარის ხიბლი,
მახსოვრობაში ჩაგრჩება მარად.

მშობელ ქვეყანას მყარ საზღვრად
აკრავს,
საქართველოა სახელი მისი.
ღვთისმშობლის მადლი გვიცავს და
გვფარავს
მის ერთგულ შვილებს, ნებაა ღვთისი.

რომ არ გვიყვარდეს...

ვინ ვიქნებოდით, რომ არ გვიყვარდეს,
როგორ შევძლებდით გახელას თვალის,
ან დავამჩნევდით ღიმილებს სახეს
და ან შევძლებდით ამოთქმას ახლის?
რომ არ გვიყვარდეს მთები და კლდენი,
მჩქეფარე თერგი, დუდუნა მტკვარი.
ცისფერი ზეცა, სამშობლოს ბჭენი,
ამაღლებული გერგეტი, ჯვარი..
როგორ უნდა ვცნოთ სამშობლო
ნეტავ,
თუ ყველა კუთხე არ ვნახეთ ქვეყნის,
ყველა სალოცავს ვეტრფი და მჯერა,
რომ ღვთისმშობელი დაგვიცავს
ჩვენი.
სწორედ ვარძიას, ცად აწვდილ
ქალაქს,
თუ არ შევეხეთ მარჯვენა ხელით.
თუ არ ვემთხვიეთ აწყურში ტაძარს,
არ მოვიხარეთ ხატებთან წელით.
თუ არ ვეწვიეთ მთებსა და ველებს,
თუ არ შევცინეთ შავი ზღვის ტალღას,
თუ არ დავადგამთ მიწაზე ფეხებს,
მასზე რომელიც წმინდაა მართლა.?!
ვინ ვიქნებოდით, რომ არ გვიყვარდეს,
რა გვერქმეოდა ნეტავი ანდაც..
თუ საქართველოს არც კი ვიწამებთ
და არ გვექნება ქართველის განცდა?!

თორნიკე ბერიძე

ასპინძა, სოფელი ოშორა

„ჩემო ლამაზთვალება"

გარდაცვლილ დეიდას

თვალწინ მიდგას შენი ნორჩი სახე,
და შენს თვალებს, კვლავ მომღიმარს ვხედავ
არ მომკვდარხარ, ცოცხალი ხარ ჩემთვის
კამათს ისევ, ისევ გაგიბედავ

გთხოვ სიზმრებში, ისევ მოდი ჩემთან,
ისევ ისე,მხნედ და ისევ ლაღად
სამუდამოდ არ წახვიდე ჩემგან,
ნუ დამამჩნევ ამ დიდ ტკივილს დაღად.

მე შენ სურნელს,როგორც ჩემი დედის,
შევინახავ არ გავაქრობ მარად
ჩემო ტკბილო მენატრები უკვე,
ვეღარ ვდგავარ,როგორც უწინ მყარად.

თითქოს გული ამომგლიჯეს ისე,
ტკივილი მაქვს,ყველა საზღვრებს გასცდა.
მაპატიე ვერ შევძელი შველა,
ცოტა ვთხოვე იქნებ სიკვდილს დაცდა .

რამდენს უძლებ დედამიწავ?!

ცოდვებისგან გადაჭედილ
დედამიწას ბრაზი ახრჩობს,
სულს ჰყიდიან, სინდისს, ნამუსს...
ორ კაპიკად სულის სარჩოს.

დაგვიმძიმდა დედამიწა
ბოღმა, შური, ღვარძლი ხარობს.
უმადური ღმერთის, კაცის
კარგ კაცობით„დანარნარობს".

ზეცას ვხედავ ...ღრუბელს იკრავს,
მზე სხივებსაც ვგრძნობ, რომ ნანობს,
მთვარე მორცხვად ქუდს იფარებს,
ვარსკვლავები ცხელ მზეს ჰყვარობს.

დაგვიმძიმდა დედამიწა,
ნუთუ ვერ გრძნობთ?! ზეცა დარდობს,
სწუხს, რომ ქვეყნად ვერ იპოვი -
უღალატოს, კეთილს, სანდოს.

აღარ ისმის ჩიტის სტვენა,
შაშვი ისე ვეღარ გალობს,
ვერ მაკვირვებს... მერე რა, თუ,
მზე ღრუბლებსაც ჩუმად ჰყვარობს?!

უძლებს, თუმცა მიკვირს როგორ?!
თვალი არაქვს ცრემლი ღვაროს?
ჩვენ ამდენი ცოდვის შემდეგ,
როგორ შევთხოვთ შეგვიყვაროს?!

სატრფიალო

იცი, როგორ მინდა გულში ჩაგიხუტო,
ყურში ჩაგჩურჩულო, მხოლოდ ჩემი ხარო
ჩემი სიყვარული მხოლოდ შენ მოგიძღვნა,
შენთან ყოფნა მინდა,მუდამ რომ ვიხარო.

იცი, შენთან ერთად, ყველაფერი მინდა
ჩემო ახდენილო, ჩემო ნატვრისთვალო
მინდა ჩემთან იყო, მუდამ მიღიმოდე
ერთად ყოფნის წლები, მინდა დავითვალო

იცი, შენთან ერთად ტკბილი ძილი მინდა,
შენი სახე მინდა, ყოველ დილით ვნახო
შენი სიყვარულით მინდა ვბარბაცებდე,
სახემომღიმარე, მკვლავზე დაგინახო.

შემომიტევს ზოგჯერ სევდა...

შემომიტევს ზოგჯერ სევდა,
ზოგჯერაც კი ჩემთავს ვკარგავ,
გაღიმების მიზეზს ვეძებ,
ნაპოვნს ხშირად გადავკარგავ.

ერთდროს ვიცი, მეც კი წავალ
მივატოვებ ნაშენ ბუდეს,
მივატოვებ, ლექსებს ერთ დროს,
და გავცდები სახლის ზღუდეს.

მივატოვებ ჩემს საცხოვრისს,
ოთახს, სადაც ლექსებს ვქმნიდი,
მივატოვებ იმ ბალიშსაც,
ტკივილს დარდებს რაზეც ვცლიდი.

„მრავალი წიგნი ვფურცლე და ვფურცლე“

მრავალი წიგნი ვფურცლე და ვფურცლე,
ეკლებით გავსილ გზებზე ვიარე,
მაშინ როდესაც თავად მტკიოდა,
სხვისი ტკივილი გავიზიარე.

ზოგჯერ სწრაფი სვლით, ზოგჯერ კი ნელით,
მონაკვეთები მრავალი ვფარე,
თავსხმა წვიმაში,ბევრჯერ მოვყევი,
ქოლგა დამემტვრა ვერ დავიფარე.

***

ყველაფერს შენთვის გავიმეტებდი,
დღეს გაჩუქებდი უღრუბლოს მზიანს
გაგიმთელებდი ყველა ჭრილობას
ცხოვრებისაგან ნაყენებ ზიანს...

მზეს გაჩუქებდი,ძლიერ მცხუნვარეს
და მზესთან ერთად უნაზეს ნიავს,
მუზების ალაგ, ტყეს გაჩუქებდი,
ფრაზა უწერე, ფოთლების შრიალს.

მთვარესაც შენთვის გავიმეტებდი
რეალობიდან ხშირად რომ მკარგავს
მე შენთან ყოფნას შევევედრები
სამყაროს შემქნელ, ლამაზად მქარგავს...

***

მარტოობის სუნი ასდის ფოთლებს
შევცქერ, ვფიქროb, ტკივილს რამდენს იტევს?
დაცემამდის ხარობს, იცავს ნაყოფს,
მწვერვალამდის ქარტეხილ გზებს იკვლევს.

2008 წელი ცხელი აგვისტო

აგვისტოს დილა გათენდა,
დაიწყო ომი, გრიალი.
ქართულ მიწაზე ომია,
სისხლის ღვრა, ოროომ-ტრიალი.,.

მტერი ჩვენს საზღვრებს ასკდება,
ისმის საზღვრებთან ღრიალი,
ტანკების ხროვაც გამოჩნდა,
მოჩანს, თვალების ბრიალი.

ქართული მიწა ზანზარებს,
ფოთლებმაც იწყეს შრიალი,
ნაპრალებშიც კი სისხლია,
ქრება ცხოვრება ტიალი,

კვდება მრავალი სიცოცხლე,
ხმება საზღვრებზე ჭადარი,
ერთი ქართველი ათ მტერზე,...
მსგავსი ქვეყანა, სად არი?!

მთელი სამშობლოს მასშტაბით,
ცოცხალი ჯაჭვი გაკეთდა,
დიდი,პატარა ქართველი,
ქვეყნის სიყვარულს ავლენდა.

ზურგში დაჭრილი ქართველი,
ომში არცერთი ყოფილა,
მაგრმ გულმკერდი მრავალმა,
ცხელ ტყვიას გააპობინა.

ომი ხუთი დღეგაგრძელდა,
თუმც ვერ გაახმეს ჭადარი,
ერთი ქართველი ათ მტერზე,
მსგავსი ქვეყანა, სადარი?!

უსათაურო

მე არმინდა, რომ ქართველი კაცი
ცუდ გზას დაადგეს ნათელ გზას ასცდეს!
არც ის მინდა,რომ ნაზი დიაცი,
“წამლის ქვეშ შვილის აკვანს არწევდეს”.

ვამაყობთ და იმ მიწაზე დავალთ,
სადაც, ერეკლე მეფე იბრძოდა,
სადაც,რუსთველი,კალამით ხელში,
მომავლისაკენ ლექსით იღვწოდა.

ახლა რა ხდება? მიმოვიხედოთ!
საკუთარ ნებით ხრამში ვვარდებით!
დიდხანს სიცოცხლეს, ჩვენ ღმერთს ვავედრებთ,
ხოლო ქმედებით სიკვდილს ვბარდებით.

საკუთარ ხელით საფლავებს ვითხრით,
უფსკრულისაკენ სწრაფად ვქანდებით,
ისტორიასაც ვივიწყებთ უკვე,
ბოლოს ალბათ მთლად გადავგვარდებით.

გადავგვარდებით?! ღმერთმა არა ჰქნას
ახალგაზრდობა წამლით კვდებოდეს,
ყოველ ნაბიჯში,მინდორ - ველებზე
ამ სიბინძურის ფაქტი მხვდებოდეს.

მინდა ჩემს სპეტაკ საქართველოში
მეფე ერეკლე იბადებოდეს,
წამლით კი არა, კაცი სიბერით
უფალს მშვიდად რომ მიბარდებოდეს.

ზურაბ ბერიძე

ასპინძა, სოფელი ოშორა, პედაგოგი,

შოთას მხარე

შეხედეთ ! მტკვარი კვლავაც ბობოქრობს
ის ისტორიას აღიქვამს, შფოთავს,
ამ ადგილიდან წერაში გართულს
ეს მტკვარი ოდეს უნახავს შოთას.
ამ კლდის ძირებში ის ქმნიდა შედევრს
წერდა და ალბათ, მას ლოცვაც უთქვამს,
ეტრფოდა ლამაზა ასპინძის კალთებს,
ერტრფოდა ლამაზ მის სოფელ რუსთავს.
კალამი ძლიერ უჭრიდა რუსთველს,
როგორც უჭრიდა იაკობ ცურტაველს,
აქედან მინდა გმირი ვუწოდო,
მიწად მწოლარე შოთა რუსთაველს....
აქ რუსთაველი ქმნიდა„ტყაოსანს”
იქეთ თამარი ვარძიის კალთებს
აქ ყველა გოჯი, მიწაც და ქვებიც,
დიდ ისტორიის სიუჟეტს აფრქვევს.
კლდეებიც აფრქვევს ამ გორის ძირში,
მესხი მელექსე„ტყაოსანს” ქმნიდა,
რომ არა მისი დიდი გმირობა,
ვეფხისტყაოსანს როგორ შექმნიდა?!
შექმნა, დაწერა - ვამაყობთ ერი,
წარმოგვაჩინა ერი თამამად,
აქ რუსთაველმა შექმნა პოემა,
მის ნაკვალევზე ვდგავართ ამაყად....
ამ მთების ძირას, ლამაზ მტკვრის პირას,
რუსთველმა შექმნა პოემა მთელი,
მინდა ვუსურვო დიდ შოთას მხარეს,
კვლავ აღუზარდოს მას რუსთაველი...

სიმართლე

მე სიმართლისა არ მეშინია
რა რიგაც იყოს ის მტკივნეული,
სიმართლე იყოს, ცილს ნუ დამწამებთ,
და სიტყვა იყოს თუნდ მტრისეული....
მე ამ ყველაფრის არ მეშINია,
ჩემს, სულში ბუდობს ღრმად სიამაყე,
მე ლენჩ და უღირს კაცად მიცვნია,
ვის სულშიც არ სდუღს ეს სილამაზე.
მწამს სიმართლისთვის მოველ ამ ქვეყნად,
ამისთვის გავჩნდი ამ ქვეყანაზე,
მხოლოდ ამისთვის მიბოძა ღმერთმა,
ხელი, ფეხი და სულთ სილამაზე.....

სტუმრად ვართ წუთისოფელში

ეს ცხოვრება, რომ უკვდავი არ არის
ეს სიცოცხლეც, წუთიერი რამ არის
„ორი წუთის" სიცოცხლეში ქართველო,
გავიხაროთ! გავახაროთ ყველანი !

ჩვენც ვიხაროთ, სხვაც ვახაროთ ყველანი,
სულ არ ვუთხრათ„გლახა სიტყვა" არავის,
კაცსა სცემდე, ლანძღავდე და ჩაგრავდე,
ეს კაცობა ნუ გგონიათ არ არის...

ადამიანო სიკეთე ჰქენი,
სთესე სიკეთე შენს ბილიკზედა,
და თუ, ოდესმე დარდი გაგიჩნდეს,
ყველა იზრუნებს შენს ტკივილზედა....

***

ობლად დარჩენილო მშობლის მოლოდინში
ვიცი ძალზედ სწუხარ ჩემო აფხაზეთო,
რა არ გადიტანე, სისხლით მოსვრილი ხარ,
ჩემო ოცნებავ და ჩემო საყვარელო...
შვილთა ნადენ სისხლით ხელი გაბანინეს,
შვილის სიკვდილიც კი თვალით დაგანახეს
როგორ გაუძელი ჩემო სანატრელო?!
ყველას გვენატრები, ყველას შენ გვინდიხარ,
შენზედ ნერვიულობს მთელი საქართველო,
ეს რა ლამზი ხარ, მთებით მოხატული,
ვიცი გულშიდ გიდევს ჩვენი სიყვარული,
გული გაიმაგრე გქონდეს სიყვარული,
თუმცა რა გახარებს შვილნი ჩაგიხოცეს,
შვილის სისხლიც კი გულში ჩაგაწვეთეს,
ძლიერ დაგამწუხრეს ჩემო სანატრელო,
მაგრამ მოითმინე ძალზედ ცოტა დაგრჩა,
გულში ჩაგიხუტებს ჩემი საქართველო...

მთის სუნთქვა

მთაში სუნთქვა, ყველა ტკივილს შველის -
ასე უთქვამს,პაპის პაპას ძველად,
ვერ ველევი ამ ნაძვნარის სიოს,
ძმებო, რად ღირს აქ ჩიტების სტვენა?!

უსტვენენ და უგალობენ მამულს,
ფარდას ხდიან სიყვარულს აქ ტაბუს,
ჩიტი არ ვარ ვუგალობო მაგრამ,
ბეშუმიდან ვეფერები მამულს...

ამ მამულს ხო საქართველო ჰქვია?!
ამ ქვეყანას მიწას სტაცვენ ნაგლად,
მათ სურდათ,რომ გავეწყვიტეთ ერი
მტრის ჯინაზე მუდამ ვიდგეთ„მაგრად."

ეს მამული სიყვარულმა შექმნა
ომს ვიღებდით სიყვარულის ნაცვლად,
მინდა მოგცეთ შემოქმედის სიტყვა,
საქართველო კვლავ იდგება„მაგრად"...

ჩვენ სიმართლით გავიმარჯვებთ ძმებო !
დავიბრუნებთ და ვიდგებით მედგრად
ჩვენ სიმართლით ბევრს მოვიგებთ ერო !
დავამტკიცებთ ბევრს ვჯობივართ ბევრად...

ბორცვაკ -მინდვრებს გავყურებ და ვსტირი,
ეს სურნელი იფრქვევა და ელავს
რვა აგვისტოს რომ ვიხსენებ ხალხო !
ალბათ გული გამისკდება, ღელავს.

ღელავს მეთქი ! წერის მეტი რა ვქნა?!
ჩემი საძმო პერევში სისხლს ღვრიდა,
რაც კი დაგვრჩა გავუფრთხილდეთ ერთად,
მუხლ ვიყარო ვეამბორო მინდა...

კობა მოდებაძე

ბუნების დამცველი
დაბადების ადგილი ახალციხე, სოფელი ურაველი

ურავლის ხეობაში

აქ კლდენი შემექომაგნენ,
იქ ლურჯი ნაკადულები,
იმედის შუქით დამიხვდნენ
მზისფერი ხოდაბუნები.

ზეგნებისაკენ იწევენ,
ნისლები თეთრი რაშივით,
ცივ წყაროს დავეწაფები,
აღვფრთოვანდები ბავშვივით.

-შუბლზე მირონად ვიპკურებ,
ტანს ჟრუანტელი დამივლის,
შემამკობს დედაბუნება
იდუმალ ფერუმარილით.

გაღმით გავხედავ ზეგნიდან,
თვალს კავკასის მთებს მივაწვდენ,
ღმერთს შევთხოვ ერუშეთიდან
ჩემი სამშობლოს სინათლეს.

სამების ტაძარი ელიას მთაზე

არის წამება,რომ არ ვუმზერდე
მარადისობას აღმართულს სვეტად,
ხატებს მირონი, რომ არ სდიოდეთ,
გულიდან ვეღარ დავცლიდი სევდას.

ვეღარ მოსჭრიან მარჯვენას ოსტატს...
თბილისის გული არის სამება.
ნიჭი თან დასდევს ქართველთა მოდგმას,
ნიჭიერება არ ისწავლება.

არის რწმენა და იმედი ხვალის,
ელიას მთიდან ხლებული ზესთან,
სამების ტაძრის გუმბათი,ჯვარი,
ქართველთა ლოცვა და გულის ფეთქვა.

არის წამება, რომ არ ვუმზერდე
ძირძველ იერით მზირალ ჩუქურთმას,
გუმბათზე ჯვარი,რომ არ ბრწყინავდეს,
თამამად ვეღარ გავბედავ სუნთქვას

***

ცავ, გამომიღე ოქროს სარკმელი,
აქ სხვა ჩიტებიც ჰგვანან იადონს,
ისე უნდა თქვა შენი სათქმელი,
-ადრე თუ გვიან გზა გაგინათოს.
აქ სხვასაც ძალუძს მადლი ფარულად,
ბოროტი თუა, არის კეთილიც,
მაშინ იმარჯვებ,მზე,რომ ამოვა
დარაბებს მიღმა გამოკეტილის...
დილავ მაკმიე ელდა ახდენის,
რომ სიხარულით კვლავ სხვა ვინატრო,
ისე უნდა თქვა შენი სათქმელი,
ადრე თუ გვიან გზა გაგინათოს.

ჩემო საქართველო

შე მიწადასაბრუნებელო...
მტერო, მოყვარედ საქცევო,
შურისგან განსაკურნებელო,
შინამტრად ქმნილო ქართველო!
აწინამც ჯვარი გვეწეროს და
აწინამც სისხლი გვეკმაროს.
აწინამც ლხინი გვემრავლოს და
ღმერთმა ერთ მუშტად შეგვყაროს.
შე მიწადასაბრუნებელო,
დე დაბრუნებით გეხაროს!
ჩაგრულო,მაინც უძლეველო,
ღვთისმშობლის კალთა გეფაროს!

მახეს ნუ უგებ პეპელას

ნუ გაიმეტებ პეპელას...
ისეც დღემოკლედ მფიფქავს...
რადგანაც ვერ მოგეფერა,
რადგან ვერ გითხრა სიტყვა...

იქნებ და ვინმე უკერავს
მზისფერ პატარძლის კაბას,
თუმც ყველა კაბა უხდება,
მის ნათვალწამარ ფარფატს.

მახეს ნუ უგებ პეპელას,
სპეტაკად ფრენა რომ სურს,
სანამ დღე გამოელევა,
ეფემერულად მოსულს.

ვარდობისთვეში

როგორც იასამანს,მინდა მოგეფერო,
მინდა სურნელით დამათრო,
სანამ სიყრმის წლებმა თვისი გადიმღერონ,
სანამ მაისი შარბათობს.

მინდა შემოგიხტე მძინარს სასთუმალთან,
მინდა ვარდობისთვე გახარო,
ისე შემიყვარდე,ჯერ,რომ არ უყვარდათ,
ზრუნვამ ვერასგზით დამღალოს.

მინდა გაოცნებო ყველას ახდენამდე...
ოცნებად არ მეყოს სამყარო,
შენთან დამაბუდა ას გაზაფხულამდე,
სიტურფე ვერარამ ამყაროს.

ბ ე რ ყ ე ნ ა

ვინ დააცადა ბერყენს სიბერე?
-რტოზე დაკლანჭულ შაშვის გალობა?
დაბჯენს კორდზე მთრთოლვარე ხელებს
და ტყისმცველისგან ელის წყალობას.

ლივლივებს ცული და ტიალდება
ბოლო იმედის პატარა სხივი,
მტარვალთა ფრთამალ ამ "თავდადებას"
ეძებს და ეძებს ფლორის სიკვდილი.

ფოთოლდაცვენილ რტოთა ხელები,
მოსჭვივის, როგორც სუნთქვაჩამქრალი
და შობს სიყალბედ ბედნიერების
ნიღბით მოსილი შავი სატანა...

რაღას უშველის სულმტეს სიცოცხლე?
-დამსხვრეულ ლამპარს მზის ამონთება?
დამჭკნარ ხელების ასეთ სიობლეს
აედევნება მხოლოდ გოდება.

ვინ ჩაუმწარა ფრინველთ მოლხენა?
ან მდელოს ჩრდილი ვინ დაანება?
შემოესევა მტარვალი ხელად,
უტევს და უტევს შეუბრალებლად.

ქ უ თ ა ი ს ი

თეთრი ხიდი,
თეთრი მტრედი,
გაღმით ხვამლის ქედი...
მთავარ ქალაქს იმერეთის,
სიყვარული ერთვის.

გარიჟრაჟზე მწვერვალები
შეფერილი ინით,
თეთრ ქვებიდან
თეთრ ქალების
ლოცვა თეთრი ღვინით.

სალოცავი ბაგრატისა
-მზე იმერთა ცისა,
გადმოსული მადლი ღვთისა,
ქუთათურებისა.

გელათი და მოწამეთა,
სიახლოვე ღმერთთან...
პაემანი მთვარიანში
თეთრი ჭადრის ხესთან.

თეთრი ხიდი,
თეთრი ქვები...
-წვიმის თბილი თქეშით,
მოვარდება რიონი და
სიყვარულით შემშლის.

***

აქ მარტო ეზო კი არა,
ორღობეც გადაბალახდა,
რა ქარმა გადაიარა,
რომ ჟრიამული წაგვართვა?!

არ ჩაქრეს კერა მამულში,
უფალო, ეგებ არა ჰქნა...
არ ჩამიჩუმო ქართული
მადლიან მიწის ალაგად.

თმოგვის ციხესთან

თმოგვის ციხესთან
კიბე კბოდეს, რომ აჰყოლია,
კიბის ქვითხუროს ღვთაებრივი
ნიჭი ჰქონია.
კიბიდან სათლებს
შეავსებდნენ მეციხოვნენი
და მერე კასიმს თავზარს სცემდნენ
რისხვად მოვლენილს.
ზოგს აიაზმად აკურთხებდნენ
წყალს,მტკვრით ატანილს,
ამ აიაზმას იპკურებდნენ
ცამდე მართალნი...
თმოგვის ციხესთან მეძალება
მელანქოლია,
რომ საქართველოს შინამტერიც
ბევრი ჰყოლია.
-ვინ გადასწევდა ურდულს აბა
ციხის შიგნიდან?!
მომხვეჭელობით ერთგულს მტერში
ვინ გადაცვლიდა?!
თორემ მამული ძველებურად
უკიდეგანოდ,
გარს გვერტყმებოდა უსასრულო
დიდების წყაროდ.
თმოგვის ციხესთან თვალი ქონგურს,
რომ აჰყოლია,
სულმნათ ქვითხუროს
ღვთაებრივი ნიჭი ჰქონია.

***

ის შეუძლია ჭორს;
ძმათ შორის შექმნის ომს.
ისეთებს აწყობთ ჭორი,
სიმართლით ვინც ვერ გჯობნის.

თეთრად ნათქვამი ლექსი

ბრბოთ ქომაგებო!
გააცნობადეთ ფარისეველნი,
მრუშნი,
წარმართნი!
მამათმავალნი,
დედათმავალნი გააცნობადეთ!
მე,ქალის ეშხით ლექსებად დამთვრალს
"ნურაფერს მერჩით"!

შერაცხეთ გმირად ყველა მათგანი!
ღალატისათვის დაჰკიდეთ ჯილდო!
მიართვით ურდოს მიწა თამარის!
ჩაყარეთ წყალში, ნაბრძოლი დიდგორს!

ვითომ რაინდნო!
ვითომ გულით ქრისტეს მორჩილნო!
ასახელოვნეთ,
ვინც მემკვიდრედ ექცა შადიმანს!
- მე,ერუშეთელს,
ჩემი მიწის სურნელით დამთვრალს,
"ნურაფერს მერჩით"!

-აქციეთ კერპად ქრისტეს გამცემნი!
ქართული ენა მოირგეთ თქვენად!
პატიოსნება რაცხეთ სირცხვილად!
- პატრიოტიზმი ღალატის სწორად!
მეკი მოყვასის სიკეთისთის
დღე-ღამ მოფიქრეს,
"ნურაფერს მერჩით"!

***

ენა კი არ მოირგო,
ენას უნდა მოერგო,
ამად ღირდა ქართველო,
ახლა გონს რომ მოეგო.

***

შენ ანგელოზის სინაზე გეცვა,
ახალ თოვლივით წმინდა,ფაფუკი,
ვით უხდებოდა შენს ბაგეს ლოცვა,
ასე გულღიად და სისათუთით.
შენ ანგელოზის ფრთებივით გესხა
მხრებზე თოვლი და წელზე ლაბადა,
და მთელი ღამე ფიფქების თავსხმა
ასე სანატრელ ბარდანს ლამბავდა.
ფერუმარილებშეუხებელი
სახე ბადრი და სახე მზისფერი,
ამხელდა, როგორ იყო მხლებელი
შენში სიწრფელის ზღვა საკვირველი.
გზა უკვალავი დილას ელოდა,
რომ სავლელები გადამეთოვლა,
მემღერებოდა,რომ ჩვენს გულებში
ნამცეცი სევდა არ დამეტოვა

ხ ა რ ე ბ ა

-გიხაროდენ მიმადლებულს,
ანგელოზის ფრთა გფენია.
გიხაროდენ სხივანთებულს,
შენში მკვიდრობს გამთენია.

-კურთხეულ ხარ დედათ შორის,
შენამც უნდა შვა მესია,
ნუ შეკრთები,რჩეულს მხსნელის
მოვლინება გხვდა მისიად.

ცა განათდა სადიდებლად,
ძე როს აკლდა ერთარსებას...
და იმედის გაბრწყინება
ქალწულს შუბლზე დაესვენა.

***

-თუ არ იცნობ,შეითვისე,
რა გასევდებს?
ორი ღმერთი გირჩევნოდეს
ამდენ კერპებს.
გწამდეს უფლის ხსნად
ყოველი მცნებათგანი,
ნეტარად გქმნის
მოკვდავს ცხრავე ნეტარება,
მხოლოდ რწმენა
სწორად სავალს შეგასწავლის,
-მიტევებას და მოყვასის შეყვარებას.
ღმერთო ჩემო,
შენს გზას როგორ დავივიწყებ?!
თუნდ მცირედი ამისრულო შენავედრი...
როგორ უნდა შეიძულო კაცმა ქრისტე?!
ანდა როგორ არ გიყვარდეს მამა ღმერთი?!

***

რა იქნებოდა,
რომ მზის სხივი
ყველას თანაბრად,
გულს მოჰფენოდა?
რა იქნებოდა,
რომ სიყვარული
ყველას რგებოდა?
რა იქნებოდა დედამიწას
წაღმა ტრიალი,
რომ შესძლებოდა?
რა იქნებოდა კაცს ბედნიერი
წუთები დიდხანს,
რომ შერჩენოდა?
რა იქნებოდა მაშინ აქ ყოფნა?
ნეტავ აქ ყოფნა რას ედრებოდა?

მოყვას-მოიმედეო

ღუმელს შეშა შია და
შაშვი შანთავს შავ კუნელს,
ახლა ზამთარია და
გულის სითბო მარგუნეთ!
გული ამოიმზევეთ!
სული ჩამოიმწიფეთ!
სიყვარულო,ჩამოგვხსენ
სიძულვილის სიმძიმე!
ახლა ვისაც შია და,
ახლა ვისაც სტკივა და,
მათთან მხსნელად მოყვასმა
თუკი დაიბინადრა;
-გარდამოვა ღვთის მადლი,
სასწაულის სინათლით.
თურმე როგორ მიყვარს და,
თურმე როგორ მიყვარდა...
მე უღრუბლო ზეცები,
გულზე სხივად მეცემი,
მოყვას-მოიმედეო,
სევდას გამომწყვეტელო.

პეპელავ

სინათლეზე გაგიტყუეს პეპელავ,
თვალისწამში სიბნელეში დარჩი.
მხოლოდ უნდა გენარნარა, გეფრინა,
ვისთვის მხსნელს და ვისთვის კიდევ არჩივს.

ვაი,როგორ გაგიმეტეს პეპელავ,
გარიყულო სიძულვილის დაშნით.
თუკი სპეტაკს არვინ არ მოგეფერა,
გაცილებენ კარში მაინც ტაშით...

***

ცოდვით გაჟღენთილა დედამიწა,
გმინავს უღმერთობის შიმშილით,
ჰოი,საქართველო ვეღარ ვიცან,
ამდენ ფარისეველმისჯილი.

***

ჰოი, სად არიან ჩემი ქართველები?!
თბილისი ყორნებმა დაფარეს...
თუკი თაფლი სცხია საქართველოს,
ისინი რად ფრენენ სხვა მხარეს?!

იმერეთში

იმერეთში ამერეთლებს
ღვინო უსვამთ ციცქასი,
შებახუსდნენ,ამოღერღეს
როგორ,როგორ ძვირფასი
ხალხი ცხოვრობს იმერეთში
გულთბილი და სათუთი,
პურ-მარილსაც სულ ხელათში
შლიან სამი სართულით...
მერე,სანამ იმღერებდნენ
"გოგოს პრასიპარიას",
გოგო მოდის,-ვისიაო?
რა ლამაზი ხალი აქვს.
მერე,სანამ დააცხობდნენ
მჭადს ნეშოთი შემოსილს;
მოაქვთ მწვადი წერეთლისა,
დარჩეული ბებოსი.
იმერეთში ამერეთლებს
ღვინო უსვამთ ციცქასი,
ყველა კუთხე მოჰგავს ედემს,
ერთმანეთზე ძვირფასი.
იმერეთშიც, ამერეთშიც
სულ მშვიდობა გვენახოს!
არ მოშლოდეს მადლი ღმერთის,
ქართულ მიწის ყველა გოჯს!

ცარო ფირფირაშვილი-ლეკიშვილი

ხიზაბავრა, ფიზიკოსი
ასპინძა, სოფელი

ახალ თაობას

ისწავლეთ სამშობლოს სიყვარული და თავდადება,
თუ ვერ შესძელით-რჩევა ჰკითხეთ თვით ისტორიას,
გაითავისეთ სიზმრად მოსულ წინაპრის დარდი,
ახალგაზრდობა-უკეთ ხედავთ ქვეყნიერებას.

თხოვნა მკაცრია,თხოვნა ჭარმაგ ამალის დიდის,
დაგმეთ ყოველი,რაც ცუდია და არის ფლიდი,
ნუ დაგმობთ მამულს,ენასა და სარწმუნოებას,
დავითის საფლავს დააბიჯეთ ნაბიჯი დიდი!

თქვენი სახელი მომავალმა ლამპრად აინთოს,
დუმილი დაგმეთ-დუმილი,ხომ გავითავისეთ,
რეგვენს მიუზღე,შეაფასე დრო და გახდი გმირი,
ერისათვის კი ღირებული ყველამ გაიღეთ!...

ძნელი იქნება საქართველოს მტრებთან ჭიდილი,
მაგრამ მჯერა,რომ საქართველოს ვერვინ წააქცევს,
მარადისობა უწერია ქართველთა მოდგმას
და წმინდა ნინო ხალმეორედ თმას ჯვრებად აქცევს.

ღმერთმა დალოცოს ქართველების გზა-გასავლელი,
ჭეშმარიტ ქართველს რადგან ებრძვის იუდას ხელი,
ყველა ქართველი იყოს დედა საქართველოსთვის,
საქართველო ხომ დედაა ჩვენი!

ფოთლებდაცლილი ხე

ცა მოქუფრული დაბლა იყურება
თოოვლი ეხლება მიწას,
და გაშიშვლებულ ხეზე კი ჩიტი-
ჩუმად თავისთვის სუნთქავს...

ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა,
ძალა აღარ აქვს მზეს,
ნაკადულიც კი დასუსტებული
ძლივს ეფერება ხევს.

მშიერი მგელი გაბმულად ყმუის,
აღარ აშინებს დღე,
ქორბუდა ირემს თავისი რქები
გადაუწყვია წელს.

სალი კლდის ძირში ლომი ლომგული
მკერდგანიერი წევს,
მშვიდად უყურებს არწივს დაბლიდან,
რა მედიდურად ფრენს!...

მაღლა აფრინდა ღრუბლების მიღმა
და მოეფარა თვალს
ვეფხვი კი ჩუმად, გულით ცბიერით
ლომს წამოადგა თავს.

ლომმა იყნოსა ორგულის მისვლა
და მოუქნია ტორი,
მკერდგანიერი წევს გაუნძრევლად
მის წინ კი გდია მძორი...

ცა დაიბინდა,მთვარემ სხივები
მზეს წაართვა და დაყარა თაკარა,
წამოდგა ლომი ვეფხვს გადააბიჯა
და წყალი დალია მასავით ანკარა.

ბინდი გამეფდა, დედაბუნება
კიდევ ერთ ღამეს ფურცლავს
და გაშიშვლებულ ხეზე კი ჩიტი
ჩუმად თავისთვის სუნთქავს...

დედა

მიჭირს, მენატრება დედა...
მიჭირს,შენ მინდიხარ დე...
მაპატიე შეწუხებას ვბედავ,
დიდ ქვეყნიდან მომეშველე დე.

დაძაბული ცხოვრებაა დედა,
უამრავი ხალხი ასე ძლებს...
ხვალინდელი დღის იმედის ფიქრში
დღე და ღამე ერთნაირად თვლემს.

სიზმრად მოდი,მომეფერე,მითხარ,
ხვალინდელი გზა მასწავლე სწორი,
ეს ცხოვრება გადაიქცა ფიქრად-
და დრო მეფობს უსულგულო ტორით.

უამრავი დღის და ღამის წასვლამ
ამ სივრცეში შეაჩერა დრო,
ყოველი დღე ერთნაირი გახდა...
მომეშველე,სიზმრად მოდი გთხოვ.

შოთა რუსთაველს

რუსთაველო,გენიებზე ბევრად მაღალო,
ქართველთა გულო,სიყვარულის სავსე ფიალავ,
შენმა აზრებმა ათასწლობით გაიდგა ფესვი,
და საქართველომ შენი წიგნით ხელში იარა.

შენს სადიდებლად სად მაქვს ძალა ან ის უნარი,
შენზე დავწერო მარგალიტად აზრი ცხოველი,
მაგრამ ის ვიცი,კვლავ გაწვდები ათასწლეულებს
და პირველობას არ დაუთმობ გამორჩეულებს.

შენ მოაფინე საქართველოს ნათელი სხივი,
შენი წიგნიდან პლანეტისთვის აზრები ცვივა,
თამარის მანდილს შესცქეროდი კდომით და რიდით,
ბაგემცინარი მეფეთ-მეფეც აფრქვევდა ღიმილს

შენ სიყვარული უწილადე ყველას და ყოველს,
გულში გმალავთ და გეფერებით,როგორც დიდ მგოსანს,
როგორც ვარსკვლავი თინათინი ზენიტში გყავდა,
თავად კი გული ჩაუდევი„ვეფხისტყაოსანს”.

მაღალ ღმერთისგან ნაბოძები გონება შენი
და შენი წიგნი საგოგმანო,როგორც შენი ძე.
საქართველოსთვის გალობაა და ლოცვა დიდი,
იგი ანათებს საქართველოს,როგორც დიდი მზე.

„ვეფხისტყაოსანს” ყველას გული დაუტევია,
შენ ხარ ყოველი,დანარჩენი რჩება შენს შემდეგ,
ყოველი პწკარი დიდ ღრუბლებად ცაზე ბრუნავენ
და ყოველ მწყურვალს არწყულებს და სულსაც კურნავენ.

აჰა,მიიღე ეს პატარა გული მხურვალი,
მე კი მზითევში მოვიტანეწიგნი მკურნალი,
ალბათ ამ წიგნით ღმერთს უკვდავება შენთვის ენება,
არც საქართველოს უწერია გადაშენება.

მოლოდინი

დაღლილმა ფიქრებით კიდევ ერთი ღამე გაათია,
ღამეც დაიღალა მასთან ერთად დილას მიაწია,
მთვარემ უერთგულა,მომლოდინე ქალს შუქი მიაწოდა
საფეთქლებიდან დაშვებული ზვირთები მის გულს მიაპობდა.

როგორც უაფრო გემი ქარიშხალში ისე მოძრაობდა
უცრემლო თვალები ათრთოლებულ ხელებს დაჰყურებდა,
დრო და დრო ცაზე მიმქრალ მთვარეს გაჰყურებდა,
დიდი სიყვარულით ამაღლებულ მის სულს აპკურებდა...

ღამე ფერფლად იქცა,მთვარის კვალი ღრუბლებს არწყულებდა,
მზის წინ მდგარ ცისკრის ვარსკვლავს დილა აწუხებდა,
ეს დილა მას ამ ქალისთვის მიაჩნდა მარწუხებად
სიყვარულის ქალღმერთი სანუგეშოდ ცის ნამს აპკურებდა
ქალი მას ვერ გრძნობდა,გარინდული ქმრის გზას გაჰყურებდა!...

ვედრება თუ ხილვა?

მე მაშინდელი ზეცა მინდა,
მამა-პაპას,რომ არგუნა ღმერთმა
ჩემი სამშობლოს გადმოსახედი
მიწა ქართული...
სულო გახევდი და აბობოქრდი!
ისე მძლავრად,
რომ შედრეკს მტერი!
ერთად შევიკრათ,ყველა ერთად
ვამრავლოთ ერი.
გადავწვდეთ მიწას,მხოლოდ ქართულს
არ გვინდა სხვის ცა;
ღმერთო ისმინე ვედრება ჩვენი:
შეგვკრიფე ერი,
როგორც მტევანი ერთი ყურძნის
და ერთი ძისა,
გონი მოვიხმოთ და ქართველო
ქართველი იცან.
და ისმის ღვთის ხმა...
ის ჯოხით ხელში-ხელახლა ავლებს
კონტურებს მიწას,
მტკაველი რაა?მტკაველიც კი არ რჩება
სხვისად.
მრავალჟამიერ ამერ-იმერს და ქართულ მიწას!
მამაო ჩვენო,
მამაო ჩვენო,
გმადლობთ,რომ გვიცან.

ხიზაბავრა

ხიზაბავრის სიყვარულით აღზნებული გული
ხიზაბავრის ნახვით დავიოკე,
უკვდავების წყარო ხარბად შევსვი,
მისი ცის აისი გავიოცე...

ფეხშიშველმა მდელო გადავთელე,
სერზე ავედი და დავიჩოქე.
ოო,როგორ მიყვარხარ ხიზაბავრავ
ხნოვანმა სიყვარული გავიოცე.

ობოლეთს გავედი და ვილოცე
სამყინვარომ სითბო გადმოღვარა
ვარანტა ხელს მიქნევს მონატრებით,
თავისი ცვარOნამი მომაყარა.

სიო ამედევნა,უმალ მივხვდი,
მამა-პაპის საფლავიდან მოდიოდა,
ყველა მგზავრს ქარაფს ხვდებოდა და
მათ კარგად ყოფნას მოჰკიოდა.

შენს მიწას,შენს ცას ვენაცვალე
ღმერთმა,რომ გიბოძა ცივი წყარო,
შენ გაბნეულ ხალხს მრავლად ითვლი,
რამდენი სიკეთე ჩამოვთვალო?

ფეხი,რომ ავადგი ფეხშიშველმა
მიწას,რომ დაეტყო ჩემი კვვალი,
მას აქეთ ვიგრძენი შენი ძალა,
მას აქეთ დიდი მაქვს შენი ვალი.

ვიცი ხნოვანი ხარ, ქვის ხანისა,
ღმერთმა კიდევ ბევრი გათვლევინოს,
დიდი ეკლესიის ზარი რეკდეს,
ბევრი ძე-ასული გათვლევინოს.

შენი სიყვარულით გული მიძგერს
უკვე გაიარე გულის-გული,
შენა ხარ ჩემი ყველაფერი
ამავდროს სამშობლოს სიყვარული.

დედაშვილობა

დედა ვარ, ქართველი დედა,
ორი შვილი მყავს-ძე,
სიცოცხლეს სხვა ელფერი აქვს
მათზე ამომდის მზე.

მათი ღიმილით ვიღიმი
მათ სუნთქვას ვგრძნობ და მესმის
მაშინაც, როცა შორსა ხართ,
რად გან ჩემშია ფესვი.

ოდითგან სიყვარულია
ყველა ქმედების წყარო
შვილი კი ამ სიყვარულის
უკიდეგანო წყარო.

სამყაროს ძვირფასი განძი,
მშობლის სისხლი და ხორცი,
რაც მოევლინეთ საწუთროს
თქვენს ნაფეხურებს ვკოცნი.

სიყვარულს ვერვინ დასწონის
და მე თქვენს ყოფნით ვხარობ
იმღერე, მათთვის იმღერე
სრულყოფილების ქნარო.

ჩემი ჯანი ხართ,სინდისიც,
ჩემი სიცოცხლის ძალა,
შველი სულია დედისა
და მე ჩემს სულში გმალავთ!

თუნდ მოვკვდე-სულში იქნებით
ციდან მოგიქსოვთ ბადეს.
ორივეს წლების სიმრავლე
ღმერთის წყალობით სავსე.

ვერ ამოძირკავს ვერარა.
შვილის სიყვარულს ძლიერს-
თვით შვილიც:თუ შეეშალა-
ვერ დაუკარგავს იერს!

მაქსიმე

გულში უჩვეულო ხმაურია-
დრონი შეჩერდნენ...
შენ-დაიბადე მაქსიმე
შენ-დაიბადე..

შენთვის გავათენებ,დავაღამებ
უკვე სათაყვანოვ
ჩემო პატარა უფლისწულო
კრიალა წყაროვ.

გულში უჩვეულო ხმაურია..
ხარობს ბუნება...
მზეს სხივი თაკარად დაუყრია
აღორძინებად.

თეთრ ღრუბელს ღმერთის სახე მიუღია
კარგის ნიშანია...
ოცნებას მზიანს აცისკროვნებს
ლოცვის მიზანი!

დიდი სიცოცხლე გერგოს წილად
ვარსკვლავთვალებავ!
ღმერთო არ მოაკლო არასოდეს
შენი წყალობა.

საქართველოს ღირსეული
გახადე შვილი
დავითზე უკეთესი და
ნამდვილი გმირი.

პატრიარქი

ვარძია,ტაძარი,მსახურთა სიმრავლე,
სანთლები ზეციურ ფერებში,
მოუნათლავი ვუცქერი ღვთიურ კაცს
მუხლი მოვიყარე მთელ ერში.

შარავანდედი მოსავდა სამოსელს
ბრწყინავდა მის ირგვლივ ყოველი
და მივხვდი სამყაროს ვუყურებ უაზროდ,
ღმერთო, მომიტევე ყოველი.

მომიტევე და მირონით დაკვალე
შენ,ჩემი ცოდვილი სხეული,
სამყაროს კარიბჭე გახსენი იმ წამსვე
გამხადე რწმენაში რჩეული.

სად იყავ,სად იყავ,სად იყავ აქამდე,
ღმერთის შუამავალს გვედრებ,
შენ რწმენა მაჩუქე,რწმენა დამიბრუნე,
რომელიც არ მქონდა დღემდე.

შარავანდედი მოსავდა შენს გვირგვინს,
უნეტარესს-თვალდახრით გხედავ,
ღმერთო მომიტევე და შენც მომიტევე
შენზე ლექსის თქმას,რომ ვბედავ.

ტაძრიდან გამოსულს,ფიქრი ამედევნა,
ფიქრებში ფიქრია ერთი,
ნეტავ პატრიარქი,სული რომ გამინათა,
თვითონ ხომ არაა ღმერთი?!

ელდარ ზაზაძე

ასპინძა, სოფელი ტოლოში

შენ სანახავად მოვედი

შენ სანახავად მოვედი
ქარი არხევდა ბალახებს,
ნათელი გადასდიოდა
ირგვლივ გოგაშნის სანახებს.
ცა, მიწას შუბლზე კოცნიდა,
ყვავილნარს რთავდა ტანზედა,
იღიმებოდნენ შროშნები,
ლამაზნი პატარძალზედა.
ღელავდა თეთრი ქარაფი,
ჩასვლას ლამობდა მტკვარზედა,
პირჯვარს იწერდა ნიავი
ღიღილოების ხმაზედა.
თავს იწონებდნენ ხნულები
ზეგანთა ტალავარზედა,
ასე ლამაზი ალაგი
არ არის ქვეყანაზედა.

გზა უსასრულო როდია

გზა უსასრულო როდია
მიდის და სადღაც სრულდება,
ესეა წუთისოფელი
ვინც მიდის აღარ ბრუნდება.
ზოგს ვალი რჩება მამულის,
ზოგს სიგარეტის ნისია...
ღმერთო, ნუ მავლევ უსაქმოდ,
არა მქნ ასაძრახისია.

მიყვარხარ ქალო ლამაზო

მიყვარხარ ქალო ლამაზო,
ყვავილო გაზაფხულისავ.
სხვის გულის გამხარებელო,
მამკვლელო ჩემი გულისა.
თალხ კაბა იადონი ხარ,
ფრთამოფარფატე პეპელა,
იწამე ღმერთი მაღალი,
გამოიხედე ჩემკენა.
ნეტავ, რად მინდა სიცოცხლე?-
უშენოდ ვიარებოდე,
დაუსრულებელ ფიქრებით
მუდამ შენ მენატრებოდე.
გამიდიადე გრძნობები,
აზრი ამქვეყნად ყოფნისა.
შემასვი ტკბილი ნექტარი
ამ ტიალ წუთისოფლისა.

შენა ხარ სხივი იმედის

შალოშეთს თივა მოვთიბე,
გვერძე ვაწვინე ჭელია,
ქალაუ,შენი სიშორე,-
რა ძნელი მოსათმენია.
ერთადერთი ხარ ამ ქვეყნად,
სხვა შენთან არაფერია.
შენა ხარ სხივი იმედის
და ჩემი გადამრჩენია.

გოგაშენო

შენი გამჩენის ჭირიმე,
შენი მიწის და ცისაო,
პურ-ღვინით დაულეველო
დამთრგუნებელო მტრისაო.
ჭაჭკარს ნაწურო მტევანო,-
სასმელო ღმერთებისაო,
რა თხელი თალხი ჩაგიცვამს
ქარაფო გოგაშნისაო?
გამშვენებს გუთნეულები-
ყანები თავთუხისაო,
დაბლით გალაღებს წალკოტი -
ხეობა ვარძიისაო.
მოგაქვს ყვავილთა სურნელი-
ფაფარაშლილი ზვრისაო
რა ლამაზი ხარ საცქერლად,
მზე რომ მოგაფენს სხივსაო.

***

სად იბადება ფიქრები?
დარდები სიდან მოდიან?
იქნება შენ ხარ მიზეზი
ქალო, შავთვალა, კოპწია!
აცრემლებულან ღრუბლები,
ამინდი არ ჩანს ნსადარო,
იქნება შენ ხარ მიზეზი
ქალომზისსხივისსადარო.
მაღირსე ერთი ღიმილი,
დარდი სადამდე ვატარო?!
დაგისვა ხელის გულზედა
ქვეყანა შემოგატარო!

ჩემო სოფელო

ღმერთმა გიკურთხოს გამჩენი,
ჩემო სოფელო მზიანო,
მთებო, ზეცამდე აწვდილო
ფერდებო ტერასიანო.
შენა ხარ ტკბილი სიზმარი,
ზოგჯერ ცელქი და მშფოთვარე,
გალაღებს ნაკადულები,
თავზე დაგნათისმ ზე-მთვარე.
თუთები ტანკენარები
სიამით იფურჩქნებიან
ხევას თქარუნზე, "ყიშლაში"
ენძელას გაღვიძებია.
რქაცრემლიანი მაღლარი
ჭერმის ხეს ჩასჭიდებია,
მეც, შენთან ყოფნა მერგუნა
რა ბედი დამბედებია.

წამო ჩავიდეთ ვარძიას

შროშანო ცისფერპერანგავ,
ასე რად დაიგვიანე?
მე მინდორ-მინდორ გეძებდი
ქარაფზე გადაგეყარე.
წამო, ჩავიდეთ ვარძიას,
გადავიაროთ მტკვარია,
ავიდეთ წმინდა ტაძარში,
და დავიწეროთ ჯვარია!
წამო, უარი არ მითხრა,
გამიხალისე დღენია,
წამო, სანამდე ფიქრები
შავ მიწას შეერევიან.

ვარძიავ, დიდო ვარძიავ!

ვარძიავ, დიდო ვარძიავ!
შენ, სიამაყევ ერისა,
დიადო, ქართველთ საუნჯევ,
ქალაქო თამარ მეფისა.
გიცავენ სალი კლდიები,
დილის მზის სხივი გშვენისა,
გეალერსება ნიავი,
ჭაჭკრის და გოგაშენისა.
ძარღვებში სისხლი აჩქეფდა,
ყაყაჩოების ფერისა,
კვლავ ბასიანი მეძახის,
ხმა წინაპართა ძვლებისა...
ბედნიერი ვარ უფალო!
აქ, რომ გაჩენა მეღირსა.
არ გავახარებ შენ მტერსა,
ქალაქო თამარ მეფისა.

ხევა

ბარისკენ გამოიწიე
იუკადრისე მთანია,
ჩამოიარე კაპანი
ვიწრო და მიუვალია.
ცამ მოგაგება ცვარ-ნამი,
"ყიშლამ" მოგძახა ბანია,
ტყემ კალთა გადმოგაფარა,
გაგიხსნა გულის კარია.
ქვაბიხევს თეთრი ტყემლების,
შემოგეგება ჯარია,
გვირილებმა და შროშნებმა,
შენს წინ დახარეს თავია.
ჩამოიარე ტოლოშში
არ დააყოვნე ხანია,
ბაღნარად გადააქციე
სამოთხის შესადარია.
მერე მტკვარს გაყევ უჩუმრად
ვით მორცხვი პატარძალია.

ყრუა ეს წუთისოფელი

გაზაფხულდება ნაირფრად,
აყვავილდება აპრილი,
გაიშლებიან იები
"დედის ცრემლებად დაღვრილი".
მოფრინდებიან მერცხლები,
ატყდება ჟივილ-ხივილი,
გამახსენდება მე ისევ,
დედილო შენი ღიმილი...
ჟამმა ვერ გაახალისა,
ჩემი სევდა და ტკივილი,
ყრუა ეს წუთისოფელი
არ ესმის კაცის ჩივილი.

დედა

ძნელია გულის ტკივილი,
უფრო ძნელია სევდა,
ძნელზეძნელია უდედოდ
ამ წუთისოფლის ცქერა.
აღარც, მზე მათბობს,
არც, მთვარე,
აღარც, ყვავილთა მზერა,
უფერულია სამყარო,
როცა აღარ გყავს დედა.
პეპელასავით გაფრინდა
ლამაზ დღეების წყება,
იქ აღარნ მინდა დარჩენა,
სადაც შენ არ ხარ დედა.

ჯავახეთო

მე მიყვარს შენი ქარაფი,
აბულის თეთრი გვირგვინი,
მიყვარს ფარავნის ჩურჩული,
ზვრებზე ყვავილთა ბიბინი.
მიყვარს ჟღალჩოხა ტაძრები,
გაბრწყინებული ნათელით,
მიყვარს ყანები ზღაპრული,
გახარებული ქართველით.
მემიყვარს შენი ზეგნები,
ცა ზურმუხტების ფერისა,
მიყვარს ნიავი ტანსრული,
დაუშრეტელი ტბებისა.
მე მიყვარს შენი ასული,
ღიღილო ლურჯი მთებისა,
მიყვარს ფუტკრების ზუზუნი,
ნექტარი გოგაშენისა.
მე მიყვარს შენი წყარონი,
გამხარებელი გულისა,
მიყვარს ნაზამთრალ ხნულიდან,
სურნელი გაზაფხულისა.
მე მიყვარს შენი რიჟრაჟი,
თეთრი ნისლები დილისა,
მიყვარს ტირიფთა რიგები,
ფარავნის წყალვარდნილისა.
"ჭკუა ვერ მიდგა ჭკუასთან",
შენი გაზრდილი შვილისა,
იხარე მრავალჟამიერ,
დღე გაგიმრავლდეს ლხინისა.

ნეტავი წყაროდ მაქცია

საიქიოსკენ მივიწევ,
წლები გავლიე მრავალი,
ძნელი გამოდგა ქალაუ,
გზები შენამდე სავალი.
შეიმოსები გულს მიკლავ,
მაგ შენი ფარჩა-ფურჩითა,
ნეტავი წყაროდ მაქცია,
დამლია შენი ტუჩითა.

საროს ციხე

სხივ-მარგალიტად ანთიხარ,
სალი ქარაფის მპყრობელო,
წარსულით გაბრწყინებულო,
მტრისათვის მიუდგომელო.
ცამდე აწვდილო კოშკებო,
დადინჯებულო ლოდებო,
დევკაცთა ხელით ნაგებო,
დიადო შეუცნობელო.

შენა ხარ სხივი იმედის

შალოშეთს თივამ ოვთიბე,
გვერძე ვაწვინ ეჭელია,
ქალაუ, შენი სიშორე,-
რა ძნელი მოსათმენია.
ერთად ერთი ხარ ამქვეყნად,
სხვა შენთან არაფერია.
შენა ხარ სხივი იმედის
და ჩემი გადამრჩენია



თამარ ანთაძე ადიგენი

დაწყებითი კლასების პედაგოგი

ჩემი მესხეთი

მოიარე საქართველოს ყველა მხარე
სად იხილავთ ასეთ კუთხეს განა?!
სხვა სად არის, ქვეყნის რომელ მხარეს,
კუთხე მესხეთ-ჯავახეთისთანა?

როგორ მიყვარს ყველა კუთხე ქვეყნის,
ჩემი ქვეყნის ყველა შვილი მიყვარს,
მაგრამ მესხეთს შევადარებ ვერცერთს,
ჩემი ყველა ფიქრი მისკენ მიმყავს.

სადაც წავალ სიამაყით ვყვები
ისტორია მისი გულით დამაქვს,
სად იხილავთ, ქვეყნის რომელ მხარეს
კიდევ ასეთ კლდეში ნაკვეთ ქალაქს.

სხვაგან ასეთს სად იხილავთ რაბათს,
ოქროს ციხეს, ჭულესა და ზარზმას?
რა დიადი ძალა აქვს და მადლი,
მესხი დედის ნამღერ იავნანას.

ჩემს აჭარას ვეფერები შორით,
სვანის კოშკებს, მთიულეთის კალთებს,
კახელების სიყვარულით ვთვრები,
მაგრამ მესხეთს არ ვადარებ არცერთს.

ცეკვა მიყვარს, კრიმანჭული რაჭის,
მე მეგრელიც და გურულიც მიყვარს,
მაგრამ მაინც, ჩემი ყველა ფიქრი
ჩემი თბილი მესხეთისკენ მიმყავს.

საქართველოს ყველა კუხეს გაუმარჯოს,
ძლიერ მიყვარს თბილისელიც, გორელიც,
არსუკიძის შეწირული მარჯვენა და
ისტორია მცხეთის სვეტიცხოველის.

მოიარე საქართველოს ყველა მხარე
სად იხილავთ ასეთ კუთხეს განა?!
სხვა სად არის, ქვეყნის რომელ მხარეს,
კუთხე მესხე-ჯავახეთ ისთანა?

ბოლო ზარი

ჩემო კარგებო, აი დადგა ის დროც,
როცა ჩვენ უკვე ბოლო ზარს ვრეკავთ
ზოგს უხარია, ზოგს კი გული სტკენს,
ზოგის თვალები ბევრ ცრემლებს რეკავს.

მოვიდა ის დღეც, როცა ჩვენ უკვე სკოლას ვამთავრებთ
და ეხლა ჩვენთვის ირეკება ეს ბოლო ზარი
მომენატრებით, მართლა გულით მომენატრებით,
ნუთუ დრო დადგა, რომ გავიხუროთ ამ სკოლის კარი.

ვიცი, მე ხშირად გავიხსენებ სკოლის პერიოდს,
მომენატრება პირველი დღე სკოლაში მისვლის,
და გავიხსენებ ჩემს საყვარელ ყველა პედაგოგს
მათ წაგვაქეზეს ყველა ჩვენგანი სწავლისკენ წინსვლის.

მათ მოგვიყვანეს აქამდე და გვზრდიდნენ შვილივით
და ეხლა ჩვენ კი რით გადავუხადით სამაგიეროს?!
უნდა ვისწავლოთ და გავახარებთ მათ გულს შვილივით,
და ეხლაც ვეტყვი მე ერთ სიტყვას სამადლობელოს.

ბავშვობა დასრულდა, ირეკება დღეს ბოლო ზარი,
წარსულს გავხედე და გასულა რამდენი ხანი,
ჩვენი ბავშვობის ტკბილზე-ტკბილი მოგონებები -
ამ სკოლაშია თვალწინ დამიდგა ის დრო და წამი.

ფიქრობ ბევრს ფიქრობ, როგორ სწრაფად გავიდა წლები,
და მე ეს მწარე რეალობა გულს მიკლავს თითქოს,
სხვისი გახდება შეჩვეული ბავშვობის მერხი
და ჩემს სკოლასთან განშორება მაშინებს თითქოს.

ვფიქრობ ბავშვობის მოგონებებზე,
რა სწრაფად გადის ეს დრო და ხანი
როგორ ჟღურტულუით გავრბოდით აქ და
დღეს ჩვენთვის რეკავს ეს ბოლო ზარი.

მომენატრებით, მართლა გულით მომენატრებით
ნუთუ დრო დადგა, რომ გავიხუროთ ამ სკოლის კარი
ჩემო კარგებო სხვა რა მეთქმის ცრემლი მომადგა,
მასწავლებლებო მადლობის ნიშნად დავხარე თავი.

ხუთი მზე

ნუ მიწყენ, როცა ცუდს ვიზამ რამეს
ან სულულურად გამეცინება
ნურც მაშინ, როცა რაღაცას მეტყვი
შემოგხედავ და ამეტირება.

ასე გულ ჩვილი მხოლოდ მასთან ვარ
ვინც ჩემთვის მზეა ამომავალი
მე სამი მზე მყავს დედამიწაზე
სამი მზე მყავს და ორი ვარ სკვალი.

პირველი მზე მე დედას ვუწოდე,
ვინც მომავლ ინა ამ ქვეყანაზე,
მეორე მზე კი მამაჩემია,
სითბო, სინათლ ე ვგიჟდ ები მასზე.

მესამე მზე კი შენ მეყოლები,
არ ვიცი ვინ ხარ არ გიცნობ ახლა
ალბათ ერთ დღესაც სადმე შეგხვდები
და ალბათ მერე აღარსად წახვალ.

ორი ვარსკვლავი? ვარსკვალვი არა
უნდა ვუწოდო ვარსკვლავზე მეტი
და-ძმობაც მზეა, და ხუთი მზე მყავს
მე ხუთი მზე მყავს და არა მეტი.

დრო გავა ალბათ მზეც მოიმატებს
შვილებს ვუწოდებთ მომავალ მზეებს
და გაიზრდება მზეების რიცხვი
ბევრი მზე გაგვილ ამაზებს დღებს.

თეატრი

თეატრებს დგამენ, მსახიობიც ბევრი გყვავს უკვე,
თეატრებს დგამენ ქუჩაში, სახლში, ქუჩის გარეთაც,
თეტრის დადგმას არ სჭირდება დრო და ადგილი,
დღისით, რომ დგამდნენ აღარ ეყოთ დგამენ ღამესაც.

წინათ თუ თეატრს სიყვარულის ელფერი ჰქონდა,
დღეს სიძულ ვილ ის, ბოროტების ელფერს ატარებს,
ქუჩაში ხალხი, ძალადობის „სეირს“ უყურებს,
ხალხი ვერაგი ამ ამბავსაც თეატრს ადარებს.

ისე ხშირია თეატრები, მასკარადები
სცემენ და კლავენ, ძალადობენ თეატრალურად,
უყურებს ხალხი, ამ უხორცო თეატრალურ გუნდს,
უყურებენ და აფასებენ თეატრალურად.

***

დადუმდით! ნუღარ ხმაურობთ,
ვის რად უნდიხართ ნეტავი,
როცა ზამთარი არ ზამთრობს,
გაზაფხულს არ სდევს მერცხალი.

დადუმდით! თერგო, არაგვო,
ბანს ნუღარ გაძლევს მთებია,
გაგვიერთ ფერდა დღეები
ეს არის ქართლის ბედია.

ნუთუ ამისთვის ბორგავდით,
ღრიალებდით და დაჰქროდით,
თქვენ სულ სხვა სურვილი გქონდათ
ნათელ მომავალს ლამობდით.

დადუმდით! მცხეთავ, გელათო,
და ნუღარ ჰრეკენ ზარები,
ეშმაკებს სული მიჰყიდეს,
ღმერთს მიუხურეს კარები.

რისთვის იღწოდვნენ, წვალობდნენ
უწინ ქართული ჯარები,
რომ დაეხოცათ ჩვენს დროში,
ქალს კაცი, კაცებს ქალები?!

თუმც არ დუმდება არაგვი
და არც ზარები ჩერდება,
ვინა სთქვა ქართლის სიჩუმე
ვინა სთქვა ქართლი ბერდება.

ვერ დაადუმებთ ვერას დროს
გულზეც რომ დაჰკრათ თქვენ დანა,
ისევ ამოვა ქართლში მზე
ისევ იბრწყინებს ქვეყანა.

ჩემს ციმციმა მოსწავლეებს

ჩემს სულში ასე უცებ შემოსახლდით,
ჭრელ-ჭრელი, მოფარფატე პეპლებივით,
სულში გაზაფხული მოიტანეთ,
მახარეთ, გაზაფხულის მერცხლებივით.

ჩემო მოჭიკჭიკე ჩიტუნებო,
ჩემი იმედი ხართ ხვალის,
სულ სასახელონი დაიზრდებით,
დიდი იმედი მაქვს ამის.

მაგ ღრმა, მოციმციმე თვალებიდან,
რამხელა სიყვარული მოდის,
ამ გულწრფელობით სავსე გრძნობას,
სხვა ვერაფერი წონის.

ჩემი პირველი კრებული

(ოცნების ლამპარი)

სულ ნაწილ-ნაწილ შევკარ, ავკინძე,
გრძნობით ნაწერი სიტყვა რითმებად„
გაზაფხულობით ყვავილობს ლექსი,
ზამთარს მუზები მათოვს ფიფქებად.

ვწერდი, სამშობლო როცა მტკიოდა,
როცა ბნელოდა ვანთებდილ ამპარს,
ოცნებად ქცეულ, ახდენილ სურვილს
მე დღეს ვუწოდებ ოცნების ლამპარს.

სულ უნდა გწამდეს

გწამდეს, რომ რამეს მიაღწიო,
რომ აისრულო ოცნება,
ბევჯერ გეტკინება, თუმცა თუ იწამებ,
ყველა ჭრილობა ხორცდება.

ეს ფრაზა ტყუილი არ არის,
როცა სწამთ ყოველთვის აღწევენ,
ნამდვილად ასეა იცოდეთ,
ამ ფრაზებს ჰაერზე არ წერენ.

***

ხშირად მინდოდა გაქცევა სადმე,
გამბედაობა მაკლდა ამისთვის,
ხშირად მინდოდა წავსულიყავი
და ჩემს შესახებ მეთქვა ღამისთვის.
მეთქვა ჩემზე და ჩემს წარსულზე,
და გამემხილა ჩუმი ფიქრები
და თუ ოდესმე გავბედავ ამას,
მე ბედნიერი მაშინ ვიქნები.

შავი რაში

იცით რა გრძნობაა, როცა ქარებს ებრძვი?
როცა ასე მიჰქრით მთებში შენ და რაში,
როგორ არ გიყვარდეს, როცა მას უყურებ,
როცა ასე ხედავ ქარში ფაფარაშლილს.

ასე მოხდენილი, ასე დახვეწილი,
თითქოს ქალი მხრებზე დალალგადაშლილი,
მორბის შავი რაში, შავი ქალბატონი,
მორბის, მოაჭენებს ქალი თმაგაშლილი.

***

არ მინდა ერთხელ ისე გათენდ ეს,
რომ აღარაფრის მქონდეს ხალისი
რომ ამ ცხოვრებამ ისე დამღალოს,
თვალებმა ხუჭვა იწყონ თავისით..
არ მინდა ერთხელ ისე დაღამდეს,
მთვარის ყურებით, რომ ვეღარ დავტკბე,
რომ ვარსკვლავებსაც ვეღარ ვუცქირო,
რომ ვარსკვლავებიც თანდათან გაქრნენ.

***

ამ სამყაროს მე ვერ ჩავწვდი და ვერ შევისისხლხორცე,
ღმერთი იმდენჯერ ვადიდე, და იმდენჯერ ვილოცე,
შევევედრე, ჩემი ქვეყნის დღეგრძელობა, სიცოცხლე
მაინც რატომ სტკივა ასე, ჩემს ქვეყანას, ვიცოდე!

ამ ბობოქარ სამყაროსში, თუნდაც ცეცხლში იწოდე,
შემწე არვინ გეყოლე, ღმერთის გარდა იცოდე!
ირგვლივ ვლეწავთ, ვანადგურებთ და ერთურთს არ ვიცოდებთ,
ამის გამო დედამიწა, შურს იძიებს იცოდეთ!

მამა

მამი იცი? როგორ მიყვარს განა
შენი თბილი მომღიმარი სახე
როცა შორს ხარ სულ სიზმარში გხედავ,
როცა გხედავ სულ მიბრწყინავს სახე.

აღარ ვიცი რით გამოვთქვა გრძნობა,
ვეღარ ვატევ ამ გარითმულ სიტყვებში,
როცა შორს ხარ, მენატრები ძალიან,
სულ ჩემთან ხარ სულ ყოველთვის ფიქრებში.

მამი ჩემთვის მზეცა ხარ და მთვარეც,
შენი სიტყვა ძალიან ძვირს ფასობს,
შენზე ვფიქრობ დღისითაც და ღამეც,
მსურს ამაგი შენი დაგიფასო.

მინდა მუდამ გვერდით მყავდე,
ოღონდ მუდ ამ ჯანმრთელი,
ჩვენს გრძნობაზე საუბრობდეს
უცხოცა და ქართველიც.

ბევრი მიზანი ერთად გვაქვს,
დაე ერთად გავიმარჯვოთ
მამი, შენი თამადობით
ყველა მამას გაუმარჯოს.

***

ვდგავარ ქუჩაში, მზერა მხოლოდ ერთისკენ გარბის,
ამ ქუჩის ახლოს „სკვერში“ პატარა გოგონა დარბის,
რას წარმოიდგენს გამყიდველი, ფიქრზეც არ გადის,
რომ ბამბის ნაყინს ამ გოგონას ბოლოჯერ აწვდის.

ოტია ზედგინიძე

ფილოლოგი

მესხეთის მიწავ

მესხეთის მიწავ დაგიდგები მუხლის ჩოქზე
იქნება კიდეც მოვეფერო ხორბლის თავთავებს,
იქნება კიდეც დაგიკოცნო ცხელი გულმკერდი
ან იქნებ სულაც ვუამბორო ცვრიან ბალახებს.

ოხ... როგორ მახსოვს ძველისძველი ოდა სახლები
ჩემს ბავშვობაში უცხოვრიათ თურმე მშობლებსაც
მე აღარ მახსოვს ეგრე წვრილად დაქუცმაცებით
თუმცა რომ მოვყვე გამომივა ალბათ პოემაც.

კიდევ მომინდა ვინახულე შენი სამყარო
ფეხით სულ მარტო გადავედი თმოგვის ციხეზე
ციხე-ტაძრები იმდენი მხვდა მხარევ ლამაზო
არ მეყო და ვერ დავთვალე ხელის თითებზე.

მოვინახულე ვარძია და ვანის ქვაბები
ჰო...გზაში შევხვდი ახლად დარგულ ვაზის ჯიშებსაც
წუნდის ტბასთანაც შევაჩერე ჩემი აქცენტი
ის ირეკავდა ზეცის ფერს და მზის ცხელ სხივებსაც.

მესხეთის მიწავ დაგიდგები მუხლის ჩოქებზე
მუხლის ჩოქებზე დავუდგები ვაზის ჯიშებსაც.

„დუმილი რეკავს“

(ტაო-კლარჯეთის დღიურებიდან)

ახლა ჩემ სათქმელს ინახავ,
გულით დავწერეთ რაც კი
ქართულო დროშავ მიყვარხარ
მთელი გულით და განცდით,

ტყუპისცალებივით ერთად დავდიოდით,
ერთი გვტანჯავდა ორივეს ჯავრი
მე გული მტკიოდა ქართულო დროშავ
შენ სისხლისფერი გტკიოდა ჯვარი,

ზარების რეკვა აღარსად ისმის,
მხოლოდ სანთელი არ ქრება, ელავს,
ცამდე აზიდულ ტაძრებში მხოლოდ
ზარების ნაცვლად„დუმილი რეკავს“...

***

ვიდრე დაიწყებ ღრუბლებში ფრენას,
ვიდრე ზეცისკენ ისარს გატყორცნი
მე ვერ გავუძლებ შენს ლამაზ მზერას
და შენს გემრიელ ტუჩებს დავკოცნი.

ოცნების კოშკებს მე ვერ აგიგებ
არც მთვარეულმა მსურს, რომ ვიარო
ერთი გული მაქვს, მინდა შნ მოგცე,
რომ სიყვარული გაგიზიარო,

თუმცაღა გული სხვა რამეს ფიქრობს
ჩამოიშლა ყველა კედელი,
კარიბჭე უნდა დაკეტილ იყოს,
მაგრამ დაკეტვა მე ვერ შევძელი.

მარიამს

ახლა ტროტუარს მივუყვებით მე და შენ ორნი
ვერხვის ხეები გვიყურებენ უნდათ გაგება...
იდუმალია ის რაც ხდება ახლა ჩვენ შორის
არსად იწყება... არსად მიდის... არსად მთავრდება...

ვერხვის ხეები გვაცილებენ სახლში ორთავეს
გვაცილებენ და არ იციან ჩვენში რა ხდება
ხმელი ფოთლები შემოდგომით ძირზე მოჰფანტეს
რადგან გვეწია სიყვარული ასე თავნება -

რადგან ვერხვებსაც გაუგიათ ჩვენი გრძნობები
რადგან ფოთლები გადაიქცნენ ვარდის ფერების
მე არაფერი გამეგება მათი გრძნობების
მე შენ სიყვარულს ვეზიარე ასე უეცრად...

შემოვიარე ჩემი ქვეყანა

შემოვიარე ჩემი ქვეყანა
ფეხით დავტკეპნე ამაყი მიწა
ყველგან იქ სადაც ფეხი დავადგი
ჩემი სამშობლო მეძხდა მტკივა.

მტკივა ფეხს როცა მადგამ
იმ ნაომარი ჭრილობის ადგილს
ლუარსაბ მეფის გამტყდარი ხმალი
გულში მესობა და მჭრის.

მტკივა როდესაც ჩემთვის
ზვარაკად შეწირულ გმირებს,
ვიღაც ფეხს ადგამს და ზედ გადადის,
მტკივა მაშინაც, როცა ვიღაცა
მხედავს ჭირში მყოფს და ჩემგან გარბის.

მაშინაც მტკივა, როცა სუფრაზე
თავი ვაჟკაცად მოგაქვთ ქართველებს,
ლექსებად ამბობთ სადღეგრძელოებს
შესვამთ ყანწებით,
ამ დროს კი დედას სამშობლოს
მტრები სთელავენ ტანკებით.

თქვენ კი ფეხებზე გკიდიათ
სვამთ და გნიასი გაგიდით
სულ არ გადარდებთ სამშობლო
იმას ერთ წამში გაყიდით,

ეგრე არ ვარგა შვილებო
დედა სამშობლოს გინება
ბრძოლით მოჰქონდათ წინაპრებს
გამარჯვება და დიდება.

ტყუილად ზედ რომ დადიხართ,
ტყუილად ფეხებს მაბიჯებთ
ვინც მართლა შესაგინია
წადით ის ლანძღეთ აგინეთ,

ვინც სამაჩაბლო წაგართვათ,
ვინც აფხაზეთი წაიღეს,
ვინც გულზე მასობს ბოძებს და
მავთულხლართები გაგივლეს.

ეგრე არ ვარგა შვილებო
დედა სამშობლოს გინება
სამშობლოს მტრისგან დაცვა და
თავის გაწირვა სჭირდება.

მარიამს

დღეს ჩემს ქუჩაზეც მოვიდა თოვლი
ჭაღარასავით შეუჩნდა ქალაქს
უშენო დღეებს ვინ დათვლის თორემ
აქ ჩემს ქუჩაზე ითოვებს ხვალაც.

თოვლი მოვიდა მარიამ
შენ კი არ ჩანხარ ისევ
შენ მენატრები ძვირფასო თორემ
თოვლი... რად მინდა ისე.

კალამი

ფიქრი მომერია ისე სევდიანია,
რომ კალამიც ჩემზე ღელავს,
ხან შეწყვიტავს, თითქოს ტირის,
ხან აგრძელებს ისევ წერას,

რომ სიცოცხლე ხანმოკლეა
ეს კალამმაც კარგად იცის,
ხან თვეები იცოცხლებს და
ხან ერთ დღეში კვდება, მიდის.

* * *

აცრემლებული თვალები ჰქონდა
ნაღველიანი ფიქრებით სავსეს
ვერვინ გაბედა მიჰკარებოდა,
როცა ის ბავშვი ტაძარში ნახეს,

მას ღარიბული სამოსი ეცვა
ხატის წინ იდგა თვალცრემლიანი
ხელში თუნუქის ყუთი ეჭირა
და შიგნით ეგდო ოცთეთრიანი,

თითქოს ფეხებქვეშ მიწა გაუსკდა
მუხლებზე მოდგა, პირქვე დაემხო
იატაკსა და კედლებს ჰკოცნიდა
თითქოს ნახაო ღმერთთან საერთო.

უფალს მადლობას სწირავდა
თან უნდოდა, რომ დაეგმო
ფული სად ჰქონდა პატარას
რათა სანთელი დაენთო.

ადგა და ბერთან მივიდა
სცადა სანთელი აეღო,
ბერმა უფლება არ მისცა
ასე უფულოდ წაეღო,

მაინც აიღო პატარამ
ღვთისმშობლის ხატთან მივიდა
დაანთო ჩალა სანთელი
ღმერთოო! ხმამაღლა წამოიყვირა..

სწრაფად, სირბილით გაიქცა
ასე დატოვა ტაძარი,
გარეთ გასული ბავშვის წინ
გადაიშალა ბაზარი,

უნდოდა რამე ეყიდა,
უნდოდა რამე აეღო,
ის ოცი თეთრიც აღარ აქვს
ბერთან, იქ ... მაგიდაზე დაედო.

წამი შეაჩერე ღმერთო

ისე დავიღალე ამ ყველაფრით
ავტირდი და თვალებს ცრემლთა ცვენა ეზარება
ისე განვიცადე ჩემი გაზრდა
წამი შეაჩერეთ...
ისევ ის ბავშობა მენატრება...
კაცის შვილიც ისე იბადება, როგორც ანგელოზი
მერე იზრდება და ეშმაკს ემსგავსება...
ერთი შეცდომიდან მეორეში
იმ ერთს ის მეორე ემატება
მე რა დავაშავე ასეთი, რომ გავიზარდე
წამი შეაჩერე ღმერთო!
ისევ ის ბავშობა მენატრება...

ანზორ ხუციშვილი

***

ბედმა მაშინ გვარგუნა მწარე ისტორია
სანამ გავიზრდებოდი,ვფიქრობდი და მეგონა
ჩვენი ტაოკლარჯეთი,ის დრო რომ დადგებოდა
მაშინ გავიხარებდი ჩვენი რომ იქნებოდა
და ჩვენს მიწებს სხვის ხელში ვადა გაუვიდოდა.
ლორე,კახი,ზაქათალა
მტერმა ესეც არ გვაკმარა.
სოჭს,ბელაქანს და კიდევ სხვას.
აფხაზეთი მიამატა.
ლმობიერმა ჩვენმა ერმა ყველა როგორ შეიფარა.
ვინც მივიღეთ ყველამ გვიმტრო,აგვაოხრა გაგვამწარა.
გაძლიერდა დაიჩემა ჩვენი მთა და ჩვენი მიწა.
იფიქრებდა ადრე ვინმე სამაჩაბლო არ დავკარგოთ?
ისრით კავით მოტანილს აღშფოთებით დავადგენთ?
ღმერთმა ისე განსაჯოს დამერე კი დასაჯოს
მოაგვაროს ყოველი,ვინც რომ დასასჯელია
გააბრწყინოს ახაროს,გაამრავლოს ერია.
მისახედი სუყველგან ჩვენი ტერიტორია
აჭარა და ჯავახეთი ჩვენი ტურფა მესხეთი.
ბედმა მაშინ გვარგუნა მწარე ისტორია....
ერთმანეთში ვიომოთ და ვარკვიოთ ამბები.
ვიკამათოთ ვადგინოთ მართალი და სწორია.

წყაროს კალოზე

ჩვენი ასაკის კაცები,
იყვნენ ჩვენ წყაროს კალოზე.
მათ ერქვათ ბერიკაცები
მიწოლილები მდელოზე.
ყვებოდნენ ათასნაირებს,
ამ მთისასა თუ იმ მთისას
არ დამალავდნენ არაფერს,
თავისასაც და სხვისისაც...
მერე კი აზრთა ჭიდილი
სიმართლე იკვებებოდა
თუ ვისმე კარგად არ ეცვა
წყაროსთან ვერ მივიდოდა.
ქალები რიგს აურევდნენ
გადაუსწრებდნენ ერთმანეთს,
თავისას რომ აავსებდნენ
ვედრებას ართმევდნენ მეზობლებს...
იმართებოდა ერთგვარი
კამათი აურ-ზაური....

ბევრი მინახავს ამგვარი
მეგობრულ-ამხანაგური.
და თუ არავინ არ იყო
დგებოდა ჩვენი ჯერია
ბავშვები მივცვივდებოდით
ვხარობდით ჰერი-ჰერია
წყაროს თავს იჯდნენ და მაინც
იქ ჩასვლა ემძიმებოდათ,
ბავშვის პატარა ჭურჭელი
ნახევარს არა ხვდებოდათ.
გვაზიდინებდნენ ცივ წყალსა,
გადააწვდიდნენ ერთმანეთს.
დილით წასული სისხამსა
ძლივს მოვდიოდით შუადღეს.
ჩვენი ასაკის კაცები
და უკვე ბერიკაცები.
მე ეს მეასემგონია
თქვენც ალბათ დამეთანხმებით...

***

კანონი თურმე ყველასათვის არ არის ერთი
ზოგიერთები ამ დროს ლარად იძენენ ვილებს.
ბევრი კი ფიქრობს:რა ვაჭამო,რა ვუყო შვილებს?
ლუკმა პურისთვის უცხოეთში გადაკარგულა.
დედამიწაზე უზნეობა გამეფებულა.
დიბულები მოძრაობენ ლანდროვერებით
და ზოგიერთებს ჩამოართვეს მუშა ცხენები.
ნემსის მომპარავს გაჰკიდავენ სახრჩობელაზე.
აქლემისას კი გაუშვებენ ნაყიდ ვილაზე.
კანონი თურმე ყველასათვის არ არის ერთი.
დაშინებული სამართალი რაღს არ იზავს.
უარესისგან დაგვიფაროს გვფარავდეს ღმერთი.
რატომ აღწევენ უღირსები ადვილად მიზანს?

გულო არ დაბერდე

და ბედს არ დანებდე.
გული არ ბერდება
გრძნობა არ იცვლება
თვალს ისევ აქვს ფერი
სიტყვით ვერ გამოთქვა
კაცმა ყველაფერი..
გული არ ბერდება
სიკეთე არ ქრება
გრძნობა არ იცვლება
იმედი არ კვდება
სიკეთე დარჩება
ნატვრები ახდება
ბოროტი წახდება
დაეს ასე ხდება
გული თუ დაბერდა
სიკეთე გაქრება
ნატვრები დარჩება.
ჭრილობა არ რჩება
გული თუ დაბერდა
და თუ ბედს დანებდა
ნატვრები ჩაკვდება
იმედიც მოკვდება
ჩაქრება,გაქრება
ჭრილობა რომ ჩნდება
და სულარ მთელდება
თავის კვალი რჩება...

***

მზემ გამოსცურა ღრუბლების ტალღა
ამინდი გვტანჯავს აღარ გვეშვება.
გაივლის დრო და ის შეგ ვეშვება
და იგი მალე გამოსწორდება.
მაგრამ ბოროტ კაცს არ ეშველება.
წვიმის სვეტებმა მორწყო-მონამა
ჩამოაშორა ყველაფერს მტვერი
დაღვრილი ოფლი მიწას გარია
გადაიდარა დადგა დარია
ავდარის მერე ეს ასე ხდება
ბუნება თითქოს რომ შეჩერდება
გამოიდარებს ქარი ჩადვება
აღარ იქროლებს და დაწყნარდება.
გამოცოცხლდება უცბად ბუნება
და გაიხარებს მწყემსის გუნებაც
ამღერდებიან სველი გვრიტები
მათ ბანს აძლევენ ჩიტები ყველა
ტოროლა ადის სულ ვერტიკალზე
ისე მაღლაა აღარ სჩანს ცაზე
მერე მოწყდება და დაეშვება
და დასკუპდება მონიშნულ ქვაზე.
ნისლებს ნიავი მიერეკება
ცა ლურჯი ფერით წაილეკება
მზემ გამოსცურა ღრუბლების ტალღა
ცაში აცურდა სულ მაღლა-მაღლა.

შენი ღიმილი მკურნალია ყველა ტკივილის

ნიავი ქროდა არე-მარეში
ის ანგელოზი იდგა კარებში.
მე დიდი სითბო დავინახე ლამაზ თვალებში
და მღელვარება შევიგრძენი გულის არეში.
მოვედი შენთან არ დამდგარა ჟამი დუმილის.
გულმა რამდენი მოითმინოს არა და რისთვის?
მაგრამ გულის თქმას ენა ვერ იტყვის.
შენი ღიმლი მკურნალია ყველა ტკივილის.

და მოხდა სასწაული

სავადმყოფოში საწოლზე იწვნენ ბავშვი და ქალია.
ორივე განწირულები მოკლე დღე ჰქონდათ ბრალია.
არავინ ჰყავდათ ამ ქვეყნად ვეღარ უძლებდნენ ტკივილებს.
მკურნალნიც უძლურნი იყვნენ აღარც უსმენდნენ ჩივილებს.
იძახდნენ:დღეები დარჩათ,ისმენდნენ გმინვა-კივილებს.
ქალი ნამეტან შეწუხდა ბავშვის გმინვა და კვნესითა.
დაკარგა მან მოთმინება ლამის მიახრჩოს ხელითა
და აპარატის გამორთვა მან განიზრახა ფიქრითა.
წამოდგა ბავშცთან მივიდა,კათეტერს მიუახლოვდა.
ბავშვმა თვალები გააღო,დედა სულ რომ არ ახსოვდა.
მოხვედი დედი,შესძახა შემოეხვია ახლოდან.
მოხვედი დედა,ალერსით ეხვევოდა და ამბობდა:
შენ სად იყავი აქამდის რატო დამტოვე მარტოდა?
თავის საწოლში მიიხმო აღარ გაუშვა ხელები.
ქალი გაოგნდა,დაჰყვა ბავშვს და დაწვნენ ფერებ-ფერებით.
რატო დაგვტაბჯე უფალო,ამ ბედის რად გაგვაჩინე?
ღმერთს შეევედრა მე მომკალ ეს ბავშვი გადაარჩინე.
ბავშვს მაშინ ჩაეძინა და შეწყვიტა გმინვა-წრიალი.
ასე სტაბჯავდათ ორივეს სიმსივმე ოხერტიალი.
ბავშვმა სიზმარში იხილა ნათლით მოსილი მამანი.
ორივეს თბილად დაჰფარა უფლისგან თბილი საბანი.
ვეღარ ვაგრძელებ მე თხრობას ცრემლები გამომერია.
არ მინდა ღმერთო ამგვარად არ იყოს ჩემი მტერია.
გათენდა სასწაულ იქნა განცვიფრდა ყველა მუშაკი.
არცერთს აღარ აქვთ სიმსივნე და დაუბრუნდათ ფერია.
დავადებების მაგვარი სხეულში არაფერია.
უფლის ნებამ ჰქმნა ყოველი ასეა ყველაფერია.
ესე ამბავი თხრობილი მე ლექსად დამიწერია.
ღმერთო დალოცე ყოველი დაგაახარე ერია.

ღმერთო გვიშველე

დაკარგული და შინ მოუსვლელი
აბა მითხარი თუკი ერთია.
ჩვენი მშველელი და გადამრჩენი
ამ ქვეყანაზე მხოლოდ ღმერთია.

მიყვარს ყველაფერი

რაც კია ქართული.
მიყვარს მე იგი თუა ქართული:
მიწა, მინდვრები,მთები ზღაპრული,
კლდოვანიც,სალიც,ტყეში ჩაფლულიც,
მუსიკაც,ცეკვაც, მამა-პაპური.
სიჩუმეც მიყვარს თანხმობის ნიშნად.
და შეთანხმება გენით და ჯიშად.
მთიდან დაშვებულ მებრძოლთა ჟინი
მტერს რომ აკრთობდა მათი ყიჟინი.
ხმალით და კავით მოუტანიათ.
ცხოვრებაც ასე გაუტანიათ.
ცრემლით და სისხლით დაუწერიათ
რაც მამულისთვის აუტანიათ.
კარგია ის რაც კია ქართული
ჩვენი მიწა და ჩვენი მამული
ძველიც ახალიც და დაკარგულიც
ჩვენი წინაპრის სისხლით დაცული.
ეხლა იქმნება ქართლში სოფლები,
გვეძალებიან სულ სხვა ტომები.....
ჩვენ კი სულ სხვაგან ნებით გავრბივართ.
და ასე ვხდებით სხვისი მონები...

მალე გაფრინდა ეს ხუთი წელი

ნატვრის მდინარე ერთ დროს მოსჩქეფდა,
წისქვილის ბორბალს ატრიალებდა;
ჩემი ბავშობა იმას მისდევდა,
ლამაზ ოცნებებს ღერღავდა,ფქვავდა.
თეთრ ლოლოებად მიყინებულა
ჩემი მდინარე კლდეზე მხტომარე,
ბუნებაც ისე გაჩუმებულა
თითქოს განაჩენს უსმემს მდუმარე.
ბუნებას სძინავს და გული ფიქრობს
ირგვლივ ფერი აქვს ყველაფერს თითქოს
არასოდეს აღარ გაცოცხლდება.
პასუხს იძლევიან ნება-ნება...
მალე გაფრინდა ეს ხუთი წელი,
წარსულს ჩაბარდა მთლად ყველაფერი.
რა მომიტანა მე სარგებელი?
გამიორკეცა სადარდებელი.
ნატვრები ისევ დმრჩა ნატვრებად,
მიზნები ისევ მიუღწეველი.
ნეტავ ცხოვრება თუ ღირს წვალებად,
ჩემი ცხოვრება დაუძლეველი?

კარგი ცუდის გარჩევა

თურმე ესეც ნიჭია.
ყველამ უნდა იცოდეს
გოგოა თუ ბიჭია.
ზოგი თავის თავს უზავს
იმისთანა საქმესა
ასი მტერი არ უზავს
ამისთანა ამბებსა...
შენი თავი მის ადგილს
უნდა წარმოიდგინო
“დაფიქრდენა” მანამდის
ილანძღო და იგინო....
სანამ რამეს იტყოდე
შენთვის გაითავისე
არ წააგებ იცოდე
შეაფასე სხვა ისე.
ცუდი კარგის გარჩევა
ძნელი არის ნამდვილად
ვინც არ იცის არჩევა
ასე არის ამრიგად.

ორი ივნისი

როცა იქნება ორი ივნისი,
ზაფხული მაშინ როცა დადგება,
გაგვახსენდება მაშინ თბილისი
და ჩვენი ნატვრის წამით ახდენა.
პიროვნებების იქ ცხადად ხილვა,
იყო რათაცა თვალის ახილვა.
მერე ლექსები და მილოცვები,
მესამე ტომის წიგნის განხილვა.
იყო სითბო,იყო ტკბობა,
და ლამაზი ლექსთა წყობა.
გულმა ნახა მეგობარი
და არ იყო მარტოობა.
ლექსის დიდი სიყვარულით
ამით იყო იქ ერთობა
და ეს წუთი წრფელი გულით
შევინახეთ მოგონებად.
ანთებული ბევრი გული,
ყვავილების თაიგული,
უხუცესმა სიტყვა რომ სთქვა,
უკვე იყო განხილული....

***

ბზით არასდროს აუვსია
სახლი მონაბერსა ქარსა,
კბილი არ გაესინჯება
ცხენსა სხვისგან ნაჩუქარსა.

საიდუმლოს მალვა უნდა
ვითა ცხენსა ნაქურდალსა.
ცუდისა ქმნას რა უნდა
ყოველ წუთს შესძლებ იმასა.

სიკეთეს მიტომ არ ვსთესავ
რომ მოვმკო სამაგიერო;
შენ ამ სიმართლით მატარე
ცხოვრებავ შე წამიერო.

მუდამ კეთილი აკეთე
იცოდე შე ბედნიერო.
თუ გააკეთე სიკეთე
ნუ ითხოვ სამაგიეროს.

რატომ მიხდიან ნეტავ კეთილს ბოროტით?

ვფიქრობ და მე პასუხი ვერ მიპოვია.
ბევრჯერ მიფიქრია მე მთელი წლობით
და მაინც უპასუხოდ დამიტოვია.
მწარე მოგონებად მომდევს ყოველი დღე
სიკეთის ნაცვლად ყველგან სევდა მივიღე.
მე ფიქრის მერე ხელში
პასტა ავიღე.
ლექსად ფურცლისკენ
სევდა წავიღე...

შოთა ტიტვინიძე

ჩემი სიყვარული

სიყვარულზე ბევრი ლექსია ნაწერი,
სიყვარულზე ბევრი სიმღერაც არის ნამღერი,
მაგრამ ჩემი შენდამი სიყვარულს ვერცერთი გადმოსცემს სრულებით,
ჩემი სიყვარული უსასრულოა,ჩემო მონატრება სუფთა და წრფელი,
ისინი არასდროს დამთავრდებიან,მარად იქნებიან ჩემში,
მაგრამ სწორედ ეს მონატრებაა სამარეს რომ მითხრის გვერდში.
მე მენატრები უზომოდ,ფიქრშიც ჩემთან ხარ მუდამ,
ხოლო შენ სითბოს რომ ვერ ვგრძნობ გულიც მიკვდება, ვღელავ,
ვღელავ,რომ ვეღარ ვიხილავ შენს ულამაზეს ღილიმს,
შენ პაწაწინა სხეულს, შენს უსაყვარლეს ქვითინს,
მე შენ მიყვარხარ უსაზღვროდ, ჩემი სიყვარულის ვერ ნახავ წონას,
სწორედ ეს არის მიზეზი, კიდევ ფეხზე რომ ვდგევარ.
მე მეყვარები მარად,სადაც არ უნდა წახვიდე,
შენ ხომ ჩემთან ხარ, გულში, მე კი არასდროს გაგიშვებ,
ეს სიტყვები არის მცირედი,რისი თქმაც შენთვის მინდოდა,
მაგრამ შენი სიყვარულისთვის სიტყვებიც არასდროს მეყოფა.

სიყვარულის ძალა

სანთელი შესტირის სიყვარულს ჩვენსას,
გრძნობებს გადმოსცემს თავის ცრემლებით,
ანგელოზები ლოცავენ უცნაურ ტრფობას,
ჩვენთან მოსულნი პიჯვრის დაწერით,
ძალაც მიეცა სიყვარულს ჩვენსას,
ბრძოლა განაგრძო ერთგულ გუნებით
და რქებწამოცმული უკუდო მხეცის
მტვერიც გააქრო უფლის კურთხევით.

მიყვარს

მიყვარს ყვლაფერი,
რაც შენს თავს მახსენებს,
მიყვარს ფიქრები,
უშენობას არასდროს მაჩვევენ
მიყვარს ეგ თვალები,
სიყვარულს რომ აფრქვევენ,
მიყვარს ეგ ტალღები,
ჩემ დახრჩობას რომ ლამობენ,
მიყვარს ეგ კულული,
ქარს რომ დააქვს ფარფატით,
მიყვარს ეგ სურნელი,
რომ დავყავარ დამთვრალი.
მიყვარს ის წუთები
წამებად რომ დარჩნენ
მიყვარს ეგ ტუჩები,
ტკბილ ნექტარს რომ ჰგავდნენ,
მიყვარს ის გვირილა,
ბოლო ფოთლით სიყვარულს რომ გიხსნიდა,
მიყვარს ეს ლექსი,
ამდენ ხანს რომ გიცდიდა,
მიყვარს ყველა სტიქია,
შენს ჩახუტებას რომ მიძღვნიდა,
მიყვარს ყველა,რაც კი
მიგვრძნვია,
უშენობაც თვეები რომ მიცდია,
მიყვარს ის ცრემლები,
ჩემს მკერდზე რომ იფრქვევა,
მიყვარს ის სევდა,
ჩემს გვერდით რომ გიქრება,
მიყვარს ეს გრძნობები,
არასდროს რომ არ გაქრება,
მიყვარს ეს სტროფები,
თვით უკვდავი რომ გახდება,
მიყვარს,ყველაფერი მიყვარს,
რაც შენს თავს მახსენებს,
მიყვარს ის უფალი,
ამ ძალით რომ მაცოცხლებს.

***

როცა იყივლებს სამჯერ მამალი,
სამჯერ უარვყოფ თავად მაცხოვარს,
მუხლებს მოვიდრეკ ცრემლით დასვრილი
და შევღაღადებ ისევ მაცხოვარს,
გავა დღეები, იქცევა წლებად,
კვლავ სინანულში თენდება ეს დილაც,
მჯაღებ შეკრული, ლოცვით ფარულად,
ისევ ვაგრძელებ ცხოვრებას მალულად,
ისევ ვაშავებ, ისევ მარტო ვარ,
ხალხში ყოფნასაც ნუგეში არ მოაქვს,
ჩემი ლოცვებიც უბრალოდ მოთქმაა
ჩემ თავს ვუყურებ, ცოდვის მონაა,
ასე გრძელდება წყეული ცხოვრება,
ასე მთავრდება ჩემი გოდება,
ვერ შევიცანი უფლის მოძღვრება,
ახლა კი ვდგავარ ვით არარაობა.
(ახლა კი ვარსებობ,ვით ამაოება).

რატომ მიღიმი ასე ლამაზად

რატომ მიღიმი ასე ლამაზად
თუ კი არ გინდა მიყვარდე?
მე ხომ შენი ღიმილი მიყვარს
ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე.
რატომ მიცქერ მასე თამამად,
რად მაძლევ იმედს რომელიც დამტანჯავს,
ფიქრებში მახვევ,მძირავ ამაყად,
მერე კი ქრები,გეძებ, სადა ხარ?
რატომ მაძინებ ნაზი ხმით,
შენ კალთაზე თუ არ მასვენებ,
შენი ბაგიდან წარმოთქმული სიტყვა
მთელი ღამე რომ არ მასვენებს,
რატომ მეხები სათუთი ხელებით,
თუ კი ვერ შემოგეხვევი,
მე ხომ ვდუმდები ვერ ვამბობ სიტყვას
შენი თითების ნაზი შეხებით.
რატომ ჩერდები ჩემთან ამდენხანს
სამუდამოდ სხვისი თუ იქნები?
რაღატომ მიღვივებ ძლიერად ვნებას
თუ კი ერთხელაც ვერ შეგეხები,
რატომ? რატომ მიღიმი ასე ლამაზად
განა გსურს მტკიოდე საზარლად
მაგრამ თუ ესეც გაივლის თანდათან
დაე, ასე იყოს, მოგყვები გზადაგზა.

***

სამშობლო,ძველთაგან ძველო,
სადაა შენი დიდება?
სადა ხარ,კაცო ვაჟკაცო,
მაჩვენე მტრების მიღება,
სადაა ქალო მანდილი?
მისი მადლი და ღირსება,
ნუთუ,წაგვართვეს ყველა,
რითაც სახელი გვერქვა.
ძარღვებში სისხლი რომ ჩქეფდა,
ჩვენი გულისთვის დღედაღამ წვეთდა,
რისთვისაც ცხოვრობდნენ,შრომობდნენ,
რისთვისაც ბოლომდე ომობდნენ-
მამული,ენა,სარწმუნოება,
დავივიწყეთ და დავკარგეთ მეობა.
წინაპართ საქმენი არაფრად ჩავაგდეთ,
მათი სახელი მიწაში დავმარხეთ,
მონაპოვარი უაზროდ გავფლანგეთ,
თავისუფლება რაზე გავცვალეთ?
საკუთარ მშობლებს არაფერს ვარჩენთ,
საკუთარ შვილებს ლოგინში ვაწვენთ,
სიძვის ცოდვას ერთი-მეორეს ვაჩვევთ,
ღმერთო!კიდევ რამდენს გვარჩენ?
რამდენ ჯვარს და ტკივილს ათრევ,
ამდენ აღდგომას არაფრად ვაგდებთ,
ბოლოს მაინც უმადურობას ვარჩევთ,
საკუთარ თავში კი ვერაფერს ვამჩნევთ.

განდეგილი

ღამე დადგა, მთვარე დადნა
გარეთ გავედი, ქარიც ჩადგა
ვარსკვლავი ენთო, ისიც ჩაქვრა,
წყვდიადი დადგა, მთლიანად მშთანთქა
პირი გავაღე, სიტყვები დამრჩა,
დუმილს დავჯერდი, სიჩუმემ მლანძღა,
წყალს მივეძალე, ტუჩები გაშრა,
ფიქრებს მივსდევდი, ორმოში ჩამცა,
ცრემლები წამსკდა, ქვესკნელსაც გასცდა,
ხიდზე გავედი, მდინარე დაშრა,
სიყვარულს ვეძებდი, გრძმობები გაქრა,
სითბოს ვითხოვდი, სიძულვილი დამრჩა,
შველას ვითხოვდი, ხელი არ ჩანდა,
მარყუჟი შევკარი, იუდამ გახსნა,
უფალს შევთხოვდი, ეშმაკმა დამცა,
სიკვდილს ვცდილობდი, იმანაც გამცა,
სამოთხეში შესულს - ჯოჯოხეთი დამხვდა.

ამოღვარცოფდი სისხლო, ცხოველო

ამოღვარცოფდი სისხლო, ცხოველო
ნადენო,წითლად ნაფერო,
ამოანთხიე გრძნობები,დავცალოთ,
ამდენი სევდა აღარ დავმალოთ,
ამოღვარცოფდი სისხლო,მომდგარო
ყელის პირამდე წლებით მომჯდა,
მოდი,დავცალოთ,არავის ვანახოთ,
თავი განსაკითხად აღარ დავხაროთ,
ამოღვარცოფდი სისხლო,წავლეკოთ,
ჩვენი ცოდვები თავადვე განვდევნოთ
გულის ნადები მალე გავთელოთ,
თორემ ხომ ხედავ,აღარ ვარსებობთ,
ამოღვარცოფდი სისხლო,ცხოველო
ნადებო,წითლად ნაფერო
და დამცალე ბოროტ(ჩვეულ) ფიქრებით
რომ ვიარსებო მშვიდი ცხოვრებით.

ჩაეჭიდე სიხარულს

ჩაეჭიდე სიხარულს, ჩაეჭიდე კარგად,
თორემ ის წავა და შენ დაგრჩება ნაღვლად.
მალე წავა და დარჩები მოგონების დარდად,
სანამ დროა შეამჩნიე, არ დაგტოვოს სახტად.
ბევრი ტირის სიხარულში მწუხარების ცრემლად,
ვერც კი ხვდება, დარდი რომ ვერ მიდის ვერსად,
შეიფერე სიხარული, რა შეგრჩება მეტად?
თითქოს განუყრელად იქნებოდეთ ერთად.
გაიღიმე და იყავი ლაღად,
თან გიხდება და შეიფერე ნაზად,
ცრემლს თუ დაღვრი უნებლიედ, ცალად,
ისიც იყოს სიხარულის და მშვენების დარად.

ზიარება

უფლის სხივები შეჰყურებს კვარცხლბეკს,
სარკმლიდან მბჟუტავი უწმინდეს სანთლებს,
აღსავლის კარები მფარველობს გლახებს,
ხატის წინ მოკაშკაშე ცრემლსავსე კანდლებს,
სახარების ამბორით გაპოხილ თავებს,
მოძღვარი სახავს ზეთისფრად ჯვარებს,
ოლარის ქვეშ,სინანულით ბევრს
მღვდელი არიგებს ცოდვისთვის მრევლს,
ბარძიმით სავსე შენდობის დღეს,
ღმერთი წყალობით ფარველობს ცხვრებს.

***

განშორებების მომაწვა დარდი,
არ დააყოვნა შემოაღო კარი,
შენი დაკარგვით დავრჩი სახტი,
სულ მთლად დავკარგე საკუთარი თავი.
ფიქრში მომაწვა გადავხტე მტკვარში,
ნდობა ჩააქრო ერთგულებამ თვალში,
გონება დარჩა სიჯიუტის ლაფში,
გული ჩაიკეტა საკუთარ თავში.
წითელი ვარდი გადარგეს ზღვაში,
მარტოსულობა იგრძნობა სახლში,
ყვავებმა დაიწყეს წრიალი ცაში,
ხმელმა წიფელმა ჩამხედა თვალში,
უსულო მიცვალებულის გავხდი მსგავსი,
ნედლი ცრემლებით ტიროდა სვავი,
ნამიან ბალახს აშრობდა ქარი,
სიკვდილთან მდგარი უკვალოდ გავქრი.

წლების მერე

რა ვუყო, რომ მენატრები
გამუდმებით შენზე ვფიქრობ,
ცრემლები რომ ღაწვებს მილბობს,
უშენობა გვერდებს მიხმობს,
შენ კი არსაიდან აღარ მიხმობ
დაკარგულო,ალბათ ვეღარც მიცნობ,
მაგრამ მაინც მინდა ბოლოს გკითხო,
წლების მერე ნაოჭებით რომ მიხილო,
მოგინდება ჩემს მკლავებში კვლავ იძინო.

***

ღმერთო, მაღირსე წრფელი სინანული
მდუღარე ცრემლებით მატირე შენთვის,
ცოდვები შემინდე, შენთან მომიშვი,
სანამ ეშმაკმა შემიპყრო ამისთვის.
ღმერთო, მიბოძე კაშკაშა სანთელი
მუხლებზე დამაყენე სახარების ნაჟღერით
გადამიშალე ლოცვა-მრწამსები
ოღონდ მიმიღე ჩემი არსებით,
ღმერთო,მომხედე, მომეცი შანსი
ტარტაროსთან ვარ, ღიაა კარი,
რწმენა შემერყა, დამსახე ჯვარი,
ძლიერ დამძიმდა მარჯვენა მხარი.
ღმერთო, მითხარი რას უცდი, გამიშვი ცაში,
არ მსურს სისუსტით დავრჩე გზაში,
წუთისოფელიც დიდი აღმოჩნდა სვლაში
ამისთვის გევედრები, ნუ დამტოვებ მიწიან ლაფში.

***

სად არის დრო ახლა გლოვის,
ჩვენ არ გჩვევია,ცხოვრება მონის,
ჩვენი ვალია გარჩევა სწორის-
ქართველთა ხსოვნის უკვდავად ყოფნის
ვაჟკაცნო!მაჩვენეთ მაჯებში ხმლები
ალესილები მშობელთა ცრემლით
გახსოვდეთ მუდამ:ჩვენთან არს ღმერთი
არ შევურაწყოთ წასულთა ძვლები,
უნდა დავიცვათ,ოჯახი ჩვენი,
არ დაგავიწყდეთ-ჩვენა ვართ ერთნი
ღვთისმშობლის წილხვედრი პატარა ერი,
რომელსაც ახვევია მრავალი მტერი.
ჩვენ არ ვნებდებით,არასდროს!
გესმით?!არასდროს მოხაროთ ქედი!
მხოლოდ ერთია ვისთვისაც ეს ღირს,
ისიც ღმერთია,მაღლიდან მხედი,
ჩვენ არ ვჩერდებით,არა გვაქვს გენში,
უნდა ვიბრძოლოთ,წერია ბედში,
თავისუფლებას სჭირდება მსხვერპლი,
არ დავიწყება,არასდროს,ღმერთის.
ჩვენი დედების ლოცვები გშველის,
ჩვენი მამების გვპატრონობს მხრები,
მათით მოვაღწიეთ,ვამაყობთ,გვესმის-
ერთიან საქართველოს თავისუფლება ელის.

ერთი, ორი, სამი...

საღამოა მშვიდი,წყნარი,
ვარსკვლავები იხატება ცაში,
ზღვის ნაპირას მჯდარი
კენჭებს ვისვრი მოლივლივე წყალში,
გადახტუნდა ერთი,ორი,სამი
და შთაინთქა უსასრულობაში,
ახლა მხოლოდ სევდა დამრჩა,
ერთი,ორი,სამი...

რევაზ ზუმბაძე

ახალციხე, სოფელი კლდე, პოეტი

თურმე ყველა თეთრს საკუთარი შავი ატყვია

აღსარებაზე მივაკითხე ერთხელ მამაოს
თუმც არ ციოდა, მაგრამ თოვდა იმ დღეს ცოტ-ცოტა.
გულში დამალულ თავმართლების აზრებს ამაოს
როგორც დაღლილ გულს, ბაგა-ბუგი ისე გაჰქონდა.

მე არც მარხული და არც აზრში „წმინდის მისხალი“
ცოდვილთა შორის,უფრო მეტი ცოდვა მომესხა!
ჩემს უკან მდგომი „წმინდანები“რომ შევიცანი
თავი ავწიე, სიამაყით გულზე მომეშვა!

რაუნდა მეთქვა, იმნაირი ცოდვა რამქონდა?!
იმათთან უფრო “უცოდველი კრავი ვიყავი“!
წუთისოფელი თითქოს ისე სუფთად გამქონდა
სირცხვილი იყო რომ ცოდვებში გავსვრილიყავი.

როცა შევედი, თავნებობით როგორც ამაყი
ცოდვებს მოვასხი სამოსელი,“ვითომც აქ არა“!
თურმე წინ მქონდა სირცხვილები გადასალახი,
და სიამაყემ სამუდამოდ თავი დახარა!

თურმე ყველა თეთრს საკუთარი შავი ატყვია
თურმე ისა ხარ, რაც ფიქრებში სხვანნი გგონია!
თურმე წმინდანნიც უცოდველად ვერსად დაჰქრიან
თურმე რამდენი,“უცოდველი“ ცოდვა გვქონია!

***

გადაიარა ძლივს ძლიობით მძიმე აპრილმა
გამომაისდა არც ამჩატდა. ისევ იგივე,
სვლა გააგრძელა წამზომმა და თანაც ათვლილმა
თან აიყოლა საათები, კვირის შვიდივე.

ჩიტი ჭიკჭიკებს. იმედი კი ისევ ამაო
გამოფენაა მწვანე ფერის.ეზო ბიბინებს.
სადღაც ლოცულობს, სულისთვის შავში მამაო
მოტირალი კი,ღალულ სახეს ცრემლით ირბილებს.

არავინ იცის სად გაწყდება. ბეწვის ხიდია
დრო მართალია. დრო დროა და სადღაც მორჩება.
მიწად მოსულის სული მუდამ ცაზედ კიდია
და მიწად მოსულს ტკივილების ზვრები მოხვდება.

გადაიარა უამრავმა დღემ და საათმა
ზოგჯერ იცხოვრა, ბედნიერის ერგო ეჟვანი.
ზოგჯერ ტკივილებს ებრძოლა და თავი გაართვა
ზოგჯერ ვერ გაძლო, ვერ იგუა მცირე ეკალი.

გადაიარა ძლივს ძლიობით მძიმე აპრილმა
ასეთი არის ბედი სხვა და ბედი იგივე.
სვლა გააგრძელა წამზომმა და თანაც ათვლილმა
თან აიყოლა საათები, კვირის შვიდივე.

***

ზეცა დუმს,როგორც მდუმარე ბერი
მეხიც კი ჩუმათ აქუხებს ქუხილს,
კეთილ კაცს უფრო დაჰყვება მტერი
და უფრო მეტად ატარებს წუხილს.

ლოცვას თან ახლავს ყოველთვის წყევლა
გონების წასვლა,ღმერთისგან შორით,
გარდაიცვლება ერთ დღესაც ყველა
მშვიდობით ანდა უაზრო ომით.

***

დახატე რამე, წვიმდეს, თან თოვდეს
მიწას კი ცაზე ეკიდოს ხენი,
ირემი ღრუბლის ბალახზე ძოვდეს
დაღამის კლდეებს არღვევდნენ დღენი.

ყვავილი თოვლში და თოვლი ქარში
უდაბნო წყალში, გემები ბორბლით,
კაცები კარში, ღმერთები სახლში
დედამიწა კი, ფერების ჭორფლით.

რაშები ფრთებში, სიცოცხლე მკვდრებში
მთვარეზე სითბო, ყინული მზეზე,
მათხოვარს ოქრო, მდიდარი ჩვრებში
ზევსი ქვესკნელში, ჰადესი სხვენზე.

უდაბნო, ზღვანიი და ყველა ერთი
დედამიწა კი, მწვანე და შავი,
ადამი ცაში, აქ კიდევ ღმერთი
სამყაროს ფუნჯით გამოსდე მკლავი.

ირემი ღრუბლის ბალახზე ძოვდეს
და ღამის კლდეებს, არღვევდნენ დღენი
დახატე ისე: წვიმაში თოვდეს
მიწას რომ ცაზე ეკიდოს ხენი!

თიხის და წყალით ნაზელის ვალსი

ცხოვრება გრძელი, ხანმოკლე ფერით
სუნთქვა მსუბუქი, თან მძიმე ლოდი,
სიკვდილი მუდამ სულ ბასრი ცელით
თვისუფლება და მაინც შფოთი.

სიტყვები, ტყვია გული და ფილტვი
სისხლი და ხორცი, მიწა და ზეცა,
გტკივა და მაინც ტკივილით ილwვი
არ შეგიძლია ყველაფრის შეცვლა.

წვიმა და ქარი, მზე, ცივი მთვარე
აზვირთებული წვეთების ტალღა,
წამები ტკბილი, წამები მწარე
სილამაზე და სულს შიგნით დამღა.

მარტი, აპრილი, მაისის თვლაში
სეზონებს მიღმა დროების კვალი,
თიხის და წყალით ნაზელის ვალსი
ცა წმინდა, ცაში ნისლების კვამლი.

ცხოვრება გრძელი, ხანმოკლე ფერით
სუნთქვა მსუბუქი, თან მძიმე ლოდი,
სიკვდილი მუდამ სულ ბასრი ცელით
თვისუფლება და მაინც შფოთი.

***

მაშინ როცა მოვა ღმერთი
იტყვის მე ვარ,ერთადერთი!
მერე ალბათ ეტყვის კაცი:
არ წახვიდე ჩემთან დარჩი!

მაგრამ მაინც წავა ღმერთი
რწმენას ტოვებს „ერთადერთი“
მერე ისევ იტყვის კაცი:
შენ წახვედი,მე ვინ დავრჩი?!

პ.ს
უღმერთოდ კაცი სადაც მოხვდება
იქ ვერც იცოცხლებს და ვერც მოკვდება!!

კაცის გამოზრდილი ვარ

უძლეველი არა ვარ, არც უცდური შვილი ვარ
მტკივა, მაგრამ მგონია შეიძლება მოთმენა!
არც ბეკეკა ცხვარი ვარ, არც მგლის გამოზრდილი ვარ
და არც ზნეში არამაქვს „1გაფრენა და მოფრენა“.

სილამაზე მინახავს, სიმახინჯეც მინახავს
ხავსი ერთს მოსდებია, მეორე კი იშორებს!
ვიცი ბევრი ჩვენგანი, ნიღბებს როგორ ინახავს
რეალობა სტკივა და კეთილ ბოლოს იგონებს!

ვერც პოეტი ვერა ვარ! არც კალამი არ დამაქვს
ფიქრი ჩემი, უბრალო და სიმძიმის მწევია,
ჩემი ჯვარი ცოდვებით, ბეწვის ხიდზე გადამაქვს
მაგრამ იცით? ჩავარდნა მეც თქვენსავით მჩვევია!

რა გზა არ გამივლია, მოკლე, გრძელი, ხრამიც კი
სისხლიც გამომდენია, სიყვარულის ცრემლები,
დიახ, ხშირად ვყოფილვარ, უგნური და ხამიც კი
გამისვრია უმიზნოდოდ, „დაბანილი ხელები“.

რადგან ბრძენი არა ვარ! მაქვს შეცდომის უფლება
მცნებებს ვარღვევ და ისევ ბეწვის ხიდს ვუბრუნდები,
მე მგონია რატომღაც რომ დროს ცოდვა უხდება
და ის სასწაულია როცა „ვაშლით“ ცდუნდები!

თუმც ისეთი არა მწამს, ფანატიზმი ვეძიო
მაგრამ ღმერთი ახლოა, ჩემი რწმენაც ესაა,
ტაძარი კი სუფთაა, იქ უნდა თქვა შევცდიო
რადგან მაინც მთავარი, ცოდვის მერე შეცვლაა!

უძლველი არა ვარ! არც უცდური შვილი ვარ
შესაძლოა ახლაც კი, „უაზრობებს“ ვუნდები
მცნებებს ვარღვევ რადგანაც, „კაცის“ გამოზრდილი ვარ
სასწაული მგონია როცა „ვაშლით“ ცდუნდები!

დამიბრუნეთ საქართველო!

დამიბრუნეთ! დამიბრუნეთ! საქართველო
მისი ყველა დაკარგული მიწის გოჯი,
შენც ხომ იცი „დიდო“ ქარო ნიკობსია?
დარუბანდში ხომ იყავი და ხომ ქროდი.

დამიბრუნეთ, ნაწამები ქართველები,
მათი ძვლები სამარხიდან შემიგროვეთ.,
დამიბრუნეთ, დამიბრუნეთ ის გმირები
საფლავები აქამდე, რომ ვერ ვიპოვეთ..

დამიბრუნეთ შუშანიკის გამძლეობა,
უცხო აბოს გადაკლული თავდადება.
დამიბრუნეთ ცხრაძმის მსგავსი დედა მაინც,
შვილის სიკვდილს, სხვა შვილით რომ „დააკვდება“.

დამიბრუნეთ გრიგოლი და ბაგრატ მეფე
ამიშენეთ ახლად, ძველი ეკლესია,
ვარდი დარგეთ დაბალახდა ტაძრის ეზო
მისი კარი ჩარაზული „ეკლებშია“!

დამიბრუნეთ დავითი და მისი ძალა
დამანახეთ თვალდათხრილი მოღალატე.
დამიბრუნეთ მშვიდი, წყნარი საქართველო
ცად არწივი, თავისუფლად მოფარფატე!

დამიბრუნეთ, თამარი და „ოქროს ურდო“
რუსთველის „ვეფხვის მოყმე“ გამაცანით!
დამიბრუნეთ ცოტნე მისი ამტანობით,
მასთან ერთად, მზის ქვეშ ძელზე გამაკარით!

დამიბრუნეთ დემეტრე და მისი თავი
დამიბრუნეთ „საგიორგო ბრწყინვალება!
დამიბრუნეთ „მუსულმანი“ვახტანგ მეფე
ქრისტეს ჯვარი, როცა მკერდზე „იმალება“.

დამიბრუნეთ, სულხან საბას იგავები
ის ევროპა გვერდში მდგომი დამანახეთ!
დამიბრუნეთ ძველი გული უდგრეკელი
მისი ფეთქვით, მტერთა ზღვა რომ გადავლახეთ!

დამიბრუნეთ გიორგი და პაატას ლალე
მოღალატე, მოღალატე გამაცალეთ!
დამიბრუნეთ „თეოდორე“ მტრის შემცდენი
მისი კალთა შიშველ სულზე დამაფარეთ!

დამიბრუნეთ ერეკლე და მისი ხმალი
ტოტლებენი, მოუსვლელად „გააცილეთ“!
დამიბრუნეთ ერთ შეკრული საქართველო
ღალატობით, ღვარძლით რატომ „დააცილეთ“

დამიბრუნეთ ფშაველა და იაკიობი
აზრის კონცხი, სიბნელეში რომ მოგვინთეს
დამიბრუნეთ ის ილია დამიბრუნეთ!
წიწამურთან ქართველებმა რომ მოგვიკლეს!

დამიბრუნეთ მწერლები და პოეტები
ჩამომხრჩვალნი, დახვრეტილნი, გაქრობილნი
დამიბრუნეთ დაკარგული ნაწერები
წითელ სისხლში ჩამხრჩვალნი, და დათმობილნი!

დამიბრუნეთ საქართველო, დამიბრუნეთ
დამიბრუნეთ ძველის კარგი ახალს ვმატო!
დამიბრუნეთ, დამიბრუნეთ „ყველა ერთად“
მათთან ერთად „მომავლად“, რომ დავიბადო

დავით თაქთაქიძე

ასპინძა, ვარძია, ემიგრანტი

* * *

ქარი ქროდა, საშინელი ქარი ქროდა,
თითქოს წმინდას,სალოსივით თავს უყრიდა,
დასაკარგი მას სხვა მაინც არა ჰქონდა,
და დემონიც მორიდებით თავს უხრიდა

ინგრეოდა სიყრმის კოშკი აშოლტილი,
დათბილული არა მქონდა მე, შინ ოდა,
მზერა ხევებს ასკდებოდა გაშოლტილი,
და მე შენთან დაფიცების მეშინოდა

დაჰქროდა და აწეწილი გზების მიღმა,
დაზაფრული ჯანყდებოდა სულში შარი,
ვერავინ სთქვა ეს სათქმელი, როგორც ქარმა,
მიტომ მიყვარს, უხორცო და უშიშარი

ქარი ქროდა, ქარი ქროდა, ო, რა ურჩად,
ალბათ სათქმელს გაშმაგებით თავს უყრიდა,
ნეტავ იმას, ვინც განსაცდელს გადაურჩა,
ნეტავ იმას, ვინც სიწმინდეს თავს უხრიდა..

* * *

დედის წმინდა თვალები,
ვერ ვადარე ვერაფერს
სინდისს არ ვემალები,
დედით ვხედავ ყველაფერს

სევდაც დედის მზერაში,
ისე სათნო თბილია
რომ მის პირველ ბგერაში,
მაინც მისი შვილია

ქვეყნად მეტი დედაზე,
არ მინახავს სიმდიდრე
ვმღერი, ვტირი, ერთ ხმაზე,
ღმერთო! დედა მიდიდე

ქრისტეს ცეცხლის ალები,
დედად დამსიზმრებია
დედის თბილი თვალები,
არც იმ ქვეყნად ჰქრებიან.

* * *

დროს ველოდე, ის დრო მაინც მოვა,
ამ ლოდინით დავიღალო თუნდაც,
მოსვლამ, წასვლის ხიბლი ჩააქსოვა,
დასაწყისს ხომ დასასრულიც უნდა

არ მასვენებს ფიქრის მთა და გორა
ხან მაშინებს უსასრულო ბინდი,
სინანული ჩემს მოლოდინს ჭორავს,
დრო არ მოდის, დრო საოცრად მიდის..

* * *

მოდით ძმებო, საუკუნე ვადღეგრძელოთ,
საუკუნე, სადაც სული მოგვანიჭეს,
ისევ ის გზა, ისევ იმ გზით გავაგრძელოთ,
ალაგ-ალაგ, ნაკუწ-ნაკუწ რომ დაგვიჭრეს

გაუმარჯოს საუკუნეს სადაც გავჩნდით,
სად ვიწამეთ მასწავლებლის უფლად აღთქმა,
სადაც მამულს ნაფეხურებად დავაჩნდით,
სადაც სირცხვილად მიგვაჩნდა კაცის გათქმა

საუკუნეს გაუმარჯოს, სადაც წვიმდა,
წვიმდა სულში, როგორც ნაღდი გაზაფხული,
სადაც ტრფობას ვეზიარეთ როგორც წმინდას,
ძმობის ფიცსაც რომ არ ჰქონდა დასასრული

გაუმარჯოს სადაც ჰქონდა სიტყვას ფასი,
სადაც ღმერთად მოგვევლინა სათნო დედა,
სად წინაპრის იცლებოდა ღვინით თასი,
სადაც მტერმა შებრძოლება ვერ გაბედა

საუკუნევ, ვიცი უნდა დამაობლო,
ვიცი მაგრამ, ჯერ დავლოცო ხომ არა სჯობს,
საქართველო! ჩვენი მიწა და სამშობლო!
და მის გულში დიდ საძვალეთს გაუმარჯოს!

გაუმარჯოს საუკუნეს, სადაც გავჩნდით,
სადაც გულის ხმაურობდა ნაღდი ფეთქვა,
სადაც წარსულს ნაფეხურებად დავაჩნდით,
მოვკვდებოდი, ეს გულისთქმა რომ არ მეთქვა..

* * *

რამ უნდა მომცეს დაცემულს შვება,
თუკი ამივლი გვერდს უნებურად,
ვერ ვეღირსები მე გამარჯვებას,
ვერ წამოვდგები მე ჩემებურად

ვინ დამიამებს, რამ დამიამოს,
სულსა მგზნებარეს შენგან ნატკივარს,
წაქცეულს ყველამ გადამიაროს,
თვალი მარიდეთ უკვე ვაგდივარ

წუთისოფელი გზას გავს მოყინულს,
ხან წაიქცევი, ხან კი სხვა დაგცემს,
დაგაბრმავებენ ხშირად თვალ ხილულს,
ბედი ხანდახან უმოწყალოდ გცემს

ოჰ, როგორ ნათლად გამოიკვეთა,
ბედნიერ სახის ფერისცვალება,
აქეთ რას სჩივით, ნახეთ იქეთა,
რარიგ ფართოა გარდაცვალება

მე ხელს გავუწვდი მწარედ დაცემულს,
რადგან ის გემო მეც ხომ ვიწვნიე,
როგორ შეხედავ შენგან გაცემულს,
ამით ხომ ღმერთი გამოიწვიე

ეს სავსე გული დღითი დღე ცალეს,
მაგრამ საშენოდ შემომრჩა ცოტა,
წაქცეულ კაცის გულს ვენაცვალე!
მან თქვენზე მეტი, არასდროს სცოდა.

* * *

გიორგობის თვეს თუკი მოთოვა,
გავივლი უხმოდ ახალ ნათოვზე,
თუ შემოქმედმა სული მომთხოვა,
ბერად შევდგები ახალ ათონზე

ნეტავი იმ დღეს როცა მოვკვდები,
იქით როგორი დამხვდება ზეცა,
სამოთხეში რომ ვეღარ მოვხვდები,
ეს შენც კი იცი.. და ვიცი მეცა

არ ვიცი იმ დღეს რა დრო იქნება,
ალბად ზაფხული, ან შემოდგომა,
კაცი ამ ქვეყნად რისთვის იქმნება,
თუ უსასრულოდ ვერ შესძლო დგომა,

ძვირფასო, იმ დღეს ვის ვნახავ ბოლოს,
გულს ვისთან დავცლი უკანასკნელად,
ვის ვეტყვი "ჩემო" ბოლოს და ბოლოს,
ვის დავშორდები, უხმოდ, უთქმელად

დროს გადასტკეპნის ზემოთ მდგომები,
შენ მწუხარებით რას დაიცლები,
ჩურჩულით მეტყვი: მეშემოდგომები,
და მე სიმშვიდით გარდავიცვლები

გიორგობის თვეს საოცრად მოთოვს,
კვალს ვერ დავამჩნევ ახალ ნათოვზე,
სული სატრფოსთან გაზაფხულს მომთხოვს,
მე კი ვილოცებ.. ახალ ათონზე..

* * *

მე შენ გასწავლი დაწერას ლექსის,
შენ მე მასწავლე როგორ დავხატო,
ამ წუთს, ამ ღამეს, მე შენი მესმის,
ჩემო სანთელო, ცეცხლო და ხატო

მე შენ გასწავლი სიყვარულს კარგო,
სიცოცხლეს ლაღსა პეპლების ფრთებთან,
გიორგობის თვეს ტყემლები დავრგოთ,
და აპრილები ვფინოთ შენს ტერფთან

მაგრამ მეც მინდა მასწავლო ერთი,
როგორ გავფრთხილდე რომ არ დაგკარგო,
შენარჩუნების მასწავლე წესი,
და მე გასწავლი სიყვარულს კარგო.

* * *

ნეტავ ვინა სთქვა კარგო, მიამბე,
რომელს გაუწყრა ღმერთი?
სიყვარულიდან სიძულვილამდე,
ნაბიჯიაო ერთი...

ერთი კი არა, ასი ათასი,
მთელი სიცოცხლეც ალბათ,
თუ მართლა გიყვარს, მიეცი ფასი,
თუნდაც გიღირდეს ტანჯვად

მონატრებიდან სიყვარულამდე,
განვლილს ნუ მოჰკრეფ მისხალ,
სიყვარულიდან სიძულვილამდე,
გწამდეს, ვერასდროს მიხვალ!

* * *

გაზაფხულობით, ხან ზაფხულობით,
ხარობდა ერთი, ყვავილი თეთრი,
ვერ ვნახულობდით, ხან ვნახულობდით,
უყვარდა ჩრდილი და ფერდი მკვეთრი

არ ჰგავდა სუნით, არც აკაციას,
არც კვიპაროსებს ფლორადან ნაქებს,
არ მიუგავდა ვარდის ხასიათს,
არც ყაყაჩოთა სისხლისფერ ნამქერს

ხანდახან თოვლშიც იდებდა ბინას,
მცხუნვარე მზეშიც იდგა ამაყი,
ბევრი ხარობდა ათასწლის წინათ,
ალბათ ძველ დროდან მოჰყვა ამაგი

არ იყო ისე მიუწვდომელი,
რომ არ გვენახა, რომ არ შეგვეგრძნო,
ვინ დაიფიცებს წმინდას, რომელი,
რომ ამ ყვავილის სახე ვერ ეცნო

მეტსაც კი გეტყვით, გვიღებდა კარებს,
ხან მინდორ-ველად, ხან ფეხად გვდევდა,
ხან თებერვალის უძლებდა ქარებს,
ხან მოკრძალების სტანჯავდა სევდა

რადგან გარიყა კაცმა სპეტაკი,
რადგან ვინ შეცლის ჩვენში ხასიათს,
ხან ია გვიყვარს, ხან კი მიხაკი,
ხან გულს გავუღებთ, თეთრ აკაციას

და დარჩა ჩრდილში ყვავილი თეთრი,
ყვავილი სულის, სივრცის ბახუსი,
ხანდახან მოდის, თავს შეგვახსენებს,
ამ ყვავილს ჰქვია.. სინდის-ნამუსი..

* * *

გულს ვაჩუქებ როცა კაცი,
ფასობს ნაღდი კაცობით,
და მძულს ათასს რომ ერგება,
როგორც„დოქის საცობი„

კაცი ვარ და კაცად წავალ,
რაც დღესა მაქვს მეყოფა,
დროს მდევარი სულაც არ ვარ,
ვერ მიტირეს მე ყოფა

არც მომავლის არა მჯერა,
არც ფერადი ზღაპრების,
მჯერა პირჯვრის გადაწერა,
რწმენა დიდ წინაპრების

თუ წარსულმა მიმახედა,
სული ამიტირდება,
მარჩიელის წინათ ხედვა,
სულაც არა მჭირდება

ვენაცვალე მხოლოდ აწმყოს,
ვხედავ რაც გამაჩნია,
მოგონებამ ჩემო კარგო,
სულს დაღი დამამჩნია

მე ვაფასებ ცრემლიან თვალს,
და მძულს ყველა პირობა,
დაცემული ხრიდა რა თავს,
სამართალი ტიროდა

კაცი ვარ და გული მტკივა,
ლექსო, შენთან ვმშვიდდები,
რომ წავიდე სხვა სატკივარს,
მწამს, არ შევუშინდები..

* * *

მე სასწაულებს სულ მუდამ ველი,
გაცისკროვნებულ იმედს და ძალას,
სათნო ბარბარეს წმინდა სახელი,
ლოცვად მოაფენს იდუმალს, ხალასს

ცისკარის ფერი, ზამთრის ღვთაება,
ბარბარეს დღეა, დღე-სასწაული,
შორს იყოს ჩვენგან ხორცის წამება,
გადაგვეშალოს წმინდანთან სული

მეტი მოზილეთ ცომი სანთელთან,
თუნდ პური გვქონდეს ობიანები,
თუმცა არ ვიცი ყველა ქართველთან,
დღეს რატომ ცხვება ლობიანები

მშვიდობა მოგვცეს, გვაშოროს ომი,
წყალმა წაიღოს ყველა„ყვარყვარე„
ლობიანისთვის გაღვივდეს ცომი,
და შენ დაგვლოცე, წმინდა ბარბარე!..

* * *

თუკი მოვიდა დრო გაფრენისა,
თუ მიხმეს კდემით, უდროოდ ცაში,
მოდით, მიწამეთ მოძმის რწმენისა,
და შემაგებეთ უბრალო ტაში

მიწამეთ ისე როგორც უბრალო,
რადგან ძვირფასნი გზას ვერ მიქმნიან,
ვის უნდა ცეცხლი, ცივი უალო,
მე კვამლიც ცეცხლად გარდამიქმნია

ალბად იციან, ვინც მიდის იქა,
მიაქვთ ბარაქით სულის მარაგი,
მე რომ გამაძრონ ტყავი და სიქა
მაინც არ ვიცი ჩემი ალაგი

და როცა მოვა დრო აფრენისა,
ერთ დროს ნავალი„კაცური მარშით„
მხოლოდ ამას თხოვთ ბოლო ნებისა,
რომ გამაცილოთ, უბრალო ტაშით..

* * *

ხევის ძირებს ჯანღი ფარავს,
და კაბადონს ნისლთა გუნდი,
სული ბზინავს როგორც ქარვა,
ამ გულს ისევ შენ მოუნდი

ვიცი მოთოვს მთაში.. ველად,
მიწად რომ არ გადავიქცე,
თუ ამ ქვეყნად გაგვიძნელდა,
სად წაგვივა მერე სივრცე

ჩემგან ძახილს მთანი ფარავს,
ბანი ქარაფ-ქარაფ ცურავს,
შენს მიწაზე ვერ ვშლი კარავს,
მაგრამ ერთი ცა გვახურავს

ნაცრისფერად მოსჩანს სივრცე,
თითქოს სადღაც ეშურება,
მსურს რომ მიწად გადავიქცე,
რამდენ ძვირფასს ეხურება..

* * *

რას არ იტყვიან, რას არ ამბობენ,
ადამიანზე, ერთ დროს უბადლო,
როგორ მოსთქვამენ, როგორ დაობენ,
კაცის ღირსება ხდება უბრალო

ჩასახლდა კაცში ვაი და ვიში,
ზოგადად ვამბობ, არავის ვკადრე,
ადამიანში, ადამიანი,
ნეტავ რათ კვდება, სიკვდილზე ადრე

* * *

სხეულს ვაწებებ სულთან,
გულს იხმობს ვინმე განა,
ჯიბით ვატარებ სულ-თან
შენს სურათს სიფრიფანა

ჩემს ნაჯღაბნსა თუ ნაწერს,
ქარი გაფანტავს ერთ დროს,
და წვიმად მოჰფენს სხვა წელს,
შენს მიწურს; ბანს და ერდოს..

* * *

სამშობლო და ჩემო მიწავ!
ჩამიხუტე გულში, თბილო
სხივებს ვნატრობ შენი ციდან,
ისევ მარად, ჩემო ტკბილო

ჩემს საღამოს სევდიანსა,
შენ ანათებ როგორც დილა,
დაიბრუნე ყველა შვილი,
ვინც შენს მკერდზე გამოზრდილა

გიბრუნდები კიდევ ერთხელ,
თბილზე თბილო საქართველო,
მერიდება ვეღარც გიმხელ
საამაყო მთა და ველო

მომეფერე შენებურად,
ნუ გამიშვებ უცხო მხარეს,
არ დამინდო სხვების მიწამ,
თითქოს თვალები დამთხარეს

ანდა როგორ გავძელ ამდენს,
სხვის მიწაზე ასე ობლად,
მომეხვიე კიდევ ერთხელ,
ნუ გამწირავ სხვისა სოფლად

შენ ხომ ისევ მელოდები,
ჩემო მიწავ, ჩემო მზეო,
ჩამიხუტე იმ განცდებით,
ისევ ტრფობით ამავსეო

მომეგებე ჩემო დედავ,
დაგიკოცნო ეგ ჭაღარა,
დამისახლდა სულში სევდა,
ვერაფერმა ვერ მახარა

მომეხვიე ძლიერ დაღლილს,
ისევ თბილად მომეფერე,
შენთან მოველ სამუდამოდ,
დაფლეთილ გულს მოგეკერე

ჩემო ტკბილო საქართველო!
არსად არის შენი ფასი,
დედავ ქართვლის! მომეგებე,
წელზე ხმლით და ხელში თასით!

შოთა კაპანაძე

ქალაქი ახალციხე, ისტორიკოსი

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებს

ეს რა ახალგაზრდობა გვყავს
ყველა კალმით ნახატია,
ლოყებსა და მაღლა შუბლზე
„სიცოცხლე", რომ ახატია.

ერო, ბერო, მღვდელო, მრევლო,
ყოვლად წმინდა ღვთისმშობელო
ასეთი ახალგაზრდებით
გამიმრავლე საქართველო.

აღგვიზარდე ვაჟკაცები,
გაიხარონ, გაგვახარონ,
გახდნენ ქვეყნის მმართველები
სამშობლოც, რომ გაახარონ.

არ გაყიდონ გოჯა მიწის,
არ დაღუპონ ჩვენი ერი,
აშენონ, ამშვენიერონ
გაამაგრონ კარიბჭენი.

ჩვენ გვინდა ცხრა ძმა-ცხრა დანი
სამასი არაგველია,
არა, სამშობლოს გამყიდველ,
არა, ძმის სისხლის მსმელია.

იხარეთ ახალგაზრდებო,
ამრავლეთ ჩვენი ერიო,
ჩვენდამი შურით და ღვარძლით
არ გაახაროთ მტერიო.

არ გახდეთ ელ გე ბეტენი,
არც მათი მხარდამჭერნიო,
არ დაეჩვიოთ ნარკოტიკს,
არ შეიყაროთ სენიო.

არ შეარცხვინოთ ქვეყანა,
ჩვენი ქართველი ერიო,
მხარს დაგიჭერენ ყოველთვის
ბერი, მღვდელი და მრევლიო!

სამღვდელოებას!

ერი და ბერი, მღვდელი და მრევლი
გავერთიანდეთ ერთმუშტად ყველა,
რათა განვდევნოთ ჩვენი ქვეყნიდან
მტრად მოვლენილი მგელი და მელა.

სჯობს პრეზიდენტად ის ავირჩიოთ,
ვინც აგვიშენა წმინდა სამება,
რათა ილოცონ სამშობლოსათვის
ამ ჩვენი ქვეყნის წმინდა მამებმა.

უკრაინელ ხალხს

მშვიდობა და გამარჯვება
უკრაინას და მის ხალხსა.
ვფიქრობ მალე მოიშორებთ
რუს აგრესორს და მის თალხსა.

მე თქვენი პატივმცემელი
აქედან გითვლით სალამსა,
სამშობლოს პატრიოტებო
აგიფრიალებთ ალამსა.

სწორად ვერ გაგვიგო ყველამ
რაღაცაში გვდებენ ბრალსა,
თუმც როდის იყო ბოროტნი.
კარგად გებულობდნენ კარგსა.

საქართველოს გაუმარჯოს,
პატივს, რომ სცემს მოძმე ხალხსა,
სოლიდარობას უცხადებს,
ეხმარება, როგორც ძმასა.

ქართველები თქვენთანა ვართ,
მოვუწოდებთ კიდევ სხვასა,
მოითმინეთ, გაუძელით
გისურვებთ გამარჯვებასა.

შევჩენკო და მაკარენკო
ჯარში მყავდა მეგობრები,
მათი კეთილდღეობისთვის
მე მშვიდობას ველოდები.

გასათვალისწინებელი

„სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული"
ქართველთ არ ისმის ხმა.
ენა დავკარგეთ იაკობური,
ამას არ უნდა თქმა.

უცხო ხმა ისმის, სულ უცხო ხალხის,
ქართველთ არ ისმის ხმა,
მიწა დავკარგეთ სააკაძისა,
-ხალხო, გაიღეთ ხმა!

აჭარის მხარეს რა ხდება
ყალყზე დამიდგა თმა,
სულ მთლად დავკარგავთ ამ მხარეს,
თუ არ გავიღებთ ხმას.

ეკლესიაში შემსვლელ მორწმუნეებს

ეკლესიაში შემსვლელებს,
შეეწიოს მისი ძალი
ყველაფერი შეუსრულოს
აღარ ქონდეთ საფიქრალი!

ავადმყოფი მოურჩინოს,
ახალგაზრდებს უხსნას ბედი,
ცხოვრების სიამ-ტკბილობით
დაფრინავდნენ, როგორც მტრედი!

ყოვლად წმინდა ღვთისმშობელმა
სილამაზე მისცეს ვარდის,
საფუძველი აღარ ქონდეთ
მწუხარებისა და დარდის!

***

სადღეგრძელო
საქართველოს გაუმარჯოს
თავის კუთხე-კუნჭულითა,
ტყითა, ზღვითა, ხმელეთითა,
სოფლითა და ქალაქითა.
გაუმარჯოს საქართველოს
ყველა კუთე-კუნჭულითა,
ქართლ-კახეთით, იმერეით,
რაჭა-ლეჩხუმ-გურიითა.

საქართველოს გაუმარჯოს
ყველა კუთხე-კუნჭულითა.
აფხაზეთით, სამაჩაბლო,
სამეგრელო, სვანეთითა.

გაუმარჯოს საქართველოს
ულამაზეს აჭარითა,
ფშავ-ხევსურეთ-თიანეთით,
და მესხეთ-ჯავახეთითა.

დაილოცოს საქართველო,
თავის მეფე გმირებითა:
ვახტანგ, დავით, თამარითა,
ერეკლე და სტალინითა.

საქართველო დაილოცოს,
ყველა პოეტ-მწერლებითა,
შოთაითა, ვაჟაითა,
ილია და აკაკითა.
საქართველო დაილოცოს
ყველა პოეტ-მწერლებითა,
„დედაენის" ავტორითა,
ჩვენი გოგებაშვილითა.

დაილოცოს საქართველო,
ყველა პოეტ-მწერლებითა!
თუ აქ ყველა ვერ დავწერე
დიდი გალაკტიონითა!

ვთხოვ მაგიდის ხელმძღვანელებს,
თუ თამადად გვებადებით,
ჯარისკაცებს რომ გვიგონებთ,
მოგვიგონეთ ბელადებიც.

ნეტავ ვისი გეშინიათ,
ან რიდი გაქვთ, ნეტავ რისი?
ხმამაღლა, რომ შევსვათ ხოლმე,
სადღეგრძელო სტალინისი?

ფეხებს ძირში ვერ მოგვჭამენ,
არის სადღეგრძელოს ღირსი,
დღეს მსოფლიო, რომ არსებობს,
დამსახურებაა მისი.
ქართველებო, გონს მოეგეთ!
ნუ გაქვთ შიში ნურავისი,
სიამაყის გრძნობით შევსვათ
სადღეგრძელო სტალინისი!

შევსვათ შევსვათ სადღეგრძელო,
ჩვენ მსოფლიო ბელადისი,
სტალინი, რომ ქართველია,
საამაყოდ ქვქონდეს ისიც.

შევსვათ, შევსვათ სადღეგრძელო
და სიმღერაც დავაყოლოთ,
მისი მტერი, მოძულები
სტალინს უკან გავაყოლოთ!

პირველი ზარი 1 სექტემბრისათვის

პირველი ზარი გაისმის,
სკოლაში გიხმობთ ყველას,
გიორგის, ნინოს, ქეთევანს,
დავითს, თამარს და გელას.
საანბანე წიგნთა შორის
გაიმართა გამოფენა,
გამარჯვება მოიპოვა
იაკობის „დედა ენამ"
აქედან გამომდინარე
დაიმახსოვრეთ ეს ყველამ
ისწავლოთ საფუძვლიანად
საყვარელი დედაენა!
განათლების ხელმძღვანელებს,
ვთხოვ ეს ლექსი განიხილოს,
რომ მალე გოგებაშვილის
„დედა ენაში" ვიხილოთ.
ქართველმა ახალგაზრდებმა,
რომ ისწავლოს „აი ია"
სამუდამოდ ამოშალოს
ლომაიას „ვაი ია".
მოგიწოდებთ ახალგაზრდებს
დაიმახსოვრეთ ეს ყველამ
გიყვარდეთ თქვენი სამშობლო
საყვარელი „დედა ენა".
და აგრეთვე მოგიწოდებთ,
დაიხსომეთ კიდევ ერთი,
ერთ-მეორეს სისხლს ნუ დაღვრით,
არ გაგიწყრეთ მაღლა ღმერთი!
ჩვენ ისედაც ცოტანი ვართ,
არავინ გვყავს დასაკარგი,
იმრავლეთ, იბედნიერეთ,
ეს იქნება ძალზედ კარგი!
გემრავლოთ შვილთაშვილები
დახმარებითა ღმერთისა.
მათით ხარობდეს ქვეყანა
საქმითა საკვირველითა!
ამთლიანებდეთ სამშობლოს,
დავით და თამარივითა,
თუ დაგვჭირდება ვიბრძოლოთ
ერეკლესავით ხმალითა!
და ამარცხებეთ მოსულ მტერს,
ურიცხვ ჯარს, მცირე ჯარითა,
ასუფთავებდეთ ქვეყანას
ქართველთ მფარველი ჯვარითა!
ამეგობრებდეთ მსოფლიოს
გენიოს სტალინივითა,
ქვეყნად მშვიდობას ეხაროს
მაისის ყვავილივითა!
არ რყვნიდე ქართველთ სამშობლოს
ელ-გე-ბეტ ქუარებითა,
არ სპობდეთ მცირე ქართველებს
მარიხუანის წევითა!
ქართველო ახალგაზრდებო,
დაგელოცოთ გამჩენია,
გიყვარდეთ ჩვენი სამშობლო
მეტი რაღა დაგვრჩენია!

ქართველი

არა, არ მინდა ვიყო სხვა ერის,
მე ქართველი ვარ ვამაყობ რითაც,
ვერსად, ვერ ნახავ მასზედ უკეთესს
რომც მოიარო მსოფლიო მიწაც.

აბა, მითხარი! რომელი ერი
არის ამ ქვეყნად ქართველთ სადარი?
ვერ შეედრება მის ჯიშს და ჯილაგს
მონღოლ, სპარს, თურქი, არაბ-თათარი.

ნიჭით და გონით გამორჩეული,
ბევრ ბრძოლის ველზე გამოწრთობილი,
იესოს ჯვარის მატარებელი,
ღვთივ კურთხეული დედის შობილი

მრავალი მტერით გარს შემორტყმული
ხანდახან მწარედ დამარცხებული,
წმინდა გიორგის მფარველი ხელით
დიდგორის ომში გამარჯვებული.

ვერ გაგიგიათ!

ვერ გაგიგიათ თქვენ გიჟ-პოეტებს
ვის ეძახიან, რაზე და რისთვის.
მათი ლექსები არა ჰგავს ლექსებს,
რადგანაც წყობა არა აქვთ რითმის.

ჩემო საქართველო!

საქართველო, საქართველო
შენ შეგირცხვეს მმართველები.
რადგან ვხედავ არ არიან
მანდ ნამდვილი ქართველები

პარლამენტში შეგროვილან
სულ სხვა ჯიშის მმართველები,
უმრავლესი გვარშეცვლილი
მათ შეურცხვეთ დამსხმელები.

სხვა ჯიშის და სხვა ჯილაგის
ჩვენ არ გვინდა მართველები.
საქართველოს პარლამენტში
აირჩიეთ ქართველები.

სხვა ჯიშის და სხვა ჯილაგის
ჩვენ არ გვინდა არვინ.
წმინდა სისხლის ქართველები
ავირჩიოთ, ამინ!

სხვა ჯიშმა და სხვა ჯილაგმა
მოიძიოს თავის ერი.
უნდა პრეზიდენტი გახდეს,
უნდა ვიცეპრემიერი.

***

არვინ ჩათვალოს სამშობლოდ,
მხოლოდ მთები და ველები.
სამშობლო ხალხია ჩვენი
მე მათ შემოვევლები.

რაცა ღმერთსა არა
სწადდეს, არა საქმე არ
იქმნებისს.

ზაურ ჯვარიძე

ღმერთი არს ჩვენთან...

ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა,
ღმერთი გვაძლევს ყველაფერსა:
სიკეთისთვის სიკეთესა,
სიავისთვის სიავესა,
რასაც ვთესავთ იმას ვიმკით,
სიბრძნეც ამას გვარიგებსა,
მტრობის თესვით მტრებს ვიმრავლებთ,
სიკეთით კი მოყვარესა.
არ შეგვრჩება ავკაცობა,
ღმერთი ხედავს ყველაფერსა,
უსამართლო ცხოვრებისთვის
მოგვიმზადებს შესაფერსა.
უფლის მადლი ეფინება
დიდ და მცირე სიკეთესა,
უფლის რისხვა არ ასცდება
სიკეთის და მადლის მტერსა.
ღმერთის ნებით მოვევლინეთ
ამ ქვეყნიურ სამოთხესა.
ისე განვლოთ ეს ცხოვრება,
რომ ღმერთი არ გაგვიწყრესა.
ღმერთი გვწყალობს და გვიფარავს,
გვარიდებს ბევრ განსაცდელსა
და თუ ჩვენაც მოვინდომებთ,
ეშმაკი რას დაგვაკლებსა.
დავივიწყოთ სიძულვილი,
მოვერიოთ სიხარბესა,
გავაღვიძოთ სიყვარული,
მოვეფეროთ ერთმანეთსა.

წისქვილი

მე კარგად მახსოვს წისქვილი,
სურნელი „დოლის“ ფქვილისა,
წისქვილის ქვების ხმაურში
მადლი გატეხილ ძილისა.
რა დამავიწყებს წყლის ღრიალს,
დოლაბის რხევით ტრიალსა,
მთვლემარე მეწისქვილეს და
ჭერ-კედლებს ფქვილით მტვრიანსა.
წისქვილში ღამის თევას და
ხმას სარეკელას რეკვისა,
საფქვავით სავსე „ჯვალოებ“
ბარაქას მესხი გლეხისა,.
რა შეედრება წისქვილში
ხელდახელ პურის ჭამასა,
სომინის ყუას ცხვრის ყველით,
რა დამავიწყებს ამასა.
რა შეედრება სომინ პურს
შოთის პურებს და ქადასა,
ყანიდან დაბრუნებული
ნაჯაფი გლეხის მადასა.
წარსულში დარჩა წისქვილი,
სურნელი დოლის ფქვილისა,
პურის დედა და ქვის ფურნე,
სომინი ერთი კვირისა.
ახლა პურს გემო აღარ აქვს,
აღარც სურნელი პურისა,
ყველაფერს პურსაც და სულსაც
ასდის სურნელი ფულისა.

წინაპართა წუხილი

ყური დაუგდე წინაპართ,
ჩვენს გამო წუხან ძალზედა,
რომ ძირძველ საქართველოში,
კვიცი აღარ ხტის გვარზედა.
რომ არ უსმენენ მოხუცებს,
სიტყვას უგდებენ ბანზედა,
რომ გაფიქრებაც არ უნდათ,
მოხუცთან საუბარზედა.
წუხან, რომ ქართველი ქალი
არ ფიქრობს მონაგარზედა,
ცხრა ნაქმრევს ერთი შვილი ჰყავს
ისიც უცხოურ გვარზედა.
რომ გვერდში დგომის სანაცვლოდ
ერთმანეთს უგებთ მახესა,
ერთურთის ცუდი გვახარებს,
ვშურობთ კარგსა და საქებსა.
ისმინე დროთა ნაცადი,
წინაპართაგან თქმულია:-
სახლი ბალავრის გარეშე
წინასწარ განწირულია.
ვინც ღრმა ფესვებზე არა დგას,
მისი მეგზური ქარია,
ქარივით თავისუფალი
და ფშუტე ონავარია.
ზოგ-ზოგი გადარეული
ცხოვრობს ვითარცა მგელია,
მისთვის სუფრაა სამშობლო
და მეტი არაფერია.
ქართველი კაცის ღირსება
მისი მდიდარი სულია,
არ დავიწყება გვარისა
და ფუძის სიყვარულია.
აწმყო წარსულით საზრდოობს,
აწმყოთი-მომავალია,
წარსულის გამოცდილება
-ვითარც სარწყავი წყალია.

მჯერა

ქართველთათვის იყო სამცხე,
ცოდნის კერა ამაგდარი,
ქვეყნის გამანათლებელი,
და კულტურის კელაპტარი.

არ ჩავაქროთ, გავაღვივოთ,
პოეზიის ნაპერწკალი,
ყველა მესხურ ოდაშია
რუსთაველის ნატერფალი.

მჯერა კვლავაც შექმნის შედევრს,
ვინმე მესხი შოთას მგვანი,
რითაც ყველას განაცვიფრებს
ვითარც „ვეფხისტყაოსანი“.

მჯერა წმინდა სიყვარულის,
და მიჯნურთა ცრემლისღვარის,
მჯერა სულის - ვაჟკაცურის
ქართველების მოდგმა გვარის.

მჯერა კვლავაც არ ჩაქრება,
ზე გრძნობათა ქარიშხალი,
ქაჯთა ციხეს კვლავ შელეწავს
მეგობრისთვის მეგობარი.

მჯერა ვერცხლი არ გახდება,
სულზე უფრო ფასეული,
მჯერა კვლავაც აგვამაღლებს
სიყვარულის სასწაული.

წუთისოფელი და ჩვენი ძველი სასაფლაო

სასაფლაოზე მივედი ერთხელ,
სასმელისაგან გრძნობებაშლილი,
იდგა საღამო დამწუხრებული
ვით შაოსანი ხელებგაშლილი.
ათასი ფიქრით დამძიმებული,
სასაფლაოსთან ვიდექ ეული,
ვნახე სიკვდილის ნამოქმედარი,
ვნახე სოფელი მიწადქცეული.
უმალ ვიგრძენი გულში ტკივილი,
დიდი სევდისგან გამოწვეული,
საფლავებიდან ილანდებოდა,
გარდასულ დროთა ათასწლეული.
მწუხრის ბინდ-ბუნდი სუფევდა ირგვლივ,
და მდუმარება იმქვეყნიური,
არავითარი შური და შუღლი,
და არც ქიშპობა ყოველდღიური.
წარმავალია თურმე ყოველი,
თვით ბრწყინვალებაც ამქვეყნიური,
იმქვეყნად მიგვაქვს ოთხი ფიცარი,
და სულს გაყრილი ჩვენი სხეული.
ჩვენ ღმერთმა მოგვცა სიცოცხლე მოკლე
და საიქიო მარადიული.
გავილამაზოთ ყოველი წუთი
მხოლოდ ერთხელ ვართ ამქვეყნიური.

არამკითხე ჭორიკანა

ურთულესი საქმეა და
ძალზედ მძიმე დარდუბალა,
მიამიტი სახის მიღმა
დაინახო ნაძირალა.
ავკაცობის დასაფარად
ვირ-ეშმაკობს წარამარა,
თუ არ შეცდა ვერ გაიგებ
როდის და რა დაგაბრალა.
თავს არავის არ უტოლებს,
თვისი მოსწონს, სხვისი არა,
ყველა კაის სახელს უტეხს
ვისაც გვერდზე გაუარა,
ისე დადის როგორც ვაცი,
მის ჭკუაზე დადის ფარა,
ყველა შემხვედრს თავს აწონებს
და ეს მისთვის როდის კმარა,
ირგვლივ ყველას განიკითხავს,
არამკითხე ჭორიკანა,
ყველას თავი მოაბეზრა
თითქმის ყველა გაამწარა.
ტალახს ისვრის დამიზნებით,
მუდამ შესწევს ამის ძალა,
ვინც მიზანში ამოიღო
სოფელ-სოფელ აწანწალა.

საძირკველი

უსაძირკვლომ და უზნეომ
სირცხვილი წყალში ყარაო,
წყევლა უგზავნა წინაპრებს,
მათი საფლავი თხარაო.
საძირკველია ოჯახი,
დედის ნამღერი ნანაო,
მშობლების დიდი ამაგი,
ტკბილი ბავშვობის ხანაო.
ოჯახში მიღებულ აღზრდას,
აქვს ჯადოსნური ძალაო,
საძირკველია მომავლის
და ბედ- იღბალი თანაო.
ჰარმონიული ოჯახი-
ზნეობის ანა-ბანაო,
ეს საწყისია სიკეთის,
ბოლოს კი ქვეყნის ძალაო.

ტყე შეუნახე შვილებსა

(საახალწლო-ავი ტრადიცია)

ნაძვის ხეს ნუ ჭრი მოზარდსა,
აცალე ნახვა მზისაო,
ათას სიკეთეს მოიტანს,
რომ გახდეს ასი წლისაო,
ტყე ჩვენი ჯანმრთელობაა,
სიგრილე ჰაერისაო
და თუ ტყე გამეჩხერდება,
სიცხე გაგვთანგავს დღისაო.
მთაში ყინული დადნება
მარაგი მომავლისაო,
სიკვდილად მოვა სიცოცხლე,
რისხვა მოგვივა წყლისაო.
ტყეს სიყვარულით მოვეპყროთ,
სიკეთეს ბუნებისაო,
თორემ ან წყალი წაგვლეკავს,
ან სიცხე მოგვსპობს მზისაო.

ენა

ენას ტკბილსა და კეთილსა,
ამინდი მოაქვს მზიანი,
ღვარძლიანსა და ბოროტსა,
მოაქვს დარდი და ზიანი,
დაფიქრდი ვიდრე იზრახავ,
სანამ არ არის გვიანი,
მეორედ აღარ შეცდება,
ერთხელ შემცდარი ჭკვიანი.
ენას ამოსდე ლაგამი,
თორემ იქნები მტრიანი,
ორმაგად დაგიბრუნდება
ნათქვამი აუგიანი.
ნათქვამია:-
ნახმლევი ბევრად სჯობია,
ნათქვამით დაკოდილსაო,
ავყია ადამიანს კი
მხეცი სჯობია ტყისაო.

დარდი და სატანჯველი

ათასგვარია სადარდებელი,
ზოგი დიდი და ზოგი პატარა,
ზოგსა დრო კურნავს საბედნიეროდ,
ზოგთან კი რჩები სევდის ამარა,
ზოგი არც მოგკლავს და არც დაგარჩენს,
არც ბოლო უჩანს არც დასასრული,
ზოგი დარდი კი სიკვდილს განატრებს,
თუ ვეღარ უძლებს სატანჯველს გული.
დარდი ყველას აქვს ვისაც აქვს გრძნობა,
ყველას, ვინც ქვეყნად დადის ჭკვიანი,
მაგრამ იმას ვნებს ყველაზე მეტად
ვინაც არაა იმედიანი.
დარდმა არ უნდა გადაგიყოლოს,
უნდა გამაგრდე, გახდე ფხიანი,
თორემ რა მოლევს დარდსა და ვარამს,
რასაც თავად ქმნის ადამიანი.

ვედრება

ნეტავ როდის გვეღირსება უფალო?
დაწყნარება და სიმშვიდე გულისა,
ნეტავ როდის დასრულდება ზამთარი,
როდის შესცვლის სითბო გაზაფხულისა,
ნეტავ როდის აღარ დავჭამთ ერთმანეთს,
როდის მოვა ჟამი სიყვარულისა,
ნეტავ როდის გაიმარჯვებს წყვდიადზე
სინათლე და სილამაზე სულისა,
ნეტავ როდის, როდის ჩაიფერფლება,
ნაღვერდალი ძმათა სიძულვილისა,
ნეტავ როდის დასრულდება ტკივილი,
მოძმეთაგან დაკოდილი გულისა.
ნეტავ ყველა მიხვდეს თავის შეცდომას,
დრო მოვიდეს წრფელი სინანულისა,
და სრულიად საქართველოს მიწა-წყალს
მოეფინოს სითბო სიყვარულისა.

სული

სული ყოველის თანამგზავრია,
შინაარსია არა სხეული,
სული სხეულის ბინადარია,
ზოგჯერ ჯანსაღი, ზოგჯერ სნეული.
არ გათეთრდება სული შავბნელი
და არც წყლულივით განიკურნება,
სული სახეა ადამიანის,
მისი არსი და მისი ბუნება.
რაცა დევს ყველას სულის წიაღში,
ის ყოველის „მეს“ ამსახველია,
ხან მდიდარია, სიკეთით სავსე,
ხან შურით სავსე და შავბნელია.
სულის სიმდიდრით, ან სიღარიბით,
ფასდება ყველა ადამიანი,
დიდსულოვნებას მოაქვს სიკეთე,
სულმდაბლობას კი მხოლოდ ზიანი.
თუ გვინდა ბოროტს სძლიოს კეთილმა,
უნდა შეგვეძლოს მონანიება,
საკუთარ სულის დამორჩილება
და არა სხვათა განსჯა-ძიება.

სხვა გზა არა გვაქვს

სხვა გზა არა გვაქვს, ძმანო ქართველნო,
უნდა გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი,
კარგს გავუფრთხილდეთ, ცუდს დავეხმაროთ,
სულ დავრჩით თითზე ჩამოსათვლელნი.
სხვა გზა არა გვაქვს უნდა გავმრავლდეთ,
რომ მუდამ ენთოს ჩვენი სანთელი,
რომ ხვალე, ან ზეგ საქართველოში,
არ დაეძებდეს ქართველს ქართველი.
სხვა გზა არა გვაქვს უნდა შევრიგდეთ,
რომ გაგვითენდეს დილა ნათელი,
რომ ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში
აგურს ტოვებდეს ყველა ქართველი.
ერთად დავიცვათ სამშობლო ჩვენი,
ჩვენი ხატი და საფიცარია,
ერთად მოვაწყოთ, ერთად ვაშენოთ,
ჩვენი აწმყო და მომავალია.
კარგიც ჩვენია, ცუდიც ჩვენია,
ყოველი ჩვენი მონაგარია,
გასარიყად და დასაკარგავად
ერთი ქართველიც დასანანია.

ყველაფერი კარგად იქნება

(გამხნევება)

თუ განსაცდელში აღმოჩნდი,
არ ჩაიქნიო ხელიო,
მუდამ არსებობს ერთი გზა,
ჩიხიდან გასასვლელიო.
სოფელს მუდამ აქვს ავ-კარგი,
კარგ ყმას მუდამ ჰყავს მტერიო,
სიკეთეს თან სდევს სიავე,
როგორც მოსავალს მღრნელიო,
ასე იყო და იქნება,
წუთისოფელი ძნელიო
თუ ჭკუა მოგეკითხება,
გექნება სატანჯველიო.
ჭირშიც და ლხინშიც ყოველთვის,
გახსოვდეს სიბრძნე ძველიო,
მხნეობა ყოვლის შემძლეა,
შიში კი დამთრგუნველიო.



რომელმან შექმნა სამყარო,
ძალითა მით ძლიერითა...

რამაზ ლორია

დაბადების ადგილი ბათუმი
კავშირგაბმულობის ინჟინერი

ბათუმი

როგორ მიყვარს ზღვა და მზე,
სიმწვანე და ბუნება,
ჩამოვედი ბათუმში,
ხალხიც მესალბუნება.
როგორ მიყვარს ზაფხული,
თოლიების ყივილი,
წვიმაც მიყვარს ბათუმში,
ტირიფების ტირილიც.
როგორ მიყვარს მტირალა,
ნისლის საბურველითა,
ასწლოვანი ხეები,
ბათუმს უცქერს შორიდან,
როგორ მიყვარს ბათუ,უს,
ძველებული ბერეგი,
ყავის ხარშვას სილაში,
თვალებით ეფერები.
სანაპირო ბათუმის,
ძველებური როდია,
აღარ სჩანან გემები,
კანტი-კუნტად მოდიან.
ძლიერ მიყვარს შავი ზღვა,
აჭარული ჰანგები,
მე ბათუმის ქუჩებში, არსად დავიკარგები.

ჩემო ტკბილო საქართველო!

ჩემო ტკბილო საქართველო,
შენ ხარ ჩემი, ორგანიზმის
აბრეშუმის არშია,
ვინაც შენ არ გეფერება
ყველა შენთან ვალშია.

ზოგი ხარობს დღევანდელ დღეს,
ჩემი გული დარდშია,
ხვალ არ ვიცი რა იქნება,
სად გაგვხვევენ შარშია.

მტარვალი ჩასაფრებული,
ახალისებს ეშმას,
გაყოფილი ქართველებით,
ასისინებს გველსაც.

მიაქციეთ მთავრობებო
ყურადღება ზნესაც,
მარტო თქვენი სწავლით, ცოდნით,
გადიყოლებთ უფსკრულს ერსაც.

წუთი სოფელი მოკლე და ჭრელი,
ბევრია შლეგნი, არიან ბრძენნიც,
ვემსგავსოთ ფუსტელ რაინდებს ქცევით,
ავაღორძინოთ სამშობლო ჩვენი.

* * *

სვანეთში მზის ამოსვლისას,
საქართველოს მთიანეთში,
ჯიხვი დაჰქრის ქარაფებზე,
ფერსაც იცვლის, მზის სხივებზე.

წალკოტია ქართა-ველი,
შთაგონება წარუშლელი,
ნიავიც კი შარიშურობს,
სულ მწვანეა მინდორ-ველი.

ველად მოფენილ გვირილებს,
თავს დაფარფატებს პეპელა,
განა არ იცის პეპელამ,
შვილის მრავლებით რომ კვდება?

მაინც მსუბუქად ფარფატებს,
ლაღობს ფერადი პეპელა,
ყვავილებიც დააპკურა,
მოაჯადოვა სულ ყველა.

დილით ადრე ალიონზე,
ჭრიჭინების ჭრიჭინში,
გაისმოდა ტყე მინდვრებში,
ფრინველების ჭიკჭიკი.

გულში სითბო ჩამეღვარა,
როცა ჩემს მიწა-წყალს აღვწერ,
მახუნცეთში ჩანჩქერია,
გაგაოცებს, ლექსსაც დაწერ.

მახუნცეთი სოფელია,
თვალის მომჭრელ აჭარაში,
ცოლიკოურის ზვრებია,
იწურება ღვინო მთაშიც.

თუ სვანეთი არ გინახავთ
არ გინახავთ საქართველო,
ფუსტელებმა ჩვენ გვასწავლა,
მომავალშიც დავდოთ ლელო.

* * *

არ მინდა მოკვდე სანამ ვიცოცხლებ,
შენი აჩრდილი არ მინდა მდევდეს,
მხოლოდ ვინატრებ, რომ ერთად ვიყოთ,
ტკბილი ცხოვრება ზღაპრად ვაქციოთ.
არ მინდა მოკვდე სანამ ვიცოცხლებ,
შენი ალერსით, მინდა ვტკბებოდე
და სარეცელი თოვლივით თეთრი,
შენი სხეულით მუდამ თბებოდეს.
არ მინდა მოკვდე სანამ ვიცოცხლებ,
შენს სილამაზეს ვერ შეველევი
და თუ ინებებს უფალი ჩუენი,
ერთად გვარგუნოს სასუფეველი.

მე გიყურებდი შიშუელ ტერფებით,
ნამიან ბალახს როგორ ტკეპნიდი
და მომეჩვენა ალბად გციოდა,
ტუჩებს დაჰკრავდა ლურჯი ელფერი.
უცებ ვინატრე,მე სიოს ნაცვლად,
მოგფერებოდი წაბლისფერ თმებში,
ჩემს გულის ცემას ნეტავ თუ გრძნობდი,
მთვრალი ვიყავი თითქოს თრიაქით.
მიყვარს ეგ ქალი აგიზგიზებულ,
ვარდისფერ ცეცხლს ჰგავს,
დაველოდები მე მის ნაკვერჩხალს,
გაყინულ ტუჩებს გავითბობთ ერთად.

* * *

ფარნავაზ მეფემ წიგნი გვაჩუქა,
ქართველებს მისცა სიბრძნის საგანი,
ასე დაიწყო მან განმტკიცება,
შემოიკრიბა გონბრძენნი კაცნი.
ყოვლის მთქმელი ქედი და მთა არის,
შემოსულ წმინდანთა ნათელი გზა არის,
გაბრწყინებული ფარავნის ტბა არის,
თორმეტი კანდელის წარსულის ხმა არის.
ბევრის მომსწრეა მდინარე მტკვარი,
იმიტომ არის მღვრიე და მთვრალი,
ენა რომ ჰქონდეს წარსულს მოგვითხრობს,
რას სჩადიოდა ყოველი გვარი.
ჩვენი სამშობლო საქართველოა,
ფარი, მთა არის კავკასიონის,
ერის კაცობით და ვაჟკაცობით,
აღორძინდება ივერ-იბერიონი.

* * *

საქართველო გლოვობს
და ტირის აგვისტოს თვეში,
ისევ ამ თვეში ქალებს ვხედავ
თალხი ძაძებით,
შოვში მომხდარი წარღვნა
ვნახეთ დიდრონ თვალებით,
ჩვენი გულები დაიკოდა,
დღეს მწუხარებით.
გარდაცვლილ ცხედრებს
კვალი ადევს მტვერის,ტალახის,
საქართველოში ასეთ ღვარცოფს,
არ შევსწრებივარ
არ მაქვს ნანახი,
ნეტავ შემეძლოს თქვენი
გულები გავათბო ხელით,
დაკარგულებად ვინც მიიჩნევით
გამოჩნდით, გელით.

„მტირალას მთა"

თქვენ თუ გინახავთ როგორ მოცურავს,
მტირალას მთიდან კეკლუცა მთვარე?
სანაპიროდან მოსჩანს საოცრად,
ლურჯი, ფირუზა, მთვარე პირსავსე.
დაჰუყურებს ბათუმს ქალაქს მძინარეს,
მას გვერდს უმშვენებს ვარსკვლვათ მდინარე,
ელის, ის ცისკრის მოახლოვებას
და ჩაანაცვლებს მზე მოცინარე.

* * *

ქრისტე იშუა შვიდში ბეთლემს,
უფლის საქართველო არ თვლემს,
გალობს წმინდა ეკლესია,
უფალი ჩვენი მწყემსია!
ქალწული შობს დღეს მაცხოვარს,
ნათელს მოჰფენს, ცას და მიწას,
გაუმარჯოს საქართველოს,
მზის შვილებს და ჩვენს ჯიშ ჯილაგს!

"სვეტიცხოველი"

ჩემი სამშობლო საქართველოა,
მიწა ქართული სამადლო ღვთისა,
წილხვედრი დედა მარიამისა
და საამაყო ქართველ გენისა.
კვართი უფლისა აქ შენახული,
არის მახვილი მტარვალი მტრისა,
წმინდა ნინო და წმინდა ანდრია,
დიდი ფარია სვეტიცხოვლისა.
სვეტიცხოველი მცხეთის მშვენება,
სახლი ქართველი წმინდანებისა,
თვით მისტიური სხეული უფლის,
დიდი განძია ჩვენი ერისა!
ხან აისია, ხანაცა დაისი,
ხან მწუხარება ხანაც ხალისი,
დიდგორის ბრძოლა სიამაყეა
და ეპოქაა მეფე დავითის.
ქართული დროშა მეწამულ ფერის,
არის სიმბოლო გმირთა ქცევისა,
ენა მამული სარწმუნოება,
მთელი სამყარო ჩვენი გენისა.

„შობა"

პატარა ვარ უჩინარი
ლამაზი და კოპწია,
 დედა ნიავს არ მაკარებს,
სანამ მე ვარ ლორწია,

მესმის დედის საუბარი,
მოფერება ალერსი,
ვიღიმები ჩემთვის მარტოდ,
ჩემი არვის არ ესმის.

როცა მამა უჯავრდება,
ჩემს საყვარელ დედიკოს,
თვალებზე ცრემლმორეული,
ვეხუტები დედიკოს.

არის წუთი ვერ ვისვენებ,
ვიწიხლები ვირულად,
ხან თავს ვურტყამ, ხანაც ფეხსაც,
დედის მუცელს ველურად.

როცა მესმის საუბარი,
ჩემი სქესის თემაზე,
წარბებს ვკუმშავ, ვიპოპრები
და ვბრაზდები ყველაზე.

ველოდები დაბადებას,
მეც მსურს გავინავარდო,
მინდორ-მინდორ მოვიარო
და ვუცქირო სამყაროს.

სიყვარულით მინდა დავტკბე,
მზის სხივებით ვთბებოდე,
დილით ადრე ალიონზე,
უფალს ვებარებოდე.

თენგო ფანცულაიამ და ჩემმა შვილმა გამოიყენა სიტყვა არ მოდუნდეო, ჩემი გამხნევებისთვის. ვასრულებ პირობას

მოდუნება არ იქნება,
სანამ მე ვარ ცოცხალი,
ეშმას არ გავაცინებ,
რომ არ მნახოს მფორთხავი.

გავახარებ დიდ სპირიდონს,
სალოსს მამა გაბრიელს,
უფლის მხედარი ვიქნები,
მტერს შევხვდები მარბიელს.

სიყვარულია ჩვენი ლამპარი,
გვიყვარდეს გვწამდეს ვიყოთ ამტანნი
ერთი მთლიანით ვიცხოვროთ მარად
და შვილებს ვყავდეთ მრავალჟამს ფარად.

დაგველოცოს სახლის ლიბო,
გაგვინათდეს გზა და კვალი,
ჩვენ გვწყალობდეს უფალი
და ზეციური დედოფალი.

ერთად ყოფნით და ფერებით
მივყვეთ უფლის ნათელ გზას,
მხოლოდ უფლის სიყვარულით,
ერთად შევკრავთ ხორბლის ძნას.

სიყვარულის შედეგია თვითონ ადამიანი,
ღმერთი არის სიყვარული შვენთანაა მარადის.
სიყვარული არის ფუძე,თავად არსებობისა,
სიყვარული საწყისია ურთიერთთა ნდობისა.

მე ცისკარზე ვლოცულობდი,
ღმერთს გავანდე მღელვარება,
ქრისტემ წმინდა ზიარებით,
მაგრძნობინა შეწყალება.

კარგი ლექსი გამოვიდა,
ლამაზი აქვს დასასრული,
უფლისადმი სიყვარულით,
დავამარცხოთ თვით ურჩხული.

„აჭარის წყალი და ჭოროხი

მზის ჩასვლაც კი აირეკლა, ორმა გრძელმა მდინარემ,
წყალში ოქროს ზოდებია,მოლივლივე, მცინარე,
ირგვლივ მწვანე ბუნებაა, თითქოს უკვე მძინარე,
ვინ დაგაცლის დაძინებას, ღორღით ღმუის მდინარე.

ერთ ადგილას აჭარის წყალს,უერთდება ჭოროხი,
საქართველოს ძოწის თვალი, აჭარაა საოხი,
ანდრიას და წმინდა ნინოს! საფეხურებს სამადლოს,
დედაღვთისამ სხივი მისცა აჭარაში სამადლო.

***

გ ენაცვალოს რამაზ ძია,(ბაბუ)
ა ლმასივით ბრწყინავ შუქში,
ბ როლივით გამჭვირვალე ხარ,
რ ოკავს შენი პაწე გული,
ი ფრთიანე, იდღეგრძელე,
ე ბგური ხარ საქართველოს,
ლ ომის თათი მიაშველე,
ი კაშკაშოს საქართველომ.

***

ა ლამაზებ ამ საწუთროს,
ნ ატვრის თვალო, მზეჭაბუკო,
დ ათვის ბელო, გულით თბილო,
რ აინდო და ღვთის ერთგულო,
ი ხარე და იდღეგრძელე,
ა ფრთიანე საქართველო!

***

მე დავიბადე აპრილის თვეში,
ამ დროს ბუნება იცვლება ფერში,
დილით, სარკმელთან, მზის სხივი მსტუმრობს,
მიხმობს, რომ გავყვე ატმების სკვერში.
მე დავიბადე აპრილის თვეში,
მერცხალი ბუდეს იშენებს სკვერში,
ვაშლის ხის კვირტებს, გაშლილს თეთრ ფერში,
მთვარე დასცქერის,იკრავს უბეში.
მე დავიბადე აპრილის თვეში,
მიყვარს ფუტკრების ბზული სკებში,
ჩანჩქერთ ჩხიალი, ქარაფთა კლდეში,
ცისფერყანწელთა გაჩენა ერში.
მე დავიბადე აპრილის თვეში,
დედა ღვთიმშობლის სარების თვეში
და სიყვარულით მინდა გაუწყოთ
სიყვარულია თანმხლები ჩემში.

დე

ანათო მინდა დაუსრულებლად,
მინდა გეფერო, მინდა გაკოცო,
შენი ალერსი და ტკბილი ნანა,
ყოველ ჩემს ნაბიჯს დაჰყვება ფარნად.
მხოლოდ ერთს გეტყვი, ხატი ხარ ჩემი,
როცა დაგჭირდე მიგულე ფარად,
შენი ღიმილი და გამოხედვა,
მე სხეულს მითბობს მარად და მარად.
მადლობა ღმერთსა, ადამის ნეკნი
,დაუფიქრებლად აქცია ქალად.

მაია ხოფერია იურუსტი
დაბადების ადგილი, ფოთი

არ მინატრია!

მე, ყვავილი ვარ, გაჩენილი კლდეთა ბზარებში,
ემოციური, ფეთქებადი, გრძნობების დენთი,
ამოვაფრქვიე სული ჩემი სტრიქონ-ბწკარებში,
არ მინატრია, სხვა სიმაღლე ამაზე მეტი!...

მე, ოცნება ვარ, წყურვილი ვარ, სიცოცხლე შენი,
მონატრება ვარ, ყოველღამე ყელს რომ გიღადრავს
და ამ სიყვარულს წლები გადის ვერაფერს შველი,
ვეღარასოდეს ვერ გაამხელ, როგორ გიყვარვარ!...

შენ, მეწყერი ხარ, გრიგალი ხარ, ჩემ სავალ გზაზე,
ჩამოქცეული ამინდი ხარ, წვიმა ხარ თქეში,
კონკია გოგომ გულში ფეტვის მარცვალი ვზარდე
და შემაჩეჩე უკვდავება გათოშილ ხელში...

მე, ყვავილი ვარ, ამოზრდილი კლდეთა ბზარებში,
ემოციური, ფეთქებადი, გრძნობების დენთი,
ამოვაფრქვიე სული ჩემი სტრიქონ - ბწკარებში,
არ მინატრია სხვა სიმაღლე ამაზე მეტი!!!...

* * *

წვიმებით ვსუნთქავ, ქარებით ვცხოვრობ...
და თოვლის ქურქსაც ზაფხულში ვიხდენ,
ფეხისწვერებზე დავდივარ მხოლოდ,
სულის საკვებად მზის სხივს რომ მივწვდე !...

იქნებ...

იქნებ, ოდესმე გიყვარდი,
მაგრამ არ მეძებ დღეს,
ლაბირინთებში მიგყავდი
და მიჩრდილავდი მზეს...

იქნებ, ოდესმე მიყვარდი,
დარდი მძალავდა სულ,
სიყვარულისთვის ვწირავდი,
ლექსში ჩადებულ სულს...

იქნებ, ოდესმე გიყვარდი,
ჩიტი - შემსკდარი კლდეს
და უთავბოლო სიზმრებში
მაინც მიწვდიდი ხელს...

ახლა, მივყვები გზა ბილიკს,
ნაშალს, ნაწვიმარს, სველს,
ვერ ავუარე - ჭორს, ქილიკს
და ვერც ფიქრს - ნერვებმშლელს...

ვერ დავეხსენი ოცნებებს,
ვერ გადავცურე ზღვა,
მისი ტალღების სიმშვიდე,
ხან მღელვარება მკლავს...

ვერ მოვერიე ქარიშხალს,
ვერც მოლოდინს და ფიქრს,
მე, გათოშილი ბარტყი ვარ,
სიკვდილშიც ვგავარ ფიფქს!!!....

ლექსი...

ლექსი უშენობით ნაწამები,
ღამე - კოშმარი და აგონია,
სიზმრად მოვიკვეცე ნაწნავები,
კარგად ამიცხადდეს არ მგონია...

ქარებს გავეკიდე ხეტიალას,
ისევ ოცნებები მაბითურებს,
ჩემში გოგო დარჩა მეტიჩარა,
ფრთხილად ეფერება ნათითურებს...

ახლა ვის მოვუყვე ვინ ვიყავი,
ანდა რა აზრი აქვს ვინ მიყვარდა?
გული სისხლნაკლული გაგიყავი,
ვისაც არ ვუყვარდი, ცად მიმყავდა!...

ლექსი მონატრებას მიასმაგებს,
ლექსი უიღბლო და უპატრონო,
ჭკნობა შეჰპარვია იასამნებს,
მითხარ, აბა როგორ ვუპატრონო?!...

ტყვიას გასროლილს ვერ დააბრუნებ
და თუ მიზანს ასცდა - გეწყინება,
მე, კი ერთი ბწკარიც დამაბრუნებს,
დღემდე სიყვარულს რომ ეწირება!...

ლექსი უშენობით ნაწამები,
ღამე - კოშმარი და აგონია,
სიზმრად მოკვეცილი ნაწნავები,
შენი დავიწყების გამგონეა!...

* * *

მე, დაგიტოვე გული, ვნებები,
საპირისპიროდ ვცურე ნებისა,
მერე კი ვწერე თეთრი ლექსები
და უკვდავება შენით მეღირსა!...

ვიყავი შენი კაცობით მთვრალი,
შენი სხეულის მადნობდა სითბო,
ახლა კი დავრჩი ჩავლილი მგზავრი
და გაყინულ სულს წარსულით ვითბობ...

* * *

ტანაყრილი თეთრი კალა,
მოწყენილი მიყურებს,
ვეღარც ბილიკს ვეღარ ვკვალავ,
ლექსი სულს ვერ მიპურებს...

შუქჩამქრალი ცაზე მთვარე,
გადამექცა ფიქრებად,
სულ თითებზე წლები ვთვალე,
მეფანტება, მიქრება...

აპრილის თვემ მიღალატა,
ახლა მივდევ მაისებს,
ღამით სიზმრად თუ ვერ გნახე,
თვალებს ცრემლი ამივსებს...

არ გირეკავ, არ გკითხულობ,
არ გიგზავნი ბარათებს,
მე, მახსოვხარ, შენ მივიწყებ,
არც ფასი აქვს არაფერს !...

სიამაყით, სიფაქიზით
კალას ვგავართ ქალები,
ჩემ სიყვარულს ყავლი გასდის,
სხეულს მიმტვრევს ქარები...

რა ფერები, რა შუქჩრდილი,
მემტერება დარდები,
ამ სიყვარულს ცად ავიტან,
მერე მეც იქ დაგხვდები...

ტანაყრილი თეთრი კალა,
მოწყენილი მიყურებს,
შენკენ სავალს ვეღარ ვკვალავ
და შორიდან გიყურებ !...

რომ მაკლიხარ...

ქარი ჩადგა, ველოდები წვიმას,
მოიღრუბლა, ცა ჩამუქდა თითქოს,
ამინდები აირია - მწირავს
და ივლისი გულსაც ვეღარ მითბობს...

აივანზე გამაქვს ჭიქა ყავა,
ბნელში ვეძებ მთვარის ციცქნა ნათელს,
მასაც ალბათ ბედისწერად დაჰყვა,
ცალად ყოფნა, როცა დაანათლეს...

რა ქნას მთვარემ მის გულშიც ხომ ბარდნის
სევდა ავსებს, გაილია მარტოდ,
თბილი ცრემლი ღაპა-ღუპით დასდის,
როცა მის წილ უიღბლობას დარდობს...

გათენდება, მზე დაჭყიტავს თვალებს,
ღამე ვტეხე, მაჯაც სუსტად ფეთქავს,
აივანზე ჭიქა ყავას დავლევ,
რომ მაკლიხარ, ნეტავ სულ არ მეთქვა!!!...

ისევ

არ გიცდი - არც გზა გვაქვს ჩვენ,
თავსაც ვატყუებ ხანდახან,
სიყვარულს, სიცოცხლის მჩენს,
ვკარგავ ტკივილით კარდაკარ...

არ მიცდი - რა ვუყოთ წლებს,
ღრუბელს დასცვივდა ცრემლები,
ისევ, უბრალოდ გწერ და
მარტის წვიმებით ვსველდები!...

მიწიდან ცამდე

სიცოცხლე მინდა,
ზოგჯერ სიკვდილი,
ყვირილი მინდა,
ტირილი უფრო,
სიცილი მინდა,
ღიმილი მინდა,
ყოფნა - არყოფნა,
აფრენა უფრთოდ!...

წვიმა და ქარი,
წარღვნა და თოვა,
ვიღაცამ გული,
დარდისთვის მთხოვა,
ვიღაცა მელის,
ვიღაცას ვშველი,
სულში ფათურობს
ნერვებისმშლელი...

პერანგი შავი
და თეთრი წინდა,
რაღაც ხომ მაინც,
არსებობს წმინდა?!
ვეცემი, ვდგები,
მრუდეა გზები,
საწოლში ვწვები,
სიზმარში ვკვდები,
მერე კი ცაში
ღრუბლებთან გხვდები !...

ვისი ბრალია
გღალატობ როცა?
ღამესთან ვმრუშობ
წლებია - წლები,
მტოვებ თუ გტოვებ,
მაცმევ თუ გმოსავ,
მიკვდება ჩიტი,
უდედო ბარტყი,
ნუთუ არასდროს,
არასდროს გაკლდი?!...

რამდენი რამე
მინდოდა მეთქვა,
რატომ მგავს ასე,
მტირალა ძეწნა?!
მიმოზებს მკვდარი
სიყვითლე უჩანს,
უაზრო ფიქრებს,
ბოლო არ უჩანს...

შეშლილი სახით
დავქრივარ ქარში,
ო, როგორ მინდა,
ყოფნა ჩემ სახლში,
ო, როგორ მინდა,
წვიმაში, თოვლში,
თამბაქოს კვამლში,
ბურუსში, ბოლში...

ბოკალში ციცქა
და ლექსით თრობა,
გული, რომ ციცქნა
სიყვარულს გთხოვდა!..

მერე კი ისევ,
დაშვება დაბლა,
თვალებს არ შვენის
გრძნობების მალვა,
სხეულზე მეწვის,
წარსული - დამღა,
არ ვიცი სად ვარ,
აქ ვარ თუ გაღმა?!...

არ ვიცი რატომ
მაწვალებს ფიქრი,
სიგიჟე ტვინში
პეპლებად მიქრის,
მეხვევა ხალხი,
უცხო მილეთის,
გემუდარებით,
გამომიწერეთ,
მიწიდან ცამდე
ერთი ბილეთი!!!...

* * *

ბედნიერება ჩავიცვი კაბად,
ბედნიერებას გაწვდი ღიმილად
და თუ სიყვარულს გიტოვებ კართან,
მე, შენგან მაინც არსად მივდივარ...

სულ ერთ კითხვაზე პასუხს თუ გამცემ,
თქმასაც აზრი აქვს დამკარგე რადგან,
მე, ხომ სიყვარულს ვითხოვდი იმდენს,
რაც მეკუთვნოდა გაცემის ნაცვლად !...

დედები...

დედები ვბერდებით, დედები ვთეთრდებით,
შვილებს დავფოფინებთ ფიქრებად,
მივდევთ ნაბიჯ-ნაბიჯ, მივდევთ ბილიკ-ბილიკ,
წლები ხელისგულზე გვიქრება...

დედები ტირიან, დედები დარდობენ,
გზასაც დამეწყრილსაც ივლიან,
მამებს სხვა ტვირთი აქვთ, მამებს სხვა ჯვარი აქვთ
და თუ ვერ აზიდეს - მიდიან...

დედები მთებს სძრავენ, დედები კლდეს ხრავენ,
შვილებს, დღე რომ ჰქონდეთ ნათელი,
დედები კვდებიან, დედებს ვერ ჰკლავენ,
იწვიან ვით ტაძრის სანთლები...

შვილებმა რა იციან, იქნებ არც იციან,
დედა ღვთისმშობელს რად ადარეს,
როცა გეტკინებათ, როცა გეტირებათ,
ხელში ატაცებულს გატარებთ...

დედები ვბერდებით, დედები ვთეთრდებით,
ვდნებით და ვილევით ფიქრებად,
წლები სიცოცხლის და წლები სიხარულის,
ხელში ფანტელივით გვიქრება!...

მიმოზები...

ტოტებდამტვრეული მიმოზები,
ღამე, გალეწილი აგონია,
ახლა სიმარტოვით ვიმოსები,
ახლა - მომენატრო არ მგონია...

ფიქრიც ამინდივით აჭრილია,
თითქოს უმიზეზოდ გამიმეტეს,
გული უნამუსოდ დაჭრილია,
იმედს გადარჩენის არ იმეტებს...

დილა სურვილების გამგონეა,
მე, კი წლებთან ერთად საიმედო,
აწი, მიღალატო არ მგონია,
აწი, სასიკვდილოდ გამიმეტო...

აღმა ვერ მივცურავ კალმახივით,
დაღმა ჩამოვყევი გზა-ბილიკებს,
ვიღაც მიმასვენებს ბალდახინით,
ვიღაც დღენაკლული მაქილიკებს...

მე, კი ველოდები კვლავ არევას,
ისევ სიყვარულით ვიმოსები,
მარტში ატმის კვირტის გადარევას,
ტოტებდამტვრეული მიმოზებით!...

* * *

შენთან ყოფნა მინდა! - მეტი არაფერი,
გარეთ სიცივეა, თითქოს წამოთოვა,
ღამე ფიქრებშია ისევ განათევი,
ნეტა, მთაწმინდაზე ახლა თუ მოთოვა?!...

ჩვენი სიყვარული ლექსად დაიწერა,
წარსულს მიემატა ტრფობა გარდასული,
ზამთარს გადავიტან თუ არ მიღალატებთ,
თუ არ მიმატოვებთ, შენ და გაზაფხული!...

მე, შენ ისეთ ლექსს დაგიწერ...

მე, შენ ისეთ ლექსს დაგიწერ,
ვერ დაგიწერს სხვა,
სიყვარულით გადავავსებ,
სტრიქონსა და ბწკარს.

უძილოს და ნაბახუსევს,
შეგაყვარებ ქარს,
ნაწვიმარზე სველი კაბით,
შემოგაშრობ ტანს!...

მოგანატრებ ძილს და სიზმარს,
ჩაგიკეტავ კარს
გულში ჩაკრულს განანავებ,
გაგიფანტავ დარდს...

მთის მწვერვალზე კარავს გავშლით,
ხელს მივაწვდენთ ცას,
უღალატო მეგობრობა,
ღვთის საჩუქარს ჰგავს....

მერე, ბარში აქაფებულ,
შევუერთდეთ ზღვას,
ცივ ტალღებში ცხელი გული,
მზეს, რომ მძევლად ჰყავს!...

არ გიყვარვარ, მაგრამ მაინც,
მოგანატრებ თავს,
შენი სუნთქვა ყურისძირში,
რა მაცდურად მკლავს...

მე, შენ ისეთ ლექსსს დაგიწერ,
ვერ დაგიწერს სხვა,
ყველა ცოდვა ჩადენილი,
გავაყოლოთ მტკვარს...

თუ ვერ მნახავ, ვერ მიპოვი,
ვერ მომაწვდენ ხმას,
გაზაფხულზე გამოვყვები.
მაწანწალა ქარს !!!...

* * *

გინდოდი და იღებოდა კარი,
ფეხშიშველი გამოვრბოდი შენთან,
კაბა იყო, მოკლე, საოცარი
და სხეულზე მოფერება მეცვა!...

როცა გსურდი, მზე იყო თუ წვიმა,
მე, ვიყავი ქარზე უფრო ჩქარი,
ახლა მინდა, ისე როგორც წინათ,
შენთან ერთად ჩავიკეტო კარი...

ნათია ჯიქურაშვილი ფილოლოგი
დაბადების ადგილი ბორჯომი

ჩვენს ხელშია...

თითქოს შემოგვწყრა დროც ორლესული
ხმალიც ვეღარ ჭრის, რარიგ დაბლაგვდა
შამქორს ძარღვებში ხმა აქვს ღმერთული
მაშინ ვიყავით, დღეს კი არც რა ვართ!
ქვეყნის თავიდან კიდით კიდემდე,
თამარის დროშა ვეღარ იშლება
და საქართველო ორგულთა მოწმეც,
ზოგჯერ თუ მოჰგავს ღვთის დავიწყებას.
ჩამოშლილია ოპიზა, ბანა
ქონგურებს მინდვრის ბალახი კოცნის
წარსული ისევ გვახსენებს ღალატს
და ქარში ჰკივის ვაებით, მოთქმით.
სოხუმში გაღმა ნაპირის სიგრძე
რარიგ დამშორდა, იქ დარდი წვება
და ეშინია ვივიწყებ იქნებ...
მომიკვდა გულში ქართველის გზნება.
ლიახვს დაუშრა ცრემლი ტალღებად
აღარც მეძახის სამაჩაბლოსკენ
ეჰ, დამივარდა ჩემი თავნება...
ფეხით კი რა ვქნა რა ბილიკს მოვყვე?!
ყველა ტკივილებს ამოვამღერებ,
ჩვენში გმირები ისევ ცოცხლობენ,
დაველოდები მხოლოდ იმ დღეებს,
თავისუფლების სუნთქვა მოჰქონდეს.
დღეს კი ვაჟკაცი სხვის ომს ბრძენია
ჩვენი გვაქვს ჩვენი საბრძოლ-საომი
უიმედობა თუ შეგვერია
ჭაღარისფერი აწი განწყობით.
ისევ ჩვენ ისევ...შორით მოსული
ვერ შეგვეწევა, ვერ გვიწინამძღვრებს
მტერი გულისპირს არის მოკრული
და უფრო გვიხსნის მფეთქავ იარებს...
მობეზრდება და ერთხელ იყივლებს
ამირანია დღესაც ქართველი,
ლოდს თუ აგორებს გულზე სიზიფე,
ისევ და ისევ ბრძოლის სახელით...
გამოღვიძება ღვთის მადლიც არის,
ძარღვებს აავსებს და გაგიჟდება,
ქუდზე კაცია, ალბათ, წამალიც
და ივერია კვლავ გაბრწყინდება!
მერე გავიდოთ მხარზე ჯავარი
მოცალეობა ვიცით ნადიმშიც
თორნიკე ათონს ღმერთთან მავალი
ერის ხმას ისევ ღირსებად ირჩევს...
არ დავაბლაგოთ სულში მახვილი
თვითეულ ძარღვში ქეთევანს ვხედავ
დედოფალია შირაზს წასული
და ჩვენი რწმენის ნუგეშად კვდება...
ირგვლივ გმირები მაინც ბევრია,
"ობოლ მარგალიტს" უნდა ანთება,
ამის თავმდებიც თავად ღმერთია,
რომ ჩვენს ხელშია ხსნაც, გამარჯვებაც!

39 წელს!

ყოველ აგვისტოს ტკივილი მოაქვს,
ომის, სტიქიის პოლიგონია
საქართველოში გახშირდა გლოვა
ზარის, ქვითინის პოლიფონია...
მთებიც ზვიადნი პასუხს თუ გვთხოვენ?!
ჩემი, შენი და სხვათა ცოდვების,
მდინარე სისხლის ცრემლებით მოჰყეფს
ღმერთო, ამ ბავშვებს რას ემართლები?!
ჩამოიტანა ყველა სამსალა,
რაც დაუგროვდა რაჭას გულმკერდზე
და სიხარული აღარ გადარჩა,
სიკვდილთან სული ვეღარ ვუბერეთ.
ეს ალიონიც თალხია ვგონებ
ოცდაცხრამეტი წელი მძიმდება,
როცა ტკივილი ატყვია ყოველს,
მაგ დროს მე ნაღდად არ მეღიმება!
და მაინც ამ ცისქვეშეთში მოველ,
სიყვარულია გზაც და მწვერვალიც,
თუ ვერ შევარჩევთ არსობის დროებს,
ვიღაც ჩვენს ყოფნას მაინც შეჰხარის...
თუნდაც მათ გამო მიღირს სიცოცხლეც
თუ წამისყოფად გულზე დამღვრია,
ჩამორეცხილი ფრესკიდან ოდეს,
სულს სხვისთვის ვიღებ, რაც გამაჩნია!
გავკადნიერდი და დღეს რატომღაც
ყველა სიყვარულს ერთად ვიბრუნებ,
აგვისტო თუკი გახდა გამოცდა,
აწი სამშობლოვ, ლხინს დავიურვებ!
დღეს საქართველო გლოვობს და მეც ვარ,
მეჩირაღდნე და მისი ნაწილიც,
დღეს რარიგ მრუმე გამხდარა ზეცაც
შოვშვი შვილმკვდარი დედის დარდივით.
აგვისტოს ომი კურცხალს ვერ მოგვწმენდს,
სიკვდილის, ალბათ, გმირულის თუ მწამს,
ოცდაცხრამეტი წელია მოვსდევ,
ამ ცოდვა-ბრალით გათანგულ მიწას!

იმედისფერი ლექსი

ჯერ არაფერი არ დამიკარგავს,
ბასტიონებსაც ავიღებ აწი,
მზეს გულისპირზე სხივს დავუქარგავ
და მაინც მთვარის ვიქნები ქალი!
ვერავინ წაშლის ფიქრებს ჩემამდე,
ნისლები თითისტარში დართულან,
ნაკვალევს გაშლი ძაფით ზეცამდე,
დრო ხელში გყავს და არსად წასულა.
ვირჩევ ჩემს როლს და აღარ მაშინებს
იჭვად შეკრული ფსკვნილი, გორდია
ქაცვია მწყემსის გრძნობა გამიყე
და თავი ღმერთზე მეტიც მგონია.
დაეწურება ნატვრას კერტებიც,
ოცნება ხშირად კაბასაც იცვლის,
მზეს ღიმილს მოვწყვეტ, მთვარეს შევხვდები
მე ერთგულება ამგვარი ვიცი.
ზოგჯერ ვერ გეგმავ მოვარდნილ ღვარცოფს
და ნარ-ეკალში ვნებით ეხვევი,
გზები ვიწროა, ხანდახან ფართოც
და გზის ბოლოა როცა კი გხვდები...
ააწრიალებს ქარი ჩემს თავშალს,
შენს ხელში მას ხომ ნატვრის სუნი აქვს,
თუკი მომისწრებ და დასცემ კარავს,
ალმად, საწირად ჩემი გული გაქვს.
ყოფა ხანდახან გამოცდას გვიწყობს
და დასაკარგად არ ვემეტებით,
თუ ვერ ავიღებ ბასტიონს ვინძლო,
ცეცხლში შენ ჩადექ, შენ მეღმერთები...
მინდა მწამდე და ხიდად გამეგო,
მეც თანადგომას წრფელს დაგპირდები,
დაე, დარდებსაც სევდად დავემყნო
სიყვარულის წილ ქვესკნელს მოგყვები...

ჰოდა...

მხოლოდ სიხარულს ვიღებ და
ტკივილს არ ვუშვებ გულთან,
საქმეს ვიჯერებ და სიტყვებს
ფუჭებს რაც უნდათ ის თქვან.
ლექსსაც ქარცეცხლში ვატარებ,
ნაწრთობია და სუფთაც,
ქვეყანად არ ვითხოვ არაფერს,
ნუ გავჩერდები წუთთან...
მე ჩემი მყოფი ჩამოვქვი
ყოფის გავლეწე კალოც,
ღმერთთან მადლობაც ამოვთქვი,
თავად კი უწყის რატომ?!
სიკეთე მუდამ დამდევდა
და მინათებდა მყოფადს,
ნესტანი ვარ და საშველად
ტარიელს ვუხმობ ჰოდა.
აღარ მაშინებს აღარა
მე ჩემი წილი მოვკვდი
ახლა სიხარულს დავლაშქრავ,
მთები მიხმობენ: მოდი!

მეც, ალბათ, სადმე წამიღებს
ქარი აშარი ფრთებით,
რა მსხვერპლი აღარ გავიღე,
გრძნობის ერთგული ვრჩები.
იქნებ არც ღირდეს სათქმელად,
თუ რა სამსალა მთანგავს,
ლექსსმა რითმები გახედნა,
სწორედ ის იტყვის მთავარს!
შემოვილეწე ამ გულზე
ტიალი ყოფის ურვა,
აწი სიხარულს დავუგე
მახე და ვიგრძნო უნდა.
ჰოი, მელოდე ათასი
წელი და მაინც მოვალ,
მაგ გულისპირზე გადავშლი,
გაზაფხულისფერ გრძნობას!
მანამდე მხოლოდ სიხარულს
ვიღებ და სახელს ვარქმევ,
ტკივილს განვდევნი მინავლულს
და ცრემლს არ ვუთმობ თვალებს!

ზოგჯერ...

ზოგჯერ სიტყვების კორიანტელი
დამჯახებია, როგორც ფარი ფარს,
პასუხიც მქონდა მსგავსი სასჯელის,
დუმილს ვირჩევდი კვლავ თავგანწირვად.
და ამ მსხვერპლისთვის ვიყავ ძლიერი,
სუსტი ყოველთვის გულს დაგისერავს,
და ვიდექ ხშირად თმენის რიგებში,
თუმცა ტკივილით ცაც დამიფერავს.
მაინც ვარჩიე ხიდები მეგო
და არ დამეწვა სულის ბორანი,
მით გავლახე სიცოცხლის კბოდეც,
სიზიფეს ლოდით ხშირად მოვგავდი.

მარტინ იდენმა დარდიც გამიყო,
ჩემეულია მისი ბრძოლებიც,
ცხოვრებამ თუკი გული წაიღო,
მეც მის ნაკვალევს რისხვით მივყვები.
დასასრული კი მაინც ერთია,
განსაწმენდლიდან ციმციმ განვლილი,
და ხშირად ვიყავ მაინც მესია,
ჯვარზე ასულიც და გარდმოხსნილიც.
პილატესავით ხელს არ დავიბან,
მოყვასი მაინც ჩემში მეტია,
იმედი ხშირად თავს თუ გავიდა,
იცოდე შენთვის, შენად, შენი ვარ!

არ ჰქნა, უფალო!

დრომ შემომძარცვა ყველა ყალბი ღიმილის ტევრი,
ქარში, წვიმაში სულის პერანგს როგორ ვდარაჯობ,
ვაგლახ, ვერ არის სუფთა, თუნდაც ბავშვივით წრფელიც,
რადგან ცხოვრება ხშირად სისხლის წვიმებს მთავაზობს.
ავიკრეფ ძვალ-რბილს და სამოთხეს ოდითგან ვგლოვობ,
ყელში ვიგრძენი ვაშლის მწარე გემო ევასი
და არ ვამტყუნებ, მეც დავთმობდი ბოლოს და ბოლოს
გადმოვიდოდა თვით ვნებები სულის ემბაზში.
ფიქრმა წაიღო ჩემი ყოფის ათასი ფერი,
გრძნობის სიხშირე დღეს, ვაი, რომ მინავლულია,
ალბათ, მკითხავენ ჩასაფრებით ან გულის ძგერით:
რის გწამს? - მათ ვეტყვი, მაინც...მაინც სიყვარულია!
მეფე ლირივით თუკი შემშლის ზოგჯერ სამყარო,
საკუთარ პორტრეტს ვანადგურებ დორეანივით
და ჩემი სულის ელვარება თუ არ გამათბობს
ამ ცოდვილ მიწას დავამძიმებ უძღებ შვილივით.
მკერდში ჩავიკარ მონატრების უხმო წყურვილი,
და ველი, ველი... დაჯერების სანდო ფიცილით
ნატყვიარიდან გადახსნილა გულის ტკივილი
დღეს ასჯერ მოვკვდი, არ მაშინებს აწი სიკვდილიც.
ჩემი სინაზე ჯვარი გახდა და ვეღარ ვზიდე,
გზადაგზა მტყდება ანგელოზის ფრთა, მეშინია...
ზოგჯერ სიხარულს მოვარდნილსაც რაოდენ ვითმენ,
რადგან დარდების ზიდვა უფრო ჩემი წილია.
დავწრიტე აწი მოლოდინი სულის გობიდან,
არარას ველი უმოქმედოდ,
მინდა, ვმუშაკობ!
თუ აღსასრული საბოლოოდ როსმე მოვიდა,
თვალი რომ ვეღარ გაგისწორო,
არ ქნა უფალო!

სულში შემოღუღუნდი

"შეუწველო მაყვალო" და ლექსო
ქნარო დავითის,
რა გზით უნდა მატიალო,
დაბრუნება არ იცი?!
შარა-შარა ვედევნები ქარებს ხორშაკიანებს,
შემოდგომა კარს მომდგარა,
ხეც კი დასევდიანებს...
ეჰ, გავიხდი სიხარულს
და ზეცაც ცრემლებს გაჩუქებს,
უკვე ვეღარ გპოულობ და...
უკვე რარიგ მაურვებ!
ავთანდილი მხარში მიდგას
ამ ცა- მიწის საზღვარზე,
დაბრუნება აღარ გინდა?
მარტო ვიყო სადამდე?!
მოვატყავეთ მთა და ბარი
მაშრიყ-მაღრიბიანად,
ნესტანი ხარ თუ ალქაჯი,
ქრები გზაკვალიანად.
მოდი, მკერდში შეგიყუჟო,
მინდა შენი ჟღურტული,
ისევ ჩემადშეგიგულო,
სულში შემოღუღუნდი!
თავანკარა, თეთრო მტრედო,
ჩემს ბუდეში ჩაფრინდი,
აწი უნდა შეგიფერო,
შევცდი, როცა გაგიშვი!
მოდი, მკერდში შეგიყუჟო,
მინდა შენი ჟღურტული,
ისევ ჩემად შეგიგულო,
გულშიც შემოღუღუნდი!

რომ გეღმერთები...

(შოვის ტრაგედიას!)

ოღონდ სიკვდილთან ნუ დამაჭიდებ,
როგორც ამირანს, ღმერთს გევედრები...
თუნდაც მივება კლდის ქიმთა კიდეს,
ღვარცოფს სიცოცხლის წილ შევებმები...
ნუ ამატირებ, ნუ ამაყივლებ!
ცოდვას ნუ ზიდავ, დამწყდა ფესვებიც
და უნაპირო ნავიც ვარ იქნებ,
აქეთ - იქეთ რომ ქარს ვეხეთქები.
მაინც სიკვდილი დამიწნის ბუდეს,
მზის ლუსკუმაში ჩავესვენები,
მკერდზე დასწყდება საკინძე იმედს,
იმიერ სუნთქვით თვრება ცრემლებიც.
ფარ-ხმალს ვყრი, ბრძოლის ჟინიც სრულდება
ჰარპიებს, ბედის მწერალთ რა ვუთხრა?!
და სიყვარული მრჩება ნუგეშად
აწი სიცივე ჩააქრობს გულსაც...
გამოთხოვებას არ აქვს სახელი,
წამისყოფაა ჯვარცმის ტოლფასიც
თუ სამუდამოდ შენგან წავედი...
იქნებ ღვარცოფში მაინც მომნახო...
წაშლილ სახეზე ტკივილს დამიდნობ,
შენი თბილი და ნაზი ცრემლებით,
მინდა, იმქვეყნად საგზლად წავიღო,
განცდა, რომ მკვდარიც კი გეღმერთები...

ვაჟა-ფშაველას ტრფობა კეკესადმი!

ვაჟი ვარ ხან წვიმად მოვალ,
მკერდზე ვღაღანებ იადაც,
მაგ გულის პირზე სათუთად,
დაგედინები ცისნამად.
ხარი ვარ, ზოგჯერ უღელი
არ მეწევა და ვბუბუნებ,
მე ჩემი ქვეყნის სულთქმებით,
სიმღერას დავაგუგუნებ.
სიყვარულს ხშირად სხვა გვართმევს,
ზოგჯერ მიწისთვის გავწირავთ,
ბოლოს ვაყივლებთ ამ განცდებს,
ლექსად, ტკივილად, საფიცრად.
მერე გადახსნილ იარას,
სხვა თუ უჩნდება პატრონი,
ის შევიყვარო კი არა,
ვტირი შენ რატომ დამშორდი?!
მოვალ სამარეს ჩავძახებ,
შენი ალერსით უძღები,
ზოგჯერ ცხოვრებაც გადამრევს,
ვერც მის ნაკვალევს მივყვები.
ავიკრეფ ტკივილს, ჩავჩურთავ -
გუდაში და პირს შევუკრავ,
ოცნებას ნირი წაუხდა
და ცის გზებისკენ შეუდგა.
მეც,ალბათ,მალე წამოვალ...
შენთან დავიდებ სულ ბინას
შენს იქით არც რა გამოვა,
სულს და სხეულსაც სულ სცივა.
ზეცაში ავბრიალდებით
და დავეშვებით ვარსკვლავად,
მიწაზე გავტიალდებით,
ჩვენგან დარჩება არც რაღა!
მანამდე ამ მოგონებებს,
როგორმე უნდა ვუშველო,
მძივებად ვაცვამ ოცნებებს,
რარიგ მინდიხარ, უღმერთოდ...
შენს ლამაზ კაბას ჩავიკრავ -
მკერდში, სურნელი მომყვება
მაშინღა მოკვდეს ვაჟაი
ვინც შენ არ დაგემონება!
წახველ ცის იქით და მაინც
გულში მინთიხარ უქრობად
მრავალგზის ჩემს თავს მითა ვსჯი
სხვას ვერ ვიყვარებ მიტომაც!
ყოველწუთს უნდა მელოდო,
ჩემი სალმით და ქალამით,
ზეცაში უფალს შესთხოვო,
ჩემი ალერსის წამალი.

* * *

ხანდახან ისე ვარ... დუმილსაც ვამეხებ,
ტანთ ვიცვამ ათასგვარ ჭირსა და ქარიშხალს,
სევდა ერთუჯრედი ქალამან საცეცებს,
მომხვევს და არარა საერთოდ არ მინდა...

ხანდახან ისე ვარ...ვერ ვებრძვი ვნებებსაც,
რომელიც სხეულში ლანდივით შემოდის
დრომ ცრემლი სისხლისფრად დაღვარა, შეფერა
ისევ სიმარტოვის ნესტიან გემოთი...



გერონტი მესხი

პოეტი

მოდი ჩემთან!

თვალს სტაცებდი ირგვლივ ყველას,
მხარზე გეჯდა ამური.
გარს აურა გეკრა მცველად
მკაცრი და საამური.
ჩამიარე, როგორც უცხოს,
როგორც ვიღაც გარეწარს.
ღაწვი ისე ამესუსხა,
თითქოს სილა გაგეწნას.
სულში თრთოლვით დამიარე,
თვალში ჩადგა წყვდიადი.
სილამაზე ვაღიარე
უსასრულო, დიადი.
ნაბიჯ-ნაბიჯ გედგნენ კვალში
ურიცხვ ვაჟთა ფიქრები.
ყველა დროის ლამაზმანში
შენ პირველი იქნები.
დამენანა უშენობა
და ამ ფიქრთა სრბოლაში
არ მეგონა, თუ მშვენება
ჩამაგდებდა კოლაფსში.
ვფიქრობ, შენგან ნაიარევს
გამომარჩევ ას ბიჭში.
ცეცხლმა დამწვა, ჩამიარე
თუმცა სამ-ოთხ ნაბიჯში.
ნეტავ, რად არ დამემალე,
ან, ვინ გთხოვდა გამოსვლას?
ქალებს შურით უვსებ თვალებს,
კაცებს უწყობ გამოცდას.
უნდა იჯდე, სადღაც, სევრში
ეტალონად მშვენების,
ან, შენს როლებს ბევრზე ბევრში
ვეღარ თვლიდნენ შენები.
მაგრამ, თუკი არ გიტაცებს
უცხოური დიდება,
და, თუ მიხვდი, ქართველ კაცებს
დედოფალი გვჭირდება,
და, თუ სევრი გიღირს გროში,
მაშ, იტვირთოს დარდი სხვამ:
მოდი ჩემს თბილ სამყაროში
და დედოფლად დაგისვამ.

ეს ცხოვრება

ზოგის სახლს ჰგავს, ოქროს ხელით ნაკეთებს,
ზოგის, კიდევ, სოროს მოჰგავს თაგვისას:
ლაბორანტი მილიონებს „აკეთებს“,
პროფესორი ურნას ქექავს ნაგვისას...

მომიტევე

(ძეშეცთომილის აღსარება მეუღლისადმი)
(ჯ.კ-ს მონოლოგი)

სადაც უნდა დამიღამდეს, ღამე მთლად შენ გეკუთვნი.
შენთან ვზიდავ ჭაპანს ცამდე, ვით კავს-ხარი მეგუთნის.
კვლავ თუ ვინმე მიმიტაცებს, როგორც რკინას-მაგნიტი,
"ღმერთი დასჯის მსუნაგ კაცებს!" – თავს იმშვიდებ მაგითი.
ქალთა მუსუსს ვინ ედრება, ერთი-ორი შემთხვევა
წმინდა ბერსაც შეეშლება და ურჩის ჯვარს ემთხვევა.
ჩემი გზები შენსკენ იწევს, რა რომი და ათენი...
შენი გული ორ ზღვას იტევს, სხვას სად ძალუძს ამდენი.
რამდენჯერაც წავფორხილდი, შენზე ფიქრმა ამზიდა,
ვერ მაკრთობდა შავი ბინდი, ქუდი მეგდო ბანზედა.
ისიც გახსოვს, რის თქმაც გსურდა და რატომღაც, ვერა თქვი,
ისეთ ტალღად აგუგუნდა, ვერ ავზომე ვერაფრით.
მერე ურჩი დაცხრა ტალღა და დაოკდა მდინარე,
და ჩემს სულშიც რაღაც გალღვა შენგან გამომდინარე...
მალე ჩიბუხს მოვუყვები სხვა სახელზე, სხვა გვარზე,
ვინც მაჩუქეს ვნება, ნებით დადებული, ლანგარზე
და თავადაც თრთოდნენ ოდენ, როგორც თოვლზე-ციყვები...
(სხვანი ჩუმად გიამბობდნენ, მე ხმამაღლა გიყვები!)
კი, მე შენი ფანი ვარ და, შენ ხარ ჩემი ბატონი,
თუ ხელთ ქალი ჩამივარდა ფლირტი ენის პატრონი,
არ გაჰყვება ჩემი დარდი... კვლავ შინ მნახავ დღის ბოლოს...
იმედი ხარ სრული, მზარდი, და შენდობის სიმბოლო.
ღამე, მე რომ ნებაც მქონდეს, ვერ შევრჩები სხვის კარზე
და ვერც მნახავ, მალვით ოდეს ვბრუნდებოდე ცისკარზე.
დღისით ხდება წიაღსვლები, ღამე კვლავ შენ გეკუთვნის
და მოგართმევ, შენის ნებით, ჩემს თავს, ვნებით შეფუთვნილს.
სხვის ქურქს მიჯობს, ორიგინალს, შენი ჩითის ხალათი...
მომიტევე მორიგი და... უნებლიე ღალატი...

უზავ, ჩემო!

მუზავ, ჩემი სულის საზრდოვ, სიტყვაუხვო, მადლიანო,
ხან მზის სხივად დაფრქვეულო, ხანაც ნათქვამავდრიანო,
თურმე, როგორ მყვარებიხარ, შენზე ჩუმ-ჩუმ ვდარდიანობ,
როცა ჩნდები ლექსთან ერთად, ცაც ნათდება ადრიანად...
ლექსად იწვის კაბადონი, საკმეველი ადის ღმერთთან...
ლექსი- სულის სამოთხეა, სავანეა სპეტაკ ფერთა...
შენ კი, ვიდრე ლექსად მოხვალ, ერთი ისე შემაქანე,
ორთქლმავალი რომ შეჰკივლებს და
ტვირთს შესძრავს მემანქანე.
შემიპყარი, გამამხნევე, დამაფრქვიე რითმის წყებად,
შენ ხომ, როგორც ძველ სიყვარულს, არ გჩვევია მივიწყება.
ეს გული კი, მადლის მსგავსად, მოაბნიე სტროფებს შორის...
შენ ხომ ჩემი სულისთქმა ხარ და თქმულ სიტყვის პროფესორი.
ჩემი სისხლიც სტრიქონებს სცხე და ბგერები დამინამე,
სიტყვა ლექსში თუ არ სუნთქავს, ნამღერებიც არ მინდა მე.
ჩემთან ყოფნით, ვით აქიმმა, ყველა წყლული დამიამე,
სათქმელს ვწონით, ვარჩევთ, ვაწყობთ,
გზის იქით ვყრით შხამიანებს.
გახსოვს, როგორ გვეჩოთირა ზოგის ომით „გართობები“?
სამ დღეში რომ წყლულად გვექცა ჩამოჭრილი ფართობები...
ბოლოს ყველას ღმერთი განსჯის, მარცხსაც იწვნევს ფალავანი.
რომსაც ჰქონდა იმპერია თვალუწვდენი გალავანით!..
ბონაპარტსაც უმარჯვნია დიდ ქვეყნებთან, ბარე ათთან...
„ვატერლოო“ ზოგს-მთებს იქით, ზოგს–შინ უცდის, კვარიათთან...
დროა, ჩვენი დროც დაგვიდგეს, დრო-სხვის დროზე უკეთესი,
თესლს უხდება გადარჩევა, დრო რომ მოვა უკვე თესვის.
და თუ განძის, წყალს რომ ახლავს, მოვესწრებით გაყოფასაც,
გავვოცდებით, უფლის მადლით, ხელს გამოვკრავთ რა ყოფასაც!..
...ლექსის თხზვის დროს მხარში მყევხარ ცისკრისას თუ გვიანისას,
ერთადა ვართ ერთსულ, ერთხორც, ვით ტყუპები სიამისა.
და ვრწმუნდები, თითქოს მსგავსი არ მსმენოდეს დღემდე არსად:
პოეტი და ლექსი იშვნენ ქათმისა და კვერცხის მსგავსად!..

მოდი, მუზავ, არ დამინდო და სიმართლე გამომწურე:
მგელს თუ ცხვარი ვერ წავართვით, ნუ ვწყვეტთ ამის გამო ტურებს.
და ისევე, ვით მომკელი მომკილისგან აგებს ზვინებს,
იმედი და რწმენა მადლით, სიყვარულით მათესვინე.
მოდი, კიდევ შემანჯღრიე, ერთი ისე შემაქანე,
ორთქლმავალის შეკივლებით ტვირთს რომ გაჰკრავს მემანქანე.
იქნებ, სადმე, ჩემს წიაღშიც ჰპოვო რამე მარგალიტი,
მეც ხომ მესხი-მელექსე ვარ, შოთას ციცქნა მაგალითი.

მუდამ მეყვარები

(სიმღერა)

შვლის ნუკრივით შერჩენილო ამაყ მთებს,
დასხლეტილო წუთით დედის უბიდან.
შუქურა ხარ, უკუნშიც რომ ანათებ,
როგორც მთვარე, თავდახსნილი ღრუბლიდან.
დანარნარებს შენი ლაღი მშვენება,
მზის სხივივით მწვავენ შენი თვალები.
როცა ღმერთებს ჩემი ტანჯვა ენებათ,
მომახვიეს სატრფიალო ალები.
ძალებს ვიკრებ სიყვარულის აღმართთან,
დასტურს ველი შენს ბაჯაღლო ზოდიდან.

სიყვარულმა ამნეზია დამმართა:
მიყვარხარ და, არც კი ვიცი, როდიდან.
შევუყვები აღმართს, როგორც მეგზური,
დახუნძლული სიყვარულის საგზალით.
გიხილე და ბედს მე აღარ ვემდური,
მიყვარხარ და ვერ აგიწერ, რა ძალით.
სიმღერაში სულს ვაქსოვ და ყველაფერს,
და ამურის ისარს გტყორცნი მხოლოდ შენ.
ჩემზე უკეთ სხვა ვერ გეტყვის ვერაფერს:
მიყვარხარ და მეყვარები ბოლომდე!..



მაგდა გოშნიაშვილი ექიმი
დაბადების ადგილი, თელავი

"პიეტა" - დატირება

თეთრ მარმარილოს ეფერება თითები თლილი,
ცრემლები განცდით ეპკურება ოქროს წვეთებად...
სხივი ზეგარდმო აცისკროვნებს ღვთისმშობლის კალთას,
ღრუბლები ციდან ცურდებიან სანთლის ღვენთებად.
სითეთრე თვალს ჭრის, სითეთრეში არის სიწმინდე
და ეს სიწმინდე ქვას აცოცხლებს, როცა ინათებს.
შარავანდედით მზე ნარნარით ქვიდან ამოდის
ის სავიზიტო ბარათია ბუონაროტის.

საუკუნეთა მდინარება უსასრულოა...
ყრუ-მუნჯ თეთრ ქვის ლოდს სიცოცხლე და შარმი მიეცა.
მარმარილოდან ღვთისმშობელის გოდების ხმაზე
სამარადჟამოდ შექმნა ნიჭმა თეთრი „პიეტა".
ამ სამყაროში ბევრი რამე თუ იკარგება,
ბევრიც სამყაროს შეეთვისა როგორც კონსტანტა.
რა მისტერიაც მარმარილოს ქვამ დაიტია,
იცის უფალმა, ღვთისმშობელმა, შემქმნელ ოსტატმა.

დედის კალთაში გადათოშილ შვილის სხეულზე
ნასროლი შუბის კვალი მოსჩანს სისხლის სტიგმებად.
შეკრულ წრედს ქვაში გამოკვეთილს უფლის და მშობლის
„პიეტა" ჰქვია - „დატირება" მხატვრის მიგნებას.

ჩემი ყველაფერი ხარ!

ჩემი ბასტიონი ხარ,
ჩემი კლდე და მწვერვალი,
აფრენილი მიმინო,
დაგეშილი მწევარი.
მოვარდნილი რიონი,
აწყვეტილი მერანი.
დაწერილი ლექსი ხარ
თეთრზე ლურჯი მელანით.
დაკუწული გვირილა,
სისხლისფერი ყაყაჩო.
მინდა მოგეხვიო და
სიყვარულში დაგახრჩო.
ჩემი სალოცავი ხარ
ზედაშე და საყდარი,
გულში შემოვარდნილი
სტიქია თუ ავდარი.
მზე ხარ ღრუბლის საცერში
გადაცრილი სხივებად,
ველზე ღიღილოები
დაფანტული მძივებად.
მინდორს დაკერებული
გულისპირზე ღილებად.
ცისარტყელა შვიდფერა
წვიმის გადაღიმება.
თოვლი მოზვავებული
კლდიდან ჩამოწოლილი,
ჩემი ოქრო კარატში
მისხლად გამოწონილი.
ღამით მთვარე ნამგალა,
ერთი კოცნა და განცდა.
ზღურბლს რომ გადააბიჯა,
ვნების საზღვარს გადაცდა.
ჩემი ქაღალდის ფრანი,
ძაფზე ხელის გაშვება.
სიყვარულის მორევში
ძირს თავით გადაშვება.
შენი ხელის თხოვნა და
ჩემი ბოლო დასტური..
მერე ჩვენი ქორწილი
ღვინო ალადასტურით.
შენ ხარ ჩემი ევრიკა...
მთელი ჩემი სამყარო...
ღმერთო,
ვინც მაპოვნინე
გთხოვ, მას აღარ გამყარო!

კ უ რ ო
(ზოდიაქო)

ხან ვარ მაისი, აპრილის ბოლო,
ქარის ქროლვა ვარ ზურგიდან ცივი,
მინდვრად დაშლილი თეთრი გვირილა,
როგორც ყელიდან შემწყდარი მძივი.

ხან თეთნულდი ვარ ზვავიან თქერით,
კლდეზე მარაოდ გაშლილი სურო,
სხვისი თვალებით უძლური ქალი
და ჰოროსკოპით ძლიერი კურო.

მთვარე ვარ ღამით გზას რომ ანათებს,
ზღვის ტალღა, როცა არწევს თოლიას.
ნერგზე გამსკდარი პირველი კვირტი,
მოცდა და რიგი რომ არ ჰქონია.

მზე ვარ აისზე მწველი - სხივებით
და კუბიდონის ტრფობის ისარი,
რომ არასოდეს არ ავაცილებ
და გულში დაჭრის დამყვა მიზანი.

გაზაფხული ვარ კვირტების ბუმი
ზოგჯერ ვედრები უძილო ოლოლს,
ზოდიაქოთი ვარ ქალი - კურო
დავბადებულვარ აპრილის ბოლოს.

ჰოი, მამულო!

ჰოი, მამულო, შეგირყიეს მიწა ფესვიდან,
სისხლის წვეთები ცივ სხეულზე არ შეგხმობია.
დიდება იმ კაცს, ვისაც გულში გრძნობით ეშვი და
შენი დაკარგვის არასოდეს არ აქვს ფობია.

ჰოი, მამულის დამტვრეულო, მტკივანო ძვლებო,
შენ შეხორცება ნეტავ ღმერთმა გიწინასწარა?
მინდოდა ერთად დამენახეთ ქართველო ძმებო,
როგორც დავითმა და თამარმა ქართველთ გასწავლათ.

ჰოი, მამულო გავმიჯნურდი შენზე მგონია,
შენს ნატერფალებს ვეფერები, ვკოცნი შორიდან,
ეჰ, მონატრებას, ეს რა დიდი ძალა ჰქონია,
გეამბორები ემიგრანტულ დიდი ომიდან.

ჰოი, მამულო ზურმუხტისფერ- ნარინჯისფერო,
შავი ზღვის ტალღებს მიხატულო თეთრო თოლიავ.
როს დავბრუნდები უნდა ბევრი, ბევრი გეფერო,
განვმეორდები, მონატრებას ძალა ჰქონია.

ჰოი, მიწაო ნაპურებო წინაპართ სისხლით,
ყაყაჩოებში შერეულო ლურჯო ღიღილოვ.
მინდა აგწონო ოქროსავით მისხალ და მისხლით,
„მრავალჟამიერ" საფერავით დავიღიღინო.

ჰოი, მამულო, შეგირყიეს მიწა ფესვიდან,
სისხლის წვეთები დღემდე მოგყვა, არ შეგხმობია.
დიდება იმ კაცს, ვისაც გულში გრძნობით ეშვი და
შენი დაკარგვის არასოდეს არ აქვს ფობია.

პატარა საქართველოს!

პატარაა საქართველო, მაგრამ დიდი გულით,
სტუმარ-მასპინძლობა იცის, გასაკვირი ერთობ.
ის, ღვთისმშობლის წილი არის, არა მდგარა რიგში,
ამიტომაც პირველობა ურიგოდაც ერგო.

ვინც ასულა მთაში ერთხელ, ბარში აღარ იწევს,
იქ, მწყემსები სალამურზე აძოვებენ ას.
ხვავიანი, მადლიანი არის ყველა გოჯი,
რადგან საქართველოს მიწას უფლის კალთა ავს.

მთასვლელები ვერ ებრძვიან უშბის ნოსტალგიას,
როცა მთის და ზეცის კარი ერთადაა ღია.
მზე, ჩანჩქერთა მარათონის, იპყრობს ყურადღებას,
ორანჟისფერ, ოქროს სხივებს ცის სათქვეფში დღვებავს.

ტყე შრიალა, დაბურული, ფრინველებით სავსე,
მათი სტვენა-გალობა რომ, პოზიტივით გავსებს.
ხავსზე სოკო მოდებული - წვიმის ნაკვალევი,
ხის ტოტებზე შემომჯდარი მთვარე ნამთვრალევი.

ატყორცნილი ცაში ჯვარი, სვეტიცხოვლის მადლი
მცხეთას თავზე სდის მირონად, როგორც წაბლის თაფლი.
მდინარეთა შეჯიბრს დღემდე დასასრული არ აქვს,
პირველობა ხმაურ- რიხით მიენიჭა არაგვს.

ცისარტყელა ჩვენში, იცით, ფერს იკეთებს ისეთს,
წვიმის მერე რომ იდარებს, გაძლევს ხვალის იმედს.

საქართველო დამაქვს გულით თავის ფერთა გამით,
თვალებს რომ დავხუჭავ ძილში, მესიზმრება ღამით.
საქართველო წილად ერგო ღვთის მშობელის დედას,
ამიტომაც მისი შვილი, მასზე ლოცვას ვბედავ.

მე ცად წავალ...

ავმღელვარდი... გელოდები საღამურით ბუდუარში.
შენ არ სჩანხარ, იგვიანებ, თვალს არ ეკიდება რული.
ვგრძნობ აშკარად შეგრძნებებით, ემოციით, მთელი გულით,
კვლავ ფიასკო -
დასაწყისის მოახლოვდა დასასრული.
დღეს თუ არა
ხვალ დამკარგავ ან დამკარგავ საგაისოდ,
თოვლი როცა ფანტელებით ამოავსებს დედამიწას,
როცა ცელქი, ლურჯთვალება, გაიღვიძებს ია მარტში,
მთვარე ვეღარ მოითმენს და შემოლეწავს ფანჯრის მინას.
მასთან ერთად გავათეთრებ ცის ტატნობზე კვლავ ერთ ღამეს
ცად წავალ და გავფრინდები, დედამიწას მივატოვებ.
უჩემობით მონატრების წყურვილს გადალახავ, ვგონებ!
გთხოვ ნუ განმსჯი, ეს ბედია დაწერილი ბედისწერა.
ჩვენს სიყვარულს ღმერთმა ასე წინადაწინ დაუწერა.
მე შენ ქარში შეგიცანი და ეს ქარი შენ იყავი.
გენდობოდი ადრეც, გენდობოდი თითქმის, ახლაც გენდე
 სიყვარულის ღმერთო!- გიწოდებდი ასე და გიწოდებ დღემდე.
ჩემს ფიქრებში არ მთავრდები, ექოსავით გავრცელდები.
ეს შენა ხარ ჩემი ჰობი,
არა ვცდები,
შენით ვთვრები,
შენით ვკვდები,
დიფუზურად ჩემს სხეულში განევრცობი.
დასასრულსაც ჰქონებია ერთი ციდა დასასრული.
სიყვარული რომ გგონია მარტივია,
როცა გიყვარს გეჩვენება რთული.
ჩამეძინა მარტოს, დამეშალა თმის კულული.მკერდზე
და ვფიქრობდი შენზე.. და ვფიქრობდი ჩემზე...
და ვფიქრობდი ღმერთზე.
ვარსკვლავების ათინათი უყვებოდა ღამეს ამბავს,

ღრუბლის ფთილა ჩურჩულ- ჩურჩულ მიკეცავდა ფეხთით საბანს.
ვიცი, ვიცი ვერ მოვთოკე ემოცია, ჩემი განცდა,
ავღელდი და მღელვარება მოთმინების საზღვრებს გასცდა.
ალიონზე შემეგება ზევსის მაცნე ჭორი ოსა
შევიშალე ტყუილებით ისე მოყვა, გამაოცა.
თავს მოვიკლავ, დამიხვდება სასუფევლის კარი ღია
დიახ, წავალ ფეხაკრეფით შენგან, ხელს ჩავკიდებ ნიავს.
მეტს ვერაფერს გეტყვი, სულ ეს იყო, რაც მინდოდა მეთქვა
დანარჩენი საფიქრელად შენთვის მომინდვია.

ჭეშმარიტად!

სიცოცხლის კართან სიკვდილი იდგა
თავის უსახურ კარის მცველებით,
შენ კი სიცოცხლის ხსნიდი საკეტებს
ჯვარზე მილურსმულ შემძლე ხელებით.
გვირგვინი ეკლის და არა მეფის,
გაროზგვა როგორც ქურდს და ავაზაკს,
ვწუხვარ, ბრბოს თვალი როგორ დაევსო,
სინდისის კარი ყველამ ჩარაზა.
სისხლი წვეთებად გეპკურა სახეს,
თვალები სავსე სევდის ცრემლებით,
ჩიტის ფრთებივით მოხატულიყვნენ
წარბები შუბლზე კალმის წვერებით.
სხეული თითქოს ბარტყივით თრთოდა
და მხსნელს უხმობდა ჩუმი მიმიკით,
სიცოცხლე თურმე სიკვდილს სჯობნიდა,
ჩვენ კი გვეგონა, მგონი, პირიქით.
იყო გოლგოთა, ჯვარცმა, ტირილი,
შეძახილებიც არ აკლდა ცინიზმს.
რძისფერი დილა შუადღის პირზე
ემსგავსებოდა სისხლისფერ ყირმიზს.
ქალწული ქალი ტიროდა პირმშოს,
შვილს დედის ცრემლი უცხრობდა ტკივილს.
ღვთისმშობლის გლოვა ვერაფერს ცვლიდა,
მხოლოდ სამყარო ცდილობდა კივილს.
და ჩაიძირა კუპრ ფერთა ნისლში
დღე, ბრძოლა - სიკვდილ სიცოცხლის დადგა,
ის არ მომკვდარა... გარდაიცვალა...
აჯობა სიკვდილს და მკვდრეთით აღდგა..
დიახაც აღდგა... და ჭეშმარიტად!
აღდგა ჯვარცმიდან მესამე დილას..
ვინც ვერ იხილა და მაინც სჯერა
ჭეშმარიტების, ნეტავი იმას?!
ქრისტე აღდგაო!
ქრისტე აღდგაო!
ქრისტე აღდგაო!
მთელი სამყარო ფეხზე დადგაო!

ელგუჯა ციგროშვილი ფილოლოგი
დაბადების ადგილი თალავი

მე დავბრუნდები!

მე, დავბრუნდები, რადგან ვიცი, რომ მოიღალა,
თქვენი თვალები, ჩემს ლოდინში, გზისაკენ ცქერით,
მე დავბრუნდები, რადგან მეტი არ შემწევს ძალა,
რომ მივატოვო, ჩემი თბილი ფუძე და ჭერი!

ყველა მიწიერ საგანძურზეც რომ მიღირს ძვირად,
ჩემს მოფერებას მიჩვეული, თქვენი თმის ღერიც,
ალბათ, ამიტომ ვფიქრობ თქვენზე ძალიან ხშირად, —
ამ ფიქრის გარდა, რომ აღარ მსურს, სხვა არაფერი.

მე, დავბრუნდები! რადგან მიხმობს მამულის მიწა,
რადგან უცხო ცის მზე ვერ მითბობს, გათოშილ სხეულს,
თუმც მაძღრად მკვებავს, კარგად მივლის, — „ახალი ძიძა“,
ვერ შეედრება, დედის ძუძუს, სიყრმით მიჩვეულს!

მადლობელი ვარ, რომ ბობოქრობ, სულში, წარსულო...
ტკბილო მამაულო, თოდ გახსენ გულის კარები,
მე, დავბრუნდები! ჩემი სიტყვა, რომ შევასრულო:
„დავბრუნდებიო!“ მახსოვს ჩემი დანაბარები!

დრონი მეფობენ!

შემოეძარცვა ჩემს ვარდს ფურცლები,
აღარც ბულბული მატკბობს გალობით,
თვალ და ხელ შუა გადიან წლები, —
გაჯერებულნი ცოდვა-წყალობით.

„დრონი მეფობენ!“— უთქვამთ წინაპრებს,
თურმე მეფენი ვერა მეფობდნენ...
დღეს მე ვუყვები ბალღებს იმ ზღაპრებს, —
ბალღობაში რომ მე მიყვებოდნენ.

ფიქრები...

ფიქრს ვერ უბრძანებ: გაჩერდი, კმარა,
უკვე მომწყინდა მე ეს ქაოსი...
წლები მიდიან, შიში კი რჩება, —
საიქიოს თუ სააქაოსი.

მივყვები ფიქრის აბურდულ გორგალს,
ნაღველის ცრემლით თვალდანამული,
გული არ იშლის, ბორგავს და ბორგავს,
რომ სადღაც ნისლში დარჩა მამული.

მივდევ ამ გორგალს, როგორც თეზევსი,
ლაბირინთს ირგვლივ სიფრთხილით ვზვერავ;
სულო ცოდვილო... შიშმორეული,
ხანდახან უკან გამირბის მზერა.

ჩუმ-ჩუმად ვქაჩავ ძაფს უკან რჩენილს, –
ეჭვიანია კაცის ბუნება...
ვაი, თუ გაწყდა მეგზური ჩემი...
და ვეღარ შევძლო შინ დაბრუნება!!!

შემოდგომას მოუხდება

ნოემბერი დაგვიბრძანდა ტახტზე შემოდგომისა,
დაუფინეს ხალიჩები, წითელ-ყვითელ ფერებით...
მე გულს არა არ მიხარებს, გარდა შენი ნდომისა,
მოვალ, გნახავ და აგავსებ, — კოცნით და მოფერებით.

გადახსნილი ბროწეული მაგ შენს ბაგეს მაგონებს,
თვალს მიხარებს შენი ტანი, — ალვა მიმორხეული...
ყველაფერი მიყვარს ქვეყნად, არაფერი მაღონებს, —
როცა ნდომით მეხუტება შენი თბილი სხეული.

მაშ, ორივეს მარტოობას დავაყენოთ სასრული,
შევაერთოთ სიხარული, სიყვარული ორ-წილი,
ზეცას შესძრავს თოფის სროლა, სიმღერები მაყრული,
შემოდგომას მოუხდება, ჩვენი ტკბილი ქორწილი.

ნოემბერი დაგვიბრძანდა ტახტზე შემოდგომისა,
დაუფინეს ხალიჩები, წითელ-ყვითელ ფერებით...
ერს გვაქვს ნიჭი, ერთმანეთის მხარში ამოდგომისა,
დე, იხაროს საქართველომ, — წყვილთა ბედნიერებით!

სადაც კი დავალ!

რაც იღბლით მერგო, ვთვლი, რომ უფლის განაჩენია...
ცოდვას ვერიდე, მაინც მწარედ დავრჩი ვნებული,
არც აკრძალული ხის ნაყოფი არ მიგემია,
მაინც კი გავხდი, — სამოთხიდან გამოგდებული!

ის სამოთხე ხარ, გაჩენიდან რაიც მიყვარდა,
მაწოვე ძუძუ, მზრუნველობით გამორჩეულით,
ქართული თიხით მოზელილი ადამი ვარ და ...
სადაც კი დავალ, — საქართველო დამაქვს სხეულით!

შორსა ვარ შენგან, ვაგვიანებ ვით ოდისევსი...
სხვათ საამებლად ვგვემე ხორცი, დავტანჯე სული,
ვერ ვხვდები, ვის სურს, მოგვითხაროს ძირი და ფესვი,
არ მაქვს აწმყო და მომავალი... მხოლოდ წარსული!!!

ისაც მანდ დამრჩა... თან მე არა წამიღია რა,
ვერაფრით ვხვდები, ბედმა ასე რატომ იურჩა,
და ... ნოსტალგია, — მოურჩენი სულ ს იარა,
უცხო მიწაზე არაფერმა არ დამიყუჩა.

სხვათა წალკოტში ჩემთვის ვარდმაც არსად ივარდა,
ვხარობ, — ლექსების გაცრეცილი, თხელი რვეულით...
ქართული თიხით მოზელილი ადამი ვარ და
სადაც კი დავალ, — საქართველო დამაქვს სხეულით!

უფალო! არ ვარ უმადური, რაიც მარგუნე...
ისე ვიარე, ბევრგან ვტოვე სიკეთის კვალი,
გთხოვ, ჩემს კურთხეულ სამოთხეში კვლავ დამაბრუნე,
რომ ქართულ მიწას არ დააკლდეს ჩემგან მისხალი!

არავინ იცის, ბოლო ჟამი ვისთვის სად მოვა,
ვის სად ეწვევა ბედისწერა ელვით თუ მეხით...
ღმერთო! იმას გთხოვ, წმინდა მიწის ეს მცირე გროვა,
კვლავ სამოთხეში დავაბრუნო ჩემივე ფეხით!

მე შენი ნდომა არასოდეს გადამივარდა,
ყველგან მიყვარხარ სიყვარულით წრფელით, გრძნეულით...
ქართული თიხით მოზელილი ადამი ვარ და
სადაც კი დავალ, — საქართველო დამაქვს სხეულით!

მე ვარ ადამი!

ვარდის ბუჩქი ხარ, მე კი შენი ნაზი ბულბული,
არა მწყინდება, ყელმოღერილს, — შენთვის გალობა,
მიყვარს სამყარო, — სამყაროში ყველა სულდგმული,
მადლიერი ვარ, რომ არსებობ, — უფლის წყალობა!
მიყვარს შენი ცა, მწვერვალებზე ჩამოყრდნობილი
და შენი მთები, ატლანტივით მხარგაშლილები,
მამულო ჩემო! ბალღობიდან ვარ მონდობილი,
ჩემი დედა ხარ, დაგილოცოს ღმერთმა შვილები!
შენი შვილი ვარ! შენი მძიმე უღლის გამწევი,
მომავლისაკენ რომ გავავლოთ სწორად ხნულები,
შენზე ლოცვაში ვარ ერთგულად ღამეთა მთევი,
მურა ძაღლივით აგილოკო მინდა წყლულები.
ზომაზე მეტად ვართ შემნდობნი და მიმტევები,
ვერ ვამირანობთ და ავსულნიც არა ცხრებიან,
ძველ ზღაპრებიდან გადმოდიან ბაყბაყ – დევები
და დედის კალთას უსინდისოდ გვეცილებიან!
ვინც კი მოვიდა, ვეღარ იგებს ვერვინ გაძღომას...
და საქართველო, – უწინდელის დღეს აჩრდილია,
შენი შვილები, არ ვთაკილობთ უმძიმეს შრომას,
გული მიკვნესის, — ხალხი მაინც ხელგაწვდილია!
შენი მიწიდან მოზელილი, — მე ვარ ადამი!!!
თვალში მზეებით მსურს ვმღეროდე „შენ ხარ, ვენახო"-ს,
შენზე ზრუნვაში დამეხარჯოს ყოველი წამი,
რომ საქართველოს გაბრწყინება კვლავაც მენახოს!!!

აღდგომის მადლია მთავარი!

„შეუნდე, რომელნი გვედრიან," —
შენს იქით, ხსნა მაინც არ არი...
სიკვდილი, — სუყველას ხვედრია,
აღდგომის მადლია მთავარი !
ვბორგავ და ვერაფრით ვისვენებ,
რა პირით ვითხოვოთ შენდობა?!
იმ ჯვარცმის ამბებს რომ იხსენებს,
იესო როგორღა გვენდობა?!
„ ხელების შეწმენდა ვაცთათვის" —
ვიცით, რომ ცოდვილთა წესია...
თუ არა სწავლებად კაცთათვის,
აბა, რად მოვიდა მესია? !
ჩვენ ვერც სიყვარული ვისწავლეთ
და ვერც ერთმანეთის გატანა...
პავლე? — კვლავ ემსგავსა იმ სავლეს,
რომელსაც მოძღვრავდა სატანა !
და დაბუშტული გვაქვს ტუჩებიც,
იუდასეული კოცნებით...
უკვე ნაძებნი გვაქვს ქუჩებიც,
სამოთხეში შესვლის ოცნებით!
თან ცოდვის კურტანი გვკიდია,
სხვისაზე მსუბუქი გვგგონია...
ბოლოში რომ ბეწვის ხიდია,
ცოდვა–მადლს თურმე იქ წონიან.
ჩემი სახით განვვლე ცხოვრება,
არ მაქვს ნიღაბი და სხვა რიდე...
არც ვიცი, თუ მელის ცხონება,
ცოდვებს კი... სულ ფეხი ვარიდე.
ლეგენდაც მართალი მგონია,
მზარავს ჯოჯოხეთის გენია...
ეტყობა, სინდისიც მქონია,
მე შენდობის თხოვნაც მრცხვენია.
„ შეუნდე, რომელნი გვედრიან," –
შენს იქით, ხსნა მაინც არ არი...
სიკვდილი, სუყველას ხვედრია,
აღდგომის მადლია მთავარი!

წაგიყვან მთაში!

(ფშაურ კილოზე)

თუ ამაყი ვარ, ჩემო მზექალ, მე ვარ შენგანა,
გულის თვალებით რომ მანახე მთელი ქვეყანა.
მეძახონ ხარბი, თუ ეს გული დაგითავისებს,
ერთად შევხვდებით ზამთარ-ზაფხულს, დაის-აისებს.
წაგიყვან მთაში, რძისფერ ნისლებს შეგასმევ თასით,
ამნაირ განცდას ვერ იყიდი, ვერა-რა ფასით.
შემომეჭდობა ყელ-კისერზე შენი ხელები, —
ულამაზესი მთის ყვაილთა ღარადელები!
ეფინებოდეს არე-მარეს ყვაილთ სურნელი...
ტკბილად მტკიოდეს შენი ნდომა — განუკურნელი!
დილის ნამივით მოვხვრეპ კოცნებს შენი ბაგიდან,
მერე... ინატრე, შეგისრულებ, — მითხარ, რა გინდა?

ვკითხულობ ვაჟას!

ვკითხულობ ვაჟას... არ მასვენებს „მბორგალი სული":
მე ვარ ალუდა, ვარ ბაკური და... ვარ მინდია;
ხან უკან მომდევს, ხან წინ მისწრებს ქვეყნის წარსული
და ვერც კი ვიგებ, სარკმელს მიღმა რა ამინდია.
გულში მზეა და თვალებშიც კრთის მისი ნათელი,
ავი წყვდიადი ვერას აკლებს ღვთიურ განთიადს...
ბერი სანათას დანთებული თაფლის სანთელი,
ერის მომავლის იმედად და რწმენად ანთია!
ღმერთო! მასწავლე ლოცვა, — შენი სადიდებელი,
არ მათქმევინო სიტყვა: — ფშუტე, ბერწი, ლუგუმი,
შენ მოუმართე ერისკაცებს საქმეში ხელი,
„ლაშარის გორზე შასადგომად" მოდის ლუხუმი!
დრო არ არსებობს... ვერ მძლევია, - ღვთიური ნიჭის,
წარსულს ვერ ვარქმევ:„დროს გარდასულს", ან თუნდაც „სხვა ჟამს"...
და როცა ძალზე მიხარია, ან ძალზე მიჭირს, –
ვ კ ი თ ხ უ ლ ო ბ ვ ა ჟ ა ს!
ვ კ ი თ ხ უ ლ ო ბ ვ ა ჟ ა ს!
ვ კ ი თ ხ უ ლ ო ბ ვ ა ჟ ა ს!

შ ე ნ დ ა ი ფ ა რ ე!

მინდა ვადიდო, ვინც სამყაროს ნათელი მისცა,
ვინც ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა მოგვიხატა ლამაზ ფერებით;
შენ დაიფარე, შ ე მ ო ქ მ ე დ ო, ქ ა რ თ უ ლ ი მ ი წ ა,
ქ ა რ თ ლ ო ს ი ს მოდგმა, — ც ა ს რომ უცქერს მადლიერებით!

დასიცხულ მინდვრებს მოაპკურე სიცოცხლის ც ვ ა რ ი,
ციურ მ ა ნ ა ნ ა დ მოგვივლინე მ ა დ ლ ი ყოველთა...
გ ა გ ვ ი ჯ ე ი ლ ე, მოღალული, ბ ე ბ ე რ ი მ ტ კ ვ ა რ ი,
ა რ ა გ ვ ი ს ს ი ს ხ ლ ი გადაუსხი ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ლ თ ა ნ!

ირა სოფრომაძე

ფილოლოგი, იურისტი, სისხლის სამართლის სერთიფიცირებული ადვოკატი.ფსიქოლოგი. ორგანიზაცია„ქართული დიასპორა იყალიაში”„სამშობლო ერთადერთია” ოფიციალური ხელმძღვანელი.
დაბადების ადგილი ტყიბული საწირე. (ემიგრანტი.)

ემიგრანტი ვარ

გადახვეწილი მარტის ქარი ვარ!
დამისხით ღვინო წვეთებად დარდის,
ვნების მძვინვარე ქარიშხალი ვარ,
მთვარეულივით ლანდათ რომ დადის!

მე ის ტალღა ვარ ზღვას ასხლეტილი,
გამაგრილებლად აგვისტოს ხვატის!
მე ის სხივი ვარ მზეს დარჩენილი,
მზე რომ უცდის და მიტომ არ ჩადის!

მე ის ცრემლი ვარ შეუშრობელი,
ღამით ჩათვლემილს ძილს რომ არ აცლის!
სიყვარული ვარ მიტოვებული,
რომ დაკარგვია გრძნობები ქალის!

მე ის წვეთი ვარ სარკმელს რომ რჩება,
შველა უნდა და შველა არ არის!
მე ვარ დღის სრული თავდავიწყება,
და გაგრძელება ლოდინით ხვალის!

და მაინც ვინ ვარ? ემიგრანტი ვარ!
დროს რომ ითვლის და დრო აღარ გადის!...

მონატრებულ წყაროს..

მივაკითხე მონატრებულ წყაროს,
მოვეფერე, გადავუსვი ხელი,
მომეჩვენა, თითქოს ისიც ნატრობს
და ჩვენ ბავშვურ გამოჩენას ელის.

გავიხსენე ის ცხოვრება ლაღი,
მომავლისკენ მაცქერალი ნატვრით.
აზრი არ აქვს ფიქრებს აღარ დავღლი,
ბედისწერით ჩვენ ერთმანეთს ავცდით.

მერე ახლოს წავუჩოქე მუხლზე,
მოგონებებს გავუგრილე შუბლი,
შევაგებე მონატრებას გულწრფელს,
ატოკდა და გადამიხსნა გული.

უცებ თვალი გავუშტერე კედელს,
ამოკაწრულ ჩვენ სახელებს ვხედავ,
თვალს ვაცეცებ და რაღაცას ვეძებ,
ჩვენი ფიციც თუ შემორჩა ნეტავ.

მივაკითხე ჩემ ბავშვობის წყაროს,
ხავსში ჩამდგარს მოვეფერე ხელით,
სიბერისგან ისე ვეღარ ლაღობს
და ერთმანეთს ვეღარაფერს ვშველით.

გიტარა ტირის

შენ მერცხალივით მომიტანე მე გაზაფხული,
მაგრამ ბარტყობაც არ მაცადე, ჩემგან წახვედი,
ფრენის სწავლამდე შემატოვე ცას დაზაფრული,
ჩემი დაცემის თუ გინახავს ჯერაც მნახველი.

რომ ჩავიმუხლე, წამოდგომა ძნელი გამიხდა,
ჰორიზონტებზე მიაპობდი შენ კი სივრცეებს,
თუკი სიზმარი როგორც იყო, ზუსტად ამიხდა,
ღიმილად მოხვალ თუ ცრემლებად, დრო მას გვიჩვენებს.

თუმცა დრომ ჩვენში წამომართა ეკლის კარიბჭე,
სული გაშიშვლდა, სიყვარული სად არ ატარა,
დღეს კი შენს ცრემლებს აღარაფერს აღარ ვანიჭებ,
ტირის და მოთქვამს მარტოდ მყოფი შენი გიტარა.

შენ ვერ დამხატავ!

ჩემი სურათი რომ დახატო, ვერა, ვერ შეძლებ,
შენ აკვარელში არ არსებობს ჩემი ფერები.
ჩემი ტკივილის ფერთა ათინათს ამაოდ ეძებ,
ისიც გახსოვდეს, რომ მე წარსულს კვლავ ვეფერები.

მიდი, დამხატე იმ ფერებში, თავად რომ გრძნობდე,
არ დაგავიწყდეს უნდა ჩანდეს სულის შტრიხები.
დამხატე ისე, რომ მნახველში ვმატიანობდე,
რა რთული საქმე აირჩიე, ნეტავ თუ ხვდები.

მე ფერი არ მაქ, ავირეკლავ ცხოვრების ტკივილს,
ტონალობა ქმნის ჰარმონიას ფერთა ატლასში.
არაფრად ვაგდებ, ამ ბედისწერის მომაკვდავ კივილს,
იმ საცოდავსაც რომ ეტყობა ტკივილი ხმაში.

მიდი, თბილ ფერებს შევურიოთ ცივი ფერები,
შავი, მისტიკურს შეუცნობელს მომფენს შუქ- ჩრდილებს.
ამით სამყაროს იმ იდუმალ კანონს ეხები,
ჩემს პალიტრაში კონტრასტებთან სულს რომ იმშვიდებს.

შავი ფერები შერევია ფერთა პალიტრას,
შენი ფუნჯი კი ამ დატვირთვას ვეღარ აიტანს....
.. და ვერ დამხატავ!

დაგვიანებული სონეტები

მოგონებები გარს მეხვევა ურცხვად შლეგივით,
ხან გაიბნევა მძივებივით როგორც ბრმა მეძებს.
ზოგჯერ ავდრებად დამეშვება გულზე თქეშივით,
ხან გაბუტული აბეზარობს და მიშლის ნერვებს.

რაც უნდა გეთქვა, უეჭველად ვიცი, რომ იტყვი,
დაგვიანებულ სონეტებზე ხელგეწიფება.
მე კი მანამდე უშენობით იმ ლოდინში ვიწვი,
და არტემიდას ტაძარივით წამეკიდება.

ალის ენები უმღერებენ ღრუბლებს ჩვენ ამბებს,
მეწვის ტკივილი, სული ისევ შენ ჩრდილს დაეძებს.
ვეძებ ჩაფერფლილ ნაღვერდალში გარდასულ დღეებს,
ლოდინის გარდა ვერ ვპოულობ მე უკვე სხვა გზებს.

გაუმხელელი გრძნობა

იმ სპეტაკ გრძნობას დღემდე მალულად
გულში ინახავ როგორც ანდამატს,
თებერვალივით დღეებ ნაკლულად,
გული ვერ უძლებს უკვე ატანას.

მარტი ბუინობს მოგონებებში,
მონატრებას კი ალმური ასდის,
იმ გაუმხელელ გრძნობის ფერებში,
სახე თან დაგდევს სასურველ ქალის.

წლები მიფრინავს როგორც პეპლები,
ახლა ოცნებებს აზრი აღარ აქვს,
მოგონებებით კვლავ ეფერები,
თუმც გიჩვენებენ წასავლელად გზას.

P.S.
რომ სასწაულად დაგაბრუნონ ისევ იმ დროში,
ნეტავ შეძლებდი გრძნობის გამხელას?

მიტოვებული გული

მიტოვებულ გულს სადავე არ აქვს,
დაბღავის ძალით შეშლილი ქარის,
დალეწილ გრძნობის გვიყვება ამბავს
სურვილ ჩამსხვრეულს ალმური ასდის,

აფრა აშლილი დინებებს მისდევს,
თან აწრიალებს გულის იარებს,
მკლავებ ჩამოყრილს დასუსხავს ფიქრებს
მერე გაწეწავს გაანიავებს.

შეშლილ ქარებთან წილყრას აპირებს,
შავი ღრუბლებით უბეს აივსებს,
აპრილის წვიმას გაუნაპირებს,
აღარ დაითვლის გრძნობით მაისებს.

მიტოვებულ გულს სადავე არ აქ...

შენთან ვრჩები

გასუდრული ღამე ჩუმად ბუტბუტებდა,
მთვარე ხელებს გვაებდა გულს მომსკდარი,
ჭორიკანა ნიავს ურცხვად მიმოქონდა,
ჩვენი ღამის გრძნობები და ხმები წყნარი.

დუყ ბალახში ჩაწოლილი გრძნობა კრთოდა,
სიხარულის ცრემლებს ღვრიდნენ ყვავილები.
გუშინდელი, დღევანდელ დღეს შენატროდა,
ის დუმილი რას ნიშნავდა, ახლა ვხვდები.

დღეს წარსული სიზმრებიდან მიწვდის ხელებს,
თუმც აღარ ჩანს აქოჩრილი ის ვნებები.
მოგონება ძველებურად კვლავ მახელებს,
მე იქ მიჯობს და წარსულში შენთან ვრჩები.

შენით აპრილობდა

მოდიოდა შენთან ერთად მზით აპრილი,
კაცური ხიბლის ღიმილები იფრქვეოდა,
არ გამიხდა დავიწყება მე ადვილი,
მკლავებში გათანგული გრძნობა კრთოდა.

გარიჟრაჟი სხივებს ტანზე რომ გვაყრიდა,
გაღვიძებულთ შიშველ სხეულს გვილოკავდა,
დამცხრალი და მოშვებული აღტკინება,
ისევ ალმურს .ისევ სიტკბოს რომ ითხოვდა.

მაშინ ჩვენთვის აპრილობდა ყველაფერი,
იანვარში თოვლი თოვდა ყვავილებად,
სულში იდგა გაზაფხული ვარდისფერი,
დეკემბერში სუსხი სითბოდ გვეღვრებოდა.

ზეიმობდა სიყვარული და სიცოცხლე,
მერე გახდა ზღაპარ იყო - ზღაპარ არა,
მარტოობით ისევ შენთვის თუ ვიცოცხლე,
სიზმრებში რომ დაბრუნდები ესეც კმარა.

კვლავ გელოდები

წამოგოგმანდნენ ზღვის ტალღებზე მოგონებები,
მოჭენაობენ არ მინდობენ,თეთრი რაშებით!
სანაპიროზე წლების შემდეგ კვლავ გელოდები,
ვიცი სარეცელს მე და მთვარე მარტო შევრჩებით.

მერე ჩატყდება ტალღასავით ცხელი ვნებები,
და სიყვარული იბანავებს მლაშე ცრემლებში!
რეალობისგან გაქცეული წარსულს ვნებდები,
და მინდა ისევ გავიღვიძო შენ ცხელ მკლავებში!

დრომ არ დამინდო,არ დამელოდა, სხვისად გაქცია,
და განშორებამ გაურბინა ძილღვიძლში ღამეს!
ეს აჩრდილები რომ მაწამებს შენი ასლია,
წუთისოფელი თუმც ტკივილით ყველაფერს გვაჩვევს...

წამოგოგმანდნენ წლების შემდეგ მოგონებები,
სანაპიროზე წლების შემდეგ კვლავ გელოდები!

გთხოვ,დამიბრუნე!

ცხელ უდაბნოებს დაემგვანენ უკვე ვნებები,
მზიურ ქარებსაც გავეჯიბრე ვფიქრობ სისწრაფით.
მოდის სიბერე, მაგრამ ჯიქურ მე არ ვნებდები,
დავდევ მირაჟებს, ისე როგორც ადრე ვიყავით.

აქ სიკაშკაშის კონტრასტზე მაქ ჩემი ფიქრები,
არც მარცვალს ვითვლი და არც ტაეპს არ ვაკონტროლებ.
მე დღეს პირველად გულახდილი თქვენთან ვიქნები,
მოსულ მუზაში გზა აბნეულ ფიქრებს ვასვენებ.

მე დავიღალე უსაშველოდ დარდით,სიშორით,
გთხოვ, დამიბრუნე სიყვარული, ანდა სიმშვიდე.
გადარეული ფიქრებით და იმ ძველი გრძნობით,
მოგონებებში აღარ მინდა, ხელს რომ მიშლიდე.

* გვახსოვდეს *

ნარიყალაზე დგას იდუმალი წარსულის ფეთქვით,
და ისტორიის მძიმე კვნესა გულს ისევ ესმის!...
მუზა და რითმა აღმაფრენით მზადა არის ლექსით,
სადაც არაგვი გულს იგრილებს და მტკვარსა ერთვის!

ბოღმამ წაგვართვა რეალობა, სახე გვაქ მგზავრის,
კაცთ სიძულვილით ვერ მივიღებთ უფლისა ნდობას.
კრძანისის ბრძოლა მოგონებებს ტკივილად აშლის!
არაგველების და მაჩაბლის სიმღერად მოვა!

გულს აღარ უნდა, დაკუპრული თბილისის ნახვა,
სარვანის ველზე ლაპლაპებენ ნაფეხურები!
და ის ტკივილი დარჩენილი ჯერაც არ გალღვა,
მარაბდის ველზე დაღუპულთა სულს ვეფერები!...

ბასიანზე ჩანს ძირს დაყრილი დროშები მტვერში,
წიწამურიდან კვლავ მოდიან ჟღარუნით აბჯრის!
სისხლი დაღვრილი შერევიათ ყაყაჩოს ფერში
მიტომაც ველზე ტყედ შემოსულთ ალმური ასდის!...

რომ განმეორდეს ბაზალეთი ნუღარ ეცდები,
რომ იჯეჯილოს სარეველამ მოძმეთა სისხლზე!
ოქროს აკვანში კვლავ იზრდება ალგეთს ლეკვები!
შეუპოვრობის სისხლი უდუღთ და დგანან ჯიშზე!

გიორგი კუბლაშვილი იურისტი

„ქართული სახლი"-ს წევრი ათენში.
გაზეთ „ელადას " ლიტერატურული
სალონის საპატიო წევრი.
დაბადების ადგილი ტყიბული საწირე.

* * *

ახლა სიცოცხლე მწყურია, როგორც ბალღს ძუძუ დედისა,
დღე მიდგას ფეხზე დადგომის, ბედთან არ შერიგებისა.
ბოროტისა ვარ მგმობელი, ყველასი! განა ერთისა?
ამირჩევია სავალი, ეშმაკის? არა! ღმერთისა!

ამ უნიათო ყოფაში, ვხედავ, ძმა ძმას რომ ერჩისა.
დაჰხამებიან სიმდიდრეს, უნებლიეთ თუ ნეფსითა.
ბუნებამ დამახურჯინა, მაქვს ნება ლექსის წერისა,
თქვენ რას უტოვებთ სამშობლოს? რა გიღვაწიათ ერისა?

ღვინით რომ უფალს ადიდებთ, განგების განა გესმითა?
სული, გონება, სხვას ამბობს, საუბრობთ მხოლოდ ლეშითა.
თავად ღვთისაგან ქებულნი, იღლებით სხვისი ქებითა,
არადა მუდამ წინ ვიყავთ, ჩვენი ადათით, წესითა.

გაგიკაფიათ ტყეები, ჩიტს ბუდე აღარ ეღირსა,
ჩაგინგრევიათ სახლები, ნაშენი მამის, დედისა.
წინაპართ გლოვა ვისმინე, მტკვარს რომ არაგვი ერთვისა,
ისეთი ხმები ისმოდა, გავარდნას ჰგავდა მეხისას.

ვინავართ? რისთვის მოსულნი? პასუხს რომელი მეტყვისა?
სიტყვა მქცევია უჯარმათ, კლდეკარათ, ლორეთ, ხერთვისათ.
ჩვენი სავალი უფლისკენ, გზა ვიწროა და ბეწვისა,
ისე ნუ ვიზავთ, მოვკვდეთ და ფასი არ შეგვრჩეს ფერფლისა !!!

* * *

მტვრისგან შექმნილი, ვაცალმტვერებ ახლა ყველაფერს,
თეატრს ვქმნი, მერე ჩემს ხელშია როლის მორგება.
მხატვარიც მე ვარ, უკითხავად ვარჩევ ყველა ფერს,
მიზანი ერთი! განდიდება, მეტის მოგება.

ვეღარ იტევენ საკიდები, ნიღბებს ჩემეულს,
დასტად მიწყვია, გასაწირთა გვარ-სახელები.
ვეთაყვანები პირველობას, ამოჩემებულს,
ზეცას მიხედე! აქ მიწაზე ნუ ჩაერევი!

აქ მე ვქმნი წესებს, კანონებსაც ვირგებ მშვენივრად,
მადლიერი მყავს, დამშეული "ბრბო" თითო გროშის.
ისტორიაში, როგორც გმირი ისე შევდივარ,
ვწამლავ მომავალს იმედად, რომ შენს სახელს მოშლის.

განმადიდებენ! დაგეცემა მათ თვალში ფასი,
სისხლის გუბეებს შენეული მზე ვერ დააშრობს.
სანთლის დანთებას ერჩივნებათ ერთი ნაფასი
მოსაწევი, რომ ეშმაკს თავი გაუთანაბრონ.

ახლაც აქ ვდგავარ, გაქნილ ბრბოში გარჩევა გიჭირს,
მასკარადია დედამიწის ავანსცენაზე.
ყველა ჩემნაირს, მოწყენილი სახე აქვს დინჯის,
რეჟისორები თავადავართ ამ კარნავალზე.

იაფ მწერალთა ნაწერებით ვშთანთქეთ ბიბლია,
"ადამიანმა" გაგიყავი, შევძელ სამყარო.
"გიყვარდეთ ყველა" მეცინება. რა ცინიზმია,
თვლას ვსწავლობთ ცხრამდე, ათი მცნებით რომ არ დაგვღალო.

იქნებ ეშმაც კი მოგეჩვენოს თავაზიანი,
დღეს ისე ძლიერ სასტიკი ვარ " ა დ ა მ ი ა ნ ი " !!!

მე მიყვარს

მე მიყვარს ცაზე მოჭედილი ვარსკვლავთა დასი,
ვაზის ცრემლებით ავსებული პირამდე თასი.
მიყვარს უბელო ცხენზე ჯდომა, ჯირითი ველზე,
ღილი მაცდურად ასხლეტილი, შენს სავსე მკერდზე.

მე მიყვარს ღამით საუბარი, მთვარესთან მარტო,
რომ ხილვა შენი მოწყენილმა კვლავაც შევნატრო.
სიშორე მიყვარს სიკვდილამდე სავალი გზების,
უცხო საფლავთა პატრონობა, მიტანა ბზების.

რიჟრაჟი მიყვარს, მზის სხივების ნისლებში ქსოვა,
მიყვარს ქარები, მიყვარს წვიმა, ყინვა და თოვა.
შეხნულ მიწიდან ავარდნილი ნოტიო სუნი,
ვეცადე, მაგრამ ვერ ვუპოვნე სამყაროს წუნი.

მიყვარს წაბლნარში რომ ჩამოთოვს ყვითლად იელი,
ყველა სულდგმული, შინაური, გადამთიელი.
სიცოცხლე მიყვარს, სიკვდილს მარად რომ უშლის ნერვებს,
რომ სიყვარულის ისრით გმირავს დაგეშილ მდევრებს.

რომ არ მიყვარდეს, განა ქვეყნად მეგულვის რამე?
სულს მიამებს და ცქერით მატკბობს ეს არემარე.
ნაკლის საძებნად მოგვავლინა უფალმა განა?
ან და ღვარძლისთვის? რომ დავგესლოთ მთელი ქვეყანა?

შეხედეთ, როგორ ეფერება ბალახი მიწას,
გასაჭირის ჟამს ძაღლი პატრონს თუ როგორ იცავს.
ტყეში ხეები უმაგრებენ ერთმანეთს ფესვებს,
ჩიტები როგორ ამრავლებენ მცენარის თესლებს.

როგორ აპურებს ოკეანე უსიტყვო თევზებს,
როგორ იცავენ ცხოველები უმწეო მდედრებს.
ცოდვით დაღლილი, როგორ ტირის უფალი ციდან,
შეხედეთ, როგორ გადავედით სწორსავალ გზიდან.

დედაბუნებას ვებრძოლებით რობოტთა ჯარით,
უკმაყოფილო ვრჩებით მერე მისსავე ჯავრით.
განა ღმერთს ვებრძვით? განა ვებრძვით დედაბუნებას?
ადამიანის გამოვხატავთ ამით ბუნებას.

მე მაინც მიყვარს, ნირწამხდარი, თავსლაფიანი,
ჩემი ჯიშის და გენის მქონე ადამიანი.
ოდითგან მოგვდგამს, ბედ–იღბალის ორომტრიალი,
ჭარბობდნენ მუდამ სულელები, ვიდრე ჭკვიანნი.

მე მაინც მიყვარს, არ იკარებს სიძულვილს გული,
ცოდვიანი თუ უცოდველი, ყველა სულდგმული!!!

* * *

არ მიყვარს წვიმა, მაგრამ მიყვარს წვიმაში წერა.
არ მიყვარს ზეცა, თუმცა მიყვარს სიშორე მისი.
არც უშენობა მიყვარს, მაგრამ ვერ დავთმე ვერა,
განცდა სიკვდილის და ვერ გავხდი დღეს შენი ღირსი.

არ მიყვარს ღამე, მაგრამ მიყვარს ღამესთან დარდი.
არ მიყვარს ღვინო, მაგრამ მიყვარს უგონოდ თრობა,
არც მისურვია დამეკრიფა უეკლოდ ვარდი,
ან დამემალა განწირული სულის განწყობა.

არ მიყვარს ქარი, თუმც ქარივით ვბორგავ ეული.
არ მიყვარს მიწა, სუნი ასდის რადგან ქვესკნელის.
სამყარო მიყვარს, უღშფოთველი, სიზმარეული
და თმების ვარცხნა ჩანჩქერებათ, ქალის, ფეხშველის.

დავსუსტდი, მორჩა, ვატყობ სენმა ხელი დამრია.
უწყლოდ დამირჩა ბედ-იღბალის ვხედავ წისქვილი.
სულ მალე მოვა, შემიკედლებს და მიხარია,
მარადისობას მაზიარებს რადგან სიკვდილი!!!

* * *

დამიფრთხა ძილი, დილის ხუთია,
ცაზე ვარსკვლავთა არის ქორწილი.
შენი თითები რა სათუთია,
ჩემს მხარ–მკლავებზე შემოწყობილი.

დილა კიაფობს ახლა სარკმელთან,
შემოეპარათ ტყეებს ნისლები.
ნამთვრალებივით ვდგავარ სარკესთან,
შიგ მოსჩანს ბედი არ ნაღირსები.

აშრიალდება ბაღში ალუჩა,
ყმუის ძაღლები, ვიღაც გათავდა.
სულის ტკივილი ვერ გააყუჩა,
ფუნჯმა დილამდე შენ რომ გხატავდა.

შემორჩენია სადღაც გონებას,
ნაწვიმარივით სველი თვალები.
ქარი ამირევს კვლავ მოგონებას,
ჩანს ვენა დანით განაწვალები.

ზაფხულშიც თოვდა, ბარდნა დეკემბრის.
გულზე მაყრიდა ნამქერს ყინვიანს.
დღეს მე საყვედურს ვერვინ ვერ მეტყვის,
რომ შეხედავენ სულს ტკივილიანს.

ისევ დავჯდები ღრუბლის ქულაზე,
ხელში ლექსების კრიალოსანით.
დამიფრინდება თოფის ლულაზე,
სიკვდილის მაცნე შავი ფრთოსანი.

დამიფრთხა ძილი, დილის ხუთია,
ცაზე ვარსკვლავთა არის ქორწილი.
შენი თითები რა სათუთია,
ჩემს მხარ–მკლავებზე შემოწყობილი....

* * *

ცხოვრება გვიგებს ათასგვარ მახეს,
როგორც ბალღები ციცქნა ბეღურას.
მე ვუყურებდი როგორ დამმარხეს,
თავზე ბურუსის ქუდი მეხურა.

ნეტავ ვინ არას ადამიანი?
ამ ქვეყნად ნეტავ რისთვის მოსულა?
ბევრი ყოფილა ჩემზე ჭკვიანი,
ბევრი კი დღესაც გონს ვერ მოსულა:

რა ძალა ჩადის ამოდენ ცოდვას?
რაში ეძებენ შვების სთავეს?
მე მივეცემი უსაზღვროდ ლოცვას,
ეშმაკს ვერ მივცემ წმინდა სადავეს.

არ მიცხოვრია სახელისათვის,
უფალმა მომცა ერთი მისია:
რომ მოვემზადო მარადისათვის,
ქვეყანა მეტად რა მაქნისია?

ფერია

მალე დამტოვებს გაზაფხული და შენ გამოჩნდი,
ჩემო ფერიავ, მეცხრე ზეცას როგორ ამოსცდი?
გამოგივლია გულის ყველა ლაბირინთები,
შეგიმჩნევია? თუ მარტოსულს რგორ მჭირდები?

მოემართები გავაზივით, თლილი, მოქნილი,
მომეჩვენება მზის და მთვარის იყოს ქორწილი.
ზედ ვარსკვლავებზე მინდა მშვიდათ დააბიჯებდე,
გულს არ მატკენდე, არასოდეს ამატირებდე...

სულ გადაგიშლი ჩემს სამყაროს ხელის გულებად,
გამეფიცები მარადიულ თუ ერთგულებად.
შენს მშვნებასთან მიწა ან რა მოსატანია?
ცაში აგიყვან სადაც მუდამ ზურგის ქარია.

სადაც იმედებს გამოუსხავთ ლურჯი იები,
სადაც ყოველთვის გაიღიმებ, არა ატირდები.
სადაც ტკვილებს მარწუხები ლხენის არტყია,
სიყვარული კი თავად უფლის ჩანახატია.

იქ ხომ სიმორცხვეს არ ექნეა ჩვენთვის საზომი
და სასთუმალად გაგვეგება "ირმის ნახტომი,
ვნებით გათანგულთ დაგვახურავს საბანს ვენერა,
დაიწერება ჯერ არ თქმული ცის ეფემერა.

ხოდა იჩქარე, რომ ზაფხული იყოს სამოთხე
და მეცხრე ზეცას სამუდამოთ შეძლო ამოსცდე!!!

* * *

სხვადასხვა ნიღბის გაკეთების თავიც არა გაქვთ,
ყველა ერთ ქვაბში იხარშებით როგორც სატანა.
არ შემიძლია ვიყო უბრად როცა გიცქერთ და
აუტანელიც მეჩვენება თქვენი ატანა.

მარინა გორგაძე სამყურაშვილი ეკონომისტი
დაბადების ადგილი ჭიათურა ს. რგანი
(ემიგრანტი საბერძნეთი)

ცრემლს გაუფრთხილდით..

ემიგრანტ დედის ცრემლის წმინდა,
გულიდან მოსჩქეფს ვითარც მდუღარე!
თვალის უპეებს უცეცხლოდ დასწვავს,
კრიჭას შეუკრავს დასვავს,მდუმარეს!

მდუმარე ,ფიქრით შეჰყურებს ზეცას,
იკივლოს მისიც არა აქვს ნება...
უცეცხლოდ სწვავენ ცრემლები თვალებს,
გული ფეთქავს და სული კი კვდება.

ემიგრანტ, დედის ცრემლს, გაუფრთხილდით,
წმინდაა, როგორც წყარო, ანკარა,
ეს ცრემლი,იმის, საწინდარია,
მზის სხივი, შენს თვალში,თუ რომ ჩამდგარა.

ემიგრანტ დედის ცრემლის გჯეროდეთ,
ეღიმება და მაინც, რომ, ტირის --
მიეცი ნება დიდხანს იტიროს,
რადგანაც ცრემლით იყუჩებს ტკივილს.

ცრემლს გაუფრთხილდით ემიგრანტისას,
რომ არ დაღვაროს ჭარბად.
ემიგრანტს, ცრემლი მუდამ სჭირია,
დარდიან, გულის წამლად..

მაღალი მთების

ერთად ავიჭრათ ოცნებით ცაში,
გავეთამაშოთ ვარსკვლავებს წამით,
შემოვუქროლით მთელ დედამიწას,
არ გავახილოთ წამითაც თვალი.

თვალდახუჭულმა ვკრიფოთ იები,
ვაწნათ ერთმანეთს გვირგვინად თმებში,
ხელი ჩავკიდოთ ერთმანეთს მჭიდროდ,
შევძლოთ გადადგმა მაღალი მთების.

ერთმანეთს სუნთქვაც გავუნაწილოთ,
გულმა იფეთქოს ერთგვარი რითმით,
მივყვეთ ცხოვრების ჟამთა დინებას,
წინ არ გავუსწროთ ერთი ნაბიჯით.

ავყვეთ ცხოვრების უკუღმართ ტრიალს,
ავუწყოთ ფეხი მის დაკრულ ჰანგებს,
ეშმაკის ბორბლის ორმოტრიალში,
ჩვენც ამ ცხოვრებას ავყვეთ და დავყვეთ..

თვალ დახუჭულმა ვკრიფოთ იები,
გვირგვინად ვაწნათ ერთმანეთს თმებში,
მაგრად ჩავჰკიდოთ ერთმანეთს ხელი
შევძლოთ გადადგმა მაღალი მთების...

ნოსტალგიების დავირქმევ მწერალს...

რამდენჯერ გავიქეცი, იმდენჯერ, წავიქეცი,
რამდენჯერც, ავდექი, იმდენჯერ ჩავჯექი,
ასე ვწორწალებ, მთელი ცხოვრება,
ვერ იქნა, ვერ შევძელ, მყარად, ვერ დავდექი.

მგონია ავედი,მაღალ მწვერვალზედ,
მიახლოვებულს, მიცდება ფეხი,
ჩემს თავზედ, ღრუბლები, ჰკრავენ კამარას,
გაავდრდება და ვარდება მეხი,

ვწორწალებ მეთქი, მთელი ცხოვრება,
მეხის გავარდნაც, ვერაფერს მაკლებს,
დღეს თუ მიწასთან მასწორებს დარდი,
ხვალ სიხარულით გავახელ თვალებს.

მე ღმერთმა შემქმნა,თავის მხევალად,
და ურჩობისა ვინ მომცა ნება,
განსაცდელს, მიგზავნის, გამოსაცდელად,
ჩემი უფალი,კი,თან, დამჰყვება.

მე, მომავლინა, მარიამობას,
თან დამაყოლა, გული მოწყალე,
ღმერთმა დამბადა მე თავის მხევლად,
და ხშირადაც მცდის, როგორც მოსწავლეს.

თუ წავიქცევი, ჩემით ავდგები,
წორწალით, მაინც მივაღწევ მწვერვალს,
ღმერთის ნებით და უფლის განგებით,
ნოსტალგიების, დავირქმევ მწერალს..

სიცოცხლე ღირდა..

მე თუ დღესა ვარ სამოთხრში,
ცოცხალს, მინახავს მე ჯოჯოხეთი,
რადგან ორივე გამომივლია,
ვერ გამაკვირვებს, ეხლა ვერცერთი...

უფალს, სად სურდეს, იქ განმაწესოს,
სადაც ცხოვრების ჩამთვალოს ღირსად,
ვისითაც ვხარობ ამ ქვეყანაზე,
მათთვის სიცოცხლე ნამდვილად ღირდა.

ჩემი ცხოვრება დღეს სამოთხეა
და იმ ჯოჯოხეთს მაინც ვნატრულობ,
ჩემი ფიქრები შენ დაგსტრიალებს,
შენ, ზესტაფონო, ჩემო ნატრულო.

შენ, დაგიტოვე მე ჩემი გული,
თან წამოვიღე სევდა ნაღველი,
მად დარჩა ჩემი ნაფეხურები,
უთქმელიც დამრჩა სიტყვა რამდენი.

ვე მოვასწარი მეთქვა ყველასთვის,
თუ გამშორება როგორ მიმძიმდა,
რა დროც დავჰყავი მე იმათ გვერდით,
ის დრო სიცოცხლედ, ნამდვილად ღირდა

რაც მიცხოვრია მე ჯოჯოხეთში,
და მიტკეპნია, ქართული მიწა,
ამ სამოთხეში ცხოვრებას ეხლა„
იმ ჯოჯოხეთში, სიცოცხლეც ღირდა.

არწივი

არწივი როცა იჭრება ფრთაში,
ისიც ეშვება, ქათმის დონეზე,
მაგრამ, ქათამიი?
უმაღლესია,ჰა,ჰა, აფრინდეს, ხის კენწერომდე,
ფრთას მოიშუშებს, მალე არწივი,
შეინავარდებს, კვლავაც ზეცაში,
არწივი, მაინც არწივი არის,
ათიათასჯერ, რომც დასჭრან ფრთაში.

მაღალო ღმერთო!...

მადლობას გწირავ მაღალო ღმერთო!
რომ ჩამისახლე, სხეულში სული,
ძალა და შანსიც, მომეც იმისი,
სუფრაზე მუდამ რომ მქონდეს პური.

მადლობას გწირავ მაღალო ღმერთო!
თვალის ჩინი,რომ მომეც ნათელი,
გთხოვ, მომიტევო ცოდვილსა შენსას,
თუარ ავანთე უხვად სანთელი.

აზრი გონებაც, საღი მიბოძე,
მაღალო ღმერთო, მადლობას გწირავ,
უფლის წყალობით, შენ დამატარებ,
დღემდე მოსულსა, დაბადებიდან.

შენი განგებით დავიარები,
დაბადებიდან ასე მატარებ,
ხატების წინ,რომ არ დავჩოქილვარ,
ალბათ შეგცოდე, მიტომ მაწამებ.

გამოცდას მიწყობ, ყველგან ყოველთვის,
მაგრამ მე შენთან, ჯერ არ ჩავჭრილვარ,
მიტომაც მწყალობს შენი დიდება,
დღემდე ჭკუაზედ თუ არ ავჭრილვარ.

მუდამ მველობ შენი დიდებით,
გამოცდებს, მიწყობ, მაგრამ გაბარებ,
შენ რომ ყოველთვის,არ შეგაწუხო,
ამიტომ, უფალს ჩემს თავს აბარებ.

მადლობას გწირავ, ჩემო უფალო,
ყოველ დღე საათს წუთ და წამისთვის,
მოსტალგიაა ჩემი სასჯელი,
მაგრამ, მზადა ვარ მე ამისათვის.

დარდი

დარდმა! დაღალა გული,
ყოველ წამში,რომ მიცემს',
სადღაც სიღრმეში სული;
სატანჯველს ვეღარ იტევს.

ვეღარ ვპოულობ ადგილს
მკერდიც გაგლეჯას ლამობს,
ნუთუ ეშმაკის წადილს,
სიკვდილსაც, ვეღარ ვნატრობ.

მაშარ ვეკუთვნი ჩემს თაავს?
არც სიკვდილის. მაქვს ნება?
ასე,რომ მტკივა, ავ კარგს
შენ შემოგჩივი დედა.

აფორიაქთა სული,
ვეღარ მიშველა ცრემლმა,
დღეს კი სამდურავს გეტყვი,
რად გამაჩინე დედა.

მართლაც დამღალა განცდამ,
ღამე ტანჯვაა ჩემთვის,
ვერც ნუგეშს მაძლევს ვინმე,
ვარ შემწეობით, ღმერთის.

ვებრძვი თავს,ზღვარს არ გასვცდე,
ეშმაკს არ მივცე სული,
ცრემლი ნაკადით მოდის
ვერ გააყუჩა გული.

ვეღარ მიშველა ცრემლმა,
გული გაგლეჯას ლამობს.
თითქოს სიკვდილი მინდა,
მაინც სიცოცხლეს ვნატრობ

შედარება: თავისუფლება...

განა მაშინ ხარ პატიმარი
თუ რომ ბორკილი გადევს ხელებზე
თუ გისოსების მიღმა ზიხარ და
ვეღარ ნავარდობ, მთაში თუ ველზე,

განა მაშინ ხარ პატიმარი
როცა გდარაჯობს, ზედამხედველი,
განსაზღრულ დროით გასეირნებენ,
გადაჭდობილი უკან ხელებით.

დრო როცა გზღუდავს, პატიმრობაა,
დროს როცა თავად,ვერ მართავს კაცი,
აი კი მაშინ ზუსტად მიხვდები
თავისუფლების თუ რაა ფასი.

ემიგრანტობა პატიმრობაა,
უგისოსო და ღია სარკმლებში,
პატიმარმაც კი იცის სვაბოდა,
იციან როდის წავლენ სახლებში.

ემიგრამტები ნებით ჩავბარდით
დანაშაულიც არა გვქოდა რა
ამიტომ ვერვინ ვერ დაგვიდგინა,
როდის იქნება ჩვენი სვაბოდა.

ჩემებრ კეთილად დამიწყევლია
დიდი პატარა ქალი თუ კაცი,
უფალმა ყველა ისე გაცოცხლოთ,
თავისუფლების არ იგრძნოთ ფასი.....

მახრა ხარ ჭია

ფიქრო, უთქმელო ფსკერს, ჩაძირულო,
ტკივილო, უწამლოდ გაყუჩებულო,
გულის კუნძულში მიყუჟებულო,
ფიქრო„ოცნებით გაღვიძებულო.

ოცნებავ წლობით დაულ ფიქრებს
გონებას,ცხვირ წინ რად უტრიალებ,
რაღატომ, ამღვრევ ფსკერს, დალექილსა,
და, გულსაც რისთვის,აბოდიალებ.

რატომ უღვიძებ, გრძნობებს მიმალულს,
სულს რად უტანჯავ, ვერ გაუგია,
რად გაახსენე, ის ციხე კოშკი
სიყვარულით, რომ ვერ აუღია.

ფიქრო, უთქმელო,ფსკერს დალექილო,
გული დარდების სკივრად აქციე,
ოცნებავ მღრნელო ჭიავ გულისა,
შეძვერ სკივრში და წამში არიე.

ფიქრო უთქმელო,მეფევ დარდისა,
ღამით,ან დღისით,რისთვის არ გძინავს,
ჩემს გულში რატომ გამეფებულხარ
რაღა ჩემს გულში დაიდე ბინა.

ფიქრო უთქმელო, მახრა ჭია ხარ,
გულის, სულის, და ტვინის მბურღველი,
სულს, დამშვიდებულს აფორიაქებ,
ამიტომაც მაქვს დარდი ულევი.

თუ მართლა

გულით უყვარხარ ვისმეს,
ის შენს ღიმილშიც, შეამჩნევს სევდას,
გაბრაზებულსაც გამჩნევს სიყვარულს,
პატივისცემას დუმილში ხედავს.

თვალებში სევდას ამოიკითხავს,
გულში შეამჩნევს გაჩენილ ნაპრალს,
მაშინ შენც შესძლებ, რომ აპატიო
და არასოდეს მისგან არ წახვალ...

მავანთ მავანნო..

რატომ დამცინით მავანთმავანნო,
მე თუ შარვალი არ ჩამიცვია,
თუ სიცივეა მე შემცივდება,
შენ რა გაწუხებს ვერ გამიგია.

შენც ჩემებრ შიშვლად დაბადებულხარ,
მაგრამ განგებამ ასე ინება,
შენ დაიბადე ალბათ პირბადით
ჩემთვის ეს ხვედრი გამოიმეტა.

თუ ერთი ლარც არ მაქვს ჯიბეში,
დღეს თუ მე ლუკმა პურს ვერ ვიყიდი,
შენ ხომ არ გშია და არც გწყურია
ხომ დაგრიალებ ემელის ჯიპით.

შენ ფეხსაცმელსაც ფერებით ურჩევ,
შარვალ კოსტუმს და სათვალის ფერსაც,
მე კი დავდივარ ასე შიშველი
ამ ყვავილების იმედად დღესაც.

ღმერთის წყალობით გამაქვს ყველა დღე,
ხშირად შემხვდება ადამიანიც,
და თუ ამ ყვავილს ლარს დავუფასებ
მუჭში ჩაუდევს ას, ლარიანიც.

გულის მაგიერ ქვა გიდევს მკერდში,
ან თვალის ჩინი არ გაქვს ნათელი,
შენ სიმსუქნისგან ღიპს ვეღარ ზიდავ
მე კი დავმდნარვარ როგორც სანთელი.

მეფურად წევხარ მდიდრულსა ტახტზედ,
სასთუმალიც კი გერმის გიგია,
კარებზე გიდევს ცხრა კლიტული და
მშვიდად მაინც ვერ დაგიძინია.

მე კი ლეიბიც არა მაქვს ერთი,
სადღაც კარდონის ყუთებში მძინავს,
ბალიშის ნაცვლად თავს ქვაზე,მივდებ
დამეძინება უშიშრად ტკბილად.

დღეს თუ შენ თავი მეფე გგონია,
მე კი მიცქერი როგორც კეთროვანს,
ორივეს შეგვჭამს ჭია - ღუები,
იქ ვერ გიშველის შენი მეფობა.

მე მტერი არ მყავს და არც მოშურნე,
არც არავისი არა მაქვს ვალი,
იცი რამდენმა ლამაზმა ქალმა
გამომაყოლა ამ დილით თვალი.

რა ლამაზია, მომესმა სიტყვა,
გულმა სხვაგვარად დაიწყო ძგერა,
ვიცი რომ ეს მან ყვავილებზედ თქვა,
მაინც მეამა ამის მოსმენა.

შენ დაგრიალებ ემელის ჯიპით,
და მადლიერი ხარ შენი იღბლის,
მე კი ამითაც კმაყოფილი ვარ
ამ ყვავილებით ბევრ ღიმილს ვიმკი.

ამ ყვავილების იმედით ვცოცხლობ,
შემეშვი ჩემთვის დავბორიალობ,
ერთი დრო არვის არ შერჩენია
რად ვერ გაიგე ადამიანო.

შ ვ ი ლ ო

უკვე დამიფასდა შვილო ამაგი,
თავადაც რომ გახდი მამა,
კვერცი ხელისგულზე
არც მე შემიწვია„,
ვერც შენ ვერ შესძლებ ამას.

ეხლა მშობელი ხარ პირმშოს ეფერები
თავი შენც უკვე დიდი გონია,
დედი მიყვარხარო ჩემთვის აღარ გითქვამს
თუმცა ვიცი ეს ბევრჯერ, გდომია.

დედა დამიძახო ამისიც გერიდება?
მოდაა მოდას ვერ ჩამორჩები,
ეხლა შენ ამას მნიშვნელს არ აძლევ,
მაშინ გაიგებ, რომ მოხუცდები.

ოქროს სასახლე ვერც მე ავუგე,
არც ხელისგულზედ მომიწვავს კვერცხი,
ეს! ოთხი სიტყვა კი სულს მახსოვდა,
დედა„-დედილო„- დედიკო„- დედი.

არ მინდა შვილო, ძვირფასი სუნამო,
არც გრძელი ტოტით წითელი ვარდები,
ხშირად მითხარი დედი,მიყვარხარო„
ამიწყლიანე მოხუცს თვალები.

ჩემთვის ზაფხული ეხლა იწყება

ვიცი დამხვდება ცივი ზამთარი,
თვალიდან კურცხალს დამადენს სუსხი,
სამაგიეროდ გული გათბება,
სითბო შეაღწევს გალოდვილ გულში.

გული სხვაგვარად დაიწყებს ფეთქვას,
დამიბრუნდება ბავშვობის ხანა,
ქართულ მიწაზე დავადგათ ფეხი,
ყველა ემიგრანტს ერთი გვაქვს ნატვრა.

აჩუხჩუხდება სისხლი ძარღვებში,
გულში ყინული დაიწყებს დნობას,
ზამთარი თავი თვეებს მიითვლის,
ჩემთვის კი მაინც ზაფხული მოვა.

თოვლის ნამქერს სულ არ აქვს ძალა,
თუ კი გულში გრძნობ უსაზღვროდ სითბოს,
ბეღურასავით აბუზვა მიჯობს,
ვიდრე აქ ტახტზე მეფედ რომც ვიყო.

სულის სიმშვიდე თუ კი გაქვს სრული,
ზამთარშიაც კი მეფობს ზაფხული,
თოვლის ნამქერს სულ არ აქვს ძალა,
იანვარშიდაც გვაქვს გაზაფხული.



ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანი ბიზნესმენეჯერი
დაბადების ადგილი ცაგერი. (ემიგრანტი)

მხოლოდ დეკლარაცია

ო, რარიგად მიხაროდა
ოცდაექვსი მაისი,
ერი მუშტად შეკრული,
მომავალზე ხალისი.

მიუძღოდა ქართლის ლაშქარს
კაცი, გულანთებული,
ხალხი, რწმენით მიჰყვებოდა,
იმედით ანთებული.

სამშობლოზე სიყვარულით
მუდამ ალმოდებული,
ცივი ციხის კედლებში
ბევრჯერ გამომწყვდეული.

სისხლის ფასად მოგვიტანა
ეს დღე, წლობით ნატრული,
სამშობლოსთვის თავი დადო,
თავი - მრავალტანჯული.

ღალატი და მოღალატე -
ეს ხომ ქართველთ წესია,
სამწუხაროდ, ყველა დროში
შორს გაედგა ფესვია.

აქაც მტრისკენ გადიხარა,
სასიკვდილოდ, დიდი პინა
და ზვიადმა ცივ მიწაში
სამუდამოდ ირგო ბინა.

ეჰ, მრავალი წელი არის,
ვითომ ეს დღე გვახარებს,
სინამდვილე სხვა რამ არის -
გულს ბალღამი ამწარებს.

აქ - რუსეთი, იქ - ევროპა,
იქით კიდევ ბაიდენი,
აღარ ვიცით, ვის ვეკედლოთ,
კარებს ვერსად მივაგენით.

ამ წიწკნაში ჩემი მხარე,
ლამის გაქრეს რუკიდან,
მხოლოდ დეკლარაცია
დაგვაქვს გულის ჯიბითა.
...
არა, არ მინდა, ფურცელზე დარჩეს,
ჩემი სამშობლოს წმინდა დიდება,
მოველი იმ დღეს, ვინმე რომ გაჩნდეს,
კბილით დაიცვას ქართველთ ღირსება.

დამხატე

დამხატე, მხატვარო, დამხატე,
ღიმილი რომ მქონდეს ნაღდი,
თვალებში მზის შუქი ჩახატე,
სხივებს რომ სდიოდეს თაფლი.

სხეულში ის გული ჩამიდგი,
სადღაც რომ წასულა და ვდარდობ,
სურათი ჩარჩოში ჩამისვი,
ჩემ გვერდით რომ იყოს, ვნატრობ.

დამხატე, მხატვარო, დამხატე,
სახეზე სიხარულს ნუ წაშლი,
გულში ბავშვობა ჩამიხატე,
იმ წლებს, სხვა წლებში ნუ გაცვლი.

არ მინდა სიმძიმე სხეულის,
სიბერე გააგდეთ, არ მინდა,
არ მინდა ეს გული, ეული,
თუმც წლები უღმერთოდ გავიდა.

ამისთვის ველოდი ვარდებს, მაისის?
სურნელს რომ დაეხშო კარები...
გული ვეღარ იტევს დარდებს, დაისის,
გრძნობებმა დახუჭეს თვალები.

მხატვარო, ისეთი დამხატე,
ადრე რომ ვიყავი, ლაღი.
თვალები წრფელი ჩამიხატე,
არ მინდე სევდა და დარდი.

...რას გვიმზადებს ბედი

სიყვარულით, მონატრებით, გული დაგვაქვს სავსე,
ემიგრანტის სულს ხომ მარტოობა თან სდევს...
კარებისკენ მუდამ თვალი მონატრებულს ამჩნევს,
აჩრდილების ჯარი ხშირად კედლებს ლანდად გასდევს.

დრო მიდის და არ ჩერდება, ულმობელი წლები,
უკან როცა მოიხედავ, ხვდები, რომ ბერდები,
რომ უშენოდ დაიზარდნენ შვილები და ძმები,
მათთვის უკვე შორეულ და უცხო ქალად რჩები.

სინანულის ცრემლი გახრჩობს დაკარგული წლების,
რომ გცოდნოდა, ფუჭი იყო ემიგრანტის ხვედრი,
შენს მოხუცთან დარჩებოდი, თმებს დაბანდი - დედის,
მონატრება არ მოგკლავდა, შენი კუთხე-ქვეყნის.

გზებზე იებს მოაფენდი, შვილს ეტყოდი: “დედი!”
სიყვარულით ნაალერსებ სიტყვებს შემოჰბედდი,
უხცო ქალად არ ივლიდი სხვის მიწაზე გედი,
მაგრამ ვაი, რომ არ ვიცით, რას გვიმზადებს ბედი.

ორნივ ვებრძვით...

ნაცარტუტად ქცეულია ველი,
სახლის კარი ისევ პატრონს ელის.
ტყე გამხმარა, არ გამოჩდა მცველი,
მთა მოგვითხრობს ამბებს, სოფლის - ძველის.

ელოდება სახლი ობლად, მარტო,
სიცივე და გულზე დარდი ათოვს.
რად დამტოვე უმოწყალოდ, ავთო?
რა გაუძლებს ზამთარს, რომ დამათოვს?...

მხოლოდ ორნი შემომრჩითო მინდორს,
ცივი ქარი გვირილასაც ინდობს.
ორნივ ვებრძვით მარტოობის დიდგორს,
ველოდებით იმ დღეს, რომ დაგვინდობს;

ჩემს ბუხარშიც რომ ამოვა ბოლი,
ყვავილებით აივსება ჰოლი,
მაღალ მთაზე ბალახს მოძოვს ცხორი,
მწვანე მოლში თავს ჩამალავს გნოლი.

გაქრა ღიმილი...

სახეზე გაქრა ღიმილი,
გულს შემომაწვა სევდა და...
გულო, არ გინდა ტკივილი,
თვალი ჩაუკარ მზესა და...

წამოდი, ბაღში წავიდეთ,
ერთად დავკრეფდეთ ღიღილოს,
ერთად ყველაფერს ავიტანთ,
დღემ, ხვალინდელმა, გვიღიმოს.

გულო, არ გშვენის მოწყენა,
მე - თვალზე ჩუმი ცრემლები,
მხოლოდ მიხდება მოლხენა,
ვარდს ვინ შემოხსნას ეკლები.

ნუ გაიხსენებ ცუდ სიზმრებს,
ნუ შემომაჩვევ სევდასა,
ღმერთი აუხდენს სურვილებს,
ქართველ ქალსა და დედასა!

დავხატავდი

დავხატავდი ცაზე ღმერთს, ცრემლი რომ უსველებს მკერდს,
დავხატავდი ანგელოზს, ფრთებით რომ ვერ გვიცავს დღეს,
დავხატავდი მამაკაცს, ცელი რომ უმშვენებს ხელს.
დავხატავდი წვიმის თქეშს, მის მკერდზე რომ კაცი წევს.

დავხატავდი ნიაღვარს, ყველაფერს რომ სწყვიტავს წელს,
დავხატავდი ბოროტ კაცს, თვალებში რომ გველი დევს,
დავხატავდი მიწისძვრას, მისი გულიც ძლიერ ძგერს,
დავხატავდი ღმერთს, იქნებ შეგვიბრალოს მრავალ წელს...

დავხატავდი ნათელ მზეს, ღრუბლებს რომ უკიდებს ცეცხლს,
დავხატავდი სატანას და მისი გუნდის წევრებს,
დედამიწის დასაპყრობად კანონებს წერენ,
დავხატავდი მწვანე ველებს და სამშობლოს მცველებს .

გთხოვ, დედი,ნუღარ ტირი

არ დაიდარდო, დედა,
ტყვია თუ მომხვდეს მკერდში,
სამშობლოსათვის ვბედავ,
იარაღს ვიღებ ხელში.

ვიცი, მომელი ყოველ წამს,
გზისკენ გიჭირავს თვალი,
შენ ხომ მაღალი ღმერთის გწამს,
ლოცვით აღაპყრე მკლავი.

მტერს მუზარადი ჩავეცი,
სამშობლო მე არ გავეცი,
ოჰ, ტყვიავ, ბრმაო, რად მეცი,
დედი, გმირულად დავეცი.

ხელში წერილი მეჭირა -
შენი ხელიდან ნაწერი.
უძვირფასესი ნაჭერი
თითო ფურცელი ავჭერი.

მალამოდ მედო ნატყვიარს
და იავნანა, ნამღერი,
ყურს ჩამესმოდა დარდიანს,
თეთრი ფიფქების ნამქერი;
საბნად მეა შავდღიანს.

შენზედ ფიქრებში ვკვდებოდი,
წერილს გიწერდი, სევდიანს,
იმ ბრძოლის ამბებს ვყვებოდი,
დღე რომ დაგვიდგა ავდრიან.

არ დამელოდო, დედიკო,
ვეღარ მოგივალ შვილი,
ბედი ჩემი კი ეს იყო,
გთხოვ, დედი, ნუღარ ტირი.

სიამაყე და თავმდაბლობა

სიამაყე ცაზე ქროდა,
წარმოდგენა დიდი ჰქონდა.
მთაზე დროშა გადაჰქონდა,
სიტყვას ნასროლს:
-აბა, ჰოდა! -
გულში ლახვრად ჩიტს ასობდა.

პაწაწინა ჩიტის გული
თავმდაბლობით წყნარად თრთოდა,
თუმც, ისარი გესლიანი
მის გულს მოხვდა, დარდი ჰქონდა.
ჩიტუნიას წყენის ცრემლი
ქარაშოტებს გადაჰქონდა,

სხივმა ცრემლი შეუმშრალა,
სიამაყეს მიაძახა:
“ვიცი, ძმაო, შეგეშალა”,
მწვანე ველზე კი თავმდაბლად
მას ნაბადი გაუშალა.
სიამაყე მედიდურად წამოჯდა
და ფრთა გაშალა.

ჩიტუნიას თავმდაბლობა
ვალდებულად ჩაუთვალა.
სიკეთე და ერთგულება
შუა ზღვაში ჩაუყარა.
სიტყვა, მწარე, ჩამოჰყარა,
გულში ხანჯლად გაუყარა .

თავს თუ დახრი, ძალზედ, ქალავ,
ფეხს დაგადგამს, ფიქრობს განა?!
სიამაყით ისევ გეტყვის, რომ თავისი გაიტანა.
ჩიტი თავთავს რას შეასმენს - თავმდაბალი,
თუნდ მზისთანა.

არ წახვიდე

დამიჯერე, არ წახვიდე, გზები არის უსასრულო;
უკან ვეღარ დაბრუნდები, თუნდაც ცა რომ მთლად დახურო.
სიცივისგან სული, გული, რატომ უნდა გაახუნო?...
დამიჯერე, არ წახვიდე, ბევრი ცრემლი არ დაწურო.
და
ახლა მეტყვი: "შენ რომ წადი და ცხოვრება გაიკაფე?..."
შემომხედე, მეგობარო, გული ყინვით გავიქაფე.
წლები ჩემი სილამაზის სხვის საყდარში ჩამოვკაფე,
რაც ვაკეთე, ნული არის, აბა, რისთვის გავისარჯე?!

მე ამიტომ გეტყვი: "დედავ, დაო, ძმავ და ჩემო შვილო,
დამიჯერე, არ წახვიდე და სხვას არვის მიეშვილო.
ვარდს ფურცლები გასცვივა და გულჩამკვდარმა დაიჩივლოს,
ცარიელი ვარდის ტოტი არავის სურს მიიშვილოს.

კიდევ გეტყვი, დამიჯერე, არ წახვიდე უცხო მხარეს,
ზოგჯერ სახლში დაბრუნებულს შვილი აღარ გიღებს კარებს.
კათარზისში იცხოვრებ და ცრემლი ამოგიწვავს თვალებს,
მაშინ მწარედ დაინანებ, რომ წამოხველ უცხო მხარეს.

მომნატრებია

მომნატრებია სურნელება ტურფა ვარდისა,
მამნატრებია სილამაზე მწვანე ბაღისა,
აფეთქებილი გვირილები ჰკოცნის მაისსა,
მზე, გაზაფხულის მათრობელა, ვით შარბათისა.
მომნატრებია მწვანე ველი და სურნელი მიწის,
ამ კარჩაკეტილ ცხოვრებაში დღეები მიჰქრის.
მე ბაღის კიდეს მივუყვები, იქ არვინ მიცდის,
მხოლოდღა თეთრი გვირილების სიმღერა ისმის.

ჟასმინი მიღიმის, თავს მიკრავს, სურნელით მათრობს,
ციდან ნატყორცნი მზის სხივები გულისგულს ათბობს,
მტრედი ღუღუნით მოფატებს, თავის ხმით მართობს,
ამ სილამაზეს თუ შევიგრძნობ -რაღა დამაშთობს.

...არ გავცვალოთ სიყვარული!

თავგამსკდარი კვირტებიდან ჩურჩულებენ ყვავილები:
“ყოველი დილით ვიღვიძებთ, ვიმატებთ და არ ვილევით.
ვარდების და გვირილების სიყვარულში გავილევით,
მომავალზე ჩვენ ვსაუბრობთ, ჩვენ ვსაუბრობთ კვლავ იმედით.

აპრილის მზე გვეფერება, სხივებს გვიყრის გულში,
რა ლამაზი ელფერი აქვს, როცა ყვავის
ნუში.
შენზე ფიქრით, ჩემო კარგო,
სითბო ჩამეღვარა სულში,
მოდი ჩემთან, გამახარე,
ნუ დამტოვებ მარად მწუხრში.

ვიცი, მოხვალ, არ დამტოვებ,
მე კი ზღაპრულ სუფრას გავშლი,
მწვანე ველზე წამოვწვებით,
ევა, შენ გაცდუნებს ვაშლით,
შენგან აწეწილ ნაწნავებს დავიავ თეთრი თავშლით.

მერე ისევ გზას გავყვებით,
დავკრეფთ ვარდსა და ღიღილოს,
ჩვენს გულებში სიყვარულმა, ვით აპრილმა, იღიმოს,
არასოდეს წავფორხილდეთ,
ბედმა მუდამ გვიღიმოს.
ბოროტება, შური, მტრობა - შორს წაეღოს მიმინოს.

შენთან ყოფნა ჩემს ხასიათს, გაათბობს და შეცვლის,
ცხოვრებაში, ერთგულების, გულში გვენთოს ცეცხლი,
ბუხარს უნდა შევუკეთოთ, რომ არ გაჩნდეს ფერფლი,
არ გავცვალოთ სიყვარული არასოდეს ვერცხლში.

ლია ხმიადაშვილი ინჟინერი
დაბადების ადგილი ყვარელი საბუე. (ემიგრანტი)

* * *

როცა უყურებ ამდენ სიყალბეს,
ღალატს, ტანჯვას და უსამართლობას,
გული ბუდიდან ითხოვს აფრენას
და ცხრა მთას იქით სულის ამოსვლას.
სველ ღრუბლებს ძალით როგორ გაფანტავ,
ქარებსაც უჭირთ მათი გაფრენა...
მზის მხურვალება ცრემლად გადაღვრის,
აღარ გაგვიხდის დარდებს სათრევად.
წუთისოფელის დაუდევრობამ
სულის დაცემით ბევრი აცრემლა,
ყველასთვის მოაქვს ბედნიერება
თანაგრძნობაში სითბოს გაცემას.
გულმოწყალებით უნდა ვცდილობდეთ
წაქცეულების ფეხზე დადგომას,
ერთგულებით და სხვებზე ზრუნვაში
გამოიზარდოს ნორჩი თაობა.
სევდას, ტკივილებს წარსულს გავატანთ,
გამოაკეთებს შვება გუნებას,
ამდენი სახის სითბოს, ღიმილის,
დასამარების არ გვაქვს უფლება.
როცა შეხედავ ქვეყნის სიმშვიდეს,
გაქვს უკეთესი მომავლის რწმენა,
დრო აღარ მოგცემს უცხო მხარეში
გადახვეწას და ოჯახის რჩენას.
ვნატრობდეთ, ისე გამოიდაროს,
აღარ გაცივდეს სული და გული,
გულგრილობამ რომ ვერ დაგვაქციოს,
დავრჩეთ ყოველთვის ღვთის სიყვარულში.

* * *

განა ყველაფერს თქმა უნდა,
განა სულს არა სტკივა რა!...
გულს სიხალისეს ჩაუკლავს,
სიტყვებს შერაცხავს ტირანად.
სახეს სიცრუით შენიღბავს,
გონებას შხამით დაათრობს,
ცოდვის მორევში შეცურვას
შეხედავს, როგორც გასართობს.
არავინ დაბადებულა
ნიღაბით, თუნდაც უსახოდ,
ენას ლაგამი სჭირდება,
გზას გაიკვალავს უსაფრთხოდ.
დაუფიქრებლად ნათქვამი
გიტოვებს სამტროდ იარას,
მერე რად გვიკვირს, რისხვაში
თუ გულზე გადაგვიარა.
შურისძიების სურვილი
მოგვახვევს აზრებს არასწორს,
მიტევებით კი ვქეზდებით,
ბოროტს კეთილმა გაასწროს.

* * *

საიდან იღებს სათავეს
ამდენი ბოღმა, სიხარბე,
იმისთვის გავჩნდით ამქვეყნად,
ერთმანეთი არ გიყვარდეს?!

როგორ გაიდგა ფესვები
ზიზღმა, შურმა და სიხარბემ,
კეთილს ბოროტმა თუ სძლია,
რა მოგვიშუშებს იარებს.

უფალი სიყვარულია,
სძულს ამ ცხოვრების სიავე,
თუ მის საჭურველს ავისხამთ,
ყველა განსაცდელს გვიმარცხებს.

სულის ნაყოფით შემოსვა
დაგვამორჩილებს სიკარგეს,
ფიქრთადაც აღარ მოგივა,
ერთმანეთი არ გიყვარდეს.

* * *

ვინა ვარ, არ ვიცი, თავი ვერ მიცვნია,
როდესაც წარსულზე ფიქრებით ვმძიმდები
და მიკვირს, საერთოდ, თუ როგორ შევძელი,
მესუნთქა აქამდე, ამ ტვირთის ზიდვებით.

გადაღლილს, მოთმენით თვალები მემღვრევა,
განსაცდელს რომ ვძლიე, იმ სევდის ცრემლებით,
ქალი ხარ სათუთი და შრომის გმირობა,
მონობის ტოლია...ბევრს ნუღარც ეცდები.

ქალური სინაზე გაჭკნება ლოყებზე,
ქებაში სულ გითვლიან "ქალია მებრძოლი",
მირბიან წლები და შეწყვეტილ ცხოვრებას,
პირადულს, მგონია ვეღარც კი ეწყობი...

ეს ისე, ხანდახან, არ მიყვარს წუწუნი,
ვისწავლე ღვთის მადლით ადგომის ხერხები
და როცა სულს სტკივა, უფალთან ვსაუბრობ...
ვმშვიდდები და ხვალის იმედით ვმხნევდები.

* * *

ბევრს ნუ ოცნებობ, ნუ აგროვებ ქონებას უხვად,
ძალას წაგართმევს წუთისოფლის მაცდური გზები,
გადაგიყოლებს ბევრზე ფიქრი, გულის სიმძიმეს
ვეღარ აიტან, თავს აიკლებ ჩხუბით და წყევლით.

საარსებოდ და სასიცოცხლოდ ცოტა რამ გვინდა,
სულის საკვებად სიყვარული ვინატროთ ბევრი.
ხელცარიელი დავიბადეთ და ასე წავალთ,
ამ დროებითებს ნუ ვესწრაფვით სიხარბის დევნით.

ხედავ?! ბილიკი ვიწრო არის და მისასვლელი,
სიცოცხლის აზრთან გვაკავშირებს სიმართლის ძებნით,
თუ ღმერთს დავშორდით, ვიუცხოებთ მის სიახლოვეს,
განა ოცნებებს შეესხმება მუდმივად ფრთები.

* * *

სასოწარკვეთა გაგთელავს,
სულს ამოგივსებს სევდით,
რამდენს უთქმელად ჩაყლაპავ,
რამდენს გაგლოვებს ცრემლში.
თავს გაწყევლინებს, განატრებს,
სიცოცხლე გქონდეს პეპლის,
ირჩევ უნიჩბოდ შეცურვას,
გახდე თუნდაც ზღვის მსხვერპლი.
“ამაოების რაინდი”
მიზნებს გიცელავს ცელით,
მოპატიჟებას გიგზავნის
უღმერთოების ხელით.

ასეთ სუფრაში ჩარჩენილს
განაყრებს მძიმე წლებით,
გინდ აგიტაცოს იმედმა,
ჩამოატყდება ფრთები.
სასოწარკვეთავ, გიყურებ
როგორც მომავლის მკვლელი,
მე, უფლის გზაზე მიმავალს
რა მესაქმება შენში.
შენი მცდელობა მარცხდება,
დაცემულს ყველას ვეტყვი,
როცა ღვთის რწმენით დავდივართ,
როცა ღმერთი გვყავს გვერდში.

***

სურვილების ასრულებას
როგორ ველოდები,
ზღაპრად არა,
ცხადად მინდა,
რომ გავშალო ფრთები.
ეს სამყარო მომატაროს
ვინმემ ნდობის ხელით,
ახდენილი ოცნებებით,
დაშაქრული გზებით.
ყველა ფერი გადამაცვას,
გამილაღოს წლები,
ჯადოქრების ჯოხით არა,
არც სიზმრების ხედვით...
შენგან ველი მზეჭაბუკო,
თანაც თრობის მზერით,
-სიყვარულით გამიტაცო,
ტრფობის სავსე ვნებით.

***

როგორ მიყვარხარ,
როგორ სჭირდები
ამ გულს, სევდაში ნათრევს,
წვიმების თქეშით გაჟღენთილ მიწას
ნისლი სიმშრალეს ართმევს.
სულის მზეობას ვეღარ ვახერხებ
და ეს დარდებით მავსებს,
ვის შევღაღადო ჩემი სიმწარე,
ვინ მომიშუშებს ნაღველს.
აგორებული შფოთვის სიმძიმეს
ვკიდებ უმთვარო ღამეს,
ნატვრად ქცეული შენზე ფიქრებით
ძილი დავუფრთხე თვალებს.
დღისა თუ ღამის სადარაჯოზე
ცრემლით გავყურებ სარკმელს,
არა, სიყვარულს ნუღარ შემაჩვევთ,
გულს თუ უარით მატკენთ.

* * *

ისევ ომი, ისევ კაცთ- კვლა,
ისევ სისხლის დაღვრა,
სადავო აქვთ, გასაყოფად
ვერ მოძებნეს სხვა გზა,
უკვე დროა, შეაჩერო,
ღმერთო ჩემო, სად ხარ!
ბოროტობის აღზევებით
სიყვარული ჩაკვდა.
რომ იცოდნენ შენი თმენა
საზღვრებს როგორ გასცდა,
ვფიქრობ, აღარ ისურვებდნენ
უღვთო გზებით გავლას.

* * *

უშენობისგან თვალებში
გადაუღებლად წვიმდა,
გული სარკეში ორეულს
შეცდომებისგან სჯიდა.
სული სამარის ზემოდან
მზერით ღრმა ორმოს თხრიდა...
ყველაფრის უკან ბოროტი
ნიშნის მოგებით ცრიდა.
ტკივილს სიკვდილი მოედო,
ჩასაფრებია ხიდთან,
შენ დაიე, უფალო,
ყველა ცდუნების გზისგან.

* * *

გთხოვ, კვლავ ჭრილობებს ნუ გამიხსნი, ვცდილობ შეხორცდეს,
ნუ შემახედებ ტრფობის ალით დამწვარ იარებს,
სადაც აქამდე, სულის ტკივილს თმენით ვათრევდი,
ახლაც ვეცდები, არ დამთრგუნოს დარდის სიავემ.

დიდხანს გელოდი, არ გამოჩნდი, ნატკენი გულით
თოვლში, წვიმაში, ცივ ავდარში ობლად ვიარე,
არც არას გთხოვდი, ცოტა სითბოს და ესეც ცივად
გათოშილ გზებზე არც კი შეგრცხვა, ისე მიაგდე.

ჰო, დრო ყველაფრის მკურნალია, გადამავიწყებს,
არ გამახსენებს არც ახლანდელს და არ გვიანდელს,
აღარ მომძებნო, არც ინდომო ჩემთან შეხვედრა,
ჭკუა ვისწავლე, ჩემი თავი უფალს მივანდე.

* * *

წლები ზურგს უკან მოგსდევდა,
ხვეწნა-მუდარით, ცრემლებით.
დრო წარსულს აღარ მიჰყვება
და მეც ამ ბრძოლას ვნებდები.
წლების დაქანცვა მადარდებს,
უაზროდ ცვეთაც ნერვების,
დრო მკურნალია, ვინა სთქვა,
ტკივილს დღესაც ძლივს ვერევი.
იქნებ როგორმე დავძლიო,
გულს ავაცალო ეკლები,
ჩემი დროც მოვა, მომავალს
სიმშვიდით შევეკედლები.

* * *

მზემ, ფანჯარაში შემოირბინა,
გაქცევაზეა, დროს ვერ ურჩება,
არ ვეძალები, რადგან ისწრაფვის,
სითბო მიართვას ყველას უთქმელად.
რა მისაბაძი სიყვარულია,
სურვილი იქცეს ყველას ნუგეშად,
ეს მაშინ უფრო, როცა სიავე
სულს და გულს ართმევს სითბოს უფლებას.
მინდორს ფერები ტანზე აცვდება,
მიწას სისველე თუკი უშრება,
როცა ღრუბლები მზეს დაგვიკავებს,
ერთმანეთისთვის ვიქცეთ ნუგეშად.

* * *

(აქ, უცხოეთშიც კი, როცა ინტერესდებიან ჩემი ქვეყნით...)

მე შეგაყვარებთ ჩემს სამშობლოს და იცით, როგორ?!
რომ ნატრულობდეთ იმ მხარეში ყველა გზის გავლას,
მთების, ველების სილამაზით ისე დაგათრობთ,
ვერ ფხიზლდებოდეთ, თქვენს მიწაზე სანამ არ წახვალთ...
მერე აქ იტყვით, რა ვნახეთო, რა სიდიადე,
რა სიყვარულით გვიმასპინძლეს, რა სითბო დაგვხვდა,
იმდენი კარგის მოზიარე, მომსწრენი გავხდით,
შეგვიძლია ვთქვათ, ყველაფერი ღვთიურსა ჰგავდა.
ყველას გაანდობთ თქვენს გრძნობებზე აგებულ განცდებს
და მოუნდებათ, ვიცი, მათაც თქვენსავით წასვლა,
და მერე მე კი... სიამაყით მოვეფერები
შთაბეჭდილებით განცდილ თქვენგან ბევრ გულწრფელ ნათქვამს.

* * *

დამელოდე, იყოს თუნდაც გვიან,
დამელოდე, ცრემლს შეგიშრობ კოცნით,
დამელოდე, მოგაკითხავ მალე
უსასრულო სიყვარულის თხოვნით.
თუ შორსა ვარ, ეს არ ნიშნავს უარს,
მიზეზების ჩამოთვლას ვერ მოვრჩი,
საყვარელო, რომელ ღამეს უნდა
გათენება გოდებით და მოთქმით.
დამელოდე, გაზაფხულის მოსვლას
ველოდებით მოთმენით და მოდის,
დამელოდე, ტკივილი მეც მომკლავს,
თუკი ჩემს დროს ემუქრები მოკვლით.

* * *

უსიყვარულოდ ყოფნა ძნელია,
ხალისს გართმევს და მოწყენას გაჩვევს,
სულის ნაყოფებს ისე გიცვეთავს,
სურვილს გიკარგავს, შენს გვერდში დარჩეს.
ღვთისმოსაობის, რწმენის არეალს
სინდისის ქეჯნით არიდებ სახეს.
დასუსტებული ვერ გრძნობ, ცხოვრება
თავბრუს როგორი სიცრუით გვახვევს.
გულგრილობის და წყენის ზიანი
ვხედავთ, რა მძიმე შედეგებს გვაძლევს,
გადავემტეროთ ქვეყნის ცდუნებებს,
უსიყვარულოდ ვერაფერს დავძლევთ.

* * *

ვიცი,
ჩემს გვერდში როგორ გსურს ახლაც,
როგორ ნატრულობ შეჩვეულ ალერსს...
როგორ მიყვარხარ,
ოჰ,
ეს სიშორე
გულს მერამდენედ უთენებს ღამეს.
თვალი შორსაა,
გულიც შორდება, -
არ თქვას არავინ ასეთი რამე,
ნამდვილ სიყვარულს ნუ შემიდარებთ,
ვითომ მეგობრის თვალთმაქცურ სახეს.
ნახვის სურვილებს დრო და მანძილი
დაუკითხავად თავს მეტად გვახვევს,
დროებითია ეს ყველაფერი,
დრო შეთანხმებას ვერ გადაგვახევს.

* * *

ნუ დამღალე ბუზღუნით და ბოდიშებით,
არაფერი აღარ მინდა შენი.
ამ სამყაროს მოვევლინე და ბოლომდე
ვერ ვიცხოვრებ სულ ცრემლით და წყენით.
გაპატიო?! მერამდენედ გაპატიე,
ახლა მინდა, ვიყო მარტო, ჩემთვის.
შენ რა გესმის სიყვარულის განათლების,
სიყვარული - ძღვენი არის ღმერთის.
ხედავ იქით? კოცნის ბიჭი გოგოს ნაზად,
მიყვარხარო, მთელი გულით ეტყვის,
თუ ღალატში დაიჭირა, მერე ტკივილს
დაჩოქებით ბოდიშიც ვერ სდევნის...
წადი შენთვის, მეც დამტოვე დაწყნარებით,
კიდევ ნერვებს ნუღარ მიშლი ცქერით..
მერე რა თუ დღეს ობლობა გადამქანცავს,
ღვთის შეწევნით ხვალ ყველაფერს შევცვლი.

ხათუნა თედიაშვილი ბიბლიოთეკარი
დაბადების ადგილი ახმეტა ილტოს ხეობა

მე დავიბადე ივნისის თვეში!

მე დავიბადე ივნისის თვეში,
ილტოს ნაპირას, კვეტართან ახლოს,
იმ ღამეს წვიმდა, მინდორშიც, ტყეშიც,
სადაც ასული კვეტარი სახლობს.
ჩემს დაბადებას წვიმები მოჰყვა,
ილტოს შენაკადს შემოჰყვა ხავსი,
კვეტარის ციხის, ნაზმა ასულმა
მუზით და ლექსით გატეხა ნავსი.
დიახ, ლექსს ვწერდი სანაპიროზე,
მედგა მოლბერტიც ცაცხვის ხეებთან,
სადაც წავედი, მთელი ეს წლები,
მუდმივად მქონდა ლექსთან შეხება.
დღესაც მივყვები მუზის ბილიკებს,
კვეტარის ასულს, მიხმობს ხეობა,
ჩემი ცაცხვები, ღიღინ-ღიღინით
გამიმართავენ ცის ქვეშ დღეობას.
წნორის ხეებიც ილტოს ნაპირას,
ტოტგამოწვდილნი, მელოდებიან,
მალე გვეწვიეთ ასულო ჩვენო,
რომ სიყვარული ისევ აგიხსნათ.
ფიქრის გორასთან, გვირილაც მიცდის,
მისი ფურცლები, ჩემი წლებია,
კესანები კი ჩემი ბავშვობა,
მოგონებებს, რომ ეფერებიან.
კვეტარის ციხე,თავისთან მიხმობს,
და გვარის ნიშაც, იქ მაღლა ტყეში,
მე დავბრუნდები, როგორც ის წვიმა,
ჩემს დაბადებას, რომ მოჰყვა თქეშით.

***

მივყვები ბილიკებს, ნაცნობი გარემო,
ჩიტების ჭიკჭიკი სიხარულს მანიჭებს,
მზე სხივებს მიგზავნის, ნათელს და ოქროსფერს
და ვხედავ, ხალისიც ამ გულს რომ აგიჟებს.
გზის პირზე მიცინის, წითელი ყაყაჩო,
კესანებს, გვირილებს, უღიმით ფურცლები,
დღეს ისე კარგია, ბუნებაც, სიცოცხლეც,
ახალი ხალისით აღვსილი ვბრუნდები.

ჩიტბატონა

ირგვლივ ხმაურია, მზე და დედამიწა,
თითქოს გაგიჟდაო, გადირია,
მესმის ჭიკჭიკი და ჩიტბატონა,
ისე გაცელქდა,რომ აირია.
ჩემსკენ მოფრინავს და მესალმება,
ისევ მეტიჩარას ძახილებით,
რით ვერ დაივიწყა, წლებში დარჩა,
ახსოვს ის ბავშვობა, გავგიჟდები.
როცა, სულ პატარა გოგო ვიყავ,
მხატვრის ფუნჯებით და აკვარელით,
მახსოვს ვეძახოდი დაგხატავო,
ის კი თან დამდევდა საყვარელი.

ერთად დავდიოდით, ტყის ნაპირას,
ცაცხვის ხის ძირებში დავჯდებოდით,
ხატვას ვიწყებდი და მერე თითქოს,
უკვე ამ სამყაროს გავცდებოდით,
ზღაპარს ვეწვეოდით, ზღაპრის გმირნი,
ფუნჯით იწყებოდა გარდასახვა,
თუმცა, იქ, რაც ვხატე ბავშვობაში,
ყველა ძველ წარსულში გადასახლდა.
ახლა, რას მერჩოდი ჩიტბატონავ,
რატომ ამირიე ოცნებები?!
როცა დავივიწყე ბავშვობა და
ისიც,რაზეც ასე ვოცნებობდი.

* * *

შხაპუნა წვიმაა, ასველებს კვლავ ფიქრებს,
არ ინდობს ატმის და ალუბლის ყვავილებს,
ფეხდაფეხ მომყვება, მეძახის შორიდან,
ოდესმე მოგძებნი და აღარ გაგიშვებ.

ნისლიან საბადურს, იები ამშვენებს,
უსიერ ტყეში კი კვლავ წვიმის თქეშია,
შარაგზას მივყვები, ფიქრებით ავსილი
და ვხედავ ბუნებაც, უარეს დღეშია.

მამკოდის ციხეზე, მზის სხივმა იძალა,
მოწყენილ ბუნებას მოჰფინა ნათელი,
წუხელიც ტიროდა, გული და გონება,
ამიტომ, იახსარს დავუნთე სანთელი.

ახლა კი, მივდივარ,ბავშვობა იქ დარჩა
ასწლოვან ჭადართან, „არტიზას" წყაროზე
რამდენი ამბები, ბავშური ცელქობა,
ვიხსენეთ და მერე შემოვდეთ თაროზე.

იქ, ხსოვნის თაროზე, რაც დარჩა ზღაპრებად,
ბავშვობა ლამაზი, ტკბილი და საამო,
კვლავ მინდა დაბრუნდეს, თუნდ წუთით დაბრუნდეს,
რომ მერე თვალები ჭინკებმა აავსოს.

პატარა გოგონა კვლავ გარბის ყანაში,
ყაყაჩოს ზღვა არის, თავთუხის ველებზე,
მოსძახის მერცხალი, დაბრუნდი პატარავ,
არწივი გდარაჯობს, კავკასის ქედებზე.

გოგონას არ ესმის,ყაყაჩოს ცეცხლშია,
უბრწყინავს თვალებში,ლაჟვარდი ცისფერი,
ლოყებზე ბროწეულს გადუსვამს ფუნჯი და
ტუჩებით ხალისს და სიცოცხლეს გიმღერის.

აღელდა ყაყაჩო, შეუკრთა ხალები,
გოგონას კაბაზე ზის, ჭია-მარია,
იცოდე პატარავ, ახლა თუ წვიმაა,
გამოვა ამინდი, ხვალ მზე და დარია.

იორზე

დილას იორზე შამამხვდა, მზექალო, თეთრი გვირილი
და როგორ ჰგავდი მზისფერავ, ე მაგ ლამაზი ღიმილით,
კოცნა მამინდა მისი და მან მორცხვად თავი დახარა,
ნეტავ, ეს ნამი იყო თუ წვიმამ ცრემლები წაჰყარა.
ხელის გულებზე გიგროვე, მზექალო, როგორც მძივები
და მარგალიტად ასხმულებს,
აბრწყინებს მზისა სხივები.
მერე კესანე შემომხვდა,მიმზერდა შენი თვალებით,
მზისფერო, თითქოს სულს ჩამწვდა
და მითხრა შეგიყვარებდი,
მაგრამ ქარაფებს გავყევ და ზეზვავ, შენ, ნუღარ მამელი,
ცრემლები წასკდა ჩემს გრძნობებს,რამდენი დამრჩა სათქმელი.

შენ რომ არ მყავდე!

შენ რომ არ მყავდე, გასკდებოდა, ალბათ, ეს გული,
უთქმელი დარდი ჩამორეცხდა თვალებს წვიმებად,
შენ რომ არ მყავდე,მოკვდებოდა, ალბათ, სულიც და
უსულო სხეულს წაიღებდა სევდის დინება.
შენ რომ არ მყავდე,ვერ შევძლებდი, ალბათ, სუნთქვასაც,
უჰაერობა დახვრეტავდა ფილტვებს ტყვიებით,
შენ რომ არ მყავდე, ყველა ვენას გადავიჭრიდი,
ცრემლის სუიციდს მომიწყობდნენ ლურჯი იებიც.
შენ რომ არ მყავდე,დაკარგავდა აზრსაც ცხოვრება
და აღარც გრძნობებს ექნებოდა მძაფრი ფერები,
თუმცა, მყავხარ და რად მჭირდება მე სხვა ქონება,
მუზავ,არასდროს დავიღლები შენი ფერებით.

* * *

ზეცა მომენატრა სავსე ვარსკვლავებით,
ცაზე ერთადერთი მთვარეა,
სადღაც გაფრენილან ჩემი ოცნებები,
სულში უშენობით ღამეა,
ზღვის პირს მივუყვები ისევ ძველი ჩვევა,
ვერა, ვერ ვივიწყებ თოლიებს,
ხშირად ვაკითხავ და მერე ნიჟარების კვლავაც მაჩუქებენ„კოლიეს”.
ზეცა მომენატრა სავსე ვარსკვლავებით,
ცაზე მარტოსული მთვარეა,
ისევ არეული ტირის ფიქრები და სულში უშენობით ღამეა.

* * *

მღელვარეა დღესაც ზღვა და მღელვარე ვარ მეც,
ტალღა ისე აქოჩრილა შხეფებს უწვდენს მზეს,
წამოდიო,გულს ჩაგიკრავ, შორით მიქნევს ხელს,
მე, კი იმას როგორ ვენდო, არეულა დღეს.
ქაფიანი ტალღა მომდევს და მისველებს თმებს,
კაბის გულზე ნახატ ღუზას, წაატანებს ხელს,
შენ რომ ჩემგან წახვიდეო,გავგიჟდები დღეს,
გავექეცი,რადგან ღელავს და მაღელვებს მეც,
ხელებს ვუშვერ,რომ გამათბოს გაყინული მზემ,
დამიბრუნდი, ჩემო სუნთქვავ,ტალღა მიშვერს ხელს

* * *

ქუჩაში მიმავალს მზის სხივი მომყვება,
ნაწვიმარ ასფალტზე მე ფრთხილად ვაბიჯებ,
ჩიტებმა ალერსით ჩამხედეს თვალებში
და მათი ღიმილი ვხედავ, კვლავ, მაგიჟებს.
ნაწვიმარ ღრუბლებსაც უღიმით ტუჩები,
წავიდნენ, გაქუსლეს, ზეცაა კრიალა,
მარტია, ძვირფასო, ნეტავი, რა გიკვირს?!
მზე სხივებს მაყრის და ოცნებებს ბრჭყიალას.
ტროტუარს მივყვები, ალერსით მთვრალი ვარ,
თითქოსდა, დავცალე, ხალისის ფიალა,
სიცოცხლის წყურვილმა დაფლითა ვენები
და მზე შემიყვარდა, უბრალოდ, მთლიანად.....

* * *

შენი სიყვარულის შევსვი სადღეგრძელო,
ხელში აწეული მიჭირავს ფიალა,
იცოდე, მიყვარხარ, ძვირფასო ძალიან,
მიწიდან ზეცამდე, ბოლომდე, მთლიანად....
და სანამ მიყვარხარ, სანამდე შენთან ვარ,
სიხარულს გაჩუქებ, ტკივილებს კი არა,
შენ, ჩემი სუნთქვა ხარ, სიცოცხლის ხალისი,
ამიტომ ეს გრძნობაც ზღვის ღელვას მიაგავს.
მე მოვალ ღიმილით, სიცოცხლის ხალისად,
შენს გულში ავანთებ ვარსკვლავებს ბრჭყვიალას,
იცოდე, მიყვარხარ, ძალიან, ძალიან,
მიწიდან, ზეცამდე, ბოლომდე, მთლიანად.

ასპინძა

შარაგზას მივყვები, მზიანი დილაა,
ბებერი ასპინძა ამაყად მიცქერის,
ტერასზე, ქარაფზე ყაყაჩოს ცეცხლია,
შევყურებ გარემოს და სევდით ვივსები.
ყაყაჩოს ცეცხლია, გარშემო ველებზეც,
ვფიქრობ და ვიხსენებ მის წარსულს ნაომარს,
ქვით თლილი კლდეები, ღრიალა მტკვარი და
თვალს ვეღარ ვაშორებ ბუნებას საოცარს,
გავხედე ჰორიზონტს,
იქ, ცხენი მოგელავს,
უბელო ცხენზე ზის ველური მხედარი,
თმას უწეწს ჰაერში,
ნიავი თავნება,
ქალია, მთის შველი, ამაყი, კენარი,
ანათებს სხივები, მის მხრებზე კულულებს,
და თითქოს ზეციდან მოფრინდა ფერია,
აჩქარებს ცხენსა და ჯირითით გადაღლილს,
თხოვნით ჩასძახის-იჩქარე მელიან.
ყაყაჩოს ცეცხლია,ველებს რომ მოედო,
ქართველთა სისხლია,მამულზე დაღვრილი,
რამდენი ბრძოლა და სიმწარე უნახავს,
ტაძრები მტრისაგან დამწვარი-აღგვილი.
ხერთვისის ციხიდან აფრენილ შევარდენს,
ვარძიის ციხეში ელიან, მივიდეს,
ამიტომ იჩქარის ველური მხედარიც,
ჩქარობს და მტრის თვალსაც, ამიტომ ირიდებს,
შიკრიკი მალულად, იქ, ველზე მიჰქრის და
ყაყაჩოს კვალს ტოვებს, ტერასზე, გორებზე,
ვარძიას ლაშქართან ჩქარობს ის ასული„
მტერია მტკვრის პირად, ხეობას მოედვნენ.
იბრძიან ხერთვისში, ვაჟკაცნი მთისა და
მთლად სისხლით მოირწყო, შეხედეთ მამული,
ხმალ-ხანჯლით კაფავენ, მთის ურდოს მოსეულს,
და ისმის კივილი, აქ სპარსის გაბმული
„გიაურ შეჩერდი, ვინა ხარ, რა ხარ და
მოყმე სჩანს ისეთი, მტრის ცხედრებს ახვავებს,

არ ინდობს არავის ათს ერთად ჩეხავს და
აგროვებს სპარსების დაჩეხილ მხარ-მკლავებს,
აფერუმ გიაურ, ვეფხვი ხარ ნამდვილი,
თვალებით ცეცხლს აფრქვევ და ხანჯლით სიკვდილს თესავ
შენებრი, რომ მყავდეს ეს ჯარი ლაჩრების,
მსოფლიოს დავიპყრობ, მაგრამ ვკვდები დღეს,აქ.
დაეცა სპარსი და ვარძიის მხრიდანაც,
გაისმა ლაშქრის ხმა, ხმამაღლა კიჟინა
გაიქცა მომხდური ლაჩრულად ველიდან,
მისდევენ ვეფხვები კაფავენ, მტერს წინაც.
და სისხლის წვეთებად, ამოსულ ყაყაჩოს,
მოუცავს მთლიანად ტერასიც, ქარაფიც,
მივყვები ფიქრებით, შარაგზას ასპინძის
ბრძოლით და შესევით, ნაომარს გადაღლილს.

* * *

ამ დილას ალიონს შემოვხვდი სტრიქონთან,
უძილომ, მუზასთან ვათიე ეს ღამე,
ვეცადე წასვლა და არაფრით მომეშვა,
უთქმელი, ნუ წახვალ, მითხარო, მე რამე.
ვიცი,რომ ცხოვრება ყოველდღე ბრძოლაა
და მხოლოდ ძლიერებს, ძლიერებს უმართლებს,
მას ჰქონდა იმედი ჩემი და რატომღაც,
მე დღემდე მოვდევ და ამ იმედს ვუმართლებ.
ბევრჯერაც დავეცი მუხლებზე და მაინც
შევძელი ათასჯერ თავისით ადგომა,
უფალი და მუზა არასდროს მტოვებდნენ
და არც მე მიცდია მათ გვერდზე განდგომა.
მე ახლაც კვლავ, ვებრძვი ბობოქარ ცხოვრებას,
ჩემთვის რომ არ რჩება არასდროს ადგილი,
გპირდები ძვირფასო, ამ ომსაც მოვიგებ,
თუმცაღა, უმსხვერპლოდ, არაა ადვილი.

ეთერ ბერიშვილი ეკონომისტი
დაბადების ადგილი ქუთაისი. (ემიგრანტი)

* * *

გთხოვ მე არ მიდარდო დედა,
ცუდი აქ არვისზე მეთქმის,
მხოლოდ შენი დამაქვს სევდა,
"ცუდათ ვარო" გთხოვ ნუ მეტყვი.
ღამე თეთრად მათენდება,
დედაღვთისას თავს ვავედრებ,
დედი რადგან დღეს შენს სუნთქვას
შორიდან რომ თვალს ვადევნებ.
გამელია დარდში წლები,
სიბერის დროს მარტო მყევხარ,
ახლა შენ გჭირდები ვხვდები
და მე სხვის მოხუცებს ვხედავ.
დედი როცა მზის სხივები,
მეფერება გულს მისახლის,
შენს თავს ვფიცავ დედი მართლა,
მგონია შენ თმას მივარცხნი.
მერამდენედ ღამე უკვე,
ფიქრებს მთვარის შუქზე ვძერწავ,
სული ვერაფრით განვკურნე,
ჩემს გვერდით რომ ვერა გხედავ.
თმებზე დამეფიფქა წლები,
სახეს დამსტყობია ღარი,
ახლა ზედმეტია ცრემლი,
წლების მართლაც დანაკარგის.
ვფიცავ არ ავყვები სევდას,
ოღონდ შენ მეყოლე კარგად,
მალე დავბრუნდები დედა,
ოღონდ, დამელოდე კართან.

* * *

შენ დარჩი მარტო
და მეც მარტო ვარ,
ფიქრები ისევ
გვაქვს საჰაერო,
წლები გავიდა
მოგონებებში
და დღეც არ გვქონდა
ერთხელ საერთო.
წლების რბოლასაც
არა აქვს აზრი,
ვერ იმორჩილებს
გულს და თავხედობს,
შენ საზღვარს იქეთ...
მე საზღვარს აქეთ....
და წამიც არა
უერთმანეთოდ....

* * *

ემიგრანტს ნუ ჰკითხავთ როგორ ხარ,
ვერ გეტყვის არა აქვს პასუხი,
მის თვალზე სულ ცრემლი მოგორავს,
უყინავს გულს ზამთრის მას სუსხი.
გაქრა და გაზაფხულს ვერ ხედავს,
რადგან დრო მის გულში გაჩერდა,
ამხილოს ამასაც ვერ ბედავს,
ტკივილი გულშიც რომ დასჩემდა.
ღიმილებს არიგებს დაღლილი,
თვალები სიცოცხლით "უბრწყინავს",
გულში კლავს იმ წუთებს განვლილის,
ღამე სასთუმალს რომ უყინავს.
ტკივა და ვერასდროს ვერ ამხელს,
დარდი აქვს შვილების, ოჯახის,
ჯაფასაც იმაზე მეტს ავლენს
თითქოსდა იყოს ძან ყოჩაღი.
სარკმელთან თენდება ფიქრებში,
დილით კი საქმისკენ იჩქარის,
-"მე შევძლებ, პატარებს ვჭირდები",
სულ არ უშინდება ცივ ქარის.
ჩემი მე არ ახსოვს ვინ არის,
სარკისთვის დღეს არა სცალია,
არც ახსოვს თუ იყო მცინარი,
წლები სხვის ჭერქვეშ რომ გალია.
სრულდება სიცოცხლე ცრემლებად,
საათიც ცალ ისარს აბრუნებს,
ემიგრანტს თუ შერჩა შეძლება,
მოსთხოვეთ შინ დროზე დაბრუნდეს...
ნუ ჰკითხავთ ემიგრანტს როგორ ხარ,
როგორ გრძნობს თავს ამას ვერ უბნობს,
სიშორის ცრემლი რომ მოგორავს,
ამას ხომ თვალებიც საუბრობს.

* * *

ნეტავ იცოდე რა ძნელია თვალზე ცრემლები,
არ შეგამჩნიონ გადამალო სათვალის უკან,
გაიღიმებ და ცრემლებს მხოლოდ ღამით ეხები,
მარტო დარჩენილს რომ მიხურავ კარებს ზურგსუკან.
გადაიშლება ყველა დარდი ყველა ტკივილი,
ცრემლების ზღვასაც მიეცემა მაშინ გზა თო,
შენს მონატრებას ვეღარ უძლებს გული და კივის,
ისევ გეძახის თბილი სიტყვა რომ გამაგონო.
კვლავ შენს ფიქრებში გათენდება ალბათ ეს ღამეც,
განთიადისას ნიღაბს ვირგებ და ცრემლს დავმალავ,
ცრემლების მალვით ღიმილის მიღმა ისევ გინატრებ,
ამ მონატრებით, სრულ ჭკუიდან თუ არ გადავალ.

* * *

მე დედა ვარ და გულით დამაქვს თქვენი დარდები,
არ გაიკვირვოთ თუ კი ასჯერ გკითხოთ როგორ ხართ?
თვალწინ გამირბენს სიყვარულის წამი კადრებით
და მონატრების ცრემლებიც კი თვითონ მოგორავს.

ჰო, დედა ვარ და ვერ ისვენებს უთქვენოდ გული,
არცერთი წამი თქვენს გარეშე რომ ვერ ვიხსენე,
ეს წლები თითქოს საუკუნედ არის გასული
და ამ სიშორეს თქვენი დარდით ვერ დავისვენე.

მე დედა ვარ და მერე რა თუ ზრდასრულები ხართ,
ისევ მადარდებს თქვენი დილა, ყველა საღამო,
გაგეღიმებათ წვრილმანზეც რომ ჩაგძიებივართ
და ეს ღიმილი მაიმედებს ყოველ საღამოს.

მე დედა ვარ და არ მიწყინოთ ყოველი კითხვა,
რომ ვერ ისვენებს გული, ღამე ძილიც მიკრთება
თუ არ გავიგე ნამდვილად რომ სულ არა გტკივათ,
მერე კი თქვენი თბილი სიტყვით გულიც მითბება.

მე დედა ვარ და ნუ დამცინებთ დედას "მტირალას",
ემიგრანტობას შევალიე რამდენი წელი,
მე თქვენზე ლოცვით ღვთისმშობელი სულ გზას მიკვალავს,
ამიტომაა ეს წლები რომ უთქვენოდ ვძლებდი.

ჰო, მე დედა ვარ ცოტა "გიჟიც" "გადარეულიც",
მსურს თქვენ სიცოცხლეს ავეო ყოველწუთს ად,
არასდროს ვდარდობ ამ მძიმე გზას, წლებს გალეულის,
რადგან მზესავით გულში ანათებთ ღიმილის დარად.

მე დედა ვარ და ბედნიერი მინდა სულ მყავდეთ,
სიკეთე გდევდეთ, ბოროტება გულს არ გაივლოთ,
სამშობლოსა და წინაპრების სასმის სულ სვავდეთ
და სიყვარულით და სიკეთით გული აივსოთ.

* * *

მე დედა ვარ და გულით დამაქვს თქვენი დარდები,
არ გაიკვირვოთ თუ კი ასჯერ გკითხოთ როგორ ხართ?
თვალწინ გამირბენს სიყვარულის წამი კადრებით
და მონატრების ცრემლებიც კი თვითონ მოგორავს.

ჰო, დედა ვარ და ვერ ისვენებს უთქვენოდ გული,
არცერთი წამი თქვენს გარეშე რომ ვერ ვიხსენე,
ეს წლები თითქოს საუკუნედ არის გასული
და ამ სიშორეს თქვენი დარდით ვერ დავისვენე.

მე დედა ვარ და მერე რა თუ ზრდასრულები ხართ,
ისევ მადარდებს თქვენი დილა, ყველა საღამო,
გაგეღიმებათ წვრილმანზეც რომ ჩაგძიებივართ
და ეს ღიმილი მაიმედებს ყოველ საღამოს.

მე დედა ვარ და არ მიწყინოთ ყოველი კითხვა,
რომ ვერ ისვენებს გული, ღამე ძილიც მიკრთება
თუ არ გავიგე ნამდვილად რომ სულ არა გტკივათ,
მერე კი თქვენი თბილი სიტყვით გულიც მითბება.

მე დედა ვარ და ნუ დამცინებთ დედას "მტირალას",
ემიგრანტობას შევალიე რამდენი წელი,
მე თქვენზე ლოცვით ღვთისმშობელი სულ გზას მიკვალავს,
ამიტომაა ეს წლები რომ უთქვენოდ ვძლებდი.

ჰო, მე დედა ვარ ცოტა "გიჟიც" "გადარეულიც",
მსურს თქვენ სიცოცხლეს ავეო ყოველწუთს ად,
არასდროს ვდარდობ ამ მძიმე გზას, წლებს გალეულის,
რადგან მზესავით გულში ანათებთ ღიმილის დარად.

მე დედა ვარ და ბედნიერი მინდა სულ მყავდეთ,
სიკეთე გდევდეთ, ბოროტება გულს არ გაივლოთ,
სამშობლოსა და წინაპრების სასმის სულ სვავდეთ
და სიყვარულით და სიკეთით გული აივსოთ.

* * *

აბა რა ვინატრო მეტი,
ჩემი მთა-ველების გარდა,
სუნთქვა კვლავ ჩამესმის შენი,
ქარის მონაბერი კართან.

ახლაც აკაციის ჩრდილში,
"კიდემოტეხილას" ვხედავ
და თვალზე მომდგარ ცრემლებს,
გზას ვუთმობ მალვას ვერ ვბედავ.

ვხედავ კვალებშუა იქვე,
ფუსფუსებს დაღლილი დედა,
ხელჯოხს დაეყრდნობა ხანაც,
მგზავრს მომავალს რომ ხედავს.

იმედის არ წყდება ძაფი,
შვილის მოლოდინით დამდნარს,
თავშლით ჩუმად იწმენდს ცრემლს და
ლოცავს მგზავრს შორ გზაზე მავალს.

როგორ მენატრება როგორ,
სოფლის გზა, ეზო და ყურე,
მახსოვს ვაფრთხობდი შაშვებს,
რომ შეექცეოდა ყურძენს.

აბა რა ვინატრო მეტი,
თუ არ ჩემი მხარის გარდა,
დედის გამთბარი ხელი და
სოფლის მხიარული შარა.

კეცზე გამომცხვარი მჯადის
სურნელი რომ ასდის ბუხარს,
შრიალი შემოდეგის და
მოსავლის აღება უხვად.

ჩემს მთებს ჩამახუტა ნეტავ
ცრემლებს შევიშრობდი თვალზე,
გთხოვ არ მიუცხოვო ვდარდობ
რომ ჩაგეხუტები ხვალე.

* * *

გულით დამაქვს საქართველო,
ჩემი მიწით ვიარები,
აბა როგორ გავამრთელო,
მონატრების იარები.
თუ მომეცა კიდევ შანსი,
ხელმეორედ დავიბადო,
საქართველოს მინდა საშვი,
რომ არასდროს დავიდარდო.
ჩემი ცა და ჩემი მიწა,
მირჩევნია უცხო მხარეს,

ის აკვანი იქ დაირწა,
ჩემთვის როცა გამოთალეს.
ოდითგანვე გვესეოდა,
მტერი, მაგრამ ვერ დაგვძლიეს,
ქართველები სულ მზეობდა,
ჭიქა ღვინოც მტერს აძლიეს.
კვლავ გვებრძვიან მაგრამ ვერა,
დაცემული არ დარჩება,
თუ კი ერთმუჭ შევიყრებით,
საქართველი გადარჩება!

* * *

სამშობოდან გადახვეწილს,
გთხოვთ ნუ გიკვირთ ჩემი სევდა,
მონატრების ტკივილები,
რადგან ძლიერ გამიბევრდა.
ვერ ედრება უცხო მხარე,
ჩვენი ქვეყნის სილამაზეს,
სადაც სტუმარ-მასპინძლობის,
სიყვარულით გამომზარდეს.
სულ სხვა არის ჩვენი მთების,
ექოს ხმა და მათი ბანი,
სხვანაირად გვეფერება
საქართველოს მთა და ბარი.
გულში გვიკრავს ქართლ-კახეთი,
სამეგრელო, იმერეთი,
მტრის დახვედრა აქ იციან
სამეგობრო სიმღერებით.
ჩვენი ქართველებისთანა,
ხალხი არსად მეგულება,
ძმობის, ფიცის, სიყვარულის
რომ იციან ერთგულება.

ასეთია საქართველო,
მსგავსი რომ ვერ ვნახე ვერსად,
მის სადარი ჯერ ვერავინ,
ვერ დაწერა ჯერ ვერც ლექსად.
ჰოდა კიდევ როგორ სუნთქვს
გული მკერდში ძლიერ მიკვირს,
ამიტომაც გულისგულში
არ იშლება ვარდის კვირტი.
და რამდენი ბევრი ღამე,
არის თეთრად ნათენები,
ან ვინ მოთვლის ცრემლებს დაღვრილს,
დაუთმობელ ნათმენებით.
ახალი დღე ძლიერ მოჰგავს,
ტყუპისცალად აწ წარსულ დღეს,
და ფიქრები შიშით მიპყრობს
სიცოცხლე აქ არ დასრულდეს.
ალბათ რიცხვსაც ვნახავ მალე,
კალანდარზე ჩახატულებს,
ჩემს სამშობლოს წელგამართულს,
გულში როცა ჩამახუტებს.

* * *

ჩემში "მოვკალი" რვა ზამთარი და რვა ზაფხული,
ფიქრით დამდნარი ღამეებიც აკეცა ქარმა,
შემივერცხლისფრა დარდმა წლები ახალგაზრდული
და სილამაზე სარკის მიღმა რვა წელში გაქრა.
მთვარეც აღარ სჩანს, მოიღრუბლა წვიმას დაუშვებს,
არადა მქონდა ერთი სიტყვა დასაბარელი,
ერთი რამ მსურდა და მეორეს მე არ დავუშვებ,
მხოლოდ რომ დამრჩეს ადამიანის სუფთა სახელი!

ვალიდა, ნესტან ხარებავა მედდა
დაბადების ადგილი თბილისი

იმედი მაინც არ მტოვებს

იქ მიდუდუნებს მტკვარი და
აქეთ კი მოჰქუხს რიონი,
ამაყად ზედ გადაჰყურებს
ჩემს მიწას,კავკასიონი.

რა ლამაზია, მყინვარწვერს,
თოვლის ბრჭყვიალა ფიფქები,
ქვეყანავ,მონატრებულო,
მომაწვა შენზე ფიქრები.

დაუხნავ ყანებს დასცქერის
მაღლით,მშიერი ქედანი,
ემიგრანტ შვილთა ლოდინში,
დაბერებულან დედანი.

სოფლებში თურმე მრავალი
გამოკეტილა კარები,
დაცარიელდა,ამბობენ
სამშობლოს მთა და ბარები.

იმედი მაინც არ მტოვებს,
დადგება მალე საშველი,
უფლის წყალობით იხარებს
საქართველოში ქართველი.

და მიგოგმანობს....

და მიგოგმანობს ისევ ზეცაზე,
მთვარე მწუხრისგან ფერდაკარგული,
ნეტა ვის ძალუძს, ააღორძინოს,
ჩემი სამშობლო,გზადაკარგული.

ცას ჩამოწვება ღრუბლები ისევ,
შესძრავს გარემოს ჭექა-ქუხილი,
წვიმა ჩარეცხავს საცოდავ ცრემლებს,
ქვესკნელს ჩაჰყვება გვემა, წუხილი.

თუ მეღირსება ჩემო ქვეყანავ,
რომ გაღვიძება,შენი ვიხილო,
ბარში ყვაოდეს პურის ყანები,
მთას ამშვენებდეს ლურჯი ღირილო.

და მიგოგმანობს ისევ ზეცაზე,
მთვარე მწუხრისგან ფერდაკარგული,
თუ ეღირსება ჩემს საქართველოს,
აღარ ერქმევა,გზადაკარგული.

მაშინ ავკრიბავ დაშლილ ძალღონეს,
ერთგულს, მთის წვერზე, შევხვდები, მთვარეს,
მაღლიდან ვუმღერ ნატანჯ მიწა-წყალს,
ის გაანათებს სხვა სხივით ღამეს.

ვინ ვართ...

ვინ ვართ,ამ ქვეყნად რისთვის მოვედით,
რისთვის ეწამა ჩვენთვის უფალი,
თუ უფიქრია მოკვდავს გონებით,
ოდეს ყოფილა?-თავისუფალი.

ნაცად შეცდომას თუ იმეორებს,
შვებას როგორ ჰგვრის უფლის ვედრება,
ჩუმად ყოფნა სჯობს,გავიმეორებ,
"რაც არ გერგება, არ შეგერგება".

ბუმბერაზ მთებსაც დასცქერის მაღლით,
ფრინველთა მეფე,ამაყი თვალით,
ხომ შეიძლება ძირს დაენარცხოს,
არ დაიკვეხნოს არავინ, ხვალით.

შენ რა გატირებს ობოლო სულო,
აალებულხარ უქრობელ ცეცხლად,
ნუთუ არ გახსოვს ქრისტე გაყიდეს,
სულ რაღაც იცი?-ოცდაათ ვერცხლად.

შეპყრობილია ადამიანი,
ვერცხლთ სიყვარულის ძლიერი ვნებით,
ისე მიიწევს წინ და ვარდება,
წუმპე,ჭაობში მისივე ნებით.

იესომ მშვიდად რამდენჯერ სცადა
ზრახვებზე იუდას აეღო ხელი,
მაინც დასძლია სიხარბემ ცოდვილს,
გახდა ის უფლის ული მკვლელი.

ჰო,სასწაული,მას მერე მოხდა,
რომ შეიბრალა იესომ მტერი,
რა დრო გავიდა, ამ მაგალითით
არ შეიცვალა ერი და ბერი.

ვინ ვართ,ამ ქვეყნად რისთვის მოვედით,
რისთვის ეწამა ჩვენთვის უფალი,
თუ უფიქრია მოკვდავს გონებით,
ოდეს ყოფილა?-თავისუფალი.

სადაც წახვალ

სადაც წახვალ,იქაური,დაიხურე ქუდი,
შენი აღზრდა და კულტურა არ გამოჩნდეს მრუდი,
სადაც ჭამდი,პატივს გცემდნენ,მათზე არ თქვა ცუდი,
წინ დახვედრილ, ნაამბობზე, არ აგეწვას “კუდი”.

შინ რომ მოხვალ,გადაიძვრე,იქაური ქუდი,
აუხსენი კუთხე-კუნჭულს,უიმისოდ წუხდი,
პატივს ვცემდი სხვის ქვეყანას,გულში შენით ვქუხდი,
კარგად ვიყავ,უზრუნველი,მაინც აქ დავბრუნდი.

მე რომ ცრემლი მცვიოდა

განრისხებული ციდან,
წყლის წვეთები სცვიოდა,
სულ არ გედარდებოდა,
მე რომ ცრემლი მცვიოდა.

შენთვის ზაფხული იყო,
როცა ჩემთვის ციოდა,
სულ არ გედარდებოდა,
სული ჩემი კიოდა.

ქარიშხალი მანგრევდა,
თან, წალეკვას ცდილობდა,
ჩემი ტანჯვა, ვიცოდი,
მეტნაკლებად გტკიოდა.

შენთვის ჩიტი გალობდა,
ჩემს თავს ყვავი ჩხაოდა,
ვჭკნებოდი და გარშემო,
ყველაფერი ყვაოდა.

უსუსური ფეხები
ხოხვას რომ განაგრძობდა,
შენი გული შეცდომებს
არასოდეს ნანობდა.

ძალები მოვიკრიბე,
ვგრძნობდი უფლის წყალობას,
კარები მივუხურე,
ყველა არარაობას.

სული გადავარჩინე,
დაკნინებას,"დაობვას",
მე ვიბრძოდი,სხვა როცა
უსაფუძვლოდ დაობდა.

მოვიშუშე იარა,
რაც კი მწარედ მტკიოდა,
ვერ ვივიწყებ,ხარობდი,
მე რომ ცრემლი მცვიოდა.

გვირილა

წვიმამ აღარ წალეკოს,
პაწაწინა გვირილა,
გამაღვიძა ამ დილას,
თითქოს მისმა ყვირილმა.

ეჰ,გვირილავ, დაგტანჯა
ზეცის მწარე ტირილმა,
ოცნებობ,რომ გაგათბოს
მზის სხივების ღიმილმა.

ქოხი

მდინარის პირას ქოხი დგას,
ყველას ოცნების ქოხი,
მოგებულია პალმის ქვეშ
მწვანე, ხასხასა ნოხი.

მდინარე ხან ჩუმი არის,
ხანაც ხმა ასდის ბოხი,
უცვლელი არის,პატარა
ჩემი ოცნების ქოხი.

შეგერგოთ ჩემო ბატონო

თვალებში ჩამხედეთ,თვალებში,
თვალები ყველაფრის მთქმელია,
არც ნაცი ვარ და არც ქოცი,
ვარ ერთი,მე,ქართველია.

პატივისცემით გეპყრობით,
სხვის აზრსაც ეცით პატივი,
ნუ ცდილობთ მმართოთ,დღეს ჩემი
მართვა არ არის მარტივი.

არ მომწონს ჩემო ბატონო,
ქვეყნის აწმყო,არც წარსული,
ჩემს მომავალზე მე ვზრუნავ,
ნუ ჩაერევა ავსული.

შენ თუ გაჭამა ივანამ,
ათასი დარჩა მშიერი,
ამდენის უბედურებით,
როგორ ხართ თქვენ ბედნიერი.

სადაა მათი შვილები,
ოქსფორდშია თუ კემბრიჯში,
ჩვენ მიგვყარეს და დაგვტოვეს
ნაცის და ქოცის შეჯიბრში.

ზიხართ და ემიგრანტებზე,
ჭორით ხართ დაკავებული,
არ გყავთ ბადალი ლანძღვაში,
ვითომ ხართ თავდადებული.

ჩარჩენილი ხართ წარსულში,
სიძულვილში და ბოღმაში,
ვიღაცას "ამინ"-ს აყოლებთ,
ტოლი არა გყავთ "ლოცვაში".

ადამიანს რომ არაფრის,
კეთების თავი არააქვს,
საუკუნეების წინა
მტრებზე, კამათი გადააქვს.

დამთავრდა ის დრო,არ არის,
სიკეთე გადამდებია,
"რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია".

მთავრობა თუ კი არ მოგვწონს,
ბრალს რისთვისა გვდებთ ღალატში,
საკუთარ სულზე იზრუნეთ,
ჩაფლული რომ ხართ ტალახში.

იქ ამოგვხადეს სული და
გაგვყარეს უცხო ქვეყნებში,
ახლა აქ აღარ გვასვენებთ,
გინდათ ვცურავდეთ ცრემლებში.

ემიგრანტს ბრალი არ დასდოთ,
თითქოს სამშობლო არ უყვარს,
ცოდვაში კისერს ნუ ჩაჰყოფთ,
გთხოვთ დაუკვირდით საუბარს.

არა ვარ პოლიტიკოსი,
ვწუხვარ უბრალოდ აწმყოთი
ივანა არ მოვიწონე,
ატეხეს ალიაქოთი.

შეგერგოთ ჩემო ბატონო,
ვისაც აგიწყვეს ცხოვრება,
ნუ ფიქრობთ ვინმეს შერჩება,
ერის დაშლა, დამონება.

ხეთის მთებს

ხეთის მთებს მინდა ვუმღერო,
კალთებზე სიო მარწევდეს,
ნაძვის ტოტებში შემძვრალნი,
შაშვები ბანსა მაძლევდეს.

პაპანწყვირის ტბას ვსტუმრობდე,
ლოდზე დამჯდარი,ვთვლიმავდე
და ყოველ გაფხიზლებისას,
სონეტებს ვწერდე დილამდე.

ეს საგანძური უბეში
საკუთარ ადგილს ჰპოვებდეს,
ემატებოდეს ახალი,
ყოველ ღამე და ყოველ დღეს.

ჩემს ხეთას მინდა ვუმღერო,
ისევ ჩემივე სონეტით,
ვუთხრა,აქედან წასულნი,
დავბრუნდით,ისევ მოვედით.

ჩამოვირბინო მსურს მთიდან,
სადაც ბავშვობა ვატარე,
ვეფერო,მივუალერსო,
როგორც ჩიორებს,პატარებს.

მერე გავიდე ცენტრში და
ჩამოვჯდე ჭადრის ჩეროში,
ასწლიან ხეებს მოვუყვე,
აქა ვარ საქართველოში.

ვიცი,რომ აშრიალდება,
ფოთლებს დამაყრის საჩუქრად,
მე ღმერთს მადლობას შევწირავ,
რომ ეს დღე,თბილი,მაჩუქა.

მერე კი ნელა გავყვები
ნაცნობ ქუჩებს და ბილიკებს,
ვაი თუ ხალხმა ვერ მიცნო,
მაინც გავუძლებს ქილიკებს.

ღიმილებს ჩამოვურიგებ,
ვეტყვი,არ დამვიწყებიხართ,
სულ გულში მყავდით სათუთად,
ჩემი დები და ძმები ხართ.

ხეთის მთებს მინდა ვუმღერო,
მის ვაკესა და მის ველებს,
ჩემს საქართველოს ვუმღერო
და საამაყო ქართველებს.

***

მსურს ვიყო მუდამ ნატური,
თანაც არავის არ ვგავდე,
საკუთარ ბაღში,საკუთარს
და არა სხვისა ვარდს ვრგავდე....

***

მიყვარს ჩემს ლექსებს რომ ვხედავ,
სხვების გვერდს,გაზიარებულს,
მიყვარს, ყოველდღე რომ ვხედავ,
მკითხველის გულს გახარებულს.

შორს მიმავალი ბიჭის ფიქრები

გადაეა ზეცას ღრუბელი,
გაღიზიანდა ამით დაისი,
შორს მივდივარ და დარდი მაწუხებს,
შეყვარებული თუ კი დამიცდის.

როგორ გავუძლო ჭექა-ქუხილებს,
ამ სიშორეში გულს გამიბზარავს,
არ დამელოდოს შეყვარებულმა,
გაფიქრებაც კი საშინლად მზარავს.

წალეკავს ფოთლებს ნიაღვარები,
ზამთრის ყინვები გათოშავს ყანებს,
შეყვარებულმა თუ მიმატოვა,
რა გაათენებს დაწყევლილ ღამეს.

მთას რომ ბატონობ

მთას რომ ბატონობ ირემო,
ჩამოდი ჩვენთან ბარსაო,
ნუთუ არ იწყენ მყვირალავ,
ტყე გახვევია გარსაო.

სოფლად ბავშვები გიხმობენ,
ყველა გაგიღებს კარსაო,
დაიმეგობრებ პატარებს,
დაგიმშვენებენ მხარსაო.

ნუ შიშობ მთისა ბატონო
და ნუ აცეცებ თვალსაო,
სტუმარი ჩვენთვის ღვთისაა,
თუ კი გაგიღებთ კარსაო.

ისევ აქა ვარ

სუყველა სარკმელს მოვაშორე დილით დები,
ერთ ამოსუნთქვას გავატანე ჩემი დარდები,
ოჰ,რა კარგია,თურმე რომ ვართ ღმერთთან მართლები,
რარიგ ლამაზად ციმციმებენ სულში სანთლები.

მზის პირველ სხივებს ელოდება ცვარი,მბრწყინავი
და აშრიალებს ლეღვის ტოტებს ბაღში ნიავი,
მზეს ეხმარება,რომ გააშროს სველი ფოთლები,
დღეს ნაზი არის,განსხვავებულად თავაზიანი.

ჯრის რაფაზე ჩამოსკუპდა ციცქნა მერცხალი,
თვალებს აცეცებს აქეთ-იქეთ თითქოს დამფრთხალი,
ისევ აქა ვარ, სამყაროში,ვახილე თვალი,
ჯერ კიდევ ბევრი,რომ დავტოვო ლამაზი კვალი.

ანდრია, ანზორ შერვაშიძე სამთო გიდი
დაბადების ადგილი მესტია

* * *

ბევრი რამ ვნახე ამქვეყნად,
ბევრი რამ გამოვიარე,
ცხოვრებამ ლხინიც მანახა,
ათასჯერ მეტი სიავე.

ბევრს დამამგზავრა ცხოვრებამ,
მოღალატეს და ტიალებს,
დღემდე ვერ ვშველი ვერაფერს,
მათგან მიღებულ იარებს.

წუთისოფლის გზა მოკლეა,
მე ჩემი ჯვარი ვატარე.
გზის ბოლოს ყველას მოგველის,
პირდაღებული სამარე.

პირუტყვს არ უნდა ემსგავსოს,
ადამიანის ვალია,
სიკვდილი ყველას ვერა ჰკლავს,
ზოგი ცოცხალიც მკვდარია.

* * *

არ ვაღიარებ არცერთ გენიოსს,
არავინ არის დიდების ღირსი.
ვერ მოვიწონებ როცა კაცი დგას,
მეორე კაცის დაბლა და ჩრდილში.

ზოგს შეუძლია დაწერა ჰანგის,
სხვას კი გარჩევა რა რა ფერია,
ყველა კაცში დევს რაღაცის ნიჭი,
ყველა კაცშია რაღაც გენია.

ადამიანში იმას აქვს ფასი:
როგორ აქვს ნიჭი გაზიარების,
ლუკმის გაყოფა გავს უფლის მირქმას,
ძალა აქვს ლოცვის და ზიარების.

თუ კაცი ცხოვრობს მხოლოდ თავისთვის
და არ გაიღებს სხვისთვის რაიმეს,
მოვა სიკვდილი დარჩება ოხრად
და ბოლოს იტყვის: ღმერთო ვაიმე?!

* * *

კვლავ შენი კაბის მესმა შრიალი,
შენმა წვივებმა მომტაცეს თვალი,
ისე მაღელვებ, ვერ გამიგია,
ღმერთქალი ხარ თუ ავსული, ალი.

როცა შორსავარ ოცნებით გხედავ,
ლანდს, სათაყვანო ოცნების ქალის,
შენთან მოვყავარ ჩემს ყველა ვნებას,
გაშლილ აფრებით და ზურგის ქარით.

* * *

საფრთხე ელის ქართულ ერს,
ქართულ ჯიშს და სიწმინდეს,
დროზე თუ არ ვიფხიზლეთ,
ბედი გველის სიზიფეს.

ქართულ ადათს ზურგს ვაქცევთ,
სხვა ქვეყნების ბატონობს,
უპატრონო ტაძარს ხომ
ეშმაკები პატრონობს!

თავგზას გვირევს როგორც ჩანს,
ამერიკის ფინტები,
გონების თვალს მიხელენ,
მორბენალი ფიქრები.

სენივით შეგვეყარა
მათ წესების ვერ თმობა,
მოჰგავს ჩვენი ქცევები
კერპთაყვანისმცემლობას.

ზოგი არჩევს ევროპას,
ზოგი რუსეთს ემხრობა,
მომავალი ქართული,
ღრმად უფსკრულში ემხობა.

საქართველო აქციეს
თავის მეურნეობად,
გვპირდებიან ქილიკით
ჰიპერ მეურვეობას.

ქართულ აზრებს წიხლავენ,
ვის აქვს ამის უფლება,
მოუხიბლავთ ბეჩავნი,
ფსევდო თავისუფლებას.

დროა ავამოქმედოთ,
ჩვენც შეძლება გონების,
თორემ, ვდეგრადირდებით
ბედი გველის მონების!

პასუხს რას სცემთ წინაპრებს?!
ჩვენ მათი გვაქვს ვალები!
სჯობს დროზე გავახილოთ
სულიერი თვალები!

სჯობს, ვიცხოვროთ ქართველნო,
ქრისტიანულ საზრისით,
რა სიკეთე მივიღეთ
ლენინიზმით, მარქსიზმით?!

რატომ ვარჩევთ გზას გავყვეთ
დამღუპველის, მავნესი,
მას სჯობს რომ მოუსმინოთ
შეგონებას პავლესი!

ღვთიურ სიტყვას რომ ამბობს,
რეალობა რაც არის:
"ყველაფერი რაც გვინდა
სასარგებლო არ არის."

საქართველოს მივხედოთ!
სხვას ნუ ვაქცევთ ნეტარად,
უნდა დავრჩეთ როგორღაც,
ნეიტრალურ ქვეყანად!

* * *

შენი მზერა ამ ცხოვრების ხალისია,
მზის სხივი ხარ, დილის ნამზე არეკლილი,
შენსკენ ილტვის, ვით მცენარე მზისკენ იწევს
ჩემი გული, შენი ტრფობით დამეხილი.

შენს თვალებში ჩახედვაა საკმარისი,
რა ვიხილო შენი თვალთა ელვარება.
გულში გრძნობა აზვირთდება ბობოქარი,
როგორც ზღვათა ტაიფუნზე მღელვარება.

ხმა მიგიგავს შემოდგომის ფოთოლთ შრიალს,
სინაზე გაქვს პირველყოფილ ენძელების,
შორსახარ და შენთან ახლოს ვერ მოვდივარ,
სხვისი ხარ და დასაკარგად მეძნელები.

* * *

ამ წუთისოფლის ბილიკი,
სუფთად ვინ განვლო ნეტავი?
ცხოვრება ისე იქცევა,
როგორც ბებერი მეძავი!

დრო გადის, წლები გარბიან,
მაგრამ ვერ კურნავს ჭრილობებს.
უბრალოდ უნდა იცხოვრო,
ეჩვევი ბედის პირობებს.

ბედნიერებას მიველტვით,
თუმც ის არ არის ცხოვრება,
ბრძოლაა, ხალისი სიცოცხლის,
დაბრკოლებების მორევა.

* * *

ცხოვრება მაფერხებს წინსვლაში როგორღაც,
არ ვიცი რა მიზნით, ან რისი ბრალია,
არ მინდა ცხოველად მაქციოს ცხოვრებამ,
მიშვლე, დამლოცე დედაო მარიამ!

ჩემს ირგვლივ მრავალი აღმოჩნდა გულცივი,
და ზურგი მაქციეს დაღლილს და დარდიანს,
ყველამ რომ დამთმოს და ყველამ რომ გამწიროს,
შენ არ მიმატოვო დედაო მარიამ!

ცხოვრება მიბიძგებს ცოდვისკენ ნიადაგ,
გარეთ თუ მზე არის სულში ავდარია,
ჩამკიდე ხელები, გზა გამინათე,
მიხსენი ცოდვისგან დედაო მარიამ!

* * *

ოკეანეა ცხოვრება,
არსით ჩანს მისი ნაპირი,
სწორ გზაზე ფიქრი გვაყენებს,
გულის, გონებით ნაფიქრი.

რაც უნდა სწრაფად ირბინოს,
ვერ უსწრებს კაცი თავისთავს,
წვიმის წვეთიც კი წალეკავს
თუ მას უფალი არ იცავს.

რაც უნდა ჭირში ჩაგვაგდონ,
უფალი ითხოვს შენდობას,
სხვის ცრემლზე ვერ ააშენებ,
ბედნიერების შენობას.

* * *

განა სუყველა ლომგული არის,
განა სუყველა მეომარია,
კაცი რომელიც თავს გრძნობს ჩაგრულად,
ის კაცი, ჩემი მეგობარია!

განა სუყველას უყვარს სიცოცხლე,
განა სუყველა ბედნიერია!
ყველას მიუძღვნი მეგობრულ სალამს,
ვინც თავის სევდით მშვენიერია.

ღვთის წინ მაშინ ხარ სწორი, მართალი,
როცა მას ებრძვი ვინც საწყალს არბევს,
როდესაც იწვი სიკეთით სხვისთვის,
სიცოცხლე უნდა საკმეველს გავდეს.

* * *

დიდი ხანია დავკარგე თმენა,
მონატრებისგან მელევა გული,
ჩემი ბავშვობის სახლსა და ეზოს,
ჩემს ოცნებებში ყოველდღე უვლი.

ბედმა როგორღაც მომწყვიტა სახლ-კარს,
მძიმე დამადო რკინის ბორკილი
და ჩემს ეზო-კარს შორიდან ვლოცავ,
როგორც ნაკურთხი ბერი, მორჩილი.

მე მელოდება ბავშვობის სახლი,
დღეს დახშულია მისი ჭიშკარი,
როცა იმ კარებს ჩამოვხსნი საკეტს,
მაშინ ამოვა ჩემი ცისკარი.

სახლი მდუმარე მე მელოდება,
როგორც "ბუხართან ერთგული ცოლი",
არ დავაყოვნებ დავბრუნდები და
საკვამურიდან ამოვა ბოლი.

* * *

ყმა მინახია გულმკვდარი,
ხმალ ჩატეხილი ქარქაშიც,
მკვდარ არწივზედაც მინახავს,
ყვავ-ყორანთ ლხინი, პარპაში.

ხან ისე ხდება, ლომს სჭამენ,
აფთრები, ღრენა, ხარხარით,
ზოგჯერ მელიაც მოილხენს,
გვამზე ამაყი არ ხარ ის.

ერთს უნდა გული სტკიოდეს,
სხვის გულს რომ ეცხოს სიამე,
ცხოვრება ხშირად სუსტს ალხენს,
ძლიერს უმზადებს სიავეს.

* * *

მუდამ დავეძებ შენს ცისფერ თვალებს,
თვალებს ღმერთების ხელით
დაწერილს,
მე მათ მიუშვერ ჩემს დაღლილ სახეს,
სახეს წვიმით და ქარით დალეწილს.

თითქოს გიცნობ და ამ დროს არც
გიცნობ,
გულს ნუ ჩარაზავ რკინის ურდულით,
ჩვენშორის ალბათ უფალმა განვლო
და გულში მომხვდა გრძნობის
შურდული

და ყოველ ღამე ჩემი ფიქრები
დაგფარფატებენ როგორც პეპლები,
ჩემი შენდამი ტრფიალის ფონზე
აშრიალებენ ფოთლებს ვერხვები.

მალვინა ჭელიძე მედდა
დაბადების ადგილი მესტია უშგული

ვნატრობ...

ხვალ რომ დილა გათენდება,
დილა მშვიდი მზიანი
და უეცრად შემოგხვდება
ვიღაც ადამიანი.
გზად მიმავალს მოგეფეროს,
გული გადაგიშალოს,
სულს მალამოდ მოეფინოს,
დარდისგან დაიცალო.
ანთებული ჩირაღდანით
ისიც გზას რომ გინათებს,
შენი სულის ნაწილია,
შენი თვალის სინათლე...
ღმერთო, ნუღარ დამანახებ
თალხმოხვეულ თენებას,
მზის სხივებად ამობრწყინდი,
დღეს რომ დაამშვენებდა.
გზა რომელიც სიკეთის და
სიყვარულის ფერია,
უფლის საჩუქარია და
ეს გზაც, მხოლოდ ჩემია...
თუ კეთილ მგზავრს აედევნა
ჩემი წრფელი ფიქრები,
და თუ ისევ სადმე შემხვდა
ბედნიერი ვიქნები.!

მალვინა ჭელიძე
მონატრება...

და, ზეცა იყო
ცისარტყელით შემორაგული,
მრავალ ფერებში შემოსილი
გულს რომ ათბობდა,
ალმოდებული, ზეცის კართან
შავი ღრუბელი
ვით თოთო ბავშვი, ისე ანცობდა...

ღამის დუმილში
მოზღვავებულ ფიქრებს გაექცა...
მოისურვილა ცის კიდეზე
მარტომ, გართობა...
ფუნჯით ხატავდა,
გადმოსცემდა იმედის ფერებს,
მზის სხივი სწვავდა,
და თავის ჯვარს, მაინც არ თმობდა!

მშვიდი ნამზერით შეფუთული
სევდას მალავდა,
შემოახია ცისარტყელას
გულის საკინძე,
გაშლილ სივრცეში იდგა მშვიდად,
და ხვედრს დარდობდა...
იგერიებდა სხვის მიწაზე,
რადგან ქარ-წვიმებს....

ჩემი ძალიან მონატრებულ
და- ძმას
როლანდის და ეთერის

ისე მომინდა მე თქვენთან ახლა,
ისე მომინდა თქვენი ფერება,
თქვენს მონატრებას ცრემლები ახლავს,
ჩემს გულში მზედ რომ ჩაესვენება.
ისე ვინატრე თქვენს ახლოს ყოფნა,
შემოგახვევდით ხელებს მადლიანს,
ჩუმი ალერსით თოვლს დავადნობდი,
გზად დაგიფენდით ჩემს გულს დარდიანს.
ნეტავი იმ დროს, როცა სიმღერის
ჰანგებს ვაფრქვევდით, ოჯახში,ერთხმად,
ვეღარ ჩამოვთლი ბედნიერ წუთებს,
როცა ვიყავით ყველანი ერთად.
როლანდი, შენი ხმა სულ დამყვება,
შენი ჟარედა, შენი ფერხული,
გაულ გავხელო,ო თეთრო მზეო,
ლაგუშედა და ლილე მეფური.
საგალობელი წმინდა ჯგრაგიშ
ცანაშ დაშდულ და უშგვლა რიჰოი,
ბაილ ბეთქილ და ო...მირანგულა
დედე, რომ ეძებს და ვერ იპოვის.
სვანური ზარით მთებს აზანზარებ
ცრემლად იღვრება როცა შენ ამბობ,
შხარის კალთებზე ნისლიც ფითრდება,
ენგური ლოდებს უხმოდ მიაპობს.
მხოლოდ სიკეთის დღეებს ვეტრფოდით,
და სიყვარულით სტუმარს ველოდით,
ჩვენში სუფევდა ბედნიერება
და შეწყობილად, ერთხმად ვმღეროდით.
მე შევთხოვ უფალს იცოცხლოთ დიდხანს,
მთიდან დაშვებულ სიოს გადარებთ,
ჩემი სამოთხე თქვენა ხართ ვფიცავ
და სიყვარულით გულით გატარებთ.
ისე მომინდა მეც თქვენთან ახლოს,
ისე მომინდა თქვენი ფერება,
ვიცი სიშორეს ცრემლები ახლავს,
თქვენით ვტკბები და გულს ემღერება.!!!

მოაშორე ცას ღრუბელი!

შენ, ღრუბელო,აპრილის მზის
მზერას ნუ ჩააბნელებ,
ვიცი ფუნჯით დარდებს ხატავ
ფიქრებს წვიმით ასველებ.
დაგიპყრია ზეცის კალთა
სათქმელი გაქვს რამდენი,
ამ ბარათებს ქარებს ატან
ფურცლებს ცრემლით დაწერილს.
ვისურვებდი, აპრილის დღე
გაზაფხულად ყვაოდეს,
სულს რომ ესალბუნებოდეს,
სილამაზით ხარობდეს.
გული გაცისკროვნდებოდეს
მზის სხივების ამბორით,
და გადაშლილ ვარდის კვირტებს
ნუ ვიხილავ დათოვლილს...

როცა...

როცა ღმერთის ენაზე
მოკრძალებით საუბრობ,
დღე, რომელიც შენია
არავის არ დაუთმო.
სიმართლის გზით იარე,
ტკივილს ნუღარ დაითმენ,
სხვისი ბედის ვარსკლავებს
ფეხთით ნუღა დაიფენ.
ვეღარ გაგაბოროტეს
თვითონ ბოროტ ძალებმა,
პასუხ გაუცემელზე
ბევრჯერ ენა დაგება
თითქოს მუნჯად იქეცი,
მეტყველება დაკარგე,
გაზაფხულის ფერებით
გზები მიქრგ-მოქარგე.
დრო,სიცრუის, სიყალბის,
მომაკვდავი სენია,
კეთილისგან ბოროტი
თუ ვერ გაურჩევია.
ერთგულების ალამი
ბევრჯერ ააფრიალე,
სიძულვილი მოყვასის
ბევრჯერ გატიალე.
ოცნებებში, ზღვის ფსკერზე
კალმახებთან გეძინა,
არ იცოდი რა გექნა,
გეცინა თუ გეტირა...
გაზაფხულის მზიან დღეს
გავდრებაც სჩვევია...
მიწას, სევდით დანამულს
მზის სხივებიც სწვევია.
სივრცეს, ისე ამშვენებს
მოშრიალე ვერხვები,
შეუმოსავს ტოტები
მოჭიკჭიკე მერცხლებით.
როცა უფლის ენაზე
თვით ღმერთებთან საუბრობ,
დრო რომელიც შენია,
არავის არ დაუთმო!..

არ ვიცი ალბათ ტანგოს ცეკვავდა!

ხეივანს ისე ჩამოუფრინა,
მისი დაჭერა ძალზე მეწადა,
იბნევდა ყელზე ოქროსფერ მძივებს,
ვიფიქრე, ალბათ ტანგოს ცეკვავდა.
მზის სხივებს ისე აეთამაშა,
თითქოს ზეცამდე აჭრა ეწადა,
ქარი არხევდა ლამაზად ტოტებს,
ლამაზ ხალიჩას მშვიდად კემსავდა.
იფურცლებოდა ოქროსფრად მდელო,
ქარი უნდობლად დარდებს ლეწავდა,
მიუყვებოდა ქუჩას ფოთოლი
ალბათ სიტურფის ფერებს ძერწავდა.
ფოთოლცვენაში მოყოლილ განცდებს,
ფერადი ფუნჯით ნაზად ხატავდა,
დაუღალავი იტანდა რამდენს
გზის დასასრული ისევ არ ჩანდა.
მე შევცქეროდი შორიდან ტრფობით,
მისი დაწევა ძლიერ მეწადა,
ის კი მზის სხივებს აეთამაშა,
და მთელი გრძნობით ტანგოს ცეკვავდა!...

* * *

ის დღე... სხვა დღეს არ ჰგავდა!
ზღვის ტალღებზე შემდგარი,
ჰანგებს ზეცად ქარგავდა,
სიო გრძნობებს არხევდა
ის დღე სხვა დღეს არ ჰგავდა,
ზეცა ღრუბლის სამოსში
შემოსილ დარდს ძარცავდა
და ტალღების ქაოსში
ქალი ფიქრებს დაჰყავდა,
და მუსიკის ჰანგებში
დარდი ცრემლად დასდინდა,
წითელ კაბით შემოსილი
სინანულით ატირდა,
და ფიქრების სამოსში
სულში სევდა ატანდა,
გული სევდით დამძიმდა,
ის დღე სხვა დღეს არ ჰგავდა.
თითქოს სადღაც ზღვის სიო
სიყვარულით აყვავდა,
ისე მშვიდად არწევდა
ხელის გულით დაჰყავდა,
ვიოლინოს სიმებზე
ტრფობის ჰანგებს აბამდა,
ზეცას მისწვდა ხმის ექო
ცამ ღრუბელი გაფანტა,
ქალმა, სულის სამოსით
ზღვას ნაბიჯი აუწყო,
გრძნობებით და განცდებით
ზღვის ტალღები დაიპყრო.
წვიმა, თქეშად მოსული
ზღვის ფსკერამდე ატანდა,
სიყვარული ქალღმერთის
თითქოს ასე დამთავრდა,
ზღვის ტალღების ხმაურში
ცამ ღრუბელი გაფანტა,
ხმა ისმოდა ქაოსში
მაგრამ ქალი არ ჩანდა,
თიქოს ფრთები მოისხა,
იქნებ აღარც დასცალდა,
სილამაზე ქალღმერთის
 თიქოს ზეცად ამაღლდა,
ზღვა კი ქალის ტრფიალით,
ცეცხლის ალში გაება,
მაგრამ ბედის განგებას
სევდიანი დანებდა!...

* * *

მხოლოდ სიხარული მოგვანიჭე,
ისევ ააყვავე ჩემი ერი,
მხოლოდ სიყვარული დაგვაბედე,
სული-ნატიფი და მშვენიერი.
სიცოცხლის ფერები დაგვიბრუნე,
სიმშვიდე მოგვანიჭე შენმიერი,
დედაო ღვთიშობელო გევედრები
დილა გაგვითენე ბედნიერი.

ცაგო აბაშმაძე ბუღალტერ-ეკონომისტი

დაბადების ადგილი ოზურგეთი
ემიგრანტი იტალიაში

პასუხგაუცემელი

პასუხგაუცემელი რჩება ბევრი კითხვა და
ხალხის გონი დაიხშო ცრუ ფიცით და მტკიცებით,
ვფიქრობთ, გამოანათებს ჩვენთვის სხივი ნათელი,
თუ არა და ტყუილზე ხომ არ დავიფიცებით.

არეულა სამყარო, აბრალებენ ერთმანეთს,
აშმორებულ ჭაობში ძაღლის თავი მარხია,
ეშმაკების აღლუმზე მაქციათა ნიღბებით
ვერ გაიგებ ვისთან ხარ, რანაირი ხალხია.

გახლეჩილი ქვეყანა, ატომებად დაშლილი,
სულს ღაფავს და პატრონი არავინ ყავს მშველელი,
გარეთ ქარი სისინებს, უხათქუნებს დარაბებს,
ატუზული სარკმელთან რას ვდარაჯობ, რას ველი.

ახლა სულში თოვაა, გულზე მაწევს ნამქერი,
დედა, შვილო, სადამდე? ყელს ამოსცდა სათქმელი,
მაგრამ, თევზად ვიქეცი და ხმელეთზე ვფართხალებ,
სადღა არის სიმართლე, ან კაცი და ან მთქმელი.

პასუხგაუცემელი რჩება ბევრი კითხვა და
ხალხის გონი დაიხშო ცრუ ფიცით და მტკიცებით,
ვფიქრობთ: გამოანათებს ჩვენთვის სხივი ნათელი,
თუ არა და ტყუილზე ხომ არ დავიფიცებით....

რად მიცქერ მთვარევ

რად მიცქერ მთვარევ, ასე მოწყენით,
ნუთუ შენც ამჩნევ სულის გოდებას,
ხან მიწაზე ვარ წელში მოხრილი,
ბეჭებზე დიდი ლოდი გორდება.

ხან, აღმართებში სვენებ-სვენებით
სიზიფეს ლოდის მიწევს ატანა,
ჩამსაფრებია და შანსს არ უშვებს
ხორხოცებს,როკავს ბილწი სატანა.

სულთა სამკალში ჩამდგარა ეშმა,
ხარობს და იქნევს ალესილ ნამგალს,
თავდახრილები, მონათა რიგში
მძიმედ მივყვებით მრუმე შარაგზას.

ვინ იცის, ეს გზა წაგვიყვანს საით,
გაგვინათებს თუ ჩაგვწიხლავს ბედი,
მნათობო, იქნებ შენ მაინც მითხრა
საით მიფრინავს ოცნების გედი.

იქნება, სულაც შეკვეცა ფრთები,
ან იქნებ, დაღლილს არ ეყო ძალა,
მაინც იმედის სულ მცირე პწკალი
მელაციცება, თავისკენ მძალავს.

როგორ დავწერო

როგორ დავწერო ლაღი სიტყვები,
როცა სიკვდილი კივის ძარღვებში,
ვეღარ განვიცდი სამყაროს სუნთქვას,
გოდება მესმის „შოვის“ ბავშვების.

ყურებში მესმის „ვაიმე დედა“...
შეძრწუნებული მათი თვალები...
ვერც მოასწრებდნენ ლოცვას უფალთან,
გადაუხდელი დარჩათ ვალები...

ვალი-სიცოცხლის, ბედნიერების,
ვალი ქვეყნის და მშობლის წინაშე,
რა იქნებოდა მათაც ეცოცხლათ,
პეშვებით ესვათ ტკბობის ზედაშე.

რად კვნესი ქარო, რად ხრი წამწამებს,
რად ზეცავ ჩემო, ქვითინებ უხმოდ,
ამ ჩამოშლილი მთების შემყურე,
თქვენც ვეღარ გიტანთ, გიცქერით უნდოდ.

როგორ დავწერო ლაღი სიტყვები,
როცა სიკვდილი კივის ძარღვებში,
ვეღარ განვიცდი სამყაროს სუნთქვას,
გოდება მესმის „შოვის ბავშვების“...

რამდენი რამ მინდა

რამდენი რამ მინდა მოგწერო,
კალამი შრება და ვდუმდები...
ვერ მითქვამს სიტყვები უბრალოდ,
კისერზე მიჭერენ ხუნდები. ვდუმდები...
წვეთავენ წვეთ-წვეთად,
გულისგულს ბზარავენ შიშები,
ქვეყანა ავსილა ზომბებით,
ვფიქრობ და ვერაფრით ვმშვიდდები...

დიდდები... ჩემს გულში თანდათან,
სამყაროსხელა ხარ ძვირფასო,
სიცოცხლეს დაგითმობ, წაიღე....
ჩემს გულში იმდენად ძვირფასობ.
არ ფასობს სიცოცხლე უშენოდ,
მეხვევა დარდები გველივით,
სიტყვებში გხატავ და გაღმერთებ,
ვიშლები რვეულზე ცრემლივით.

* * *

აჰა,შეხედე! აყვავდა ზეცა,
ატმის ტოტივით, აპრილის თვეში,
გრძნობები ისე იღვრება გულში,
ელჭექის შემდეგ ვით,წვიმის თქეში.

ჰოდა,რა გიკვირს, ფეთქება ჩემი,
თუ გული ჩემი მოჰგავს აპრილებს,
მაწვიმს შენდამი ტრფობის წუთები,
გადადარებას არც კი აპირებს.

ფეთქდები ჩემში ატმის კვირტებად,
თავბრუს დამახვევს სურნელი შენი,
მესაუბრება თვით უკვდავება,
ცისკენ მივიწევ ბრმა აღმაფრენით.

აჰა,შეხედე! გჩუქნი სამოთხეს,
ევა ხარ ჩემი,პირველშექმნილი,
დილის სხივივით, მზის ბრწყინვალება,
თვით უფლისაგან ჩემთვის შექმნილი.

მტკივა გული

მტკივა გული...დაბზარული კედლებიდან
სულს ეცემა ცრემლიანი წვიმის წვეთი...
ვმარტოსულობ...რადგან ვხვდები,
სამყაროში დავრჩი ერთი...

ჩემი ღმერთი! ალბათ მეძებს,
დავკარგვივარ სიბნელეში!
ახლა სული სხვაგან ქრის და
ხორცს ერქმევა სუფთა ლეში.

ტყეში,ხევში, ქვაღორღ ხრეშში,
დაწრიალებს სული ობლად,
აქ სამოთხეს ეძიებდა
და რაც ჰქონდა რჩება ოხრად.

ოხვრა, კვნესა, ვაივიში,
ამაოა ცრემლთა ფრქვევა,
სულს რომ ვყიდით,რას ვიყიდით,
რა სახელი დაგვერქმევა.!!!

ბონდის ხიდზე

ბონდის ხიდზე გოგო შემხვდა,
ლერწამივით საროტანა,
გოგო იყო იმისთანა,
ჟრუანტელმა ამიტანა.
ირწეოდა ნელა-ნელა,
ბონდისა თუ ტრფობის ხიდი,
ფრიალებდა ვით პეპელა
და არ ჰქონდა არვის რიდი.
სიფრიფანამ, საროტანამ
თვალი თვალში გამიყარა,
იმ წუთიდან ჩემმა გულმა
მკერდს ღრუბელი გადიყარა.

დავედევნე დასაჭერად,
გაფრთხიალდა, ვითარც მტრედი,
ცას შევძახე: ვიპოვეთქო,
ეს, ესაა ჩემი ბედი.
ბონდის ხიდზე გოგო შემხვდა,
ლერწამივით საროტანა,
გოგო იყო იმისთანა,
ჟრუანტელმა ამიტანა.
გატიალდა..ალიონმა
დილის სხივი გულს მაყარა,
სადღა იყო ბონდის ხიდი
და ან გოგო თვალმახარა.

აღარც წერის სურვილი მაქვს

აღარც წერის სურვილი მაქვს,
აღარც კითხვის..
სულიერად დავიცალე,
განა მიკვირს?..
დღეს ისეთი ქაოსია,
ქვაც კი ტირის,
არსად უფლის ნატერფალი,
იცოცხლედ...
მტრის..
გვახვევია როგორც მუმლი,
ნამეხარ ხეს,
ელოდება დღეს ბედნიერს,
რომ წაგვაქცევს.
ჰოდა, მიტომ
ვსევდიანობ,
მიტომ ვკვნესი,
აღარ მინდა არც სიცოცხლე,
აღარც ლექსი...

არ დავეცემით

თუნდაც ქარებმა გვაფრიალონ ვითარც ნაფოტი,
დაუნდობელად კლდის ქარაფებს შემოგვალეწონ,
ხოდაბუნებში მოგვაბნიონ როგორც მარცვალი,
ჩვენ ჩვენი კალო მაინც უნდა რწმენით გავლეწოთ.

არ დავეცემით! მტრის ჯინაზე მყარად ვიდგებით!
ჩვენ ქართველობის უდიდესი გვაწევს მისია,
უნდა ვიბრძოლოთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე,
ქართველობა ხომ ბოძებული უფლის ნიჭია.

ძმობის ღალატი, ორპირობა ცრუბრალდადება,
არა მოყვასნო, არ შეგვფერის, არ გვეკადრება,
ზარებს არისხებს ზეციერი, გვიბრძანებს ყველას,
ღვთიშობელი კი ჩვენს სულის ხსნას ძეს ევედრება.

არ დავცემულვართ, თუმც მრავალჯერ ჩაგვცეს მახვილი,
სისხლის მდინარემ ბევრჯერ გულზე გადაგვიარა,
თუ წავიჩოქებთ, მწამს უფალი წამოგვაყენებს,
ახლა დრო არის ლომგულობის, შიშის კი არა!

ცას ეცვა

ცას ეცვა ცისფერი, ცისფერი კაბა და
ეკეთა ღრუბელის ქათქათა საყურე
და იდგა ასული უფლამდე მაღალი,
ვიწვოდი სურვილით იმისი შემყურე.

მომინდა მეკოცნა იმ კაბის მაქმანზე,
ვნატრობდი ტოროლას მქონოდა სხეული
რომ ყოველ განთიადს შევყროდი გალობით,
გულმკერდზე დამყროდა კულული ხვეული.

და იდგა ამაყი, მშვიდი და მთრთოლვარი,
ქალწულის ტუჩებზე სხივები ცელქობდნენ,
მე, დაუბრეებული, ვიდექი მუნჯივით,
უბრალო მოკვდავი, უბრალო მეხოტბე.

მოწყენილი კესანები

უთქვენობით მოწყენილებს ცრემლი დასდით,
ღობე-ყორეს მოსდებიან მკვნესარებით,
დაბრუნება რომ დაჰპირდით, მოატყუეთ,
თავდახრილნი დგანან ახლა კესანები.

ცისფერ ღრუბელს გადაკვრია თვალზე ლიბრი,
ხავსმოდებულ კიბეებზე მოთქვამს სევდა,
მზის ცხელ სუნთქვას ვერ აკავებს ძველი შინდი
და ხმელხმელი ტოტებიდან წუწუნს ბედავს.

თავსაფრიან დედაკაცებს ნატრობს ეზო,
გაკნაჭული გოგო-ბიჭის ლაღ სიმღერას,
ამ ეზოში, ვაზის ჭიგოს ჩახვეულმა
თედო პაპამ დღეს ბოლოჯერ წაიმღერა.

წაიმღერა? არ მგონია ეს სიმღერა,
კვნესას ჰგავდა მარტოობით აღმოხდენილს,
ოცნებებში ეხვეოდა ძვირფას სატრფოს,
„გავაზივით" მონარნარეს და მოხდენილს.

იმღერა და მიუყუჩდა თავის ტკივილს,
თავსასთუმლად შეარჩია მწვანე ბორცვი,
ვაზის ლერწმა დააფრქვია ცრემლი წმინდა,
ვაზის ჭიგომ გააცილა წმინდა ლოცვით..

უჩვენობით მოწყენილებს ცრემლი დასდით,
ღობე-ყორეს მოსდებიან მკვნესარებით,
დაბრუნება რომ დავპირდით, მოვატყუეთ,
თავდახრილნი დგანან ახლა კესანები..

როგორც

როგორც ზარის წკარუნი
შეაღვიძებს ფარეშებს,
მეც, ტოროლას წკრიალზე
ზეცას მოვითარეშებ.

როგორ მომწონს ლაჟვარდში
ალისფერის არევა,
ჩემი სულის ფერების
ცის ფერებში აღრევა.

რა ტკბილია, სათუთი
სულის ამღელვარება...
პოეზიის სიმების
ნაზად ჩამომღერება.

როცა სახლობ ზეცაში,
მაშინ სულს ემღერება,
სიყვარულის ჰანგები
მთელ სამყაროს ეხება.

პოეზიის აკვანში
როგორც ჩვილის ღუღუნი,
ლექსის სტროფად იქცევა
მტკვარის ჩუმი დუდუნი.

მთის წვეროზე ფრთაგაშლილს
ყელზე მკოცნის ნიავი,
მეც ბულბულად ვიქცევი,
ვიფრენ წიავ-წიავით.

როგორც ზარის წკარუნი
შეაღვიძებს ფარეშებს,
მეც ტოროლას წკრიალზე
ზეცას მოვითარეშებ.

ვეღარ გადაიყარა

ვეღარ გადაიყარა გულმა დარდის ქარები,
ხორშაკივით უდაბნოს ქრიან უმისამართოდ,
ცხელ ჰაერში ტრიალებს დარდით ანაკვნესები,
ჩემი სულის ღიღილო უსასოო და უფრთო.

მალე ჩამოჭკნებიან აივანზე იები,
მათთან ერთად მოვკვდები, სულს გამტაცებს ნიავი,
იქნება და შვებაა, სწორედ სულის ამოსვლა,
ვარდის ბუჩქს ამოვირჩევ, ჩავეკვრები წიავით.

რადგან ამ სამყაროში არ ირჩევა სიმართლე,
კაცთა გონი დაიხშო მატერიის სიძვირით,
ახლა ვინღა დაეძებს რა გიჭირს და რა გილხინს,
ზოგი ცდილობს გადარჩეს ოქრო-ვერცხლით და სიძვით.

რაც რომ ბრწყინავს, გიზიდავს, ხელს ახლებ და ფუჭია,
მაგრამ მაინც მიელტვის კაცთა ცხელი გონება,
თუმც იციან არ არგებთ დროის უქმად ტარება,
მაგრამ რომ ურჩევნიათ ვერცხლეულის მონება?

ჰოდა, ამ ცისქვეშეთში მართლა არ ღირს დარჩენა,
უნდა გამოვიგონო ჩემთვის სულ სხვა სამყარო,
აქ, ძლიერთა ფრთების ქვეშ ქროლა გამიჭირდება,
ლეში, ტვირთად რომ მაწევს მიწას გადავაყარო.

ნანა გიგუაშვილი მედდა

დაბადების ადგილი ხაშური ს. ალი.
ემიგრანტი იტალია მანტოვა.

ფიროსმანი

დავხატავდი ცას ღიმილით სავსეს,
დიდ მთვარეში გამომწყვდეულ სევდას,
ძველ ეზოში სახლს მოხვეულ ხავსებს
და საფლავზე მომლოდინე დედას.

დავხატავდი ვარდით სავსე ურემს,
მერე მინდვრად მოჯირითე მერანს,
საღებავით გავღებავდი გულებს -
მოძალადეს, ურჯულოს და ვერანს.

დრო რომ ისევ მომიყვანდეს თქვენში,
მზის სხივებზე ვაცეკვებდი ფერებს,
გულში სევდას ვერ მომგვრიდა თქეში,
ბოროტებას დავამტვრევდი ხელებს!

მე სამყაროს შუაგულში მდგარი,
ულამაზეს საქართველოს მუზას
დავხატავდი, ისევ არყით მთვრალი,
და თქვენს გულში ჩავუშვდბდი ღუზას.

კონიო

შენ დასავლეთის წყლის კონიო ხარ,
საწამლავივით სუნთქვას რომ მიკრავ,
ჩემში ჩაზრდილი ფესვის სიმაღლით
ფიქრობ ოცნების ღვედებს შემიკრავ.

მთელი სამყარო მხვდება ღიმილით,
შენ კი მოგყვება ეჭვის სუდარა...
და იკვებები ცრემლის ვამპირი,
ითხოვ მსხვერპლისგან ხვეწნა-მუდარას.

რატომ გგონია, რომ გადაწონის
ძალმომრეობის პინა ღვთისობას,
რად დაგდებია ტვინზე ნალექი,
რატომ მაკერებ ცოდვის სხვისობას?!

უფალმა ნიშნად ასჯერ დაგინდო
და ისევ ჩემი ლოცვით გადარჩი,
მე სიყვარულით კვლავ გაპატიებ,
შენ კი....არვიცი რისგან რა დარჩი.

ახსენუთ ტაბუ

მეამბოხე სული მეწვის,
არ მეთმობი დასაკარგად,
გასავლელი ხიდი ბეწვის
ელოდება სხვის განკარგვას.

გაიყიდა საქართველო
გოჯი-გოჯად, მისხალ-მისხალ,
მტერი, თუკი არ ქართველობ,
შენს ვენებში სხვა სისხლს გისხამს.

და ყოველი წუთის ფასი,
რომ ვიცოდეთ, დროა მართლაც!
გადაივსო თმენის თასი
და დაიწყო დროის ათვლაც.

გული ერთურთს გაუხსენით
ქართველობის წმინდა ფიცით,
ერისა და ბერის ძმობა
ისტორიით ბევრი ვიცით.

ჰა, ჟამია და ახსენით
ტაბუ უფლის მოსულ სიტყვას,
რომ ქართული გენის წესი
ამ სიმართლით მტკიცედ ითქვას!

ჩემს მეგობარს

მოხვედი და მოიტანე
სიყვარული ღიმილით,
გულზე ნაზად დამეფინე
ნაზამთრალი ღიმივით.

ცაზე ქულა ღრუბლისხელა
სევდაც კი არ მიტოვე,
სადღაც უცბად გამაქროლე,
დარდი გამომიტოვე.

ამ ბოლო წელს დალეწილი
ბარიერით ვამაყობ!
თავის პოვნა არ მიჭირდა
ცხოვრებაში არასდროს,

მაგრამ იყო, მართლაც იყო
უყუჩარი ტკივილი,
გაქცევა რომ გინდა სადღაც
და ხმამაღლა კივილი.

მოხვედი და მოიტანე
სიყვარული ღიმილით,
გულზე ნაზად დამეფინე
გაზაფხულის ღიმივით.

მიყვარხარ

გაუბრალოვდა სამწუხაროდ ამ სიტყვის ფასი
და სიყვარულში სიყვარულის კვალიც არა ჩანს,
რაც ნამდვილია მიხარია, რაც არა - ფარსი
შემოხვევია დედამიწას ხავსის ფარაჯად.

სიყვარულისთვის უნდა მართლა იწვოდე გზნებით,
უნდა გაბევრდე, რომ აჯობო იუდას მსგავსებს,
დაბზარულია უფლისაკენ სავალი გზები,
მოვყვები ფრთხილად და სიკეთით ნაპრალებს ვავსებ.

ემიგრანტობა

ემიგრანტობა ვისთვის მცნებაა,
ვისთვის დროების დასაცდელია,
ემიგრანტობა სულის წვრთნაა და
ემიგრანტობა განსაცდელია.

დედის დარდია თავის შვილებზე,
ღამე ცრემლებით გასათევია,
ენა ვერ იტყვის, კალმით ვერ დაწერ,
დღე გიბნელდება, არ ნათელია.

და მენტალობის განულებამდე
ამ მორჩილებას იტან თმენაში...
ასე მგონია ღმერთმა მოგვმადლა,
რომ განგვამტკიცოს მეტად რწმენაში.

ჩემსავე გულში

მეორედ მოსვლა ჩემს გულში მოხდა,
არს შემეცნება თავისუფალი,
ახლა სოსნისფერ ზეცაში კი არ,
ჩემსავე გულში ვპოვე უფალი.

და ამის შემდეგ კითხვის პასუხებს
არსად დავეძებ, გული მკარნახობს
ამ ჩემი ბედისწერის დღიურში
წარსულზე ფიქრი ვეღარ ნავარდობს.

ყველაში ვხედავ ნათელ მომავალს,
ყველას ტკივილიც ჩემად მიგრძნია,
ყველას სიხარულს გულში ვიტოვებ,
რადგან სხვაგვარად არ შემიძლია.

ღმერთო

სანამ შენთან მოვედი, ხელი გვანათხოვრე,
სანამ გთხოვე გულწრფელად, სული ჩაგანათხოვრე,
ამისრულე წადილი, უფლის რწმენა გიწოდე,
სადაც ფეხი დამიცდა - ხელი გამომიწოდე.

მერეეე...ქვიშის საათმა, რომ დაიწყო ჩამოცლა,
ხელში ამიტაცე და მომინდომე გამოცვლა,
ამ ფაქიზი სულიდან გამოდევნე სიმხდალე,
ამორძალად მაქციე, სივრცე გადამიშალე.

დავეწაფე წადილით წყურვილს წყაროს წყალიდან,
ერთი მესხი მოლექსე, იმოვლენილი ალიდან,
გიწვდი სულის ღიმილით თასს მადლისგან ლიცლიცას,
ჩემი სტრიქონებიდან დარდი სულ გაიცრიცა.

შენზე ფიქრები

არ მაშორებენ შენზე ფიქრებს ჩემი ფიქრები,
გამოვიცანი, შენი გულის ჩანაფიქრები,
განსაცდელები, ჩემი სულის განარითმები,
როცა მიმიწვევ, შენთან უფრო ახლოს ვიქნები.

ღვთის სიდიადეს ჩვენში მოაქვს სული მზიანი,
მისი ცხოვრება არ ყოფილა ხარვეზიანი,
სიკეთის ნაცვლად უღალატეს„ უქნეს ზიანი,
თუმცა ამბორი მტრისა იყო თავაზიანი.

იუდები და კაენები გვაშორე ღმერთო,
ამ ბოლო ჟამის საცდუნებელს რომ არ დაერთოს,
ადამიანი სხვისი ტანჯვით რომ არ გაერთოს
და ერთგულების, სათნოების სანთლად აენთოს.

ემიგრანტობა

ემიგრანტობა ვისთვის მცნებაა,
ვისთვის დროების დასაცდელია,
ემიგრანტობა სულის წვრთნაა და
ემიგრანტობა განსაცდელია.

დედის დარდია თავის შვილებზე,
ღამე ცრემლებით გასათევია,
ენა ვერ იტყვის, კალმით ვერ დაწერ,
დღე გიბნელდება, არ ნათელია.

და მენტალობის განულებამდე
ამ მორჩილებას იტან თმენაში...
ასე მგონია ღმერთმა მოგვმადლა,
რომ განგვამტკიცოს მეტად რწმენაში.

ფიქრი ზღვისფერი

სადაფისფერად ლაპლაპებს ზეცა,
ცაზე წამოწვა ფიქრი ზღვისფერი,
სულის სამოსად ლამაზად მეცვა
ჩემი ოცნების თეთრი ნისლები.

გადაკალმული ცის თაღის ბოლო
ნაპირებთან ეშვება ზღვაში...
მე ქართულ მიწის სადღეგრძელოში
წამომაწიეთ სასმისი გზაში.

მოვალ უფალო

ამ უსასრულო კიბეს მივყვები,
საფეხურებად ვითვლი ცხოვრებას,
კელაპტარივით ჩამოვიწვები,
თუ ვეღირსები სულის ცხონებას.

მოვალ უფალო შენს ტახტრევანთან,
ფეხის ნაბანის ღირსად დამლევი
და წუთისოფლის ამ ნარ-ეკალზე
მრუდე ბილიკის სწორად გამვლელი.

გოგონა ნიღბით

მისი სამყარო არვისას არ გავს,
გოგო წავა და წყალში მზეს დარგავს...
აქ კი დრო თავის მაქმანებს ქარგავს
და მერე თავის სისუსტეს მართავს.

ქუჩაში ხალხი, ხალხში- სიჭრელე,
ვიღაც გონდოლას ფეხთან გიჩერებს,
ვენეციური ნიღბის "სინჩერებს"
ამ ცნობიერში ვერ გაიჩერებ..

როდესაც გავალ

უფლის ნებართვით ამ სოფლიდან როდესაც გავალ,
ღიღილოები დამიკრიფეთ, არ მინდა ვარდი,
იმ სილამაზეს ვარდს რომ ახლავს, ეკალიც ახლავს,
არ გამაყოლოდ იმ ქვეყანად არაფრის დარდი.

რაც განსაცდელი გავიარე, მაწრთო უფალმა,
ხიბლში არასდროს ჩავვარდნილვარ, არა ვარ ფლიდი,
თუკი რამ წყენა ავიტანე მოთმენით ქალმა,
ამ მოთმინებით ჩემი ბედის განსაცდელს ვთვლიდი.

რაბათი

ვეფერები ჩემს მონატრებულ მესხეთს

მესხეთის მიწავ შენი მეკვლე ვარ,
მესხეთის ცაო შენი მლოცველი,
პატარა გოჯიც არ დამრჩენია
დასაკოცნი და დასალოცველი.

დგას ქვაფენილზე შედგმული ციხე,
ხავსმოდებული ძველი ალაგი,
ჩვენი წარსულის მენატიანე
და წინაპრების ძვალშესალაგი.

ასვეტებულა ქვაში ქონგური,
ამღერებულა ხმაში ფანდურად
და სიმაღლიდან ციხე-კოშკები
იყურებიან დარდიმანდულად.

გაბრწყინებულა ძველი სიცოცხლე,
მოუხურია თექის ნაბადი,
დგას მეციხოვნედ ისევ ამაყად,
განახლებული ჩემი რაბათი.

წყაროს ჩუხჩუხით ერთობა მოლი,
ხეივნის ჩრდილში სხედან წყვილები,
ღმერთო გვიმრავლე საქართველოში,
გასაჩენი და დასაწყვილები!

ციხის კიდელზე დროშა ფრიალებს,
გუმბათით ბრწყინავს ძველი მეჩეთი,
ლექსით მოვედი ჩემო ლამაზო,
სამლოცველოსთან კრძალვით შევჩერდი:

ღმერთო დალოცე ქართული მიწა,
შეგვინარჩუნე ზნე და ადათი,
რომ სამუდამოდ, საისტორიოდ,
ისევ ბრწყინავდეს ძველი რაბათი!

მოგონებები

რა ლამაზია მოგონებები,
თავის სიცელქით, აპრილობებით,
ბავშვობის წლებში ჩამოქარგული
ღილაწყვეტილი ყმაწვილობები.

რამდენი სუნთქვის გახშირებაა
ნათქაფუნები რიყის ღელეში,
ისე გაფრინდა თეთრი თოლია,
მხოლოდ ბუმბული შეგვრჩა ხელებში.

მოგონებებმა ტვინში დალექა
გულდაწყვეტილი ცრემლის ცვილები,
ოჰ, როგორ მტკივა თქვენი არყოფნა,
ასე უდროოდ გარდაცვლილების.

...ისევ ყველა ვართ ფიქრის სარკეში,
ძლივს მოვასწარი ცრემლის გაშრობა,
სევდისფერია მოგონებები,
შინმოუსვლელი ჩვენი ბავშვობა.

სიტყვით მოვედით

თეთრი ცხენები, აფრენილი თეთრი ფაფრებით,
სივრცის ბურუსებს მიაპობენ თქარათქურებად,
სიტყვა აწონეთ, არ აუშვათ კვესის აფრები,
ნუ მოინდომებთ სიყვარულის განადგურებას.

სიტყვით მოვედით, უფლის სიტყვა რწმენად გვედება,
სიტყვაა, რითაც დიდ სიყვარულს დაგეფიცებით,
ღმერთია სიტყვა! გონებიდან ბგერად მოსულა,
იბადებიან კვლავ სიცოცხლედ, როგორც კვიცები.

აბასთუმანი

აღობილებში ნისლი ჩამოწვა,
ყვითელ ფარდაგებს შლის ნაძვის კვირტი,
სიყვარულისთვის აფეთქებულა
და ისმის სტვენით ჩიტების ფლირტი.

გადაღებილა მზისფერად ზეცა,
თავმოწონებით მიღიმის გირჩი,
მისი ყვავილის სურნელი მეცა
და მწვანე კალთებს იბერტყავს ფიჭვი.

მადონა დვალი

პოეტი

* * *

ვიხატავდი ცის ამფორას, მზის მირონით სავსე დოქებს,
მიმტვრევდნენ და მილეწავდნენ იმ დოქსა და იმ ამფორას,
ჩემში ლექსის გალილეო მაინც ვეღარ დააჩოქეს,
ვერ გახადეს პოეზიის პლანეტების ანაფორა.

უკვე გზები გავიკვლიე ლაბირინთში ამ უკუნის,
სტრიქონებშიც ამოვხსენი ყველა შიფრი ამ ფაილთა,
დედამიწას დავაჯახე პოეზია საუკუნის,
ბებერ დოგმებს ვუღალატე რომანტიკის რაფაელთან!

ჩემგან უკვე გაიშიფრა, ამოიხსნა ის კოდები,
რა ზღაპრებზეც მაწერინა წრფელი ცრემლის იმ მელანმა,
ჩემში ისე იღიმოდნენ პოეზიის ჯოკონდები,
ვნების ხატთან დააჩოქა თავად მუზის “ტამერლანმა”!

ის ევა ვარ, ადამისთვის თვით სიცოცხლე რომ გარისკა
(შევუმოწმე სიყვარულის ერთგულება ყველა ტესტზე...),
მე მან გულზე დამახალა თვით ღალატის ბალავრის ქვა,
მაგრამ ის ქვაც ავიტანე პოეზიის ევერესტზე!

ახლა ლექსის დიდლოჟამდე ეს სტრიქონი თუ ავიდა,
იმიტომ, რომ არ უვლია მედროვის და მონის გზებით,
ალიონი ამოიჭრა მისი ღამის პერანგიდან,
ღილის ლურჯი სკვნილებით და ბალთის თეთრი მონაზვნებით.

დედის, ნაზი დვალის ხსოვნას

შვილის საქებარს დედა რომ ამბობს,
არ იყო იგი ისეთი რადგან,
არ დამაჩვია ფუჭ ქება - ამბორს,
იქნებ ამიტომ, ჩემს ტაძარს დავდგამ.

ითხოვდა ჩემგან დამეძრა მთები,
იქნებ ამიტომ, იმდენიც ვუწყი,
რომ უფსკრულიდან ამოვალ ფრთებით,
რომ დედამიწას ვუპოვე ყუნწი.

არ სჭირდებოდა დიბა და ფარჩა,
ის დაიპყრობდა სცენას და კინოს,
მისი სიტურფე ლეგენდად დარჩა,
მოუხდებოდა ვან - გოგის ტილოს.

არ უკვნესია ცხოვრებით დაღლილს,
არ უღალატა - ერთადერთ მოყმეს,
უზრდიდა, ჯერაც უცნობი დამღით
მთელ პოეზიას, გაუწვრთნელ ბოკვერს

და ჩემში ამდენს თუ ბედავს ქალი,
რომ ხასიათის სიმტკიცეს ავლენს,
დედა მყავს - ზემო შავრელი დვალი,
მაშ გაუმარჯოს გოგონებს, შავრელს!

* * *

მე ამ ოცნებებს სად არ დავყვები,
ვიპოვე შენი თუთების ქუჩაც,
ედო შენს მხრებზე ცას იდაყვები
და ახლა თოვლის "ბრეტელიც"უჩანს.

არვის წინაშე არ ვარ მოვალე,
რაცა მაქვს გულში ავდგე და სულ ვთქვა,
მე მიყვარს შენი სახის ოვალი
და იდუმალი, შემკრთალი სუნთქვა.

დაუკითხავად დასახლდი ჩემში
და ფეხაკრეფით მოხვედი გულთან,
მთავარი ძარღვი ჩაიგდე ხელში,
გახსენი ჩემი ზღაპრების გუდა.

დაგყვები ახლა კალმით და ფურცლით
და გზა არ მოსჩანს შემცვლელი გეზის,
ძველი ცხოვრება დავკიდე ყუნწით,
ახალ სიცოცხლეს ვუკეთებ ესკიზს.

დეკემბრის კუდის ფუნჯების ქნევით
ვბედავ იანვრის კოშკებზე ასვლას,
აღარ მადარდებს რა ხდება ქვევით,
ლექსის ნაძვის ხეს ვუკეთებ ვარსკვლავს!

* * *

იყო მარტი,
დაცხა,
მდელო, ნარდი,
ფაცხა;
იყო არსი,
ფონი,
ნარდში მარსი,
ფსონი;
იყო მარტი;
მოცრა,
ჩემი ფანტი,
კოცნა,
ცეცხლი,
კაკლის ლეჯა,
გულში ლექსის
,,გლეჯა",
მოცრა,
მერე დაცხა,
კოცნა, ფანტი,
ფაცხა!..
იყო მარტი.

არ წავალ!

ისიც გარდასულ დრომ ჩაიკონა
რაც რამ შევწირე ვნებას ადრეულს,
გადაიყოლა ცრემლის ციკლონმა,
ვუცინი ცისკარს - ალექსანდრიულს!
იმ შორეული სხივის სიმით რომ
შემოაღწია სულის გონამდე,
ახალი მთვარის "მოკასინით" რომ
მატარა გულის ამბიონამდე.
დროის ქარავანს გზად არ ვეჭრები,
ცრემლის ნილოსით თვალს არ ვიოსებ,
მე მზის კარნავალს ვადებ ბეჭდებად
ახალ სტრიქონთა ანაბიოზებს
და მეტაფორის იმ ძველ "შამბალებს",
შიშით რომ უმზერს - ნიღაბაკრული,
მალე გადაშლის ამ ძველ შაბლონებს
აქ ჩემი კალმის ეს ორაკული!

გაისრისება ის ტარანტულიც
ამპარტავნების და ანგარების,
მე გავიარე გზა - სპარტანული,
დამშრობი ვნების ნიაგარების
ზოგმა რომ კუზად გადაიკიდა...
და მხოლოდ ცრემლის ერთი გასროლით
არ წავალ ლექსის გალაქტიკიდან,
არ დასრულდება ჩემი გასტროლი
ამ პლანეტაზე, ვიდრე მოდიდან
არ გადავაგდებ ქურქებს - გასროლით!
ვიდრე გალიის ეშაფოტიდან
არ მოვხსნი ლომებს, მიბმულს ჯაჭვებით,
ვიდრე სინათლე არ გაიელვებს -
ვიდრე შვლის ნუკრის ხორცის ნაჭრები
არ ვანთხევინე ბრაკონიერებს!

სონეტი 6

"არის ტოლფასი გამარჯვების ზოგჯერ გაქცევა",
ჭკუათმყოფელი არ ისურვებს ბრძოლას გიჟებთან,
სადაც არ ახსოვთ, დრონი მტვრად რომ გადააქცევენ
და ბოლოს ყველას სამარე რომ ეპატიჟება.

"დიდმა ნადირმა ფინიები უნდა დაინდოს",
ლომი მშიერიც არ იწევდეს უნდა მწევარზე,
როცა შენს ქედზე გინდა დიდი თოვლი დაიდოს
უნდა ამაღლდე, რადგან თოვლი რჩება მწვერვალზე.

მსურს იმ მწვერვალზე მიმჯაჭველი ხუნდის გაკვნეტაც,
მავანი ჩრდილად ეფარება ზეცის კაბადონს,
მჭირდება ჩრდილიც, ნათელ სხივის გამოსაკვეთად
რომ თვით სიკვდილის ანგელოზებს შევეკამათო.

მე ვებრძვი მხოლოდ საკუთარი ვნებების დემონს,
მე ვერ მივიღებ ჩემში პოეტს უდიადემოს.

გასაუბრება გარდაცვლილ მამასთან

არ გირწევივარ თუმცა მკლავებით,
იქნებ ჩამთვლიდი კიდეც მე, ღლაპად,
მზით მოხალული ეს ვარსკვლავები
რომ ერთიანად არ ჩამეყლაპა.

ამ პოეზიის მთების დაძვრაში
ჩემს გამარჯვებას რაღა ხიბლი აქვს?!
თუ ვერ ვპოულობ სულის ტაძარში
მამის ხატსა და მამის ბიბლიას.

მე რომ შევქმენი ხატი ადამის,
ის ალბათ, თავად ღმერთკაცს უდრიდა,
დრო დადგა უკვე მისი გატანის
ჩემი ბავშვობის ცივი ტუნდრიდან.

ოჰ, კიდევ რამდენ რამეს ვმალავ და...
და მაინც რითმა რითმას მივუბი,
მე რომ შემექმნა შენზე ბალადა,
ეს იქნებოდა ჩემი ტრიუმფი.

შეგითვისებდა შვილთა ეპოქა,
დაგერქმეოდა მამა - მოდერნი,
მთელ პოეზიას ნაკლად ეყოფა,
რომ არ მაქვს შენი შვილის ორდენი.

მონატრებების ჟამიც წავიდა,
მეტყვი - მშობლები შორდებიანო,
მაგრამ მე შენი განძთსაცავიდან
მერგო უკბილო ფორტეპიანო...

ის ბავშვი ჩემში ისევ ხმაურობს,
ის ძველი ფირი ისევ ტრიალებს,
ბურთად რომ ითხოვს მხოლოდ ასპიროზს,
ცაში ტირილით რომ კოტრიალებს...

და რადგან მუზამ ჩემზე ილოცა,
არ მშვენის წყენა მარცვლისოდენი,
ჩემს დაბადებას ახლა გილოცავ!
მიიღე ჩემი მამის ორდენი.

გალაკტიონის ნახტომი

ვერ აიმედებს ვერც ალიონი,
არც მთვარეს უმზერს, არც მზეს, არც იას,
დგამს გულუბრყვილო გალაკტიონი
ცაში გაფრენის დეკორაციას.

ტირის და თანაც ცრემლებს არ აჩენს,
ჩურჩულებს: "ეს კი მეტისმეტია",
უარყოფს უფლის ამ მკაცრ განაჩენს,
დედამიწაზე მარტოდ ხეტიალს.

გადმოხტა ბოლოს, ცრემლის ცუნამით
და სიამაყის შავი დრაკონით,
"სილაში დამხრჩვალ ვარდის" სუნამო
ჩაუტყდა ხელში მთვარის ფლაკონით.

ელვის გისოსით ცა გადარაზეს,
არ იყო ღმერთთან ამბის მიმტანი,
რომ გადამტვრეულ მზის ქანდარაზე
იწვა მგოსანი, ბავშვი, ტიტანი!

მიმოფანტვოდა ცრემლი წვერებზე,
მარტი კიოდა კვირტის აკვნიდან,
გადმოიხედა - ფეხისწვერებზე
მთელმა თბილისმა მიწის სარკმლიდან.

წიგნიდან "ცრემლთა ფერწერა".

ღამე - ლექსებად გადათარგმნილი

ღამე თარგმნილია - ჯადო ავიხსენი,
მასზე არაფერი იქნებ არც ვწერო და
იქნებ მოვიშორო წერის ავი სენი,
იქნებ ჩამოვიდე მთვარის კენწეროდან.

ბედთან თამაშია ლექსის დაბადება,
მაგრამ დავამარცხე ღამე მზის კარტებით,
მისი ჩამოკვნეტა მე არ დამბრალდება,
ლექსებს ვაკორტნინე ბასრი ნისკარტებით.

მე ლექსს ავუშენე ღრუბლის მიზგითები,
ხატად დავუკიდე ოცნების ტრიადა,
ფრესკად მივუწერე ცრემლის "იზიდები",
მათი ოკეანის ტალღა დატრიალდა;

ისე გადარეცხა რითმის ნაპირები,
იყო პოეზიის "ზარზმის" გლოვის ზარი,
მე რომ მეგობართან "კრუიზს" ვაპირებდი,
თურმე ის ყოფილა - ძველი ბალთაზარი!

მალე გამჟღავნდება ყველა სივერაგე,
ვერვინ გაექცევა მართალ წუთისოფელს,
მალე დაბრუნდება ყველა ბუმერანგი,
ყველა გადაკოცნის თავის მეფისტოფელს!

თავის სიბოროტეს ვერვინ იუარებს,
უკვე დაღმართზეა მთელი ის ფერხული,
მალე გადაშლიან ცოდვის მემუარებს,
გადაიზომება ყველა ნაფეხური.

წერას ეს სამყარო ყველას არ ავალებს,
ზოგს რომ ცხვარში უშვებს, ზოგსაც სერვანტესში,
მე მან განმარიდა მიწის კარნავალებს
რადგან გამომფინა ზეცის "სერვანტებში".

ფუჭად ამ ბუნებამ ვის რა დაურიგა?
სხვა რომ თავს იკლავდა სწავლა-განათლებით,
მე ამ სულ უბრალო კალმის "ბრაუნინგმა"
დროში მასროლინა სიტყვის კამათლები.

ჩემთვის ამ სამყაროს სული მიუბია,
ისეთი ხალასი, დრო ვერ გაახუნებს,
ჩემში პოეზია სულის ტრიუმფია,
კალმით უკვდავების კარს რომ უბრახუნებს.

ძველი კაბა

კაბას ვეღარ ვირგებ - ნისლის თარგებიდან,
ახლა რაც მომიხდა თოვლის შიფონია,
ბევრჯერ გადმოვფინე ზეცის თაღებიდან,
ბევრჯერ გადმოღვარა ცრემლის სიმფონია.

თასმით კოსმიურით ვიკრავ ნელა - ნელა,
ძველი ზმანებების შუქთა გრადაციებს,
მე ის ვნების კაბა აღარ მენანება,
ღილი მეტეორის სამჯერ გადაწიეს!..

დიდი დრო დავკარგე მასთან ლოიალით,
უკვე მიწიერი ქარით მიშინებდნენ,
ისე მოახიეს გოფრეს როიალი,
თეთრი კლავიშები შავად შიშინებდნენ.

მიწის ვიტრინებში ბევრჯერ გამოჰფინეს,
სარჩულს შეხიზნული მარსის ავგაროზი,
ჩუმი შელოცვებით აღარ დაჰფოფინებს
მისი გაწყვეტილი ძაფის ანგელოზი.

დახლზე ამოსულა მთვარის "პენიუარიც"!
და ზედ დაკიდულან ღრუბლის "გამაშები,"
ისე განმირისხდა მუზის რენუარი,
ლამის ჩამომართვა ფუნჯის მარმაშები.



სწუხან მყიდველები დახლის იალაღზე,
ბევრი აჩხარუნეს ყალბი "ვალუტები,"
მაგრამ ხელი დავდე კალმის იარაღზე
ისე აღვავლინე ფიცის "სალუტები,"

რომ ამ სტრიქონების ნაზი ბატისტები
აღარ გამეცვალა ვნების "ამულეტზე,"
ისე გავაძევე ცოდვის არტისტები,
სულის კულისები შტურმით გამოლეწეს.

ახლა ამოვდივარ სულის სინას მთაზე,
ცრემლი გამოვხადე თავად მზის ამფორით,
გაქრა ნისლის კაბის ვნების სილამაზე,
ისე გადავჩრდილე თოვლის ანაფორით.

სონეტი

"იყო ჭის მთხრელი გირჩევნოდეს, ვიდრე წყლის მსმელი",
გაუმაძღრისთვის ძმის დაღუპვაც ლუკმა პურია
და ნურც ხარბისგან სასიკეთოს ნურაფერს ელი,
უსურვე მხოლოდ სიყვარული -ალილუია!

სადაც ჟინისთვის ნადირობენ, მიჰყავთ მწევარიც,
სად მოდურ ქურქად კვლავ ითვლება მკვდარი მელია,
იქ არ არსებობს აზროვნების დიდი მწვერვალი,
სად გასართობად გალიაში დათვის ბელია...

და სად არავინ უფრთხილდება სულში ცის ქილებს,
სადაც ვერა და ვეღარ გასწვდნენ აზრის კაბადონს,
არ ვერჩი აღარც ლექსის ხასას თუ მეწისქვილეს,
არც ლექსის სისხლზე დაგეშილებს მსურს ვეკამათო.

ყველას გახდიან "ბრძენისა" თუ "გმირის" მანტიებს,
კოსმოსის ბანკი ყალბ მონეტებს არ აპატიებს.

ნარგიზა ფაჩულია მხატვარი

დაბადების ადგილი სენაკი
(ემიგრანტი) იტალია-ილანი

* * *

დაუნდობლად შემეპარა წლები,
მომემატა ნაღველი და წყენა,
ზურმუხტ-ფერად დანახული მთები,
ვხედავ უკვე გადამისხვაფერდა...

თვალთ დამედო ნისლიანი ბინდი,
ეს ცხოვრება სხვაგვარ მეჩვენება,
თუკი ასაკს სიხარულით ვთვლიდი,
ახლა ის დრო ძლიერ მენატრება...

მაგრამ მაინც უკანასკნელს ვიკრებ,
გოლგოთა მაქვს რწმენით გასავლელი,
მეშინია, ვაი თუ ვერ ვირგე,
თუ გამიხდა ცოდვა დასათვლელი?!...

მაინც ვირჩევ დაფდაფსა და ზურნას,
მაინც ვიკვლევ გაუკვალავ ბილიკს,
მაცხოვარი, მჯერა ჩემზე ზრუნავს,
არ მაშორებს მის ზეციურ ღიმილს...

დაბადების დღეებს თითზე ვითვლი,
გასავლელ წლებს მე კვალდაკვალ დავდევ,
რა აზრი აქვს, იყო სიო მინდვრის,
თუ ნიადაგს თესლს ვერ მოუმზადებ...

ცისკრის ვარსკვლავს პაემანზე ვხვდები,
ლექსის სტროფებს ვუზიარებ ტკივილს,
რაც არ იყოს, ოტიმისტად ვრჩები,
ვიყო ქალი ზეციური, მიღირს...

ქალი, ცოლი, მოფიქრალი დედა,
წყურვილს ვიკლავ ვარსკვლავებით ღამის,
ღმერთის კალმით ვამკობ დედა ენას,
წუთისოფელს ვკემსავ ლექსის ძაფით...

დაუნდობლად შემეპარა წლები,
ლექსის სტროფით ვხვდები ჭექა-ქუხილს,
როგორც ქალი, ოპტიმისტად ვრჩები,
მსურს ქალობით რომ ვიჯერო გული.

* * *

მინდა გიყვარდე, როგორც უფალს
ცოდვის შენდობა,
შენში მამყოფო, ვარსკვლავებად
ამანთო ცაში,

მე ვიყო შენი სულის მზე
და აის-დაისი,
მინდა გიყვარდე, ისე როგორც
,, არვის -არავინ“

* * *

ნაწვიმარია, მუსიკა უკრავს,
კუთხეში ვდგავარ, შენს მოსვლას ვნატრობ,
ძლივსღა ვიკავებ მღელვარე სუნთქვას,
ნოტს ვეძებ ჩემსას, ბოლომდე სანდოს...

ვიღაც უგულოდ აკვნესებს „სკრიბკას“,
თავის ხმას ბენდში არავინ არ თმობს,
გადავიქეცი ეჭვიან ფიქრად,
ვეღარ გავიგე, ვდარდობ თუ ვბრაზობ?.

მე ველოდები გამოცეკვებას,
მაშინდელი დღის სიხარულს სათნოს,
როცა პირველად სუნთქვა შემეკრა,
ყველა ტკივილი გამიქრო ტანგომ, -

იმის გამო, რომ ვიგრძენი, ის რაც,
მანამდე არც კი მომსვლია ფიქრად,
თავბრუდამხვევი, როდესაც ბრუნვა,
ჩემს ბავშვურ გრძნობებს გულამდე მიწვდა...

ახლა კი ისევ, ისევ იქ ვდგავარ,
სადაც ოდესღაც მეცეკვე ტანგო,
ისევ იმ წლების გოგონას ვგავარ,
თუმც გაშვებულ წლებს ძალიან ვნანობ...

ფლეიტა ახლაც იმგვარად უკრავს,
როგორც სონეტი გარდასულ დღეთა,
მიტომ გიცქერი მდუმარედ, ურცხვად,
რომ გაგახსენო ისევ ის ცეკვა, -

რომლითაც დღესაც ის განცდა დამრჩა,
რომ სულთა ალერსს არა აქვს ვადა,
ვერ დაგამშვიდებს შენ სხვასთან ცეკვა,
მოგონებები სანამ თავს გვადგას...

ფლეიტა ისევ მისი ხმით კვნესის,
შენი გულის ხმა ჩემს გულსაც ესმის,
ახლაც იმ დროის სტრიქონებს ვფურცლავ,
რომელმაც მომცა საბაბი ეჭვის...

კბილებით ვიცავ შეჩვეულ ადგილს,
მინდა რომ ახლაც გეცეკვო ტანგო,
სანამ ბიჭუნა ფლეიტას უკრავს,
სანამ ბედი მსურს მუსიკას ვანდო, -

დროს რომ დავუდგე ფეხის წვერებზე,
მანამ ეს გული არ დამშვიდდება,
სანამდე ცეკვა დედამიწაზე,
ყველა ცოცხალს და მკვდარსაც ჭირდება, -

მიტომ ვოცნებობ ისევ იმ დღეზე,
ხელი მომხვიე როდესაც წელზე,
შენს გულის ხმაში როდესაც ვიგრძენ,
შეუძლებელსაც ჩემთვის რომ შეძლებ...

ჰოდა, იქნება კვლავ გავიხსენოთ,
დასავიწყებლად რაც არ ღირს, კარგო,
იქნებ მუსიკამ კვლავაც ინებოს,
დაუსრულებლად ვიცეკვოთ ტანგო.

* * *

მინდა გიყვარედე, არა ისე,
როგორც სხვებს უყვართ,
სულ სხვანაირად , სანთლად ვენთო
მე შენს ტაძარში.

მინდა გიყვარდე და ჩემს იქით
დუმდეს სამყარო,
იწვოდე ჩემი სიყვარულის
ცეცხლის ღადარში.

* * *

მე ქართველი ისე მიყვარს,
მსურს დავხატო ყველა ფერში,
წვა მამულით ისეთია,
რომ ვერ გაცვლი ვერაფერში..

შენ მხატვარო წუთისოფლის,
ნუ ხარ, ნუ ხარ ასე მორცხვი,
დამიხატე საქართველო,
წმინდა ცით და უფლის ლოცვით, -

დამიხატე საქართველო,
მისი ყველა ხასიათით,
იქნებ ახლა მაინც მენდოს,
მისი სული მადლიანი,-

იქნებ ამით მაინც მენდოს,
ღვთით ნაკურთხი ჩემი ენა,
ამის მერე იქნებ შევძლო,
საქართველოს გადარჩენა...

შენ პოეტო ლექსთა მწერო,
კალმის სწორად მომმართველო,
ძველებურად თუკი გიყვარს,
გთხოვ შემიქო საქართველო, -

ამიმღერო წინაპარი,
მომიქარგო მთა და მდელო,
მე ხომ შვილებს იმათ გადრი,
ვინც დედად ცნო საქართველო..

თავს მადგია დარიალი,
მყინვარწვერის თეთრი ქედი,
თუკი სითბო სადმე არის,
ეს სითბოა ჩემი ერის....

ეს სითბოა ქართველების,
მიწერია მით ცხონება,
ვფიცავ, თუ ვცნობთ წმინდა მანდილს,
ვერავინ ვერ მოგვერევა...

ეს სითბოა ქართველების,
დედამიწა მისით ბრუნავს,
ამიტომაც არვის ვებრძვით,
ვისაც ქუდი ჩვენი ხურავს..

შემომქმედნო ამა სოფლის,
მღვრელნო ცრემლთ და უფლის ოფლის,
გიწერია გადარჩენა,
მხოლოდ რწმენით, მხოლოდ ლოცვით...

მე სამშობლო ისე მიყვარს,
როგორც ქართველს სადღეგრძელო,
ჩემნაირი, თუკი მკითხავ,
სხვა სამშობლო არ არსებობს...

* * *

როგორც აღმზარდეს, გზას ისეთს ვირჩევ,
იქნება მოვხვდე ზეციურ დასში,
სადაც იესო მესიად იცნეს,
სადაც მადლს აფრქვევს მგმომელი ავის...

როგორც გამზარდეს, ისე ვზრდი შვილებს,
მსურს რომ სამშობლოს დარაჯად ედგნენ,
მსურს დაეუფლონ იმდაგვარ სიბრძნეს,
გაჭირვებულს რომ იმედად ექცნენ.

* * *

მაინც ღიმილით ვხვდები განთიადს,
დღემოკლეობას ჯვრის ზიდვით ვავსებ,
ბუნებრივ კითხვას: „ამას რა ქვია?.“
მჯერა რომ პასუხს ასაკი გასცემს...

პასუხი მაშინ უფრო ვიგრძენი,
განთიადიც რომ ღიმილით შემხვდა,
მივხვდი, სიცოცხლეს კიდევ ვჭირდები,
ჩემი ცხოვრების რომ შევძლო შეცვლა...

თუკი აქამდე მიზეზს ვეძებდი,
ახლა შედეგით ვაფასებ ყოფას,
ხალიჩებს ვუფენ არსით ზნეკეთილს,
ადამიანებს ამისთვის ვლოცავ...

დავუმორჩილო მსურს ჩემი, ღვთისას,
ასაკმა წლებით რომ ინავარდოს,
სული გავხადო მძლეველი ჭირთა,
სამშობლომ ამით რომ იამაყოს...

ფიქრის მორევში სიტკბოს დავეძებ,
წლებს, მხოლოდ განვლილს,
ვამსგავსებ ბადაგს,
დავღვინებულვარ, ასაკს ვამოწმებ,
ერთი შეხედვით პოეტად ვჩანვარ...

სიტყვებს დავეძებ, ვარჩევ ნიადაგს,
რაც ჩანს კი არა, რაც უფრო არ ჩანს,
ჩუმად ვიშუშებ წლების იარას,
წარსულით არა, რაც აწი დამრჩა...

ქარაფშუტულად, არა ვერ ვიტყვი,
არ დამიცლია გრძნობების ქისა,
ფიქრებით მუდამ იქით მივილტვი,
ცხოვრებას სადაც სიცოცხლე ჰქვია...

ღვთის მორჩილად მსურს ვზარდო
შვილები,
პატიოსნება ჰქონდეთ საფუძვლად,
ადამიანად სანამ ვითვლებით,
ღირსება აჩნდეთ მამა-პაპურად...

ამიტომ ღიმილს, ნაჩუქარს წლების,
ვგრძნობ რომ ჭირდება გაღება
მსხვერპლის,
მერმისს ვუზოგავ სილაღეს ჩემსას,
წაქცეული თუ კვლავ წამოვდგები...

ცოდვით გასული, თუ კვლავ ავღდგები,
სულს თუ გასაღებს მოვარგებ ცისას,
არსით დავრჩები თუკი ქართველი,
რაც მაქართველებს, იმას თუ ვიზამ...

* * *

ბუნებით მხატვარს, მსურს ვწერო ლექსი,
ლექსებით ვცადო, რაც ფუნჯმა ვერ თქვა,
ეჭვი არა მაქვს სამყაროს შევცვლი,
თუ კალმის წვერიც მიკურთხა ღმერთმა...

ეჭვი არა მაქვს, თუ ამას შევძლებ,
მზეც კი ცის მუზით ჩემს სულს მიწვდება,
სიმს გავუჭიმავ პალიტრის ფერებს,
და ცის ჩანაფიქრს ავკრეფ წიგნებად...

* * *

ვზივარ ბორანზე და მივაგორებ ფიქრთა აზრს ჩემსას,
მთვარე დამნათის, ვარსკვლავთციმციმის ამყვა ამალა,
ვერ დავიოკე მოუსვენრობა მე სხვაგან ვერსად,
დავრჩი, ვით დარჩა ერთ დროს პოეტი მუზის ამარად..

თვალს არ მაშორებს მოუსვენარი შხეფები ტალღის,
მდინარის ყელი, ვით სერენადა, მიმღერის ნანას,
შიშის დრო მიპყრობს, ვაი თუ დღესაც სულ მარტო დავრჩი,
ან ბედის ხიდი, სადაც ვიწროა მაინც იქ გაწყდა...

ბორანი მაინც, მიდის და მისთვის ბურდღუნებს მისებრ,
ქარს მოყოლილი ბგერების გამა უწუნებს სონეტს,
გავცქერი ნაპირს, მე ვით მელექსე მის აზრებს ვიხდენ,
ზედმეტს ვიცილებ, დასატოვარს კი საჩემოდ ვტოვებ...

აცეკვდა სული და სიყვარულმაც მოიცვა ჩოხა,
ლექსმა იქუხა და ზეციური გატყორცნა ფრაზა,
არ დავაყოვნე, დრო გადავწიე ვაცადე მოსვლა,
ვითარც სპექტაკლი ჟამთაღწერისა, ავწიე ფარდა...

ბორანი მიდის, მიდუდუნებს, თავისთვის ბორგავს,
ღამენათევი ლამპიონები მისდევენ მის ჩრდილს,
ნეტავ ვიცოდე, რამდენი არის ჩემსავით სოფლად,
რომ განერიდა ამ წუთისოფელს, მისას ვერ იმკის...

ნაპირს დავეძებ, სიბრძნეს რომ მივცე თავშესაფარი,
აზრის დინებას რომ არ მოაკლდეს ხვავი, დოვლათი,
ასე მგონია, თუ არ იპოვის დროს სამართალი,
არ გვაქვს უფლება ცალ-ცალკე ვიყოთ მე და ბორანი.

* * *

წახვედი, მაგრამ არ გიბრაზდები.
არც წყენისათვის დამრჩა ადგილი.
როცა გიყვარდი მე ვიყავ ღმერთი,
და პატიება იყო ადვილი.

* * *

რისთვის ვაგროვე ეს წლები?.. ძალიან მინდა ვიცოდე,
ან კიდევ რისთვის მოვკვდები, როს არ მსურს ვიყო სიშორე?.
განმეორების იმედით, როს ნაოჭს ვუცქერ სოფლისას,
ღმერთო მიშველე ფიქრისთვის, სიმართლე თუ ვერ ვიპოვე...

სარკმელს მივაყრდენ აზრები, ფესვებით მინდა რომ ვიდგე,
რადგანაც თუ გავბრაზდები, ვარჩევ რომ ამით წავიქცე,
გაუცხოებულ სიცოცხლეს დავაჟკაცებას თუ ვაცლი,
დავაჟკაცებას იმ დრომდე, სადაც ერთმანეთს მოვიხდენთ...

თვალის საზომი მწვერვალებს იტაცებს ვითარც ქარი,
ამოვარდნილი მხეცივით, როს გეძგერება ძალით,
უფიქროდ რჩება ნაპირი, მზის ჩასვლას აღარ ელის,
თუ მომიხურა კარები, მერე მე რაღა მეთქმის...

სჯობს ვაღიარო დრო რომ ვარ, მატარებელი ნიღბის,
უგულველყოფა დამჩემდა ღმერთის ნათქვამი სიტყვის,
სახედარების რემაში, მეტი მე რაღა მეთქმის,
ვიდრე ვიყო და მომწონდეს, ქალი ჩემსავით მშვიდი!.

ორი მტკაველი მოვზომე, მეყოფა?... ვფიქრობ ჩემთვის,
როცა პასუხი მომთხოვეს, მაშინ ვიწამე ღმერთი,
თუმცა ელჩობას არ ვწუნობ, მაგრამ ვერაფრით ვერ ვხსნი,
როს დავიბადე მაშინ რად, სიმართლე რატომ ვერ ვთქვი...

რისთვის ვაგროვე ეს წლები, ან კიდევ რატომ ვკვდები,
როს წუთისოფლის ვალები, ჩემს ტანჯვას ტვირთად ერთვის,
თუკი სიკვდილი უშველის, განაჩენს ჩემსას ველი,
განაჩენს რითაც მერმისად, მჯერა, აღვდგები მკვდრეთით!.

ᠬᠣᠭᠣᠷᠳᠤᠨᠳᠤᠷᠠᠭᠠᠨ!
ᠣᠯᠠᠨᠳᠤᠯᠠᠭᠠᠨᠳᠠ ᠪᠣᠯᠣᠬᠤᠢᠳᠠᠨ
ᠣᠨᠴᠠᠭᠠᠯᠠᠪ!..

სარჩევი

პოეზიის კორიფეები

ფილიპე - X ს. 6
გიორგი ათონელი 7
შოთა რუსთაველი - XII - XIII ს. 8
ვახტანგ VI – 1675-1737 10
ნიკოლოზ ბარათაშვილი - 1817-1845 11
ნიკო ლომური - 1852-1915 12
იოსებ გრიშაშვილი - 1889-1965 13
გიორგი ლეონიძე - 1898-1966 14

ჩვენი დროის ქართული პოეზია

არქიმანდრიტი სერაფიმე, გოგი ფილია 16
დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი 22
მამა ამირან ამირანაშვილი 28
მაყვალა გონაშვილი 32
გულნაზ ხარაიშვილი 36
ბაღათერ არაბული 42
ირაკლი ნადარეიშვილი 46
ნინო უძილაური 52
ეთერი ჭელიძე 58
მანანა სამყურაშვილი 62
ნელი საგინაძე 68
თენგიზ ფანცულაია 74
თეიმურაზ კვარაცხელია 80
ელგუჯა უძილაური 86
ელდარ ჭიჭიაშვილი 92
ნანა ქიბროწაშვილი 98
ქეთი სვიმონიშვილი 102
თამარ ფირცხელაური 106
ნანა მეფარიშვილი 108
ეკატერინე ბუღაძე 114
ლალი ორმოცაძე 120
ზაზა მედულაშვილი 126
იზა კარიჭაშვილი 132
დავით ძნელაძე 138
ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე 144
დათო ლომიძე 150
თეა ბარბაქაძე 156
თამარ ბერიაშვილი 162
გიორგი ჯავახიშვილი 168
ნათელა გოხელაშვილი 174
გაგუ სოფრომაძე 180
ვერიკო პარწიკანაშვილი 186
გულიკო კაპანაძე 192
გურამი სახვაძე 198
დარეჯან მაჭარაშვილი 204
ლეილა ბაგრატიონი (ბაბადიში) 210
ლევან ბოცვაძე 214
მაია დიაკონიძე 220
ფატი კვარაცხელია 226
თინა ჯანიბეგაშვილი 232
მირანდა ზაბახიძე 238
კახა გორგაძე 244
ოთარ რურუა 248
ზურაბ ზოიძე 252
ლორეტა რობაქიძე 258
ლილი გულბათაშვილი 264
ნიკოლოზ იასეშვილი 270

მირზა ვარძუკაშვილი..... 274
თამუნა გიორგაძე..... 278
სულიკო ჯამალაშვილი 284
პაპუნა ქვარიანი 290
ირმა კუკულავა..... 296
რუსუდან ბურჯანაძე 302
ნათელა კუპრაშვილი (ვართუმაშვილი).....308
ნაზი გალოგრე 314
ხათუნა ჩიტაძე..... 320
ლალი გულიაშვილი..... 326
ნანა კაკიაშვილი-ქაჯაია..... 330
ონისე სალდაძე..... 336
გიორგი ზუბიტაშვილი..... 342
რამაზ ჩხიკვაძე..... 348
ლეილა არხოსაშვილი..... 354

ვარ ვინმე მესხი მელექსე

მერაბ ბერიძე 362
ციური მესხიშვილი 368
ბადრი თამაზაშვილი (ხიზაბავრელი) 372
ვაჟა სამსონიძე (სამცხელი) 378
ციცო მაისურაძე 384
მარინა გაჩეჩილაძე..... 388
ზაირა კეღოშვილი..... 394
მთვარისა ცუცქირიძე 400
ეთერი გაჩეჩილაძე..... 406
თორნიკე ბერიძე 412
ზურაბ ბერიძე 416
კობა მოდებაძე 418
ცარო ფირფირაშვილი-ლეკიშვილი 424
ელდარ ზაზაძე 430
თამარ ანთაძე ადიგენი..... 434
ოტია ზედგინიძე 440
ანზორ ხუციშვილი 444
შოთა ტიტვინიძე..... 450
რევაზ ზუმბაძე 456
დავით თაქთაქიძე 462
შოთა კაპანაძე 468
ზაურ ჯვარიძე 474
რამაზ ლორია 480
მაია ხოფერია 486
ნათია ჯიქურაშვილი 492
გერონტი მესხი..... 498

ემიგრანტები

მაგდა გოშნიაშვილი..... 504
ელგუჯა ციგროშვილი 510
ირა სოფრომაძე..... 516
გიორგი კუბლაშვილი 522
მარინა გორგაძე სამყურაშვილი 528
ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანი..... 534
ლია ხმიადაშვილი 540
ხათუნა თედიაშვილი 546
ეთერ ბერიშვილი 552
ვალიდა, ნესტან ხარებავა 558
ანდრია, ანზორ შერვაშიძე..... 564
მალვინა ჭელიძე 568
ცაგო აბაშმაძე..... 572
ნანა გიგუაშვილი..... 578
მადონა დვალი 584
ნარგიზა ფაჩულია 590

ავტორთა შერჩევითი კომისიის წევრები:

მანანა სამყურაშვილი
კომისიის თავმჯდომარე - (სამართალმცოდნე.)

თენგიზ ფანცულაია
სწავლული მდივანი - (სამართალმცოდნე.)

ნელი საგინაძე
(ფილოლოგი.)

„ვარ ვინმე მესხი მელექსე" **კომისიის წევრები:**
ნატო ყრუაშვილი - ისტორიკოსი (პრიფესორი)
ელგუჯა ველიჯანაშვილი - (სამხედრი პირი)

„ქართული გულის ფეთქვა უცხო მიწაზე" **ემიგრანტები - კომისიის წევრები:**
ირა სოფრომაძე (იურისტი)

გიორგი კუბლაშვილი იურისტი

კრებულის გარეკანის დიზაინერი
მანანა სამყურაშვილი

დამკაბადონებელი
თამარ ტყაბლაძე

კრებულში განთავსებულ ლექსებში
დაცულია ავტორთა სტილი და შინაარსი